Karl Marx, Friedrich Engels, Vladimir Lenin, Joseph Stalin, Enver Hoxha

5 Classics of Marxism

Comintern (Stalinist-Hoxhaists)

http://ciml.250x.com

Georgian Section

www.joseph-stalin.net

SHMG Press

Karl Marx Press of the Georgian section of
Comintern (SH) – Stalinist-Hoxhaists Movement of Georgia

ლეონი

ლენინი

თხზულებანი

26

იბეჭდება
რკპ(ბ) IX ყრილობისა
და სსრკ საბჭოების
II ყრილობის
დადგენილებით

ИНСТИТУТ МАРКСА-ЭНГЕЛЬСА-ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

В. И. ЛЕНИН

СОЧИНЕНИЯ

Издание четвертое

ОГИЗ
ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
1949

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის
ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ვ. ი. ლენინი

თხზულებანი

გაჭოცემა მეოთხე

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
1952

ვ. ი. ლენინი

ტომი

26

1917 სექტემბერი — *1918* თებერვალი

წინასიტყვაობა

ოცდამეექვსე ტომში შედის ვ. ი. ლენინის ის ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია 1917 წლის სექტემბრიდან 1918 წლის თებერვლამდე.

ტომში შესული ნაწარმოებების დიდი ჯგუფი მიძღვნილია ბოლშევიკური პარტიის მიერ ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხებისადმი. ასეთებია: «ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება», «მარქსიზმი და აჯანყება», «კრიზისი მომწიფდა», «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?», «გარეშეს რჩევანი», სადირექტივო წერილები პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პეტროგრადისა და მოსკოვის კომიტეტებს. ამ ნაწარმოებებში, რომლებიც დაწერილია არალეგალობის ვითარებაში, ლენინი ავითარებს მარქსის აზრს აჯანყებაზე, როგორც ხელოვნებაზე, და სახავს აჯანყების კონკრეტულ გეგმას.

ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლენინის მოხსენებებს, სიტყვებსა და გამოსვლებს საბჭოების ყრილობებზე, პარტიულ და საბჭოთა მუშაკების თათბირებზე, მოწოდებებსა და მიმართვებს მოსახლეობისადმი, რაც ცხადყოფს ლენინის, როგორც პარტიისა და მშრომელი მასების ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის მოღვაწეობას საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ თვეებში.

ტომში შეტანილია საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტების პროექტები და დეკრეტები, რომლებიც დაწერილია

ვ. ი. ლენინის მიერ და რომელთაც ხელს აწერს ის როგორც სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: «დეკრეტი ზავის შესახებ», «დეკრეტი მიწის შესახებ», «მუშათა კონტროლის დებულების პროექტი», «პროექტი დეკრეტისა გაწვევის უფლების შესახებ», «პროექტი დეკრეტისა ბანკების ნაციონალიზაციის განხორციელების და ამასთან დაკავშირებით საჭირო ზომების მიღების შესახებ», «პროექტი დეკრეტისა დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ» და სხვა.

ლენინის ბრძოლა ბრესტის ზავის დადების საკითხზე ტროცკისტებისა და «მემარცხენე კომუნისტების» პროვოკატორული, გამცემლური პოლიტიკის წინააღმდეგ ასახულია ნაწარმოებებში: «ზავზე მოლაპარაკების პროგრამის კონსპექტი», «ბედუკულმართი ზავის საკითხის ისტორიისათვის» და გამოსვლებში რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1918 წლის იანვარ-თებერვლის სხდომებზე და სხვა დოკუმენტებში.

ტომის მთელი რიგი ნაწარმოებები მიძღვნილია დამფუძნებელი კრების მოწვევისა და დათხოვნისადმი: «თეზისები დამფუძნებელი კრების შესახებ», «რსდმპ (ბოლშევიკების) ფრაქციის დეკლარაცია, გამოქვეყნებული დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1918 წ. 5 (18) იანვარს», «იმქვეყნიური ადამიანები» და სხვა.

ტომში შედის ნაწარმოებები: «ძველის კრახით დაშინებულნი და ახლისთვის მებრძოლნი», «როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?» და «პროექტი დეკრეტისა სამომხმარებლო კომუნების შესახებ», რომლებშიც ლენინი აშუქებს სოციალისტური მშენებლობის საკითხებს და ყოველმხრივ ასაბუთებს სოციალისტური შეჯიბრების გაშლის აუცილებლობას. ამ ნაშრომებში ლენინმა იმ პერიოდის მთავარ ამოცანად წამოაყენა სახალხო მეურნეობაში უსასტიკესი აღრიცხვისა და კონტროლის შემოღება.

ოცდამეექვსე ტომში დაბეჭდილია 14 ნაწარმოები, რომლებიც პირველად შედის ვ. ი. ლენინის თხზულებებში: «პროექტი რეზოლუციისა პრესის თავისუფლების შესახებ», «განცხადება გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად

რუსეთის საგანგებო ყრილობის ბოლშევიკურ ფრაქციას», «პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ამოცანების შესახებ», «ზავზე მოლაპარაკების პროგრამის კონსპექტი», «დამფუძნებელი კრების გახსნის შესახებ», «პროექტი რეზოლუციისა დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკების ფრაქციის დროებითი ბიუროს შესახებ» (ქვეყნდება პირველად), «ლაპარაკი პირდაპირი მავთულით», «წერილობითი ბრძანება წითელი გვარდიის შტაბს», «პროექტი დეკრეტისა საზღვაო და სამდინარო სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ, 1918 წ. 18 (31) იანვარი», «რადიოთი. ყველას. განსაკუთრებით საზავო დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკში», «რადიოგრამა ყველას, ყველას», «ბრესტ-ლიტოვსკი. რუსეთის საზავო დელეგაცია. ტროცკის», «ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პირდაპირი მავთულით ლაპარაკი დვინსკის საბჭოს წევრებთან», «ლენინის პასუხი პირდაპირი მავთულით მოსკოვის საბჭოს». ყველა ეს ნაწარმოები ლენინის მიერ დაწერილია ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ და ასახავს ბოლშევიკების პარტიის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, სამართლიანი დემოკრატიული ზავის დამყარებისათვის.

ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება[1]

წერილი რსდმპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პეტროგრადისა და მოსკოვის კომიტეტებს

რაკი ორივე დედაქალაქის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებში უმრავლესობა მიიღეს, ბოლშევიკებს შეუძლიათ და კიდევაც უ ნ დ ა აიღონ სახელმწიფო ხელისუფლება.

შეუძლიათ, რადგან ორივე დედაქალაქის ხალხის რევოლუციური ელემენტების აქტიური უმრავლესობა საკმარისია იმისათვის, რომ გაიყოლიოს მასები, დასძლიოს მტრის წინააღმდეგობა, დაამარცხოს იგი, მოიპოვოს ძალაუფლება და შეინარჩუნოს იგი. ვინაიდან ბოლშევიკები დაუყოვნებლივ წამოაყენებენ დემოკრატიულ ზავს, დაუყოვნებლივ მისცემენ მიწას გლეხებს, აღადგენენ კერენსკის მიერ გათელილსა და დამსხვრეულ დემოკრატიულ დაწესებულებებს და თავისუფლებებს, და ისეთ მთავრობას შეადგენენ, რომელსაც ვ ე რ ა ვ ი ნ დაამხობს.

ხალხის უმრავლესობა ჩვენს მ ხ ა რ ე ზ ე ა. ეს დაამტკიცა გრძელმა და ძნელმა გზამ 6 მაისიდან 31 აგვისტომდე და 12 სექტემბრამდე[2]: დედაქალაქთა საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება ხალხის ჩ ვ ე ნ ს კ ე ნ გადმოხრის ნ ა ყ ო ფ ი ა. ამასვე ამტკიცებს ესერებისა და მენშევიკების მერყეობა, მათ შორის ინტერნაციონალისტების გაძლიერება.

დემოკრატიული თათბირი წარმოადგენს ა რ ა რევოლუციური ხალხის უმრავლესობას, არამედ მ ხ ო ლ ო დ შ ე მ თ ა ნ ხ მ ე ბ ლ უ რ წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ზ ე დ ა ფ ე ნ ებ ს.

არ უნდა მოვიტყუოთ თავი არჩევნების ციფრებით, საქმე არჩევნები როდია: შეადარეთ ერთმანეთს პიტერისა და მოსკოვის საქალაქო თვითმმართველობათა არჩევნები და საბჭოების არჩევნები. შეადარეთ ერთმანეთს მოსკოვის არჩევნები და მოსკოვის 12 აგვისტოს გაფიცვა: აი ობიექტური მონაცემები მასების წინამძღოლი რევოლუციური ელემენტების უმრავლესობის შესახებ.

დემოკრატიული თათბირი ატყუებს გლეხობას, არც ზავს აძლევს მას და არც მიწას.

მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ ბოლშევიკური მთავრობა დააკმაყოფილებს გლეხობას.

* * *

რატომ მაინცდამაინც ა ხ ლ ა უნდა აიღონ ბოლშევიკებმა ხელისუფლება?

იმიტომ, რომ მტრისათვის პიტერის მოსალოდნელი დანებება ასწილ გააუარესებს ჩვენს შანსებს.

ჩვენ კი არ ძალგვიძს ხელი შევუშალოთ პიტერის დანებებას, როცა ჯარს სათავეში უდგას კერენსკი და კომპანია.

ვერც დამფუძნებელ კრებას «დავუცდით», რადგან პიტერის იმავე დანებებით კერენსკის და კომპანიას ყოველთვის შ ე უ ძ ლ ი ა თ ჩ ა შ ა ლ ო ნ მისი მოწვევა. მხოლოდ ჩვენს პარტიას, როცა ის ხელისუფლებას დაეპატრონება, შეუძლია უზრუნველყოს დამფუძნებელი კრების მოწვევა და, როცა ის ხელისუფლებას აიღებს, სხვა პარტიებს დასდებს ბრალს დამფუძნებელი კრების მოწვევის გაჭიანურებაში და კიდევაც დაამტკიცებს ამ ბრალდებას[3].

სეპარატულ ზავს ინგლისისა და გერმანიის იმპერიალისტებს შორის ჩვენ ხელი უნდა შევუშალოთ და კიდევაც შევუშლით ხელს, თუ სწრაფად ვიმოქმედებთ.

ხალხი დაიღალა მენშევიკებისა და ესერების მერყეობით. გლეხები ჩვენ მხოლოდ მაშინ გამოგვყვებიან, თუ დედაქალაქებში გავიმარჯვებთ.

* * *

საკითხი დგას არა აჯანყების «დღის», არა მისი «მომენტის» შესახებ ვიწრო გაგებით. ამას გადაწყვეტს მხოლოდ იმათი საერთო ხმა, ვინც ახლოს დგას მუშებთან და ჯარისკაცებთან, მ ა ს ე ბ თ ა ნ.

საქმე ის არის, რომ ჩვენს პარტიას ახლა დემოკრატიულ თათბირზე ფაქტიურად თ ა ვ ი ს ი ყ რ ი ლ ო ბ ა აქვს, და ამ ყრილობამ უ ნ დ ა (სურს თუ არა სურს, მაინც უნდა) გადაწყვიტოს რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ბ ე დ ი.

საქმე ის არის, რომ ა მ ო ც ა ნ ა ნათელი გავხადოთ პარტიისათვის: დღის წესრიგში უნდა დავაყენოთ შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა პიტერსა და მოსკოვში (ოლქითურთ), ძალაუფლების მოპოვება, მთავრობის დამხობა. საჭიროა მოფიქრება, რ ო გ ო რ გავწიოთ საამისო აგიტაცია ისე, რომ პრესაში ასე არ ითქვას.

მოვიგონოთ, ჩავუფიქრდეთ მარქსის სიტყვებს აჯანყების შესახებ: «ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ა»[1] და სხვ.

* * *

იმის ლოდინი, თუ როდის ეყოლება ბოლშევიკებს «ფორმალური» უმრავლესობა, გულუბრყვილობაა: არც ერთი რევოლუცია ა მ ა ს არ უცდის. არც კერენსკი და კომპანია უცდიან, ისინი ამზადებენ პიტერის დანებებას. სწორედ «დემოკრატიული თათბირის» უბადრუკმა მერყეობამ უნდა აავსოს და კიდევაც აავსებს პიტერისა და მოსკოვის მუშების მოთმინების ფიალას! ისტორია არ გვაპატიებს, თუ ახლავე არ ავიღებთ ხელისუფლებას.

აპარატი არ არისო? აპარატი არის: საბჭოები და დემოკრატიული ორგანიზაციები. საერთაშორისო მდგომარეობა ს წ ო რ ე დ ახლა, ინგლისელთა და გერმანელთა სეპარატული ზავის წ ი ნ ა დ ღ ე ს, ჩ ვ ე ნ ს კ ე ნ ა ა. სწორედ ახლა ზავის შეთავაზება ხალხებისთვის გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა ს ნიშნავს.

თუ ერთბაშად ავიღებთ ხელისუფლებას მოსკოვშიც და პიტერშიც (დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ დაიწყებს; შეიძლება, თუნდაც მოსკოვმა დაიწყოს), უთუოდ და უეჭველად გავიმარჯვებთ.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წ. 12—14 (25—27) სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1921 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 2

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია საწერ მანქანაზე გადაბეჭდილ ასლთან

მარქსიზმი და აჯანყება

წერილი რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

გაბატონებული «სოციალისტური» პარტიების მხრივ მარქსიზმის ყველაზე უბოროტეს და თითქმის ყველაზე უფრო გავრცელებულ დამახინჯებათა რიცხვს ეკუთვნის ოპორტუნისტული სიცრუე, თითქოს აჯანყების მომზადება, საერთოდ დამოკიდებულება აჯანყებისადმი, როგორც ხელოვნებისადმი, «ბლანკიზმი» იყოს.

ოპორტუნიზმის ბელადმა, ბერნშტეინმა, უკვე მოიხვეჭა სავალალო სახელი-მარქსიზმისათვის ბლანკიზმის დაბრალებით, და ახლანდელი ოპორტუნისტებიც არსებითად იოტისოდენადაც ვერ ანახლებენ და ვერ «ამდიდრებენ» ბერნშტეინის უბადრუკ «იდეებს», როცა ბლანკიზმზე გაჰკივიან.

მარქსისტებს ბლანკიზმი დააბრალო აჯანყებისადმი, როგორც ხელოვნებისადმი, დამოკიდებულებისათვის! განა შეიძლება ამაზე უფრო აღმაშფოთებელი დამახინჯება ჭეშმარიტებისა, როცა ვერც ერთი მარქსისტი იმის უარს ვერ იტყვის, რომ სწორედ მარქსმა უაღრესად გარკვეულად, ზუსტად და უცილობლად გამოთქვა თავისი აზრი ამის შესახებ, როცა აჯანყებას უწოდა სწორედ ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა, როცა თქვა, აჯანყებას ისე უნდა მოეპყრა, როგორც ხელოვნებას, ბრძოლით უნდა მ ო ი პ ო ვ ო პირველი წარმატება და წარმატებიდან წარმატებისაკენ უნდა ისწრაფოდე, არ უნდა შეწყვიტო მტერზე შ ე ტ ე ვ ა, უნდა ისარგებლო მისი დაბნეულობითო და სხვ. და სხვ.

აჯანყებას რომ წარმატება ჰქონდეს, იგი უნდა ეყრდნობოდეს არა შეთქმულებას, არა პარტიას, არამედ მოწინავე კლასს. ეს — ერთი. აჯანყება უნდა ეყრდნობოდეს ხალხის რევოლუციურ აღმავლობას. ეს — მეორე. აჯანყება უნდა ეყრდნობოდეს ისეთ გარდატეხის პუნქტს მზარდი რევოლუციის ისტორიაში, როცა ხალხის მოწინავე რიგების აქტიურობა უაღრესად დიდია, როცა უაღრესად ძლიერია მერყეობა მტრების რიგებში და რევოლუციის სუსტი, ორჭოფი, გაუბედავი მეგობრების რიგებში. ეს — მესამე. აჯანყების საკითხის დაყენების სწორედ აი ამ სამი პირობით განსხვავდება მარქსიზმი ბლანკიზმისაგან.

მაგრამ რაკი ეს პირობები არსებობს, აჯანყებისადმი, როგორც ხელოვნებისადმი, დამოკიდებულებაზე უარისთქმა ნიშნავს უღალატო მარქსიზმს, უღალატო რევოლუციას.

იმის დასამტკიცებლად, თუ რატომ სწორედ დღევანდელი მომენტი უნდა იქნეს ასეთად ცნობილი, როცა პარტიისათვის სავალდებულოა აღიაროს, რომ აჯანყება ობიექტურ მოვლენათა მსვლელობით დღის წესრიგშია დასმული და აჯანყებას მოეპყრას, როგორც ხელოვნებას, ამის დასამტკიცებლად, შეიძლება, უკეთესი იყოს შედარების მეთოდი ვიხმაროთ და 3 — 4 ივლისი დავუპირისპიროთ სექტემბრის დღეებს.

3 — 4 ივლისს შეიძლებოდა, და ამით არც ჭეშმარიტებას ვუღალატებდით, ასე დაგვესვა საკითხი: უფრო სწორი იქნებოდა აგვეღო ხელისუფლება, თორემ სულ ერთია, მტრები აჯანყებას დაგვაბრალებენ და ისე გაგვისწორდებიან, როგორც აჯანყებულთ. მაგრამ აქედან არ შეიძლებოდა დასკვნის გამოყვანა ხელისუფლების აღების სასარგებლოდ მაშინ, ვინაიდან აჯანყების გამარჯვებისათვის ობიექტური პირობები მაშინ არ იყო.

1) ჯერ კიდევ არ იყო ჩვენს მხარეზე ის კლასი, რომელიც რევოლუციის ავანგარდს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ არ გვყავდა უმრავლესობა დედაქალაქების მუშათა და ჯარისკაცთა შორის. ახლა იგი გვყავს ორივე საბჭოში. იგი შექმნა მ ხ ო ლ ო დ ივლისისა და აგვისტოს ისტორიამ, ბოლშევიკებთან «ანგარიშის გასწორების» გამოცდილებამ და კორნილოველობის გამოცდილებამ.

2) არ იყო მაშინ საყოველთაო-სახალხო რევოლუციური აღმავლობა. ახლა იგი არის კორნილოველობის შემდეგ. ამას ამტკიცებს პროვინცია და ბევრ ადგილას საბჭოების მიერ ხელისუფლების აღება.

3) არ იყო მაშინ მ ე რ ყ ე ო ბ ა, სერიოზული საერთო-პოლიტიკური მასშტაბით, ჩვენს მტრებს შორის და ორჭოფი წვრილი ბურჟუაზიის რიგებში. ახლა მერყეობა გიგანტურია: ჩვენი მთავარი მტერი, მოკავშირეთა და მსოფლიო იმპერიალიზმი, რადგან «მოკავშირენი» უდგანან სათავეში მსოფლიო იმპერიალიზმს, ყ ო ყ მ ა ნ ო ბ ს გამარჯვებამდე ომის განგრძობასა და რუსეთის წინააღმდეგ სეპარატულ ზავს შუა. ჩვენმა წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატებმა, რაკი აშკარად დაჰკარგეს ხალხის უმრავლესობა, იწყეს უდიდესი ყოყმანი და უარი თქვეს ბლოკზე, ე. ი. კოალიციაზე, კადეტებთან.

4) ამიტომ 3 — 4 ივლისს აჯანყება შეცდომა იქნებოდა: ჩვენ ხელისუფლებას ვერ შევინარჩუნებდით ვერც ფიზიკურად, ვერც პოლიტიკურად. ფიზიკურად — მიუხედავად იმისა, რომ პიტერი ხანდახან ჩვენს ხელში იყო ხოლმე, რადგან პიტერის ხელში ჩასაგდებად ბ რ ძ ო ლ ა ს და ს ი კ ვ დ ი ლ ს ჩვენივე მუშები და ჯარისკაცები მაშინ არ ინდომებდნენ: არ იყო ისეთი «გამხეცება», ისეთი ცხარე ზიზღი რ ო გ ო რ ც კერენსკებისადმი, ი ს ე წერეთლებისა და ჩერნოვებისადმი, ჩვენები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოწრთობილნი ესერებისა და მენშევიკების მონაწილეობით ბოლშევიკების დევნის გამოცდილებით.

პოლიტიკურად ჩვენ 3 — 4 ივლისს ხელისუფლებას ვერ შევინარჩუნებდით, რადგან არმიასა და პროვინციას, კ ო რ ნ ი ლ ო ვ ე ლ ო ბ ა მ დ ე, შეეძლო გაელაშქრნა და კიდეც გაილაშქრებდა პიტერზე.

ახლა კი სურათი სულ სხვანაირია.

ჩვენს მხარეზეა კლასის, რევოლუციის ავანგარდის, ხალხის ავანგარდის უმრავლესობა, რომელსაც უნარი შესწევს გაიყოლიოს მასები.

ჩვენს მხარეზეა ხალხის უმრავლესობა, რადგან ჩერნოვის წასვლა თუმცა არა ერთადერთი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი, უთვალსაჩინოესი ნიშანია იმისა, რომ გლეხობა ესერების ბლოკისაგან (და თვით ესერებისგანაც) მიწას ვერ მიიღებს. ხოლო რევოლუციის საყოველთაო-სახალხო ხასიათის დედააზრიც სწორედ ამაშია.

ჩვენს მხარეზეა ხელსაყრელი მდგომარეობა პარტიისა, რომელმაც მტკიცედ იცის თავისი გზა, მაშინ როდესაც გაუგონრად მერყეობს როგორც მთელი იმპერიალიზმი, ისე მენშევიკებისა და ესერების მთელი ბლოკი.

ჩვენსკენაა უეჭველი გამარჯვება, რადგან ხალხი მთლად სასოწარკვეთილებამდეა მისული, ჩვენ კი მთელ ხალხს ნამდვილ გამოსავალს ვუჩვენებთ, რაკი დავანახვეთ მთელ ხალხს ჩვენი ხელმძღვანელობის მნიშვნელობა «კორნილოვის დღეებში», შემდეგ რაკი ბლოკისტებს კომპრომისი შევთავაზეთ და უარი მივიღეთ მათგან იმ დროს, როცა მერყეობა სრულიად არ წყდებოდა მათი მხრივ.

უდიდესი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ჩვენი წინადადება კომპრომისისა ჯერ კიდევ უარყოფილი არ იყოს, თითქოს «დემოკრატიულ თათბირს» კიდევ შეეძლოს მისი მიღება. კომპრომისის წინადადებას აძლევდა პარტია პარტიებს; სხვანაირად არც შეიძლებოდა ამ წინადადების მიცემა. პარტიებმა უარყვეს იგი. დემოკრატიული თათბირი მხოლოდ თათბირია, და მეტი არაფერი. ერთი რამ არ უნდა დავივიწყოთ: მასში წარმოდგენილი არ არის რევოლუციური ხალხის უმრავლესობა, უღარიბესი და გაბოროტებული გლეხობა. ეს არის ხალხის უმცირესობის თათბირი — ამ ცხადი ჭეშმარიტების დავიწყება არ შეიძლება. უდიდესი შეცდომა, უდიდესი პარლა-

მენტური კრეტინიზმი იქნებოდა ჩვენი მხრივ დემოკრატიულ თათბირს ისე მოვეპყრათ, როგორც პარლამენტს, ვინაიდან თუ ნდაც მან რევოლუციის პარლამენტად და სუვერენულ პარლამენტად გამოაცხადოს თავი, სულ ერთია იგი ვერაფერს ვერ წყვეტს: გადაწყვეტა მის გარეთ ხდება, პიტერისა და მოსკოვის მუშათა უბნებში.

ჩვენს წინაშე ყველა ობიექტური წანამძღვარია საიმისოდ, რომ აჯანყებას წარმატება ექნება. ჩვენს წინაშეა — მდგომარეობის განსაკუთრებული ხელსაყრელობა, როცა მხოლოდ ჩვენი გამარჯვება აჯანყებაში ბოლოს მოუღებს ხალხის მტანჯველ მერყეობას, ამ უსაშინელეს წამებას ქვეყნად; როცა მხოლოდ ჩვენი გამარჯვება აჯანყებაში ჩაფუშავს სეპარატული ზავის თამაშობიას რევოლუციის წინააღმდეგ, ჩაფუშავს იმით, რომ აშკარად წამოაყენებს უფრო სრულ, უფრო სამართლიან, უფრო ახლობელ ზავს, ზავს რევოლუციის სასარგებლოდ.

დასასრულ, მხოლოდ ჩვენს პარტიას შეუძლია, აჯანყებაში გამარჯვებით, იხსნას პიტერი, ვინაიდან, თუ ჩვენი ზავის წინადადება უარყოფილი იქნება და დროებითს ზავსაც კი ვერ მივიღებთ, მაშინ ჩვენ ვხდებით «ობორონცები», მაშინ ჩვენ სათავეში ვუდგებით სამხედრო პარტიებს, ჩვენ უაღრესად «სამხედრო» პარტია გავხდებით და მართლაც რევოლუციურად წარვმართავთ ომს. ჩვენ მთელ პურსა და ჩექმებს წავართმევთ კაპიტალისტებს. მათ მხოლოდ ნამცეცებს დავუტოვებთ, ქალამნებს ჩავაცმევთ: მთელ პურსა და ფეხსაცმელს ფრონტს მივცემთ.

და მაშინ ჩვენ შევინარჩუნებთ პიტერს.

ნამდვილი რევოლუციური ომის რესურსები, როგორც მატერიალური, ისე სულიერი, რუსეთში ჯერ კიდევ განუზომლად დიდია; 100-დან 99 შანსი იმისკენაა, რომ გერმანელები დროებითს ზავს მაინც მოგვცემენ. ხოლო დროებითი ზავის მიღება ახლა — ეს უკვე მთელს მსოფლიოზე გამარჯვებას ნიშნავს.

* * *

რაკი პიტერისა და მოსკოვის მუშების აჯანყების უეჭველ საჭიროებას შევიგნებთ რევოლუციის ხსნისათვის და იმისათვის, რომ რუსეთი ვიხსნათ ორივე კოალიციის იმპერიალისტების მიერ «სეპარატული» გაყოფისაგან, ჩვენ, ჯერ-ერთი, ჩვენი პოლიტიკური ტაქტიკა თათბირზე უნდა შევუფარდოთ მზარდი აჯანყების პირობებს; მეორე, უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენ მარტო სიტყვით როდი გვწამს მარქსის აზრი იმის შესახებ, რომ აჯანყებას უნდა მოვეპყრათ, როგორც ხელოვნებას.

თათბირზე ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა შევამჭიდროოთ ბოლშევიკების ფრაქცია, არ უნდა გამოვედევნოთ რაოდენობას, არ უნდა შევუშინდეთ მერყეევების ისევ მერყეევთა ბანაკში დატოვებას: რევოლუციის საქმისათვის ისინი იქ უფრო სასარგებლონი არიან, ვიდრე შეუპოვარ და თავდადებულ მებრძოლთა ბანაკში.

ჩვენ უნდა შევადგინოთ ბოლშევიკების მოკლე დეკლარაცია და მთელი სისასტიკით გავუსვათ ხაზი გრძელი სიტყვების წარმოთქმის უადგილობას, საერთოდ «სიტყვების» უადგილობას, დაუყოვნებლივი მოქმედების საჭიროებას რევოლუციის ხსნისათვის, ბურჟუაზიასთან სრული კავშირის გაწყვეტის აბსოლუტურ აუცილებლობას, მთელი ახლანდელი მთავრობის სავსებით გადაყენებას, სრული კავშირის გაწყვეტას ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებთან, რომლებიც რუსეთის «სეპარატულ» გაყოფას ამზადებენ, მთელი ძალაუფლების დაუყოვნებლივ გადასვლის აუცილებლობას *რევოლუციური დემოკრატიის* ხელში, *რომელსაც რევოლუციური პროლეტარიატი მეთაურობს.*

ჩვენი დეკლარაცია უნდა იყოს ამ დასკვნის მეტად მოკლე და მკვეთრი ფორმულირება პროგრამულ პროექტებთან დაკავშირებით: ზავი ხალხებს, მიწა გლეხებს, სამარცხვინო მოგებათა კონფისკაცია და კაპიტალისტების მიერ წარმოების სამარცხვინო გაფუჭების აღკვეთა.

რაც უფრო მოკლე, რაც უფრო მკვეთრი იქნება დეკლარაცია, მით უკეთესია. ოღონდ მასში ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები კიდევ ორი უმნიშვნელოვანესი მუხლი: ხალხი დაიტანჯა მერყეობით, ხალხი გაწამებულია ესერებისა და მენშევიკების გაუბედაობით; ჩვენ საბოლოოდ ვწყვეტთ კავშირს ამ პარტიებთან, რადგან მათ უღალატეს რევოლუციას.

და მეორეც: რაკი ახლავე ვიძლევით უანექსიო ზავის წინადადებას, რაკი ახლავე ვწყვეტთ კავშირს მოკავშირე იმპერიალისტებთან და ყოველგვარ იმპერიალისტებთან, ჩვენ დაუყოვნებლივ მივიღებთ ან დროებითს ზავს, ან მთელი რევოლუციური პროლეტარიატის გადასვლას თავდაცვის მხარეზე და მისი ხელმძღვანელობით რევოლუციური დემოკრატიის მიერ ნამდვილად სამართლიანი, ნამდვილად რევოლუციური ომის წარმართვას.

როცა ამ დეკლარაციას წავიკითხავთ, როდესაც მოვუწოდებთ გადაწყვიტონ, და არა ილაპარაკონ, იმოქმედონ, და არა რეზოლუციები წერონ, ჩვენ მთელი ჩვენი ფრაქცია ქარხნებისა და ყაზარმებისკენ უნდა დავძრათ: იქ არის მისი ადგილი, იქ არის ცხოვრების ძარღვი, იქ არის რევოლუციის ხსნის წყარო, იქ არის დემოკრატიული თათბირის მამოძრავებელი ძალა.

იქ წარმოთქმულ მხურვალე, მგზნებარე სიტყვებში უნდა განვმარტოთ ჩვენი პროგრამა და დავსვათ საკითხი ასე: ან საკუთარი მისი მიღება თათბირის მიერ, ან აჯანყება. შუათანა რამ არ არსებობს. ლოდინი შეუძლებელია. რევოლუცია იღუპება.

როცა საკითხს ასე დავსვამთ, როცა მთელ ფრაქციას ქარხნებსა და ყაზარმებში მოვუყრით თავს, ჩვენ სწორად გავითვალისწინებთ მომენტს აჯანყების დასაწყებად.

ხოლო აჯანყებას რომ მოვეპყრათ მარქსისტულად, ე. ი. როგორც ხელოვნებას, ჩვენ იმავე დროს, ერთი წუთის დაუკარგავად, უნდა მოვაწყოთ აჯანყებულთა რაზმების შტაბი,

გავანაწილოთ ძალები, დავძრათ ერთგული პოლკები უმნიშვნელოვანესი პუნქტებისკენ, ალყა შემოვარტყათ ალექსანდრინკას, დავიკავოთ პეტროპავლოვკა, დავაპატიმროთ გენერალური შტაბი და მთავრობა, იუნკრებისა და ველური დივიზიის წინააღმდეგ გავგზავნოთ ისეთი რაზმები, რომლებიც სიკვდილს ირჩევენ და მტერს კი საშუალებას არ მისცემენ ქალაქის ცენტრებისაკენ დაიძრას; ჩვენ მობილიზაცია უნდა გავუკეთოთ შეიარაღებულ მუშებს, მოვუწოდოთ მათ თავდადებული უკანასკნელი ბრძოლისაკენ, ერთბაშად დავიკავოთ ტელეგრაფი და ტელეფონი, აჯანყების ჩვენი შტაბი მოვათავსოთ ცენტრალურ სატელეფონო სადგურთან, დავუკავშიროთ მას ტელეფონით ყველა ქარხანა, ყველა პოლკი, შეიარაღებული ბრძოლის ყველა პუნქტი და სხვ.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მაგალითისათვისაა, მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, რომ არ შეიძლება დღევანდელ მომენტში მარქსიზმის ერთგული, რევოლუციის ერთგული დარჩე, თუ აჯანყებას არ მოეპყარი, როგორც ხელოვნებას.

ნ. ლენინი

დაწერილია 1917 წ. 13—14 (26 — 27) სექტემბერს

პირველად დაიბეჭდა 1921 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 2

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის მიხედვით, რომელიც შედარებულია საწერ მანქანაზე გადაბეჭდილ ასლთან

რუსეთის რევოლუცია და სამოქალაქო ომი

სამოქალაქო ომით გვაშინებენ

ბურჟუაზია, შეშინებული იმით, რომ მენშევიკებმა და ესერებმა უარი თქვეს კადეტებთან კოალიციაზე [5], რომ დემოკრატიას, მართლაც, მშვენივრად შეუძლია შეადგინოს მთავრობა უმათოდ და მართოს რუსეთი მათ წინააღმდეგ, მთელი ძალ-ღონით ცდილობს შეაშინოს დემოკრატია.

შეაშინე რაც შეიძლება გულმოდგინედ — ასეთია მთელი ბურჟუაზიული პრესის ლოზუნგი. შეაშინე რაც ძალა და ღონე გაქვს! იცრუე, ცილი დასწამე — ოღონდ კი შეაშინე!

გვაშინებს «ბირჟევკა» [6] — სახელდახელოდ გამომცხვარი ცნობებით ბოლშევიკური გამოსვლების შესახებ. გვაშინებენ ხმების გავრცელებით ალექსეევის გადადგომისა და გერმანელების მიერ პეტროგრადის ფრონტის გარღვევის საფრთხის შესახებ, თითქოს ფაქტები არ ამტკიცებდეს, რომ სწორედ კორნილოველ გენერლებს (ხოლო მათ რიცხვს უეჭველად ალექსეევიც ეკუთვნის) შეუძლიათ ფრონტი გაუხსნან გერმანელებს გალიციასა და რიგაშიც, პეტროგრადშიც, რომ სწორედ კორნილოველი გენერლები იწვევენ ჯარის ყველაზე მეტ სიძულვილს მთავარი ბანაკისადმი.

დემოკრატიის დაშინების ამ ხერხისთვის ყველაზე უფრო «დარბაისლური» და დამაჯერებელი სახის მიცემას ლამობენ «სამოქალაქო ომის» საშიშროების დამოწმებით. დაშინების ყველა სახეობიდან სამოქალაქო ომით დაშინება, თითქოს, ყველაზე მეტად გავრცელებულია. აი როგორ აყალიბებდა ამ გაცვეთილ, ფილისტერთა წრეებში მეტად გასავლიან,

იდეას სახალხო თავისუფლების პარტიის დონის-როსტოვის კომიტეტი თავის 1-ლი სექტემბრის რეზოლუციაში («რეჩ» № 210 [7]):

...«კომიტეტი დარწმუნებულია იმაში, რომ სამოქალაქო ომს შეუძლია აღგავოს რევოლუციის ყველა მონაპოვარი და სისხლის ღვარში ჩაახრჩოს ჩვენი ნორჩი, განუმტკიცებელი თავისუფლება, ამიტომაც ის ფიქრობს, რომ რევოლუციის მონაპოვართა გადასარჩენად საჭიროა ენერგიული პროტესტის გამოთქმა იმ რევოლუციის გაღრმავების წინააღმდეგ, რომელიც განუხორციელებელი სოციალისტური უტოპიებით არის ნაკარნახევი»...

აქ რაც შეიძლება უფრო ნათლად, ზუსტად, მოფიქრებულად და საფუძვლიანად გამოთქმულია ის ძირითადი აზრი, რომელიც მრავალჯერ გვხვდება «რეჩის» მოწინავე სტატიებში, პლეხანოვისა და პოტრესოვის სტატიებში, მენშევიკური გაზეთების მოწინავე სტატიებში და სხვა და სხვა. ამიტომ ამაო არ იქნება უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ აზრზე.

ვეცდებით სამოქალაქო ომის საკითხი განვიხილოთ რაც შეიძლება კონკრეტულად, სხვათა შორის, ჩვენი რევოლუციის უკვე განვლილი ნახევარი წლის გამოცდილების საფუძველზე.

ეს გამოცდილება, ყველა ევროპული რევოლუციის გამოცდილების სრულიად შესაბამისად, დაწყებული XVIII საუკუნის მიწურულიდან, გვიჩვენებს, რომ სამოქალაქო ომი წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო მწვავე ფორმას, როცა მთელი რიგი ეკონომიური და პოლიტიკური შეტაკებები და ბრძოლები მეორდება, გროვდება, ფართოვდება, მწვავდება და იქამდე მიდის, რომ ეს შეტაკებები იქცევა ერთი კლასის შეიარაღებულ ბრძოლად მეორე კლასის წინააღმდეგ. რამდენადმე თავისუფალ და მოწინავე ქვეყნებში სამოქალაქო ომი უფრო ხშირად — შეიძლება ითქვას, თითქმის მხოლოდ და მხოლოდ — ხდება იმ კლასებს შორის, რომელთა წინააღმდეგურობას ქმნის და აღრმავებს კაპიტალიზმის მთელი ეკონომიური განვითარება, მთელი მსოფ-

ლიოს უახლესი საზოგადოების მთელი ისტორია, სახელდობრ: ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის.

ასევე ჩვენი რევოლუციის განვლილი ნახევარი წლის მანძილზე 20 — 21 აპრილსა და 3 — 4 ივლისს ჩვენ განვიცადეთ მეტად ძლიერი სტიქიური აფეთქებანი, რაც ძლიერ უახლოვდებოდა სამოქალაქო ომის დასაწყისს პროლეტარიატის მხრივ. კორნილოვის აჯანყება კი წარმოადგენდა სამხედრო შეთქმულებას, რომელსაც მხარს უჭერდნენ მემამულეები და კაპიტალისტები, კადეტების პარტიის მეთაურობით; ფაქტიურად ამ შეთქმულებამ გამოიწვია სამოქალაქო ომი ბურჟუაზიის მხრივ.

ასეთია ფაქტები. ასეთია ჩვენი საკუთარი რევოლუციის ისტორია. ხოლო ამ ისტორიიდან ყველაზე მეტად გვმართებს ვისწავლოთ, ყველაზე მეტად უნდა ჩავუფიქრდეთ ამ ისტორიის მსვლელობას და მის კლასობრივ მნიშვნელობას.

ვცადოთ და შევადაროთ ერთმანეთს რუსეთის პროლეტარული და ბურჟუაზიული სამოქალაქო ომის საწყისები 1) მოძრაობის სტიქიურობის, 2) მისი მიზნების, 3) მასში მონაწილე მასების შეგნებულობის, 4) მოძრაობის ძალის, 5) მისი შეუპოვრობის თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, ყველა იმ პარტიას, რომლებიც ახლა გზადაგზა «ფუჭად ისვრიან» სიტყვებს «სამოქალაქო ომი», ასე რომ დაეყენებინათ საკითხი და ცდილიყვნენ ფაქტიურად შეესწავლათ სამოქალაქო ომის საწყისები, რუსეთის მთელი რევოლუციის შეგნებულობა ძალიან, ძალიან ბევრს მოიგებდა.

დავიწყოთ მოძრაობის სტიქიურობით. 3 — 4 ივლისის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ისეთი მოწმეების ჩვენებანი, როგორიცაა მენშევიკების «რაბოჩაია გაზეტა»[8] და ესერების «დელო ნაროდა»[9], რომლებმაც აღიარეს მოძრაობის სტიქიური განვითარების ფ ა ქ ტ ი. ეს ჩვენებანი მე მოყვანილი მაქვს «პროლეტარსკოე დელოს»[10] სტატიაში, რომელიც ცალკე ფურცლად გამოდიოდა სათაურით «პასუხი ცილისმწამებლებს» *. მაგრამ, სავსებით გასაგები მიზეზებით, როცა

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 25, გვ. 246 — 260. რ ე დ.

მენშევიკები და ესერები თავს იმართლებენ, როცა ამართლებენ თავიანთ მონაწილეობას ბოლშევიკების დევნაში, ისინი ოფიციალურად განაგრძობენ 3 — 4 ივლისის აფეთქების სტიქიურობის უარყოფას.

ჯერჯერობით გადავდოთ რაც სადავოა. დავტოვოთ რაც უდავოა. 20 — 21 აპრილის მოძრაობის სტიქიურობას არავინ უარყოფს. ამ სტიქიურ მოძრაობას შეუერთდა ბოლშევიკების პარტია ლოზუნგით: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს», პარტიისაგან სრულიად დამოუკიდებლად შეუერთდა განსვენებული ლინდე, რომელმაც ქუჩაში გამოიყვანა 30 000 შეიარაღებული ჯარისკაცი, რომლებიც მზად იყვნენ დაეპატიმრებინათ მთავრობა. (სხვათა შორის, ფრჩხილებში უნდა ითქვას, ჯარის გამოყვანის ეს ფაქტი არ არის გამოკვლეული და შესწავლილი. ხოლო როდესაც მას ჩაუფიქრდები და 20 აპრილს ისტორიულად დაუკავშირებ მოვლენებს, ე. ი. განიხილავ მას როგორც იმ ჯაჭვის რგოლს, რომელიც მიიმართება 28 თებერვლიდან 29 აგვისტოსაკენ, ცხადი ხდება, რომ ბოლშევიკების დანაშაული და შეცდომა იყო მათი ტაქტიკის ა რ ა ს ა კ მ ა ო რევოლუციურობა და სრულიადაც არა მეტისმეტი რევოლუციურობა, რაშიც ბრალს გვდებენ ფილისტერები.)

ამრიგად, მოძრაობის სტიქიურობა, რაც უახლოვდება სამოქალაქო ომის დაწყებას პროლეტარიატის მხრივ, უეჭველია. ხოლო კორნილოველობაში დაახლოებითაც კი არაფერია ისეთი, რაც სტიქიურობას ჰგავდეს: იქ არის მხოლოდ შეთქმულება გენერლებისა, რომლებსაც იმედი ჰქონდათ ჯარის ნაწილს აიყოლიებდნენ მოტყუებით და ბრძანებით.

მოძრაობის სტიქიურობა რომ ნიშანია მისი ღრმად შეჭრისა მასებში, მისი ფესვების სიმტკიცისა, მისი გარდუვალობისა, ეს უეჭველია. პროლეტარულ რევოლუციას რომ ნიადაგი აქვს, ბურჟუაზიული კონტრრევოლუცია რომ უნიადაგოა, აი ამას გვიჩვენებს ფაქტები მოძრაობის სტიქიურობის თვალსაზრისით.

ახლა ვნახოთ, რა მიზნებს ისახავდა მოძრაობა. 20—21 აპრილი ყველაზე უფრო უახლოვდებოდა ბოლშევიკურ ლოზუნგებს, ხოლო 3—4 ივლისი პირდაპირ მათთან დაკავშირებით, მათი გავლენით და ხელმძღვანელობით იზრდებოდა. პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურაზე, ზავსა და მის დაუყოვნებლივ შეთავაზებაზე, მემამულეთა მიწების კონფისკაციაზე — პროლეტარული სამოქალაქო ომის ამ მთავარ მ ი ზ ნ ე ბ ზ ე ბოლშევიკების პარტია სრულიად აშკარად, გარკვევით, ნათლად, ზუსტად და ყველას გასაგონად ლაპარაკობდა თავის გაზეთებსა და ზეპირ აგიტაციაში.

რაც შეეხება კორნილოველობის მიზნებს, ჩვენ ყველამ ვიცით, და დემოკრატიის წრიდან არავინ არ უარყოფს, რომ ის მიზნად ისახავდა მემამულეებისა და ბურჟუაზიის დიქტატურას, საბჭოების გარეკვას, მონარქიის აღდგენის მომზადებას. კადეტების პარტია — კორნილოვის ეს მთავარი პარტია (უნდა ითქვას, რომ მას მართლა უნდა დაერქვას ამიერიდან კორნილოვის პარტია), რომელსაც ბოლშევიკებზე მეტი პრესა აქვს და აგიტატორთა მეტი ძალები ჰყავს, ვერასოდეს ვერ ბედავდა და ვერც ბედავს აშკარად ელაპარაკოს ხალხს ბურჟუაზიის დიქტატურაზე, საბჭოების გარეკვაზე ანდა საერთოდ კორნილოვის მიზნებზე!

მოძრაობის მიზნების თვალსაზრისით ფაქტები მეტყველებენ, რომ პროლეტარულ სამოქალაქო ომს შეუძლია აშკარად გადაუშალოს ხალხს თავისი საბოლოო მიზნები და ამით მშრომელთა სიმპათია მოიპოვოს, ხოლო ბურჟუაზიული სამოქალაქო ომი მხოლოდ თავისი მიზნების დაფარვით თუ შეეცდება გაიყოლიოს მასების ნაწილი; აქედან მომდინარეობს უდიდესი განსხვავება მასების შეგნებულობის საკითხში.

ამ საკითხზე ობიექტური მონაცემები მოიპოვება, მგონი, მხოლოდ და მხოლოდ პარტიულობასთან და არჩევნებთან დაკავშირებით. სხვა ფაქტები, რომლებიც საშუალებას იძლევიდეს ზუსტი წარმოდგენა ვიქონიოთ მასების შეგნებულობაზე, თითქოს არც კი მოიპოვება. პროლეტარულ-რევოლუციურ მოძრაობას რომ სათავეში უდგას ბოლშევიკების პარტია,

ხოლო ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციურ მოძრაობას — კადეტების პარტია, ეს ცხადია და არა მგონია სადავო იყოს რევოლუციის ნახევარი წლის გამოცდილების შემდეგ. ამ საკითხზე შეიძლება მოვიყვანოთ ფაქტიური ხასიათის სამი შედარება. პიტერის რაიონულ თვითმმართველობათა მაისის არჩევნების დაპირისპირება ცენტრალური თვითმმართველობის აგვისტოს არჩევნებთან იძლევა კადეტების ხმების შემცირებას და ბოლშევიკების ხმების უზარმაზარ გადიდებას. კადეტური პრესა აღიარებს, რომ იქ, სადაც თავმოყრილია მუშების ან ჯარისკაცების მასები, სწორედ იქ არის, როგორც საერთო წესი, ბოლშევიზმის ძალაც.

შემდეგ, პარტიაში მ ა ს ე ბ ი ს მონაწილეობის შეგნებულობა, როცა არავითარი სტატისტიკა არ არსებობს პარტიაში წევრთა რიცხვის მოძრაობის, კრებების დასწრების და სხვათა შესახებ, შეიძლება შევამოწმოთ ფაქტებით, მხოლოდ გამოქვეყნებული ცნობებით პარტიის სასარგებლოდ ფულის შეგროვების შესახებ. ეს ცნობები ცხადყოფენ ბოლშევიკი მუშების უდიდეს და მასობრივ გმირობას ფულის შეგროვების საქმეში «პრავდის» [11] სასარგებლოდ, იმ გაზეთების სასარგებლოდ, რომელთაც ხურავდნენ და სხვა. ფულის შეგროვების ანგარიშები მუდამ იბეჭდებოდა. კადეტებთან ასეთ რამეს ვერ ვხედავთ: მათ პარტიულ მუშაობას, ცხადია, «ასაზრდოებს» მდიდრების შენატანები. აქ მასების აქტიური დახმარების კვალიც არა ჩანს.

დასასრულ, ერთი მხრივ, 20 — 21 აპრილისა და 3 — 4 ივლისის მოძრაობის და, მეორე მხრივ, კორნილოველობის შედარება გვიჩვენებს, რომ ბოლშევიკები სამოქალაქო ომში პირდაპირ მიუთითებენ მასებს მათ მტერს, სახელდობრ: ბურჟუაზიას, მემამულეებსა და კაპიტალისტებს. კორნილოველობამ უკვე დაგვანახვა, რომ პ ი რ დ ა პ ი რ მ ო ა ტ ყ უ ე ს კორნილოვის ამყოლი ჯარები და ეს მოტყუება გამოაშკარავდა პიტერელებთან «ველური დივიზიისა» და კორნილოვის ეშელონების პირველსავე შეხვედრისას.

შემდეგ. როგორი მონაცემები გვაქვს სამოქალაქო ომში პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ძალის შესახებ. ბოლშევიკების ძალას წარმოადგენს მხოლოდ პროლეტარების რაოდენობა, მათი შეგნებულობა, ესერებისა და მენშევიკების «ქვედაფენების» (ე. ი. მუშებისა და უღარიბესი გლეხების) სიმპათია ბოლშევიკური ლოზუნგებისადმი. რომ ფაქტიურად სწორედ ეს ლოზუნგები იტაცებდნენ აქტიური რევოლუციური მასების უმრავლესობას პეტერში 20—21 აპრილსა და 18 ივნისს, და 3—4 ივლისს, ეს ფაქტია.

«პარლამენტთა» არჩევნების მონაცემებისა და დასახელებულ მასობრივ მოძრაობათა მონაცემების ამ შედარებას რუსეთის მიმართ სავსებით ადასტურებს ის დაკვირვება, რომელიც ბევრჯერ მოუხდენიათ დასავლეთში, სახელდობრ: რევოლუციური პროლეტარიატის ძალა, მასებზე ზემოქმედებისა და საბრძოლველად მათი გატაცების თვალსაზრისით, გაცილებით მეტია პარლამენტსგარე ბრძოლაში, ვიდრე პარლამენტურ ბრძოლაში. ეს მეტად საყურადღებო დაკვირვებაა სამოქალაქო ომის საკითხში.

გასაგებია, რატომ ხდება, რომ პარლამენტური ბრძოლისა და არჩევნების ყველა პირობა და მთელი ვითარება ამცირებს ჩაგრული კლასების ძალას იმ ძალასთან შედარებით, რომლის ფაქტიურად გაშლაც მათ შეუძლიათ სამოქალაქო ომში.

კადეტებისა და კორნილოველობის ძალა სიმდიდრის ძალაშია. ინგლის-საფრანგეთის კაპიტალი და იმპერიალიზმი რომ კადეტებისა და კორნილოველობის მხარეზეა, ეს დამტკიცებულია მთელი რიგი პოლიტიკური გამოსვლებით და პრესით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოსკოვის თათბირის[12] მთელი «მემარჯვენე» ჯგუფი 12 აგვისტოს გაშმაგებით უჭერდა მხარს კორნილოვსა და კალედინს. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ «ეხმარებოდა» კორნილოვს საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიული პრესა. არის ცნობები, რომ მას დახმარებას უწევდნენ ბანკები.

სიმდიდრის მთელი ძალა მხარში ამოუდგა კორნილოვს. და მაინც რა საცოდავად და სწრაფად ჩაიშალა ყველაფერი!

მდიდართა გარდა კორნილოველებს ჰყავდათ მხოლოდ ორი სახის საზოგადოებრივი ძალები: «ველური დივიზია» და კაზაკობა. პირველ შემთხვევაში ეს არის მ ხ ო ლ ო დ უმეცრებისა და მოტყუების ძალა. ეს ძალა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მეტი პრესა რჩება ბურჟუაზიის ხელში. პროლეტარიატი თუ გაიმარჯვებდა სამოქალაქო ომში, ერთბაშად და რადიკალურად გამოუთხრიდა ძირს «ძალის» ა მ წყაროს.

რაც შეეხება კაზაკობას, აქ ჩვენს წინაშეა რუსეთის ერთ-ერთი განაპირა მხარის მოსახლეობის ფენა, რომელიც შესდგება მდიდარ, წვრილ ან საშუალო მიწათმფლობელთაგან (საშუალო მიწათმფლობელობა აქ უდრის დაახლოებით 50 დესეტინას), განაპირა მხარისა, სადაც შენარჩუნებულია მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების განსაკუთრებით ბევრი შუასაუკუნეობრივი ნიშანი. აქ შეიძლება დავინახოთ სოციალურ-ეკონომიური საფუძველი რუსული ვანდეისათვის. მაგრამ რა დაგვანახვა კორნილოვ-კალედინის მოძრაობის ფ ა ქ ტ ე ბ მ ა? თვით კალედინმაც კი, «საყვარელმა ბელადმა», რომელსაც მხარს უჭერდნენ გუჩკოვები, მილიუკოვები, რიაბუშინსკები და კომპანია, მასობრივი მოძრაობა მ ა ი ნ ც ვ ე რ გ ა მ ო ი წ ვ ი ა!! კალედინი განუზომლად «უფრო პირდაპირ», მიუხვევ-მოუხვევლად მიდიოდა სამოქალაქო ომისკენ, ვიდრე ბოლშევიკები. კალედინი პირდაპირ იმ მიზნით «დადიოდა დონში, რომ ფეხზე დაეყენებინა იგი», მაგრამ მაინც კალედინმა «თავის» მხარეში, საერთო-რუსეთის დემოკრატიისაგან მოწყვეტილ კაზაკთა მხარეში, ვერავითარი მასობრივი მოძრაობა ვერ გამოიწვია! პირიქით, პროლეტარიატის მხრივ ჩვენ ვხედავთ მოძრაობის სტიქიურ განვითარებას სრულიად რუსეთის ანტი-ბოლშევიკური დემოკრატიის გავლენისა და ძალის ცენტრში.

ობიექტური მონაცემები იმისა, თუ კაზაკობის სხვადასხვა ფენა და სხვადასხვა სამეურნეო ჯგუფი როგორ უყურებს დემოკრატიას და კორნილოველობას, არ მოიპოვება. არის მხოლოდ მითითება იმაზე, რომ ღარიბი და საშუალო კაზაკობის უმრავლესობა უფრო იხრება დემოკრატიისაკენ და

მხოლოდ ოფიცრობა და შეძლებული კაზაკობის ზედაფენები სავსებით კორნილოვურია.

ყოველ შემთხვევაში, ისტორიულად დამტკიცებულია, 26 — 31 აგვისტოს გამოცდილების შემდეგ, ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის სასარგებლოდ კაზაკთა მასობრივი მოძრაობის მეტისმეტი სისუსტე.

რჩება უკანასკნელი საკითხი: მოძრაობის შ ე უ პ ო ვ რ ო ბ ა. ბოლშევიკური, პროლეტარულ-რევოლუციური მოძრაობის შესახებ ჩვენ მოგვეპოვება დამტკიცებული ფაქტი, რომ ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ რუსეთის რესპუბლიკის ნახევარი წლის მანძილზე წარმოებდა როგორც იდეური, ისეთ პირობებში, როცა ბოლშევიზმის მოწინააღმდეგეთა მხარეზე იყო ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებისა და აგიტატორთა ძალების უ დ ი დ ე ს ი სიჭარბე (და როცა ფრიად «საფრთხილო» იყო ცილისწამების კამპანია «იდეურ» ბრძოლად არ ჩაეთვალათ), ისე რ ე პ რ ე ს ი ე ბ ი ს გ ზ ი თ ა ც: ასობით დაპატიმრებულნი, განადგურებულია მთავარი სტამბა, დახურულია მთავარი გაზეთი და მთელი რიგი სხვა გაზეთები. შედეგი დამტკიცებულია ფაქტებით: ბოლშევიზმის დიდი გაძლიერება აგვისტოს არჩევნების დროს პიტერში, შემდეგ გაძლიერება ბოლშევიზმის მახლობელი ინტერნაციონალისტური და «მემარცხენე» მიმდინარეობებისა ესერულ და მენშევიკურ პარტიებში. მაშასადამე, რესპუბლიკურ რუსეთში პროლეტარულ-რევოლუციური მოძრაობის შეუპოვრობა მეტად დიდია. ფაქტები მეტყველებენ, რომ კადეტების, ესერებისა და მენშევიკების საერთო ძალ-ღონით სრულიადაც ა რ მ ო ხ ე რ ხ დ ა ამ მოძრაობის შესუსტება. პირიქით, სწორედ კორნილოველებისა და «დემოკრატიის» კოალიციამ გ ა ა ძ ლ ი ე რ ა ბოლშევიზმი. იდეური ზემოქმედებისა და რეპრესიების გარდა შეუძლებელია ბრძოლის სხვა საშუალებათა გამოყენება პროლეტარულ-რევოლუციური მიმდინარეობის წინააღმდეგ.

კადეტურ-კორნილოვური მოძრაობის შეუპოვრობის შესახებ ჯერჯერობით მონაცემები არ მოიპოვება. კადეტებს

არავითარი დევნა არ განუცდიათ. გუჩკოვიც კი გაათავისუფლეს, მაკლაკოვიც და მილიუკოვიც კი არ დაუპატიმრებიათ. «რეჩიც» კი არ დაუხურავთ. კადეტებს იბრალებენ. კორნილოველ კადეტებს კერენსკის მთავრობა ე ლ ო ლ ი ა ვ ე ბ ა. რა იქნება, რომ საკითხი ასე დავაყენოთ: ვთქვათ, ინგლის-საფრანგეთის და რუსეთის რიაბუშინსკები კიდევ ჩაუჯიბავენ კადეტებს, «ედინსტვოს» [13], «დენს» [14] და სხვებს მილიონებს ახალი საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად პიტერში; განა შესაძლებელია, რომ მათი ხმების რაოდენობა გადიდდეს ახლა, კორნილოველობის შემდეგ? არა მგონია ამ კითხვაზე, კრებების და სხვ. მიხედვით თუ განვსჯით, უარყოფითად არ ვუპასუხოთ...

* * *

როცა ვაჯამებთ რუსეთის რევოლუციის ისტორიის მონაცემების ჩვენს შედარებას, ის დასკვნა გამოგვაქვს, რომ პროლეტარიატის მხრივ სამოქალაქო ომის დაწყებამ გამო

26 — 31 აგვისტოს, განმავლობაში, კორნილოველობის დროს, და ასეთმა კავშირმა ამ ხნის განმავლობაში გვარგუნა სრული, ჯერ არც ერთ რევოლუციაში არნახული იოლი გამარჯვება კონტრრევოლუციაზე, მან გვარგუნა ისეთი შემმუსვრელი ჩახშობა ბურჟუაზიული, მემამულური და კაპიტალისტური, მოკავშირულ-იმპერიალისტური და კადეტური კონტრრევოლუციისა, რომ ა მ მ ხ რ ი ვ სამოქალაქო ომი სულ მოიშალა, არარად იქცა დასაწყისშივე, დაიშალა მანამდე, სანამ რაიმე «ბრძოლა» მოხდებოდა.

და ამ ისტორიული ფაქტის წინაშე მთელი ბურჟუაზიული პრესა ყველა მისი დამქაშებითურთ (პლეხანოვებით, პოტრესოვებით, ბრეშკო-ბრეშკოვსკებითურთ და სხვ.) მთელი ძალღონით გაჰკივის, რომ სწორედ ბოლშევიკების კავშირი მენშევიკებთან და ესერებთან «გვემუქრება» სამოქალაქო ომის საშინელებითო!..

ეს სასაცილო იქნებოდა, ასე სავალალო რომ არ იყოს. სავალალოა ის, რომ ასეთი აშკარა, თვალხილული, ალმაშფოთებელი სისულელე, ფაქტების, ჩვენი რევოლუციის მთელი ისტორიის აბუჩად აგდება საერთოდ მსმენელებს პოულობს... ეს იმას ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ დიდად გავრცელებულია ბურჟუაზიულ-ანგარებიანი სიცრუე (და ეს გავრცელებულობა გარდუვალია, ვიდრე პრესა ბურჟუაზიის მონოპოლიას შეადგენს), სიცრუე, რომელიც თავისი მკვეხარობით, თავისი ყვირილით ფარავს რევოლუციის ფრიად უეჭველ და ხელშესახებ უდავო გაკვეთილებს.

თუკი არსებობს რევოლუციის აბსოლუტურად უდავო, ფაქტებით აბსოლუტურად დამტკიცებული გაკვეთილი, ეს მხოლოდ ის გაკვეთილია, რომ მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკების კავშირი ესერებთან და მენშევიკებთან, მხოლოდ და მხოლოდ მთელი ძალაუფლების დაუყოვნებლივ გადასვლა საბჭოების ხელში შეუძლებლად გახდიდა სამოქალაქო ომს რუსეთში. ვინაიდან ასეთი კავშირის წინააღმდეგ, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების წინააღმდეგ ბურჟუაზიის მიერ დაწყებული რაიმე სამოქალაქო ომი

წარმოუდგენელია, ასეთი «ომი» ერთ ბრძოლამდეც ვერ მიაღწევდა, ბურჟუაზია მ ე ო რ ე დ, კორნილოველობის შემდეგ, «ველურ დივიზიასაც» კი ვეღარ იპოვის, ვერ იპოვის ვერც კაზაკობის ეშელონებს წინანდელი რაოდენობით საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ დასაძრავად!

საერთოდ ყოველგვარი რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება მეტისმეტად იშვიათი და ძნელი რამაა, რადგან რევოლუცია არის ყველაზე მწვავე კლასობრივ წინააღმდეგობათა უდიდესი გამწვავება, მაგრამ გლეხურ ქვეყანაში, როცა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირს შ ე უ ძ ლ ი ა ფრიად უსამართლო და დანაშაულებრივი ომით განაწამებ მასებს მოუტანოს მ შ ვ ი დ ო ბ ა, ხოლო გლეხობას მთელი მ ი წ ა, ასეთ ქვეყანაში, ასეთ განსაკუთრებულ ისტორიულ მომენტში რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის დროს შ ე ს ა ძ ლ ებ ე ლ ი ც ა ა და მ ო ს ა ლ ო დ ნ ე ლ ი ც. საბჭოების შიგნით პარტიების ბრძოლა ძალაუფლებისათვის შეიძლება მიმდინარეობდეს მშვიდობიანად, თუ საბჭოებში სრული დემოკრატიზმია, თუ ისინი უარს იტყვიან ისეთ «წვრილმან ქურდობაზე», დემოკრატიული პრინციპების ისეთ «განძარცვაზე», როგორიცაა ჯარისკაცებისთვის ერთი წარმომადგენლის მიცემა 500 ამომრჩეველზე, ხოლო მუშებისთვის ერთი წარმომადგენლისა ათასზე. დემოკრატიულ რესპუბლიკაში ასეთ წვრილ ქურდობას გაქრობა უწერია.

ისეთი საბჭოების წინააღმდეგ კი, რომლებიც მთელ მიწას აძლევენ გლეხებს გამოუსყიდველად და სამართლიან ზავს თავაზობენ ყველა ხალხს, ასეთი საბჭოების წინააღმდეგ არავითარი კავშირი ინგლის-საფრანგეთისა და რუსეთის ბურჟუაზიისა, კორნილოვების, ბიუკენენებისა და რიაბუშინსკების, მილიუკოვების, პლეხანოვების და პოტრესოვებისა სრულიადაც საშიში არ არის, სრულიად უძლურია.

ბურჟუაზიის წინააღმდეგობა გლეხებისთვის მიწის უფასოდ გადაცემის გამო, ასეთივე გარდაქმნების გამო ცხოვრების სხვა სფეროებში, სამართლიანი ზავისა და იმპერიალიზ-

მის უარყოფის გამო, ასეთი წინააღმდეგობა, რა თქმა უნდა, აუცილებელია. მაგრამ წინააღმდეგობა რომ სამოქალაქო ომად გადაიქცეს, ამისთვის საჭიროა თუნდაც რაიმე მასები, რომლებსაც შეეძლებათ ბრძოლა და საბჭოების დამარცხება. ასეთი მასები კი ბურჟუაზიას არა ჰყავს და ვერსადაც იშოვის. რაც უფრო მალე და გაბედულად აიღებენ საბჭოები მთელ ძალაუფლებას, მით უფრო სწრაფად გაითიშებიან «ველური დივიზიებიც» და კაზაკებიც, გაითიშებიან შეგნებულ კორნილოველთა უმნიშვნელო უმცირესობად და მუშათა და გლეხთა დემოკრატიული და სოციალისტური (რადგან მაშინ ლაპარაკი იქნება სწორედ სოციალიზმზე) კავშირის მომხრეთა უდიდეს უმრავლესობად.

ბურჟუაზიის წინააღმდეგობა, საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის დროს, გამოიწვევს იმას, რომ თვითეულ კაპიტალისტს დაუწყებს «მეთვალყურეობას», ზედამხედველობას, კონტროლს და აღრიცხვას ათეული და ასეული მუშა და გლეხი, რომელთა ინტერესები მოითხოვს ბრძოლას კაპიტალისტების მიერ ხალხის მოტყუების წინააღმდეგ. ამ აღრიცხვისა და კონტროლის ფორმები და წესები შემუშავებული და გამარტივებულია სწორედ კაპიტალიზმის მიერ, სახელდობრ კაპიტალიზმის ისეთ ქმნილებათა მიერ, როგორიცაა ბანკები, მსხვილი ფაბრიკები, სინდიკატები, რკინიგზები, ფოსტა, სამომხმარებლო საზოგადოებები და პროფესიული კავშირები. სრულიად საკმარისი იქნება საბჭოებმა დასაჯონ დაწვრილებითი აღრიცხვისგან თავის ამრიდებელი ან ხალხის მომტყუებელი კაპიტალისტები მთელი მათი ქონების კონფისკაციით და ხანმოკლე პატიმრობით, რათა ამ უსისხლო გზით დაძლიოს ბურჟუაზიის ყოველგვარი წინააღმდეგობა. რადგან სწორედ ბანკების მეშვეობით, რაკი ისინი ნაციონალიზებულია, სწორედ მოსამსახურეთა კავშირების მეშვეობით, ფოსტის, სამომხმარებლო საზოგადოებების, პროფესიული კავშირების მეშვეობით კონტროლი და აღრიცხვა გახდება უნივერსალური, ყოვლად ძლიერი, ყველგან მყოფი, დაუძლეველი.

და რუსეთის საბჭოები, რუსეთის მუშებისა და უღარიბესი გლეხების კავშირი განმარტოებულად როდი დგამენ ნაბიჯს სოციალიზმისაკენ. ჩვენ რომ მარტონი ვიყოთ, ბოლომდე და მშვიდობიანად ვერ დავძლევდით ამ ამოცანას, რადგან, არსებითად, ეს ამოცანა საერთაშორისოა. მაგრამ ჩვენ გვყავს უდიდესი რეზერვი, უფრო მოწინავე მუშების არმიები სხვა ქვეყნებში, სადაც რუსეთის ჩამოშორება იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომისაგან გარდუვალად დააჩქარებს იქ მუშათა, სოციალისტურ რევოლუციას, რომელიც ამ ქვეყნებში მწიფდება.

* * *

ლაპარაკობენ «სისხლის ღვარზე» სამოქალაქო ომში. ამას ლაპარაკობს კორნილოველი კადეტების ზემოთ მოყვანილი რეზოლუცია. ამ ფრაზას ათას ჰანგზე იმეორებს ყველა ბურჟუა და ყველა ოპორტუნისტი. მას დასცინის და კვლავაც დასცინებს, კორნილოველობის შემდეგ არ შეიძლება არ დასცინოს ყველა შეგნებულმა მუშამ.

მაგრამ «სისხლის ღვარის» საკითხი ომიანობის დროს, რომელსაც ჩვენ განვიცდით, შეიძლება და კიდევაც უნდა დავაყენოთ ძალთა დაახლოებითი აღრიცხვის ნიადაგზე, შედეგთა გათვალისწინების ნიადაგზე, სერიოზულად მოვეკიდოთ მას და არა ისე, როგორც ცარიელ გაცვეთილ ფრაზას, არა როგორც მხოლოდ კადეტთა თვალთმაქცობას, რომლებმაც თავიანთი მხრივ ყველაფერი მოიმოქმედეს იმისთვის, რომ კორნილოვს შეძლებოდა «სისხლის ღვარით» მოერწყო რუსეთი, რათა აღედგინა ბურჟუაზიის დიქტატურა, ბემამულეთა ხელისუფლება და მონარქია.

«სისხლის ღვარიო», გვეუბნებიან. გავერკვეთ საკითხის ამ მხარეშიც.

ვთქვათ, მენშევიკებისა და ესერების მერყეობა გრძელდება, საბჭოებს ისინი ძალაუფლებას არ გადასცემენ, კერენსკის არ ამხობენ, ძველ, დამპალ კომპრომისს ბურჟუაზიასთან ოდნავ სხვა სახით აღადგენენ (კადეტების ნაცვლად, მაგალი-

თად, «უპარტიო» კ ო რ ნ ი ლ ო ვ ე ლ ე ბ ი), სახელმწიფო ხელისუფლების აპარატს არ ცვლიან საბჭოთა აპარატით, ზავის წინადადებას არ იძლევიან, იმპერიალიზმთან კავშირს არ წყვეტენ, მემამულეთა მიწების კონფისკაციას არ ახდენენ. დავუშვათ ესერებისა და მენშევიკების ახლანდელი მერყეობის ასეთი შედეგი, «12 სექტემბრის» ასეთი შედეგი.

ჩვენი საკუთარი რევოლუციის გამოცდილება ცხადზე უცხადესად ღაღადებს, რომ ამის შედეგი იქნებოდა ესერებისა და მენშევიკების შემდგომი დაუძლურება, მათი შემდგომი ჩამოშორება მასებისგან, აღშფოთებისა და გაბოროტების არაჩვეულებრივი გაძლიერება მასებში, სიმპათიის უდიდესი გაძლიერება რევოლუციური პროლეტარიატისადმი, ბოლშევიკებისადმი.

დედაქალაქის პროლეტარიატი მაშინ ახლანდელზე უფრო დაუახლოვდება კომუნას, მუშათა მოძრაობას, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, სამოქალაქო ომს — მისი უფრო მაღალი და უფრო გაბედული სახით: 20 — 21 აპრილისა და 3 — 4 ივლისის გამოცდილების შემდეგ ასეთი შედეგი ისტორიულად გარდუვალად უნდა ვაღიაროთ.

«სისხლის ღვარიო», გაჰკივიან კადეტები. მაგრამ სისხლის ასეთი ღვარი გამარჯვებას მოუტანდა პროლეტარიატს და უღარიბეს გლეხობას, ეს გამარჯვება კი, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი შანსის ალბათობით, ზ ა ვ ს მოიტანდა იმპერიალისტური ომის ნაცვლად, ე ს ე ი გ ი სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა ა ს ი ა თ ა ს ო ბ ი თ ადამიანს, რომლებიც დღეს სისხლსა ღვრიან კაპიტალისტების მოგებათა და მიტაცებათა (ანექსიების) გაყოფის გულისთვის. 20 — 21 აპრილი რომ დამთავრებულიყო მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლით, მათ შიგნით კი გამარჯვება რგებოდათ ბოლშევიკებს უღარიბეს გლეხობასთან კავშირში, მაშინ, თუნდაც ეს «სისხლის ღვარი» დამჯდარიყო, სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა ნ ა ხ ე ვ ა რ მ ი ლ ი ო ნ რუს ჯარისკაცს, რომლებიც ალბათ დაიღუპნენ 18 ივნისის ბრძოლებში.

ასე ვარაუდობს და ასე ივარაუდებს ყოველი შეგნებული რუსი მუშა და ჯარისკაცი, თუ ის უფიქრდება და მხედველობაში იღებს ყველგან წამოჭრილ სამოქალაქო ომის საკითხს, და, რა თქმა უნდა, ასეთ მუშას და ჯარისკაცს, რომელსაც ცოტა რამ განუცდია და უფიქრია, ვერ შეაშინებს გოდება «სისხლის ღვარზე» ისეთი ადამიანებისა, პარტიებისა და ჯგუფებისა, რომლებსაც სურთ კიდევ მილიონობით რუს ჯარისკაცს მოუსპონ სიცოცხლე კონსტანტინოპოლისთვის, ლვოვისთვის, ვარშავისთვის, «გერმანიაზე გამარჯვებისთვის».

ვერავითარი «სისხლის ღვარი» შინაურ სამოქალაქო ომში დაახლოებითაც კი ვერ შეედრება სისხლის იმ მორევს, რაც რუსეთის იმპერიალისტებმა დააყენეს 19 ივნისის შემდეგ (მიუხედავად იმისა, რომ მეტისმეტად დიდი შანსები იყო საბჭოებისთვის ძალაუფლების გადაცემით ამის თავიდან აცილების შესაძლებლობისა).

ომის დროს, ბატონო მილიუკოვებო, პოტრესოვებო და პლეხანოვებო, რაც შეიძლება უფრო ფრთხილად მოიყვანეთ არგუმენტები სამოქალაქო ომში «სისხლის ღვარის» საწინააღმდეგოდ, რადგან ჯარისკაცები იცნობენ და მათ უნახავთ კიდეც სისხლის მორევი.

რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო მდგომარეობა ახლა, 1917 წელს, გაუგონრად მძიმე, ხალხთა გამტანჯველი და უაღრესად დანაშაულებრივი ომის მეოთხე წელს, ისეთია, რომ სამოქალაქო ომში გამარჯვებული რუსეთის პროლეტარიატის მიერ სამართლიანი ზავის წინადადების წამოყენება მომასწავებელი იქნებოდა ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი შანსისა იმის სასარგებლოდ, რომ შესაძლებელია დროებითი ზავი და ზავი მოვიპოვოთ კვლავ სისხლის მორევის დაუყენებლად.

ვინაიდან ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ინგლის-საფრანგეთისა და გერმანიის იმპერიალიზმის შეერთება რუსეთის პროლეტარულ-სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო ინგლისის, იაპონიისა და ამერიკის იმპერიალიზმის შეერთება

ჩვენს წინააღმდეგ უაღრესად ძნელი განსახორციელებელია და ჩვენთვის სრულიადაც საშიში არ არის რუსეთის გეოგრაფიული მდგომარეობის გამოც. ამავე დროს კი რევოლუციური და სოციალისტური პროლეტარული მასების არსებობა ყ ვ ე ლ ა ევროპული სახელმწიფოს შიგნით ფაქტია, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მომწიფება და გარდუვალობა უეჭველია, და ამ რევოლუციისთვის სერიოზული დახმარების გაწევა შეიძლება, რა თქმა უნდა, არა დელეგაციებით და უცხოელ პლეხანოვებთან ან წერეთლებთან სტოკჰოლმის თათბირების გათამაშებით, არამედ მხოლოდ რუსეთის რევოლუციის წინსვლით.

ბურჟუები გაჰყვირიან — რუსეთში კომუნები აუცილებლად დამარცხდება, ე. ი. პროლეტარიატი დამარცხდება, თუ ის ხელისუფლებას დაეპატრონებაო.

ეს ცრუ, ანგარებიან-კლასობრივი ყვირილია.

როცა რუსეთის პროლეტარიატი ხელისუფლებას დაეპატრონება, მას ყ ვ ე ლ ა შანსი აქვს შეინარჩუნოს ეს ხელისუფლება და მიიყვანოს რუსეთი ძლევამოსილ რევოლუციამდე დასავლეთში.

ვინაიდან, ჯერ-ერთი, ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ კომუნის შემდეგ და აღარ გავიმეორებდით მის საბედისწერო შეცდომებს, არ დავუტოვებდით ბანკს ბურჟუაზიას, თავდაცვას კი არ დავჯერდებოდით ჩვენებური ვერსალელების (იგივე კორნილოველების) წინააღმდეგ, არამედ შეტევაზე გადავიდოდით მათ წინააღმდეგ და გავსრესდით მათ.

მეორეც, გამარჯვებული პროლეტარიატი რუსეთს მისცემს ზავს. და ვერავითარი ძალა ვერ დაამხობს ზ ა ვ ი ს მთავრობას, პატიოსანი, გულწრფელი, სამართლიანი ზავის მთავრობას, ხალხთა სამ წელზე მეტი ხნის სასაკლაოს ყველა ამ საშინელების შემდეგ.

მესამე, გამარჯვებული პროლეტარიატი დაუყოვნებლივ მისცემს მიწას გლეხობას გამოუსყიდველად. და გლეხობის უდიდესი უმრავლესობა, განაწამები და გაბოროტებული «მემამულეებთან თამაშით», რასაც ეწევა ჩვენი მთავრობა,

განსაკუთრებით «კოალიციური», განსაკუთრებით კერენსკის მთავრობა, მხარს დაუჭერს გამარჯვებულ პროლეტარიატს სავსებით, ყოველმხრივ, თავდადებით.

თქვენ მუდამ ხალხის «გმირულ ლონისძიებაზე» ლაპარაკობთ, ბატონო მენშევიკებო და ესერებო. მე აი ამ დღეებში კიდევ და კიდევ ერთხელ შევხვდი ამ ფრაზას თქვენი ცაკ-ის «იზვესტიას»[15] მოწინავე სტატიაში. თქვენთვის ეს მ ხ ო ლ ო დ ფრაზაა. მაგრამ მუშები და გლეხები, რომლებიც მას კითხულობენ, უ ფ ი ქ რ დ ე ბ ი ა ნ მას, და ყოველ ფიქრს, რასაც ადასტურებს კორნილოველობის გამოცდილება, პეშეხონოვის სამინისტროს «გამოცდილება», ჩერნოვისა და ს ხ ვ ა თ ა სამინისტროს «გამოცდილებანი», ყოველ ფიქრს გარდუვალად მივყავართ დასკვნამდე: მაგრამ ეს «გმირული ლონისძიება» ხომ, სწორედ ეს არის უღარიბესი გლეხობის ნდობა ქალაქის მუშებისადმი, როგორც თავისი უერთგულესი მოკავშირეებისა და ბელადებისადმი, და სხვა არაფერი. გმირული ლონისძიება ეს არის სწორედ რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე სამოქალაქო ომში და მეტი არაფერი, რადგან მხოლოდ ასეთი გამარჯვება გვიხსნის მტანჯველი მერყეობისაგან, მხოლოდ ის მოგვცემს გამოსავალს, მოგვცემს მიწას, მოგვცემს ზავს.

თუკი შესაძლებელია ქალაქის მუშებისა და უღარიბესი გლეხობის კავშირის განხორციელება საბჭოებისთვის ხელისუფლების დაუყოვნებლივ გადაცემით, მით უკეთესი. ბოლშევიკები ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ს გააკეთებენ იმისათვის, რომ რევოლუციის განვითარების ეს მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი გზა უზრუნველყონ. უამისოდ მარტო დამფუძნებელი კრებაც, თავისთავად, ვერ უშველის საქმეს, რადგან ესერებს იქაც ხომ შეუძლიათ განაგრძონ შეთანხმების «თამაში» კადეტებთან, ბრეშკო-ბრეშკოვსკაიასა და კერენსკისთან (რითი სჯობიან ისინი კადეტებს?) და სხვა და ასე შემდეგ.

თუ კორნილოველობის გამოცდილებამაც კი ვერ ასწავლა ჭკუა «დემოკრატიას», და ის განაგრძობს მერყეობისა და შემთანხმებლობის დამღუპველ პოლიტიკას, მაშინ ჩვენ ვიტყ-

ვით: ისე არაფერი ანგრევს პროლეტარულ რევოლუციას, როგორც ეს მერყეობა. მაშ ნუ გვაშინებთ, ბატონებო, სამოქალაქო ომით: ის გარდუვალია, თუ თქვენ არ გინდათ ახლავე, ბოლომდე გაუსწორდეთ კორნილოველობას და «კოალიციას», — მაშინ ეს ომი მოგვცემს გამარჯვებას ექსპლოატატორებზე, მისცემს მიწას გლეხებს, მისცემს ზავს ხალხებს, ნამდვილ გზას გაგვიხსნის მსოფლიო სოციალისტური პროლეტარიატის ძლევამოსილი რევოლუციისაკენ.

«რაბოჩიი პუტ» № 12,
1917 წ. 29 (16) სექტემბერი
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთ
«რაბოჩიი პუტის» ტექსტის
მიხედვით

სიყალბის გმირებისა და ბოლშევიკების შეცდომების შესახებ [16]

დამთავრდა ეგრეთწოდებული დემოკრატიული თათბირი. მადლობა ღმერთს, კიდევ ერთი კომედია უკან მოვიტოვეთ. რაც უნდა იყოს, ჩვენ მაინც წინ მივდივართ, თუ ჩვენს რევოლუციას ბედად უწერია განვლოს კომედიების მხოლოდ განსაზღვრული რიცხვი.

თათბირის პოლიტიკური შედეგები რომ სწორად გავითვალისწინოთ, უნდა ვეცადოთ გავარკვიოთ ობიექტური ფაქტებიდან გამომდინარე მისი ზუსტი კლასობრივი მნიშვნელობა.

ესერებისა და მენშევიკების მმართველი პარტიების შემადგომი დაშლა, რევოლუციურ დემოკრატიაში მათ მიერ უმრავლესობის დაკარგვა, რაც ყველასათვის აშკარაა, ნაბიჯის გადადგმა წინ როგორც ბ-ნ კერენსკის, ისე ბბ. წერეთლის, ჩერნოვისა და კომპანიის ბონაპარტიზმის გაერთიანებისა და გაშიშვლების საქმეში, — ასეთია თათბირის კლასობრივი მნიშვნელობა.

საბჭოებში ესერებმა და მენშევიკებმა დაჰკარგეს უმრავლესობა. ამიტომაც ისინი იძულებული გახდნენ სიყალბე ჩაედინათ: დაერღვიათ ნაკისრი ვალდებულება — სამ თვეში საბჭოების ახალ ყრილობას მოვიწვევთო, თავი აერიდებინათ ანგარიშის ჩაბარებისთვის იმათ წინაშე, ვინც საბჭოების ცაკ-ი აირჩია, თავიანთ სასარგებლოდ შეერჩიათ «დემოკრატიული» თათბირის შემადგენლობა. ამ შერჩევაზე ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები თათბირის წინ. და თათბირის შედე-

გებმა სავსებით დაადასტურა მათი ნათქვამი. ლიბერდანები და ბბ. წერეთლები, ჩერნოვები და კომპანია ხედავდნენ, რომ საბჭოებში მათი უმრავლესობა თანდათან მცირდებოდა და ამიტომაც მიმართავდნენ სიყალბეს.

ის საბუთები, რომ კოოპერატივებს «უკვე დიდი მნიშვნელობა აქვთ დემოკრატიულ ორგანიზაციებს შორისო», აგრეთვე ქალაქთა და ერობათა «სწორად» არჩეულ წარმომადგენლებსო, ეს საბუთები იმდენად თეთრი ძაფით არის ნაკერი, რომ სერიოზულად მათი წამოყენება შეუძლია მხოლოდ უხეშ თვალთმაქცობას. ჯერ-ერთი, ცაკ-ი არჩეულია საბჭოების მიერ და მისი მხრივ თავის არიდება მ ა თ თ ვ ი ს ანგარიშისა და თანამდებობის ჩაბარებისაგან ბონაპარტისტული თაღლითობაა. მეორე, საბჭოები რევოლუციურ დემოკრატიას წარმოადგენენ იმდენად, რამდენადაც მათში შედიან ისინი, ვისაც სურს რევოლუციურად იბრძოლოს. კოოპერატორებს და ქალაქელებს კარი დახურული არა აქვთ. საბჭოების ბატონპატრონნი იგივე ესერები და მენშევიკები იყვნენ.

ის, ვინც მ ხ ო ლ ო დ კოოპერატივებში, მ ხ ო ლ ო დ მუნიციპალური (ქალაქისა და ერობის) მუშაობის ფარგლებში რჩებოდა, ამით ნებაყოფლობით იცალკევებდა თავს რევოლუციური დემოკრატიის რიგებიდან, სწორედ ამით თავს აკუთვნებდა ან რეაქციულ ან ნეიტრალურ დემოკრატიას. ყველამ იცის, რომ კოოპერაციულ და მუნიციპალურ სამუშაოზე მიდიან ა რ ა მარტო რევოლუციონერები, არამედ რ ე ა ქ ც ი ო ნ ე რ ე ბ ი ც; ყველამ იცის, რომ კოოპერატივებსა და მუნიციპალიტეტებში ირჩევენ უმთავრესად ა რ ა საერთო-პოლიტიკური გაქანებისა და მნიშვნელობის მუშაობისთვის.

ფარულად გავაძვრინოთ დამხმარენი «ედინსტვოს» მომხრეთაგან და «უპარტიო» რეაქციონერები — აი რა მიზანი ჰქონდათ ლიბერდანებს, წერეთელს, ჩერნოვსა და კომპანიას, როცა თათბირის შემადგენლობის შერჩევას ახდენდნენ. აი რა იყო მათი სიყალბე. აი რა იყო მათი ბონაპარტიზმი, რაც

აერთიანებდა მათ ბონაპარტისტ კერენსკისთან. დემოკრატიზმის შეკვეცა დემოკრატიზმის გარეგნობის თვალთმაქცურად დაცვის დროს — აი რა არის თავიდათავი.

ნიკოლოზ II დემოკრატიზმის გაქურდვას ეწეოდა, ასე ვთქვათ, დიდი მასშტაბით: ის იწვევდა წარმომადგენლობითს დაწესებულებებს, მაგრამ მემამულეებს ასწილ უფრო დიდ წარმომადგენლობას აძლევდა, ვიდრე გლეხებს. ლიბერდანები და წერეთლები ჩერნოვებთან ერთად დემოკრატიზმის წვრილმან გაქურდვას ეწევიან: ისინი იწვევენ «დემოკრატიულ თათბირს», სადაც მ უ შ ე ბ ი ც და გ ლ ე ხ ებ ი ც სრული უფლებით მიუთითებენ მათი წარმომადგენლობის შეკვეცაზე, ა რ ა ა პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ო ბ ა ზ ე, უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ა ზ ე ბურჟუაზიასთან (და რეაქციულ დემოკრატიასთან) კოოპერატივებისა და მუნიციპალიტეტების ყველაზე უფრო მახლობელი ელემენტების სასარგებლოდ.

ბბ. ლიბერდანებმა, წერეთლებმა და ჩერნოვებმა კავშირი გაწყვიტეს ღარიბ მუშათა და გლეხთა მასებთან, მათ ისინი ჩამოშორდნენ. მათი ხსნა სიყალბეშია, რომლითაც გააქვს თავი «მათ» კერენსკისაც.

კლასთა გამიჯვნა გრძელდება. ესერების და მენშევიკების პარტიათა შიგნიდან ძლიერდება პროტესტი, იზრდება პირდაპირი გათიშვა მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებისადმი «ბელადების» ღალატის გამო. ბელადები ეყრდნობიან უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა ს — წინააღმდეგ დემოკრატიზმის საფუძვლებისა. აქედან გამომდინარეობს მათთვის სიყალბეთა ჩადენის გ ა რ დ უ ვ ა ლ ო ბ ა.

კერენსკი სულ უფრო და უფრო ამხელს თავს როგორც ბონაპარტისტი. იგი «ესერად» ითვლებოდა. ახლა ჩვენ ვიცით, რომ ის არა მარტო «მარტის» ესერია, რომელიც ტრუდოვიკებისგან გადმობარგდა აქ «რეკლამისთვის». იგი მომხრეა ბრეშკო-ბრეშკოვსკაიასი, ამ «ქ-ნ პლეხანოვასი» ესერებს შორის ან «ქ-ნ პოტრესოვასი» ესერების «დენში». ეგრეთწოდებული «სოციალისტური» პარტიების ეგრეთწოდებული

«მემარჯვენე» ფრთა, პლეხანოვები, ბრეშკოვსკები, პოტრეესოვები, აი ვის ეკუთვნის კერენსკი, ეს ფრთა კი სერიოზულად არაფრით განსხვავდება კადეტებისგან.

კერენსკის კადეტები საქმისთვის აქებენ. კერენსკი **მათ** პოლიტიკას აწარმოებს, ის ხალხის ზურგს უკან ეთათბირება მათ და როძიანკოს, ჩერნოვმა და სხვებმა ის ამხილეს როგორც სავინკოვის — კორნილოვის მეგობრის, ამხანაგი. კერენსკი კორნილოველია, რომელიც შემთხვევით წაეჩხუბა კორნილოვს და განაგრძობს ფრიად ინტიმურ კავშირს სხვა კორნილოველებთან. ეს ფაქტია, რომელსაც ადასტურებს როგორც სავინკოვის და «დელო ნაროდას» მხილებანი, ისე ის პოლიტიკური თამაში, რომელიც ახლაც გრძელდება, კერენსკის «სამინისტრო ოთურმა» კორნილოველებთან «სავაჭრო-სამრეწველო კლასის» სახელწოდებით.

საიდუმლო გარიგებანი კორნილოველებთან, საიდუმლო ნათლიმამობა (ტერეშჩენკოს და კომპანიის მეშვეობით) «მოკავშირე» იმპერიალისტებთან, დამფუძნებელი კრების მოწვევის საიდუმლო გაჭიანურება და საბოტაჟი, გლეხთა საიდუმლო მოტყუება როძიანკოს, ე. ი. მემამულეების გულის მოსაგებად (პურის ფასების გაორკეცება) — აი რას აკეთებს კერენსკი სინამდვილეში. აი მისი კლასობრივი პოლიტიკა. აი რაში გამოიხატება მისი ბონაპარტიზმი.

ეს რომ დაეფარათ თათბირზე, ლიბერდანები და წერეთლები ჩერნოვებთან ერთად იძულებული იყვნენ შეერჩიათ თათბირის შემადგენლობა.

და ბოლშევიკების მონაწილეობას ამ საზიზღარ სიყალბეში, ამ კომედიაში მხოლოდ და მხოლოდ ისეთივე გამართლება ჰქონდა, როგორც ჩვენს მონაწილეობას მე-3 სათათბიროში: «თავლაშიც» კი საჭიროა დავიცვათ ჩვენი საქმე, «თავლიდანაც» კი საჭიროა გამოვაქვეყნოთ მამხილებელი მასალა ხალხისთვის ჭკუის სასწავლად.

თუმცა აქ ის განსხვავებაა, რომ მე-3 სათათბირო მოწვეული იყო რევოლუციის აშკარა დაცხრობის პირობებში, ახლა

კი აშკარად იზრდება ა ხ ა ლ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ა, — სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით, რამდენად ფართო და სწრაფია ეს ზრდა.

* * *

თათბირის ყველაზე დამახასიათებელ ეპიზოდად მე მიმაჩნია ზარუდნის გამოსვლა. ის ამბობს, «საკმარისი იყო» კერენსკის «სიტყვა გადაეკრა მხოლოდ» მთავრობის რეორგანიზაციაზე, — და ყველა მინისტრს თხოვნა შეჰქონდა გადადგომის შესახებო. «მეორე დღეს კი — განაგრძობს გულუბრყვილო, ბალღურად გულუბრყვილო (კიდევ კარგი, თუ მ ხ ო ლ ო დ გულუბრყვილო) ზარუდნი — მეორე დღეს კი, მიუხედავად ჩვენი გადადგომისა, ჩვენ გვიწვევდნენ, გვეთათბირებოდნენ, ბოლოს და ბოლოს კიდევაც დაგვტოვეს».

«დარბაზში საერთო სიცილია» — აღნიშნავს ამ ადგილას ოფიციალური «იზვესტია».

მხიარული ხალხია რესპუბლიკელების მიერ ხალხის ბონაპარტისტული მოტყუების ეს მონაწილენი! ჩვენ ხომ ყველანი რევოლუციური დემოკრატები ვართ, ხუმრობა არ გეგონოთ!

«თავიდანვე — ამბობდა ზარუდნი — ჩვენ ორი რამ გვესმოდა: ვისწრაფოთ მივაღწიოთ ჯარის ბრძოლისუნარიანობას და ზავის დაჩქარებას დემოკრატიულ საფუძვლებზე. და აი, რაც შეეხება ზავს, თვენახევრის განმავლობაში, ვიდრე დროებითი მთავრობის წევრი ვიყავი, მე არ ვიცი, დროებითი მთავრობა აკეთებდა თუ არა რამეს ამ მხრივ. მე ამას ვერ ვხედავდი. (ტ ა შ ი დ ა ხ მ ა ა დ გ ი ლ ი დ ა ნ: «არაფერსაც არ აკეთებდა» — ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ს «ი ზ ვ ე ს ტ ი ა».) როდესაც მე, როგორც დროებითი მთავრობის წევრი, ვკითხულობდი ამის შესახებ, პასუხს ვერ ვღებულობდი»...

ასე ამბობდა ზარუდნი, ოფიციალური «იზვესტიის» ცნობით. და თათბირიც უსმენს მდუმარედ, ითმენს ასეთ რამეებს, არ აჩერებს ორატორს, არ წყვეტს სხდომას, არ წამოხტება ზეზე, რომ გააგდოს კერენსკი და მთავრობა! რა სათქმელია! ეს «რევოლუციური დემოკრატები» თავგამოდებით იცავენ კერენსკის!

ძალიან კარგი, ბატონებო, მაგრამ მაშინ რითიღა განსხვავდება «რევოლუციური დემოკრატის» ცნება ყურმოჭრილი ყმისა და ხეპრეს ცნებისაგან?

ხეპრეებს რომ შეუძლიათ მხიარული სიცილი ასტეხონ, როდესაც «მათი» მინისტრი, რომელსაც იშვიათი გულუბრყვილობა თუ იშვიათი ბრიყვობა ახასიათებს, მოახსენებს მათ, როგორ მიერეკება კერენსკი მინისტრებს (რათა ხალხის ზურგს უკან და «ზედმეტი მოწმის დაუსწრებლად» შეუთანხმდეს კორნილოველებს), ეს ბუნებრივია. ყურმოჭრილი ყმები რომ დუმან, როდესაც «მათი» მინისტრი, რომელიც თითქოს სერიოზულად ღებულობს საყოველთაო ფრაზებს ზავის შესახებ და ვერ მიმხვდარა მათს თვალთმაქცობას, — აღიარებს, რომ მას არც კი უპასუხეს შეკითხვაზე — რა რეალური ნაბიჯებია გადადგმული ზავისაკენო, ეს გასაკვირველი არ არის. ვინაიდან ყურმოჭრილ ყმებს ასეც ეკუთვნით — მოატყუებინონ თავი მთავრობას. მაგრამ რაღა შუაშია აქ რევოლუციურობა, რაღა შუაშია აქ დემოკრატიზმი??

განა გასაკვირველი იქნებოდა, რევოლუციურ ჯარისკაცებსა და მუშებს რომ დაბადოდათ აზრი: «რა კარგი იქნებოდა, ალექსანდრინკის ჭერი რომ ჩამონგრეულიყო და გაესრისა მთელი ეს ბანდა უხამსებისა, რომლებსაც შეუძლიათ ხმა არ ამოიღონ, როდესაც მათ ნათლად განუმარტავენ, როგორ ატყუებენ მათ კერენსკი და კომპანია ზავზე ლაყბობით; — რომლებსაც შეუძლიათ მხიარულად იცინონ, როდესაც მათ ცხადზე უცხადესად ეუბნებიან მათი საკუთარი მინისტრები, რომ სამინისტრო ოთურმა კომედიაა (რომლითაც იფარება კერენსკის გარიგება კორნილოველებთან). ღმერთო, დაგვიხსენ მეგობრებისაგან, ხოლო მტრებს ჩვენ თვითონ გავუსწორდებით! ღმერთო, დაგვიხსენ რევოლუციურ-დემოკრატიული ხელმძღვანელობის ასეთი პრეტენდენტებისგან, ხოლო კერენსკებს, კადეტებს, კორნილოველებს ჩვენ თვითონ გავუსწორდებით».

* * *

აქ მე გადავდივარ ბოლშევიკების შეცდომებზე. ასეთ მომენტში ირონიული ტაშით და წამოძახილებით დაკმაყოფილება — აშკარა შეცდომაა.

ხალხი გაწამებულია მერყეობითა და გაჭიანურებებით. აშკარად იზრდება უკმაყოფილება. ახლოვდება ახალი რევოლუცია. რეაქციული დემოკრატების, ლიბერდანების, წერეთლებისა და სხვათა მთელი ინტერესი იქითკენაა მიმართული, რომ ხალხის ყურადღება მ ი ა პ ყ რ ო ნ კომედიურ «თათბირს», «შ ე ი ქ ც ი ო ნ» ხალხი ამ კომედიით, მ ო წ ყ ვ ი ტ ო ნ ბოლშევიკები მასას, ბოლშევიკი დელეგატები დააბანდონ ისეთ არასაკადრის საქმეზე, როგორიცაა ერთ ადგილას ჯდომა და ზარუდნების მოსმენა! ზარუდნები კი სხვებზე უფრო გულმართალნი არიან!!

ბოლშევიკებს უნდა დაეტოვებინათ თათბირი პროტესტის ნიშნად იმისთვისაც, რომ არ გაბმულიყვნენ თათბირის მიერ სერიოზული საკითხებისგან ხალხის ყურადღების ჩამოცილების ხაფანგში. ბოლშევიკებს თავიანთი 136 დეპუტატიდან უნდა დაეტოვებინათ ერთი-სამიოდე დეპუტატი «კავშირგაბმულობის სამსახურისთვის», რათა ტელეფონით ეცნობებინათ საზიზღარი ლაყბობის შეწყვეტისა და კენჭისყრაზე გადასვლის მომენტი. მაგრამ ბოლშევიკები არ უნდა გ ა რ თ უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ უბრალო რამეებით, ხალხის აშკარა მოტყუებით, რომლის აშკარა მიზანი იყო მზარდი რევოლუციის შ ე ნ ე ლ ე ბ ა ჩხირკედელაობით.

ბოლშევიკების დელეგაციის ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი უნდა წასულიყო ფაბრიკებსა და ყაზარმებში; იქ იქნებოდა ნამდვილი ადგილი რუსეთის ყველა კუთხიდან ჩამოსული დელეგატებისა, რომლებმაც ზარუდნის მიერ წარმოთქმული სიტყვის შემდეგ დაინახეს ესერული და მენშევიკური სიდამპლის მთელი უფსკრული. იქ, მასებთან რაც შეიძლება უფრო ახლოს, ასობით და ათასობით კრებაზე და საუბარში უნდა გაგვეხილა ამ კომედიური თათბირის გაკვეთილები, თათბირისა, რომელიც აშკარად აძლევდა შესვენებას მხოლოდ

კორნილოველ კერენსკის, აშკარად უმსუბუქებდა მხოლოდ მას «სამინისტროს ოთურმის» ახალ-ახალ ვარიანტებს.

რევოლუციური (არა — «კონსტიტუციური») კრიზისების მომენტებში ბოლშევიკები უმართებულოდ ეკიდებოდნენ პარლამენტარიზმს, უმართებულოდ ეკიდებოდნენ ესერებსა და მენშევიკებს.

გასაგებია, როგორ მოხდა ეს: ისტორიამ, კორნილოველობასთან დაკავშირებით, **ძალიან** მკვეთრი მობრუნება განიცადა. ამ მობრუნების დროს პარტია ჩამორჩა ისტორიის წარმოუდგენლად სწრაფ ტემპს. პარტიამ თავი გაიბა, დროებით, საზიზღარი სალაყბოს მახეში.

საჭირო იყო ამ სალაყბოსთვის გამოგვეყო ძალთა ერთი მეასედი, ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი კი მ ა ს ე ბ ი ს თ ვ ი ს მიგვეცა.

საჭირო იყო, თუ მობრუნება გვიკარნახებდა კომპრომისი შეგვეთავაზებინა ესერებისა და მენშევიკებისთვის (პირადად მე მგონია, რომ მობრუნება ამას გვიკარნახებდა), ეს უნდა გვექნა ნათლად, აშკარად, სწრაფად, რათა მ ა შ ი ნ ვ ე გ ა-გ ვ ე თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ი ნ ა ბონაპარტისტ კერენსკის მეგობრების შესაძლებელი და მოსალოდნელი უარისთქმა ბოლშევიკებთან კომპრომისის დაშვებაზე.

უარი უკვე ითქვა «დელო ნაროდას» და «რაბოჩაია გაზეტას» სტატიებში თათბირის წ ი ნ ა დ ღ ი თ. საჭირო იყო რაც შეიძლება უფრო ოფიციალურად, აშკარად, ნათლად გვეთქვა, ე რ თ ი წ უ თ ი ს დაუხანებლად გვეთქვა მასებისთვის: ბბ. ესერებმა და მენშევიკებმა უარყვეს ჩვენი კომპრომისი, ძირს ესერები და მენშევიკები! თათბირს შეეძლო, ა ს ე თ ი ლოზუნგის აკომპანემენტით ქარხნებსა და ყაზარმებში, «სასაცილოდ გაეხადა» ზარუდნის გულუბრყვილობა!

«თათბირით» და მისი ვითარებით ერთგვარი გატაცების ატმოსფერო, როგორც ჩანს, სხვადასხვა მხრივ იქმნებოდა. ამხ. ზინოვიევის მხრივ შეცდომა იყო კომუნის შესახებ ისე ორაზროვნად (სულ ცოტა რომ ვთქვათ, ორაზროვნად) წერა,

რომ გამოდიოდა, თითქოს პიტერში გამარჯვებული კომუნა შეიძლება დამარცხდეს, როგორც ეს მოხდა საფრანგეთში 1871 წელსო. ეს აბსოლუტურად არ არის სწორი. პიტერში გამარჯვების შემდეგ კომუნა რუსეთშიც გაიმარჯვებდა. შეცდომა იყო აგრეთვე მისი მხრივ იმის წერა, რომ ბოლშევიკები კარგად მოიქცნენ, როცა პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმის პროპორციული შემადგენლობა ივარაუდესო. რევოლუციური პროლეტარიატი საბჭოში სასიკეთოს ვერასოდეს ვერაფერს გააკეთებს ბატონ წერეთლების ასე პროპორციულად დაშვებით: მათი დაშვება ნიშნავს მუშაობის შესაძლებლობა წაართვა საკუთარ თავს, ნიშნავს დაღუპო საბჭოთა მუშაობა. ამხ. კამენევის მხრივ შეცდომა იყო თათბირზე წმინდა «კონსტიტუციური» პირველი სიტყვის წარმოთქმა და სასაცილო საკითხის დაყენება მთავრობისადმი ნდობის თუ «უნდობლობის» შესახებ. თუ შეუძლებელი იყო ასეთ კრებაზე იმ სიმართლის თქმა კორნილოველ-კერენსკიზე, რომელიც უკვე ითქვა «რაბოჩიი პუტსა» და მოსკოვის «სოციალ-დემოკრატში» [17], რატომ არ უნდა დაემოწმებინათ ეს გაზეთები და დაედასტურებინათ მასების წინაშე, რომ თათბირს არ სურს მოისმინოს სიმართლე კორნილოველ-კერენსკის შესახებ?

პიტერელი მუშების დელეგაციების მხრივ შეცდომა იყო ორატორების გაგზავნა ასეთ თათბირზე ზარუდნის სიტყვის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ვითარება გამოირკვა. რა საჭირო იყო მარგალიტის გაბნევა კერენსკის მეგობრების წინაშე? რა საჭირო იყო პროლეტარული ძალების მოცდენა კომედიურ თათბირზე? რატომ არ უნდა გაგვეგზავნა იგივე დელეგაციები ისევე მშვიდობიანად და კანონიერად ყაზარმებსა და ყველაზე ჩამორჩენილ ფაბრიკებში? ეს მილიონჯერ უფრო სასარგებლო, უფრო საჭირბოროტო, უფრო სერიოზული და საქმიანი იქნებოდა, ვიდრე ალექსანდრინკაში გამგზავრება და იქ «ედინსტვოს» და კერენსკის თანამგრძნობ კოოპერატორებთან საუბარი.

ათ დარწმუნებულ ჯარისკაცს ან ჩამორჩენილი ფაბრიკის მუშას ათასჯერ მეტი ფასი აქვს, ვიდრე ლიბერდანების მიერ სხვადასხვა დელეგაციისგან შერჩეულ ასეულ დელეგატს. პარლამენტარიზმის გამოყენება — განსაკუთრებით რევოლუციურ ხანაში — იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ძვირფასი დრო დავკარგოთ სიდამპლის წარმომადგენლებზე, არამედ იმაში, რომ **ვასწავლოთ მასებს სიდამპლის მაგალითზე.**

იმავე პროლეტარულ დელეგაციებს რად არ უნდა «გამოეყენებინათ» თათბირი ისე, რომ გამოეცათ და ეჩვენებინათ ყაზარმებსა და ფაბრიკებში, ვთქვათ, ორი პლაკატი იმის განსამარტებლად, რომ თათბირი კომედიაა? ერთ პლაკატზე შეიძლებოდა დახატვა მასხარას ჩაჩით მორთული ზარუდნისა, რომელიც სცენაზე ცეკვავს და მღერის: «ჩვენ კერენსკიმ გადაგვაყენა, ჩვენ კერენსკიმ დაგვტოვა». ირგვლივ კი შემოკრებილა წერეთელი, ჩერნოვი, სკობელევი, კოოპერატორი ხელიხელგაყრილი ლიბერთან და დანთან, — ყველანი სიცილით გადაფიჩინებულან. წარწერა: «ისინი მხიარულობენ».

მეორე პლაკატი. იგივე ზარუდნი იმავე ხალხის წინაშე ამბობს: «თვენახევარი ვეკითხებოდი ყველას ზავის შესახებ. პასუხი არ მიმიღია». ხალხი დუმს, სახეებს «სახელმწიფო დარბაისლობის» გამომეტყველება აქვს მიცემული. განსაკუთრებით დარბაისელია წერეთელი, რომელიც შეუმჩნევლად იწერს უბის წიგნაკში: «რა ყეყეჩი ვინმეა ზარუდნი! ასეთი რეგვენი ნეხვს უნდა ეზიდებოდეს, მინისტრობა რა მისი საქმეა! კოალიციას იცავს და ასეულ ბოლშევიკზე უარესად აწბილებს მას! მინისტრი იყო და მინისტრული ლაპარაკი კი ვერ ისწავლა, აქაო–და თვენახევარი განუხრელად ვადევნებდი თვალყურს საზავო კამპანიის ზრდას და დარწმუნებული ვარ ეს კამპანია წარმატებით დამთავრდება სწორედ კოალიციის დროს სტოკჰოლმის დიად იდეასთან დაკავშირებითო და სხვა და სხვა. მაშინ ხომ იგივე «რუსსკაია ვოლია»[18]

ზარუდნისაც ქება-დიდებას შეასხამდა როგორც რუსეთის რევოლუციის რაინდს».

წარწერა: მეძავ მამაკაცთა «რევოლუციურ-დემოკრატიული» თათბირი.

დაწერილია თათბირის დ ა მ თ ა ვ რ ე ბ ა მ დ ე: პირველი ფრაზა გადაკეთდეს — მაგალითად, «არსებითად, დამთავრდა» და სხვ.

დაიბეჭდა შემოკლებით
1917 წ. 7 ოქტომბერს (24
სექტემბერს) გაზეთში
«რაბოჩიი პუტ» № 19
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება სრულად,
ხელნაწერის მიხედვით

პუბლიცისტის დღიურიდან

ჩვენი პარტიის შეცდომები

პარასკევი, 1917 წლის 22 სექტემბერი.

რაც უფრო მეტად უფიქრდები ეგრეთწოდებული დემოკრატიული თათბირის მნიშვნელობას, რაც უფრო ყურადღებით უკვირდები მას გარედან, — გარედან კი, როგორც იტყვიან, უფრო ჩანს, — მით უფრო მტკიცედ რწმუნდები, რომ ჩვენმა პარტიამ შეცდომა ჩაიდინა, როცა მასში მონაწილეობა მიიღო. საჭირო იყო მისთვის ბოიკოტის გამოცხადება. შეიძლება თქვან, რა აზრი აქვს ამ საკითხის განხილვასო. წარსულს ვეღარ დააბრუნებო. მაგრამ ასეთი პასუხი გუშინდელი დღის ტაქტიკის წინააღმდეგ აშკარად უმწეო იქნებოდა. ჩვენ ყოველთვის ვგმობდით და როგორც მარქსისტები ვალდებულიც ვართ დავგმოთ იმათი ტაქტიკა, ვინც «დღიდან-დღემდე» ცხოვრობს. ჩვენთვის წუთიერი წარმატებანი საკმარისი როდია. ჩვენთვის საერთოდაც არ კმარა ერთი წუთით ან დღით ანგარიში. ჩვენ მუდამ უნდა ვამოწმებდეთ ჩვენს თავს, უნდა ვ ს წ ა ვ ლ ო ბ დ ე თ პოლიტიკურ მოვლენათა ჯაჭვს მთლიანად, მათ მიზეზობრივ კავშირს, მათ შედეგებს. გუშინდელი დღის შეცდომების ანალიზით ჩვენ ვსწავლობთ შეცდომების თავიდან აცილებას დღესა და ხვალ.

ჩვენს ქვეყანაში აშკარად იზრდება ახალი რევოლუცია, რევოლუცია ს ხ ვ ა კლასებისა (იმათთან შედარებით, რომლებმაც განახორციელეს რევოლუცია ცარიზმის წინააღმდეგ). მაშინ იყო რევოლუცია პროლეტარიატისა, გლეხობისა და

ბურჟუაზიისა ინგლის-საფრანგეთის ფინანსურ კაპიტალთან კავშირში ცარიზმის წინააღმდეგ.

ახლა იზრდება რევოლუცია პროლეტარიატისა და გლეხების უმრავლესობისა, სახელდობრ: უღარიბესი გლეხობისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მისი მოკავშირის, ინგლის-საფრანგეთის ფინანსური კაპიტალის წინააღმდეგ, წინააღმდეგ მისი მმართველი აპარატისა, რომელსაც ბონაპარტისტი კერენსკი მეთაურობს.

ახლა აღარ შევჩერდებით ახალი რევოლუციის ზრდის დამადასტურებელ ფაქტებზე, ვინაიდან, ჩვენი ცენტრალური ორგანოს «რაბოჩიი პუტ»-ის სტატიების მიხედვით თუ განვსჯით, პარტიას უკვე გარკვეული შეხედულებები აქვს ამ საკითხზე. ახალი რევოლუციის ზრდა, მგონი, პარტიის მიერ საყოველთაოდ აღიარებული მოვლენაა. რა თქმა უნდა, რევოლუციის ამ ზრდის შესახებ ცნობების შეჯამება ჯერ კიდევ დაგვჭირდება, მაგრამ ეს ცნობები სხვა სტატიების თემას შეადგენს.

ამჟამად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ყველაზე მეტი ყურადღება მივაქციოთ კლასობრივ განსხვავებას ძველსა და ახალ რევოლუციას შორის, პოლიტიკური მომენტისა და ჩვენი ამოცანების აღრიცხვას ამ ძირითადი მოვლენის, კლასთა თანაფარდობის თვალსაზრისით. მაშინ, პირველი რევოლუციის დროს, ავანგარდს წარმოადგენდნენ მუშები და ჯარისკაცები, ე. ი. პროლეტარიატი და გლეხობის მოწინავე ფენები.

ამ ავანგარდმა თან გაიტაცა არა მარტო წვრილი ბურჟუაზიის მრავალი უცუდესი, მერყევი ელემენტი (გავიხსენოთ მენშევიკებისა და ტრუდოვიკების მერყეობა რესპუბლიკის საკითხში), არამედ კადეტების მონარქისტული პარტიაც, ლიბერალური ბურჟუაზია, და ის რესპუბლიკურ პარტიად გადააქცია. რატომ იყო შესაძლებელი ასეთი გარდაქმნა?

იმიტომ, რომ ბურჟუაზიისთვის ეკონომიური ბატონობა ყველაფერია, ხოლო პოლიტიკური ბატონობის ფორმა — ეს სასხვათაშორისო საქმეა; ბურჟუაზიას შეუძლია იბატონოს რესპუბლიკის დროსაც, მისი ბატონობა რესპუბლიკის დროს

უფრო ნამდვილიცაა იმ მხრივ, რომ ეს პოლიტიკური წყობილება არავითარი ცვლილებებით მთავრობის შემადგენლობაში, მმართველი პარტიების შემადგენლობასა და დაჯგუფებაში არ ეხება ბურჟუაზიას.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზია იცავდა და დაიცავს მონარქიას, იმიტომ რომ მონარქიული დაწესებულებების მიერ კაპიტალის უფრო ტლანქი, სამხედრო დაცვა ყველა კაპიტალისტისა და მემამულისათვის უფრო დასანახი და «ახლობელია». მაგრამ «ქვევიდან» ძლიერი მოწოლის დროს ბურჟუაზია ყოველთვის და ყველგან «ურიგდებოდა» ხოლმე რესპუბლიკას, ოღონდ თავისი ეკონომიური ბატონობა შეენარჩუნებინა.

ახლა პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა, ე. ი ხალხის უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა, ბურჟუაზიასთან და «მოკავშირე» (აგრეთვე მსოფლიო) იმპერიალიზმთან ისეთ დამოკიდებულებაში არიან, რომ ბურჟუაზიის თ ა ნ «გ ა ტ ა ც ე ბ ა» შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა. ეს კიდევ ცოტაა: წ ვ რ ი ლ ი ბურჟუაზიის ზედაფენები და დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი წვრილი ბურჟუაზიის უფრო შეძლებული ფენები აშკარად ახალი რევოლუციის წინააღმდეგი არიან. ეს ფაქტი იმდენად აშკარაა, რომ მასზე ახლა შეჩერება საჭირო აღარაა. ბატონი ლიბერდანები, წერეთლები და ჩერნოვები ცხადზე უცხადესად გვისურათებენ ამას.

შეიცვალა კლასთა ურთიერთდამოკიდებულება. ამაშია დედაარსი.

სხვა კლასები დგანან «ბარიკადის როგორც ერთ, ისე მეორე მხარეზე».

ეს არის მთავარი.

ეს და მ ხ ო ლ ო დ ეს არის მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი საფუძველი იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ ა ხ ა ლ რევოლუციაზე, რომელიც, წმინდა თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, საკითხს თუ აბსტრაქტულად ავიღებთ, შეიძლებოდა ლეგალურად მომხდარიყო, თუ, მაგალითად, ბურჟუაზიის მიერ მოწვეული დამფუძნებელი კრება უმრავლესობას მოგვცემდა ბურჟუაზიის

წინააღმდეგ, უმრავლესობას მისცემდა მუშებისა და უღარიბესი გლეხების პარტიებს.

კლასთა ობიექტური ურთიერთდამოკიდებულება, მათი როლი (ეკონომიური და პოლიტიკური) ამ ტიპის საწარმომადგენლო დაწესებულებებს გარეთ და მათ შიგნით; რევოლუციის აღმავლობა თუ დაცემა, ბრძოლის გარეპარლამენტურ და პარლამენტურ საშუალებათა თანაფარდობა — აი ის უმთავრესი, ძირითადი, ობიექტური მონაცემები, რომელნიც უნდა გავითვალისწინოთ, რათა ბოიკოტისა თუ მონაწილეობის ტაქტიკა გამოვიყვანოთ არა თვითნებურად, არა საკუთარი «სიმპათიების» მიხედვით, არამედ მარქსისტულად.

ჩვენი რევოლუციის გამოცდილება ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მივუდგეთ მარქსისტულად ბოიკოტის საკითხს.

რატომ აღმოჩნდა ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტი სწორი ტაქტიკა?

იმიტომ, რომ ის შეესაბამებოდა საზოგადოებრივ ძალთა განვითარების ობიექტურ თანაფარდობას. იგი იძლეოდა მზარდი რევოლუციის ლოზუნგს ძველი ხელისუფლების დამხობისთვის, იმ ხელისუფლებისა, რომელიც რევოლუციისაგან ხალხის ყურადღების ჩამოსაშორებლად იწვევდა შემთანხმებლურ, ტლანქად გაყალბებულ და ამიტომ პარლამენტარიზმისათვის «ხელჩაჭიდების» სერიოზულ პერსპექტივას მოკლებულ დაწესებულებას (ბულიგინის სათათბიროს). პროლეტარიატსა და გლეხობას ბრძოლის გარეპარლამენტური საშუალებანი უფრო ძლიერი ჰქონდათ. აი რა მომენტებისაგან ჩამოყალიბდა ბულიგინის სათათბიროს ბოიკოტის სწორი ტაქტიკა, რომელიც ანგარიშს უწევდა ობიექტურ მდგომარეობას.

რატომ აღმოჩნდა არასწორი III სათათბიროს ბოიკოტის ტაქტიკა?

იმიტომ, რომ იგი ეყრდნობოდა მხოლოდ ბოიკოტის ლოზუნგის «სიმკვეთრეს» და სამი ივნისის «ბოსლის» უტლანქესი რეაქციურობისადმი ზიზღს. მაგრამ ობიექტური მდგო-

მარეობა ისეთი იყო, რომ, ერთი მხრივ, რევოლუცია უდიდეს დაცემას განიცდიდა და უფრო და უფრო ეცემოდა. რევოლუციის აღმავლობისათვის პარლამენტურ დასაყრდენს (თუნდაც «ბოსლის» შიგნიდან) უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლეოდა, რადგან პროპაგანდის, აგიტაციის, ორგანიზაციის გარეპარლამენტური საშუალებანი თითქმის აღარ იყო ანდა მეტად სუსტი იყო. მეორე მხრივ, III სათათბიროს უტლანქესი რეაქციურობა ხელს არ უშლიდა მას კლასთა ნამდვილი ურთიერთდამოკიდებულების, სახელდობრ: მონარქიისა და ბურჟუაზიის სტოლიპინური შეერთების ორგანო ყოფილიყო. კლასთა ეს ახალი ურთიერთდამოკიდებულება ჩვენს ქვეყანას უნდა გადაელახა.

აი რა მომენტებისაგან ჩამოყალიბდა III სათათბიროში მონაწილეობის ტაქტიკა, რომელიც სწორად ითვალისწინებდა ობიექტურ მდგომარეობას.

საკმაოა ჩავუკვირდეთ გამოცდილების ამ გაკვეთილებს, ბოიკოტისა თუ მონაწილეობის საკითხისადმი მარქსისტული მიდგომის პირობებს, რომ «დემოკრატიულ თათბირში», «დემოკრატიულ საბჭოში» ან წინაპარლამენტში მონაწილეობის ტაქტიკის სრულ უმართებულობაში დავრწმუნდეთ.

ერთი მხრივ, იზრდება ახალი რევოლუცია. ომი ძლიერდება. პროპაგანდის, აგიტაციის, ორგანიზაციის გარეპარლამენტური საშუალებანი უდიდესია. «პარლამენტის» ტრიბუნის მნიშვნელობა ამ წინაპარლამენტში უმნიშვნელოა. მეორე მხრივ, ეს წინაპარლამენტი კლასთა არავითარ ახალ ურთიერთდამოკიდებულებას არ გამოხატავს და არ «ემსახურება»; გლეხობა, მაგალითად, აქ წარმოდგენილია უ ა რ ე ს ა დ, კიდრე უკვე არსებულ ორგანოებში (გლეხთა დეპუტატების საბჭოში). წინაპარლამენტის მთელი არსი — ბონაპარტისტული ს ი ყ ა ლ ბ ე ა არა მარტო იმ აზრით, რომ ლიბერდანების, წერეთლებისა და ჩერნოვების ბინძურმა ბანდამ კერენსკისა და კომპანიასთან ერთად შ ე ა კ ო წ ი წ ე ს, გააყალბეს ამ წერეთელ-ბულიგინის სათათბიროს შემადგენლობა, არაშედ იმ უფრო ღრმა აზრითაც, რომ წინაპარლამენტის

ერთადერთი დანიშნულებაა — მოატყუოს მასები, მოატყუოს მუშები და გლეხები, ჩამოაშოროს ისინი ახალ მზარდ რევოლუციას, თვალი აუხვიოს ჩაგრულ კლასებს ახალი სამოსელით ბურჟუაზიასთან ძ ვ ე ლ ი, უკვე ნაცადი, გაცვეთილი, ნათრევი «კოალიციისათვის», (ე. ი. იმისათვის, რომ ბურჟუაზიამ ბატონი წერეთელი და კომპანია აქციოს ისეთ ტაკიმასხარებად, რომლებიც ეხმარებიან მას იმაში, რომ ხალხი დაუმორჩილონ იმპერიალიზმსა და იმპერიალისტურ ომს).

ჩვენ ახლა სუსტნი ვართ — ეუბნება მეფე თავის მებატონე-მემამულეებს 1905 წლის აგვისტოში. — ჩვენი ძალაუფლება მერყეობს. მუშათა და გლეხთა რევოლუციის ტალღა ზვირთდება. საჭიროა მოვატყუოთ «ტეტია», თავი მოვუქონოთ მას...

ჩვენ ახლა სუსტნი ვართ — ეუბნება ახლანდელი «მეფე», ბონაპარტისტი კერენსკი, კადეტებს, უპარტიო ტიტ ტიტიჩებს, პლეხანოვებს, ბრეშკოვსკებსა და კომპანიას. — ჩვენი ძალაუფლება მერყეობს. მუშათა და გლეხთა რევოლუციის ტალღა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ზვირთდება. საჭიროა მოვატყუოთ დემოკრატია, რისთვისაც სხვაფერად უნდა შევღებოთ ის ტაკიმასხარული სამოსელი, რომლითაც დადიან 1917 წლის 6 მაისიდან, ხალხის გასაბრიყვებლად, ესერი და მენშევიკი «ბელადები რევოლუციური დემოკრატიისა», ჩვენი საყვარელი მეგობრები — წერეთლები და ჩერნოვები. ძნელი არ არის თავი მოვუქონოთ მათ «წინაპარლამენტით».

ჩვენ ახლა ძლიერნი ვართ — ეუბნება მეფე თავის მებატონე-მემამულეებს 1907 წლის ივნისში. — მუშათა და გლეხთა რევოლუციის ტალღა ეცემა. მაგრამ ძველებურად თავს ვეღარ გავიტანთ, და მარტო მოტყუება როდიღა კმარა. საჭიროა ახალი პოლიტიკა სოფლად, საჭიროა ახალი ეკონომიური და პოლიტიკური ბლოკი გუჩკოვ-მილიუკოვებთან, ბურჟუაზიასთანო.

ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ სამი სიტუაცია: 1905 წლის აგვისტო, 1917 წლის სექტემბერი, 1907 წლის ივნისი,

რათა უფრო თვალნათლივ გავარკვიოთ ბოიკოტის ტაქტიკის ობიექტური საფუძვლები, მისი კავშირი კლასთა ურთიერთდამოკიდებულებასთან. მჩაგვრელი კლასები ჩაგრულ კლასებს ყოველთვის ატყუებენ, მაგრამ ამ მოტყუებას სხვადასხვა ისტორიულ მომენტში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. შეუძლებელია ტაქტიკა მხოლოდ იმაზე დაამყარო, რომ მჩაგვრელები ხალხს ატყუებენ; ტაქტიკა უნდა განისაზღვროს ს ა ე რ თ ო დ კლასთა ურთიერთდამოკიდებულებისა და როგორც გარეპარლამენტური, ისე პარლამენტური ბრძოლის განვითარების ანალიზის საფუძველზე.

წინაპარლამენტში მონაწილეობის ტაქტიკა ს წ ო რ ი ა რ ა რ ი ს; იგი არ შეეფერება კლასთა ობიექტურ ურთიერთდამოკიდებულებას, მომენტის ობიექტურ პირობებს.

საჭირო იყო ბოიკოტი გამოგვეცხადებინა დემოკრატიული თათბირისათვის; ჩვენ ყველანი შევცდით, რომ ეს არ გავაკეთეთ, შეცდომა სიყალბედ არ იქცევა. შეცდომას ჩვენ გამოვასწორებთ, ოღონდ გულწრფელი სურვილი იყოს მასების რევოლუციური ბრძოლის მხარისდაჭერისა, ოღონდ სერიოზულად ჩავუფიქრდეთ ტაქტიკის ობიექტურ საფუძვლებს.

საჭიროა ბოიკოტი გამოვუცხადოთ წინაპარლამენტს. საჭიროა წავიდეთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოში, წავიდეთ პროფესიულ კავშირებში, წავიდეთ საერთოდ მასებთან. საჭიროა მოვუწოდოთ მ ა თ ბრძოლისაკენ. საჭიროა მივცეთ მ ა თ სწორი და ნათელი ლოზუნგი: გავრეკოთ კერენსკის ბონაპარტისტული ბანდა მ ი ს ი გაყალბებული წინაპარლამენტიანად, ამ წერეთელ-ბულიგინის სათათბიროიანად. მენშევიკებმა და ესერებმა არ მიიღეს, კორნილოველობის შემდეგაც კი, ჩვენი კომპრომისი, საბჭოებისათვის (სადაც მ ა შ ი ნ ჩვენ ჯერ კიდევ ა რ გვყავდა უმრავლესობა) ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემა, ისინი კვლავ კადეტებთან ბინძურ და მუხანათურ გარიგებათა ჭაობში ჩაეფლნენ. ძირს მენშევიკები და ესერები. დაუნდობელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ. მათი დაუნდობლად

განდევნა ყველა რევოლუციური ორგანიზაციიდან, არავითარი მოლაპარაკება, არავითარი ურთიერთობა კიშკინების ამ მეგობრებთან, კორნილოველი მემამულეებისა და კაპიტალისტების მეგობრებთან.

შაბათი, 23 სექტემბერი.

ტროცკი ბოიკოტს ემხრობოდა. ვაშა, ამხანაგო ტროცკი!

ბოიკოტიზმი დამარცხდა დემოკრატიულ თათბირზე ჩამოსული ბოლშევიკების ფრაქციაში.

გაუმარჯოს ბოიკოტს!

ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევურიგდებით მონაწილეობას და არც უნდა შევურიგდეთ. ერთ-ერთი თათბირის ფრაქცია — პარტიის უმაღლესი ორგანო როდია, და თვით უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებსაც გადასინჯვა ესაჭიროება, თანახმად ცხოვრების გამოცდილებისა.

საჭიროა, რადაც უნდა დაჯდეს, ვეცადოთ, რომ ბოიკოტის საკითხი გადაწყვიტოს აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმმაც და პარტიის სასწრაფო ყრილობამაც. საჭიროა ახლა ბოიკოტის საკითხი პლატფორმად გავიხადოთ ყრილობის არჩევნებისა და პარტიის შიგნით ყოველგვარი არჩევნებისათვის. საჭიროა ჩავაბათ მასები საკითხის განხილვაში. საჭიროა შეგნებულმა მუშებმა თვითონ აიღონ საქმე ხელში, ჩაატარონ ეს განხილვა და გავლენა მოახდინონ «ზედაფენებზე».

შეუძლებელია რაიმე ეჭვი იმის შესახებ, რომ ჩვენი პარტიის «ზედაფენებში» ემჩნევა მერყეობა, რომელიც შესაძლებელია დამღუპველი გახდეს, რადგან ბრძოლა ვითარდება, და განსაზღვრულ პირობებში, განსაზღვრულ მომენტში, მერყეობას შეუძლია დაღუპოს საქმე. ვიდრე გვიან არაა, საჭიროა მთელი ძალ-ღონით შევუდგეთ ბრძოლას, დავიცვათ რევოლუციური პროლეტარიატის პარტიის სწორი ხაზი.

ჩვენი პარტიის «პარლამენტურ» ზედაფენებში ყველაფერი რიგზე ვერ არის; მეტი ყურადღება მათდამი, მუშების

მეტი მეთვალყურეობა მათდამი; პარლამენტის ფრაქციათა კომპეტენცია უფრო მკაცრად უნდა განისაზღვროს.

ჩვენი პარტიის შეცდომა აშკარაა. მოწინავე კლასის მებრძოლ პარტიას შეცდომები ვერ შეაშინებს. საშიში იქნებოდა შეცდომის დაჟინება, მისი აღიარებისა და გამოსწორების ყალბი სირცხვილი..

კვირა, 24 სექტემბერი.

საბჭოების ყრილობა 20 ოქტომბრამდეა გადადებული. ეს თითქმის ბერძენთა კალენდებამდე გადადებას უდრის იმ ტემპის დროს, როგორითაც რუსეთი ცხოვრობს. მეორდება ის კომედია, რომელიც ესერებმა და მენშევიკებმა 20 — 21 აპრილის შემდეგ გაითამაშეს.

პირველად დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 3 (26)

იბეჭდება საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

რევოლუციის ამოცანები

რუსეთი წვრილბურჟუაზიული ქვეყანაა. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ამ კლასს ეკუთვნის. მისი მერყეობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის გარდუვალია. რევოლუციის საქმის, ზავის, თავისუფლების, მშრომელთა მიერ მიწის მიღების საქმის ადვილი, მშვიდობიანი, სწრაფი, მშვიდი გამარჯვება მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, თუ ეს კლასი შეუერთდა პროლეტარიატს.

ჩვენი რევოლუციის მსვლელობა გვიჩვენებს ამ მერყეობას პრაქტიკაში. მაშ ნუ მივეცემით ილუზიებს ესერებისა და მენშევიკების პარტიების შესახებ, მტკიცედ ვიდგეთ ჩვენს კლასობრივ პროლეტარულ გზაზე. უღარიბესი გლეხების სიღატაკე, ომის საშინელებანი, შიმშილობის საშინელებანი — ყოველივე ეს სულ უფრო და უფრო თვალნათლივ უჩვენებს მასებს პროლეტარული გზის სისწორეს, პროლეტარული რევოლუციის მხარისდაჭერის აუცილებლობას.

«მშვიდობიანი» წვრილბურჟუაზიული იმედები ბურჟუაზიასთან «კოალიციისა», მასთან შემთანხმებლობისა, დამფუძნებელი კრების «მალე» მოწვევის «მშვიდად» ლოდინის შესაძლებლობისა და სხვ., — ყოველივე ამას დაუნდობლად, მკაცრად, შეუბრალებლად ამსხვრევს რევოლუციის მსვლელობა. კორნილოველობა უკანასკნელი მკაცრი გაკვეთილი იყო, დიდი ზომის გაკვეთილი, რომელიც ავსებს ათასობით

სხვა წვრილმან გაკვეთილებს, იმ გაკვეთილებს, რომლებიც შესდგება ადგილებზე კაპიტალისტებისა და მემამულეების მიერ მუშებისა და გლეხების მოტყუებისაგან, გაკვეთილებს, რომლებიც შესდგება ოფიცრების მიერ ჯარისკაცთა მოტყუებისაგან და სხვ., და სხვ.

უკმაყოფილება, აღშფოთება, გაბოროტება ჯარში, გლეხობაში, მუშებში იზრდება. ყველაფრის დამპირებელი, მაგრამ არაფრის შემსრულებელი ესერებისა და მენშევიკების «კოალიცია» ბურჟუაზიასთან ანერვიულებს მასებს, თვალს უხელს მათ და აგულიანებს ასაჯანყებლად.

იზრდება მემარცხენეთა ოპოზიცია ესერებსა (სპირიდონოვა და სხვ.) და მენშევიკებში (მარტოვი და სხვ.); ეს ოპოზიცია უკვე ამ პარტიების «საბჭოს» და «ყრილობის» 40%-ს აღწევს. ხოლო ქ ვ ე მ ო თ, პროლეტარიატსა და გლეხობაში, განსაკუთრებით უღარიბეს გლეხობაში, ესერებისა და მენშევიკების უ მ ე ტ ე ს ო ბ ა «მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ნ ი» არიან.

კორნილოველობა ჭკუას გვასწავლის. კორნილოველობამ ბევრი რამ გვასწავლა.

შეუძლებელია იმის ცოდნა, შესძლებენ თუ არა ახლა საბჭოები წინ გაუსწრონ ესერებისა და მენშევიკების ბელადებს და ამით უზრუნველყონ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება, თუ ისინი კვლავ ერთი და იმავე ადგილის ტკეპნას დაიწყებენ და ამით პროლეტარულ აჯანყებას აუცილებელს გახდიან.

შეუძლებელია ამის ცოდნა.

ჩვენი საქმეა — ხელი შევუწყოთ, რომ გაკეთდეს რაც კი შესაძლებელია რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების «უკანასკნელი» შანსის უზრუნველსაყოფად, ხელი შევუწყოთ ამას ჩვენი პროგრამის გადმოცემით, მისი საყოველთაოსახალხო ხასიათის, მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებისა და მოთხოვნებისადმი მისი უეჭველი შესატყვისობის გარკვევით.

ქვემოთ მოყვანილი სტრიქონები წარმოადგენენ სწორედ ასეთი პროგრამის გადმოცემის ცდას.

წავიდეთ ამ პროგრამით უფრო «ქვედაფენებში», მასებთან, მოსამსახურეებთან, მუშებთან, გლეხებთან, არა მარტო ჩვენიანებთან, არამედ განსაკუთრებით ესერების მომხრეებთან, უპარტიოებთან, შეუგნებლებთან. შევეცადოთ ავამაღლოთ ისინი დამოუკიდებელ მსჯელობამდე, საკუთარ გადაწყვეტილებათა გამოტანამდე, თათბირზე, საბჭოებში, მთავრობაში საკუთარი დელეგაციების გაგზავნამდე, და მაშინ ჩვენი შრომა ფუჭად არ ჩაივლის, რანაირიც უნდა იყოს თათბირის შედეგი. მაშინ ეს პროგრამა გამოგვადგება თათბირისთვისაც, დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვისაც და საერთოდ ყოველგვარი პოლიტიკური მოღვაწეობისთვისაც.

ცხოვრება გვასწავლის, რომ ბოლშევიკური პროგრამა და ტაქტიკა სწორია. 20 აპრილიდან კორნილოველობამდე — «რა ცოტაა განვლილი, რა ბევრია განცდილი».

მასების გამოცდილებამ, ჩაგრული კლასების გამოცდილებამ ამ ხნის განმავლობაში მეტად ბევრი რამ მისცა მათ, და ესერებისა და მენშევიკების ბელადები სავსებით დაშორდნენ მასებს. ეს ყველაზე მეტი სისწორით გამოჩნდება სწორედ უკონკრეტულეს პროგრამაზე, რამდენადაც მოვახერხებთ და მის განხილვას მასებამდე დავიყვანთ.

კაპიტალისტებთან შემთანხმებლობის დამლუკველობა

1. ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიის წარმომადგენელთა დატოვება, თუნდაც მცირე რაოდენობით, დატოვება ისეთი აშკარა კორნილოველებისა, როგორიც არიან გენერლები ალექსეევი, კლემბოვსკი, ბაგრატიონი, გაგარინი და სხვ., ანდა ისეთებისა, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი სრული უმწეობა ბურჟუაზიის წინაშე და თავიანთი უნარი ბონაპარტისტულად მოქმედებისა, როგორც კერენსკიმ, — ეს იმას ნიშნავს, რომ ფართოდ გავუღოთ კარი, ერთი მხრივ, შიმშილობასა და გარდუვალ სამეურნეო კატასტროფას, რომელსაც

კაპიტალისტები განგებ აჩქარებენ და ამწვავებენ, ხოლო, მეორე მხრივ, სამხედრო კატასტროფას, ვინაიდან ჯარს სძულს მთავარი ბანაკი და არ შეუძლია ენთუზიაზმით მიიღოს მონაწილეობა იმპერიალისტურ ომში. გარდა ამისა, კორნილოველი გენერლები და ოფიცრები, რაკი მათ ძალაუფლება ექნებათ, უეჭველად განგებ გაუხსნიან ფრონტს გერმანელებს, როგორც ეს მათ უკვე ჩაიდინეს გალიციისა და რიგის მიმართ. ამის თავიდან აცილება შეუძლია მხოლოდ ახალი მთავრობის შედგენას, ახალ საფუძვლებზე, რაც ქვემოთაა გადმოცემული. ყოველივე იმის შემდეგ, რაც განვიცადეთ 20 აპრილიდან, ბურჟუაზიასთან რაიმე შემთანხმებლობის განგრძობა ესერებისა და მენშევიკების მხრივ იქნებოდა არა მარტო შეცდომა, არამედ ხალხისა და რევოლუციის პირდაპირი ღალატი.

ძალაუფლება საბჭოებს

2. მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში უნდა გადავიდეს მხოლოდ და მხოლოდ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების წარმომადგენლების ხელში განსაზღვრული პროგრამის საფუძველზე და იმ პირობით, რომ ხელისუფლება სრული პასუხისმგებელი იქნება საბჭოების წინაშე. დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს საბჭოების გადარჩევა, როგორც იმისათვის, რომ ანგარიში გაეწიოს ხალხის მთელ გამოცდილებას რევოლუციის უკანასკნელი, შინაარსით განსაკუთრებით მდიდარი, კვირეების განმავლობაში, ისე იმ აშკარა უსამართლობის მოსასპობად (არჩევნების არაპროპორციულობა, უთანასწორობა და სხვ.), რაც აქა-იქ გამოუსწორებელი დარჩენილა.

მთელი ძალაუფლება ადგილებზე, სადაც ჯერ კიდევ არ არის დემოკრატიულად არჩეული დაწესებულებები, და ჯარში უნდა გადავიდეს მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი საბჭოების და მათ მიერ არჩეული კომისრებისა და სხვა, მხოლოდ არჩევითს, დაწესებულებათა ხელში.

უეჭველად და ყოველგან, სახელმწიფოს მხრივ სრული დახმარებით, უნდა განხორციელდეს მუშებისა და რევოლუციური, ე. ი. ისეთი ჯარების შეიარაღება, რომელთაც საქმით დაამტკიცეს, რომ უნარი შესწევთ კორნილოველების ჩახშობისა.

ზავი ხალხებს

3. საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ წინადადება უნდა მისცეს ყველა მეომარ ხალხს (ე. ი. იმავე დროს მათს მთავრობებსაც, მუშათა და გლეხთა მასებსაც) ახლავე შეჰკრან საერთო ზავი დემოკრატიული პირობების საფუძველზე, აგრეთვე დადონ დაუყოვნებლივ დროებითი ზავი (თუნდაც სამი თვით).

დემოკრატიული ზავის მთავარი პირობაა ანექსიებზე (მიტაცებებზე) ხელის აღება — არა იმ უმართებულო აზრით, რომ ყველა სახელმწიფო უკან იბრუნებს დანაკარგს, არამედ იმ ერთადერთი სწორი გაგებით, რომ ყოველი ეროვნება, სრულიად გამოუკლებლივ, როგორც ევროპაში, ისე კოლონიებში, იღებს თავისუფლებას და შესაძლებლობას თვითონ გადაწყვიტოს, ქმნის იგი ცალკე სახელმწიფოს თუ შედის რომელიმე სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ხოლო როდესაც საბჭოთა მთავრობა აყენებს ზავის პირობებს, ის დაუყოვნებლივ თვითონ უნდა შეუდგეს საქმით მათს შესრულებას, ე. ი. მან უნდა გამოაქვეყნოს და გააუქმოს საიდუმლო ხელშეკრულებები, რომლებითაც აქამდე შებორკილი ვართ, რომელნიც დადებულია მეფის მიერ და რუსეთის კაპიტალისტებს ჰპირდებიან თურქეთის, ავსტრიისა და სხვათა გაძარცვას. შემდგომ ჩვენ ვალდებული ვართ მყისვე დავაკმაყოფილოთ უკრაინელებისა და ფინელების პირობები, უზრუნველვყოთ მათთვის, როგორც რუსეთის ყველა სხვა ტომელისათვის, სრული თავისუფლება — გამოყოფის თავისუფლების ჩათვლით, ასევე უნდა მოვიქცეთ მთელი სომხეთის მიმართაც. ვიკისროთ ვალდებულება, რომ დაეც-

ლით მას და ჩვენს მიერ დაკავებულ თურქეთის მიწა-წყალს და სხვ.

ასეთ საზავო პირობებს კაპიტალისტები კეთილგანწყობილად როდი შეხვდებიან; მაგრამ ყველა ხალხში ეს პირობები ისეთ დიდ თანაგრძნობას გამოიწვევს, ისეთ დიდ, მსოფლიო-ისტორიულ ენთუზიაზმს და მძარცველური ომის გაჭიანურებით ისეთს საყოველთაო აღშფოთებას წარმოშობს, რომ, ყველაზე მოსალოდნელია, ჩვენ ერთბაშად მივიღებთ დროებითს ზავს და თანხმობას საზავო მოლაპარაკების დაწყებაზე. ვინაიდან ომის წინააღმდეგ მუშათა რევოლუცია ყველგან შეუჩერებლივ იზრდება, და მისი წინწაწევა შეუძლია არა ფრაზებს ზავის შესახებ (რომლებითაც დიდი ხანია ატყუებს მუშებსა და გლეხებს ყ ვ ე ლ ა იმპერიალისტური მთავრობა, მათ შორის ჩვენი, კერენსკის მთავრობაც), არამედ მხოლოდ კაპიტალისტებთან კავშირის გაწყვეტას და ზავის წინადადების წამოყენებას.

თუ ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი რამ განხორციელდა, ე. ი. თუ არც ერთმა მეომარმა სახელმწიფომ დროებითი ზავიც კი არ მიიღო, მაშინ ომი ჩვენი მხრივ ნამდვილად იძულებითი, ნამდვილად სამართლიანი და თავდაცვითი ომი შეიქნება. უკვე მარტო ამის შეგნება პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მიერ რუსეთს სამხედრო მხრივაც ბევრად უფრო გააძლიერებს, განსაკუთრებით ხალხის მძარცველ კაპიტალისტებთან კავშირის სრული გაწყვეტის შემდეგ, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ მაშინ ჩვენი მხრივ ომი სიტყვით კი არა, საქმით გადაიქცევა ომად ყველა ქვეყნის ჩაგრულ კლასებთან კავშირში, ომად მთელი მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებთან კავშირში.

კერძოდ, საჭიროა გავაფრთხილოთ ხალხი არ დაუჯერონ კაპიტალისტების იმ მტკიცებას, რაც ზოგჯერ სჯერათ ყველაზე უფრო დაშინებულთ და მეშჩანებს, და რაც იმაში მდგომარეობს, ვითომც ინგლისის და სხვა კაპიტალისტებს, თუ ჩვენ მათთან ახლანდელი, მძარცველური კავშირი გავწყვიტეთ, შეუძლიათ სერიოზულად ავნონ რუსეთის რევოლუციას.

ეს მტკიცება თავიდან ბოლომდე ყალბია, რადგან «მოკავშირეთა ფინანსური დახმარება» ამდიდრებს ბანკირებს, ხოლო რუსეთის მუშებს და გლეხებს მხოლოდ ისე «ეხმარება», როგორაც თოკი ჩამოხრჩობილს. რუსეთს საყოფად აქვს პური, ქვანახშირი, ნავთობი, რკინა; საჭიროა მხოლოდ თავიდან მოვიშოროთ ხალხის მძარცველი მემამულეები და კაპიტალისტები, რომ სწორად გავანაწილოთ ეს პროდუქტები. რაც შეეხება რუსეთის ხალხისადმი ახლანდელი მისი მოკავშირეების მხრივ შესაძლო სამხედრო მუქარას, იმის ვარაუდი, თითქოს ფრანგებს და იტალიელებს შეეძლოთ თავიანთი ჯარები შეუერთონ გერმანიის ჯარებს და დაძრან ისინი სამართლიანი ზავის შემთავაზებელი რუსეთის წინააღმდეგ — აშკარად სულელური ვარაუდია; ხოლო ინგლისი, ამერიკა, იაპონია, კიდევაც რომ გამოუცხადონ მათ ომი რუსეთს (რაც მათთვის უაღრესად საძნელო საქმეა, როგორც იმის გამო, რომ ასეთი ომი მასებში მეტისმეტად არაპოპულარული იქნება, ისე ამ ქვეყნების კაპიტალისტთა მატერიალური ინტერესების სხვადასხვაობის გამო აზიის გაყოფის გულისთვის, და განსაკუთრებით ჩინეთის გაძარცვის გულისთვის), ვერ მიაყენებენ რუსეთს იმ ვნებისა და უბედურებათა მეასედსაც კი, რასაც გერმანიასა, ავსტრიასა და თურქეთთან ომი აყენებს მას.

მიწა მშრომელებს

4. საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ გაუქმებულად უნდა გამოაცხადოს მემამულეთა მიწების კერძო საკუთრება გამოუსყიდველად და ეს მიწები გადასცეს გლეხთა კომიტეტების გამგებლობაში, ვიდრე ამ საკითხს დამფუძნებელი კრება გადაწყვეტდეს. ამავე გლეხთა კომიტეტების გამგებლობაში უნდა გადაეცეს მემამულეთა ინვენტარიც იმ პირობით, რომ ეს ინვენტარი უეჭველად უპირველეს ყოვლისა და უფასოდ გადაეცემა გამოსაყენებლად უღარიბეს გლეხებს.

ასეთი ლონისძიებები, რომელთაც დიდი ხანია მოითხოვს გლეხობის უდიდესი უმრავლესობა თავისი ყრილობების რეზოლუციებშიც და ასობით ადგილობრივ განაწესშიც

(როგორც ეს ჩანს, სხვათა შორის, გლეხთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიაში»[19] დაბეჭდილ 242 განაწესის შეჯამებიდან), უეჭველ და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს. საქმის რაიმე გაჭიანურება, რომლითაც ასე იჩაგრებოდა გლეხობა «კოალიციური» სამინისტროს დროს, ამიერიდან შეუწყნარებელია.

ყოველი მთავრობა, რომელიც დააყოვნებდა ამ ღონისძიებების გატარებას, აღიარებულ უნდა იქნეს ანტიხალხურ მთავრობად, იმის ღირსად, რომ დამხობილ და გასრესილ იქნეს მუშათა და გლეხთა აჯანყებით. და, პირიქით, საყოველთაო-სახალხო მთავრობა მხოლოდ ის მთავრობა იქნება, რომელიც ამ ღონისძიებებს განახორციელებს.

ბრძოლა შიმშილობასა და რღვევასთან

5. საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა შემოიღოს მუშათა კონტროლი საერთო-სახელმწიფო მასშტაბით წარმოებისა და მოხმარების მიმართ. უამისოდ, როგორც უკვე ცხადყო 6 მაისის გამოცდილებამ, რეფორმების ყოველგვარი დაპირება და მათი ცდა უძლურია, და კვირა-კვირაზე შიმშილობა მოელის მთელ ჩვენს ქვეყანას გაუგონარ კატასტროფასთან ერთად.

საჭიროა ბანკებისა და დაზღვევის საქმის, აგრეთვე მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების (ნავთობის, ქვანახშირის, მეტალურგიის, შაქრისა და სხვ.) დაუყოვნებლივი ნაციონალიზაცია, კომერციული საიდუმლოების უეჭველ გაუქმებასთან და მუშებისა და გლეხების მხრივ კაპიტალისტების უმნიშვნელო უმცირესობაზე განუხრელი მეთვალყურეობის დაწესებასთან ერთად, კაპიტალისტების, რომლებიც ხაზინისათვის საქონლის მიწოდებით ჯიბეს ისქელებენ და თავს არიდებენ ანგარიშგებასა და მათი მოგებისა და ქონების სამართლიან დაბეგვრას.

ასეთი ღონისძიებები, ერთი კაპიკის საკუთრებასაც არ ართმევს რა არც საშუალო გლეხებს, არც კაზაკებს, არც წვრილ ხელოსნებს, უეჭველად სამართლიანია ომის სიმძიმის

თანაბრად ზიდვისათვის და გადაუდებელია შიმშილობასთან საბრძოლველად. მხოლოდ კაპიტალისტების თარეშის ალაგმვით და მათ მიერ წარმოების განზრახ შეჩერების შეწყვეტით შეიძლება მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, შრომის საყოველთაო ბეგრის დაწესებას, მრეწველობის პროდუქტებზე პურის სწორ გადაცვლას, ხაზინისათვის მრავალი მილიარდი ქაღალდის ფულის დაბრუნებას, რომელსაც მდიდრები მალავენ.

ასეთ ღონისძიებათა მიუღებლად შეუძლებელია გამოუსყიდველად მემამულეთა მიწების საკუთრების გაუქმებაც, რადგან მემამულეთა მიწები უმეტეს ნაწილად დაგირავებულია ბანკებში და მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესები ერთმანეთთან განუყრელად არის გადახლართული.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ეკონომიური განყოფილების უკანასკნელი რეზოლუცია («რაბოჩაია გაზეტა» № 152) აღიარებს არა მარტო მთავრობის ღონისძიებათა «დ ა მ ღ უ პ ვ ე ლ ო ბ ა ს» (მაგალითად, მემამულეებისა და კულაკების გასამდიდრებლად პურის ფასების აწევა), არა მარტო «მთავრობასთან დაარსებული ეკონომიური ცხოვრების მომწესრიგებელი ცენტრალური ორგანოების ს რ უ ლ ი უ მ ო ქ მ ე დ ო ბ ი ს ფ ა ქ ტ ს», არამედ ამ მთავრობის მიერ «კ ა ნ ო ნ თ ა დ ა რ ღ ვ ე ვ ა ს ა ც». ესერებისა და მენშევიკების მმართველი პარტიების ეს აღიარება ერთხელ კიდევ ცხადყოფს ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის პოლიტიკის მთელ დანაშაულებრივობას.

ბრძოლა მემამულეებისა და კაპიტალისტების კონტრრევოლუციასთან

6. კორნილოვისა და კალედინის აჯანყებას მხარი დაუჭირა მემამულეთა და კაპიტალისტთა მთელმა კლასმა, კადეტთა («სახალხო თავისუფლების») პარტიის მეთაურობით. ეს უკვე სავსებით დამტკიცებულია ფაქტებით, რომლებიც გამოქვეყნდა ცაკ-ის «იზვესტიაში».

მაგრამ არც ამ კონტრრევოლუციის სრული ჩახშობისათვის, არც მისი გამოძიებისათვისაც კი არაფერი გაკეთებულა, და ვერც გაკეთდება რაიმე სერიოზული, თუ ძალაუფლება საბჭოების ხელში არ გადავიდა. ვერავითარი კომისია, თუ მას სახელმწიფოებრივი ძალაუფლება არ ექნა, ვერ შესძლებს სრული გამოძიების ჩატარებას, დამნაშავეთა დაპატიმრებას და სხვა. მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეუძლია და უნდა გააკეთოს კიდეც ეს. მხოლოდ მას შეუძლია დააპატიმროს კორნილოველი გენერლები და ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის მეთაურები (გუჩკოვი, მილიუკოვი, რიაბუშინსკი, მაკლაკოვი და კომპანია), დაშალოს კონტრრევოლუციური კავშირები (სახელმწიფო სათათბირო, ოფიცერთა კავშირები და სხვ.), დაუქვემდებაროს მათი წევრები ადგილობრივი საბჭოების მეთვალყურეობას, დაშალოს ჯარის კონტრრევოლუციური ნაწილები და უზრუნველყოს რუსეთი, რომ არავითარ შემთხვევაში აღარ განმეორდეს «კორნილოველთა» ცდა.

მხოლოდ მას შეუძლია შექმნას კომისია კორნილოველთა საქმის სრული და საჯარო გამოძიებისათვის, აგრეთვე ყველა იმ საქმის გამოძიებისათვის, რომლებიც თუნდაც ბურჟუაზიის მიერ იყოს აღძრული, — და თავის მხრივ ბოლშევიკების პარტია მოუწოდებდა მუშებს მხოლოდ ასეთ კომისიას განუცხადონ სრული მორჩილება და ალმოუჩინონ სრული დახმარება.

მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შეუძლია წარმატებით ებრძოლოს ისეთ აღმაშფოთებელ უსამართლობას, როგორიცაა კაპიტალისტების მიერ ხალხისაგან ნაძარცვი მილიონების მეოხებით უდიდესი სტამბებისა და გაზეთების უმრავლესობის ხელში ჩაგდება. საჭიროა ბურჟუაზიული კონტრრევოლუციური გაზეთების («რეჩ», «რუსსკოე სლოვო»[20] და სხვ.) დახურვა, მათი სტამბების კონფისკაცია, გაზეთებში კერძო განცხადებების სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადება, ამ განცხადებათა გადატანა მთავრობის გაზეთში, რომელსაც საბჭოები სცემენ და რომელიც გლეხებს სიმართლეს ეუბნება. მხოლოდ ასე შეიძლება და ასე უნდა გავაგდებინოთ

ბურჟუაზიას ხელიდან დაუსჯელი სიცრუისა და ცილისწამების, ხალხის მოტყუების, გლეხობის შეცდომაში შეყვანის, კონტრრევოლუციის მომზადების მძლავრი იარაღი.

რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება

7. რუსეთის დემოკრატიის, საბჭოების, ესერებისა და მენშევიკების პარტიების წინაშე ახლა იშლება რევოლუციათა ისტორიაში მეტისმეტად იშვიათი შესაძლებლობა — უზრუნველყონ დამფუძნებელი კრების დანიშნულ ვადაზე მოწვევა ხელახლა გაუჭიანურებლად, შესაძლებლობა — უვნებელყონ ჩვენი ქვეყანა სამხედრო და სამეურნეო კატასტროფისაგან, შესაძლებლობა — უზრუნველყონ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება.

თუ საბჭოები ახლა აიღებენ, მთლიანად და განუყოფლად, სახელმწიფო ძალაუფლებას ზემოხსენებული პროგრამის განსახორციელებლად, საბჭოებს უზრუნველყოფილი ექნებათ არა მარტო რუსეთის მოსახლეობის ცხრა მეათედის, მუშათა კლასისა და გლეხობის უდიდესი უმრავლესობის მხარისდაჭერა. საბჭოებს უზრუნველყოფილი ექნებათ ჯარისა და ხალხის უმრავლესობის უდიდესი რევოლუციური ენთუზიაზმიც, ის ენთუზიაზმი, ურომლისოდაც შიმშილსა და ომზე გამარჯვება შეუძლებელია.

ახლა საბჭოებისადმი არავითარ წინააღმდეგობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა, ისინი რომ მერყეობას არ იჩენდნენ. ვერც ერთი კლასი ვერ გაბედავს საბჭოების წინააღმდეგ აჯანყებას, და მემამულეებიც და კაპიტალისტებიც, კორნილოველობის გამოცდილებით ჭკუანასწავლნი, მშვიდობიანად დათმობენ ძალაუფლებას საბჭოების ულტიმატური მოთხოვნით. იმისათვის, რომ საბჭოების პროგრამისადმი კაპიტალისტების წინააღმდეგობა დავძლიოთ, საკმაო იქნება ექსპლოატატორებზე მუშებისა და გლეხების მეთვალყურეობა და ურჩთათვის სასჯელის ისეთი ზომების დაწესება, როგორიცაა მთელი ქონების კონფისკაცია ხანმოკლე დაპატიმრებასთან ერთად.

თუ მთელ ძალაუფლებას აიღებენ, საბჭოებს ახლაც შეუძლიათ — და, ალბათ, ეს მათი უკანასკნელი შანსია — უზრუნველყონ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება, ხალხის მიერ თავისი დეპუტატების მშვიდობიანად არჩევა, საბჭოების შიგნით პარტიების მშვიდობიანი ბრძოლა, სხვადასხვა პარტიის პროგრამათა გამოცდა პრაქტიკით, ერთი პარტიის ხელიდან მეორე პარტიის ხელში ძალაუფლების მშვიდობიანი გადასვლა.

თუ ეს შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული, რევოლუციის განვითარების მთელი მსვლელობა, დაწყებული 20 აპრილის მოძრაობით და გათავებული კორნილოველობით, ცხადყოფს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ფრიად მწვავე სამოქალაქო ომის აუცილებლობას. გარდუვალი კატასტროფა მოგვიახლოებს ამ ომს. იგი უნდა დამთავრდეს, როგორც ამას ადამიანის გონებისათვის მისაწვდომი ყველა მონაცემი და მოსაზრება გვიჩვენებს, მუშათა კლასის სრული გამარჯვებით, ულარიბესი გლეხობის მიერ მისდამი მხარისდაჭერით, ზემოხსენებული პროგრამის განსახორციელებლად; მაგრამ შეიძლება იგი ფრიად მძიმე, სისხლისმღვრელი აღმოჩნდეს, შეიძლება იგი სიცოცხლედ დაუჯდეს ათი ათასობით მემამულეს, კაპიტალისტს და მათ თანამგრძნობ ოფიცერს. პროლეტარიატი არავითარი მსხვერპლის წინაშე არ შეჩერდება რევოლუციის ხსნისათვის, რაც შეუძლებელია ზემოხსენებული პროგრამის გარეშე. მაგრამ პროლეტარიატი ყოველმხრივ მხარს დაუჭერდა საბჭოებს, ისინი რომ განახორციელებდნენ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების თავიანთ უკანასკნელ შანსს.

«რაბოჩიი პუტ» № № 20 და 21;
1917 წ. 9 და 10 ოქტომბერი
(26 და 27 სექტემბერი)
ხელმოწერა: ნ. კ.

იბეჭდება გაზეთ «რაბოჩიი პუტის» ტექსტის მიხედვით

წერილი ფინეთის არმიის, ფლოტისა და მუშათა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარეს

ვსარგებლობ კარგი შემთხვევით გესაუბროთ რაც შეიძლება დაწვრილებით.

1

საერთო პოლიტიკური მდგომარეობა დიდ საგონებელში მაგდებს. პეტროგრადის საბჭომ და ბოლშევიკებმა ომი გამოუცხადეს მთავრობას. მაგრამ მთავრობას ჯარი ჰყავს და სისტემატურად ემზადება (კერენსკი მთავარ ბანაკშია, ცხადია, კორნილოველებს უთანხმდება ჯარის შესახებ ბოლშევიკების ჩასახშობად და საქმიანადაც უთანხმდება).

ჩვენ კი რას ვშვრებით? მხოლოდ რეზოლუციებს ვიღებთ? დროს ტყუილა ვკარგავთ, «ვადებს» ვნიშნავთ (20 ოქტომბერს საბჭოების ყრილობაა — სასაცილო არ არის ასე გადადება? სასაცილო არ არის ამას დავეყრდნოთ?). ბოლშევიკები სისტემატურ მუშაობას არ ეწევიან, **საკუთარი** სამხედრო ძალები რომ მოამზადონ კერენსკის დასამხობად.

ამბებმა სავსებით დაადასტურეს დემოკრატიული თათბირის დროს ჩემს მიერ წამოყენებული წინადადების სისწორე, სახელდობრ ის, რომ პარტიამ დღის წესრიგში უნდა დააყენოს შეიარაღებული აჯანყება-მეთქი *. ამბები გვაიძულებენ ასე მოვიქცეთ. ისტორიამ ამჟამად ძირითად პოლიტიკურ საკითხად სამხედრო საკითხი გახადა. ვშიშობ,

* იხ. ეს ტომი, გვ. 1—4. რედ.

რომ ბოლშევიკები ივიწყებენ ამას, რადგან გატაცებული არიან «დღიური ჭირვარამით», წვრილმანი მიმდინარე საკითხებით და «იმედოვნებენ», რომ «ტალღა აღგვის კერენსკის». ასეთი იმედი გულუბრყვილობაა, ეს იგივეა, რომ დაეყრდნო «ვინ იცის»-ს. რევოლუციური პროლეტარიატის პარტიის მხრივ ეს შეიძლება დანაშაული აღმოჩნდეს.

ჩემი აზრით, საჭიროა აგიტაციის გაწევა პარტიაში სერიოზულად მოეპყრან შეიარაღებულ აჯანყებას — ამისთვის საწერ მანქანაზე გადაიბეჭდოს ეს წერილიც და დაურიგდეს ის პიტერელებსა და მოსკოველებს.

2

შემდეგ თქვენი როლის შესახებ. მგონი, ერთადერთი, რაც სავსებით შეიძლება ჩვენს ხელთ იყოს და რაც სერიოზულ სამხედრო როლს ასრულებს, ეს არის ფინეთის ჯარი და ბალტიის ფლოტი. ჩემი აზრით, თქვენ უნდა ისარგებლოთ თქვენი მაღალი მდგომარეობით, თანაშემწეებსა და მდივნებს უნდა გადააკისროთ მთელი წვრილმანი, რუტინული სამუშაო, არ დაჰკარგოთ დრო «რეზოლუციებზე» და მთელი ყურადღება მიაპყროთ ფინეთის ჯარის + ფლოტის სამხედრო მომზადებას კერენსკის ახლო მომავალში დასამხობად. უნდა შექმნათ ფარული კომიტეტი **უაღრესად საიმედო** სამხედრო პირთაგან, განიხილოთ მათთან ერთად ყოველმხრივ, შეკრიბოთ (და თვითონვე შეამოწმოთ) უაღრესად ზუსტი ცნობები პიტერთან და პიტერში მდგომი ჯარების შემადგენლობისა და განლაგების შესახებ, ფინეთის ჯარების პიტერში გადაყვანის შესახებ, ფლოტის მოძრაობის შესახებ და სხვ.

ჩვენ სასაცილო 'რეგვნები აღმოვჩნდებით, თუ ეს არ გავაკეთეთ: აღმოვჩნდებით საუცხოო რეზოლუციებით და საბჭოებით, მაგრამ უძალაუფლებოდ!! ჩემი აზრით, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა შეარჩიოთ ნამდვილად საიმედო და მცოდნე სამხედრო პირნი, წახვიდეთ ინოში[21] და

სხვა დიდმნიშვნელოვან პუნქტებში, აწონ-დაწონოთ და ს ე რ ი ო ზ უ ლ ა დ შეისწავლოთ საქმე, ნუ დაენდობით ჩვენში მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ მკვეხარა ზოგად ფრაზებს.

ჩვენ რომ **ვერავითარ შემთხვევაში** ვერ დავუშვებთ ჯარების გაყვანას ფინეთიდან, ეს ცხადია. უმჯობესია **ყველაფერს** დავთანხმდეთ, აჯანყებას, ძალაუფლების აღებას, — რათა ის ხაბეჭოების ყრილობას გადავცეთ. დღევანდელ გაზეთებში ვკითხულობ, რომ ორი კვირის შემდეგ უკვე დესანტის საშიშროება ნულს უდრის. მაშასადამე, დრო მოსამზადებლად ხულ ცოტა დაგრჩენიათ.

3

შემდეგ. ფინეთში «ძალაუფლება» უნდა გამოიყენოთ სისტემატური პროპაგანდის გასაწევად კაზაკებში, რომლებიც აქ ფინეთში იმყოფებიან. მათი ნაწილი კერენსკიმ და კომპანიამ განგებ გაიყვანეს ვიბორგიდან, მაგალითად, «ბოლშევიზაციის» შიშით, და დააყენეს უსიკირკოსა და პერკიარვიში, ვიბორგსა და ტერიოკს შორის, უშიშარ (ბოლშევიკებისგან) იზოლაციაში. უნდა შეისწავლოთ მთელი ცნობები კაზაკთა განლაგების შესახებ და მოაწყოთ ა გ ი ტ ა ტ ო რ თ ა რ ა ზ მ ე ბ ი ს გაგზავნა მათთან ფინეთის საუკეთესო მატროსთა და ჯარისკაცთაგან. ეს აუცილებლად საჭიროა. იგივე ითქმის ლიტერატურის შესახებაც.

4

შემდეგ. რა თქმა უნდა, შვებულება მატროსებსაც ეძლევათ და ჯარისკაცებსაც. სოფლად მოსანახულებლად გაშვებულთაგან უნდა შეადგინოთ აგიტატორთა რაზმები ყველა გუბერნიის სისტემატურად ჩამოსავლელად და სოფლად აგიტაციის გასაწევად, როგორც საერთოდ, ისე დამფუძნებელი კრების სასარგებლოდაც. თქვენი მდგომარეობა განსაკუთრებით კარგია, რადგან თქვენ შეგიძლიათ ერთბაშად დ ა ი წ ყ ო თ შემარცხენე ესერებთან იმ ბლოკის განხორციელება, რომელსაც ერთადერთს შეუძლია მოგვცეს მტკიცე ხელისუფლება

რუსეთში და უმრავლესობა დამფუძნებელ კრებაში. ვიდრე იქ დავიდარაბაა, დაუყოვნებლივ შეჰკარით ასეთი ბ ლ ო კ ი მანდ, მოაწყვეთ ფურცლების გამოშვება (გამოარკვიეთ, რის გაკეთება შეგიძლიათ ამისთვის ტექნიკურად და რუსეთში მათ გადასატანად) და მაშინ საჭიროა, რომ სოფლისთვის განკუთვნილ აგიტატორთა თვითეულ ჯგუფში იყოს არა ნაკლებ **ორი** კაცისა: ერთი ბოლშევიკებისგან და ერთიც მემარცხენე ესერებისგან. სოფლად ჯერჯერობით ესერების «ფირმაა» გაბატონებული, და უნდა ისარგებლოთ თქვენი იღბლით (თქვენ მემარცხენე ესერები გყავთ), რომ **ამ** ფირმის **სახელით** ჩაატაროთ სოფლად ბოლშევიკების ბლოკი **მემარცხენე** ესერებთან, გლეხებისა მუშებთან და არა კაპიტალისტებთან.

5

ჩემი აზრით, ხალხის კარგად მოსამზადებლად, ახლავე უნდა წამოვისროლოთ ლოზუნგი: ძალაუფლება დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეს პეტროგრადის საბჭოს ხელში, რ ო მ ე ლ ი ც ა მ ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა ს გ ა დ ა ს ც ე მ ს საბჭოების ყრილობას. ვინაიდან რად უნდა მოვითმინოთ კიდევ სამი კვირის ომი და კერენსკის «კორნილოვური მზადება».

ბოლშევიკებისა და მემარცხენე ესერების მიერ ფინეთში ამ ლოზუნგის **პროპაგანდიდან** სარგებლობის მეტი არაფერი იქნება.

6

რადგან თქვენ «ხელისუფლების» სათავეში დგახართ ფინეთში, თქვენ გეკისრებათ კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი, თუმცა ამოცანის მხრივ უბრალო საქმე: მოაგვაროთ ლიტერატურის არალეგალურად გადმოგზავნა **შვეციიდან.** უამისოდ ყოველგვარი ლაპარაკი «ინტერნაციონალის» შესახებ ფ რ ა ზ ა ა. ამის მოგვარება სავსებით შესაძლებელია: ჯერ-ერთი, ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ი ს გ ა ნ საკუთარი ორგანიზაციის შექმნით საზღვარზე: მეორეც, თუ ეს შეუძლებელია, წ ე ს ი ე რ ი მ ი მ ო ს ვ ლ ი ს მოწყობით თუნდაც **ერთი** საიმედო კაცისა

ერთ ადგილას, სადაც მე დავიწყე ტრანსპორტის მოგვარება ი მ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს დახმარებით, ვ ი ს თ ა ნ ა ც ვ ც ხ ო ვ რ ო ბ დ ი ე რ თ ი დ ღ ე ჰელსინგფორსში ჩასვლამდე (როვიო მას იცნობს). შესაძლოა, ცოტა ფულადი დახმარებაც დარჩეს საჭირო. უსათუოდ მოაგვარეთ ეს!

7

ვფიქრობ, საჭიროა ჩვენი შეხვედრა ამ თემებზე მოსალაპარაკებლად. თქვენ შეგეძლოთ ჩამოსვლა, რაზედაც დღეღამეზე ნაკლებს დაჰკარგავთ, მაგრამ თუ მ ხ ო ლ ო დ ჩემს შესახვედრად წამოხვალთ, აიძულეთ როვიო შეეკითხოს ხუტუნენს ტელეფონით, შეუძლია თუ არა როვიოს «ცოლის დამ» («ცოლის და» = თქვენ) ინახულოს ხუტუნენის «და» (და = მე). ვინაიდან მე შეიძლება უეცრად წავიდე.

უეჭველად მიპასუხეთ ამ წერილის მიღების შესახებ (წ ე რ ი ლ ი კ ი დ ა წ ვ ი თ) იმავე ამხანაგის მეშვეობით, რომელიც ამ წერილს გადასცემს როვიოს და **რომელიც მალე გამობრუნდება უკან.**

იმ შემთხვევაში, თუ აქ დიდხანს დავრჩები, საჭიროა მოვაგვაროთ ფოსტა: **თქვენ შეგეძლოთ დაგვხმარებოდით** ამ საქმეში იმით, რომ რკინიგზელ მოსამსახურეებს გადასცემთ კონვერტებს ვიბორგის **საბჭოს** სახელზე (შიგნით კი წააწერთ: ხუტუნენს).

8

იმავე ამხანაგის ხელით გამომიგზავნეთ მოწმობა (რაც შეიძლება უფრო ფორმალური: საოლქო კომიტეტის ბლანკზე, თავმჯდომარის ხელმოწერით, ბეჭედდასმული, საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ან ძ ა ლ ი ა ნ გ ა რ კ ვ ე ვ ი თ დ ა წ ე რ ი ლ ი): კონსტანტინე პეტრეს-ძე ივანოვის სახელზე, რომ საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე თავდებობს ამ ამხანაგს და თხოვს ყ ვ ე ლ ა ს ა ბ ჭ ო ს, როგორც **ვ ი ბ ო რ გ ი ს** ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, ისე სხვა საბჭოებს, ს რ უ ლ ი

ნდობით მოეპყრან მას, ხელი შეუწყონ და დახმარება აღმოუჩინონ.

მე ეს მესაჭიროება **ყოველ** შემთხვევისთვის, რადგან შესაძლებელია «კონფლიქტიც» და «შეხვედრაც».

9

ხომ არა გაქვთ მოსკოვის კრებული «პროგრამის გადასინჯვისათვის»[22]? მონახეთ ვინმესთან ჰელსინგფორსში და გამომიგზავნეთ იმავე ამხანაგის ხელით.

10

მხედველობაში იქონიეთ, რომ როვიო საუცხოო კაცია, მაგრამ **ზარმაცი.** მას ყური უნდა უგდოთ და დღეში ორჯერ **მოაგონოთ.** თორემ არ გააკეთებს.

სალამით კ. ივანოვი

დაწერილია 1917 წ.
27 სექტემბერს (10 ოქტომბერს)

პირველად დაიბეჭდა 1925 წ.
7 ნოემბერს გაზეთში
«პრავდა» № 255

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲬᲘᲤᲓᲐ[23]

I

ეჭვი არ არის, სექტემბრის დამლევმა უდიდესი გარდატეხა მოგვიტანა რუსეთის რევოლუციის და, როგორც ჩანს, აგრეთვე მსოფლიო რევოლუციის ისტორიაშიც.

მსოფლიო მუშათა რევოლუცია დაიწყო ცალკეულ პიროვნებათა გამოსვლებით, რომლებიც თავდადებული მამაცობით წარმოადგენდნენ ყველაფერს, რაც კი პატიოსანი რამ დარჩენილა დამპალი ოფიციალური «სოციალიზმისაგან», საქმით კი სოციალ-შოვინიზმისაგან. ლიბკნეხტი გერმანიაში, ადლერი ავსტრიაში, მაკლინი ინგლისში — ასეთია ყველაზე უფრო ცნობილი სახელები ამ ცალკეული გმირებისა, რომლებმაც იკისრეს მსოფლიო რევოლუციის წინამორბედთა მძიმე როლი.

ამ რევოლუციის ისტორიულ მომზადებაში მეორე ეტაპი იყო ფართო მასობრივი მღელვარება, რომელიც გამოხატულებას პოულობდა ოფიციალური პარტიების გათიშვის ფორმაშიც, არალეგალურ გამოცემათა ფორმაშიც და ქუჩის დემონსტრაციების ფორმაშიც. ძლიერდებოდა პროტესტი ომის წინააღმდეგ — იზრდებოდა მთავრობის მხრივ დევნის მსხვერპლთა რიცხვიც. საპყრობილეები იმ ქვეყნებისა, რომლებიც განთქმული იყვნენ თავიანთი კანონიერებით და თავისუფლებითაც კი — გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ინგლისისა, ივსებოდა ათეული და ასეული ინტერნაციონალისტებით,

Россійская Соціалъ-Демократическая Рабочая Партія.

Цѣна 20 коп.

Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйтесь!

Центральный органъ Р. С.-Д. Р. П.

РАБОЧІЙ ПУТЬ

№ 30 Суббота ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТА. 20-го Октября (7-го октября ст. ст.) 1917 г.

Товарищи рабочіе, солдаты и крестьяне! Готовьтесь къ Всероссійскому Съѣзду Совѣтовъ на 20-ое октября! Немедленно созывайте областные Съѣзды Совѣтовъ!

Сегодня въ номерѣ

Отголоски.

პირველი გვერდი გაზეთისა «რაბოჩიი პუტ» № 30, 1917 წ. 20 (7) ოქტომბერი, რომელშიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია: «კრიზისი მომწიფდა»

დაპატარავებულია

ომის მოწინააღმდეგეებით, მუშათა რევოლუციის მომხრეებით.

ახლა დადგა მესამე ეტაპი, რომელსაც შეიძლება რევოლუციის წინადღე ვუწოდოთ. პარტიის ბელადთა მასობრივი დაპატიმრებანი თავისუფალ იტალიაში და განსაკუთრებით სამხედრო აჯანყებათა დასაწყისი გერმანიაში — აი უეჭველი ნიშნები უდიდესი გარდატეხისა, ნიშნები რევოლუციის წინადღისა მსოფლიო მასშტაბით.

ეჭვი არ არის, გერმანიაში წინათაც ყოფილა ჯარში ამბოხების ცალკეული შემთხვევები, მაგრამ ეს შემთხვევები იმდენად წვრილმანი, იმდენად დაქსაქსული, იმდენად სუსტი იყო, რომ შესაძლებელი ხდებოდა მათი მიჩქმალვა, მიფუჩეჩება — და ეს იყო მთავარი ამბოხებათა მასობრივი გადამდებლობის აღსაკვეთად. ბოლოს, ფლოტში მომწიფდა ისეთი მოძრაობაც, როცა უკვე ვეღარ მოხერხდა მისი ვერც მიჩქმალვა და ვერც მიფუჩეჩება, მიუხედავად გერმანიის სამხედრო-კატორღული რეჟიმის საარაკოდ დამუშავებული და წარმოუდგენელი პედანტიზმით დაცული სისასტიკისა.

დაეჭვება შეუძლებელია. ჩვენ ვდგავართ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ზღურბლზე. და რადგან ჩვენ, რუსეთის ბოლშევიკები, ყველა ქვეყნის ყველა პროლეტარულ ინტერნაციონალისტებს შორის ერთადერთნი ვსარგებლობთ შედარებით უდიდესი თავისუფლებით, გვაქვს ღია პარტია, ორი ათეული გაზეთი, ჩვენს მხარეზეა დედაქალაქების მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, ჩვენს მხარეზეა რევოლუციურ ხანაში ხალხის მასების უმრავლესობა, ამიტომ ჭეშმარიტად ჩვენზე შეიძლება და კიდეც უნდა ითქვას სიტყვები: ვისაც ბევრი მიეცა, მას ბევრიც მოეთხოვება.

II

რუსეთში რევოლუციის გარდატეხის მომენტი უეჭველია.

გლეხურ ქვეყანაში, სადაც რევოლუციური, რესპუბლიკური მთავრობაა და ამ მთავრობას მხარს უჭერენ პარტიები

ესერებისა და მენშევიკებისა, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიაში ბატონობდნენ, გლეხთა აჯანყება იზრდება.

ეს დაუჯერებელია, მაგრამ ეს ფაქტია.

და ჩვენც, ბოლშევიკებს, ეს ფაქტი არ გვაკვირვებს, ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ ბურჟუაზიასთან ყბადაღებული «კოალიციის» მთავრობა არის მთავრობა დემოკრატიზმისა და რევოლუციის ღალატისა, მთავრობა იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტისა, მთავრობა ხალხისაგან კაპიტალისტების და მემამულეების დაცვისა.

რუსეთში, ესერებისა და მენშევიკების მატყუარობის წყალობით, რესპუბლიკის არსებობისას, რევოლუციის დროს, საბჭოების გვერდით, დარჩა და რჩება კაპიტალისტებისა და მემამულეების მთავრობა. ასეთია მწარე და მრისხანე სინამდვილე. რაღა გასაკვირველია, თუ რუსეთში, გაუგონარ უბედურებათა დროს, რასაც ხალხს იმპერიალისტური ომის გაჭიანურება და მისი შედეგები აყენებენ, დაიწყო და იზრდება გლეხთა აჯანყება?

რაღა გასაკვირველია, თუ ბოლშევიკების მოწინააღმდეგენი, ესერების ოფიციალური პარტიის ბელადები, იმ პარტიისა, რომელიც მუდამ მხარს უჭერდა «კოალიციას», სწორედ იმ პარტიისა, რომელსაც უკანასკნელ დღეებამდე თუ უკანასკნელ კვირეებამდე ხალხის უმრავლესობა ემხრობოდა, სწორედ იმ პარტიისა, რომელიც განაგრძობს იმ «ახალი» ესერების ძაგებასა და დევნას, რომლებიც დარწმუნდნენ კოალიციის პოლიტიკით გლეხობის ინტერესების ღალატში, — ესერების ოფიციალური პარტიის ეს ბელადები თავიანთი ოფიციალური ორგანოს, «დელო ნაროდას» 29 სექტემბრის სარედაქციო მოწინავე სტატიაში წერენ:

...«დღემდე ხითქმის არაფერი გაკეთებულა იმ კაბალური ურთიერთობის მოსასპობად, რომელიც ჯერ კიდევ გაბატონებულია სწორედ ცენტრალური რუსეთის სოფელში... სოფლად საადგილმამულო ურთიერთობის მოწესრიგების კანონი, რომელიც დიდი ხანია უკვე შეტანილია დროებითს მთავრობაში და რომელმაც ისეთი განსაწმედელიც კი განვლო, როგორიცაა

იურიდიული თათბირი, ეს კანონი სადღაც კანცელარიებში გაეჩხირა საშუდამოდ... განა მართალნი არა ვართ, როდესაც ვამტკიცებთ, რომ ჩვენი რესპუბლიკური მთავრობა ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა მეფისდროინდელი მართვა-გამგეობის ძველ ჩვეულებათაგან, რომ სტოლიპინური მუხრუჭი ჯერ კიდევ მძლავრად იჩენს თავს რევოლუციური მინისტრების მოქმედებაში?»

ასე წერენ ოფიციალური ესერები! აბა დაუფიქრდით: კოალიციის მომხრენი ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი არიან აღიარონ, რომ გლეხურ ქვეყანაში რევოლუციის შვიდი თვის შემდეგ «თითქმის არაფერი გაკეთებულა» გლეხების «დამონების მოსასპობად», მემამულეების მიერ მათი დამონების მოსასპობად! ეს ესერები ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი არიან თავიანთ კოლეგას კერენსკის და მისი მინისტრების მთელ ბანდას ს ტ ო ლ ი პ ი ნ ე ლ ე ბ ი უწოდონ.

შეიძლება განა ჩვენი მოწინააღმდეგეების ბანაკში მოიძებნოს უფრო მეტევრმეტყველური მოწმობა, რომელიც ადასტურებდეს არა მარტო იმას, რომ კოალიცია გაკოტრდა, არა მარტო იმას, რომ ოფიციალური ესერები, რომლებიც კერენსკის ითმენენ, ხ ა ლ ხ ი ს მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე, გ ლ ე ხ თ ა მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე, კ ო ნ ტ რ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პ ა რ ტ ი ა გახდნენ, არამედ იმასაც, რომ მთელი რუსეთის რევოლუცია გარდატეხას განიცდის?

გლეხთა აჯანყება გლეხურ ქვეყანაში კერენსკის, ესერის, ნიკიტინისა და გვოზდევის, მენშევიკების, და სხვა მინისტრების მთავრობის წინააღმდეგ, მინისტრების, რომლებიც კაპიტალისა და მემამულეთა ინტერესების წარმომადგენლები არიან! ამ აჯანყების ჩაქრობა რესპუბლიკური მთავრობის ს ა მ ხ ე დ რ ო ზ ო მ ე ბ ი თ.

განა შესაძლებელია კიდევ ასეთი ფაქტების წინაშე პროლეტარიატის კეთილსინდისიერი მომხრე იყო და უარყოფდე, რომ კრიზისი მომწიფებულია, რომ რევოლუცია უდიდეს გარდატეხას განიცდის, რომ მთავრობის გამარჯვება გლეხთა აჯანყებაზე ახლა რევოლუციის საბოლოო დასამარება, კორნილოველობის საბოლოო ზეიმი იქნებოდა?

III

თავისთავად ცხადია, რომ, თუ გლეხურ ქვეყანაში, დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის შვიდი თვის შემდეგ, საქმე შეიძლებოდა გლეხთა აჯანყებამდე მისულიყო, მაშინ იგი უდავოდ ამტკიცებს რევოლუციის საერთო-ნაციონალურ კრახს, მის კრიზისს, რომელმაც არნახულ ძლიერებას მიაღწია, კონტრრევოლუციური ძალების უკანასკნელ ზღვარამდე მისვლას.

ეს თავისთავად ცხადია. ისეთი ფაქტის წინაშე, როგორიცაა გლეხთა აჯანყება, ყველა დანარჩენ პოლიტიკურ სიმპტომს, თუნდაც ისინი ამ საერთო-ნაციონალური კრიზისის მომწიფებას ეწინააღმდეგებოდეს, სრულიად არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა.

მაგრამ ყველა სიმპტომი, პირიქით, სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ საერთო-ნაციონალური კრიზისი მომწიფდა.

აგრარული საკითხის შემდეგ რუსეთის საერთო-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული მასებისთვის, ნაციონალურ საკითხს. და ჩვენ ვხედავთ, რომ ბატონ წერეთლისა და კომპანიის მიერ გაყალბებულ «დემოკრატიულ» თათბირზე, «ნაციონალური» კურია რადიკალიზმის მიხედვით მეორე ადგილს იჭერს, ჩამოუვარდება მხოლოდ პროფესიულ კავშირებს და კოალიციის წინააღმდეგ მიცემული ხმების პროცენტით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების კურიაზე უფრო მაღლა დგას (55-დან 40). კერენსკის მთავრობას, გლეხთა აჯანყების ჩამქრობ მთავრობას, ფინეთიდან გამოჰყავს რევოლუციური ჯარები, რათა ფინეთის რეაქციულ ბურჟუაზიას ზურგი გაუმაგროს. უკრაინაში საერთოდ უკრაინელების და კერძოდ უკრაინელი ჯარების კონფლიქტები მთავრობასთან უფრო და უფრო ხშირდება.

შემდეგ ავიღოთ ჯარი, რომელსაც ომიანობის დროს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ჩვენ დავინახეთ ფინეთის ჯარისა და

ბალტიის ფლოტის სრული გ ა ნ დ გ ო მ ა მთავრობისაგან. ჩვენ ვხედავთ ჩვენებას ოფიცერ დუბასოვისას, არა ბოლშევიკისას, რომელიც მთელი ფრონტის სახელით ლაპარაკობს და ლაპარაკობს ყველა ბოლშევიკზე უფრო რევოლუციურად, ჯარისკაცები მეტს აღარ იომებენო [24]. ჩვენ ვხედავთ მთავრობის ცნობებს იმის შესახებ, რომ ჯარისკაცთა განწყობილება «ნერვულია», რომ «წესიერების» (ე. ი. გლეხთა აჯანყების ჩაქრობაში ამ ჯარების მონაწილეობის) თავდებობა შეუძლებელია. დასასრულ, ჩვენ ვხედავთ კენჭისყრას მოსკოვში, სადაც ჩვიდმეტი ათასი ჯარისკაციდან თოთხმეტი ათასი ხმას აძლევს ბოლშევიკებს.

ეს კენჭისყრა მოსკოვის რაიონულ თვითმმართველობათა არჩევნებში საერთოდ საერთო-ნაციონალურ სულისკვეთებაში მომხდარი უღრმესი შემობრუნების ერთ-ერთი ყველაზე განსაცვიფრებელი ნიშანია. მოსკოვი რომ პიტერზე უფრო წვრილბურჟუაზიულია, ეს საყოველთაოდ ცნობილია. მოსკოვის პროლეტარიატს რომ გაცილებით მეტი კავშირი აქვს სოფელთან, მეტი სიმპათიები აქვს სოფლისადმი, ის რომ უფრო დაახლოებულია სოფლის გლეხურ განწყობილებასთან, — ეს ფაქტია, მრავალგზის დადასტურებული და უდავო.

და აი მოსკოვში ესერებისა და მენშევიკების ხმები 70 პროცენტიდან ივნისში 18 პროცენტამდე ჩამოდის. წვრილმა ბურჟუაზიამ ზურგი აქცია კოალიციას, ხალხმა ზურგი აქცია მას, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. კადეტები გაძლიერდნენ 17 პროცენტიდან 30 პროცენტამდე, მავრამ უმცირესობად დარჩნენ, უიმედო უმცირესობად, მიუხედავად მათთან «მემარჯვენე» ესერებისა და «მემარჯვენე» მენშევიკების აშკარა შეერთებისა. ხოლო «რუსსკიე ვედომოსტი» [25] ამბობს, რომ კადეტებისთვის მიცემულ ხმათა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რიცხვი 67 ათასიდან 62 ათასამდე ჩამოვიდა. მხოლოდ ბოლშევიკების ხმები გაიზარდა 34 ათასიდან 82 ათასამდე. მათ მიიღეს მთელი ხმების რიცხვის 47 პროცენტი. ჩვენ რომ ახლა მემარცხენე ესერებთან ერთად უმრავლესობა გვყავს

საბჭოებშიც, ჯარშიც და ჩ ვ ე ნ ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი ც, ამაში ოდნავი ეჭვის შეტანაც კი შეუძლებელია.

ხოლო იმ სიმპტომების რიცხვს, რომელთაც არა მარტო სიმპტომატური, არამედ მეტად რეალური მნიშვნელობაც აქვთ, უნდა მიეკუთვნოს ისიც, რომ უდიდესი საერთო-ეკონომიური, საერთო-პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობის მქონე რკინიგზელთა და ფოსტის მოსამსახურეთა არმიებს კვლავ მწვავე კონფლიქტი აქვთ მთავრობასთან, ამასთან მენშევიკი-ობორონცებიც კი უკმაყოფილონი არიან «თავიანთი» მინისტრის ნიკიტინისა, ხოლო ოფიციალური ესერები კერენსკის და კომპანიას «სტოლიპინელებს» უწოდებენ. განა ცხადი არ არის, რომ მენშევიკებისა და ესერების მხრივ მთავრობისათვის ასეთ «მხარისდაჭერას», თუ კი აქვს მნიშვნელობა, მხოლოდ უარყოფითი მნიშვნელობა აქვს?

IV

V

დიახ, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბელადები ბურჟუაზიისა და მემამულეების დაცვის სწორ ტაქტიკას აწარმოებენ. ოდნავი ეჭვიც კი არ არის, რომ ბოლშევიკები, თუ ისინი თავს გაიბამდნენ კონსტიტუციური ილუზიების, საბჭოების ყრილობის და დამფუძნებელი კრების მოწვევის «რწმენის», საბჭოების ყრილობის «ლოდინის» და სხვათა მახეში, — ეჭვი არ არის, რომ ასეთი ბოლშევიკები პროლეტარული საქმის უ ბ ა დ რ უ კ ი მ ო ღ ა ლ ა ტ ე ნ ი აღმოჩნდებოდნენ.

ისინი იქნებოდნენ მისი მოღალატენი, რადგან თავიანთი საქციელით გასცემდნენ გერმანელ რევოლუციურ მუშებს, რომლებმაც აჯანყება დაიწყეს ფლოტში. ასეთ პირობებში საბჭოების ყრილობის «ლოდინი» და სხვ. — ღ ა ლ ა ტ ი ა ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ს ა, ღალატია საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის საქმისა.

ვინაიდან ინტერნაციონალიზმი მდგომარეობს არა ფრაზებში, არა სოლიდარობის გამოხატვაში, არა რეზოლუციებში, არამედ ს ა ქ მ ე შ ი.

ბოლშევიკები გ ლ ე ხ ო ბ ი ს მოღალატენი იქნებოდნენ, რადგან მოთმენა გლეხთა აჯანყების ჩაქრობისა მთავრობის მიერ, რომელსაც «დელო ნაროდაც» კ ი სტოლიპინელებს ადარებს — ნიშნავს მთელი რევოლუციის დ ა ღ უ პ ვ ა ს, სამუდამოდ და საბოლოოდ მის დაღუპვას. გაჰყვირიან ანარქიისა და მასების გულგრილობის ზრდაზე: აბა როგორ არ უნდა იყვნენ მასები არჩევნებისადმი გულგრილნი, თუ გლ ე ხ ობ ა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა მ დ ე მ ი ი ყ ვ ა ნ ე ს, ხოლო ეგრეთწოდებული «რევოლუციური დემოკრატია» მოთმინებით იტანს სამხედრო ძალით მის ჩაქრობას!!

ბოლშევიკები დემოკრატიისა და თავისუფლების მოღალატენი იქნებოდნენ, რადგან გლეხთა აჯანყების ჩაქრობის ატანა ასეთ მომენტში იმას **ნიშნავს,** რომ დაუშვა დამფუძნებელი კრების არჩევნების ს წ ო რ ე დ ი ს ე — და კიდევ უარესადაც, უფრო ტლანქადაც — გაყალბება, როგორც «დემოკრატიული თათბირი» და «წინაპარლამენტი» გააყალბეს.

კრიზისი მომწიფდა. რუსეთის რევოლუციის მთელი მომავალი განსაცდელშია. ბოლშევიკების პარტიის მთელი ღირსება კითხვის ქვეშაა. სოციალიზმისთვის მუშათა საერთაშორისო რევოლუციის მთელი მომავალი განსაცდელშია.

კრიზისი მომწიფდა...

1917 წ. 29 სექტემბერი.

ამ ადგილამდე შეიძლება დაიბეჭდოს, გაგრძელება კ ეუნდა **დაურიგდეს** ც. კ-ის, პ. კ-ის, მ. კ-ისა და **საბჭოების** წევრებს.

VI

მაშ რა ვაკეთოთ? საჭიროა **aussprechen was ist,** «ვთქვათ, რაც არის», ვაღიაროთ სიმართლე, რომ ჩვენს

ც. კ-სა და პარტიის ზედაფენებში არის მიმდინარეობა თუ აზრი საბჭოების ყრილობის ლ ო დ ი ნ ის სასარგებლოდ, ხელისუფლების დაუყოვნებლივ აღების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, დაუყოვნებლივი აჯანყების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. საჭიროა **დავძლიოთ** ეს მიმდინარეობა **თუ აზრი**[26].

წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლშევიკები სამუდამოდ თავს **შეირცხვენენ** და **არარად იქცევიან**, როგორც პარტია.

ვინაიდან ასეთი მომენტის ხელიდან გაშვება და საბჭოების ყრილობის «ლოდინი» — ს რ უ ლ ი ი დ ი ო ტ ი ზ მ ი ან ს რ უ ლ ი ღ ა ლ ა ტ ი ა.

სრული ღალატია გერმანელი მუშებისა. ხომ ვერ დავუცდით მათი რევოლუციის დ ა წ ყ ე ბ ა ს!! მაშინ ლიბერდანებიც კი მისი «მხარისდაჭერის» მომხრენი იქნებიან. მაგრამ იგი ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა დაიწყოს, ვიდრე ხელისუფლების საათავეში კერენსკი, კიშკინი და კომპანია დგანან.

სრული ღალატია გლეხობისა. როდესაც ორივე დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ი ს საბჭოები ჩვენს ხელთაა, გლეხთა აჯანყების ჩაქრობის ვინმესთვის დანებება, ეს ნიშნავს დ ა ჰ კ ა რ გ ო და დ ა მ ს ა ხ ურ ე ბ უ ლ ა დ ა ც დ ა ჰ კ ა რ გ ო გლეხთა ყოველგვარი ნდობა, ეს ნიშნავს გლეხების თვალში ლიბერდანებს და სხვა არამზადებს გაუტოლდე.

საბჭოების ყრილობის «ლოდინი» სრული იდიოტიზმია, **რადგან** ეს ნიშნავს **კვირეების** ხელიდან გაშვებას, ხოლო კვირეები და დღეებიც კი ახლა **ყველაფრის** გადამწყვეტია. ეს ნიშნავს ხელისუფლების აღების ლაჩრულად უ ა რ ყ ო ფ ა ს, **რადგან** 1—2 ნოემბერს ეს შეუძლებელი იქნება (პოლიტიკურადაც და ტექნიკურადაც: შეაგროვებენ კაზაკებს სულელურად «დანიშნული» * აჯანყების დღისათვის).

საბჭოების ყრილობის «ლოდინი» იდიოტიზმია, რადგან ყრილობა **ვ ე რ ა ფ ე რ ს მ ო გ ვ ც ე მ ს, მას არაფრის მოცემა არ შეუძლია!**

* საბჭოების ყრილობის «მოწვევა» 20 ოქტომბრისათვის «ხელისუფლების აღების» გადასაწყვეტად, — რითღა განსხვავდება ეს აჯანყების სულელურად «დანიშვნისაგან»?? ახლა ხელისუფლების აღება შეიძლება, ხოლო 20 — 29 ოქტომბერს მის აღებას არავინ დაგანებებთ.

«მორალური» მნიშვნელობა? საკვირველია!! რეზოლუციებისა და ლიბერდანებთან ლაყბობის «მნიშვნელობა», როდესაც ვიცით, რომ საბჭოები **მხარს უჭერენ** გლეხებს და რომ გლეხთა აჯანყებას ა ხ შ ო ბ ე ნ!! ამით ჩვენ ს ა ბ ჭ ო ე ბ ს უბადრუკ სალაყბოდ გადავაქცევთ. ჯერ კერენსკი დაამარცხეთ და მერე მოიწვიეთ ყრილობა.

ახლა აჯანყების გამარჯვება ბოლშევიკებისთვის **უზრუნველყოფილია:** 1) ჩვენ შეგვიძლია * (თუ საბჭოების ყრილობას არ «დავუცდით») მ ო უ ლ ო დ ნ ე ლ ა დ დავკრათ სამი პუნქტიდან, პიტერიდან, მოსკოვიდან, ბალტიის ფლოტიდან; 2) ჩვენ ისეთი ლოზუნგები გვაქვს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენთვის მხარისდაჭერას: ძირს მთავრობა, რომელიც ახშობს გლეხთა აჯანყებას მემამულეების წინააღმდეგ! 3) ჩ ვ ე ნ ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი უმრავლესობას შევადგენთ; 4) მენშევიკებსა და ესერებს შორის სრული დაშლაა; 5) ჩვენ ტექნიკური შესაძლებლობა გვაქვს ავიღოთ მოსკოვში ხელისუფლება (მოსკოვს შეუძლია დაიწყოს კიდევაც, რათა დააბნიოს მტერი მოულოდნელობით); 6) პიტერში ჩვენ გვყავს **ათასობით** შეიარაღებული მუშა და ჯარისკაცი, რომლებსაც შეუძლიათ **ერთბაშად** აიღონ ზამთრის სასახლეც, გენერალური შტაბიც, ტელეფონების სადგურიც და ყველა დიდი სტამბაც; იქიდან ფეხს ვერავინ მოგვაცვლევინებს, ხოლო **ჯარში** ისეთი აგიტაცია გაჩაღდება, რომ **შეუძლებელი** გახდება ბრძოლა ზავის, გლეხებისთვის მიწის და სხვათა მიმცემი ამ მთავრობის წინააღმდეგ.

ჩვენ რომ ერთბაშად, მოულოდნელად, დაგვერტყა სამი პუნქტიდან, პიტერიდან, მოსკოვიდან და ბალტიის ფლოტიდან, ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი შანსი იყო იმისა, რომ გავიმარჯვებდით უფრო ნაკლები მსხვერპლის გაღებით, ვიდრე

---

* რა გააკეთა პარტიამ ჯარების განლაგების და სხვათა შ ე ს ა ს წ ა ვ ლ ა დ? აჯანყების, როგორც «ხელოვნების», ჩასატარებლად? — მხოლოდ ლაყბობა ცაკ-ში და სხვ.!!

3—5 ივლისს გავიღეთ, რადგან **ჯარები არ გაილაშქრებენ** ზავის მთავრობის წინააღმდეგ. კერენსკის თუნდაც **უკვე** ჰყავდეს «ერთგული» კავალერია და სხვ. პიტერში, ორი მხრიდან დაკვრისა და ჯარის **ჩვენდამი** თანაგრძნობის დროს კერენსკი იძულებული გახდება **დაგვნებდეს.** თუ ისეთი შანსების დროს, როგორიც ახლა გვაქვს, ხელისუფლება არ ავიღეთ, მაშინ ყოველგვარი ლაპარაკი საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის შესახებ **სიცრუედ** იქცევა.

ახლა ხელისუფლების აუღებლობა, «ლოდინი», ცაკ-ში ლაყბობა, «ორგანოსთვის» (საბჭოსთვის) «ბრძოლით», «ყრილობისთვის ბრძოლით» დაკმაყოფილება — რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს დ ა ღ უ პ ვ ა ს ნიშნავს.

ვხედავ რა, რომ ც. კ-მა **უპასუხოდაც კი** დატოვა ჩემი დაჟინება ამ მხრივ დემოკრატიული თათბირის დაწყებიდან, რომ ცენტრალური ორგანო **შლის** ჩემი სტატიებიდან ბოლშევიკების ისეთ აშკარა შეცდომებზე მითითებას, როგორიცაა წინაპარლამენტში მონაწილეობის მიღების სამარცხვინო გადაწყვეტილება, როგორიცაა მენშევიკებისათვის საბჭოს პრეზიდიუმში ადგილის მიცემა და სხვ. და სხვ., — ვხედავ, რა ამას, მე ეს უნდა მივიჩნიო იმის «ფრთხილ» ნიშნებად, რომ ც. კ-ს ამ საკითხის განხილვაც კი არა სურს, იმის ფრთხილ ნიშნებად, რომ პირში ბურთსა მჩრის და წინადადებას მაძლევს მოვშორდე.

მ ე ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ვ ა რ შ ე ვ ი ტ ა ნ ო თ ხ ო ვ ნ ა ც. კ-დ ა ნ გ ა მ ო ს ვ ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ, რასაც კიდეც ვასრულებ, და დავიტოვო აგიტაციის თავისუფლება პარტიის **ქვედაფენებში** და პარტიის ყრილობაზე.

ვინაიდან უკიდურესად დარწმუნებული ვარ, რომ, **თუ** საბჭოების ყრილობას «ვუცადეთ» და ახლა მომენტი ხელიდან გავუშვით, ჩვენ **ვღუპავთ** რევოლუციას.

29/IX

P. S. * მთელი რიგი ფაქტები ცხადყოფს, რომ ზავის მთავრობის წინააღმდეგ კაზაკთა ჯარებიც კი არ გამოვლენ! მერე რამდენი არიან ეხინი? სად არიან? განა მთელი არმია კი არ გამოგზავნის ნაწილებს ჩვენს **დასახმარებლად**?

თავები I — III და V
დაიბეჭდა 1917 წ. 20 (7) ოქტომბერს
გაზეთში «რაბოჩიი პუტ» № 30
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება: თავები
I — III გაზეთის ტექსტის
მიხედვით, თავები
V — VI ხელნაწერის მიხედვით

---

* **Postscriptum** — **მინაწერი.** რ ე დ.

შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?[27]

დაწერილია 1917 წ. სექტემბრის
დამლევს — 1 (14) ოქტომბერს.

დაიბეჭდა 1917 წ. ოქტომბერში
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» № 1 — 2-ში

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის
მიხედვით

მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობა

ამ ბროშურის დაწერა, როგორც მისი ტექსტიდან ჩანს, დაწყებულია 1917 წლის სექტემბრის დამლევს და დამთავრებულია 1 ოქტომბერს.

25 ოქტომბრის რევოლუციამ ამ ბროშურაში დაყენებული საკითხი თეორიის სფეროდან პრაქტიკის სფეროში გადაიტანა.

ამ საკითხს ახლა პასუხი უნდა გავცეთ არა სიტყვებით, არამედ საქმეებით. თეორიული მოსაზრებები ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ მეტისმეტად სუსტია. ეს მოსაზრებები დამსხვრეულია.

ამოცანა ახლა ისაა, რომ მოწინავე კლასის — პროლეტარიატის — პ რ ა ქ ტ ი კ ი თ დავამტკიცოთ მუშათა და გლეხთა მთავრობის ცხოველუნარიანობა. ყველა შეგნებული მუშა, ყოველივე, რაც კი ცოცხალი და პატიოსანია გლეხობაში, ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული მთელ ძალ-ღონეს დაძაბავენ, რომ პრაქტიკულად გადაწყვიტონ უდიდესი ისტორიული საკითხი.

შევუდგეთ მუშაობას, ყველა შევუდგეთ მუშაობას, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის საქმემ უნდა გაიმარჯვოს და კიდევაც გაიმარჯვებს.

პეტერბურგი, 1917 წ. 9 ნოემბერი.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1918 წელს ბროშურაში: ნ. ლენინი. «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?», სერია «ჯარისკაცთა და გლეხთა ბიბლიოთეკა», პეტერბურგი

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

რაში ეთანხმება ერთმანეთს ყველა მიმართულება, «რეჩით» დაწყებული «ნოვაია ჟიზნამდე»[28] ჩათვლით, კადეტ-კორნილოველი კადეტებით დაწყებული ნახევრად-ბოლშევიკებამდე, ყ ვ ე ლ ა, გარდა ბოლშევიკებისა?

იმაში, რომ მარტო ბოლშევიკები ან ვერასოდეს ვერ გაბედავენ აიღონ მთელი სახელმწიფო ხელისუფლება, ან, თუ გაბედავენ და აიღებენ, სულ მცირე ხნითაც კი ვერ შესძლებენ მის შენარჩუნებას.

თუ ვინმე შენიშნავს, რომ მარტო ბოლშევიკების მიერ მთელი სახელმწიფო ხელისუფლების აღების საკითხი სრულიად არარეალური პოლიტიკური საკითხია, რომ მისი რეალურად მიჩნევა შეუძლია მხოლოდ თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე უცუდეს «ფანატიკოსს», ჩვენ ასეთ შენიშვნას გავაბათილებთ, მოვიყვანთ რა ზუსტად სხვადასხვა «ფერის» უაღრესად პასუხისმგებელ და უაღრესად გავლენიან პოლიტიკურ პარტიათა და მიმართულებათა განცხადებებს.

მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვა პირველ ზემოაღნიშნულ კითხვაზე, სახელდობრ: გაბედავენ თუ არა მარტო ბოლშევიკები აიღონ მთელი სახელმწიფო ხელისუფლება? საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობაზე მე უკვე მქონდა შემთხვევა კატეგორიული დასტურით მეპასუხნა ამ კითხვაზე ერთს შენიშვნაში, რომელიც მე ადგილიდან მომიხდა წამომეძახა წერეთლის ერთ-ერთი მინისტრული სიტყვის დროს. და მე არ შემხვედრია არც პრესაში, არც სიტყვიერად, რომ ბოლშევიკებს განეცხადებინოთ, მარტო ჩვენ არ უნდა აგვეღო

ხელისუფლებაო. მე კვლავ იმ თვალსაზრისზე ვდგავარ, რომ საერთოდ პოლიტიკურ პარტიას — განსაკუთრებით კი მოწინავე კლასის პარტიას — უფლება არ ექნებოდა არსებობისა, ღირსი არ იქნებოდა პარტიის სახელწოდებისა, ყოველმხრივ უბადრუკი ნული იქნებოდა, თუ იგი უარს იტყოდა ხელისუფლებაზე, რაკი არის შესაძლებლობა ხელისუფლების აღებისა.

მოვიყვანოთ ახლა კადეტების, ესერებისა და ნახევრად-ბოლშევიკების (უფრო სიამოვნებით ვიტყოდი — მეოთხედ-ბოლშევიკების) განცხადება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

16 სექტემბრის «რეჩის» მოწინავე:

...«უთანხმოება და დაბნეულობა სუფევდა ალექსანდრეს თეატრის დარბაზში, და სოციალისტური პრესაც ამავე სურათს ასახავს. გარკვეულობითა და პირდაპირობით მხოლოდ ბოლშევიკების შეხედულება განირჩევა. თათბირზე ეს უმცირესობის შეხედულებაა. საბჭოებში ეს სულ უფრო და უფრო მზარდი მიმდინარეობაა. მაგრამ, მიუხედავად მთელი სიტყვიერი ბაქიბუქისა, მკვეხარა ფრაზებისა, თვითდაჯერებულობის დემონსტრაციისა, ბოლშევიკები, რამდენიმე ფანატიკოსის გამოკლებით, მხოლოდ სიტყვით არიან მამაცნი. «მთელი ხელისუფლების» აღებას ისინი არ შეეცდებოდნენ საკუთარი გულისწადილით. დეზორგანიზატორები და დამგრევნი **par excellence** *, არსებითად ისინი ლაჩრები არიან, რომლებიც გულის სიღრმეში მშვენივრად გრძნობენ თავიანთ შინაგან უვიცობასაც და ახლანდელ თავიანთ წარმატებათა ეფემერულობასაც. მათ ისევე კარგად ესმით, როგორც ჩვენ ყველას, რომ მათი საბოლოო გამარჯვების პირველი დღე მათი სწრაფი დაცემის პირველი დღეც იქნებოდა. თვით ბუნებით უპასუხისმგებლონი, მეთოდებითა და ხერხებით ანარქისტები, ისინი წარმოადგენენ მხოლოდ პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთ მიმართულებას, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ერთ-ერთ მის აბერაციას. საუკეთესო საშუალება ბოლშევიზმისაგან ხანგრძლივად გასათავისუფლებლად, მის ამოსაკვდებად, იქნებოდა მისი ბელადებისთვის ქვეყნის ბედ-იღბლის ჩაბარება. და მსგავსი ცდის შეუწყნარებლობისა და დამღუპველობის შეგნება რომ არ იყოს, შეიძლებოდა სასოწარკვეთილებით ასეთი გმირული საშუალებაც კი გვეხმარა. საბედნიეროდ, ვიმეორებთ, თვით ეს დღევანდელი სავალალო გმირები ნამდვილად სრულიადაც არ ისწრაფვიან ხელში ჩაიგდონ მთელი ძალაუფლება. მათთვის არავითარ პირობებში არ არის მისაწვდომი შემოქმედებითი მუშაობა. ამრიგად, მთელი მათი გარკვეულობ-

* — უმთავრესად. რ ე დ.

და პირდაპირობა პოლიტიკური ტრიბუნის, სამიტინგო სიტყვების სფეროთი განისაზღვრება. პრაქტიკულად მათი პოზიცია არავითარი თვალსაზრისით არ შეიძლება ანგარიშში იქნეს მიღებული. თუმცა, ერთი მხრივ მას ერთგვარი რეალური შედეგიც აქვს: ეს პოზიცია აერთიანებს ყველა სხვა ელფერის «სოციალისტურ აზროვნებას» მისდამი უარყოფითი დამოკიდებულების მხრივ»...

ასე მსჯელობენ კადეტები. აი კიდევ თვალსაზრისი ყველაზე დიდი, «გაბატონებული და მმართველი» პარტიისა რუსეთში — «სოციალისტ-რევოლუციონერებისა», მათი 21 სექტემბრის ოფიციალური ორგანოს, «დელო ნაროდას» ასევე ხელმოუწერელ, ე. ი. სარედაქციო, მოწინავე სტატიაში:

...«თუ ბურჟუაზია არ მოისურვებს დემოკრატიასთან ერთად იმუშაოს დამფუძნებელ კრებამდე თათბირის მიერ დამტკიცებული პლატფორმის ნიადაგზე, მაშინ კ ო ა ლ ი ც ი ა უ ნ დ ა წ ა რ მ ო ი შ ვ ა ს თ ა თ ბ ი რ ი ს შ ე მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი ს წ ი ა ღ ს ი. ეს მძიმე მსხვერპლია კოალიციის დამცველთა მხრივ, მ ა გ რ ა მ მ ა ს უ ნ დ ა დ ა თ ა ნ ხ მ დ ნ ე ნ ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს «წ მ ი ნ დ ა ხ ა ზ ი ს» ი დ ე ი ს პ რ ო პ ა გ ა ნ დ ი ს ტ ე ბ ი ც. მაგრამ ვშიშობთ, რომ აქ შეთანხმება შეიძლება არც მოხდეს. და მაშინ რჩება მესამე და უკანასკნელი კომბინაცია: ხელისუფლება ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა ჩამოაყალიბოს თათბირის იმ ნახევარმა, რომელიც პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ იცავდა მის ერთგვაროვნობის იდეას.

ვთქვათ გარკვევით: ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ი ქ ნ ებიან შ ე ა დ გ ი ნ ო ნ კ ა ბ ი ნ ე ტ ი. ისინი უდიდესი ენერგიით უნერგავდნენ რევოლუციურ დემოკრატიას კოალიციის სიძულვილს, აღუთქვამდნენ მას ყოველგვარ სიკეთეს «შემთანხმებლობის» გაუქმების შემდეგ და ამ შემთანხმებლობას აბრალებდნენ ქვეყნის ყოველგვარ უბედურებას.

თუ ისინი პასუხისმგებლობას გრძნობდნენ თავიანთ ა გ ი ტ ა ც ი ა ში, თუ ისინი ა რ ა ტ ყ უ ე ბ დ ნ ე ნ მ ა ს ე ბ ს, ი ს ი ნ ი ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა რ ი ა ნ გაანაღდონ მარცხნივ და მარჯვნივ გაცემული თამასუქები.

საკითხი ნათლად ისმება.

და დაე ტყუილ-უბრალოდ ნუ ეცდებიან თავი შეაფარონ ნაჩქარევად შექმნილ თეორიებს მათ მიერ ხელისუფლების აღების შეუძლებლობის შესახებ.

ამ თეორიებს დემოკრატია არ მიიღებს.

ამავე დროს კოალიციის მომხრეებმა უნდა უზრუნველყონ მათთვის ხრული მხარისდაჭერა. აი სამი კომბინაცია, სამი გზა, რომელიც არის ჩვენს წინაშე, — სხვა არ არსებობს»! (ხაზგასმა თვით «დელო ნაროდას» ეკუთვნის.)

ასე მსჯელობენ ესერები. აი, დასასრულ, «პოზიცია», თუკი შესაძლებელია ორ სკამს შუა ჯდომის ცდას პოზიცია ეწოდოს, ნოვოჟიზნელ «მეოთხედ-ბოლშევიკებისა», აღებული 23 სექტემბრის «ნოვაია ჟიზნის» რედაქციის მოწინავე სტატიიდან:

...«თუ კვლავ შედგება კოალიცია კონოვალოვის და კიშკინის მონაწილეობით, ეს მომასწავებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიის ახალი კაპიტულაციისა და თათბირის რეზოლუციის გაუქმებისა პასუხისმგებელი ხელისუფლების შესახებ 14 აგვისტოს პლატფორმის ნიადაგზე...

...ერთგვაროვანი სამინისტრო მენშევიკებისა და ესერებისა ისევე ნაკლებად იგრძნობს თავის ანგარიშვალდებულებას, როგორც ნაკლებად გრძნობდნენ მას პასუხისმგებელი მინისტრი-სოციალისტები კოალიციურ კაბინეტში... ასეთ მთავრობას არათუ არ შეეძლო თავის გარშემო შემოეკრიბა რევოლუციის «ცოცხალი ძალები», არამედ არც იმისი იმედი უნდა ჰქონოდა, რომ რევოლუციის ავანგარდი — პროლეტარიატი—ცოტად თუ ბევრად საქმიან დახმარებას გაუწევდა მას.

თუმცა, უკეთესი კი არა, უარესი გამოსავალი მდგომარეობიდან, ნამდვილად გამოსავალი კი არა, პირდაპირ მარცხი, — იქნებოდა სხვა ტიპის ერთგვაროვანი კაბინეტის, «პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის» მთავრობის შედგენა. ასეთ ლოზუნგს, მართალია, არც არავინ აყენებს — გარდა «რაბოჩიი პუტის» შემთხვევითი, გაუბედავი, შემდეგ სისტემატურად «განმარტებული» შენიშვნებისა». (ამ ამკარა სიცრუეს «გაბედულად» წერენ პასუხისმგებელი პუბლიცისტები, რომლებსაც 21 სექტემბრის «დელო ნაროდას» მოწინავეც კი დავიწყნიათ...)

«ფორმალურად ბოლშევიკებმა დღეს გააცოცხლეს ლოზუნგი: მთელი ძალაუფლება საბჭოებს. ის გაუქმებული იყო, როცა, ივლისის დღეების შემდეგ, საბჭოები, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახით, გარკვეულად დაადგნენ აქტიური ანტიბოლშევიკური პოლიტიკის გზას. ახლა კი «საბჭოს ხაზი» არათუ გამოსწორებულად შეიძლება ჩაითვალოს,

არამედ ყველა საფუძველი არსებობს მოველოდეთ, რომ საბჭოების განზრახული ყრილობა ბოლშევიკურ უმრავლესობას მოგვცემს. ასეთ პირობებში ბოლშევიკების მიერ მკვდრეთით აღდგენილი ლოზუნგი «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» არის «ტაქტიკური ხაზი», რომელიც მიმართულია სწორედ პროლეტარიატისა და «უღარიბესი გლეხობის» დიქტატურისაკენ. მართალია, საბჭოებად იგულისხმება გლეხთა დეპუტატების საბჭოებიც, და ამრიგად ბოლშევიკური ლოზუნგი გულისხმობს ხელისუფლებას, რომელიც ეყრდნობა რუსეთის მთელი დემოკრატიის უდიდეს ნაწილს. მაგრამ ამ შემთხვევაში ლოზუნგს — «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» ეკარგება დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რადგან საბჭოებს, თავისი შემადგენლობით, თათბირის მიერ შექმნილი «წინაპარლამენტის» თითქმის თანაბარმნიშვნელოვნად ხდის...» («ნოვაია ჟიზნის» მტკიცება მეტად უსირცხვილო ტყუილია, რომელიც უდრის იმის განცხადებას, რომ დემოკრატიზმის გაყალბება და გათაღლითება დემოკრატიზმის «თითქმის თანაბარმნიშვნელოვანია»: წინაპარლამენტი ს ი ყ ა ლ ბ ე ა, რომელიც ხალხის უმცირესობის, განსაკუთრებით კუსკოვას, ბერკენჰეიმის, ჩაიკოვსკების და კომპანიის ნებას უმრავლესობის ნებად ასაღებს. ეს ერთი. მეორეც, ავქსენტიევებისა და ჩაიკოვსკების მიერ გაყალბებულმა გლეხთა საბჭოებმაც კი თათბირზე კოალიციის მოწინააღმდეგეთა ისეთი დიდი პროცენტი მოგვცეს, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან ერთად კ ო ა ლ ი ც ი ა უ ე ჭ ვ ე ლ ა დ ჩ ა ფ ლ ა ვ დ ე ბ ო დ ა. და, მესამე, «ძალაუფლება საბჭოებს» ნიშნავს, რომ გლეხთა საბჭოების ძალაუფლება გავრცელდებოდა უმთავრესად სოფელზე, სოფლად კი უ ღ ა რ ი ბ ე ს გლეხთა სიჭარბე უზრუნველყოფილია)... «თუ ეს ერთი და იგივეა, ბოლშევიკური ლოზუნგი დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას რიგიდან. ხოლო თუ «ძალაუფლება საბჭოებს» მხოლოდ ჰფარავს პროლეტარიატის დიქტატურას, მაშინ ასეთი ძალაუფლება რევოლუციის სწორედ ჩაფლავებას და მარცხს ნიშნავს.

საჭიროა განა იმის მტკიცება, რომ პროლეტარიატი, რომელიც განცალკევებულია არათუ ქვეყნის დანარჩენი კლასებისაგან, არამედ დემოკრატიის ნამდვილი ცოცხალი ძალებისაგანაც, ვერ შესძლებს ვერც ტექნიკურად დაეუფლოს სახელმწიფო აპარატს და აამოძრაოს იგი განსაკუთრებით რთულ ვითარებაში, ვერც პოლიტიკურად შესძლებს გაუმკლავდეს მტრულ ძალთა მთელ იმ შემოტევას, რომელიც აღგვის არა მარტო პროლეტარიატის დიქტატურას, არამედ მთელ რევოლუციასაც?

ერთადერთ ხელისუფლებას, რომელიც მომენტის მოთხოვნებს შეეფერება, წარმოადგენს ამჟამად ნამდვილად პატიოსანი კოალიცია დემოკრატიის შიგნით».

* * *

ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე გრძელი ამონაწერებისათვის, მაგრამ ეს უსათუოდ საჭირო იყო. საჭირო იყო ზუსტად წარმოგვედგინა ბოლშევიკებისადმი მტრულად განწყობილი სხვადასხვა პარტიის პოზიცია. საჭირო იყო ზუსტად დაგვემტკიცებინა ის მეტისმეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ყ ვ ე ლ ა ამ პარტიამ მარტო ბოლშევიკების მიერ მთელი სახელმწიფო ხელისუფლების აღების საკითხი არათუ სრულიად რეალურ საკითხად ცნო, არამედ აქტუალურ, საჭიროროტო საკითხადაც.

გადავიდეთ ახლა იმ მოსაზრებათა გარჩევაზე, რომელთა გამოც «ყველანი», კადეტებით დაწყებული ნოვოჟიზნელებამდე, დარწმუნებული არიან, რომ ბოლშევიკები ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებენ.

დარბაისელ «რეჩს» სრულიად არავითარი მოსაზრება არ მოჰყავს. იგი მხოლოდ მეტად უწმაწური და გაბოროტებული ლანძღვა-გინებით უმასპინძლდება ბოლშევიკებს. ჩვენ მიერ მოყვანილი ციტატი გვიჩვენებს, სხვათა შორის, რა ღრმა შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეი «რეჩი» ხელისუფლების აღების «პროვოკაციას უწყობს» ბოლშევიკებს და ამიტომ: «ფრთხილად, ამხანაგებო, რადგან, რასაც მტერი გირჩევს,

უთუოდ ცუდიაო!». თუ ჩვენ ზოგადი და კონკრეტული ხასიათის მოსაზრებათა საქმიანი გათვალისწინების ნაცვლად თავს «დავირწმუნებთ» იმით, რომ ბურჟუაზია ხელისუფლების აღების «პროვოკაციას» გვიწყობს, მაშინ გაბრიყვებული დავრჩებით ბურჟუაზიის მიერ, რადგან იგი, უეჭველია, ყოველთვის ბოროტად გვიწინასწარმეტყველებს მილიონობით უბედურებას ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების აღების გამო, ყოველთვის ბოროტად მორთავს ყვირილს: «ყველაზე ადვილად და «დიდიხნით» მაშინ მოვიშორებთ თავიდან ბოლშევიკებს, თუ მათ მივუშვებთ ხელისუფლებასთან და შემდეგ ერთბაშად სასტიკად დავამარცხებთო». ასეთი ყვირილიც «პროვოკაციაა», თუ გნებავთ, მხოლოდ საწინააღმდეგო მხრით. კადეტები და ბურჟუები სრულიადაც არ «გვირჩევენ» და არც არასოდეს «ურჩევიათ» აგვეღო ხელისუფლება, ისინი მხოლოდ ცდილობენ შ ე გ ვ ა შ ი ნ ო ნ ხელისუფლების ვითომდა გადაუწყვეტელი ამოცანებით.

არა. ჩვენ არ უნდა შევაშინებინოთ თავი შეშინებული ბურჟუების ყვირილს. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ «გადაუწყვეტელი» საზოგადოებრივი ამოცანები ჩვენ არასოდეს არ დაგვისახავს, ხოლო სოციალიზმისაკენ ნაბიჯის დაუყოვნებლივ გადადგმის ს ა ვ ს ე ბ ი თ გადასაწყვეტ ამოცანებს, როგორც მეტად ძნელი მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს, გ ა დ ა ჭ რ ი ს მ ხ ო ლ ო დ პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა. გამარჯვება და მტკიცე გამარჯვება უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, უფრო მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან, უზრუნველყოფილია ამჟამად რუსეთის პროლეტარიატისთვის, თუ იგი ხელისუფლებას აიღებს.

განვიხილოთ წმინდა საქმიანი მიდგომით კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი გარემოებანი, რომელნიც არახელსაყრელად ხდიან ამა თუ იმ ცალკეულ მომენტს, მაგრამ ერთი წუთითაც ნუ შევუშინდებით ბურჟუაზიის ველურ გოდებას და ნუ დავივიწყებთ, რომ ბოლშევიკების მიერ მთელი ხელისუფლების აღების საკითხი ჭეშმარიტად ს ა ჭ ი რ ბ ო რ ო ტ ო საკითხი

ხდება. ახლა განუზომლად მეტი საფრთხე ემუქრება ჩვენს პარტიას იმ შემთხვევაში, თუ ამას დავივიწყებთ, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების აღებას «ნაადრევად» მივიჩნევთ. «ნაადრევი» ამ მხრივ ახლა შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა რამე იყოს: ამას მოწმობს მილიონი შანსიდან ყველა, გარდა ერთი-ორისა.

«რეჩის» ბრაზიანი ლანძღვა-გინების გამო შეიძლება და კიდევაც უნდა გავიმეოროთ:

Мы слышим звуки одобренья
Не в сладком рокоте хвалы,
А в диких криках озлобленья! *

ბურჟუაზიას რომ ასე საშინლად ვძულვართ, ეს ერთ-ერთი ფრიად თვალსაჩინო მაჩვენებელია იმ ჭეშმარიტებისა, რომ ჩვენ ს წ ო რ ა დ მივუთითებთ ხალხს გზასა და საშუალებებს ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად.

* *
*

«დელო ნაროდამ» ამჯერად, იშვიათი გამონაკლისის სახით, არ ინება ჩვენთვის ლანძღვა-გინების კადრება, მაგრამ არც მოსაზრებათა ნასახი მოუყვანია. იგი მხოლოდ არაპირდაპირ, გადაკრული სიტყვებით, ცდილობს შ ე გ ვ ა შ ი ნ ო ს პერსპექტივით — «ბოლშევიკები ვალდებული იქნებიან კაბინეტი შეადგინონო». სავსებით დასაშვებად მიმაჩნია, რომ ესერები, როცა ჩვენ გვაშინებენ, თვითონ უგულწრფელესად შეშინებული, საშინლად შეშინებული არიან შეშინებული ლიბერალის აჩრდილით. ამდენადვე დასაშვებად მიმაჩნია, რომ ესერები ახერხებენ რომელიმე განსაკუთრებით მაღალსა და განსაკუთრებით დამპალ დაწესებულებებში, როგორც, მაგალითად, ცაკ-ში და მის მსგავს «საკონტაქტო» (ე. ი. კადეტებთან ურთიერთობის, კადეტებთან მეგობრობის მქონე, უბრალოდ რომ

* გვესმის ყიჟინა მოწონებისა
განა ტკბილ ხმებში ხოტბა-დიდების, —
ველურ ყვირილში გაბოროტებისl

ვთქვათ) კომისიებში, დააშინონ ვინმე ბოლშევიკთაგანი, რადგან, ჯერ-ერთი, ატმოსფერო ყველა ამ ცაკ-ში, «წინაპარლამენტში» და სხვაგან უსაზიზღრესია, აშმორებული და გულის ამრევია, დიდხანს მით სუნთქვა ყ ვ ე ლ ა ს თ ვ ი ს მავნებელია, ხოლო, მეორე, გულწრფელობა გადამდებია, და გულწრფელად შეშინებულ ფილისტერს შეუძლია ცალკეული რევოლუციონერიც კი დროებით ფილისტერი გახადოს.

მაგრამ როგორც უნდა იქნეს გაგებული, «ადამიანურად» თუ განვსჯით, ეს გულწრფელი დაშინებულობა ესერისა, რომელიც მისდა საუბედუროდ მინისტრად იყო კადეტებთან ერთად ანდა მინისტერიაბელურ მდგომარეობაში იყო კადეტების წინაშე, მაგრამ შეშინება ისეთ პოლიტიკურ შეცდომას ნიშნავს, რომელიც ძალიან ადვილი შესაძლებელია პროლეტარიატისადმი ღალატს უდრიდეს. თქვენი საქმიანი მოსაზრებანი, ბატონებო! იმედი ნუ გექნებათ თავი შეგაშინებინოთ თქვენი შეშინებულობით!

* * *

საქმიან მოსაზრებებს ამჯერად ჩვენ მხოლოდ «ნოვაია ჟიზნში» ვპოულობთ. ამჯერად იგი გამოდის მისთვის უფრო შესაფერისს ბურჟუაზიის ადვოკატის როლში, ვიდრე არის ამ ყოველი მხრივ საამო ბანოვანის «შემარცხვენელი» როლი ბოლშევიკების დამცველისა.

ამ ადვოკატმა წამოაყენა ე ქ ვ ს ი მოსაზრება:

1) პროლეტარიატი «განცალკევებულია ჩვენი ქვეყნის დანარჩენ კლასთაგან»;

2) იგი «განცალკევებულია დემოკრატიის ნამდვილი ცოცხალი ძალებისაგან»;

3) იგი «ვერ შესძლებს სახელმწიფო აპარატის ტექნიკურად დაუფლებას»;

4) იგი «ვერ შესძლებს აამოძრაოს» ეს აპარატი;

5) «ვითარება განსაკუთრებით რთულია»;

6) იგი «ვერ შესძლებს გაუმკლავდეს მტრული ძალების მთელ იმ შემოტევას, რომელიც აღგვის არა მარტო პროლეტარიატის დიქტატურას, არამედ მთელ რევოლუციასაც».

პირველ მოსაზრებას «ნოვაია ჟიზნი» სასაცილო უხეშობით გადმოსცემს, რადგან კაპიტალისტურ და ნახევრადკაპიტალისტურ საზოგადოებაში ჩვენ ვიცით მხოლოდ სამი კლასი: ბურჟუაზია, წვრილი ბურჟუაზია (გლეხობა, როგორც მისი მთავარი წარმომადგენელი) და პროლეტარიატი. რა აზრი აქვს დანარჩენი კლასებისგან პროლეტარიატის განცალკევებულობაზე ლაპარაკს, როცა საქმე ეხება პროლეტარიატის ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ? რევოლუციას ბურჟუაზიის წინააღმდეგ?

ალბათ, «ნოვაია ჟიზნს» უნდოდა ეთქვა — პროლეტარიატი განცალკევებულია გლეხობისაგანო, რადგან მემამულეებზე ხომ არ შეიძლებოდა, მართლაც, აქ ლაპარაკი. მაგრამ ზუსტად, ნათლად თქმა, პროლეტარიატი ახლა განცალკევებულია გლეხობისგანო, არ შეიძლებოდა, რადგან ასეთი მტკიცების აშკარა უმართებულობა თვალში ეჩხირება ადამიანს.

ძნელი წარმოსადგენია, რომ კაპიტალისტურ ქვეყანაში პროლეტარიატი ისე ნაკლებად იყოს განცალკევებული **წვრილი** ბურჟუაზიისაგან — და ნუ დაივიწყებთ: ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მიმართულ რევოლუციაში — **რო**გორც ამჟამად რუსეთის პროლეტარიატია. ობიექტური და უდავო მონაცემებიდან ჩვენ მოგვეპოვება უახლესი მონაცემები კენჭისყრისა ბურჟუაზიასთან კოალიციის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ და ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო დ წერეთლისეული «ბულიგინის სათათბიროს», ე. ი. ყბადაღებული «დემოკრატიული თათბირის» «კურიების» მიხედვით. ავიღოთ საბჭოების კურიები. გამოდის:

	კოალიციის მომხრე	წინააღმდეგი
მუშ. და ჯარისკ. დეპ. საბჭოები.....	83	192
გლეხთა დეპ. საბჭოები.....	102	70
ყველა საბჭო.....	185	262

ამრიგად, უმრავლესობა მთლიანად პროლეტარიატის ლოზუნგის მხარესაა: ბურჟუაზიასთან კოალიციის წინააღმდეგ. და ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ კადეტებიც კი იძულებული არიან აღიარონ ბოლშევიკების გავლენის გაძლიერება საბჭოებში. და ჩვენ ხომ აქ ისეთი თათბირი გვაქვს, რომელიც მოწვეულია საბჭოების გუშინდელი დღის ბელადების, ესერებისა და მენშევიკების მიერ, რომლებსაც ცენტრალურ დაწესებულებებში უზრუნველყოფილი ჰყავთ უმრავლესობა! აშკარაა, რომ საბჭოებში ბოლშევიკების ნამდვილი სიჭარბე აქ შემცირებულია.

ბურჟუაზიასთან კოალიციის საკითხშიც და გლეხთა კომიტეტებისთვის მემამულეთა მიწების დაუყოვნებლივ გადაცემის საკითხშიც ბოლშევიკებს უკვე ახლაც უმრავლესობა ჰყავთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში, ხალხის უმრავლესობა, წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობა. 24 სექტემბრის «რაბოჩიი პუტს», № 19, ესერების ორგანოს «ზნამია ტრუდას»[28] 25-ე ნომრიდან მოჰყავს ცნობები პიტერში 18 სექტემბერს შემდგარი გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების თათბირის შესახებ. ამ თათბირზე შეუზღუდველ კოალიციას მხარი დაუჭირა გლეხთა ოთხი საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტებმა (კოსტრომის, მოსკოვის, სამარისა და თავრიდის გუბერნიებისა). კოალიციას უკადეტებოდ მხარი დაუჭირა სამი გუბერნიისა და ორი არმიის აღმასრულებელმა კომიტეტებმა (ვლადიმირის, რიაზანისა და შავიზღვისპირა გუბ.). კოალიციის წინააღმდეგ გამოვიდა ოცდასამი გუბერნიისა და ოთხი არმიის აღმასრულებელი კომიტეტები.

ამრიგად, გლეხთა უმრავლესობა კოალიციის წინააღმდეგია!

ესეც თქვენი «პროლეტარიატის განცალკევებულობა».

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ კოალიციას მხარი დაუჭირა სამმა განაპირა გუბერნიამ — სამარის, თავრიდისა და შავიზღვისპირა გუბერნიებმა, სადაც შედარებით ძალიან ბევრია მდიდარი გლეხები და მსხვილი მემამულეები, რომლე-

ბიც დაქირავებულ მუშებს იყენებენ; აგრეთვე ოთხმა სამრეწველო გუბერნიამ (ვლადიმირის, რიაზანის, კოსტრომისა და მოსკოვისა), სადაც გლეხური ბურჟუაზია აგრეთვე უფრო ძლიერია, ვიდრე რუსეთის გუბერნიების უმრავლესობაში. საინტერესო იქნებოდა უფრო დაწვრილებითი ცნობების შეკრება ამ საკითხზე და განხილვა, არის თუ არა ცნობები სახელდობრ უღ ა რ ი ბ ე ს ი გლეხების შესახებ იმ გუბერნიებში, სადაც ყველაზე უფრო «მ დ ი დ ა რ ი» გლეხობაა.

შემდეგ საინტერესოა, რომ «ნაციონალურმა ჯგუფებმა» მეტად მნიშვნელოვანი უმრავლესობა მისცეს კოალიციის მოწინააღმდეგეებს, სახელდობრ: 40 ხმა 15-ის წინააღმდეგ. ბონაპარტისტ კერენსკისა და კომპანიის ანექსიონისტურმა, უხეშმა მოძალადურმა პოლიტიკამ რუსეთის არასრულუფლებიანი ერების მიმართ თავისი ნაყოფი გამოიღო. ჩაგრული ერების მოსახლეობის ფართო მასა, ე. ი. მათ შორის წვრილი ბურჟუაზიის მასა, რუსეთის პროლეტარიატს უფრო ენდობა, ვიდრე ბურჟუაზიას, რადგან ისტორიამ აქ დღის წესრიგში დააყენა ბრძოლა ჩაგრული ერებისა მჩაგვრელი ერების წინააღმდეგ განთავისუფლებისათვის. ბურჟუაზიამ მუხანათურად უღალატა ჩაგრული ერების თავისუფლების საქმეს, პროლეტარიატი კი ერთგულია თავისუფლების საქმისა.

ნაციონალური და აგრარული საკითხები, ეს ამჟამად რუსეთის მოსახლეობის წვრილბურჟუაზიული მასების ძირითადი საკითხებია. ეს უცილობელია. და, რაც იშვიათია, ორივე ამ საკითხში პროლეტარიატი «ა რ ა რ ი ს განცალკევებული». მას მხარს უჭერს ხალხის უმრავლესობა. მ ა რ ტ ო მას შეუძლია აწარმოოს ისეთი გადამჭრელი, ნამდვილად «რევოლუციურ-დემოკრატიული» პოლიტიკა ორივე საკითხში, რომელიც ერთბაშად უზრუნველყოფდა პროლეტარული სახელმწიფო ხელისუფლებისათვის არათუ მოსახლეობის უმრავლესობის მხრივ მხარისდაჭერას, არამედ რევოლუციური ენთუზიაზმის ნამდვილ აღტყინებას მასებში, რადგან მასები პირველად შეხვდებოდნენ მთავრობის მხრივ არა გლეხების ულმობელ ჩაგვრას მემამულეების მიერ, უკრაინელებისა

ველიკორუსების მიერ, როგორც ცარიზმის დროს, არა მაღალფარდოვანი ფრაზებით დაფარულ მისწრაფებას — განაგრძოს ასეთივე პოლიტიკა რესპუბლიკის დროს, არა შარის მოდებას, შეურაცხყოფას, გაიძვეროობას, გაჭიანურებას, სარმის გამოდებას, ფანდებს (ყველაფერს, რითაც კერენსკი აჯილდოებს გლეხებს და ჩაგრულ ერებს), არამედ საქმით დამტკიცებულ მხურვალე თანაგრძნობას, დაუყოვნებლივი და რევოლუციური ზომების მიღებას მემამულეების წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ ს რ უ ლ ი თავისუფლების აღდგენას ფინეთისა, უკრაინისა, ბელორუსიისათვის, მუსლიმანებისათვის და სხვ.

ბატონმა ესერებმა და მენშევიკებმა მშვენივრად იციან ეს და ამიტომ მიაძვრენენ კოოპერატორების ნახევრადკადეტურ ზედაფენებს თავიანთი რ ე ა ქ ც ი უ ლ-დემოკრატიული პოლიტიკის დასახმარებლად მასების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ამიტომაც ვერასოდეს ვერ გაბედავენ ისინი შეეკითხონ მასას, მოაწყონ რეფერენდუმი ან თუნდაც კენჭისყრა ყველა ადგილობრივ საბჭოში, ყველა ადგილობრივ ორგანიზაციაში პრაქტიკული პოლიტიკის გარკვეული მუხლების შესახებ, მაგალითად, ახლავე უნდა გადაეცეს თუ არა მემამულეთა მიწები გლეხთა კომიტეტებს, უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა ესა თუ ის მოთხოვნები ფინელებისა, უკრაინელებისა და სხვ.

ხოლო ზავის საკითხი — ეს ძირითადი საკითხია მთელი თანამედროვე ცხოვრებისა. პროლეტარიატი «განცალკევებულია დანარჩენ კლასთაგან»... პროლეტარიატი აქ გამოდის, ჭეშმარიტად, როგორც წარმომადგენელი მ თ ე ლ ი ერისა, ყოველივე იმისა, რაც კი ცოცხალი და პატიოსანია ყ ვ ე ლ ა კლასში, წვრილი ბურჟუაზიის უდიდესი უმრავლესობისა, რადგან მხოლოდ პროლეტარიატი, როგორც კი აიღებს ხელისუფლებას, მ ყ ი ს ვ ე შესთავაზებს სამართლიან ზავს ყველა მეომარ ხალხს, მხოლოდ პროლეტარიატი მიიღებს ნამდვილად რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ზომებს (საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნება და სხვ.), რათა მიაღწიოს რაც შეიძლება მალე, რაც შეიძლება უფრო სამართლიან ზავს.

არა. «ნოვოჟიზნელი» ვაჟბატონები, რომლებიც პროლეტარიატის განცალკევებულობაზე გაჰყვირიან, ამით მხოლოდ ბურჟუაზიის წინაშე თავიანთ სუბიექტურ შიშს გამოხატავენ. საქმის ობიექტური მდგომარეობა რუსეთში, უეჭველად, ისეთია, რომ პროლეტარიატი სწორედ ახლა არ არის «განცალკევებული» წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობისაგან. სწორედ ახლა, «კოალიციის» სავალალო გამოცდილების შემდეგ, პროლეტარიატს ხალხის უმრავლესობის თანაგრძნობა აქვს მოპოვებული. ეს პირობა ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების შესანარჩუნებლად უკვე არსებობს.

* * *

მეორე მოსაზრება ისაა, თითქოს პროლეტარიატი «განცალკევებულია დემოკრატიის ნამდვილი ცოცხალი ძალებისაგან». რას ნიშნავს ეს, ამის გაგება შეუძლებელია. ეს, ალბათ, «ბერძნულადაა», როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ ფრანგები.

«ნოვაია ჟიზნის» მწერლები სამინისტრო ხალხია. ისინი სავსებით გამოსადეგნი იქნებოდნენ მინისტრებად კადეტების დროს. ვინაიდან ასეთ მინისტრებს მოეთხოვებათ სწორედ კეთილსახოვანი და კეთილშელამაზებული ფრაზები, რომლებშიც სრულიად არავითარი აზრი არ არის, რომლებითაც შეიძლება ყოველგვარი სისაძაგლის დაფარვა და რომლებისთვისაც ამიტომ უზრუნველყოფილია იმპერიალისტებისა და სოციალ-იმპერიალისტების ტაში. კადეტების, ბრეშკოვსკაიას, პლეხანოვისა და კომპანიის ტაში ნოვოჟიზნელებს უზრუნველყოფილი აქვთ იმის მტკიცებისთვის, რომ პროლეტარიატი განცალკევებულია დემოკრატიის ნამდვილი ცოცხალი ძალებისაგანო, რადგან არაპირდაპირ აქ ნათქვამია — ანდა ეს მტკიცება ისე იქნება გაგებული, მათ რომ ეთქვათ, — კადეტები, ბრეშკოვსკაია, პლეხანოვი, კერენსკი და კომპანია «დემოკრატიის ცოცხალი ძალები» არიანო.

ეს არ არის სწორი. ისინი მკვდარი ძალები არიან. ეს დაამტკიცა კოალიციის ისტორიამ.

ბურჟუაზიის მიერ და ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური ვითარებით დაშინებული ნოვოჟიზნელები «ცოცხლად» აღიარებენ ესერებისა და მენშევიკების მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ფრთას, რომელიც არსებითად არაფრით განირჩევა კადეტებისაგან, მსგავსად «ვოლია ნაროდასი»[30], «ედინსტვოსა» და სხვ.. ჩვენ კი ცოცხლად მიგვაჩნია მხოლოდ ის, რაც დაკავშირებულია მასებთან და არა კულაკებთან, მხოლოდ ის, რაც კოალიციის გაკვეთილებმა ჩამოაშორა კოალიციას. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის «მოქმედი ცოცხალი ძალები» წარმოდგენილია ესერებისა და მენშევიკების მემარცხენე ფრთით. ამ მემარცხენე ფრთის გაძლიერება, განსაკუთრებით ივლისის კონტრრევოლუციის შემდეგ, ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი ობიექტური ნიშანია იმისა, რომ პროლეტარიატი განცალკევებული ა რ ა რ ი ს.

ამას კიდევ უფრო თვალსაჩინოდ ცხადყოფს ამ სულ ბოლო დროს ესერების ცენტრის წარმომადგენელთა მარცხნივ გადახრა, რასაც ამტკიცებს ჩერნოვის 24 სექტემბრის განცხადება, ჩემი ჯგუფი მხარს ვერ დაუჭერს ახალ კოალიციას კიშკინის და კომპანიის მონაწილეობითო. ეს გადახრა მარცხნივ ესერების ცენტრისა, რომელიც დღემდე თავის წარმომადგენელთა დიდ უმრავლესობას აძლევდა ესერების პარტიას, მეთაურ და გაბატონებულ პარტიას იმ ხმების რაოდენობის მიხედვით, რომელნიც მან ქალაქში და განსაკუთრებით სოფლად შეაგროვა, ამტკიცებს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ ციტირებული «დელო ნაროდას» განცხადებანი, რომ დემოკრატიამ, განსაზღვრულ პირობებში, საჭიროა «უზრუნველყოს სრული მხარისდაჭერა» წმინდა ბოლშევიკური მთავრობისთვისო, ეს განცხადებანი ყოველ შემთხვევაში მარტო ფრაზები როდია.

ისეთი ფაქტები, როგორიცაა ესერების ცენტრის მხრივ კიშკინის მონაწილეობით ახალი კოალიციისთვის მხარისდაჭერაზე უარისთქმა, ან პროვინციელ მ ე ნ შ ე ვ ი კ-ო ბ ო რ ო ნ ც ე ბ ს შორის (ჟორდანია კავკასიაში და სხვ.) კოალიციის მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე თ ა სიჭარბე, ობიექტური დამამტკიცებელია იმისა, რომ მ ა ს ე ბ ი ს გარკვეული ნაწილი,

რომელიც დღემდე მენშევიკებსა და ესერებს მისდევს, წმინდა ბოლშევიკურ მთავრობას დ ა უ ჭ ე რ ს მხარს.

დემოკრატიის სწორედ ც ო ც ხ ა ლ ი ძალებისაგან არ არის ახლა განცალკევებული რუსეთის პროლეტარიატი.

* * *

მესამე მოსაზრება: პროლეტარიატი «ვერ შესძლებს ტექნიკურად დაეუფლოს სახელმწიფო აპარატს». ეს, ვგონებ, ყველაზე ჩვეულებრივი, ყველაზე უფრო გავრცელებული მოსაზრებაა. იგი ღირსია უდიდესი ყურადღებისა როგორც ამ მიზეზით, ისე იმიტომაც, რომ იგი მიუთითებს ერთ-ერთ ყველაზე ს ე რ ი ო ზ უ ლ, ყველაზე ძ ნ ე ლ ამოცანაზე, რომელიც ძლევამოსილი პროლეტარიატის წინაშე დგას. ეჭვი არაა, რომ ეს ამოცანები მეტად ძნელია, მაგრამ თუ ჩვენ, რომლებიც ჩვენს თავს სოციალისტებს ვუწოდებთ, ამ სიძნელეზე მხოლოდ იმიტომ მივუთითებთ, რომ ხ ე ლ ი ა ვ ი ღ ო თ ასეთი ამოცანების შესრულებაზე, მაშინ საქმით ჩვენი განსხვავება ბურჟუაზიის მსახურთაგან ნულამდე დავა. პროლეტარული რევოლუციის ამოცანების სიძნელემ უნდა წააქეზოს პროლეტარიატის მომხრენი უფრო ყურადღებით და კონკრეტულად შეისწავლონ ამ ამოცანების შესრულების საშუალებები.

სახელმწიფო აპარატის სახით უწინარეს ყოვლისა იგულისხმება მუდმივი ჯარი, პოლიცია და მოხელეობა. როცა «ნოვაია ჟიზნის» მწერლები ლაპარაკობენ, პროლეტარიატი ვერ შესძლებს ამ აპარატის ტექნიკურად დაუფლებასო, ისინი უკიდურეს უვიცობას იჩენენ, მათ არ სურთ ანგარიში გაუწიონ არც ცხოვრების ფაქტებს, არც იმ მოსაზრებებს, რომლებიც დიდი ხანია აღნიშნულია ბოლშევიკურ ლიტერატურაში.

«ნოვაია ჟიზნის» ყველა მწერალს თუ მარქსისტად არა, მარქსიზმთან გაცნობილ, განათლებულ სოციალისტად მაინც მოაქვს თავი. მარქსი კი გვასწავლიდა, პარიზის კომუნის გამოცდილების საფუძველზე, რომ პროლეტარიატს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა უბრალოდ დაეუფლოს მზა-მზარეულ სახელმწიფო

მანქანას და აამოძრაოს იგი თავისი მიზნებისთვის, რომ პროლეტარიატმა უნდა დაამსხვრიოს ეს მანქანა და ახლით შესცვალოს იგი (ამაზე უფრო დაწვრილებით მე ვლაპარაკობ ბროშურაში, რომლის პირველი ნაკვეთი დამთავრებულია და მალე გამოქვეყნდება სათაურით: «სახელმწიფო და რევოლუცია. მარქსიზმის მოძღვრება სახელმწიფოზე და პროლეტარიატის ამოცანები რევოლუციაში» *). ეს ახალი სახელმწიფო მანქანა შექმნა პარიზის კომუნამ, და იმავე ტიპის «სახელმწიფო აპარატს» წარმოადგენს რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები. ეს გარემოება მე მრავალჯერ აღმინიშნავს, დაწყებული 1917 წ. 4 აპრილიდან, ამაზე ლაპარაკია ბოლშევიკური კონფერენციების რეზოლუციებში, აგრეთვე ბოლშევიკურ ლიტერატურაში. «ნოვაია ჟიზნს», რა თქმა უნდა, შეეძლო განეცხადებინა — სრულიად არ ვეთანხმები მარქსსა და ბოლშევიკებსო, მაგრამ საკითხისთვის სრულიად გვერდის ავლა იმ გაზეთის მხრივ, რომელიც ასე ხშირად და ასე მედიდურად ლანძღავს ბოლშევიკებს ძნელი საკითხებისადმი ვითომ არასერიოზული მიდგომისთვის, თავისი თავისთვის სიღატაკის მოწმობის მიცემას ნიშნავს.

«სახელმწიფო აპარატის» «დაუფლება» და «მისი ამოძრავება» პროლეტარიატს არ შეუძლია. მაგრამ მას შეუძლია დაამსხვრიოს ყველაფერი, რაც კი რამ მჩაგვრელი, დამყაყებული, გაუსწორებლად-ბურჟუაზიულია ძველ სახელმწიფო აპარატში და მის ნაცვლად თავისი, ახალი აპარატი შექმნას. ეს აპარატია სწორედ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

არ შეიძლება პირდაპირ საოცარი არ უწოდო იმ გარემოებას, რომ «ნოვაია ჟიზნს» სრულიად დაავიწყდა ეს «სახელმწიფო აპარატი». როცა ნოვოჟიზნელები ასე იქცევიან თავიანთ თეორიულ მსჯელობაში, ისინი არსებითად პოლიტიკური თეორიის სფეროში იმასვე სჩადიან, რასაც კადეტები სჩადიან პოლიტიკურ პრაქტიკაში. ვინაიდან, თუ, მართლაც, პროლეტარიატსა და რევოლუციურ დემოკრატიას არავითარი

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 25, გვ. 465. რედ.

ახალი სახელმწიფო აპარატი ა რ ე ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა თ, მაშინ საბჭოები ჰკარგავენ raison d'être*-ს და ჰკარგავენ არსებობის უფლებას, მაშინ კორნილოველი კადეტები მ ა რ თ ა ლ ი არიან, როცა ცდილობენ არარად აქციონ საბჭოები!

«ნოვაია ჟიზნის» ეს საოცარი თეორიული შეცდომა და პოლიტიკური სიბეცე მით უფრო საოცარია, რომ თვით მენშევიკ-ინტერნაციონალისტებმაც კი (რომლებთანაც «ნოვაია ჟიზნს» ბლოკი ჰქონდა შეკრული პიტერის საქალაქო თვითმმართველობის უკანასკნელ არჩევნებში) ამ საკითხში განსაზღვრული დაახლოება გამოიჩინეს ბოლშევიკებთან. ასე, მაგალითად, საბჭოთა უმრავლესობის იმ დეკლარაციაში, რომელიც ამხ. მარტოვმა გამოაქვეყნა დემოკრატიულ თათბირზე, ჩვენ ვკითხულობთ:

...«მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა, რომლებიც რევოლუციის პირველ დღეებში ნამდვილი ხალხური შემოქმედების მძლავრმა აღტყინებამ წარმოშვა, თავიანთი სახით შექმნეს რევოლუციური სახელმწიფოებრიობის ის ახალი ქსოვილი, რომელმაც შესცვალა ძველი რეჟიმის სახელმწიფოებრიობის დახავსებული ქსოვილი...»

ეს, ცოტა არ იყოს, მეტისმეტად ლამაზადაა ნათქვამი, ე. ი. გამოთქმის მაღალფარდოვნება აქ პოლიტიკური აზრის სიცხადის ნაკლს ფარავს. საბჭოებს ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ შეუცვლიათ ძველი «ქსოვილი», და ეს ძველი «ქსოვილი» ძველი რეჟიმის სახელმწიფოებრიობა კი ა რ არის, არამედ რ ო გ ო რ ც ცარიზმის, ი ს ე ბურჟუაზიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობაა. მაგრამ მარტოვი აქ ყოველ შემთხვევაში დიდად მაღლა დგას ნოვოჟიზნელებზე.

საბჭოები ახალი სახელმწიფო აპარატია, რომელიც იძლევა, ჯერ-ერთი, მუშათა და გლეხთა შეიარაღებულ ძალას, ამასთან ეს ძალა ხალხისაგან მოწყვეტილი კი არ არის, როგორც ძველი მუდმივი ჯარის ძალა, არამედ უმჭიდროესად არის მასთან დაკავშირებული; სამხედრო მხრივ ეს ძალა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე წინანდელი ძალები; რევოლუციური მხრივ მას ვერაფერი შეცვლის. მეორე, ეს აპარატი

* — არსებობის აზრს. რ ე დ.

იძლევა მასებთან, ხალხის უმრავლესობასთან იმდენად მჭიდრო, განუწყვეტელ, ადვილად შესამოწმებელ და გასაახლებელ კავშირს, რომლის მსგავსის ხსენებაც კი არ არის წინანდელ სახელმწიფო აპარატში. მესამე, ეს აპარატი იმის გამო, რომ მისი შემადგენლობა ხალხის ნებით ირჩევა და იცვლება ბიუროკრატიულ ფორმალობათა გარეშე, გაცილებით უფრო დემოკრატიულია, ვიდრე წინანდელი აპარატები. მეოთხე, იგი იძლევა მტკიცე კავშირს სრულიად სხვადასხვაგვარ პროფესიებთან და მით აადვილებს უღრმესი ხასიათის რეფორმებს უბიუროკრატიოდ. მეხუთე, იგი აძლევს ფორმას ავანგარდის, ე. ი. ჩ ა გ რ უ ლ ი კლასების, მუშებისა და გლეხების ყველაზე შეგნებული, ყველაზე ენერგიული, მოწინავე ნაწილის ორგანიზაციას, წარმოადგენს რა ამრიგად აპარატს, რომლის საშუალებით ჩაგრული კლასების ავანგარდს შეუძლია აღამაღლოს, აღზარდოს, გაწვრთნას და გაიყოლიოს ამ კლასების მ თ ე ლ ი უ ზ ა რ მ ა ზ ა რ ი მ ა ს ა, რომელიც აქამდე პოლიტიკური ცხოვრების, ისტორიის სრულიად გარეშე იდგა. მეექვსე, იგი იძლევა საშუალებას პარლამენტარიზმის სარგებლიანობა შევაერთოთ უშუალო და პირდაპირი დემოკრატიის სარგებლიანობასთან, ე. ი. ხალხის არჩეული წარმომადგენლების სახით შევაერთოთ როგორც საკანონმდებლო ფუნქცია, ი ს ე კ ა ნ ო ნ თ ა შ ე ს რ უ ლ ე ბ ა. ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმთან შედარებით ეს ისეთი წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიის განვითარებაში, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი საბჭოები 1905 წელს მხოლოდ, ასე ვთქვათ, მუცლადმყოფი ჩანასახი იყო, რადგან მათ სულ რამდენიმე კვირა იარსებეს. ცხადია, მაშინდელ პირობებში ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო მათი ყოველმხრივი განვითარების შესახებ. 1917 წლის რევოლუციაშიც შეუძლებელია ჯერ ამაზე ლაპარაკი, რადგან რამდენიმე თვის ვადა ძლიერ მცირეა, ხოლო რაც უმთავრესია: ესერებისა და მენშევიკების ბელადები ჰ რ ყ ვ ნ ი დ ნ ე ნ საბჭოებს, სალაყბოდ, ბელადთა შემთანხმებლური პოლიტიკის დანამატად აქცევდნენ მათ. საბჭოები ცოცხლადვე

ლპებოდნენ და იხრწნებოდნენ ლიბერების, დანების, წერეთლების, ჩერნოვების ხელმძღვანელობით. ნამდვილი განვითარება, თავიანთი მონაცემებისა და უნარის სავსებით გაშლა საბჭოებს შეუძლიათ მხოლოდ მ თ ე ლ ი სახელმწიფო ხელისუფლების აღებით, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ა რ ა ფ ე რ ი ა ქ ვ თ ს ა კ ე თ ე ბ ე ლ ი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ან უბრალო ჩანასახები არიან (ხოლო ჩანასახად დიდხანს ყოფნა არ შეიძლება), ან სათამაშოები. «ორხელისუფლებიანობა» საბჭოების გაქარწყლებაა.

რევოლუციური კლასების ხალხურ შემოქმედებას რომ საბჭოები არ შეექმნა, პროლეტარული რევოლუცია რუსეთში უიმედო საქმე იქნებოდა, რადგან ძველი აპარატით პროლეტარიატი, უეჭველად, ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებდა, ხოლო ახალი აპარატის ერთბაშად შექმნა შეუძლებელია. წერეთელ-ჩერნოვების მიერ საბჭოების სავალალო გარყვნის ისტორია, «კოალიციის» ისტორია ამასთანავე ერთად არის ისტორია საბჭოების განთავისუფლებისა წვრილბურჟუაზიული ილუზიებისაგან, ყ ვ ე ლ ა და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ბურჟუაზიული კოალიციის მთელი საძაგლობისა და ჭუჭყის პრაქტიკულად შესწავლის «განსაწმენდელში» გავლისა. ვიქონიოთ იმედი, რომ ამ «განსაწმენდელმა» კი არ მოსტეხა საბჭოები, არამედ გამოაწრთო ისინი.

* * *

პროლეტარული რევოლუციის მთავარი სიძნელე არის პროდუქტების წარმოებისა და განაწილების უზუსტესი და უკეთილსინდისიერესი აღრიცხვისა და კონტროლის, მ უ შ ა თ ა კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს საყოველთაო-სახალხო მასშტაბით განხორციელება.

როდესაც ნოვოჟიზნელი მწერლები გვიპასუხებდნენ, სინდიკალიზმში ვარდებით «მუშათა კონტროლის» ლოზუნგის წამოყენებითო, ეს პასუხი «მარქსიზმის» მოწაფურ-ბრიყვული გამოყენების ნიმუში იყო, მარქსიზმისა, რომელიც მოფიქრებული კი არ არის, არამედ სტრუვესებურად გ ა ზ ე პ ი რ ე ბ უ ლ ი ა. სინდიკალიზმი ან უარყოფს პროლეტარიატის

რევოლუციურ დიქტატურას, ან, როგორც საერთოდ პოლიტიკური ძალაუფლების საკითხს, მეცხრე ადგილას აყენებს მას. ჩვენ მას პირველ ადგილას ვაყენებთ. ნოვოჟიზნელების მსგავსად რომ უბრალოდ ვთქვათ: ა რ ა მუშათა კონტროლი, ა რ ა-მ ე დ სახელმწიფო კონტროლი, მაშინ გამოდის ბურჟუაზიულ-რეფორმისტული ფრაზა, გამოდის არსებითად წმინდა წყლის კადეტური ფორმულა, ვინაიდან «სახელმწიფო» კონტროლში მუშების მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს საწინააღმდეგო კადეტებს არაფერი აქვთ. კორნილოველმა კადეტებმა მშვენივრად იციან, რომ ასეთი მონაწილეობა საუკეთესო საშუალებაა ბურჟუაზიის მიერ მუშების მოტყუებისა, საუკეთესო საშუალებაა პოლიტიკური აზრით ყოველგვარი გვოზდევების, ნიკიტინების, პროკოპოვიჩების, წერეთლებისა და მთელი ამ ბანდის მარჯვედ მ ო ს ყ ი დ ვ ი ს ა.

როდესაც ვამბობთ: «მუშათა კონტროლი» და ამ ლოზუნგს ყოველთვის პროლეტარიატის დიქტატურის გ ვ ე რ დ ი თ ვაყენებთ, ყოველთვის მას მ ი ვ ა ყ ო ლ ე ბ თ ხოლმე, ამით ჩვენ განვმარტავთ, თუ როგორ სახელმწიფოზეა ლაპარაკი. სახელმწიფო არის კ ლ ა ს ი ს ბატონობის ორგანო. რომელი კლასისა? თუ ბურჟუაზიისა, მაშინ სწორედ ეს არის კადეტურ-კორნილოვურ-«კერენსკისებური» სახელმწიფოებრიობა, რომლისგანაც რუსეთის მშრომელ ხალხს «ეკორნილოვება და ეკერენსკება» აგერ უკვე ნახევარ წელზე მეტია. თუ პროლეტარიატისა, თუ ლაპარაკია პროლეტარულ სახელმწიფოზე, ე ს ე ი გ ი პროლეტარიატის დიქტატურაზე, მაშინ მუშათა კონტროლი შ ე ი ძ ლ ე ბ ა გახდეს საყოველთაო-სახალხო, ყოვლისმომცველი, ყველგან მყოფი, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების უზუსტესი და უკეთილსინდისიერესი ა ღ რ ი ც ხ ვ ა.

ეს არის მთავარი სიძნელე, ეს არის მთავარი ამოცანა პროლეტარული, ე. ი. სოციალისტური, რევოლუციისა. უსაბჯოებოდ ამ ამოცანის გადაწყვეტა, ყოველ შემთხვევაში რუსეთისთვის, შეუძლებელი იქნებოდა. საბჭოები ს ა ხ ა ვ ე ნ პროლეტარიატის იმ ორგანიზაციულ მუშაობას, რომელსაც

შ ე უ ძ ლ ი ა გადაწყვიტოს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა.

აქ ჩვენ მივადექით სახელმწიფო აპარატის საკითხის მეორე მხარეს. მუდმივი ჯარის, პოლიციისა და მოხელეობის უმთავრესად «მჩაგვრელ» აპარატს გარდა, თანამედროვე სახელმწიფოში არის აპარატი, რომელიც განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული ბანკებთან და სინდიკატებთან, აპარატი, რომელიც ასრულებს უამრავ სააღრიცხვო-სარეგისტრაციო ხასიათის სამუშაოს, თუ შეიძლება ასე ითქვას. ამ აპარატის დამსხვრევა არ შეიძლება და არც არის ეს საჭირო. ის უნდა გამოვგლიჯოთ კაპიტალისტების მორჩილებას, მას უნდა მ ო ვ წ ყ ვ ი ტ ო თ, მ ო ვ ჭ რ ა თ, მ ო ვ კ ვ ე თ ო თ კაპიტალისტები მათი გავლენის ძაფებიანად, ის უნდა დ ა ვ უ მ ო რ ჩ ი ლ ო თ პროლეტარულ საბჭოებს, ის უნდა გავხადოთ უფრო ფართო, უფრო ყოვლისმომცველი, უფრო საყოველთაო-სახალხო. და ეს შ ე ი ძ ლ ე ბ ა გაკეთდეს იმ მიღწევებზე დაყრდნობით, რომლებიც უკვე განახორციელა უმსხვილესმა კაპიტალიზმმა (ისე როგორც საერთოდ პროლეტარულ რევოლუციას მხოლოდ ამ მიღწევებზე დაყრდნობით შეუძლია მიაღწიოს თავის მიზანს).

კაპიტალიზმმა შექმნა აღრიცხვის ა პ ა რ ა ტ ე ბ ი, როგორიცაა ბანკები, სინდიკატები, ფოსტა, სამომხმარებლო საზოგადოებები, მოსამსახურეთა კავშირები. მ ს ხ ვ ი ლ ი ბ ა ნ კ ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი გ ა ნ უ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ე ლ ი ი ქ ნ ე ბ ო დ ა.

მსხვილი ბანკები ა რ ი ს ის «სახელმწიფო აპარატი», რომელიც ჩვენ გ ვ ე ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა სოციალიზმის განსახორციელებლად და რომელსაც ჩვენ მ ზ ა მ ზ ა რ ე უ ლ ა დ ვ ი ღ ებ თ კაპიტალიზმისაგან, ამასთანავე ჩვენი ამოცანა აქ ის არის მხოლოდ, რომ მ ო ვ კ ვ ე თ ო თ ის, რაც კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ა დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ებ ს ამ საუცხოო აპარატს, გავხადოთ იგი კ ი დ ე ვ უ ფ რ ო მ ს ხ ვ ი ლ ი, უფრო დემოკრატიული და უფრო ყოვლისმომცველი, რაოდენობა თვისებად იქცევა. ერთიანი უმსხვილესი უმსხვილესთა შორის

სახელმწიფო ბანკი, რომელსაც განყოფილებები ექნება ყოველ ვოლოსტში, ყოველ ფაბრიკასთან — ეს უკვე ცხრა მეათედია ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი აპარატისა. ეს — საერთო-სახელმწიფო ა ნ გ ა რ ი შ წ ა რ მ ო ე ბ ა ა, საერთო-სახელმწიფო ა ღ რ ი ც ხ ვ ა ა პროდუქტების წარმოებისა და განაწილებისა, ეს, ასე ვთქვათ, სოციალისტური საზოგადოების რაღაც ჩ ო ნ ჩ ხ ი ს მსგავსი რამაა.

ეს «სახელმწიფო აპარატი» (რომელიც კაპიტალიზმის დროს სავსებით სახელმწიფოებრივი არ არის, მაგრამ რომელიც სრულიად სახელმწიფოებრივი იქნება ჩვენს ხელში, სოციალიზმის დროს) ჩვენ შეგვიძლია «ავიღოთ» და «ავამოძრავოთ» ერთი დაკვრით, ერთი ბრძანებით, რადგან ანგარიშწარმოების, კონტროლის, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და ანგარიშის ფაქტიურ სამუშაოს აქ ასრულებენ მ ო ს ა მ ს ა ხ ურ ე ე ბ ი, რომელთა უმრავლესობა თვითონ პროლეტარულ და ნახევრადპროლეტარულ მდგომარეობაში იმყოფება.

პროლეტარული მთავრობის ერთი ბრძანებით ეს მოსამსახურეები შეიძლება და კიდევაც უნდა გადავიყვანოთ სახელმწიფო მოსამსახურეთა მდგომარეობაზე — მსგავსად იმისა, როგორც კაპიტალიზმის მცველ ქოფაკებს, როგორიცაა ბრიანი და სხვა ბურჟუაზიული მინისტრები, გაფიცული რკინიგზელები ერთი ბრძანებით გადაჰყავთ სახელმწიფო მოსამსახურეთა მდგომარეობაზე. ასეთი სახელმწიფო მოსამსახურეები ჩვენ ბევრად უფრო მეტი დაგვჭირდება, და კიდევაც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მათი შოვნა მეტი რაოდენობით, რადგან კაპიტალიზმმა გაამარტივა აღრიცხვისა და კონტროლის ფუნქციები, ისინი შედარებით არართულ, წერა-კითხვის ყოველი მცოდნისთვის ხელმისაწვდომ ჩ ა წ ე რ ა დ გადაქცია.

ბანკების, სინდიკატების, სავაჭრო დაწესებულებებისა და სხვ. და სხვ. მოსამსახურეთა მასის «გასახელმწიფოებრივება» სავსებით განსახორციელებელი საქმეა ტექნიკურადაც (იმ წინასწარი მუშაობის წყალობით, რომელიც ჩვენთვის კაპიტალიზმმა და ფინანსურმა კაპიტალიზმმა შეასრულა) და

პოლიტიკურადაც, საბჭოების მხრივ კონტროლისა და მეთვალყურეობის გაწევის პირობით.

ხოლო უმაღლეს მოსამსახურეებს, რომლებიც ძლიერ ცოტაა, მაგრამ კაპიტალისტებისაკენ მიიწევენ, იძულებული ვიქნებით მოვეპყრათ, როგორც კაპიტალისტებს, «მთელი სისასტიკით». ისინი, ისე როგორც კაპიტალისტები, წინააღმდეგობას გაგვიწევენ. ეს წინააღმდეგობა უნდა მოვტეხოთ, და თუ მარად-გულუბრყვილო პეშეხონოვი ჯერ კიდევ 1917 წლის ივნისში ტიტინებდა, როგორც ნამდვილი «სახელმწიფო ბალღი», «კაპიტალისტების წინააღმდეგობა გატეხილიაო», ამ ბავშვურ ფრაზას, ბალღურ ტრაბახს, ბავშვურ გამოსვლას პროლეტარიატი სერიოზულად განახორციელებს.

ამას ჩვენ ვიზამთ, რადგან საქმე ეხება მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობის, პირდაპირ ერთი მუჭა ადამიანების წინააღმდეგობის გატეხას; თვითეული მათგანის მიმართ ასეთ მეთვალყურეობას დააწესებენ მოსამსახურეთა კავშირები, პროფესიული კავშირები, სამომხმარებლო საზოგადოებები და საბჭოები, რომ ყოველი ტიტ ტიტიჩი ისე იქნება გარემოცული, როგორც ფრანგი სედანთან. ამ ტიტ ტიტიჩებს ჩვენ სათითაოდ ვიცნობთ: საკმაოა ავიღოთ დირექტორების, გამგეობის წევრების, მსხვილი აქციონერების და სხვათა სიები. ისინი რამდენიმე ასეული არიან, დიდი-დიდი — რამდენიმე ათასი მთელ რუსეთში; ყოველ მათგანს პროლეტარული სახელმწიფო, საბჭოების აპარატის, მოსამსახურეთა კავშირების და სხვათა შემწეობით, მიუყენებს ათობით და ასობით კონტროლიორს, ასე რომ «წინააღმდეგობის გატეხის» ნაცვლად, მგონი, მუშათა კონტროლის (კაპიტალისტების მიმართ) შემწეობით მოხერხდეს ის, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა **შეუძლებელი** გახდეს.

კაპიტალისტების ქონების კონფისკაცია კი არ იქნება «თავიდათავი», არამედ სწორედ კაპიტალისტებისა და მათი შესაძლებელი მომხრეების მიმართ საყოველთაო-სახალხო, ყოვლისმომცველი მუშათა კონტროლი. მარტო კონფისკაციით

ვერაფერს გახდები, რადგან მასში არ არის ელემენტი ორგანიზაციისა, სწორი განაწილების აღრიცხვისა. კონფისკაციას ჩვენ ადვილად შევცვლით ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი გადასახადის გადახდევინებით (თუნდაც «შინგარევის» განაკვეთით) — ოღონდ მოისპოს შესაძლებლობა ანგარიშგების რაიმე თავის არიდებისა, სიმართლის დაფარვისა, კანონის გვერდის ავლისა. ამ შესაძლებლობას კი მ ო ს პ ო ბ ს მ ხ ო ლ ო დ მ უ შ ა თ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს მუშათა კონტროლი.

ი ძ უ ლ ე ბ ი თ ი ს ი ნ დ ი ც ი რ ე ბ ა, ე. ი. იძულებითი გაერთიანება კავშირებად სახელმწიფოს კონტროლით, აი რა მოამზადა კაპიტალიზმმა, აი რა განახორციელა გერმანიაში იუნკრების სახელმწიფომ, აი რა იქნება სავსებით განსახორციელებელი რუსეთში საბჭოებისთვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, აი რას მ ო გ ვ ც ე მ ს «ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ა პ ა რ ა ტ ი» — უნივერსალურიც, უახლესიც, არაბიუროკრატიულიც *.

* * *

ბურჟუაზიის ადვოკატების მეოთხე მოსაზრება: პროლეტარიატი ვერ შესძლებს «აამოძრაოს» სახელმწიფო აპარატი. ეს მოსაზრება წინანდელ მოსაზრებასთან შედარებით ახალს არაფერს წარმოადგენს. ძველ აპარატს ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერც დავეუფლებოდით და ვერც ავამოძრავებდით. ახალი აპარატი, საბჭოები, უ კ ვ ე ამოძრავებულია «ნამდვილი ხალხური შემოქმედების მძლავრი გატაცებით». ამ აპარატს უნდა მოეხსნას მხოლოდ ის ხ უ ნ დ ე ბ ი, რომლებიც ესერებისა და მენშევიკების ბელადთა მეთაურობამ დაადო მას. ეს აპარატი უ კ ვ ე მუშაობს, საჭიროა მხოლოდ უკუვაგდოთ ის მახინჯი წვრილბურჟუაზიული დანაწონი, რომელიც ხელს უშლის მას შეუსვენებლივ წავიდეს წინ სრული სიჩქარით.

---

* უფრო დაწვრილებით იძულებითი სინდიცირების მნიშვნელობის შესახებ იხილე ჩემს ბროშურაში: «კატასტროფის მუქარა და როგორ ვებრძოლოთ მას». (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 25, გვ. 387 — 446. რ ე დ.)

ზემონათქვამის შესავსებად აქ საჭიროა განვიხილოთ ორი გარემოება: ჯერ-ერთი, კონტროლის ძველი საშუალებები, შექმნილი არა ჩვენს მიერ, არამედ კაპიტალიზმის მიერ მის სამხედრო-იმპერიალისტურ სტადიაში. მეორე, დემოკრატიზმის გაღრმავების მნიშვნელობა პროლეტარული ტიპის სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში.

პურის მონოპოლია და პურის ბარათები შექმნილია არა ჩვენს მიერ, არამედ მეომარი კაპიტალისტური სახელმწიფოს მიერ. მან უკვე შექმნა შრომის საყოველთაო ბეგარა კაპიტალიზმის ფარგლებში, ეს არის სამხედრო საკატორღო საპყრობილე მუშებისთვის. მაგრამ აქაც, ისე როგორც მთელ თავის ისტორიულ შემოქმედებაში, პროლეტარიატი თავის იარაღს იღებს კაპიტალიზმისაგან, თორემ კი არ «იგონებს», კი არ «ქმნის არაფრისაგან».

პურის მონოპოლია, პურის ბარათი, შრომის საყოველთაო ბეგარა პროლეტარული სახელმწიფოს ხელში, სრულუფლებიანი საბჭოების ხელში აღრიცხვისა და კონტროლის უძლიერესი საშუალებაა, ისეთი საშუალება, რომელიც, როცა კაპიტალისტებსა და საერთოდ მდიდრებზე გავრცელდება, როცა მუშები მათ მიმართ გამოიყენებენ, ისტორიაში ჯერ არნახულ ძალას მოგვცემს სახელმწიფო აპარატის «ასამოძრავებლად», კაპიტალისტების წინააღმდეგობის დასაძლევად, პროლეტარული სახელმწიფოსადმი მათ დასამორჩილებლად. კონტროლისა და შრომის იძულების ეს საშუალება კონვენტის კანონებსა და მის გილიოტინაზე უფრო ძლიერია. გილიოტინა მხოლოდ აშინებდა, მხოლოდ სტეხდა აქტიურ წინააღმდეგობას. ჩვენთვის ეს არ კმარა.

ჩვენთვის ეს არ კმარა. ჩვენ გვინდა არა მარტო «შევაშინოთ» კაპიტალისტები იმ აზრით, რომ მათ იგრძნონ პროლეტარული სახელმწიფოს ყოვლადძლიერება და დაივიწყონ მისთვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევაზე ფიქრი. ჩვენ უნდა გავტეხოთ პასიური, უეჭველად, უფრო საშიში და მავნე წინააღმდეგობაც. ჩვენ არა მარტო უნდა გავტეხოთ

ყოველგვარი წინააღმდეგობა. ჩვენ უნდა ვაიძულოთ მუშაობა ახალ ორგანიზაციულ-სახელმწიფოებრივ ფარგლებში. არ კმარა «გავაძევოთ» კაპიტალისტები, საჭიროა (უვარგის, გამოუსწორებელ «წინააღმდეგობის გამწევთა» გაძევების შემდეგ) ახალ სახელმწიფო სამსახურში მათი ჩაყენება. ეს შეეხება კაპიტალისტებსაც და ბურჟუაზიული ინტელიგენციის, მოსამსახურეების და სხვათა განსაზღვრულ ზედაფენასაც.

და ჩვენ გვაქვს ამის საშუალება. საამისო საშუალება და იარაღი ჩვენ ხელში მოგვცა თვითონ მეომარმა კაპიტალისტურმა სახელმწიფომ. ეს საშუალებაა პურის მონოპოლია, პურის ბარათი, შრომის საყოველთაო ბეგარა. «ვინც არ მუშაობს, მან არც უნდა სჭამოს» — აი ძირითადი, უპირველესი და უმთავრესი წესი, რომლის განხორციელება შეუძლიათ და კიდევაც გაახორციელებენ მუშათა დეპუტატების საბჭოები, როცა ხელისუფლებად გახდებიან.

მუშის წიგნაკი ყოველ მუშას აქვს. მას არ ამცირებს ეს დოკუმენტი, თუმცა ის ახლა, უეჭველია, წარმოადგენს კაპიტალისტური დაქირავებული მონობის საბუთს, მოწმობას, რომ მშრომელი ადამიანი ამა თუ იმ მუქთახორას ეკუთვნის.

საბჭოები შემოიღებენ მუშის წიგნაკს მდიდრებისთვის, **შემდეგ** კი თანდათანობით მთელი მოსახლეობისთვისაც (გლეხურ ქვეყანაში მუშის წიგნაკი, ალბათ, დიდხანს არ იქნება საჭირო გლეხობის დიდი უმრავლესობისთვის). მუშის წიგნაკი აღარ იქნება «შავი ძვლის» ნიშანი, აღარ იქნება «დაბალ» წოდებათა დოკუმენტი, დაქირავებული მონობის მოწმობა. იგი გადაიქცევა იმის მოწმობად, რომ ახალ საზოგადოებაში უკვე აღარ არიან «მუშები», მაგრამ სამაგიეროდ აღარც არის ვინმე, ვინც მუშაკი არ იყოს.

მდიდრებმა უნდა მიიღონ მუშის წიგნაკი იმ მუშათა ან მოსამსახურეთა კავშირისგან, რომელთანაც უფრო ახლოა მათი საქმიანობის დარგი, მათ ყოველკვირეულად, ან სხვა რომელიმე განსაზღვრული ვადის განმავლობაში, უნდა მიი-

ლონ ამ კავშირისგან მოწმობა, რომ ისინი კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ სამუშაოს; უამისოდ ისინი ვერ მიიღებენ ვერც პურის ბარათებს და ვერც სასურსათო პროდუქტებს საერთოდ. ჩვენ გვესაჭიროება საბანკო საქმის და საწარმოთა გაერთიანების კარგი ორგანიზატორები (ამ საქმეში კაპიტალისტებს მეტი გამოცდილება აქვთ, ხოლო გამოცდილ ადამიანებთან მუშაობა უფრო ადვილია), ჩვენ გვესაჭიროება წინანდელზე უფრო და უფრო მეტი ინჟინრები, აგრონომები, ტექნიკოსები, ყოველგვარი მეცნიერულად განათლებული სპეციალისტებიო, — იტყვის პროლეტარული სახელმწიფო. ყველა ასეთ მუშაკს ჩვენ მივცემთ მათი ძალისა და ჩვევის შესაფერის სამუშაოს; ჩვენ, ალბათ, მხოლოდ თანდათანობით შემოვიღებთ თანაბარ ხელფასს მთელი მისი ოდენობით, გარდამავალი დროისთვის კი დავტოვებთ უფრო მაღალ ხელფასს ასეთი სპეციალისტებისთვის, მაგრამ ჩვენ მათ დავუქვემდებარებთ მუშათა ყოველმხრივ კონტროლს, ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ სავსებით და უსათუოდ განვახორციელოთ წესი: «ვინც არ მუშაობს, ის არც სჭამს». ხოლო მუშაობის ორგანიზაციულ ფორმას ჩვენ კი არ ვიგონებთ, არამედ მზამზარეულად ვიღებთ კაპიტალიზმისაგან: ბანკებს, სინდიკატებს, საუკეთესო ფაბრიკებს, საცდელ სადგურებს, აკადემიებს და სხვა; ჩვენ მოგვიხდება მხოლოდ საუკეთესო ნიმუშების გადმოღება მოწინავე ქვეყნების გამოცდილებიდან.

და, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ ჩავეფლობით უტოპიზმში, არ გადავცდებით უფხიზლესი პრაქტიკული ანგარიშიანობის ნიადაგს, თუ ვიტყვით: კაპიტალისტთა მთელი კლასი უაღრესად შეუპოვარ წინააღმდეგობას გაგვიწევს, მაგრამ მთელი მოსახლეობის დარაზმვით საბჭოებად ეს წინააღმდეგობა გატეხილი იქნება, ამასთანავე, რასაკვირველია, მოგვიხდება განსაკუთრებით უტეხი და ურჩი კაპიტალისტების დასჯა მთელი ქონების კონფისკაციით და საპყრობილეში ჩასმით, მაგრამ სამაგიეროდ პროლეტარიატის გამარჯვება გ ა ა დ ი დ ე ბ ს ისეთ შემთხვევათა რიცხვს, რომლის შესახებაც, მაგალითად, დღევანდელ «იზვესტიაში» ვკითხულობ:

«26 სექტემბერს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა ცენტრალურ საბჭოში მოვიდა ორი ინჟინერი და განაცხადა, რომ ინჟინერთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა დააარსოს სოციალისტ-ინჟინრების კავშირი. კავშირი აღიარებს, რომ დღევანდელი დღე არსებითად სოციალური რევოლუციის დასაწყისია, ამიტომ მას სურს ვადავიდეს მუშათა მასების განკარგულებაში და დაიცვას მუშათა ინტერესები, იმოქმედოს მუშათა ორგანიზაციებთან სრული თანხმობით. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა ცენტრალური საბჭოს წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ საბჭო სიამოვნებით შექმნის თავის ორგანიზაციაში ინჟინერთა სექციას, რომელიც თავის პროგრამაში შეიტანს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა 1-ლი კონფერენციის ძირითად თეზისებს წარმოების მიმართ მუშათა კონტროლის დაწესების შესახებ. უახლოეს დღეებში შესდგება ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტთა ცენტრალური საბჭოს დელეგატების და „სოციალისტ-ინჟინრების საინიციატივო ჯგუფის შეერთებული სხდომა». (ცაკ-ის «იზვესტია», 1917 წ. 27 სექტემბერი.)

* * *

გვეუბნებიან, პროლეტარიატი ვერ შესძლებს სახელმწიფო აპარატის ამოძრავებასო.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთს მართავდა 130 000 მემამულე, მართავდა 150 მილიონი ადამიანის მიმართ დაუსრულებელ ძალადობათა საშუალებით, მათი უსაზღვრო აბუჩად აგდების საშუალებით, მართავდა ისე, რომ უდიდეს უმრავლესობას აიძულებდა საკატორღო შრომას და ნახევრად-მშიერ არსებობას დასჯერებოდნენ.

და რუსეთის მართვას, თითქოს, ვერ შესძლებს ბოლშევიკების პარტიის 240 000 წევრი, ვერ შესძლებს მართვას ღარიბთა ინტერესების სასარგებლოდ და მდიდართა წინააღმდეგ. ამ 240 000 კაცს ახლა უკვე მხარს უჭერს მოზრდილი მოსახლეობის 1 მილიონი ხმა მაინც, რადგან პარტიის წევრთა რიცხვისა და პარტიისათვის ხმისმიმცემთა რიცხვის სწორედ ასეთი თანაფარდობა დადგენილია ევროპისა და რუსეთის გამოცდილებით, თუნდაც, მაგალითად, პიტერის თვითმმართველობის აგვისტოს არჩევნებით. აი ჩვენ უკვე გვყავს «სახელმწიფო აპარატი» ერთი მილიონი ადამიანის შემადგენლობით, რომელიც სოციალისტური სახელმწიფოს ერთგულია იდეურად, და არა ყოველთვიურად 20 რიცხვს მსხვილი თანხის მიღების გულისთვის.

ეგ არაფერი, ჩვენ გვაქვს «საუცხოო საშუალება» ერთბაშად, ერთი დაკვრით გ ა ვ ა ა თ კ ე ც ო თ ჩვენი სახელმწიფო აპარატი, საშუალება, რომელიც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს არასდროს არ ჰქონია და არც შეიძლება ექნეს. ეს საუცხოო საქმეა — მშრომელთა მიზიდვა, ღარიბთა მიზიდვა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ყოველდღიურ მუშაობაში.

იმის განსამარტებლად, თუ რამდენად ადვილი გამოსაყენებელია ეს საუცხოო საშუალება, რამდენად უტყუარია მისი მოქმედება, ავიღოთ რაც შეიძლება უბრალო და თვალსაჩინო მაგალითი.

სახელმწიფოს ესაჭიროება იძულებით გაასახლოს ბინიდან რომელიმე ოჯახი და ჩაასახლოს მეორე. ამას ხშირად სჩადის კაპიტალისტური სახელმწიფო, ამასვე იზამს ჩვენი, პროლეტარული ანუ სოციალისტური სახელმწიფოც.

კაპიტალისტური სახელმწიფო გარეთ აგდებს მუშების ოჯახს, რომელმაც მუშაკი დაჰკარგა და ქირა ვერ გადაიხადა. მოდის სასამართლოს ბოქაული, პოლიციელი თუ მილიციელი, მთელი მათი რაზმი. მუშათა უბანში რომ გასახლება მოხდეს, საჭიროა კაზაკთა რაზმი. რატომ? იმიტომ რომ ბოქაული და «მილიციელი» უარს ამბობენ წასვლაზე, თუ ძლიერი სამხედრო დამცველი ძალა არ ეყოლათ. მათ იციან, რომ გასახლების სცენა ისეთ გააფთრებულ აღშფოთებას იწვევს მთელ გარეშემო მოსახლეობაში, ათასობით თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისულ ადამიანებში, ისეთ სიძულვილს კაპიტალისტებისა და კაპიტალისტური სახელმწიფოსადმი, რომ შეუძლიათ ყოველ წუთს ნაკუწ-ნაკუწად აქციონ ბოქაული და მილიციელთა რაზმი. საჭიროა დიდი სამხედრო ძალა, საჭიროა დიდ ქალაქში რამდენიმე პოლკის მოყვანა უსათუოდ რომელიმე შორეული განაპირა ადგილიდან, რომ ჯარისკაცებისთვის უცხო იყოს ქალაქის ღარიბთა ცხოვრება, რათა ჯარისკაცებს არ «გადაედოთ» სოციალიზმი.

პროლეტარულ სახელმწიფოს ესაჭიროება იძულებით ჩაასახლოს მდიდრის ბინაში მეტად გაჭირვებული ოჯახი.

ჩვენი მუშური მილიციის რაზმი შესდგება, ვთქვათ, 15 კაცისაგან: ორი მატროსი, ორი ჯარისკაცი, ორი შეგნებული მუშა (რომელთაგან თუნდაც ერთი უნდა იყოს ჩვენი პარტიის წევრი ან თანამგრძნობი), შემდეგ ერთი ინტელიგენტი და 8 მშრომელი ღარიბი, ქალი უსათუოდ არა ნაკლებ 5-ისა — შინამოსამსახურენი, შავი მუშები და სხვა. რაზმი მიდის მდიდრის ბინაზე, ათვალიერებს მას, ხედავს, რომ 5 ოთახი უჭირავს ორ მამაკაცს და ორ ქალს. — «თქვენ ცოტა შევიწროვდით, მოქალაქენო, ამ ზამთარში იკმარეთ ორი ოთახი, ორი ოთახი კი მოამზადეთ სარდაფიდან ორი ოჯახის ჩასასახლებლად. დროებით, სანამ ჩვენ ინჟინრების შემწეობით (თქვენ, მგონი, ინჟინერი ხართ?) ავაშენებდეთ ყველასთვის კარგ ბინას, აუცილებლად უნდა შევიწროვდეთ. თქვენი ტელეფონით 10 ოჯახი ისარგებლებს. ეს მოგვცემს 100 საათის ეკონომიას მუშაობასა და დუქნებში რბენაზე და სხვ.. გარდა ამისა, თქვენს ოჯახში არის ორი მოცლილი ნახევარმუშა, რომელთაც შეუძლიათ იოლი სამუშაოს შესრულება: მოქალაქე-ქალი 55 წლისა და ვაჟი 14 წლისა. ისინი იმორიგეებენ ყოველდღე, სამ-სამ საათს, რათა თვალყური ადევნონ პროდუქტების სწორ განაწილებას 10 ოჯახისათვის და აწარმოონ საამისოდ საჭირო დავთარი. მოქალაქე სტუდენტი, რომელიც ჩვენს რაზმში იმყოფება, ახლავე დაწერს ორ ცალად ამ სახელმწიფო ბრძანების ტექსტს, თქვენ კი ინებეთ და მოგვეცით ხელწერილი, რომ ვალდებულად რაცხთ თავს ზუსტად შეასრულოთ ეს».

ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო, ჩემი აზრით, თვალსაჩინო მაგალითებით წარმოდგენილი თანაფარდობა ძველ, ბურჟუაზიულ, და ახალ, სოციალისტურ, სახელმწიფო აპარატსა და სახელმწიფო მართვა-გამგეობას შორის.

ჩვენ უტოპისტები როდი ვართ. ვიცით, რომ ყოველ შავ მუშასა და ყოველ მზარეულ ქალს არ შეუძლია ახლავე შეუდგეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობას. ამაში ჩვენ ვეთანხმებით კადეტებსაც, ბრეშკოვსკაიასაც და წერეთელსაც. მაგრამ ამ მოქალაქეებისგან იმით განვსხვავდებით, რომ მოვითხოვთ

დაუყოვნებლივ უკუაგდონ ის ცრურწმენა, თითქოს სახელმწიფოს მ ა რ თ ვ ა, მართვა-გამგეობის ჩვეულებრივი, ყოველდღიური სამუშაოს შესრულება შეუძლიათ მხოლოდ მდიდრებს ან მდიდარი ოჯახებიდან აყვანილ მოხელეებს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის ს წ ა ვ ლ ე ბ ა ს ეწეოდნენ შეგნებული მუშები და ჯარისკაცები და რომ იგი დაუყოვნებლივ დაიწყოს, ე. ი. ამის შესწავლაში დაუყოვნებლივ ჩ ა ა ბ ა ნ ყველა მშრომელი, მთელი ღარიბობა.

ჩვენ ვიცით, რომ კადეტებიც თანახმანი არიან ასწავლონ ხალხს დემოკრატიზმი. კადეტი ქალებიც თანახმანი არიან ინგლისური და ფრანგული საუკეთესო წყაროების მიხედვით უკითხონ ლექციები შინამოსამსახურეებს ქალის თანასწორუფლებიანობის შესახებ. აგრეთვე უახლოეს კონცერტ-მიტინგზე, რამდენიმე ათასი კაცის წინაშე, ესტრადაზე მოეწყობა კოცნა: კადეტი ლექტორი ქალი აკოცებს ბრეშკოვსკაიას, ბრეშკოვსკაია — ყოფილ მინისტრს წერეთელს, და ამრიგად მადლიერი ხალხი თვალსაჩინო მაგალითით შეისწავლის, თუ როგორია რესპუბლიკური თანასწორობა, თავისუფლება და ძმობა...

დიახ, ჩვენ თანახმა ვართ, რომ კადეტები, ბრეშკოვსკაია და წერეთელი, თავისებურად, ერთგულნი არიან დემოკრატიზმისა და ქადაგებენ ამას ხალხში. მაგრამ რა გაეწყობა, თუ ჩვენ ცოტა სხვანაირი წარმოდგენა გვაქვს დემოკრატიზმზე?

ჩვენი აზრით, ომის გაუგონარ სიმძიმეთა და უბედურებათა შესამსუბუქებლად, აგრეთვე იმ საშინელ ჭრილობათა სამკურნალოდ, რაც ომმა მიაყენა ხალხს, საჭიროა რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ს ი დემოკრატიზმი, საჭიროა სწორედ იმგვარი რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ს ი ღონისძიებები, როგორიცაა ზემოაწერილი მაგალითი საცხოვრებელი ბინების განაწილებისა ღარიბთა ინტერესების სასარგებლოდ. ს წ ო რ ე დ ა ს ე ვ ე უნდა მოვიქცეთ ქალაქშიც და სოფლადაც სასურსათო პროდუქტების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სხვათა მიმართ, სოფლად მიწის მიმართ და სხვა. სახელმწიფოს ა მ გ ვ ა რ მართვა-

გამგეობაში ჩვენ შეგვიძლია ერთბაშად ჩავაბათ სახელმწიფო აპარატი, ათი მილიონი კაცის შემადგენლობით, თუ ოცით არა, აპარატი, რომელიც არც ერთს კაპიტალისტურ სახელმწიფოში არ ნახულა, ეს აპარატი მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ, რადგან ჩვენ უზრუნველყოფილი გვაქვს მოსახლეობის უზარმაზარი უმრავლესობის სრული და თავდადებული თანაგრძნობა. ეს აპარატი მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ, რადგან ჩვენ გვყავს შეგნებული, ხანგრძლივი კაპიტალისტური «წვრთნით» დისციპლინირებული მუშები (ტყვილად კი არ ვიყავით გასაწვრთნელად. კაპიტალიზმთან), რომლებსაც შეუძლიათ შექმნან მუშური მილიცია და თანდათანობით გააფართოონ იგი (გაფართოების დაუყოვნებლივ დაწყებით) საყოველთაო-სახალხო მილიციად. შეგნებული მუშები უნდა ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ მათ შეუძლიათ მართვა-გამგეობის საქმეში ჩააბან მშრომელთა და ჩაგრულთა ნამდვილი მასები.

რასაკვირველია, აუცილებელია შეცდომები ამ ახალი აპარატის პირველი ნაბიჯების გადადგმისას. მაგრამ განა შეცდომები არ ჰქონიათ გლეხებს, როცა ბატონყმობიდან თავისუფლდებოდნენ და თვითონ იწყებდნენ საკუთარი საქმეების გაძღოლას? განა შეიძლება სხვა გზით ასწავლო ხალხს თავისი თავის მართვა, შეცდომების აცილება, თუ არა პრაქტიკის გზით? თუ არა ნამდვილი ხალხური თვითმმართველობის დაუყოვნებლივ დაწყებით? უმთავრესი ახლა ის არის, რომ გამოეთხოვო იმ ბურჟუაზიულ ინტელიგენტურ ცრურწმენას, თითქოს სახელმწიფოს მართვა შეუძლიათ მხოლოდ საგანგებო მოხელეებს, რომლებიც სავსებით დამოკიდებულნი არიან კაპიტალზე მთელი თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობით. უმთავრესი ის არის, რომ ბოლო მოუღო ისეთ მდგომარეობას, როცა ბურჟუები, მოხელეები და «სოციალისტი» მინისტრები ცდილობენ ძველებურად მართონ, მაგრამ მართვა არ შეუძლიათ, და შვიდი თვის შემდეგ გლეხურ ქვეყანაში გლეხთა აჯანყებას ღებულობენ!! უმთავრესი ის არის, რომ ჩაგრულთ და მშრომელთ ჩაუნერგო ნდობა საკუ-

თარი ძალისადმი, პრაქტიკულად უჩვენო, რომ მათ შეუძლიათ და კიდევაც უნდა მოჰკიდონ ხელი პურის, ყოველგვარი სანოვაგის, რძის, ტანსაცმლის, ბინებისა და სხვ. ღ ა რ ი ზ თ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ ს წ ო რ, სასტიკად მოწესრიგებულ, ორგანიზებულ განაწილებას. უამისოდ რუსეთის ხსნა კრახისა და დაღუპვისაგან შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, ხოლო თუ კეთილსინდისიერად, გაბედულად და ყველგან შევუდგებით მართვა-გამგეობის საქმის გადაცემას პროლეტარებისა და ნახევრადპროლეტარების ხელში, ეს მასების ისეთს, ისტორიაში გაუგონარ, რევოლუციურ ენთუზიაზმს გამოიწვევს, იმდენად გაამრავლებს ხალხის ძალას გაჭირვებასთან საბრძოლველად, რომ მრავალი რამ, რაც ჩვენს ვიწრო, ძველ, ბიუროკრატიულ ძალებს შეუძლებლად ეჩვენებოდა, განსახორციელებელი გახდება მილიონნიანი მასის ძალისთვის, რომელიც მ უ შ ა ო ბ ა ს ი წ ყ ე ბ ს ს ა კ უ თ ა რ ი თ ა ვ ი ს თ ვ ი ს და არა კაპიტალისტისთვის, არა ბატონიშვილისთვის, არა მოხელისთვის, არა იძულებით.

* * *

სახელმწიფო აპარატის საკითხს ეკუთვნის აგრეთვე ცენტრალიზმის საკითხიც, განსაკუთრებით ენერგიულად და განსაკუთრებით უხეიროდ აღძრული ამხ. ბაზაროვის მიერ «ნოვაია ჟიზნის» 138-ე ნომერში 27 სექტემბერს მოთავსებულ სტატიაში: «ბოლშევიკები და ხელისუფლების პრობლემა».

ამხ. ბაზაროვი ასე მსჯელობს: «საბჭოები არ წარმოადგენენ აპარატს, შეგუებულს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსადმი», ვინაიდან შვიდი თვის გამოცდილებამ ცხადყო, «პეტერბურგის აღმასრულებელი კომიტეტის ეკონომიური განყოფილების ათეულმა და ასეულმა დასაბუთებულმა მონაცემებმა» დაადასტურა, რომ საბჭოებმა, თუმცა მრავალ ადგილას ისინი ფაქტიურადაც სარგებლობდნენ «სრული ძალაუფლებით», «ნგრევასთან ბრძოლის სფეროში ვერ მიაღწიეს რამდენადმე დამაკმაყოფილებელ შედეგებს». საჭიროა აპარატი, «დანაწილებული წარმოების დარგების მიხედვით, თვითეული დარგის ფარგლებში სასტიკად

ცენტრალიზებული და ერთიან საერთო-სახელმწიფოებრივ ცენტრისადმი დაქვემდებარებულია». თურმე ნუ იტყვით, «საქმე ეხება არა ძველი აპარატის შეცვლას, არამედ მხოლოდ მის რეფორმირებას... რამდენსაც უნდა დასცინოდნენ ბოლშევიკები გეგმიან ადამიანებს»...

ამხანაგ ბაზაროვის მთელი ეს მსჯელობა პირდაპირ განსაცვიფრებლად უმწეოა, როგორც პირწავარდნილი მსჯელობა ბურჟუაზიისა, როგორც მისი კლასობრივი თვალსაზრისის ანარეკლი!

მართლაც. იმის თქმა, თითქოს საბჭოებს თუნდაც სადმე რუსეთში, თუნდაც ოდესმე ჰქონოდეთ «სრული ძალაუფლება», პირდაპირ სასაცილოა (თუკი ეს კაპიტალისტების ანგარებიან-კლასობრივი სიკრუის განმეორება არ არის). მთელი ძალაუფლება მოითხოვს ბატონობას მთელ დედამიწაზე, ყველა ბანკის, ყველა ფაბრიკის მიმართ; ვინც რამდენადმე მაინც იცნობს ისტორიის გამოცდილებასა და მეცნიერების მონაცემებს ეკონომიკასთან პოლიტიკის კავშირის შესახებ, არ შეეძლო «დაევიწყნა» ეს «პატარა» გარემოება.

ბურჟუაზიის მატყუარა ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ ის, ა რ ანებებს რა საბჭოებს ძალაუფლებას, ს ა ბ ო ტ ა ჟ ს უწევს რა ყოველ მათ სერიოზულ ნაბიჯს, ინარჩუნებს რა ხელისუფლებას, ინარჩუნებს რა ბატონობას მიწისა, ბანკებისა და სხვათა მიმართ, ნგრევაში ბრალს სდებს საბჭოებს!! ამაში მდგომარეობს სწორედ კოალიციის მთელი სავალალო გამოცდილებაც.

საბჭოებს არასოდეს სრული ძალაუფლება არა ჰქონიათ და მათ ღონისძიებებს პალიატივებისა და არევ-დარევის გაძლიერების გარდა არაფრის მოცემა არ შეეძლოთ.

ცენტრალიზმის საჭიროება უმტკიცო ბოლშევიკებს, რომლებიც რწმენით, მთელი თავიანთი პარტიის პროგრამითაც და ტაქტიკითაც ცენტრალისტები არიან, ეს, ჭეშმარიტად, ღია კარის შემტვრევას ნიშნავს. თუ «ნოვაია ჟიზნის» მწერლები ასეთ ფუჭ საქმიანობას ეწევიან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სრულიადაც ვერ გაუგიათ ჩვენი მხრივ მათი «საერთო-სახელ-

მწიფოებრივი» თვალსაზრისის საცინლად აგდების აზრი და მნიშვნელობა. ხოლო ნოვაიაჟიზნელებმა ეს იმიტომ ვერ გაიგეს, რომ კლასობრივი ბრძოლის მოძღვრება მათ სწამთ მხოლოდ ტ უ ჩ ე ბ ი თ და არა გონებით. იმეორებენ გაზეპირებულ სიტყვებს კლასობრივი ბრძოლის შესახებ და ამავე დროს ყოველ წუთს თეორიულად სასაცილო, პრაქტიკულად რეაქციულ «ზეკლასობრივი თვალსაზრისისაკენ» იხრებიან და ბურჟუაზიისადმი ამ მლიქვნელობას «საერთო-სახელმწიფოებრივ» გეგმას უწოდებენ.

სახელმწიფო, კეთილო ადამიანებო, კლასობრივი ცნებაა. სახელმწიფო არის ორგანო ანუ მანქანა ერთი კლასის ძალადობისა მეორე კლასის მიმართ. ვიდრე იგი პროლეტარიატის მიმართ ბურჟუაზიის ძალადობის მანქანაა, მანამდე პროლეტარული ლოზუნგი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი: ამ სახელმწიფოს დ ა მ ს ხ ვ რ ე ვ ა. ხოლო როცა სახელმწიფო პროლეტარული იქნება, როცა იგი ბურჟუაზიის მიმართ პროლეტარიატის ძალადობის მანქანა იქნება, მაშინ ჩვენ სავსებით და უცილობლად მტკიცე ხელისუფლებისა და ცენტრალიზმის მომხრე ვიქნებით.

უფრო პოპულარულად რომ ვთქვათ: «გეგმებს» კი არ დავცინით, არამედ იმას, რომ ბაზაროვს და კომპანიას არ ესმით, რომ, როდესაც ისინი «მუშათა კონტროლს», «პროლეტარიატის დიქტატურას» უარყოფენ, ისინი ბურჟუაზიის დიქტატურის მ ო მ ხ რ ე ნ ი არიან. შუათანა რამ არ არსებობს, შუათანა რამ — წვრილბურჟუაზიული დემოკრატის ფუჭი ოცნებაა.

საბჭოების ც ე ნ ტ რ ა ლ ი ზ მ ი ს წინააღმდეგ, მათი გაერთიანების წინააღმდეგ არც ერთ ცენტრს, არც ერთ ბოლშევიკს სადავო არასოდეს არაფერი ჰქონია. წარმოების დარგთა მიხედვით ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებისა და მათი ცენტრალიზაციის წინააღმდეგ არც ერთი ჩვენგანი არაფერს ამბობს. ბაზაროვი მიზანს ა ც ი ლ ე ბ ს.

ჩვენ დავცინით, დავცინოდით და დავცინებთ არა «ცენტრალიზმს» და არა «გეგმებს», არამედ რ ე ფ ო რ მ ი ზ მ ს. ვინაიდან თქვენი რეფორმიზმი უაღრესად სასაცილოა

კოალიციის გამოცდილების შემდეგ. ხოლო ლაპარაკი: «არა აპარატის შეცვლა, არამედ მისი რეფორმირება» იმას ნიშნავს, რომ რეფორმისტი ხარ, იმას ნიშნავს, რომ რევოლუციური დემოკრატი კი არა, რეფორმისტი დემოკრატი გახდე. რეფორმიზმი არის მმართველი კლასის დათმობა და ა რ ა მისი დამხობა, მისი დათმობა მ ი ს თ ვ ი ს ხელისუფლების შენარჩუნებით და სხვა არაფერი.

ეს არის სწორედ ის, რაც ნახევარი წლის კოალიციით გამოვცადეთ.

აი სწორედ ამას დავცინით ჩვენ. ბაზაროვი არ დაუფიქრდა კლასობრივი ბრძოლის მოძღვრებას და თავს აჭერინებს ბურჟუაზიას, რომელიც გუნდად მღერის: «აი, აი სწორედ ასეა, ჩვენ სწორედ წინააღმდეგი არა ვართ რეფორმირებისა, ჩვენ მომხრე ვართ მუშების მონაწილეობისა საერთო-სახელმწიფო კონტროლში, ჩვენ სავსებით თანახმა ვართო», და კეთილი ბაზაროვიც ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ კაპიტალისტთა დამქაშის როლს ასრულებს.

მუდამ ასე ყოფილა, მუდამ ასე მოუვა იმათ, ვინც მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში «შუათანა» პოზიციის დაჭერას შეეცდება. და სწორედ იმიტომ, რომ «ნოვაია ჟიზნის» მწერლებს არ შეუძლიათ კლასობრივი ბრძოლის გაგება, მათი პოლიტიკა ასე სასაცილოა, მუდმივი მერყეობაა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შუა.

აბა, მოჰკიდეთ ხელი «გეგმებს», ძვირფასო მოქალაქენო, ეს არ არის პოლიტიკა, ეს კლასობრივი ბრძოლის საქმე არ არის, აქ თქვენ შეგიძლიათ სარგებლობა მოუტანოთ ხალხს. თქვენს გაზეთში მრავალი ეკონომისტი მუშაობს. შეუერთდით ისეთ ინჟინრებს და სხვ., რომლებიც მზად არიან იმუშაონ წარმოებისა და განაწილების მოწესრიგების საკითხებზე, დაუთმეთ თქვენი დიდი «აპარატის» (გაზეთის) ჩართული ფურცელი რუსეთში პროდუქტების წარმოებისა და განაწილების, ბანკებისა და სინდიკატების და სხვათა და სხვათა შესახებ ზუსტი მონაცემების საქმიან დამუშავებას — აი რაში მოუტანთ თქვენ ხალხს სარგებლობას, აი სად იქნება ნაკლებ მავნებელი

თქვენი ორ სკამს შუა ჯდომა, აი «გეგმებზე» როგორი მუშაობა გამოიწვევს არა დაცინვას, არამედ მადლობას მუშების მხრივ.

პროლეტარიატი ასე მოიქცევა, როცა გაიმარჯვებს: ის დასვამს ეკონომისტებს, ინჟინრებს, აგრონომებს და სხვებს მუშათა ორგანიზაციების კ ო ნ ტ რ ო ლ ი თ «გეგმის» შემუშავებაზე, მის შემოწმებაზე; ცენტრალიზაციით შრომის ეკონომიის საშუალებათა გამოძებნაზე, ყველაზე მარტივი, იაფი, მოხერხებული და უნივერსალური კონტროლის ღონისძიებათა და საშუალებათა გამოძებნაზე. ამისთვის ჩვენ კარგ ფულს მივცემთ ეკონომისტებს, სტატისტიკოსებს, ტექნიკოსებს, მაგრამ... მაგრამ ჩვენ მათ არ ვაჭმევთ, თუ ამ სამუშაოს ისინი კეთილსინდისიერად და სავსებით მ შ რ ო მ ე ლ თ ა ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ არ შეასრულებენ.

ჩვენ ცენტრალიზმისა და «გეგმის» მომხრე ვართ, მაგრამ მომხრე ვართ პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი სახელმწიფოს ცენტრალიზმისა და გეგმისა, წარმოების და განაწილების პროლეტარული მოწესრიგებისა ღარიბთა, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ინტერესების სასარგებლოდ, ექსპლოატატორთა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. «საერთო-სახელმწიფოებრივი»-ს აზრით ჩვენ თანახმა ვართ გავიგოთ მხოლოდ ის, რაც სტეხს კაპიტალისტების წინააღმდეგობას, რაც სრულ ძალაუფლებას აძლევს ხელში ხალხის უმრავლესობას, ე. ი. პროლეტარებსა და ნახევრად-პროლეტარებს, მუშებსა და უღარიბეს გლეხებს.

* * *

მეხუთე მოსაზრება ის არის, რომ ბოლშევიკები ვერ შეინარჩუნებენ ხელისუფლებას, რადგან «ვითარება განსაკუთრებით რთულია»...

ჰოი, ბრძენნო! ისინი მზად არიან, თითქოს, შეურიგდნენ რევოლუციას — ოღონდ «განსაკუთრებით რთული ვითარება» ნუ იქნება.

ასეთი რევოლუციები არ ხდება, და ბურჟუაზიული ინტელიგენტის რეაქციული ლამენტაციების გარდა ასეთი რევოლუციის ნატვრაში არაფერია. რევოლუცია კიდევაც რომ

დაიწყოს ისეთ ვითარებაში, რომელიც მაინცდამაინც ძლიერ რთული არ გვეჩვენება, თვით რევოლუციის განვითარება ყოველთვის ქმნის განსაკუთრებით რთულ ვითარებას. ვინაიდან რევოლუცია, ნამდვილი, ღრმა, «ხალხური», მარქსის თქმით[31], რევოლუცია არის წარმოუდგენლად რთული და მტანჯველი პროცესი ძველის კვდომისა და ახალი საზოგადოებრივი წყობილების, ათეული მილიონობით ადამიანის ცხოვრების წყობის წარმოშობისა. რევოლუცია არის ყველაზე მწვავე, გააფთრებული, თავგანწირული კლასობრივი ბრძოლა და სამოქალაქო ომი. არც ერთი დიდი რევოლუცია ისტორიაში სამოქალაქო ომის გარეშე არ მომხდარა. ხოლო იმის ფიქრი, რომ სამოქალაქო ომი შესაძლებელი იყოს «განსაკუთრებით რთული ვითარების» გარეშე, შეუძლიათ მხოლოდ ფუტლარის ადამიანებს.

განსაკუთრებით რთული ვითარება რომ არ ყოფილიყო, არც რევოლუცია იქნებოდა. მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია.

მეხუთე მოსაზრებაში გასარჩევი არაფერია, იმიტომ რომ მასში არ არის არავითარი — არც ეკონომიური, არც პოლიტიკური და საერთოდ არც სხვა რაიმე აზრი. მასში არის მხოლოდ ოხვრა რევოლუციით დამწუხრებული და შეშინებული ადამიანებისა. თავს ნებას მივცემ ორი პატარა პირადი მოგონება მოვიყვანო ამ ოხვრის დასახასიათებლად.

ბაასი მქონდა მდიდარ ინჟინერთან ივლისის დღეების ცოტა ხნის წინ. ეს ინჟინერი ოდესღაც რევოლუციონერი იყო, წევრი იყო სოციალ-დემოკრატიული და თვით ბოლშევიკური პარტიისაც კი. ახლა იგი მთლად შიშადაა ქცეული და სავსეა ბოღმით მშფოთვარე და დაუცხრომელი მუშების წინააღმდეგ. ისეთნი რომ მაინც იყვნენ, როგორც გერმანელი მუშები არიან — ამბობს ის (განათლებული, საზღვარგარეთ ნამყოფი კაცი), — მე, რა თქმა უნდა, მესმის საერთოდ სოციალური რევოლუციის აუცილებლობა, მაგრამ ჩვენში, მუშების დონის იმ დაქვეითების პირობებში, რაც ომმა მოიტანა... ეს რევოლუცია კი არ არის, ეს — უფსკრულია.

ის მზად არის აღიაროს სოციალური რევოლუცია, თუ ისტორია ისევე მშვიდად, წყნარად, ნარნარად და წესიერად მიიყვანს მასთან, როგორც გერმანული სწრაფი მატარებელი მიადგება ხოლმე სადგურს. დინჯი კონდუქტორი აღებს ვაგონის კარს და აცხადებს: «სადგური სოციალური რევოლუცია. **Alle aussteigen** (ყველა გამობრძანდითო)!» მაშინ დიახაც გადახვალ ტიტ ტიტიჩების განკარგულებაში მყოფი ინვინრის მდგომარეობიდან მუშათა ორგანიზაციების განკარგულებაში მყოფი ინვინრის მდგომარეობაში.

ამ კაცს უნახავს გაფიცვები, მან იცის, რა ვნებათა ღელვის ქარიშხალს იწვევს ყოველთვის, მშვიდობიან დროსაც კი, სულ ჩვეულებრივი გაფიცვა. მას ესმის, რა თქმა უნდა, რამდენ მილიონჯერ უფრო ძლიერი უნდა იქნეს ეს ქარიშხალი, როცა კლასობრივმა ბრძოლამ ფეხზე დააყენა უზარმაზარი ქვეყნის მ თ ე ლ ი მშრომელი ხალხი, როცა ომმა და ექსპლოატაციამ თითქმის სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა მილიონობით ადამიანი, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში ტანჯავდნენ მემამულეები, ათეული წლობით ძარცვავდნენ და ტუქსავდნენ კაპიტალისტები და მეფის მოხელეები. მას ესმის ყოველივე ეს «თეორიულად», ის აღიარებს ყოველივე ამას მხოლოდ ტ უ ჩ ე ბ ი თ, იგი პირდაპირ დაშინებულია «განსაკუთრებით რთული ვითარებით».

ივლისის დღეების შემდეგ, იმ განსაკუთრებული მზრუნველობის გამო, რომელიც ჩემ პატივსაცემად გამოიჩინა კერენსკის მთავრობამ, მე არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა მომიხდა. ჩვენიანებს მალავდა, რა თქმა უნდა, მუშა. პიტერის შორეულ მუშათა უბანში, მუშის პატარა ბინაში შემოაქვთ სადილი. დიასახლისს მოაქვს პური. მასპინძელი ამბობს: «დახე, რა მშვენიერი პურია. «ისინი» ახლა ხომ ვეღარ ბედავენ ცუდი პურის მოცემას. ჩვენ იმის ფიქრიც კინაღამ დაგვავიწყდა, რომ პიტერში შეუძლიათ კარგი პური გაღირსონო».

მე განმაცვიფრა ივლისის დღეების ამ კლასობრივმა შეფასებამ. ჩემი ფიქრი ამ ამბის პოლიტიკურ მნიშვნელობას უტრიალებდა გარს; უფიქრდებოდა მის როლს მოვლენათა საერთო

მსვლელობაში; არკვევდა, რა სიტუაციიდან წარმოსდგა ისტორიის ეს ზიგზაგი და როგორ სიტუაციას შექმნის იგი, როგორ უნდა შევცვალოთ ჩვენი ლოზუნგები და ჩვენი პარტიული აპარატი, რათა შევუფარდოთ იგი შეცვლილ მდგომარეობას. პურზე მე, ადამიანს, რომელსაც გაჭირვება არ გამომივლია, არ მიფიქრია. პური ჩემთვის როგორღაც თავისთავად ჩნდებოდა, სამწერლო შრომის რაღაც გარეშე პროდუქტი. პურისათვის კლასობრივ ბრძოლას, რაც ყველაფრის საფუძველია, აზრი უახლოვდება პოლიტიკური ანალიზის არაჩვეულებრივ რთული და დახლართული გზით.

ხოლო ჩაგრული კლასის, თუნდაც კარგ ხელფასიანი და სავსებით ინტელიგენტი მუშების წარმომადგენელი პირდაპირ სწვდება საქმის დედაარსს იმ საკვირველი უბრალოებითა და უშუალობით, იმ მტკიცე გაბედულებით, აზრის იმ განსაცვიფრებელი სიცხადით, რაც ჩვენთვის, ინტელიგენტებისათვის, ისე შორსაა, როგორც ვარსკვლავი ცისა. მთელი სამყარო ორ ბანაკად იყოფა: «ჩვენ», მშრომელნი, და «ისინი», ექსპლოატატორები. არავითარი შეშფოთება მომხდარის გამო: ერთ-ერთი ბრძოლა შრომისა და კაპიტალის ხანგრძლივ ბრძოლაში. ტყეს კაფავენ — ნაფოტები ცვივა.

«რა სატანჯველი რამაა რევოლუციის ეს «განსაკუთრებით რთული ვითარება»» — ასე ფიქრობს და გრძნობს ბურჟუაზიული ინტელიგენტი.

«ჩვენ «მათ» დავაჭირეთ, «ისინი» ვეღარ ბედავენ თავხედობას, როგორც წინათ. კვლავ დავაჭიროთ — სულ გადავიგდოთ კისრიდან» — ასე ფიქრობს და გრძნობს მუშა.

* * *

მეექვსე და უკანასკნელი მოსაზრება: პროლეტარიატი «ვერ შესძლებს გაუმკლავდეს მტრულ ძალთა მთელ იმ შემოტევას, რომელიც აღგვის არა მარტო პროლეტარიატის დიქტატურას, არამედ მთელ რევოლუციასაც».

ნუ გვაშინებთ, ბატონებო, ვერ შეგვაშინებთ. გვინახავს ეს მტრული ძალები და მათი შემოტევა კორნილოველობის

დროს (რომლისაგან კერენსკელობა არაფრით განირჩევა). როგორ აღგავა პროლეტარიატმა და უღარიბესმა გლეხობამ კორნილოველობა, რა საცოდავ და უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ბურჟუაზიის მომხრეები და განსაკუთრებით შეძლებულ და რევოლუციისადმი განსაკუთრებით «მტრულად განწყობილ» წვრილ მიწათმფლობელთა ადგილობრივი ფენების მცირერიცხოვანი წარმომადგენლები, ეს ყველამ ნახა, ხალხს ახსოვს ეს. 30 სექტემბრის «დელო ნაროდა» არწმუნებს მუშებს «მოითმინონ» კერენსკელობა (ე. ი. კორნილოველობა) და გაყალბებული წერეთელ-ბულიგინის სათათბირო დამფუძნებელ კრებამდე (რომელსაც იწვევენ «სამხედრო ზომების» მფარველობით აჯანყებული გლეხობის წინააღმდეგ!), «დელო ნაროდა» აღფრთოვანებით იმეორებს «ნოვაია ჟიზნის» სწორედ მეექვსე მოსაზრებას და ხმისჩაწყვეტით გაჰკივის: «კერენსკის მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაემორჩილებაო» (საბჭოების ხელისუფლებას, მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას, რომელსაც «დელო ნაროდა», რომ არ ჩამორჩეს დამრბევებსა და ანტისემიტებს, მონარქისტებსა და კადეტებს, «ტროცკისა და ლენინის» ხელისუფლებას უწოდებს: აი რა ფანდებს მიმართავენ ესერები!!).

მაგრამ ვერც «ნოვაია ჟიზნი», ვერც «დელო ნაროდა» ვერ შეაშინებენ შეგნებულ მუშებს. «კერენსკის მთავრობა», — ამბობთ თქვენ, — «არავითარ შემთხვევაში არ დაემორჩილებაო», ე. ი. კორნილოველობას გაიმეორებსო, უფრო მარტივად, უფრო პირდაპირ და უფრო ნათლად რომ ვთქვათ. და «დელონაროდელი» ვაჟბატონები ბედავენ იმის თქმას, თითქოს ეს იქნება «სამოქალაქო ომი», თითქოს ეს «საშინელი პერსპექტივებია»!

არა, ბატონებო, მუშებს ვერ მოატყუებთ. ეს სამოქალაქო ომი კი არ იქნება, არამედ ერთი მუჭა კორნილოველების სრულიად უიმედო ამბოხება: ან მათ სურთ «არ დაემორჩილონ» ხალხს და, რადაც უნდა დაჯდეს, პროვოკაცია მოუწყონ მას, რათა ფართო მასშტაბით გაიმეორონ ის, რაც ვიბორგში მოხდა კორნილოველების მიმართ, თ უ ესერებს ეს

ს ურ თ, თუ ესერების პარტიის წევრს კერენსკის სურს ეს, მას შეუძლია გააფთრებამდე მიიყვანოს ხალხი. მაგრამ ამით, ბატონებო, მუშებსა და ჯარისკაცებს ვერ შეაშინებთ.

რა უსაზღვრო თავხედობაა: გააყალბეს ახალი ბულიგინის სათათბირო, სიყალბის საშუალებით შემოიკრიბეს დამხმარედ რეაქციული კოოპერატორები, სოფლის კულაკები, წაუმატეს მათ კაპიტალისტები და მემამულეები (ცენზიან ელემენტებად წოდებულნი) და კორნილოველების ამ ბრბოს საშუალებით სურთ ჩ ა შ ა ლ ო ნ ხ ა ლ ხ ი ს ნ ე ბ ა, მუშებისა და გლეხების ნება.

გლეხურ ქვეყანაში საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ გლეხთა აჯანყება ადიდებულ მდინარესავით ედება ყოველ კუთხეს! დაუფიქრდით მხოლოდ: დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც მოსახლეობის 80 პროცენტი გლეხებია, ისინი გლეხთა აჯანყებამდე მიიყვანეს... იგივე «დელო ნაროდა», ჩერნოვის გაზეთი, «სოციალისტ-რევოლუციონერების» პარტიის ორგანო, რომელიც 30 სექტემბერს იმდენ უტიფრობას იჩენს, რომ მუშებსა და გლეხებს ურჩევს «მოითმინეთო», 29 სექტემბრის მოწინავე სტატიაში იძულებულია აღიაროს:

«თ ი თ ქ მ ი ს ა რ ა ფ ე რ ი გაკეთებულა დღემდე ი მ კ ა ბ ა ლ უ რ ი ურთიერთობის მოსასპობად, რომელიც ჯერ კიდევ ბ ა ტ ო ნ ო ბ ს სოფლად სწორედ ცენტრალურ რუსეთში».

იგივე «დელო ნაროდა» 29 სექტემბრის იმავე მოწინავეში ამბობს, რომ «სტოლიპინის ფანდი კიდევ ძლიერ იჩენს თავს» «რევოლუციური მინისტრების» ხერხებშიო, ესე იგი სხვანაირად რომ ვთქვათ, უფრო ნათლად და უბრალოდ, კერენსკის, ნიკიტინს, კიშკინსა და კომპანიას ს ტ ო ლ ი პ ი ნ ე ლ ე ბ ს უწოდებს.

«სტოლიპინელები» კერენსკი და კომპანია, რომლებმაც აჯანყებამდე მიიყვანეს გლეხები, ახლა «სამხედრო ზომებს» მიმართავენ გლეხების წინააღმდეგ, ანუგეშებენ ხალხს დამფუძნებელი კრების მოწვევით (თუმცა კერენსკიმ და წერეთელმა ერთხელ უკვე მ ო ა ტ ყ უ ე ს ხალხი, როცა 8 ივლისს საზეიმოდ განაცხადეს, დამფუძნებელი კრება ვადაზე, 17 სექტემბერს,

იქნება მოწვეულიო, შემდეგ კი გატეხეს სიტყვა და დამფუძნებელი კრება გადადეს მიუხედავად თვით მენშევიკ დანის რჩევისა, დამფუძნებელი კრება გადადეს არა ოქტომბრის ბოლოსთვის, როგორც ეს მაშინდელ მენშევიკურ ცაკ-ს სურდა, არამედ ნოემბრის ბოლოსთვის). «სტოლიპინელები» კერენსკი და კომპანია ანუგეშებენ ხალხს დამფუძნებელი კრების მალე მოწვევით, თითქოს ხალხს შეუძლია დაუჯეროს იმათ, ვინც ერთხელ იცრუა ასეთ საქმეში, თითქოს ხალხს შეუძლია დაიჯეროს, რომ დამფუძნებელ კრებას წესიერად მოიწვევს ის მთავრობა, რომელიც სამხედრო ზომებს მიმართავს მიყრუებულ სოფლებში, ესე იგი აშკარად ხელს აფარებს შეგნებული გლეხების თვითნებურ დაპატიმრებას და არჩევნების გაყალბებას.

გლეხები აჯანყებამდე მიიყვანო და იმდენი უტიფრობაც იქონიო, რომ უთხრა მათ: «საჭიროა «მოითმინოთ», საჭიროა მოიცადოთ, ენდოთ იმ მთავრობას, რომელიც «სამხედრო ზომებით» ამშვიდებს აჯანყებულ გლეხებს!»

19 ივნისის შემდეგ შეტევის დროს საქმე მიიყვანო ასი ათასობით რუს ჯარისკაცთა დაღუპვამდე, ომის გაჭიანურებამდე, გერმანელ მატროსთა აჯანყებამდე, რომლებიც ზღვაში ჰყრიდნენ თავიანთ უფროსებს, საქმე აქამდე მიიყვანო, მუდამ ზავზე ლაყბობდე და სამართლიანი ზავი კი არ შესთავაზო ყველა მეომარ მხარეს, — ამავე დროს იმდენი უტიფრობა გამოიჩინო, რომ მუშებსა და გლეხებს, დასაღუპად განწირულ ჯარისკაცებს, უთხრა: «საჭიროა მოთმენა», ენდეთ «სტოლიპინელ» კერენსკის მთავრობას, ენდეთ ერთი თვით კიდევ კორნილოველ გენერლებს, ვინძლო ამ ერთი თვის განმავლობაში მათ რამდენიმე ათეული ათასი ჯარისკაცი კიდევ გააწყვეტინონო... «საჭიროა მოთმენაო».

განა ეს უტიფრობა არ არის??

არა, ბატონო ესერებო, კერენსკის პარტიულო კოლეგებო, ჯარისკაცებს თქვენ ვერ მოატყუებთ!

არც ერთს დღეს, არც ერთს ზ ე დ მ ე ტ საათს არ მოითმენენ კერენსკის მთავრობას მუშები და ჯარისკაცები, რომლებმაც იციან, რომ ს ა ბ ჭ ო თ ა მთავრობა დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ შესთავაზებს სამართლიან ზავს ყველა მეომარ მხარეს და მაშასადამე, ა ლ ბ ა თ, დაუყოვნებლივ შესთავაზებს დროებითს ზავს და ჩქარ ზავსაც.

არც ერთს დღეს, არც ერთს ზ ე დ მ ე ტ საათს არ მოითმენენ ჩვენი გლეხური არმიის ჯარისკაცები, რომ, საბჭოების ნების წინააღმდეგ, დარჩეს კერენსკის მთავრობა, რომელიც ს ა მ ხ ე დ რ ო ზ ო მ ე ბ ი თ აქრობს გლეხთა აჯანყებას.

არა, ბატონო ესერებო, კერენსკის პარტიულო კოლეგებო, თქვენ კიდევ ველარ მოატყუებთ მუშებსა და გლეხებს.

* * *

იმ მტრულ ძალთა შემოტევის საკითხში, რომელიც, შიშით გულგახეთქილ «ნოვაია ჟიზნის» მტკიცებით, აღგვის პროლეტარიატის დიქტატურას, არის კიდევ ერთი საშინელი ლოგიკური და პოლიტიკური შეცდომა, რომლის დანახვა არ შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც გონების დაკარგვამდე შეშინებულან.

«მტრულ ძალთა შემოტევა აღგვის პროლეტარიატის დიქტატურასო» — ამბობთ თქვენ. კეთილი. მაგრამ თქვენ ხომ ყველანი ეკონომისტები და განათლებული ადამიანები ბრძანდებით, ძვირფასო თანამოქალაქენო. თქვენ ყველამ იცით, რომ ბურჟუაზიისათვის დემოკრატიის დაპირისპირება უაზრობა და უვიცობაა, რომ ეს იგივეა, რომ ფუთი ადლს დაუპირისპირო. ვინაიდან არის დემოკრატიული ბურჟუაზია და წვრილი ბურჟუაზიის არადემოკრატიული (ვანდეას გამოწვევის უნარის მქონე) ფენები.

«მტრული ძალები», ფრაზაა. კლასობრივი ცნება კი არის ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა (რომელსაც მემამულეებიც ემხრობიან).

ბურჟუაზია მემამულეებთან ერთად, პროლეტარიატი, წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მეპატრონენი, პირველ ყოვლისა

გლეხობა, — აი ის სამი ძირითადი «ძალა», რომელზედაც იყოფა რუსეთი, ისე როგორც ყ ო ვ ე ლ ი კაპიტალისტური ქვეყანა. აი ის სამი ძირითადი «ძალა», რომელიც დიდი ხანია ნაჩვენებია ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში (და რუსეთშიც) არა მარტო მეცნიერული ეკონომიური ანალიზით, არამედ ყ ვ ე ლ ა ქვეყნის მთელი უახლესი ისტორიის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი თ ა ც, ევროპის ყ ვ ე ლ ა რევოლუციის გამოცდილებით მეთვრამეტე საუკუნიდან დაწყებული, რუსეთის ო რ ი, 1905 და 1917 წლების, რევოლუციის გამოცდილებით.

ამრიგად, თქვენ ემუქრებით პროლეტარებს იმით, რომ მათ ხელისუფლებას აღგვის ბურჟუაზიის შემოტევა? ეს და მხოლოდ ეს არის თქვენი მუქარა, სხვა შინაარსი მასში არ არის.

კეთილი. თუ, მაგალითად, ბურჟუაზიას შეუძლია აღგავოს მუშებისა და უღარიბესი გლეხების ხელისუფლება, მაშინ «კოალიციის», ე. ი. წვრილი ბურჟუებისა და ბურჟუაზიის კავშირის ანუ შეთანხმების მეტი აღარაფერი დაგვრჩენია. სხვა რამის ფიქრიც კი შეუძლებელია!!

ხოლო კოალიცია ხომ ნახევარი წელია ნაცადია, მან გამოიწვია კრახი, და თვითონ თქვენც, პატივცემულნო, მაგრამ ფიქრის უნარს მოკლებულნო «ნოვაიაჟიზნელო» მოქალაქენო, კოალიციაზე **უარი თქვით.**

რაღა გამოდის?

თქვენ ისე დაიბენით, «ნოვაიაჟიზნელო» მოქალაქენო, ისე შეშინდით, რომ სულ უბრალო მსჯელობაში, ა რ ა თ უ ხ უ თ ა მ დ ე, ს ა მ ა მ დ ე დ ა თ ვ ლ ა შ ი ც კი, თავსა და ბოლოს ვეღარ ართმევთ.

ან მთელი ძალაუფლება ბურჟუაზიას — ამას თქვენ კარგა ხანია აღარ იცავთ, და თვით ბურჟუაზიაც ვეღარ ბედავს ამაზე კრინტის დაძვრას, რადგან იცის, რომ უკვე 20 — 21 აპრილს ასეთი ძალაუფლება ხალხმა მხრის ერთი განძრევით ჩამოიგდო და ახლაც სამჯერ უფრო გაბედულად და ულმობელად ჩამოიგდებს. ან ძალაუფლება წვრილ ბურჟუაზიას,

ე. ი. მისი კოალიცია (კავშირი, შეთანხმება) ბურჟუაზიასთან, რადგან თავისთავად და დამოუკიდებლად წვრილ ბურჟუაზიას ხელისუფლების აღება არა სურს და ა რ ც შეუძლია, როგორც ეს დაამტკიცა ყველა რევოლუციის გამოცდილებამ, როგორც ამტკიცებს ეკონომიური მეცნიერებაც, რომელიც განმარტავს, რომ კაპიტალისტურ ქვეყანაში შეიძლება იცავდე კაპიტალს, შეიძლება იცავდე შრომას, მაგრამ შუა ადგილას ვერ გაჩერდები. ამ კოალიციამ რუსეთში ნახევარი წლის მანძილზე არა ერთი ათეული საშუალება გამოსცადა და დამარცხდა.

ანდა, დასასრულ, მთელი ძალაუფლება პროლეტარებსა და უღარიბეს გლეხებს, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იმისთვის, რომ გასტეხოს მისი წინააღმდეგობა. ეს ჯერ კიდევ არ არის ნაცადი, და ამას თქვენ, «ნოვაიაჟიზნელო» ვაჟბატონებო, ა რ უ რ ჩ ე ვ თ ხალხს და აშინებთ მას ბურჟუაზიის წინაშე თქვენი საკუთარი შეშინებულობით.

რაიმე მეოთხის გამოგონებაც კი შეუძლებელია.

მაშასადამე, თუ «ნოვაია ჟიზნს» ეშინია პროლეტარიატის დიქტატურისა და უარს ამბობს მასზე ბურჟუაზიის მიერ პროლეტარული ხელისუფლების ვითომც შესაძლებელი დამარცხების გამო, ეს იმას უდრის, რომ ფ ა რ უ ლ ა დ დ ა უ ბ რ უ ნ დ ე კაპიტალისტებთან შ ე მ თ ა ნ ხ მ ე ბ ლ ო ბ ი ს პოზიციას!!! დღესავით ნათელია, რომ, ვისაც წინააღმდეგობის ეშინია, ვისაც არ სწამს ამ წინააღმდეგობის გატეხის შესაძლებლობა, ვინც ასწავლის ხალხს: «გეშინოდეთ კაპიტალისტების წინააღმდეგობისა, თქვენ მას ვერ მოერევითო», ა მ ი თ ის კვლავ კაპიტალისტებთან შემთანხმებლობისაკენ მოგვიწოდებს.

უმწეოდ და საცოდავად დაიბნა «ნოვაია ჟიზნი», როგორც დაიბნა ახლა ყველა წვრილბურჟუაზიული დემოკრატი, რომელიც ხედავს კოალიციის კრახს, ვერ ბედავს აშკარად მის დაცვას და ამავე დროს დაცულია ბურჟუაზიის მიერ, ეშინია პროლეტარებისა და უღარიბესი გლეხობის ყოვლისშემძლეობისა.

* * *

გეშინოდეს კაპიტალისტების წინააღმდეგობისა და ამავე დროს თავს რევოლუციონერს უწოდებდე, გსურდეს სოციალისტად ირიცხებოდე — რა სამარცხვინო ამბავია! ოპორტუნიზმით გათახსირებული მსოფლიო სოციალიზმის როგორი იდეური დაცემა იყო საჭირო, რომ ასეთი ხმები წარმოშობილიყო!

კაპიტალისტების წინააღმდეგობის ძალა ჩვენ უკვე ვიხილეთ, მთელმა ხალხმა იხილა, რადგან კაპიტალისტები სხვა კლასებზე უფრო შეგნებულნი არიან და ერთბაშად მიხვდნენ რა მნიშვნელობა აქვს საბჭოებს, ერთბაშად დაძაბეს მთელი თავიანთი ძალა უკანასკნელ შესაძლებლობამდე, აამოძრავეს ყოველივე და ყველაფერი, თავი გამოიდეს, სიცრუისა და ცილისწამების გაუგონარ ფანდებს, სამხედრო შეთქმულებებს მიმართეს, რათა ჩაეფუშათ საბჭოები, არარად ექციათ ისინი, შეერყვნათ ისინი (მენშევიკებისა და ესერების შემწეობით), გადაექციათ ისინი სალაყბოდ, მოექანცათ გლეხები და მუშები თვეობით ცარიელი ლაქლაქითა და რევოლუციობიას თამაშით.

ხოლო პროლეტარებისა და უღარიბესი გლეხების წინააღმდეგობის ძალა ჩვენ ჯერ არ გვინახავს, რადგან ეს ძალა მხოლოდ მაშინ გაიშლება მთლიანად, როცა ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში იქნება, როცა ათეული მილიონობით ადამიანი, გაჭირვებითა და კაპიტალისტური მონობით გასრესილნი, გამოცდილებით დაინახავენ, იგრძნობენ, რომ ხელისუფლება სახელმწიფოში ჩაგრულ კლასებს ხვდა წილად, რომ ხელისუფლება ეხმარება ღარიბებს მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, **სტეხს** მათ წინააღმდეგობას. მხოლოდ მაშინ დავინახავთ, კაპიტალისტების საწინააღმდეგო რამდენი ხელუხლები ძალა ყოფილა ჯერ კიდევ ხალხში, მხოლოდ მაშინ იჩენს თავს ის, რასაც ენგელსი «ფარულ სოციალიზმს» უწოდებს, მხოლოდ მაშინ მუშათა კლასის ხელისუფლების თვითეულ ათი ათას აშკარა თუ ფარულ მტერზე, რომელიც თავს იჩენს

მოქმედებით თუ პასიური შეუპოვრობით, აღსდგება თითო მილიონი ახალი მებრძოლი, აქამდე პოლიტიკურად რომ ეძინათ, უმიზნოდ ცხოვრობდნენ გაჭირვებისა და სასოწარკვეთილების ტანჯვაში, დაკარგული ჰქონდათ რწმენა, რომ ისინიც ადამიანები არიან, რომ მათაც აქვთ უფლება სიცოცხლისა, რომ შეიძლება მათაც ემსახუროს თანამედროვე ცენტრალიზებული სახელმწიფოს მთელი ძლიერება, რომ პროლეტარული მილიციის რაზმები მათაც სრული ნდობით მოუწოდებენ უშუალო, უახლოესი ყოველდღიური მონაწილეობის მისაღებად სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში.

კაპიტალისტებმა მემამულეებთან ერთად, ბბ. პლეხანოვების, ბრეშკოვსკების, წერეთლების, ჩერნოვებისა და კომპანიის კეთილგანწყობილი მონაწილეობით, ყველაფერი მოიმოქმედეს, რომ წაებილწათ დემოკრატიული რესპუბლიკა, წაებილწათ იგი სიმდიდრის წინაშე მლიქვნელობით იქამდე, რომ ხალხს იპყრობს აპათია, გულგრილობა, მისთვის სულ ერთია, რადგან მშიერს არ შეუძლია რესპუბლიკა და მონარქია ერთმანეთისაგან გაარჩიოს, გათოშილ, ფეხშიშველ, განაწამებ ჯარისკაცს, რომელიც სხვისი ინტერესებისათვის იღუპება, არ შეუძლია რესპუბლიკა შეიყვაროს.

აი, როცა უკანასკნელი შავი მუშა, ყოველი უმუშევარი, ყოველი მზარეული-ქალი, ყოველი გაღატაკებული გლეხი დაინახავს — გაზეთში კი არა, საკუთარი თვალით დაინახავს, — რომ პროლეტარული ხელისუფლება სიმდიდრის წინაშე მონურად კი არ მლიქვნელობს, არამედ ღარიბთ ეხმარება, რომ ეს ხელისუფლება არ ერიდება რევოლუციური ზომების მიღებას, რომ იგი მუქთახორებს ზედმეტ პროდუქტებს ართმევს და მშივრებს აძლევს, რომ იგი უსახლკაროებს მდიდართა ბინებში იძულებით ასახლებს, რომ იგი აიძულებს მდიდრებს რძის ფასი იხადონ, ხოლო მათ ერთ წვეთ რძეს არ აძლევს მანამდე, ვიდრე ყველა ღარიბი ოჯახის ბავშვები საკმაოდ მომარაგებულნი არ იქნებიან, რომ მიწა მშრომელთა ხელში გადადის, ფაბრიკები და ბანკები კი მუშათა კონტროლს ექვემდებარებიან, რომ ქონების გადამალვისათვის მილიო-

ნერებს დაუყოვნებელი და სერიოზული სასჯელი მოელით, — აი როცა ღარიბნი დაინახავენ და იგრძნობენ ამას, მაშინ კაპიტალისტებისა და კულაკების ვერავითარი ძალა, მსოფლიო ფინანსური კაპიტალის ასეული მილიარდობით ფულის მატერიალებელი ვერავითარი ძალა ვერ დაამარცხებს სახალხო რევოლუციას, პირიქით, ის გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში, რადგან ყველა ქვეყანაში მწიფდება სოციალისტური გადატრიალება.

ჩვენი რევოლუცია უძლეველია, თუ იგი თავისივე თავს არ შეუშინდება, თუ იგი მთელ ხელისუფლებას პროლეტარიატს ჩააბარებს, რადგან ჩვენს ზურგს უკან დგანან კიდევ პროლეტარიატის განუზომლად უფრო მეტი, უფრო განვითარებული, უფრო დარაზმული მსოფლიო ძალები, რომლებიც დროებით ჩახშობილნი არიან ომით, მაგრამ არა მოსპობილნი, არამედ პირიქით, ომით გამრავლებულნი.

* * *

ეშინიათ, რომ ბოლშევიკების ხელისუფლებას, ესე იგი პროლეტარიატის ხელისუფლებას, პროლეტარიატის, რომლისთვისაც უზრუნველყოფილია უღარიბესი გლეხობის თავდადებული მხარისდაჭერა, ბატონი კაპიტალისტები «აღგვიანო»! რა სიბეცე, რა სამარცხვინო შიშია ხალხისა, რა ფარისევლობაა! ადამიანები, რომლებიც ასეთ შიშს იჩენენ, იმ «მაღალ» (კაპიტალისტური საზომით «მაღალ», ნამდვილად კი დ ა მ პ ა ლ) «საზოგადოებას» ეკუთვნიან, რომელიც წარმოთქვამს სიტყვას «სამართლიანობას» და თვითონ არა სწამს იგი, ისე, ჩვეულებისამებრ, როგორც ფრაზას, შიგ კი არავითარ შინაარსს არა სდებს.

აი მაგალითი:

ბ-ნი პეშეხონოვი — ცნობილი ნახევრადკადეტია. მასზე უფრო ზომიერ ტრუდოვიკს, ბრეშკოვსკებისა და პლეხანოვების თანამოაზრეს, ვერსად იპოვი. ბურჟუაზიის მიმართ უფრო მლიქვნელი მინისტრი არავინ ყოფილა. მასზე უფრო

მხურვალე მომხრე «კოალიციისა», კაპიტალისტებთან შეთანხმებისა, ქვეყანას არ მოსწრებია!

და აი ეს ვაუბატონი ი ძ ულ ებ ულ ი გახდა შემდეგი აღსარება ეთქვა «დემოკრატიულ» (წაიკითხე: ბულიგინის) თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში, როგორც ობორონცული «იზვესტია» გადმოგვცემს:

«არის ორი პროგრამა. ერთია — პროგრამა ჯგუფურ მისწრაფებათა, კლასობრივ და ნაციონალურ მისწრაფებათა. ყველაზე უფრო გულწრფელად ამ პროგრამას ბოლშევიკები იცავენ. მაგრამ დემოკრატიის არც სხვა ნაწილებისთვისაა ადვილი ამ პროგრამაზე უარისთქმა. ეს ხომ მშრომელი მასების მისწრაფებაა, შეურაცხყოფილ და ჩაგრულ ეროვნებათა მისწრაფება. ამიტომაც ადვილი არ არის დემოკრატიისთვის ბოლშევიკებისგან ჩამოშორება, ამ კლასობრივ მოთხოვნებზე უარისთქმა უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ ეს მოთხოვნები არსებითად სამართლიანია. მაგრამ ეს პროგრამა, რომლისთვისაც ვიბრძოდით რევოლუციამდე, რომლის გულისთვის რევოლუციას ვახდენდით და რომელსაც სხვა პირობებში ჩვენ ყველანი ერთსულოვნად მხარს დავუჭერდით, დღევანდელ პირობებში უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. ახლა საფრთხე კიდევ უფრო ძლიერია იმიტომ, რომ ამ მოთხოვნების წაყენება ისეთს მომენტში გვიხდება, როცა მათი დაკმაყოფილება სახელმწიფოს არ ძალუძს. ჯერ საჭიროა შევინარჩუნოთ მთელი — სახელმწიფო, გადავარჩინოთ იგი დაღუპვას და საამისოდ მხოლოდ ერთი გზაა: არა მოთხოვნათა დაკმაყოფილება, რა სამართლიანიც და ძლიერიც უნდა ჩანდნენ ისინი, არამედ, პირიქით, შეზღუდვა, მსხვერპლი, რაც ყოველი მხრივ უნდა გავიღოთ». (ცაკ-ის «იზვესტია» 17 სექტემბრისა.)

ბ-ნ პეშეხონოვს არ ესმის, რომ, ვიდრე კაპიტალისტები ხელისუფლების სათავეში არიან, ის იცავს ა რ ა მთელს, არამედ რუსეთისა და «მოკავშირეთა» იმპერიალისტური კაპიტალის ანგარებიან ინტერესებს. ბ-ნ პეშეხონოვს არ ესმის, რომ ომი აღარ იქნებოდა მტაცებლური, იმპერიალისტური, მძარცველური მხოლოდ კაპიტალისტებთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ, მ ა თ ი საიდუმლო ხელშეკრულებების, მ ა თ ი ანექსიების (სხვისი მიწების მიტაცების), მ ა თ ი საბანკო ფინანსური თაღლითობის უარყოფის შემდეგ. ბ-ნ პეშეხონოვს არ ესმის, რომ ომი მხოლოდ ამის შ ე მ დ ე გ, თუ მოწინააღმდეგე უარს იტყოდა მისთვის ფორმალურად შეთავაზებულ

სამართლიან ზავზე, გადაიქცეოდა თავდაცვითს, სამართლიან ომად. ბ-ნ პეშეხონოვს არ ესმის, რომ იმ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, რომელმაც კაპიტალის უღელი გადაიგდო, მიწა მისცა გლეხებს, ბანკები და ფაბრიკები მუშათა კონტროლს დაუქვემდებარა, ბ ე ვ რ ა დ უფრო დიდი იქნებოდა, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

და რაც მთავარია, ბ-ნ პეშეხონოვს არ ესმის, რომ, რაკი ის იძულებულია აღიაროს ბოლშევიზმის სამართლიანობა, აღიაროს, რომ მისი მოთხოვნები «მ შ რ ო მ ე ლ ი მ ა ს ე ბ ი ს», ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნებია, ამით მთელ თავის პოზიციას, მთელი წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მთელ პოზიციას თ მ ო ბ ს.

აი რაშია ჩვენი ძალა. აი რატომ იქნება ჩვენი მთავრობა უძლეველი: იმიტომ, რომ თვით მოწინააღმდეგენიც კი იძულებულნი არიან აღიარონ, რომ ბოლშევიკური პროგრამა «მშრომელი მასებისა» და «ჩაგრულ ეროვნებათა» პროგრამაა.

ბ-ნი პეშეხონოვი ხომ პოლიტიკური მეგობარია კადეტებისა, «ედინსტვოს» და «დელო ნაროდას» საზოგადოებისა, ბრეშკოვსკებისა და პლეხანოვებისა; ეს არის წარმომადგენელი კულაკებისა და ისეთი ვაჟბატონებისა, რომელთა ცოლები და დები მობრძანდებოდნენ ხვალ, რათა ქოლგებით თვალები ამოეთხარათ სულთმობრძავი ბოლშევიკებისათვის, თუ ვინიცობაა საქმე იქამდე მივიდოდა, რომ მათ დაამარცხებდნენ კორნილოვის ან (რაც სრულიად ერთი და იგივეა) კერენსკის ჯარები.

და ასეთი ვაჟბატონი ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ა აღიაროს ბოლშევიკების მოთხოვნათა «სამართლიანობა».

მისთვის «სამართლიანობა» მხოლოდ ფრაზაა. მაგრამ ნახევრადპროლეტართა მასებისათვის, ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის უმრავლესობისათვის, ომით გალატაკებულ, გაწამებულ და დატანჯულთათვის, ეს ფრაზა კი არა, შიმშილით სიკვდილის, ლუკმა-პურის უმწვავესი, ფრიად საჭირბოროტო, უდიდესი საკითხია. აი რატომ ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა რ ა ვ ი თ ა რ ი პოლიტიკის დაყრდნობა «კოალიციაზე»,

მშიერთა და გაღატაკებულთა ინტერესებისა და ექსპლოატატორების ინტერესების «შეთანხმებაზე». აი რატომ არის უზრუნველყოფილი ამ მასების, მათი დიდი უმრავლესობის მხრივ ბოლშევიკური მთავრობის მხარისდაჭერა.

სამართლიანობა — ცარიელი სიტყვაა, ამბობენ ინტელიგენტები და ის არამზადები, რომლებსაც თავი მოაქვთ მარქსისტებად იმ დიად საფუძველზე, რომ მათ ეკონომიური მატერიალიზმის «უკანა მხარე უნახავთ».

იდეები იქცევიან ძალად, როცა ისინი მასებს ეუფლებიან. და სწორედ ახლა ბოლშევიკებმა, ე. ი. რევოლუციურ-პროლეტარული ინტერნაციონალიზმის წარმომადგენლებმა, თავიანთი პოლიტიკით განახორციელეს ის იდეა, რომელიც მთელ მსოფლიოში მშრომელთა განუსაზღვრელ მასებს ამოძრავებს.

მარტოოდენ სამართლიანობა, მარტოოდენ გრძნობა ექსპლოატაციით აღშფოთებული მასებისა ვერასოდეს ვერ გამოიყვანდა მათ სოციალიზმისაკენ მიმავალ სწორ გზაზე. მაგრამ როცა კაპიტალიზმის მეოხებით გაიზარდა მსხვილი ბანკების, სინდიკატების, რკინიგზებისა და სხვათა მატერიალური აპარატი; როცა მოწინავე ქვეყნების უმდიდრესმა გამოცდილებამ დააგროვა ტექნიკის სასწაულთა მარაგი, რომელთა გამოყენებას აფერხებს კაპიტალიზმი; როცა შეგნებულმა მუშებმა დარაზმეს მეოთხედმილიონიანი პარტია, რათა გეგმაშეწონილად აიღონ ხელთ ეს აპარატი და აამუშაონ იგი, ყველა მშრომელისა და ექსპლოატირებულის დახმარებით, — როცა ეს პირობები უკვე არსებობს, მაშინ დედამიწაზე აღარ მოიძებნება ისეთი ძალა, რომელიც ხელს შეუშლიდა ბოლშევიკებს, თუ ისინი არ შეშინდებიან და შესძლებენ ხელისუფლების აღებას, შეინარჩუნონ იგი მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე.

ბოლოსიტყვაობა

წინა სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როცა 1-ლი ოქტომბრის «ნოვაია ჟიზნის» მოწინავემ დაგვანახვა ახალი მარგალიტი გონების სიჩლუნგისა, რომელიც მით უფრო საშიშია, რომ იგი ეფარება ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობის დროშას და ბრძნული ფილისტერული მსჯელობის საბურველს: «ნუ აჰყვებით პროვოკაციას» (ნუ გაებმებით პროვოკაციაზე ყვირილის ხაფანგში, რომლის მიზანია დააშინოს ბოლშევიკები და აიძულოს ისინი არ აიღონ ხელისუფლება).

აი ეს მარგალიტი:

«მოძრაობათა გაკვეთილებმა, მსგავსად, ერთი მხრივ, 3 — 5 ივლისისა, და, მეორე მხრივ, კორნილოვის დღეებისა, სრული სიცხადით დაგვანახვეს, რომ დემოკრატია, რომელსაც თავის განკარგულებაში მოეპოვება მოსახლეობას შორის უგავლენიანესი ორგანოები, უძლეველია, როცა სამოქალაქო ომში თავდაცვითი პოზიცია უჭირავს, და მარცხდება, ჰკარგავს ყველა შუალედ, მერყევ ელემენტს, როდესაც შეტევის ინიციატივას თვითონ იღებს ხელთ».

ბოლშევიკებს რომ რაიმე ფორმით რაიმე დამთმობლობა გამოეჩინათ ამგვარი ფილისტერული გონების სიჩლუნგისადმი, რაც ამ მსჯელობაშია გამოხატული, ისინი თავიანთ პარტიასაც დაღუპავდნენ და რევოლუციასაც.

ვინაიდან ამ მსჯელობის ავტორმა, როცა სამოქალაქო ომზე იკისრა საუბარი (ეს თემა სწორედ შესაფერისია ყოველი მხრივ საამო ბანოვანისა), ისტორიის გაკვეთილები ამ საკითხში წარმოუდგენელ კომიზმამდე დაამახინჯა.

აი როგორ მსჯელობდა ამ გაკვეთილებზე, ისტორიის გაკვეთილებზე ამ საკითხში პროლეტარულ-რევოლუციური ტაქტიკის წარმომადგენელი და ფუძემდებელი კარლ მარქსი: «აჯანყება არის ხელოვნება, სწორედ ისე როგორც ომიც, როგორც ხელოვნების სხვა სახეებიც. იგი ემორჩილება განსაზღვრულ წესებს, რომელთა დავიწყებაც იწვევს იმ პარტიის დაღუპვას, რომელიც ამ კანონებს არღვევს. ეს წესები, როგორც პარტიების დედაარსის, იმ პირობების დედაარსის ლოგიკური შედეგი, რომლებთანაც ასეთ შემთხვევაში გვიხდება საქმის დაჭერა, იმდენად ნათელი და მარტივია, რომ 1848 წლის ხანმოკლე გამოცდილებამ საკმაოდ გააცნო ისინი გერმანელებს. ჯერ-ერთი, არასოდეს არ უნდა ეთამაშო აჯანყებას, თუ არ შეგწევს გაბედულება ბოლომდე მიხვიდე (სიტყვასიტყვით: ანგარიში გაუწიო ამ თამაშის ყველა შედეგს). აჯანყება არის განტოლება უაღრესად გაურკვეველი სიდიდეებისა, რომელთა ღირებულებაც შეიძლება ყოველდღე იცვლებოდეს. ორგანიზაციის, დისციპლინისა და ტრადიციული ავტორიტეტის მთელი უპირატესობა იმ მებრძოლი ძალების მხარეზეა, რომელთა წინააღმდეგაც გვიხდება მოქმედება» (მარქსს მხედველობაში აქვს აჯანყების ყველაზე «ძნელი» შემთხვევა: ძველი «მტკიცე» ხელისუფლების წინააღმდეგ, რევოლუციის გავლენითა და მთავრობის მერყეობით გაუხრწნელი არმიის წინააღმდეგ); «თუ აჯანყებულნი დიდ ძალებს ვერ შეკრებენ მტრის წინააღმდეგ, მათ დაამარცხებენ და მოსპობენ. მეორე, რაკი აჯანყება დაიწყო, მაშინ უდიდესი გაბედულებით უნდა იმოქმედო და გადახვიდე შეტევაზე. თავდაცვა სიკვდილია ყოველი შეიარაღებული აჯანყებისა; თავდაცვის დროს ის იღუპება უფრო ადრე, ვიდრე მტრის ძალებს შეებმებოდეს. საჭიროა მოულოდნელად დაესხა მტერს თავზე, ვიდრე მისი ჯარები ჯერ კიდევ დაქსაქსულია, საჭიროა ყოველდღე მიაღწიო ახალ, თუნდაც მცირე წარმატებებს; უნდა შეინარჩუნო მორალური უპირატესობა, რომელიც აჯანყებულთა პირველმა წარმატებულმა მოძრაობამ მოგანიჭა; უნდა მიიმხრო ის მერყეები ელემენტები, რომლე-

ბიც ყოველთვის უფრო ძლიერს მიჰყვებიან და მუდამ უფრო საიმედო მხარეზე გადადიან; უნდა აიძულო მტერი უკან დაიხიოს, ვიდრე ჯარის შეკრებას მოახერხებდეს შენს წინააღმდეგ; ერთი სიტყვით, იმოქმედე რევოლუციური ტაქტიკის დღემდე ცნობილთა შორის უდიდესი ოსტატის, დანტონის, სიტყვების მიხედვით: გაბედულება, გაბედულება და კიდევ გაბედულება» («რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში», გერმ. გამოცემა, 1907 წ., გვ. 118).

ჩვენ ყოველივე ეს გადავაკეთეთ — შეუძლიათ თქვან თავიანთ თავზე «ნოვაია ჟიზნის» «ვითომ-მარქსისტებს». — ჩვენ სამმაგი გაბედულების მაგიერ ორი ღირსება გვაქვს: «დიახ, ორი: ზომიერება და წესიერება». «ჩვენთვის» მსოფლიო ისტორიის გამოცდილება, საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამოცდილება — არარაა. «ჩვენთვის» მნიშვნელოვანია 1917 წლის ორი მოძრაობის გამოცდილება, დამახინჯებული მოლჩალინისეული სათვალეებით.

ვნახოთ ეს გამოცდილება ამ სანუკვარი სათვალეების გაუკეთებლად.

3 — 5 ივლისს თქვენ უპირისპირებთ «სამოქალაქო ომს», რადგან თქვენ დაუჯერეთ ალექსინსკის, პერევერზევსა და კომპანიას. ეს დამახასიათებელია «ნოვაიაჟიზნელი» ვაუბატონებისთვის, რომ ისინი უჯერიან ასეთ ადამიანებს (თვითონ კი დამოუკიდებლად სრულიად არაფერი გაუკეთებიათ 3 — 5 ივლისის შესახებ ცნობების შესაკრებად, მიუხედავად დიდი ყოველდღიური გაზეთის უზარმაზარი აპარატისა).

მაგრამ დავუშვათ თუნდ ერთი წუთით, რომ 3 — 5 ივლისი იყო არა საწყისი სამოქალაქო ომისა, რომელიც ბოლშევიკებმა საწყისის ფარგლებში შეაკავეს, არამედ ნამდვილი სამოქალაქო ომი. ვთქვათ, რომ ასე იყო.

რაღას ამტკიცებს, ამ შემთხვევაში, ეს გაკვეთილი?

ჯერ-ერთი, იმას, რომ ბოლშევიკები შეტევაზე არ გადასულან, რადგან უდავოა, რომ 3 ივლისს ღამით და თუნდაც 4 ივლისს მათ შეეძლოთ ბევრი რამ აეღოთ, თუ შეტევაზე გადავიდოდნენ. მათი სისუსტე იყო თავდაცვა, თუ სამოქალაქო

ომზე ვიმსჯელებთ (როგორც «ნოვაია ჟიზნი» მსჯელობს, და არა სტიქიური აფეთქების 20—21 აპრილის ტიპის დემონსტრაციად გადაქცევაზე, როგორც ფ ა ქ ტ ე ბ ი მოწმობს).

ამრიგად, «გაკვეთილი» «ნოვაია ჟიზნის» ბრძენთა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ მეტყველებს.

მეორე, თუ ბოლშევიკებს მიზნადაც კი არ ჰქონიათ 3 — 4 ივლისს აჯანყება, თუ ბოლშევიკების ა რ ც ე რ თ კ ო ლ ე გ ი ა ს ამგვარი საკითხი არც კი აღუძრავს, ამის მიზეზი ჩვენი და «ნოვაია ჟიზნის» დავა ს უ ლ ა ც ა რ ა რ ი ს. რადგან ჩვენ ვდავობთ «სამოქალაქო ომის», ე. ი. აჯანყების **გაკვეთილებზე**, და არა იმაზე, როდისაა, რომ აშკარა უმრავლესობის უყოლობა თავის მხარეზე აკავებს რევოლუციურ პარტიას იფიქროს აჯანყებაზე.

რადგან ყველას მოეხსენება, რომ ბოლშევიკებმა მიიღეს უმრავლესობა დედაქალაქთა საბჭოებშიც და ჩვენს ქვეყანაშიც (ხმების 49 პროცენტზე მეტი მოსკოვში) მხოლოდ გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო გ ვ ი ა ნ, ვიდრე 1917 წლის ივლისში, მაშასადამე, «გაკვეთილები» კვლავ სულ სხვა გამოდის, სულ სხვა, ვიდრე ყოველი მხრივ საამო ნოვოჟიზნელ ბანოვანს სურს დაინახოს.

არა, არა, სჯობს ნუ ეპოტინებით პოლიტიკას, «ნოვაია-ჟიზნელო» მოქალაქენო!

თუ რევოლუციურ პარტიას რევოლუციურ კლასთა მოწინავე რაზმებში და ქვეყანაში უმრავლესობა არა ჰყავს, აჯანყებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. გარდა ამისა, მისთვის საჭიროა: 1) რევოლუციის ზრდა საერთო-ნაციონალური მასშტაბით; 2) სრული მორალური და პოლიტიკური კრახი ძველისა, მაგალითად, «კოალიციური» მთავრობისა; 3) დიდი მერყეობა ყველა შუათანა ელემენტების ბანაკში, ე. ი. იმათ ბანაკში, ვინც მთლად მთავრობის მხარეზე ა რ ა რ ი ს, თუმცა გუშინ სავსებით მას უჭერდა მხარს.

«ნოვაია ჟიზნმა», როცა 3 — 5 ივლისის «გაკვეთილებზე» ლაპარაკი ჩამოაგდო, რატომ ვერც კი შენიშნა ეს, მეტად მნიშვნელოვანი, გაკვეთილი? იმიტომ, რომ პოლიტიკურ სა-

კითხს ხელი მოჰკიდეს არა პოლიტიკოსებმა, არამედ ბურჟუაზიის მიერ დაშინებულმა ინტელიგენტთა წრის ადამიანებმა.

შემდეგ. მესამე, ფაქტები მოწმობს, რომ სწორედ 3—4 ივლისის შემდეგ, სწორედ ბბ. წერეთლების ივლისის თავიანთი პოლიტიკით გამომჟღავნებასთან დაკავშირებით, სახელდობრ იმასთან დაკავშირებით, რომ მასებმა ბოლშევიკების სახით თავიანთი მოწინავე მებრძოლნი დაინახეს, ხოლო «სოციალ-ბლოკისტების» სახით კი — მოღალატენი, იწყება ესერებისა და მენშევიკების დაშლა. ეს დაშლა ჯერ კიდევ კორნილოველობამდე სავსებით დაამტკიცა პიტერის 20 სექტემბრის არჩევნებმა, რომელმაც ბოლშევიკებს გამარჯვება არგუნა, «სოციალ-ბლოკისტებს» კი — განადგურება («დელო ნაროდა» ამას წინათ ცდილობდა უარეყო ეს, რისთვისაც დამალა არჩევნების შედეგები ყველა პარტიის შესახებ; მაგრამ ეს თავის მოტყუებაა და მკითხველის მოტყუებაც; 24 აგვისტოს «დენის» ცნობით, რომელიც მხოლოდ ქალაქს შეეხება, კადეტების სასარგებლოდ მიცემული ხმების პროცენტი 22-დან 23 პროცენტამდე გადიდდა, ხოლო მათ სასარგებლოდ მიცემული ხმების აბსოლუტური რიცხვი 40 პროცენტით შემცირდა; ბოლშევიკების სასარგებლოდ მიცემული ხმების პროცენტი 20-დან 33 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო მათ სასარგებლოდ მიცემული ხმების აბსოლუტური რიცხვი მხოლოდ 10 პროცენტით შემცირდა; ყველა «შუათანის» სასარგებლოდ მიცემული ხმების პროცენტი 58-დან 44 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო მათ სასარგებლოდ მიცემული ხმების აბსოლუტური რიცხვი 60 პროცენტით შემცირდა!!).

ესერებისა და მენშევიკების დაშლა ივლისის დღეების შემდეგ და კორნილოვის დღეებამდე დამტკიცებულია აგრეთვე ორივე პარტიის «მემარცხენე» ფრთის ზრდით, რამაც თითქმის 40 პროცენტს მიაღწია: ეს არის «შურისძიება» ბბ. კერენსკეების მიერ ბოლშევიკების დევნისათვის.

პროლეტარულმა პარტიამ, მიუხედავად მის მიერ რამდენიმე ასეული წევრის «დაკარგვისა», დიდად მოიგო 3—4

ივლისით, რადგან სწორედ ამ მძიმე დღეებში მ ა ს ე ბ მ ა გაიგეს და დაინახეს მისი ერთგულება და ესერებისა და მენშევიკების ღ ა ლ ა ტ ი. «გაკვეთილი», მაშასადამე, სულ სხვანაირი გამოდის და არა «ნოვაიაჟიზნისებური»: ბობოქარ მასებს ნუ შორდები და «დემოკრატიის მოლჩალინების» მხარეზე ნუ გადადიხარ„ და, თუ აჯანყდები, გადადი შეტევაზე, ვიდრე მტრის ძალები დაქსაქსულია, მტერს მოულოდნელად დაესხი თავს.

განა ასე არ არის, «ნოვაიაჟიზნელო» ბატონო «ვითომმარქსისტებო»?

ან იქნებ «მარქსიზმი» იმაში მდგომარეობს, რომ ტაქტიკას საფუძვლად ა რ დაუდო ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მდგომარეობის ზუსტი გათვალისწინება და უაზროდ და უკრიტიკოდ დომხალივით აურიო ერთმანეთში «სამოქალაქო ომიც» და «საბჭოების ყრილობაც დამფუძნებელი კრების მოწვევასთან ერთად»?

მაგრამ ეს ხომ პირდაპირ სასაცილოა, ბატონებო, ეს ხომ სრული აბუჩად აგდებაა მარქსიზმისაც და საერთოდ ყოველგვარი ლოგიკისაც!

თუ საქმის ო ბ ი ე ქ ტ უ რ მდგომარეობაში საფუძველი ა რ ა რ ი ს კლასთა ბრძოლის გასამწვავებლად «სამოქალაქო ომის» დონემდე, მაშინ რალად ჩამოაგდეთ ლაპარაკი «სამოქალაქო ომზე» «საბჭოების ყრილობისა და დამფუძნებელი კრების» **გამო?** (სწორედ ასეთი სათაური აქვს «ნოვაია ჟიზნის» ჩვენს მიერ განხილულ მოწინავეს). მაშინ ნათლად უნდა გეთქვათ მკითხველისთვის და დაგემტკიცებინათ მისთვის, რომ ობიექტური მდგომარეობის პირობებში ა რ ა რ ი ს ნიადაგი სამოქალაქო ომისთვის და რომ ამიტომ ტაქტიკის ქვაკუთხედად შეიძლება და კიდევაც უნდა დაიდოს მშვიდობიანი, კონსტიტუციურ-ლეგალური, იურიდიულად და პარლამენტურად «უბრალო» რამეები, როგორიცაა საბჭოების ყრილობა და დამფუძნებელი კრება. მაშინ შ ე ი ძ ლ ე ბ ა იმ აზრს დაადგე, რომ ასეთ ყრილობას და ასეთ კრებას მართლაც აქვს **ბ ი დ ა წ ყ ვ ე ტ ი ს** უნარი.

ხოლო თუ მომენტის ობიექტურ პირობებში. იმარხება სამოქალაქო ომის აუცილებლობა ან თუნდაც მარტო შესაძლებლობაც, თუ თქვენ მის შესახებ «ტყუილ-უბრალოდ» კი არ ჩამოგიგდიათ ლაპარაკი, არამედ ნათლად ხედავთ, გრძნობთ, შეიგრძნობთ სამოქალაქო ომის ვითარების არსებობას, მაშინ როგორღა შეიძლება ქვაკუთხედად საბჭოების ყრილობის ან დამფუძნებელი კრების დადება?? ეს ხომ აბუჩად აგდებაა მშიერი და დატანჯული მასებისა! განა მშიერი დათანხმდება ორი თვე «ელოდოს»? ან ის ნგრევა, რომლის გაძლიერების შესახებ თქვენ თვითონ ყოველდღე წერთ, დათანხმდება საბჭოთა ყრილობას ან დამფუძნებელ კრებას «ელოდოს»? ან იქნებ გერმანელების შემოტევა, თუ ჩვენი მხრივ სერიოზული ნაბიჯი არ იქნება გადადგმული ზავისაკენ (ე. ი. თუ სამართლიანი ზავის ფორმალური წინადადება არ მიეცა ყველა მეომარ მხარეს), დათანხმდება «ელოდოს» საბჭოების ყრილობას ან დამფუძნებელ კრებას? ან იქნებ თქვენ ისეთი ცნობები მოგეპოვებათ, რომლებიც საშუალებას გაძლევენ დაასკვნათ, რომ რუსეთის რევოლუციის ისტორია, რომელიც 28 თებერვლიდან 30 სექტემბრამდე არაჩვეულებრივი მღელვარებით და გაუგონარი ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა, 1 ოქტომბრიდან 29 ნოემბრამდე[32] არქიწყნარი, მშვიდობიანი, ლეგალურად გაწონასწორებული ტემპით წავა ისე, რომ აღარ იქნება აფეთქებანი, ნახტომები, ომში დამარცხებანი, ეკონომიური კრიზისები? ან, იქნებ, არმია ფრონტზე, რომლის შესახებ არაბოლშევიკმა ოფიცერმა დუბასოვმა ოფიციალურად განაცხადა ფრონტის სახელით, რომ იგი «არ იომებსო», ეს არმია მშვიდად აიტანს შიმშილსა და ყინვას «დანიშნულ» რიცხვამდე? ან გლეხთა აჯანყება იმის გამო, რომ თქვენ მას «ანარქიასა» და «რბევას» დაარქმევთ, იმის გამო, რომ კერენსკი გ ლ ე ხ თ ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ «სამხედრო» ძალებს გაგზავნის, სამოქალაქო ომის ელემენტი აღარ იქნება? ან, იქნებ, შესაძლებელია, წ ა რ მ ო ს ა დ გ ე ნ ი ა მთავრობის მშვიდი, სწორი, არაყალბი მუშაობა დამფუძნებელი კრების მოსაწვევად

გლეხურ ქვეყანაში, როცა ეს მთავრობა აკრობს გლეხთა აჯანყებას?

საცინლად ნუ იგდებთ, ბატონებო, «სმოლნის ინსტიტუტის[33] დაბნეულობას»! თქვენი დაბნეულობა არანაკლებია. სამოქალაქო ომის მრისხანე კითხვებს თქვენ უპასუხებთ დაბნეული ფრაზებითა და უბადრუკი კონსტიტუციური ილუზიებით. აი რატომ ვამბობ მე, ბოლშევიკები რომ ამგვარს განწყობილებას აჰყოლოდნენ, ისინი დაღუპავდნენ თავიანთ პარტიასაც და თავიანთ რევოლუციასაც.

ნ. ლენინი

1917 წ. 1 ოქტომბერი.

მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი

ამხანაგებო! «სოციალისტ-რევოლუციონერების» პარტია, რომელსაც კერენსკი ეკუთვნის, თავის გაზეთში «დელო ნაროდა» (30 სექტემბრისა) მოგიწოდებთ — «მ ო ი თ მ ი ნ ო თ».

«საჭიროა მოითმინოთ», — წერს იგი და გვირჩევს დავუტოვოთ ხელისუფლება კერენსკის მთავრობას, გვირჩევს არ გადავცეთ ხელისუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს. დაე დაეყრდნოს კერენსკი მემამულეებს, კაპიტალისტებსა და კულაკებს, დაე «მოითმინონ» საბჭოებმა, რომლებმაც რევოლუცია მოახდინეს და კორნილოველი გენერლები დაამარცხესო, — გვეუბნებიან. «მოითმინონ» დამფუძნებელ კრებამდე, რომელსაც მალე მოიწვევენო.

ამხანაგებო! მიმოიხედეთ გარშემო, შეხედეთ რა ხდება სოფლად, რა ხდება ჯარში, და დაინახავთ, რომ გლეხებს და ჯარისკაცებს მეტი მოთმენა აღარ შეუძლიათ. მთელ რუსეთში ფართოდ მოდებულია ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა გ ლ ე ხ ე ბ ი ს ა, რომლებისთვისაც მიწის მიცემას დღემდე მოტყუებით აჭიანურებდნენ. გლეხებს აღარ შეუძლიათ მოთმენა. კერენსკი ჯ ა რ ე ბ ს გზავნის გლეხების ჩასახშობად და მემამულეების დასაცავად, კერენსკი კვლავ შეუთანხმდა კორნილოველ გენერლებსა და ოფიცრებს, რომლებიც მემამულეებს იცავენ.

არც მუშებს ქალაქებში და არც ჯარისკაცებს ფრონტზე აღარ შეუძლიათ მოითმინონ მიწისთვის გლეხთა სამართლიანი ბრძოლის სამხედრო ძალებით ჩახშობა.

იმის შესახებ, თუ რა ხდება ჯარში ფრონტზე, ოფიცერმა დუბასოვმა, უპარტიომ, მთელი რუსეთის წინაშე განაცხადა:

«ჯარისკაცები მეტს აღარ იომებენ». ჯარისკაცები გაწამებული არიან, ჯარისკაცები ფეხშიშველა არიან, ჯარისკაცები შიმშილობენ, ჯარისკაცებს არა სურთ იომონ კაპიტალისტების გულისთვის, არა სურთ «მ ო ი თ მ ი ნ ო ნ», რომ მათ უმასპინძლდებოდნენ მხოლოდ ლამაზი სიტყვებით ზავის შესახებ, სინამდვილეში კი მთელი თვეობით აჭიანურებდნენ (როგორც კერენსკი აჭიანურებს) ზ ა ვ ი ს და სამართლიანი, უანექსიო ზავის შ ე თ ა ვ ა ზ ე ბ ა ს ყ ვ ე ლ ა მეომარი ხალხისათვის.

ამხანაგებო! იცოდეთ, რომ კერენსკი კვლავ აწარმოებს მოლაპარაკებას კორნილოველ გენერლებთან და ოფიცრებთან, რომ **დაძრან ჯარი** მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების **საბჭოების წინააღმდეგ, რომ არ დაანებონ ძალაუფლება** საბჭოებს! კერენსკი **«არავითარ შემთხვევაში არ დაემორჩილება» საბჭოებს**—პირდაპირ ასე აღიარებს «დელო ნაროდა».

მაშ გაეშურეთ ყველანი ყაზარმებში, გაეშურეთ კაზაკთა ნაწილებში, გაეშურეთ მშრომელებთან და განუმარტეთ ხალხს **სიმართლე:**

თუ ძალაუფლება საბჭოებს ექნება, არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა (თუ 20 ოქტომბერს შედგება საბჭოების ყრილობა) **სამართლიანი ზავის წინადადება მიეცემა** ყველა მეომარ ხალხს. რუსეთში შეიქმნება **მუშათა და გლეხთა მთავრობა,** იგი **დაუყოვნებლივ,** ერთი დღის ხელიდან გაუშვებლად, **სამართლიან ზავს შესთავაზებს ყველა მეომარ ხალხს.** მაშინ გაიგებს ხალხი, ვისა სურს უსამართლო ომი. მაშინ ხალხი თვითონ განსჯის დამფუძნებელ კრებაში.

თუ ძალაუფლება საბჭოებს ექნება, **მემამულეთა** მიწები დ ა უ ყ ო ვ ნ ებ ლ ი ვ გამოცხადდება **მთელი ხალხის მფლობელობად და კუთვნილებად.**

აი რის წინააღმდეგ იბრძვის კერენსკი და მისი მთავრობა, რომელიც კულაკებს, კაპიტალისტებსა და მემამულეებს ეყრდნობა!

აი ვისი გულისთვის, აი ვისი ინტერესების გულისთვის მოგიწოდებენ თქვენ «მოითმინოთ»!

მერე თანახმა ხართ თქვენ «მოითმინოთ», რომ კერენსკიმ სამხედრო ძალით ჩაახშოს გლეხები, რომლებმაც აჯანყება მოაწყვეს მიწისთვის?

თანახმა ხართ «მოითმინოთ», რომ კიდევ გააჭიანურონ ომი, რომ გააჭიანურონ ზავის წამოყენება, რომ გააჭიანურონ ყოფილი მეფის მიერ რუსეთის და ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტებთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულებების გაუქმება?

ამხანაგებო! გახსოვდეთ, რომ კერენსკიმ ერთხელ უკვე მოატყუა ხალხი, როცა შეჰპირდა, დამფუძნებელ კრებას მოვიწვევო! 8 ივლისს ის დიდის ამბით შეჰპირდა 17 სექტემბრისთვის მოვიწვევ მასო და მოატყუა ხალხი. ამხანაგებო! ვინც კერენსკის მთავრობას დაუჯერებს, ის მოღალატეა თავისი ძმებისა — გლეხებისა და ჯარისკაცებისა!

არა, ხალხი **ერთი დღითაც** არ არის თანახმა კიდევ მოითმინოს გაჭიანურება! **ერთი დღითაც** შეუძლებელია იმისი მოთმენა, რომ სამხედრო ძალით ახშობდნენ გლეხებს, რომ ათასობით იღუპებოდნენ ომში, როდესაც შეიძლება და კიდევაც უნდა წამოვაყენოთ სამართლიანი ზავი.

ძირს კერენსკის მთავრობა, რომელიც უთანხმდება კორნილოველ მემამულე-გენერლებს, რომ ჩაახშონ გლეხები, თოფი დაუშინონ გლეხებს, გააჭიანურონ ომი!

მთელი ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს!

დაწერილია 1917 წ. 1 — 2 (14 — 15) ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. 23 აპრილს გაზეთში «პრავდა» № 93

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

წერილი ც.კ-ს, მ.კ-ს, პ.კ-ს და პიტერისა და მოსკოვის საბჭოების ბოლშევიკ წევრებს[34]

ძვირფასო ამხანაგებო, ამბები ისე ნათლად გვიკარნახებს ჩვენს ამოცანას, რომ დაყოვნება პირდაპირ დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ხდება.

აგრარული მოძრაობა იზრდება. მთავრობა აძლიერებს საშინელ რეპრესიებს, ჯარში ჩვენდამი სიმპათიები იზრდება (მოსკოვში ჯარისკაცთა ხმების 99 პროცენტი ჩვენ გვიჭერს მხარს, ფინეთის ჯარი და ფლოტი მთავრობის წინააღმდეგია, დუბასოვის აზრი საერთოდ ფრონტის შესახებ).

გერმანიაში რევოლუციის დაწყება აშკარაა, განსაკუთრებით მატროსების დახვრეტის შემდეგ. მოსკოვის არჩევნები — 47 პროცენტი ბოლშევიკები — უზარმაზარი გამარჯვებაა. მემარცხენე ესერებთან ერთად ჩვენ ა შ კ ა რ ა უმრავლესობას წარმოვადგენთ ჩვენს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი.

რკინიგზისა და ფოსტის მოსამსახურეებს კონფლიქტი აქვთ მთავრობასთან[35]. ლიბერდანები ყრილობის 20 ოქტომბერს მოწვევის ნაცვლად ლაპარაკობენ უკვე ყრილობის 20 რიცხვებში მოწვევაზე, და სხვ., და სხვ.

ასეთ პირობებში «ლოდინი» — დანაშაულია.

ბოლშევიკებს უფლება არა აქვთ საბჭოების ყრილობას უცადონ, მათ ა ხ ლ ა ვ ე უნდა ა ი ღ ო ნ ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა. ამით ისინი იხსნიან მსოფლიო რევოლუციასაც (თორემ მოგველის შეთანხმება ყველა ქვეყნის იმპერიალისტებისა, რომლებიც გერმანიაში მომხდარი დახვრეტების შემდეგ ერთ-

მანეთისადმი დამთმობი გახდებიან და ჩვენს წინააღ-მდეგ გაერთიანდებიან), რუსეთის რევოლუციასაც (თორემ ნამდვილი ანარქიის ტალღა შეიძლება უფრო ძლიერი გახდეს, ვიდრე ჩვენ ავართ) და ასიათასობით ადამიანის სიცოცხლესაც ომში.

დაყოვნება — დანაშაულია. საბჭოების ყრილობის ლოდინი — ფორმალობის ბალღური თამაშია, ფორმალობის სამარცხვინო თამაშია, რევოლუციის ღალატია.

თუ ხელისუფლების აღება უაჯანყებოდ შეუძლებელია, ახლავე უნდა მოვაწყოთ აჯანყება. ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ ახლა შეიძლება ხელისუფლების აღება უაჯანყებოდ: მაგალითად, მოსკოვის საბჭო რომ ერთბაშად ახლავე აიღებდეს ხელისუფლებას და გამოაცხადებდეს თავს (პიტერის საბჭოსთან ერთად) მთავრობად. მოსკოვში გამარჯვება უზრუნველყოფილია და არც არავინაა იბრძოლოს. პიტერში შეიძლება დავიცადოთ. მთავრობა ვერაფერს გააწყობს და მისთვის ხსნაც არ არის, იგი დაგვნებდება.

ვინაიდან მოსკოვის საბჭო, როცა აიღებს ხელისუფლებას, ბანკებს, ფაბრიკებს, «რუსსკოე სლოვოს», უზარმაზარ ბაზას და ძალას იძენს, აგიტაციას გააჩაღებს მთელი რუსეთის წინაშე, ასე დააყენებს საკითხს: ხვალვე წამოვაყენებთ ზავს, თუ ბონაპარტისტი კერენსკი დაგვნებდება (ხოლო თუ არ დაგვნებდება, ჩვენ მას დავამხობთ). მიწას მაშინვე მივცემთ გლეხებს, მაშინვე დავუთმობთ რკინიგზელებს და ფოსტის მოსამსახურეებს, და სხვ.

სავალდებულო არ არის პიტერით «დავიწყოთ». თუ მოსკოვი «დაიწყებს» უსისხლოდ, მას უეჭველად მხარს დაუჭერენ: 1) არმია ფრონტზე თავისი თანაგრძნობით, 2) გლეხები ყველგან, 3) ფლოტი და ფინეთის ჯარი პიტერზე ილაშქრებენ.

კერენსკის კიდევაც რომ ჰყავდეს პიტერთან ცხენოსანი ჯარის ერთი-ორი კორპუსი, ის იძულებული გახდება დაგვნებდეს. პიტერის საბჭოს შეუძლია დაიცადოს და აგიტაცია გააჩაღოს მოსკოვის საბჭოთა მთავრობის სასარგებლოდ.

ლოზუნგი: ძალაუფლება საბჭოებს, მიწა — გლეხებს, ზავი — ხალხებს, პური — დამშეულთ.

გამარჯვება უზრუნველყოფილია, და ცხრა მეათედით შანსები იმისკენაა, რომ უსისხლოდ.

ლოდინი — დანაშაულია რევოლუციის წინაშე.

სალამით ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წ.
1 (14) ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1921 წელს
ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის)
თხზულებათა კრებულში,
ტომი XIV, ნაწ. II

იბეჭდება საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

თეზისები პეტერბურგის ორგანიზაციის 8 ოქტომბრის კონფერენციაზე მოხსენებისთვის, აგრეთვე რეზოლუციისთვის და პარტიულ ყრილობაზე დელეგატებად არჩეულთა განაწესისთვის[36]

წინაპარლამენტში პარტიის მონაწილეობის საკითხზე

1) ჩვენი პარტიის მონაწილეობა «წინაპარლამენტში» ან «დემოკრატიულ საბჭოში» ანდა «რესპუბლიკის საბჭოში» აშკარა შეცდომა და პროლეტარულ-რევოლუციური გზიდან გადახვევაა.

2) ობიექტური მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენს ქვეყანაში, უეჭველად, იზრდება რევოლუცია კერენსკის ბონაპარტისტული მთავრობის წინააღმდეგ (გლეხთა აჯანყება, არმიასა და ნაციონალურ ჯგუფებში უკმაყოფილებისა და კონფლიქტების გაძლიერება მთავრობასთან, კონფლიქტი რკინიგზელებთან და ფოსტის მოსამსახურეებთან, შემთანხმებელ მენშევიკებისა და ესერების სრული კრახი არჩევნებში და სხვ.).

რევოლუციის ასეთი ზრდის დროს გაყალბებულ, ხალხის მოსატყუებლად შერჩეულ პარლამენტში მონაწილეობის მიღება ნიშნავს ამ მოტყუების გაადვილებას, რევოლუციის მომზადების საქმის გ ა ძ ნ ე ლ ე ბ ა ს, ხალხის გულისყურისა და პარტიის ძალების ჩამოშორებას ხელისუფლებისათვის და მთავრობის დამხობისათვის ბრძოლის საარსებო ამოცანისაგან.

3) ამიტომ პარტიის ყრილობამ უკანვე უნდა გამოიწვიოს ჩვენი პარტიის წევრები წინაპარლამენტიდან, გამოაცხადოს მისი ბოიკოტი, მოუწოდოს ხალხს ძალების მომზადებისაკენ ამ წერეთლისეული «ბულიგინის სათათბიროს» გარეკვისათვის.

ლოზუნგის შესახებ «მთელი ძალაუფლება საბჭოებს»

1. ბოლშევიკების მთელი ნახევარი წლის მუშაობა რევოლუციაში, მთელი კრიტიკა, მიმართული მათ მიერ მენშევიკების და ესერების წინააღმდეგ «შემთანხმებლობისათვის» და ამ პარტიების მიერ საბჭოების სალაყბოდ გადაქცევისათვის, ბოლშევიკებისგან მოითხოვს ამ ლოზუნგის კეთილსინდისიერ, მარქსისტულად ურყევ დაცვას; სამწუხაროდ, პარტიის ზედაფენებში ჩანს მერყეობა, თითქოს ხელისუფლებისათვის ბრძოლის «შიში», მიდრეკილება ამ ბრძოლის შეცვლისა რეზოლუციებით, პროტესტებითა და ყრილობებით.

2. ორივე რევოლუციის, როგორც 1905 წლისა, ისე 1917 წლისა, მთელი გამოცდილება, აგრეთვე ბოლშევიკების პარტიის ყველა გადაწყვეტილება, ყველა მისი პოლიტიკური განცხადება მრავალი წლის მანძილზე იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო რეალურია მხოლოდ როგორც აჯანყების ორგანო, მხოლოდ როგორც რევოლუციური ხელისუფლების ორგანო. ამ ამოცანის გარეშე საბჭოები ცარიელი სათამაშოა, რომელიც გარდუვალად იწვევს მასების აპათიას, გულგრილობას, გულისგატეხას, მასებისა, რომლებსაც სრულიად კანონიერად შეჯავრდათ რეზოლუციებისა და პროტესტების დაუსრულებელი განმეორებანი.

3. განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში მოდებულია გლეხთა აჯანყება, რომელსაც ახშობს კერენსკი შერჩეული ჯარებით, როცა სამხედრო ზომების მიღებაც კი სოფლად აშკარა საფრთხეს ქმნის, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები დამახინჯებული და გაყალბებული იქნება, როცა გერმანიაში ფლოტის აჯანყებამდე მივიდა საქმე, ახლა ბოლშევიკების უარისთქმა საბჭოების აჯანყების ორგანოდ გადაქცევაზე ღალატი იქნებოდა გლეხების მიმართაც და საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის მიმართაც.

4. საბჭოების მიერ ხელისუფლების აღების ამოცანა ეს არის წარმატებითი აჯანყების ამოცანა. ამიტომ პარტიის მთელი საუკეთესო ძალები უნდა გაიგზავნოს ფაბრიკებსა და ყაზარ-

მებში, რათა განუმარტონ მასებს მათი ამოცანა, სწორად გაითვალისწინონ მათი განწყობილება და სწორად შეარჩიონ მომენტი კერენსკის მთავრობის დასამხობად.

ამ ამოცანის უსათუოდ საბჭოების ყრილობასთან დაკავშირება, მისი ამ ყრილობისთვის დამორჩილება — ეს ნიშნავს სათამაშოდ გახადო აჯანყება, წინასწარ დანიშნო მისი ვადა, გაუადვილო მთავრობას ჯარების მომზადება, გზაკვალი აუბნიო მასებს იმ ილუზიით, თითქოს საბჭოების ყრილობის «რეზოლუციით» შეიძლება იმ საკითხის გადაწყვეტა, რომლის გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ აჯანყებულ პროლეტარიატს თავისი ძალით.

5. უნდა ვებრძოლოთ კონსტიტუციურ ილუზიებს და საბჭოების ყრილობაზე იმედების დამყარებას, უნდა უარვყოთ წინასწარშედგენილი აზრი — უსათუოდ «დავუცადოთ» მას, მთელი ძალები მოვანდომოთ მასებისთვის აჯანყების გარდუვალობის განმარტებას და მის მომზადებას. როცა ორივე დედაქალაქის საბჭო ბოლშევიკების ხელთაა, ისინი კი უარს იტყვიან ამ ამოცანაზე, შეურიგდებიან დამფუძნებელი კრების მოწვევას (ე. ი. დამფუძნებელი კრების გაყალბებას) კერენსკის მთავრობის მიერ, ისინი ცარიელ ფრაზად აქცევენ თავიანთ პროპაგანდას ლოზუნგისას «ძალაუფლება საბჭოებს» და პოლიტიკურადაც შეირცხვენენ თავს, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის პარტია.

6. ეს განსაკუთრებით სწორია ახლა, როცა მოსკოვის არჩევნებმა ხმების 49½ პროცენტი მოგვცა ბოლშევიკებს და როცა ბოლშევიკებს, მემარცხენე ესერების მხარისდაჭერით, რაც დიდი ხანია უკვე ხორციელდება საქმით, უეჭველი უმრავლესობა მიჰყვება ჩვენს ქვეყანაში.

შენიშვნა რეზოლუციისადმი «ძალაუფლება საბჭოებს»

შეიძლება ყველაფერი არ დავბეჭდოთ თეზისებიდან — «ძალაუფლება საბჭოებს», მაგრამ თუ უარს ვიტყვით ისეთი უაღრესად საჭირბოროტო და უმნიშვნელოვანესი საკითხების

პარტიულ განხილვაზე და მასებისთვის მათს განმარტებაზე, რომელთა განსახილველად არ არის პრესის სრული თავისუფლება, ან რომელთა გამოტანა მტრების წინაშე შეუძლებელია, ეს იმას უდრის, რომ პარტიამ დაჰკარგოს კავშირი პროლეტარიატის ავანგარდთან.

დაწერილია 1917 წ.
29 სექტემბერსა და 4 ოქტომბერს
(12 და 17 ოქტომბერს) შუა

პირველად დაიბეჭდა
1921 წელს ნ. ლენინის
(ვ. ულიანოვის) თხზულებათა
კრებულში, ტომი XIV, ნაწ. II

იბეჭდება საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

წერილი პიტერის საქალაქო კონფერენციას

დახურულ სხდომაზე წასაკითხად

ამხანაგებო! ნება მომეცით კონფერენციის ყურადღება მივაპყრო პოლიტიკური მდგომარეობის მეტისმეტ სერიოზულობას. მე შემიძლია დავეყრდნო მხოლოდ შაბათ დილის გაზეთების ცნობებს. ეს ცნობები კი მაიძულებს საკითხი ასე დავაყენო:

ხომ არ ამტკიცებს საერთოდ ინგლისის ფლოტის, აგრეთვე ინგლისის წყალქვეშა ნავების სრული უმოქმედობა გერმანელების მიერ ეზელის აღების დროს, მთავრობის პიტერიდან მოსკოვში გადასვლის გეგმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთისა და ინგლისის იმპერიალისტები, კერენსკი და ინგლის-საფრანგეთის კაპიტალისტები შ ე თ ქ მ უ ლ ნ ი არიან პიტერი გერმანელებს გადასცენ და ა მ გ ზ ი თ რუსეთის რევოლუცია ჩაახშონ?.

მე ვფიქრობ, რომ ამტკიცებს.

შეთქმულება მოწყობილია, შესაძლოა, არა პირდაპირ, არამედ ვინმე კორნილოველების (მაკლაკოვის, სხვა კადეტების, «უპარტიო» რუსი მილიონერების და სხვ.) მეშვეობით, მაგრამ ყოველივე ეს საქმის დედაარსს სრულიადაც არა სცვლის.

დასკვნა ცხადია:

უნდა ვალიაროთ, რომ რევოლუცია დაღუპულია, თუ კერენსკის მთავრობა უახლოეს მომავალში არ დაამხო პროლეტარებმა და ჯარისკაცებმა. დღის წესრიგში დგება აჯანყების საკითხი.

მთელი ძალ-ღონე უნდა დავძაბოთ, რათა მუშებსა და ჯარისკაცებს ჩავუნერგოთ იდეა, რომ აუცილებლად საჭიროა თავგანწირული, უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლა კერენსკის მთავრობის დასამხობად.

უნდა მივმართოთ მოსკოველ ამხანაგებს, დავარწმუნოთ ისინი აღორ ხელისუფლება მოსკოვში, კერენსკის მთავრობა გამოაცხადონ დამხობილად, ხოლო მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭო გამოაცხადონ რუსეთის დროებით მთავრობად მაშინვე ზავის წინადადების წამოსაყენებლად და შეთქმულებისაგან რუსეთის გადასარჩენად. მოსკოვში აჯანყების საკითხი მოსკოველმა ამხანაგებმა უნდა დააყენონ დღის წესრიგში.

უნდა ვისარგებლოთ 8 ოქტომბრისთვის ჰელსინგფორსში მოწვეული ჩრდილოეთის რაიონის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების საოლქო ყრილობით[37], რათა (დელეგატების უკან დაბრუნებისას პიტერში გავლის დროს) მობილიზაცია გავუკეთოთ მთელ ძალებს მათ გადასაბირებლად აჯანყების მხარეზე.

ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უნდა მივმართოთ თხოვნით და წინადადებით — დააჩქაროს ბოლშევიკების გამოსვლა წინაპარლამენტიდან და მთელი ძალები გამოვიყენოთ მასებში სხვა ქვეყნების იმპერიალისტებთან ერთად კერენსკის შეთქმულების გამოსააშკარავებლად და აჯანყების მოსამზადებლად, აჯანყების მ ო მ ე ნ ტ ი ს სწორად შესარჩევად.

P. S. * პეტროგრადის საბჭოს ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა სექციის რეზოლუციამ პიტერიდან მთავრობის წასვლის წინააღმდეგ[38] ცხადყო, რომ ჯარისკაცებშიც მ წ ი ფ დ ე ბ ა რწმენა, რომ კერენსკი შეთქმულებას აწყობს. მთელი ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბოთ ამ ს წ ო რ ი რწმენის განსამტკიცებლად და ჯარისკაცებში სააგიტაციოდ.

---

* — **Postscriptum** — მინაწერი. რ ე დ.

* * *

შემომაქვს წინადადება მიიღოთ შემდეგი რეზოლუცია:

«კონფერენცია, განიხილა რა ახლანდელი, საერთო აღიარებით უაღრესად კრიზისული მდგომარეობა, ადგენს შემდეგ ფაქტებს:

1. გერმანიის ფლოტის შეტევითი ოპერაციები, ინგლისის ფლოტის მეტისმეტად უცნაური სრული უმოქმედობის დროს და დროებითი მთავრობის პიტერიდან მოსკოვში გადასვლის ზეგმასთან დაკავშირებით უდიდეს ეჭვს იწვევს, რომ კერენსკის მთავრობამ (ანუ, რაც იგივეა, მის ზურგს უკან მდგომმა რუსეთის იმპერიალისტებმა) ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებთან ერთად მოაწყო შეთქმულება — ვერმანელებს მისცენ პიტერი და ამ გზით ჩაახშონ რევოლუცია.

2. ასეთ ეჭვებს უაღრესად განამტკიცებს და ასეთ შემთხვევებში შესაძლებელი ალბათობის მაქსიმუმს ანიჭებს ის გარემოება, რომ:

ჯერ-ერთი, არმიაში დიდი ხანია მტკიცდება და კიდევაც განმტკიცდა რწმენა, რომ მას ღალატობდნენ მეფის გენერლები, ღალატობენ კორნილოვისა და კერენსკის გენერლებიც (განსაკუთრებით რიგის დანებება);

მეორე, ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა არ ჰფარავს თავის გააფთრებულ, მძვინვარებამდე მისულ სიძულვილს საბჭოებისადმი და მზადყოფნას ყოველგვარი სისხლის გაღებით მოსპოს ისინი;

მესამე, კერენსკი, კადეტები, ბრეშკოვსკაია, პლეხანოვი და მსგავსი პოლიტიკოსები რომ ნებსით თუ უნებლიეთ იარაღს წარმოადგენენ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის ხელში, ეს სავსებით დაამტკიცა რუსეთის რევოლუციის ნახევარი წლის ისტორიამ;

მეოთხე, ყრუ, მაგრამ შეუპოვარი ხმები გერმანიასთან ინგლისის სეპარატული ზავის შესახებ «რუსეთის ხარჯზე» უმიზეზოდ არ წარმოიშობოდა;

მეხუთე, კორნილოვის შეთქმულების მთელმა ვითარებამ, როგორც ეს ჩანს საერთოდ კერენსკის თანამგრძნობი გაზეთების — «დელო ნაროდას» და «იზვესტიის» განცხადებიდანაც, დაამტკიცა, რომ კერენსკი ძლიერ გარეულია კორნილოვის ისტორიაში, რომ კერენსკი იყო და რჩება ყველაზე საშიში კორნილოველი; კერენსკიმ მფარველობა გაუწია კორნილოველობის მეთაურებს, მაგალითად, როძიანკოს, კლემბოვსკის, მაკლაკოვს და სხვ.

აქედან გამოსული, კონფერენცია აღიარებს, რომ კერენსკისა და მისი მომხრე ბურჟუაზიული გაზეთების მთელი ყვირილი პიტერის თავდაცვაზე — სულ მთლად ტყუილი და თვალთმაქცობაა, და რომ სავსებით მართალია პეტროგრადის საბჭოს ჯარისკაცთა სექცია, რომელმაც მკაცრად დაგმო პიტერიდან გასახლების გეგმა; — შემდეგ, პიტერის თავდაცვისა და რევოლუციის ხსნისათვის უცილობლად და დაძაბულად საჭიროა, რომ გაწამებული არმია დარწმუნდეს მთავრობის კეთილსინდისიერებაში და მიიღოს პური, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი რევოლუციური ზომების მიღებით კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომლებიც დღემდე საბოტაჟს უწევდნენ ბრძოლას ნგრევის წინააღმდეგ (როგორც ამას აღიარებს თვით მენშევიკურ-ესერულ ცაკ-თან არსებული ეკონომიური განყოფილება).

ამიტომ კონფერენცია აცხადებს, რომ მხოლოდ კერენსკის მთავრობისა და რესპუბლიკის გაყალბებული საბჭოს დამხობას და მუშათა და გლეხთა რევოლუციური მთავრობით მის შეცვლას შეუძლია:

ა) გლეხთა აჯანყების ჩაქრობის ნაცვლად გლეხებს მიწა გადასცეს;

ბ) დაუყოვნებლივ წამოაყენოს სამართლიანი ზავის წინადადება და მით სიმართლის რწმენა ჩაუნერგოს მთელ ჩვენს არმიას;

გ) მიიღოს უაღრესად გადამჭრელი რევოლუციური ზომები კაპიტალისტების წინააღმდეგ, რათა არმია უზრუნველყოს პურით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და ებრძოლოს ნგრევას.

კონფერენცია დაბეჯითებით თხოვს ცენტრალურ კომიტეტს მიიღოს ყოველგვარი ზომები კერენსკის ანტიხალხური და ბატონყმური მთავრობის დასამხობად მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა აუცილებელი აჯანყების ხელმძღვანელობის გასაწევად.

კონფერენცია ადგენს დაუყოვნებლივ გაიგზავნოს დელეგაცია ჰელსინგფორსში, ვიბორგში, კრონშტადტში, რეველში, პიტერის სამხრეთით განლაგებულ ჯარის ნაწილებსა და მოსკოვში აგიტაციის გასაწევად — შეუერთდნენ ამ რეზოლუციას და სწრაფი საერთო აჯანყებით და კერენსკის დამხობით გზა გაუხსნან ზავს, პეტროგრადისა და რევოლუციის ხსნას, მიწის გადაცემას გლეხებისთვის და ძალაუფლებისა — საბჭოებისთვის».

დაწერილია 1917 წ.
7 (20) ოქტომბერს
პირველად დაიბეჭდა 1924 წ.

იბეჭდება საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის

დაწერილია 1917 წ. 6 — 8
(19 — 21) ოქტომბერს

დაიბეჭდა 1917 წ. ოქტომბერში
ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» № 1 — 2-ში.
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ჟურნალის ტექსტის
მიხედვით

პარტიის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) საგანგებო ყრილობის, რომელსაც იწვევს ცენტრალური კომიტეტი 17 ოქტომბრისთვის, დღის წესრიგში დაყენებულია პარტიული პროგრამის გადასინჯვა. ჯერ კიდევ 24 — 29 აპრილის კონფერენციამ[39] მიიღო რეზოლუცია გადასინჯვის საჭიროების შესახებ და 8 მუხლში მიუთითა მისი მიმართულება *. შემდეგ პიტერსა ** და მოსკოვში *** გამოვიდა თითო ბროშურა, რომელიც ეძღვნება გადასინჯვას, ხოლო მოსკოვის ჟურნალში «სპარტაკი»[40] № 4, 10 აგვისტოს გამოქვეყნდა ამხ. ნ. ი. ბუხარინის სტატია, რომელიც ეძღვნება ამ თემას.

განვიხილოთ მოსკოველი ამხანაგების მოსაზრებანი.

I

ბოლშევიკებისთვის, რომლებიც ერთხმად ეთანხმებიან იმ აზრს, რომ საჭიროა «იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომების ეპოქის შეფასება მოახლოებულ სოციალისტურ რევოლუციასთან დაკავშირებით» (24 — 29 აპრილის კონფერენციის რეზოლუციის § 1), პარტიული პროგრამის გადასინჯვის

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 24, გვ. 328 — 329. რ ე დ.

** «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის» ნ. ლენინის რედაქციითა და წინასიტყვაობით. გამომცემლობა «პრიბოი». 1917.

*** «მასალები პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის» ვ. მილიუტინის, ვ. სოკოლნიკოვის, ა. ლომოვის, ვ. სმირნოვის სტატიათა კრებული. გამოც. რსდმ პარტიის მოსკოვის სამრეწველო რაიონის საოლქო ბიუროსი. 1917.

დროს ძირითად საკითხს წარმოადგენს — ახალი პროგრამის შედგენის წესის საკითხი. ძველ პროგრამას დაემატოს იმპერიალიზმის დახასიათება (ამ აზრს ვიცავდი მე პიტერის ბროშურაში) თუ ძველი პროგრამის მთელი ტექსტი გადაკეთდეს. (ეს აზრი გამოთქვა აპრილის კონფერენციაზე შექმნილმა სექციამ და მას იცავენ მოსკოველი ამხანაგები.) უწინარეს ყოვლისა ასე დგას საკითხი ჩვენი პარტიისთვის.

ჩვენ გვაქვს ორი პროექტი: ერთი, რომელსაც მე ვაყენებ, ძველ პროგრამას ავსებს იმპერიალიზმის დახასიათებით *. მეორე, რომელსაც ამხ. ვ. სოკოლნიკოვი აყენებს და რომელიც დამყარებულია სამი პირისგან შემდგარი კომისიის შენიშვნებზე (ეს კომისია არჩეულია აპრილის კონფერენციაზე შექმნილი სექციის მიერ), წარმოადგენს პროგრამის მთელი ზოგადი ნაწილის გადამუშავებას.

მეც მომიხდა აზრის გამოთქმა (ხსენებულ ბროშურაში, გვ. 11 **) გადამუშავების იმ გეგმის თეორიული უმართებულობის შესახებ, რომელიც სექციამ დასახა. ვნახოთ ახლა, რამდენად ასრულებს ამ გეგმას ამხ. სოკოლნიკოვის პროექტი.

ამხ. სოკოლნიკოვმა ჩვენი პროგრამის ზოგადი ნაწილი დაყო 10 ნაწილად და თვითეულ ნაწილს ანუ თვითეულ აბზაცს დაურთო ცალკე ნომერი (იხ. მოსკოვის ბროშურის 11 — 18 გვ.). ჩვენც ამ ნუმერაციას დავიცავთ, რათა მკითხველს გავუადვილოთ სათანადო ადგილის პოვნა.

ახლანდელი პროგრამის პირველი აბზაცი შედგება ორი წინადადებისგან. პირველი ამბობს, მუშათა მოძრაობა გაცვლა-გამოცვლის განვითარების გამო საერთაშორისო გახდაო. მეორე წინადადება ამბობს, რუსეთის სოციალ-დემოკრატია პროლეტარიატის მსოფლიო არმიის ერთ-ერთ რაზმად თვლის თავსო. (შემდეგ, მეორე აბზაცში, ლაპარაკია ყველა სოციალ-დემოკრატის საერთო საბოლოო მიზნის შესახებ.)

---

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 24, გვ. 553—554, 567. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 24, გვ. 560—562. რ ე დ.

ამხ. ს. მეორე წინადადებას უცვლელად ტოვებს, პირველს კი ცვლის ახლით და მითითებას გაცვლა-გამოცვლის განვითარებაზე უმატებს როგორც «კაპიტალების გატანას», ისე პროლეტარიატის ბრძოლის გადაზრდას «მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციად».

ერთბაშად გამოდის ულოგიკობა, თ ე მ ა თ ა არევა, პროგრამის აგების ორი ტ ი პ ი ს დომხალი. ორში ერთი: ან უნდა დავიწყოთ ს ა ე რ თ ო დ იმპერიალიზმის დახასიათებით, — მაშინ არ შეიძლება ამოვგლიჯოთ მარტო «კაპიტალების გატანა» და მაშინ არ შეიძლება ძველებურად დავტოვოთ, როგორც ამას შვრება ამხ. ს. მ ე ო რ ე აბზაცში, ბურჟუაზიული საზოგადოების «განვითარების მსვლელობის» ანალიზი. ანდა პროგრამის აგების ტიპი უცვლელად უნდა დარჩეს, ე. ი. ჯერ უნდა განიმარტოს, რატომ გახდა ჩვენი მოძრაობა საერთაშორისო, როგორია მისი საერთო საბოლოო მიზანი, როგორ მივყავართ მასთან ბურჟუაზიული საზოგადოების «განვითარების მსვლელობას».

უფრო თვალსაჩინო რომ გავხადოთ ამხ. ს.-ს პროექტით აგებული პროგრამის ულოგიკობა, არათანამიმდევრულობა, მოვიყვანოთ მთლიანად ძველი პროგრამის დასაწყისი:

«გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ ისეთი მჭიდრო კავშირი დაამყარა ცივილიზებული სამყაროს ყველა ხალხს შორის, რომ პროლეტარიატის დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა გამხდარიყო—და დიდი ხანია გახდა კიდეც—საერთაშორისო მოძრაობად».

ამხ. ს. აქ უკმაყოფილოა ორი გარემოებით: 1) როცა პროგრამა გაცვლა-გამოცვლის განვითარებაზე ლაპარაკობს, იგი აღწერს მოძველებულ «განვითარების პერიოდს»; 2) სიტყვას «ცივილიზებული» ამხ. ს. უსვამს გაკვირვების ნიშანს და აღნიშნავს, რომ ჩვენ «გათვალისწინებული არა გვაქვს» «მჭიდრო კავშირი მეტროპოლიასა და კოლონიას შორის».

«პროტექციონიზმი, საბაჟო ომები, იმპერიალისტური ომები, — განა გათიშავენ პროლეტარული მოძრაობის კავშირს?» — აყენებს კითხვას ამხ. ს. და უპასუხებს: «თუ ჩვენი

პროგრამის ტექსტს დავუჯერებთ — გათიშავენ, რადგან თიშავენ იმ კავშირს, რომელსაც გაცვლა-გამოცვლა ამყარებს».

მეტად უცნაური კრიტიკაა სწორედ. არც პროტექციონიზმი, არც საბაჟო ომი გაცვლა-გამოცვლას არ «თიშავენ», არამედ მხოლოდ დროებით უცვლიან მას სახეს ან წყვეტენ ერთ ადგილას, განაგრძობენ რა მეორე ადგილას. გაცვლა-გამოცვლა ამ ომით გათიშული არ არის, იგი მხოლოდ გაძნელებულია ზოგიერთ ადგილას, გადაადგილებულია სხვაგან, იგი დ ა რ ჩ ა როგორც მსოფლიო კავშირი. ამის უაღრესად თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთია თამასუქების კურსი. ეს ერთი. მეორეც, ამხ. ს.-ს პროექტში ვკითხულობთ: «საწარმოო ძალთა განვითარება, რამაც საქონლის გაცვლა-გამოცვლისა და კაპიტალების გატანის საფუძველზე, ყველა ხალხი ჩაითრია მსოფლიო მეურნეობაში» და სხვა. იმპერიალისტური ომიც წყვეტს (ერთ ადგილას, დროებით) კაპიტალების გატანასაც, ისე როგორც გაცვლა-გამოცვლასაც; მაშასადამე, ამხანაგ ს.-ს «კრიტიკა» მ ი ს წინააღმდეგაც არის მიმართული.

მესამე, ლაპარაკი იყო იმაზე (ძველ პროგრამაში), თუ მუშათა მოძრაობა რატომ «გ ა ხ დ ა დ ი დ ი ხ ა ნ ი ა» საერთაშორისო მოძრაობად. უდავოა, რომ იგი საერთაშორისო გახდა კაპიტალების გატანამდე, რაც კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიას წარმოადგენს.

დასკვნა: ამხ. ს-მა აშკარად უ ა დ გ ი ლ ო დ ჩაურთო იმპერიალიზმის განსაზღვრის ნ ა მ ც ე ც ი (კაპიტალების გატანა).

შემდეგ, სიტყვები: «ცივილიზებული სამყარო» არ მოსწონს ამხანაგ ს.-ს, რადგან, მისი აზრით, ეს სიტყვები გულისხმობენ რაღაც მშვიდობიანს, ჰარმონიულს, რაც ივიწყებს კოლონიებს.

სწორედ პირიქით. როცა «ცივილიზებულ სამყაროზე» ლაპარაკობს, პროგრამა მიუთითებს არაჰარმონიულობაზე, არაცივილიზებული ქვეყნების არსებობაზე (ეს ხომ ფ ა ქ ტ ი ა), ხოლო ამხანაგ ს.-ის პროექტით გამოდის ბ ე ვ რ ა დ უ ფ რ ო ჰ ა რ მ ო ნ ი უ ლ ი, რადგან უბრალოდ არის

ლაპარაკი, «ყველა ხალხის ჩაბმაზე მსოფლიო მეურნეობაში»!! თითქოს ყველა ხალხი თანაბრად იყოს ჩაბმული მსოფლიო მეურნეობაში! თითქოს არ იყო კაბალური ურთიერთობა «ცივილიზებულ» და არაცივილიზებულ ხალხთა შორის სწორედ «მსოფლიო მეურნეობაში ჩაბმის» ნიადაგზე!

ამხანაგ ს.-ს გამოუვიდა ძველი პროგრამის ორივე იმ თემის პირდაპირ გაუარესება, რომლებსაც ის შეეხო. მის პროექტში უფრო სუსტად არის ხაზგასმული საერთაშორისობა. ჩვენთვის დიდად საყურადღებოა იმის აღნიშვნა, რომ საერთაშორისობა დიდი ხანია წარმოიშვა, ფინანსური კაპიტალის ეპოქაზე ბევრად უფრო ადრე. და მას უფრო მეტი «ჰარმონიზმი» გამოუვიდა კოლონიებისადმი დამოკიდებულების საკითხში. იმ უდავო ფაქტის მიჩქმალვა კი, რომ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, მუშათა მოძრაობა მოდებულია მხოლოდ ცივილიზებულ ქვეყნებში, ჩვენ სრულიად არ შეგვშვენის.

მე სიამოვნებით დავეთანხმებოდი ამხ. ს.-ს, მას რომ მოეთხოვა კოლონიების ექსპლოატაციის უფრო გარკვევით აღნიშვნა. ეს მართლაც იმპერიალიზმის ცნების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მაგრამ სწორედ პირველ აბზაცში, რომელსაც ამხ. ს. აყენებს, კრიტიკ კი არ არის დაძრული ამაზე. მის პროექტში იმპერიალიზმის ცნების სხვადასხვა შემადგენელი ნაწილი გაფანტულია სხვადასხვა ადგილას, რაც ვნებს თანამიმდევრობასაც და გარკვეულობასაც.

ახლავე დავინახავთ, რა ზიანს აყენებს ამხ. ს.-ის მთელ პროექტს ეს გაფანტულობა და ეს არათანამიმდევრობა.

II

დაე მკითხველმა თვალი გადაავლოს საერთოდ ძველი პროგრამის სხვადასხვა აბზაცის თემების ურთიერთკავშირს და თანამიმდევრობას (აბზაცები მოყვანილია ამხანაგ ს.-ის ნუმერაციის მიხედვით):

1) მუშათა მოძრაობა დიდი ხანია საერთაშორისო გახდა. ჩვენ მისი ერთ-ერთი რაზმი ვართ.

2) მოძრაობის საბოლოო მიზანს განსაზღვრავს ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების მსვლელობა. ამოსავალი წერტილი: წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება და ის გარემოება, რომ პროლეტარები მოკლებული არიან მეურნეობას.

3) კაპიტალიზმის ზრდა. წვრილ მწარმოებელთა განდევნა.

4) ექსპლოატაციის ზრდა (ქალის შრომა, სარეზერვო არმია და სხვ.).

5) კრიზისები.

6) ტექნიკის პროგრესი და უთანასწორობის ზრდა.

7) პროლეტართა ბრძოლის ზრდა. კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის მატერიალური პირობები.

8) პროლეტარიატის სოციალური რევოლუცია.

9) მისი პირობა — პროლეტარიატის დიქტატურა.

10) პარტიის ამოცანაა — უხელმძღვანელოს პროლეტარიატის ბრძოლას სოციალური რევოლუციისათვის.

დავუმატებ კიდევ ერთ თემას:

11) კაპიტალიზმმა უკვე მიაღწია ასეთ უმაღლეს სტადიას (იმპერიალიზმს), და ახლა პროლეტარული რევოლუციის ერა დაიწყო.

შეადარეთ ამას თ ე მ ე ბ ი ს — არა ტექსტის კერძო შესწორებათა, არამედ სწორედ თემების — განრიგება ამხანაგ ს.-ის პროექტში, აგრეთვე მ ი ს ი დ ა მ ა ტ ე ბ ე ბ ი ს თ ე მ ე ბ ი ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს შ ე ს ა ხ ებ:

1) მუშათა მოძრაობა საერთაშორისო მოძრაობაა. ჩვენ მისი ერთ-ერთი რაზმი ვართ. (ჩამატებულია: კაპიტალების გატანა, მსოფლიო მეურნეობა, ბრძოლის გადაზრდა მსოფლიო რევოლუციად, ე. ი. ჩამატებულია ერთი ნამცეცი იმპერიალიზმის განსაზღვრიდან.)

2) მოძრაობის საბოლოო მიზანს განსაზღვრავს ბურჟუაზიული საზოგადოების განვითარების მსვლელობა. ამოსავალი წერტილი: წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება და ის

გარემოება, რომ პროლეტარები მოკლებული არიან მეურნეობას. (შუაში ჩამატებულია: ყოვლისშემძლე ბანკები და სინდიკატები, მსოფლიო მონოპოლისტური კავშირები, ე. ი. ჩამატებულია იმპერიალიზმის განსაზღვრის მეორე ნამცეცი.)

3) კაპიტალიზმის ზრდა. წვრილ მწარმოებელთა განდევნა.

4) ექსპლოატაციის ზრდა (ქალის შრომა, სარეზერვო არმია, უცხოელი მუშები და სხვ.).

5) კრიზისები და ომები. ჩამატებულია კიდევ იმპერიალიზმის განსაზღვრის ნამცეცი: «მსოფლიოს გაყოფის ცდა»; კვლავ განმეორებულია მონოპოლისტური კავშირები და კაპიტალის ექსპორტი; სიტყვას ფინანსური კაპიტალი ფრჩხილებში დაერთვის განმარტება: «საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შეერთების პროდუქტი».

6) ტექნიკის პროგრესი და უთანასწორობის ზრდა. ჩამატებულია კიდევ იმპერიალიზმის განსაზღვრის ნამცეცი: სიძვირე, მილიტარიზმი. კვლავ განმეორებულია მონოპოლისტური კავშირები.

7) პროლეტართა ბრძოლის ზრდა. კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის მატერიალური პირობები. შუაში არის ჩანართი, რომელიც კვლავ იმეორებს: «მონოპოლისტური კაპიტალიზმი» და აღნიშნავს ბანკებისა და სინდიკატების მიერ საზოგადოებრივი მოწესრიგების აპარატის მომზადებას.

8) პროლეტარიატის სოციალური რევოლუცია. (ჩართულია, რომ ის ბოლოს მოუღებს ფინანსური კაპიტალის ბატონობას.)

9) პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც მისი პირობა.

10) პარტიის ამოცანაა — უხელმძღვანელოს პროლეტარიატის ბრძოლას სოციალური რევოლუციისათვის. (შუაში ჩართულია, რომ სოციალური რევოლუცია დღის წესრიგში დგება.)

მე ვფიქრობ, ამ დაპირისპირებით ცხადია, რომ დამატებათა «მექანიკური» ხასიათი (რისაც ეშინოდა ზოგიერთ ამხანაგს) გამოვიდა სწორედ ამხანაგ ს.-ის პროექტში. იმპერიალიზმის განსაზღვრის სხვადასხვა ნამცეცი მოზაიკასავით სრულიად არათანამიმდევრულად არის გაფანტული სხვადასხვა

პუნქტში. საერთო და მთლიანი წარმოდგენა იმპერიალიზმზე არ გამოდის. განმეორებანი მეტისმეტად ბევრია. შენარჩუნებულია ძველი კანვა. შენარჩუნებულია პროგრამის ძველი ზოგადი გეგმა: დაგვანახოს, რომ მოძრაობის «საბოლოო მიზანს განსაზღვრავს» თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ხასიათი და მ ი ს ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა. მაგრამ სწორედ «განვითარების მსვლელობა» არ გამოვიდა, მივიღეთ მხოლოდ იმპერიალიზმის განსაზღვრის ნაწყვეტები, რომლებიც უმეტეს ნაწილად უ ა დ გ ი ლ ო ადგილას არის ჩართული.

ავიღოთ მეორე აბზაცი. იქ ამხ. ს.-ს უცვლელად დაუტოვებია დასაწყისი და ბოლო; დასაწყისში ლაპარაკია იმაზე, რომ წარმოების საშუალებანი ეკუთვნის მცირერიცხოვან პირთ, ბოლოში კი იმაზე, რომ მოსახლეობის უმრავლესობას პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები შეადგენენო. შ უ ა შ ი ამხ. ს. ურთავს ცალკე წინადადებას, რომ «საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კაპიტალისტურად მოწყობილი წარმოების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გამგებლობა ყოვლისშემძლე» ბანკების, ტრესტებისა და სხვათა «ხელში გადავიდაო».

ეს ნათქვამია იმაზე წ ი ნ, ვიდრე გადმოსცემდა დებულებას მ ს ხ ვ ი ლ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ე ბ ი ს მ ი ე რ წ ვ რ ი ლ თ ა გ ა ნ დ ე ვ ნ ი ს შესახებ!! ვინაიდან ეს გადმოცემულია მხოლოდ მ ე ს ა მ ე აბზაცში. მაგრამ ტრესტები ხომ უმაღლესი და უგვიანესი გამოხატულებაა სწორედ მსხვილი მეურნეობების მიერ წვრილთა განდევნის ამ პროცესისა. განა შესაძლებელია ჯერ ილაპარაკო ტრესტების გაჩენაზე, ხოლო შემდეგ მსხვილი მეურნეობების მიერ წვრილთა განდევნაზე? განა ამით არ ირღვევა ლოგიკური თანამიმდევრობა! ვინაიდან აბა საიდან გაჩნდნენ ტრესტები? განა თეორიული უმართებულობა არ გამოდის? როგორ და რატომ «გადავიდა» ტრესტების ხელში გამგებლობა? ამას ვერ გაიგებ, თუ ჯერ ვერ გაერკვიე მსხვილი მეურნეობების მიერ წვრილთა განდევნაში.

ავიღოთ მესამე აბზაცი. მისი თემაა — მსხვილ საწარმოთა მიერ წვრილთა განდევნა. ამხ. ს. აქაც ტოვებს დასაწყისს (იმას, რომ მსხვილ საწარმოთა მნიშვნელობა იზრდება) და ბოლოს (წვრილ მწარმოებლებს დევნიან), შუაში კი უძატებს, რომ მსხვილი საწარმოები «ერთდებიან უზარმაზარ ორგანიზმებად, რომლებიც აერთიანებენ წარმოებისა და მიმოქცევის მთელ რიგ თანამიმდევარ საფეხურებს». მაგრამ ეს ჩანართი ეხება უკვე მეორე თემას — სახელდობრ: წარმოების საშუალებათა კონცენტრაციას და შრომის განსაზოგადოებას კაპიტალიზმის მიერ, კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის მატერიალური პირობების შექმნას. ძველ პროგრამაში ეს თემა დამუშავებულია მხოლოდ მეშვიდე აბზაცში.

ამხ. ს. ინარჩუნებს ამ ზოგად გეგმას. ისიც მ ხ ო ლ ო დ მ ე-7 ა ბ ზ ა ც შ ი ლაპარაკობს კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის მატერიალურ პირობებზე. ამ მე-7 აბზაცში ისიც ინარჩუნებს წარმოების საშუალებათა კონცენტრაციაზე და შრომის განსაზოგადოებაზე მითითებას!

გამოდის, რომ კონცენტრაციაზე მითითების ნაწყვეტი ჩართულია რამდენიმე პარაგრაფით წ ი ნ ზოგადი, შეჯამებული, მთლიანი პარაგრაფისა, რომელიც სპეციალურად კონცენტრაციას ეძღვნება. ეს ულოგიკობის მწვერვალია და მას შეუძლია მხოლოდ გაუძნელოს ჩვენი პროგრამის გაგება ფართო მასებს.

III

პროგრამის მეხუთე აბზაცი, სადაც ლაპარაკია კრიზისებზე, ამხ. ს.-ს «საერთოდ გადაუმუშავებია». მისი აზრით, ძველ პროგრამას, «პოპულარობის გულისთვის, თეორიული შეცდომები აქვს» და იგი «გვერდს უვლის მარქსის კრიზისების თეორიას».

ამხ. ს. ფიქრობს, რომ სიტყვა «ჭარბწარმოება», რომელიც ძველ პროგრამაშია ნახმარი, «საფუძვლად» ედება კრიზისების «განმარტებას» და რომ «ასეთი შეხედულება უფრო შეეფერება თეორიას როდბერტუსისას, რომელიც კრიზისების განმარტებაში მუშათა კლასის არასაკმაო მოხმარებიდან გამოდიოდა».

თუ რამდენად უხეიროა თეორიული ერესის ეს ძიება ამხანაგ ს.-ის მხრივ, რამდენად ყ უ რ ი თ არის აქ მოთრეული როდბერტუსი, ადვილი დასანახია ძველი ტექსტის შედარებით ამხ. ს.-ის მიერ წამოყენებულ ახალ ტექსტთან.

ძველ ტექსტში «ტექნიკურ პროგრესზე», მუშების ექსპლოატაციის დონის გადიდებაზე, მუშახელის მოთხოვნილების შედარებით შემცირებაზე მითითების შ ე მ დ ე გ (მე-4 აბზაცში) ნათქვამია: «საქმის ა ს ე თ ი ვითარება ბურჟუაზიული ქვეყნების შიგნით და სხვ. სულ უფრო და უფრო აძნელებს გასაღებას საქონლისას, რომელსაც მუდამ მზარდი რაოდენობით აწარმოებენ. ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა, რაც თავს იჩენს კრიზისებში... და შეფერხების პერიოდებში... გარდუვალი შედეგია...»

ცხადია, აქ ჭარბწარმოება სრულიადაც არ ედება «საფუძვლად განმარტებას», აქ მხოლოდ ა ღ წ ე რ ი ლ ი ა კრიზისებისა და შეფერხების პერიოდების წარმოშობა. ამხ. ს.-ის პროექტში ვკითხულობთ:

«ამ წინააღმდეგურ ფორმებში მიმდინარე, — როცა წარმოების პირობები ეჯახება მოხმარების პირობებს, კაპიტალის რეალიზაციის პირობები მისი დაგროვების პირობებს, — საწარმოო ძალთა განვითარებას, რომელსაც წარმართავს მხოლოდ მოგების გამოდევნება, გარდუვალად თან სდევს მწვავე სამრეწველო კრიზისები და დეპრესიები, რაც ნიშნავს საქონლის გასაღების შეფერხებას, ანარქიულად რომ აწარმოებენ მუდამ მზარდი რაოდენობით».

ამხ. ს.-მა იგივე თქვა, რადგან «გასაღების შეფერხება» საქონლისა, რომელსაც «მზარდი რაოდენობით» აწარმოებენ, ნიშნავს სწორედ ჭ ა რ ბ წ ა რ მ ო ე ბ ა ს. ტყვილა ეშინია ამხ. ს.-ს ამ სიტყვისა, რომელიც არავითარ უსწორობას არ შეიცავს. ტყვილა წერს ამხ. ს., რომ «ჭარბწარმოების» ნაცვლად «ერთნაირი და უფრო მეტი უფლებითაც შეიძლება აქ ჩაისვას ნაკლწარმოებაო» (მოსკოვის ბროშურის მე-15 გვ.).

აბა სცადეთ «საქონლის გასაღების შეფერხებას», საქონლისა, «რომელსაც მუდამ მზარდი რაოდენობით აწარმოებენ», «ნაკლწარმოება» უწოდოთ! ამას თქვენ ვერასგზით ვერ შეესძლებთ.

როდბერტუსიანიზმი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სიტყვა «ჭარბწარმოება» (მხოლოდ ეს სიტყვა გადმოგვცემს ზუსტად კაპიტალიზმის ერთ-ერთ ყველაზე ღრმა წინააღმდეგობას) იხმარო, არამედ კრიზისები ახსნა მხოლოდ მუშათა კლასის არასაკმაო მოხმარებით. მაგრამ ძველ პროგრამას კრიზისები აქედან კი არ გამოჰყავს. იგი იმოწმებს «ბურჟუაზიული ქვეყნების შიგნით არსებულ ისეთ მდგომარეობას», რომელიც სწორედ ამის წინ, წინა აბზაცშია აღნიშნული როგორც «ტექნიკური პროგრესი» და «ცოცხალი მუშახელის მოთხოვნილების შედარებითი შემცირება». ამასთანავე ძველი პროგრამა ლაპარაკობს «გამწვავებული მეტოქეობის შესახებ მსოფლიო ბაზარზე».

აქ სწორედ ნათქვამია თავიდათავი დაგროვების პირობების შეჯახებაზე რეალიზაციის პირობებთან და ნათქვამია ბევრად უფრო ნათლად. აქ თეორია «შეცვლილი» არ არის, როგორც შეცდომით ფიქრობს ამხ. ს., «პოპულარობის გულისთვის», არამედ ნათლად და პოპულარულად არის გადმოცემული; ეს კი ღირსებაა.

კრიზისებზე, რა თქმა უნდა, ტომების დაწერა შეიძლება, შეიძლება დაგროვების პირობების უფრო კონკრეტული ანალიზის მოცემა, შეიძლება ლაპარაკი წარმოების საშუალებათა როლზე, წარმოების საშუალებებად განსახიერებული ზედმეტი ღირებულებისა და ცვალებადი კაპიტალის გაცვლის შესახებ მოხმარების საგნებად განსახიერებულ მუდმივ კაპიტალზე, ახალი გამოგონებებით მუდმივი კაპიტალის გაუფასურებაზე და სხვა და სხვა. მაგრამ ამის მოცემას ხომ არც ამხ. ს. ცდილობს!! მის მიერ პროგრამის ვითომ შესწორება მდგომარეობს მხოლოდ შემდეგში:

1) როცა მან შეინარჩუნა მე-4 აბზაციდან მე-5 აბზაცზე, ტექნიკური პროგრესისა და სხვათა დამოწმებიდან კრიზისებზე გადასვლის გეგმა, მან შეასუსტა კავშირი ორივე აბზაცს შორის, როცა ამოაგდო სიტყვები: «საქმის ასეთი ვითარება».

2) მან ჩაურთო თეორიულად მეღერი ფრაზები წარმოების პირობების შეჯახებაზე მოხმარების პირობებთან და რეალიზაციის პირობების შეჯახებაზე დაგროვების პირობებთან, ფრაზები, რომლებიც უსწორობას არ შეიცავენ, მაგრამ რომლებიც ახალ აზრს არ იძლევიან, რადგან წინა აბზაცი ძირითადს სწორედ ამ ნაწილში უფრო ნათლად ლაპარაკობს.

3) ის უმატებს «მოგების გამოდევნებას» — გამოთქმა, რომელიც ნაკლებ შეეფერება პროგრამას, მაგრამ აქ, თითქოს, სწორედ «პოპულარობის გ უ ლ ი ს თ ვ ი ს» არის ნახმარი, რადგან ი გ ი ვ ე ა ზ რ ი რამდენიმეჯერაა გამოთქმული სიტყვებითაც «რეალიზაციის პირობების» შესახებ და სიტყვებითაც «სასაქონლო» წარმოების შესახებ და სხვ.

4) «შეფერხებას» იგი ცვლის «დეპრესიით»; მარჯვე შეცვლა ვერ არის.

5) ძველ ტექსტს ის უმატებს სიტყვას «ანარქიულად» («საქონლისა, რომელსაც ანარქიულად აწარმოებენ მუდამ მზარდი რაოდენობით»). ეს დამატება თეორიულად სწორი არ არის, რადგან სწორედ «ანარქიულობა» ანუ «გეგმაზომიერების უქონლობა», თუ ავიღებთ გამოთქმას, რომელიც ნახმარია ერფურტის პროგრამის პროექტში და რომელსაც არ ეთანხმება ენგელსი, ა რ ახასიათებს ტრესტებს *.

ამხ. ს.-ს ა ი რ ა გამოუდის:

...«საქონელს ანარქიულად აწარმოებენ მუდამ მზარდი რაოდენობით. კაპიტალისტთა კავშირების (ტრესტებისა და სხვ.) ცდა — შეზღუდონ წარმოება და ამით აიცილონ კრიზისები, კრახს განიცდის» და სხვ...

მაგრამ სწორედ ტრესტები საქონელს აწარმოებენ ა რ ა ანარქიულად, არამედ ანგარიშიანად. ტრესტები ა რ ა მ ა რ ტ ო «ზღუდავენ» წარმოებას. ისინი არ ც დ ი ლ ო ბ ე ნ

* ენგელსი აკრიტიკებდა გამოთქმას: «კერძო წარმოება» და «გეგმაზომიერების უქონლობა» ერფურტის პროგრამის პროექტში და წერდა: «თუ საქციო საზოგადოებებიდან გადავალთ ტრესტებზე, რომლებიც ბატონობენ მრეწველობის ზოგიერთ დარგზე და მონოპოლიად აქცევენ მათ, აქ წყდება არა მარტო კერძო წარმოება, არამედ გეგმაზომიერების უქონლობაც» 41.

თავიდან აიცილონ კრიზისები, ასეთი «ცდა» ტრესტების მხრივ შეუძლებელია არსებობდეს. ამხ. ს.-ს გამოუვიდა მთელი რიგი უსწორობანი. უნდა ეთქვა: თუმცა ტრესტები საქონელს აწარმოებენ არა ანარქიულად, არამედ ანგარიშიანად, მაგრამ კრიზისების თავიდან აცილება მაინც შეუძლებელი ხდება კაპიტალიზმის ზემოთ აღნიშნულ თვისებათა გამო, რაც ტრესტების დროსაც რჩება. ხოლო თუ ტრესტები უდიდესი აღმავლობისა და სპეკულაციის პერიოდებში ზღუდავენ წარმოებას იმ აზრით, რომ ძალიან «არ შეტოპონ», ამით ისინი უკეთეს შემთხვევაში ინარჩუნებენ ყველაზე მსხვილ საწარმოებს, კრიზისები კი მაინც დგება.

როცა ვაჯამებთ ყოველივე იმას, რაც კრიზისების საკითხზე ითქვა, იმ დასკვნას ვღებულობთ, რომ ძველი პროგრამის გაუმჯობესებას ამხ. ს.-ის პროექტი ა რ იძლევა. პირიქით, ახალი პროექტი ბევრ უსწორობას შეიცავს. ძველის შესწორების საჭიროება დაუმტკიცებელი დარჩა.

IV

იმპერიალისტური ხასიათის ომების საკითხში ამხ. ს.-ის პროექტი თეორიული უსწორობის თვალსაზრისით ორი მხრივ სცოდავს.

ჯერ-ერთი, ის არ იძლევა ამ, ახლანდელი ომის შეფასებას. ის ამბობს, იმპერიალისტური ეპოქა იმპერიალისტურ ომებს წარმოშობსო. ეს სწორია, და პროგრამაში ამის თქმა, რა თქმა უნდა, საჭირო იყო. მაგრამ ეს არ კმარა. გარდა ამისა საჭიროა ითქვას, რომ სწორედ ახლანდელი, 1914 — 1917 წლების, ომი არის იმპერიალისტური ომი. გერმანული ჯგუფი «სპარტაკი» თავის «თეზისებში», რომლებიც 1915 წელს გამოვიდა გერმანულად, ამტკიცებდა, რომ იმპერიალიზმის ერაში ნაციონალური ომები შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ო[42]. ეს აშკარად უმართებულო მტკიცებაა, რადგან იმპერიალიზმი ამწვავებს ერთა ჩაგვრას, ამის გამო კი არათუ შესაძლებელი და მოსალოდნელია, არამედ პირდაპირ გარდუვალია ნაციონალური

აჯანყებები და ნაციონალური ომები (აჯანყებებისა და ომების განსხვავების ცდა აუცილებლად დაიმსხვრეოდა).

მარქსიზმი მოითხოვს ყოველი ცალკეული ომის უსათუოდ ზუსტად შეფასებას კონკრეტული მონაცემების საფუძველზე. ახლანდელი ომის საკითხის გვერდის ავლა ზოგადი მსჯელობებით თეორიულადაც უმართებულოა და პრაქტიკულადაც შეუწყნარებელი, რადგან ამას ეფარებიან ოპორტუნისტები და თავის დასაძვრენს იქმნიან: საერთოდ იმპერიალიზმი არის იმპერიალისტური ომების ეპოქა, მაგრამ ე ს ომი მ თ ლ ა დ იმპერიალისტური რ ო დ ი იყოო (ასე მსჯელობდა, მაგალითად, კაუცკი).

მეორე, ამხ. ს. «კრიზისებსა და ომებს» ე რ თ მ ა ნ ე თ ს უკავშირებს, როგორც საერთოდ კაპიტალიზმის და განსაკუთრებით უახლესი კაპიტალიზმის რაღაც ორსახოვან თვისებას. მგზავრს. მოსკოვის ბროშურის 20 — 21 გვერდზე, ამხ. ს.-ის პროექტში ს ა მ ჯ ე რ არის განმეორებული კრიზისებისა და ომების ეს შეერთება. აქ საქმე მარტო იმაში როდია, რომ პროგრამაში სასურველი არ არის განმეორებანი. აქ საქმე გვაქვს პრინციპულ უსწორობასთან.

კრიზისები, სწორედ ჭარბწარმოების ან «საქონლის გასაღების შეფერხების» სახით, თუ ამხ. ს. დევნის სიტყვა ჭარბწარმოებას, მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ კაპიტალიზმის დამახასიათებელი მოვლენაა. ომები კი ახასიათებს მეურნეობის მონურ სისტემასაც და ბატონყმურ სისტემასაც. იმპერიალისტური ომები ყოფილა აგრეთვე ძონობის ნიადაგზეც (როძის ომი კართაგენთან ორივე მხრივ იმპერიალისტური ომი იყო), შუასაუკუნეებშიც და სავაჭრო კაპიტალიზმის ეპოქაშიც. ყოველგვარ ომს, როცა ო რ ი ვ ე მეომარი მხარე ჩაგრავს სხვის ქვეყნებს ან სხვა ეროვნებებს, ომობს ნადავლის გაყოფის გულისთვის, იმის გულისთვის, «ვინ უფრო მეტი ჩაგროს და ძარცვოსო», შეუძლებელია იმპერიალისტური არ ვუწოდოთ.

თუ ჩვენ ვამბობთ, რომ მხოლოდ უახლეს კაპიტალიზმს, მხოლოდ იმპერიალიზმს მოჰყვა იმპერიალისტური ომები, ეს

სამართლიანია, რადგან კაპიტალიზმის წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ სტადიას, თავისუფალი კონკურენციის სტადიას ანდა წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის სტადიას უმთავრესად ახასიათებდა ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ომები დასავლეთ ევროპაში. მაგრამ თუ ვიტყვით, რომ წინამორბედ სტადიაში სულაც არ ყოფილა იმპერიალისტური ომებიო, ეს უკვე სწორი არ იქნება, ეს იქნება დავიწყება «კოლონიური ომებისა», რომლებიც ა გ რ ე თ ვ ე იმპერიალისტური ომები იყო. ეს ერთი.

მეორე კი, მართებული არ არის სწორედ კრიზისებისა და ომების შ ე ე რ თ ე ბ ა, რადგან ეს სულ სხვადასხვა რიგის, სხვადასხვა ისტორიული წარმოშობის, სხვადასხვა კლასობრივი მნიშვნელობის მოვლენებია. მაგალითად, არ შეიძლება ითქვას, როგორც ამას თავის პროექტში ამბობს ამხ. ს.: «კრიზისებიც და ომებიც, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად აჩანაგებს წვრილ მწარმოებლებს, კიდევ უფრო მეტად ადიდებს დაქირავებული შრომის დამოკიდებულებას კაპიტალზე»... ვინაიდან შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ომები კაპიტალისაგან დაქირავებული შრომის განთავისუფლების გულისთვის, კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ დაქირავებული მუშების ბრძოლის მსვლელობაში, ომები შესაძლებელია არა მარტო რეაქციულ-იმპერიალისტური, არამედ რევოლუციურიც. «ომი» ამა თუ იმ კლასის «პოლიტიკის განგრძობაა»; და ყოველ კლასობრივ საზოგადოებაში, მონურშიც, ბატონყმურშიც, კაპიტალისტურშიც, ყოფილა ომები, რომლებიც განაგრძობდნენ მჩაგვრელი კლასების პოლიტიკას, აგრეთვე ყოფილა ისეთი ომებიც, რომლებიც განაგრძობდნენ ჩაგრული კლასების პოლიტიკას. ამავე მიზეზით არ შეიძლება ითქვას, როგორც ამხ. ს. ამბობს, «კრიზისები და ომები ცხადყოფენ, რომ კაპიტალისტური სისტემა საწარმოო ძალთა განვითარების ფორმიდან მათ შემაფერხებლად იქცევაო».

ახლანდელი იმპერიალისტური ომი რომ თავისი რეაქციულობით და თავისი სიმძიმით არევოლუციურებს მასებს და აჩქარებს რევოლუციას, ეს სწორია, ეს უნდა ითქვას. საერთოდ იმპერიალისტური ომების მიმართაც, როგორც

იმპერიალიზმის ეპოქის ტიპიური ომებისა, ეს სწორი იქნება და ამის თქმა შეიძლება. მაგრამ ამის თქმა შეუძლებელია საერთოდ ყოველგვარ «ომებზე», და შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კრიზისებისა და ომების ერთმანეთთან დაკავშირება.

V

ახლა საჭიროა შევაჯამოთ ზემონათქვამი იმ უმთავრეს საკითხზე, რომელმაც ყველა ბოლშევიკის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით უწინარეს ყოვლისა გაშუქება და შეფასება უნდა ჰპოვოს ახალ პროგრამაში. ეს არის იმპერიალიზმის საკითხი. ამხ. სოკოლნიკოვი იმ აზრისაა, რომ ეს გაშუქება და ეს შეფასება უფრო მიზანშეწონილია პროგრამაში ავსახოთ, ასე ვთქვათ, ცალ-ცალკე, იმპერიალიზმის სხვადასხვა ნიშანი დავყოთ პროგრამის სხვადასხვა პარაგრაფს შორის; ჩემი აზრით, უფრო მიზანშეწონილია ეს მოვათავსოთ პროგრამის განსაკუთრებულ პარაგრაფში ან განსაკუთრებულ ნაწილში, ერთად მოვუყაროთ თავი ყოველივე იმას, რაც საჭიროა ითქვას იმპერიალიზმზე. პარტიის წევრთა წინაშეა ახლა ორივე პროექტი და ყრილობაც გამოიტანს თავის გადაწყვეტილებას. მაგრამ ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ამხ. სოკოლნიკოვს იმაში, რომ იმპერიალიზმზე ლაპარაკი საჭიროა, და განსახილველი რჩება, არის თუ არა უთანხმოება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავაშუქოთ და შევაფასოთ იმპერიალიზმი.

შევადაროთ ერთმანეთს ახალი პროგრამის ორივე პროექტი ამ თვალსაზრისით. ჩემს პროექტში აღებულია იმპერიალიზმის ხუთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი: 1) კაპიტალისტთა მონოპოლისტური კავშირები; 2) საბანკო კაპიტალის შეერთება სამრეწველო კაპიტალთან; 3) კაპიტალის გატანა უცხო ქვეყნებში; 4) მსოფლიოს ტერიტორიული დაყოფა, დაყოფა, რომელიც უკვე დამთავრებულია; 5) მსოფლიოს დაყოფა ეკონომიურ-ინტერნაციონალური ტრესტების მიერ. (ჩემს ბროშურაში: «იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უახლესი ეტაპი», რომელიც უფრო გვიან გამოვიდა, ვიდრე «მასალები

პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის», მოყვანილია იმპერიალიზმის ეს ხუთი განმასხვავებელი ნიშანი, გვ. 85*) ამხ. სოკოლნიკოვის პროექტში, არსებითად, ჩვენ ვხედავთ იმავე ხუთ ძირითად ნიშანს, ასე რომ ჩვენს პარტიაში, როგორც ჩანს, იმპერიალიზმის საკითხზე ძალიან სრული პრინციპული თანხმობა მყარდება, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ჩვენი პარტიის პრაქტიკულმა აგიტაციამ ამ საკითხზე, როგორც ზეპირმა, ისე ბეჭდვითმა, უკვე დიდი ხანია, რევოლუციის დასაწყისიდანვე, ყველა ბოლშევიკის სრული ერთსულოვნება გამოამჟღავნა ამ ძირითად საკითხში.

განსახილველი რჩება, რა განსხვავებაა ორივე პროექტს შორის იმპერიალიზმის განსაზღვრისა და დახასიათების ფ ო რ მ უ ლ ი რ ე ბ ა შ ი. ორივე პროექტი შეიცავს კონკრეტულ მითითებას იმაზე, თუ რა დროიდან შეიძლება, კაცმა რომ თქვას, ლაპარაკი კაპიტალიზმის გადაქცევაზე იმპერიალიზმად, და არა მგონია შეიძლებოდეს დავა ასეთი მითითების საჭიროების წინააღმდეგ სამეურნეო განვითარების მთელი შეფასების სიზუსტისა და ისტორიული მართებულობის გულისთვის. ამხ. ს. ამბობს: «საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში»; ჩემს პროექტში კი ნათქვამია: «დაახლოებით XX საუკუნის დასაწყისიდან». ეი ახლა ციტირებულ ბროშურაში იმპერიალიზმის შესახებ მოყვანილია (მაგალითად, 10 — 11 გვ.**) დამოწმება ერთი ეკონომისტისა, რომელიც სპეციალურად სწავლობდა კარტელებსა და სინდიკატებს, რომ ევროპაში კარტელების ს რ უ ლ ი გამარჯვებისაკენ შემობრუნების პუნქტი გახდა 1900 — 1903 წლების კრიზისიო. ამიტომ, ჩემი აზრით, უფრო ზუსტი იქნება ითქვას: «დაახლოებით XX საუკუნის დასაწყისიდან», ვიდრე «საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში». ეს უფრო სწორი იქნება კიდევ იმიტომაც, რომ როგორც ის სპეციალისტი, რომელზედაც მე ახლა მივუთითე, ისე საერთოდ ევროპის ეკონომისტები ყველაზე ხშირად მიმართავენ გერმანიის

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 335. რ ე დ.
** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 248—249. რ ე დ.

მონაცემებს, გერმანიამ კი კარტელების შექმნის პროცესში წინ გაუსწრო სხვა ქვეყნებს.

შემდეგ. ჩემს პროექტში მონოპოლიებზე ნათქვამია: «კაპიტალისტების მონოპოლისტურმა კავშირებმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიიღეს». ამხანაგ ს.-ის პროექტში მონოპოლისტურ კავშირებზე მითითება განმეორებულია რამდენიმეჯერ, მაგრამ ყველა ამ მითითებიდან მხოლოდ ერთი განირჩევა შედარებითი გარკვეულობით, სახელდობრ შემდეგი:

...«საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კაპიტალისტურად ორგანიზებული წარმოების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გამგებლობა გადავიდა ყოვლისშემძლე, ერთმანეთთან შეერთებული ბანკების, ტრესტებისა და სინდიკატების ხელში, რომლებმაც შეადგინეს მსოფლიო მონოპოლისტური კავშირები, რომელთაც ფინანსური კაპიტალის ერთი მუჭა მაგნატები ხელმძღვანელობენ».

ჩემი აზრით, აქ ძალზე ბევრი «აგიტაციაა», ე. ი. «პოპულარობის გულისთვის» პროგრამაში ჩართულია ის, რაც მასში უადგილოა. საგაზეთო სტატიებში, სიტყვებსა და პოპულარულ ბროშურებში «აგიტაცია» საჭიროა, მაგრამ პარტიის პროგრამა უნდა განირჩეოდეს ეკონომიური სიზუსტით და ზედმეტ რამეს არ უნდა შეიცავდეს. მონოპოლისტურმა კავშირებმა რომ «გადამწყვეტი მნიშვნელობა» მიიღეს, ეს, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო ზუსტად არის ნათქვამი, და ამით ყველაფერი ნათქვამია. მაგრამ ამხ. ს.-ის პროექტიდან მოყვანილ აბზაცში არათუ ბევრი რამ არის ზედმეტი, არამედ თეორიულად საეჭვოც არის გამოთქმა: «კაპიტალისტურად ორგანიზებული წარმოების გამგებლობა». განა მარტო კაპიტალისტურად ორგანიზებულისა? არა. ეს მეტისმეტად სუსტადაა ნათქვამი. აშკარად არაკაპიტალისტურად ორგანიზებული წარმოებაც: წვრილი ხელოსნები, გლეხები, ბამბის წვრილი მწარმოებლებიც კოლონიებში და სხვ. და სხვ. მოექცნენ ბანკებისა და საერთოდ ფინანსური კაპიტალის დამოკიდებულებაში. თუ ვილაპარაკებთ საერთოდ «მსოფლიო კაპიტალიზმზე» (აქ კი მხოლოდ მასზე შეიძლება ლაპარაკი, თუ არ გვინდა უმართებულობაში გადავვარდეთ), მაშინ, იმის თქმით, რომ: მონოპოლისტურმა

კავშირებმა «გადამწყვეტი მნიშვნელობა» მიიღესო, ჩვენ არავითარ მწარმოებლებს არ ვრიცხავთ ამ გადამწყვეტი მნიშვნელობისადმი დამორჩილებიდან. მონოპოლისტური კავშირების გავლენის შეზღუდვა «კაპიტალისტურად ორგანიზებული წარმოებით» — სწორი არ არის.

შემდეგ, ბანკების როლის შესახებ ამხანაგ ს.-ის პროექტში ერთი და იგივე ორჯერ არის ნათქვამი: ერთხელ აი ახლა მოყვანილ აბზაცში, მეორეჯერ — აბზაცში კრიზისებისა და ომების შესახებ, სადაც მოცემულია განსაზღვრა: «ფინანსური კაპიტალი (პროდუქტია საბანკო კაპიტალის შეერთებისა სამრეწველო კაპიტალთან)». ჩემს პროექტში ნათქვამია: «უდიდესი კონცენტრაციის საბანკო კაპიტალი შეუერთდა სამრეწველო კაპიტალს». პროგრამაში ამის ერთხელ თქმა საკმარისია.

მესამე ნიშანი: «კაპიტალის გატანა უცხო ქვეყნებში მეტად განვითარდა» (ასეა ნათქვამი ჩემს პროექტში). ამხ. ს.-ის პროექტში ერთხელ უბრალოდ არის აღნიშნული «კაპიტალების გატანა», მეორეჯერ სრულიად სხვა ვითარებაში ლაპარაკია «ახალ ქვეყნებზე, რომლებიც გატანილი კაპიტალის გამოყენების... ასპარეზს წარმოადგენენ, კაპიტალისა, რომელიც ზემოგებას ეძებს». ძნელია აქ სწორად მიიჩნიო მითითება ზემოგებასა და ახალ ქვეყნებზე, რადგან კაპიტალის გატანა განვითარდა აგრეთვე გერმანიიდან იტალიაში, საფრანგეთიდან შვეიცარიაში და სხვა. კაპიტალის გატანა იმპერიალიზმის დროს დაიწყეს ძველ ქვეყნებშიც, და არა მარტო ზემოგების გულისთვის. ის, რაც სწორია ახალი ქვეყნების მიმართ, სწორი არ არის საერთოდ კაპიტალის გატანის მიმართ.

მეოთხე ნიშანი ის არის, რასაც ჰილფერდინგმა უწოდა «ბრძოლა სამეურნეო ტერიტორიისთვის». ეს სახელწოდება ზუსტი არ არის, რადგან იგი არ გამოხატავს თანამედროვე იმპერიალიზმის მთავარ განსხვავებას სამეურნეო ტერიტორიისთვის ბრძოლის წინანდელი ფორმებისაგან. ასეთი ტერიტორიისთვის იბრძოდა ანტიკური რომიც, იბრძოდნენ ევროპის XVI—XVIII საუკუნეების სახელმწიფოებიც, როცა

კოლონიებს იპყრობდნენ, ძველი რუსეთიც, როცა ციმბირს იპყრობდა, და სხვ. და ა. შ.. თანამედროვე იმპერიალიზმის განმასხვავებელი ნიშანი ის არის (როგორც ნათქვამია პროგრამის ჩემს პროექტში), რომ «მთელი მსოფლიო ტერიტორიულად უკვე გაყოფილია უმდიდრეს ქვეყნებს შორის», ე. ი. მიწის გაყოფა სახელმწიფოებს შორის დამთავრებულია. სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარეობს მსოფლიოს ხ ე ლ ა ხ ა ლ ი გ ა ყ ო ფ ი ს თ ვ ი ს ბრძოლის განსაკუთრებული სიმწვავე, შეტაკებათა განსაკუთრებული სიმწვავე, რაც ომებს იწვევს.

ამხ. ს.-ის პროექტში ეს გარემოება გამოთქმულია ფრიად მრავალსიტყვაობით და თეორიულადაც არა მგონია სწორი იყოს. მე ახლა მოვიყვან მის ფორმულირებას, მაგრამ რადგან ეს ფორმულირება ერთ მთელად აერთებს მსოფლიოს ეკონომიური გაყოფის საკითხსაც, საჭიროა ჯერ შევეხოთ იმპერიალიზმის ამ უკანასკნელ, მეხუთე, ნიშანსაც. ჩემს პროექტში იგი ფორმულირებულია ასე:

...«დაიწყო მსოფლიოს ეკონომიური გაყოფა ინტერნაციონალურ ტრესტებს შორის». მეტის თქმის საშუალებას არ იძლევა პოლიტიკური ეკონომიისა და სტატისტიკის მონაცემები. მსოფლიოს ა ს ე თ ი გაყოფა მეტად მნიშვნელოვანი პროცესია, მაგრამ ის მხოლოდ ახლა დაიწყო. იმპერიალისტური ომები მსოფლიოს ა მ გაყოფის გულისთვის, ხ ე ლ ა ხ ა ლ ი გ ა ყ ო ფ ი ს გულისთვის იწყება, რაკი ტერიტორიული დაყოფა დამთავრებულია, ე. ი. «თავისუფალი» მიწები მისატაცებლად ა ღ ა რ დარჩენილა, თუ ომი არ აუტეხე მეტოქეს.

ახლა ვნახოთ ამხანაგ ს.-ის ფორმულირება:

«მაგრამ კაპიტალისტური ურთიერთობის ბატონობის სფერო განუწყვეტლივ ფართოვდება გარეთაც ამ ურთიერთობის გადატანით ახალ ქვეყნებში, რომლებიც კაპიტალისტთა მონოპოლისტური კავშირებისთვის საქონლის ბაზრებს, ნედლეულის მიმწოდებლებსა და ზემოგების მაძიებელი გატანილი კაპიტალის გამოყენების ასპარეზს წარმოადგენენ. დაგროვილი ზედმეტი ღირებულების უდიდეს მასებს, რაც ფინანსური კაპიტალის განკარგულებაშია (საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შეერთების პროდუქტი), ისვრიან მსოფლიო ბაზარზე. კაპიტალისტების ნაციონალური და ზოგჯერ საერთა-

შორისო მასშტაბით ორგანიზებული მძლავრი კავშირების მეტოქეობა ბაზარზე ბატონობისთვის, უფრო სუსტი ქვეყნების ტერიტორიების დაუფლების ან კონტროლისთვის, ე. ი. მათი უწყალო ჩაგვრის უპირატესი უფლებისთვის, გარდუვალად იწვევს მთელი მსოფლიოს გაყოფის ცდას უმდიდრეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, იმპერიალისტურ ომებს, რაც წარმოშობს საყოველთაო უბედურებას, გაჩანაგებასა და გაველურებას».

აქ მეტისმეტად მრავალი სიტყვაა, რომლებიც ფარავენ მთელ რიგ თეორიულ უსწორობას. არ შეიძლება ლაპარაკი მსოფლიოს გაყოფის «ცდაზე», რადგან მსოფლიო უ კ ვ ე გაყოფილია. 1914 — 1917 წლების ომი არ არის მსოფლიოს «გაყოფის ცდა», ეს არის ომი უკვე გაყოფილი მსოფლიოს ხ ე ლ ა ხ ლ ა გ ა ყ ო ფ ი ს ა თ ვ ი ს. ომი გარდუვალი გახდა კაპიტალიზმისთვის, იმიტომ რომ რამდენიმე წლით ადრე ამ ომამდე იმპერიალიზმმა გ ა ი ყ ო მსოფლიო ძველი, ასე ვთქვათ, ძალის საზომით, რასაც «ასწორებს» ომი.

კოლონიებისთვის («ახალი ქვეყნებისთვის») ბრძოლაც, «უფრო სუსტი ქვეყნების ტერიტორიების დაუფლებისათვის» ბრძოლაც, ყოველივე ეს ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ა მ დ ე ც იყო. თანამედროვე იმპერიალიზმისთვის დამახასიათებელია ს ხ ვ ა რ ა მ: სახელდობრ, რომ XX საუკუნის დასაწყისში მთელი მიწა ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ დაკავებული, გაყოფილი აღმოჩნდა. მხოლოდ ამიტომ «მსოფლიოზე ბატონობის» ხ ე ლ ა ხ ა ლ ი გ ა ყ ო ფ ა, კაპიტალიზმის საფუძველზე, ვერ მოხდებოდა სხვანაირად, თუ არა მსოფლიო ომის ფასად. «კაპიტალისტების საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებული კავშირებიც» ყოფილა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ა მ დ ე ც: ყოველი საერთაშორისო საზოგადოება სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტების მონაწილეობით «კაპიტალისტების საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებული კავშირია».

იმპერიალიზმისთვის დამახასიათებელია ს ხ ვ ა რ ა მ, რაც წინათ, XX საუკუნემდე, ა რ ყ ო ფ ი ლ ა, სახელდობრ: მსოფლიოს ეკონომიური გაყოფა ინტერნაციონალურ ტრესტებს შორის, მათ მიერ ქვეყნების გაყოფა ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ი თ, როგორც გასაღების ოლქებისა. ამხანაგ

ს.-ის პროექტში სწორედ ეს არ არის გამოხატული, ასე რომ იმპერიალიზმის ძალა უფრო სუსტადაა გამოხატული, ვიდრე ნამდვილად არის.

ბოლოს, თეორიულად სწორი არ არის ლაპარაკი დაგროვილი ზედმეტი ღირებულების მასების მსოფლიო ბაზარზე გატანის შესახებ. ეს მოგვაგონებს პრუდონის რეალიზაციის თეორიას, რომლის მიხედვით კაპიტალისტებს ადვილად შეუძლიათ გაინაღდონ მუდმივი კაპიტალიც და ცვალებადიც, მაგრამ უძნელდებათ ზედმეტი ღირებულების განაღდება. სინამდვილეში კაპიტალისტებს სიძნელეთა და კრიზისების გარეშე არ შეუძლიათ არათუ ზედმეტი ღირებულების განაღდება, არამედ ცვალებადი კაპიტალისაც და მუდმივი კაპიტალისაც. ბაზარზე ისვრიან უამრავ საქონელს, რაც წარმოადგენს არა მარტო დაგროვილ ღირებულებას, არამედ იმ ღირებულებასაც, რომელიც აღადგენს ცვალებად კაპიტალს და მუდმივ კაპიტალს. მაგალითად, მსოფლიო ბაზარზე ისვრიან უამრავ რელსს ან რკინას, რაც განაღდებულ უნდა იქნეს მუშების მოხმარების საგნებზე ან წარმოების სხვა საშუალებებზე გადაცვლით (ხე-ტყე, ნავთობი და სხვ.).

VI

ამით ვამთავრებთ რა ამხანაგ სოკოლნიკოვის პროექტის გარჩევას, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საგულისხმო დამატება, რომელსაც ის იძლევა და რომელიც, ჩემი აზრით, უნდა მივიღოთ და კიდევაც გავაფართოოთ. სახელდობრ: იმ აბზაცში, სადაც ლაპარაკია ტექნიკურ პროგრესზე და ქალის და ბავშვის შრომის გამოყენების ზრდაზე, ის გვირჩევს დავუმატოთ: (გამოვიყენოთ) «ისე როგორც ჩამორჩენილი ქვეყნებიდან შემოყვანილი უცხოელი გაუწვრთნელი მუშების შრომაც». ეს საგულისხმო და საჭირო დამატებაა. იმპერიალიზმისთვის სწორედ განსაკუთრებით დამახასიათებელია ჩამორჩენილი ქვეყნებიდან შემოყვანილი უფრო დაბალხელფასიანი მუშების შრომის ასეთი ექსპლოატაცია. სწორედ მას ემყარება, ერთგვარად, პარაზი-

ტ ი ზ მ ი იმპერიალისტური, მდიდარი ქვეყნებისა, რომლებიც თავიანთი მუშების ერთ ნაწილსაც ქრთამავენ უფრო მაღალი ხელფასით იმ დროს, როცა უცხოელი «იაფი» მუშების შრომის უზომო და ურცხვ ექსპლოატაციას ეწევიან. საჭირო იყო დაგვემატებინა სიტყვები «უფრო დაბალხელფასიანი», აგრეთვე სიტყვები: «და ხშირად უუფლებო», რადგან «ცივილიზებული» ქვეყნების ექსპლოატატორები ყოველთვის სარგებლობენ იმით, რომ შემოყვანილი უცხოელი მუშები უუფლებონი არიან. ამას მუდამ ვხედავთ არა მარტო გერმანიაში რუსი, ე. ი. რუსეთიდან ჩამოსული, მუშების მიმართ, არამედ შვეიცარიაშიც იტალიელთა მიმართ, საფრანგეთში ესპანელთა და იტალიელთა მიმართ და სხვ.

იქნებ, უფრო მიზანშეწონილი იყოს პროგრამაში უფრო ძლიერ გავუსვათ ხაზი და უფრო თვალსაჩინოდ გამოვხატოთ გამოყოფა ერთი მუჭა უმდიდრესი იმპერიალისტური ქვეყნებისა, რომლებიც პარაზიტულად მდიდრდებიან კოლონიებისა და სუსტი ერების ძარცვა-გლეჯით. ეს არის იმპერიალიზმის მეტისმეტად მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც, სხვათა შორის, რამდენადმე აადვილებს დიდ რევოლუციურ მოძრაობათა წარმოშობას იმ ქვეყნებში, რომლებსაც თავს ატყდებათ იმპერიალისტური ძარცვა-გლეჯა, რომლებსაც ემუქრება გაყოფა და ჩახშობა გიგანტი იმპერიალისტების მხრივ (ასეთია რუსეთი), და რომელიც, პირიქით, რამდენადმე აძნელებს დიდ რევოლუციურ მოძრაობათა წარმოშობას იმ ქვეყნებში, რომლებიც იმპერიალისტურად ძარცვავენ მრავალ კოლონიას და უცხო ქვეყნებს და, ამრიგად, თავიანთი მოსახლეობის (შედარებით) ძალიან დიდ ნაწილს იმპერიალისტური ნადავლის გაყოფის მ ო ნ ა წ ი ლ ე დ ხდიან.

ამიტომ ჩემი წინადადება იქნებოდა ჩაგვემატებინა, თუნდაც ჩემი პროექტის იმ ადგილას, სადაც მოცემულია სოციალ-შოვინიზმის დახასიათება (ბროშურის 22-ე გვ. *), მითითება

* იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 24, გვ. 568. რ ე დ.

უმდიდრესი ქვეყნების მხრივ მთელი რიგი სხვა ქვეყნების ამ ექსპლოატაციაზე. პროექტის სათანადო ადგილი იქნებოდა ასეთი (ხაზგასმით აღვნიშნავ ახალ დამატებებს):

«ასეთ დამახინჯებას წარმოადგენს, ერთი მხრივ, სოციალ-შოვინიზმის, სიტყვით სოციალიზმის, საქმით კი შოვინიზმის მიმდინარეობა, «სამშობლოს დაცვის» ლოზუნგით «თავისი» ნაციონალური ბურჟუაზიის მძარცველური ინტერესების დაცვის დაფარვა იმპერიალისტურ ომში, აგრეთვე მდიდარი ერის მოქალაქეთა პრივილეგიური მდგომარეობის დაცვისა, მდიდარი ერისა, რომელიც უდიდეს შემოსავალს იღებს კოლონიებისა და სუსტი ერების ძარცვით. მეორე მხრივ, ასეთ დამახინჯებას წარმოადგენს «ცენტრის» ასეთივე ფართო და საერთაშორისო მიმდინარეობა და სხვ.».

დამატება სიტყვებისა «იმპერიალისტურ ომში» საჭიროა მეტი სიზუსტის გულისთვის: «სამშობლოს დაცვა» ეს არის ლოზუნგი ომის გამართლებისა, მისი კანონიერების, სამართლიანობის აღიარებისა და მეტი არაფერი. ომები სხვადასხვანაირია. შესაძლებელია რევოლუციური ომებიც. ამიტომ საჭიროა სრული სიზუსტით ითქვას, რომ აქ ლაპარაკია სწორედ იმპერიალისტურ ომზე. ეს იგულისხმება, მაგრამ, მითქმა-მოთქმის თავიდან ასაცილებლად ეს კი არ უნდა იგულისხმებოდეს, არამედ პირდაპირ და ნათლად უნდა ითქვას.

VII

პროგრამის ზოგადი ანუ თეორიული ნაწილიდან გადავდივართ პროგრამა-მინიმუმზე. აქ ჩვენ ერთბაშად ვხვდებით ამხანაგების ნ. ბუხარინის და ვ. სმირნოვის გარეგნულად «მეტად რადიკალურ» და მეტად უბადრუკ წინადადებას— სრულიად ამოვაგდოთ პროგრამა-მინიმუმიო. დაყოფა პროგრამა-მაქსიმუმად და პროგრამა-მინიმუმად «მოძველდა», რა საჭიროა ეს, რაკი ლაპარაკია სოციალიზმზე გადასვლის შესახებო. არავითარი პროგრამა-მინიმუმი, საჭი-

როა პირდაპირ სოციალიზმზე გარდამავალი ზომების პროგრამაო.

ასეთია წინადადება ორი დასახელებული ამხანაგისა, თუმცა მათ რატომღაც ვერ გაბედეს წარმოედგინათ სათანადო პროექტი (თუმცა პარტიის უახლოესი ყრილობის დღის წესრიგში პარტიული პროგრამის გადასინჯვის დაყენება პირდაპირ ავალდებულებდა ამ ამხანაგებს შეედგინათ ასეთი პროექტი). შესაძლოა, რომ მოჩვენებითი «რადიკალური» წინადადების ავტორები თვითონ შეჩერდნენ გაუბედაობის გამო... რაც უნდა იყვეს, მათი აზრი მაინც უნდა განვიხილოთ.

ომისა და ნგრევის გამო ყველა ქვეყანა იძულებულია მონოპოლისტური კაპიტალიზმიდან გადავიდეს სახელმწიფო მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე. ასეთია ობიექტური მდგომარეობა. მაგრამ რევოლუციის ვითარებაში, რევოლუციის დროს სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი უშუალოდ გადადის სოციალიზმში. რევოლუციის დროს წინ ვერ წახვალ, თუ სოციალიზმისაკენ არ მიდიხარ, — ასეთია ომითა და რევოლუციით შექმნილი ობიექტური მდგომარეობა. ეს მდგომარეობა გაითვალისწინა აპრილის ჩვენმა კონფერენციამ, როცა წამოაყენა «საბჭოების რესპუბლიკის» (პროლეტარიატის დიქტატურის პოლიტიკური ფორმა) და ბანკებისა და სინდიკატების ნაციონალიზაციის (სოციალიზმზე გადასვლის ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება) ლოზუნგები. დღემდე ყველა ბოლშევიკი ეთანხმება ერთმანეთს და ერთსულოვნად გამოდის. მაგრამ ამხანაგებს ვ. სმირნოვსა და ნ. ბუხარინს სურთ უფრო შორს წავიდნენ და სავსებით უკუაგდებენ პროგრამა-მინიმუმს. ეს იმას ემგვანებოდა, რომ მოიქცე იმ ბრძნული ანდაზის ბრძნული რჩევის წინააღმდეგ, რომელიც ამბობს:

«ომში წასვლას ნუ იქადი, დაბრუნება დაიქადე».

ჩვენ ომში მივდივართ, ე. ი. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ ჩვენმა პარტიამ პოლიტიკური ძალაუფლება მოიპოვოს. ეს

ძალაუფლება იქნებოდა პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურა. როცა ამ ძალაუფლებას ვიღებთ, ჩვენ არათუ არ გვეშინია გავცილდეთ ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებს, არამედ, პირიქით, ნათლად, პირდაპირ, ზუსტად და ყველას გასაგონად ვამბობთ, რომ გავცდებით ამ ფარგლებს, რომ უშიშრად გავწევთ სოციალიზმისაკენ და რომ აი როგორია ჩვენი გზა: საბჭოების რესპუბლიკა, ბანკებისა და სინდიკატების ნაციონალიზაცია, მუშათა კონტროლი, საყოველთაო შრომის ბეგარა, მიწის ნაციონალიზაცია, მემამულეთა ინვენტარის კონფისკაცია და სხვა და სხვა. ამ აზრით წარმოვადგინეთ ჩვენ სოციალიზმზე გარდამავალი ზომების პროგრამა.

მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიქადოდეთ ომში წასვლას, ჩვენ არ უნდა უკუვაგდოთ პროგრამა-მინიმუმი, რადგან ეს იქნებოდა ცარიელი ქადილი: არა გვსურს რაიმე «მოვთხოვოთ ბურჟუაზიას», არამედ თვითონვე განვახორციელებთ, არა გვსურს წვრილმანი მუშაობა ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებშიო.

ეს იქნებოდა ცარიელი ქადილი, რადგან ჯერ უნდა მოიპოვო ძალაუფლება, ჩვენ კი ის ჯერ არ მოგვიპოვებია. ჯერ საქმით უნდა განახორციელო სოციალიზმზე გადასვლის ზომები, მიიყვანო ჩვენი რევოლუცია მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე და უკვე შემდეგ, «ო მ ი დ ა ნ დ ა ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ს», შეგიძლია და კიდევაც უნდა უკუაგდო პროგრამა-მინიმუმი, რ ო მ ე ლ ი ც უ კ ვ ე ს ა ჭ ი რ ო ა ღ ა რ ა რ ი ს.

განა შეიძლება ახლა იმის თავდებობა, რომ პროგრამა-მინიმუმი უკვე საჭირო აღარ არის? რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ძალაუფლება არ მოგვიპოვებია, სოციალიზმი არ გაგვიხორციელებია და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის დაწყებამდეც კი არ მიგვიღწევია.

საჭიროა მტკიცედ, გაბედულად, უყოყმანოდ გ ა ვ წ ი ო ო ამ მიზნისაკენ, მაგრამ სასაცილოა მისი გამოცხადება მიღწე-

ულად, როდესაც იგი ჯერ კიდევ აშკარად არ არის მიღწეული. პროგრამა-მინიმუმის უკუგდება უკვე უდრის იმის გამოცხადებას, აღიარებას (უბრალოდ რომ ვთქვათ, ქადილს), «რომ ჩვენ უკვე გავიმარჯვეთ».

არა, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვიმარჯვნია.

ჩვენ არ ვიცით, გავიმარჯვებთ ხვალ, თუ ცოტა უფრო გვიან. (პირადად მე უფრო იმ აზრისა ვარ, რომ ხვალ, — ამას ვწერ 1917 წლის 6 ოქტომბერს — და შეიძლება დაგვაგვიანდეს ძალაუფლების აღება, მაგრამ ხვალ მაინც ხვალაა და არა დღეს.) ჩვენ არ ვიცით, ჩვენი გამარჯვების შემდეგ რამდენად ჩქარა იფეთქებს რევოლუცია დასავლეთში. ჩვენ არ ვიცით, იქნება თუ არა კიდევ რეაქციისა და კონტრრევოლუციის გამარჯვების დროებითი პერიოდები, — აქ შეუძლებელი არაფერია, — და ამიტომ, როდესაც გავიმარჯვებთ, «სანგრების სამ წყება ხაზს» ავაგებთ ასეთი შესაძლებლობის წინააღმდეგ.

ყოველივე ეს ჩვენ არ ვიცით და ა რ ც შ ე გ ვ ი ძ ლ ი ა ვ ი ც ო დ ე თ. არავის ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ეს იცოდეს. ამიტომაც სასაცილოა უკუგდება პროგრამა-მინიმუმისა, რომელიც ს ა ჭ ი რ ო ა, ვიდრე ჯერ კიდევ ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში ვცხოვრობთ, ვიდრე ეს ფარგლები არ დაგვიმსხვრევია, სოციალიზმზე გადასვლის ძირითადი პირობა არ გაგვიხორციელებია, მტერი (ბურჟუაზია) არ დაგვიმარცხებია და, თუ დავამარცხეთ, არ მოგვისპია. ყოველივე ეს იქნება და იქნება, შესაძლოა, გაცილებით უფრო ჩქარა, ვიდრე ბევრსა ჰგონია (პირადად მე ვფიქრობ, ეს ხვალ უნდა დ ა ი წ ყ ო ს), მ ა გ რ ა მ ე ს ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ ა რ ი ს.

აიღეთ პროგრამა-მინიმუმის პოლიტიკური სფერო. იგი, ეს პროგრამა, ითვალისწინებს ბურჟუაზიულ რესპუბლიკას. ჩვენ დავძენთ, რომ მის ფარგლებს არ ვჯერდებით და მყისვე ვიწყებთ ბრძოლას უფრო მაღალი ტიპის რესპუბლიკისათვის—

საბჭოების რესპუბლიკისათვის. ეს უნდა გავაკეთოთ. ახალი რესპუბლიკისაკენ ჩვენ უნდა გავწიოთ თავდადებული სიმამაცით და გაბედულებით და ჩვენც გავწევთ მისკენ, დარწმუნებული ვარ, სწორედ ასე. მაგრამ პროგრამა-მინიმუმის უკუგდება ყოვლად შეუძლებელია, რადგან, ჯერ-ერთი, საბჭოების რესპუბლიკა ჯერ კიდევ არა გვაქვს; მეორეც, გამორიცხული არ არის «რესტავრაციის ცდის» შესაძლებლობა; ჯერ ეს ცდა უნდა აღმოვფხვრათ და მოვსპოთ; მესამე, ძველიდან ახალზე გადასვლისას შესაძლებელია დროებითი «კომბინირებული ტიპები» (როგორც სამართლიანად აღნიშნა ამ დღეებში «რაბოჩიი პუტმა»), მაგალითად, საბჭოების რესპუბლიკაც და დამფუძნებელი კრებაც[43]. ჯერ აღმოვფხვრათ ყოველივე ეს და შემდეგაც მოვასწრებთ პროგრამა-მინიმუმის უკუგდებას.

იგივე ითქმის ეკონომიური სფეროს მიმართაც. ჩვენ ყველანი თანახმანი ვართ, რომ სოციალიზმისაკენ ლტოლვის შიში უდიდესი უხამსობა და პროლეტარიატის საქმის ღალატია. ჩვენ ყველანი თანახმანი ვართ, რომ ამ გზაზე გადადგმული პირველი ძირითადი ნაბიჯი უნდა იყოს ისეთი ზომების მიღება, როგორიცაა ბანკების და სინდიკატების ნაციონალიზაცია. ჯერ განვახორციელოთ ეს და სხვა მსგავსი ზომები, და შემდეგ ვნახოთ. შემდეგ უფრო დასანახი იქნება, რადგან ჩვენს გონების არეს უზომოდ გააფართოებს პრაქტიკული გამოცდილება, რასაც საუკეთესო პროგრამებზე მილიონჯერ მეტი ფასი აქვს. შესაძლებელია, და მოსალოდნელიცაა, უეჭველიცაა, **რომ გარდამავალი «კომბინირებული ტიპები»** აქაც ვერ ავიცილოთ თავიდან; მაგალითად, წვრილ მეურნეობებს, რომლებსაც ერთი-ორი დაქირავებული მუშა ჰყავთ, ჩვენ ერთბაშად ვერც ნაციონალიზაციას გავუკეთებთ და ვერც ნამდვილ მუშათა კონტროლს დავუმორჩილებთ. დაე მათი როლი უმნიშვნელო იყოს, დაე ისინი ხელფეხშებოჭილი იყვნენ ბანკებისა და ტრესტების ნაციონალიზაციით, ყოველივე

ეს ასეა, მაგრამ ვიდრე არსებობს ბურჟუაზიული ურთიერთობის თუნდაც მცირე კუნჭულები, რად უნდა უკუვაგდოთ პროგრამა-მინიმუმი? როგორც მარქსისტებს, რომლებიც გაბედულად ვებმებით მსოფლიოს უდიდეს რევოლუციაში და ამავე დროს ფხიზლად ვითვალისწინებთ ფაქტებს, ჩვენ უფლება არა გვაქვს უკუვაგდოთ პროგრამა-მინიმუმი.

ახლა მისი ამოგდებით იმას დავამტკიცებდით, რომ, გამარჯვება ვერც კი მოვასწარით და უკვე თავგზა დავკარგეთ. ჩვენ კი თავგზა არ უნდა დავკარგოთ არც გამარჯვებამდე, არც გამარჯვების დროს და არც გამარჯვების შემდეგ, რადგან, თუ თავგზა დავკარგეთ, ყველაფერს დავკარგავთ.

რაც შეეხება კონკრეტულ წინადადებებს, ამხ. ნ. ბუხარინს, არსებითად, არაფერი უთქვამს, რადგან მან გაიმეორა მხოლოდ ის, რაც დიდი ხანია ნათქვამია ბანკებისა და სინდიკატების ნაციონალიზაციის შესახებ. ამხ. ვ. სმირნოვმა თავის სტატიაში მოგვცა მეტისმეტად საინტერესო და ჭკუის სასწავლი იმ სანიმუშო გარდაქმნათა მაგალითები, რომლებიც ეხება პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მოწესრიგებას. ზოგადი სახით ეს უ კ ვ ე არის, მაგალითად, ჩემს პროექტში, ამის შემდეგ იქ არის «დ ა ს ხ ვ ა». ახლა ამაზე შორს წასვლა, ცალკეულ ღონისძიებათა კონკრეტიზაციის გამოკიდება, ჩემი აზრით, მიზანშეუწონელია. ახალი ტიპის ძირითად ღონისძიებათა შ ე მ დ ე გ, ბანკების ნაციონალიზაციის შ ე მ დ ე გ, მუშათა კონტროლის შემოღების შ ე მ დ ე გ ბევრი რამ უფრო დასანახი იქნება, გამოცდილებაც ბ ე ვ რ ა ხ ა ლ რ ა მ ე ს გვიკარნახებს, რადგან ეს იქნება მილიონთა გამოცდილება, მილიონთა შეგნებული მონაწილეობით ეკონომიკის ახალი წესების მშენებლობის გამოცდილება. რასაკვირველია, სტატიებში, ბროშურებში, სიტყვებში ახლის დ ა ს ა ხ ვ ა, გეგმების წამოყენება, მათი შეფასება, სხვადასხვა საბჭოს ან მომარაგების კომიტეტების და სხვათა ადგილობრივი და ნაწილობრივი გამოცდილების დამუშავება — ყოველივე ეს ფრიად სასარგებლო სამუშაოა. მაგრამ პროგრამაში მეტისმეტი დეტალიზაციის შეტანა ნაადრევია და

შეიძლება ზიანიც მოიტანოს, ხელი შეგვიბოჭოს წვრილმანებში. ხელი კი თავისუფალი უნდა გვქონდეს, რათა მეტი შემოქმედება გამოვიჩინოთ ახლის შექმნაში, როცა სავსებით დავადგებით ახალ გზას.

VIII

ამხ. ბუხარინის სტატია ეხება კიდევ ერთ საკითხს, რომელზედაც საჭიროა შევჩერდეთ.

...«ჩვენი პარტიული პროგრამის გადასინჯვის საკითხი უნდა დაუკავშირდეს პროლეტარიატის საერთაშორისო პარტიის ერთიანი პროგრამის შემუშავების საკითხს».

ეს ცოტა არ იყოს ბუნდოვანად არის ნათქვამი. ეს თუ ისე გავიგეთ, რომ ავტორი არ გვირჩევს ახალი პროგრამა მივიღოთ და ეს საქმე გადავდოთ ერთიანი საერთაშორისო პროგრამის, III ინტერნაციონალის პროგრამის შექმნამდე, ასეთი აზრის წინააღმდეგ გადაჭრით უნდა გავილაშქროთ. ვინაიდან ასეთი მიზეზით გადადება (ვფიქრობ, რომ სხვა მიზეზები გადასადებად არ არსებობს, მაგალითად, გადადება არავის მოუთხოვია იმის გამო, რომ ჩვენი პარტიული მასალები საკმაოდ მომზადებული არ იყო გადასინჯვისათვის) — იგივე იქნებოდა, რომ III ინტერნაციონალის შექმნის საქმე გაჭიანურებულიყო ჩ ვ ე ნ ი მხრივ. III ინტერნაციონალის შექმნა, რა თქმა უნდა, ფორმალურად როდი უნდა გავიგოთ. ვიდრე თუნდაც ერთ ქვეყანაში არ გაუმარჯვნია პროლეტარულ რევოლუციას ან ვიდრე ომი არ დამთავრებულა, შეუძლებელია იმის იმედი ვიქონიოთ, რომ სწრაფად და წარმატებით წავა წინ სხვადასხვა ქვეყნის რევოლუციურ-ინტერნაციონალისტური პარტიების დ ი დ ი კონფერენციის მოწვევის საქმე, მათი შეთანხმება ახალი პროგრამის ფორმალური დამტკიცების საქმეში. მანამდე კი წინ უნდა წავწიოთ საქმე იმ პარტიების თაოსნობით, რომლებიც ამჟამად სხვებზე უკეთ არიან დაყენებული, რომლებსაც შეუძლიათ გადადგან პირველი ნაბიჯი და, რა თქმა

უნდა, სრულიად არ ჩათვალონ იგი უკანასკნელ ნაბიჯად, სრულიად არ დაუპირისპირონ, რადაც უნდა დაჯდეს, თავიანთი პროგრამა სხვა «მემარცხენე» (ე. ი. რევოლუციურ-ინტერნაციონალისტურ) პროგრამებს და დ ა ა დ გ ნ ე ნ სწორედ საერთო პროგრამის შემუშავების გზას. რუსეთს გარდა ამჟამად არც ერთი ქვეყანა არ არის მსოფლიოში, სადაც შედარებითი თავისუფლება იყოს ინტერნაციონალისტთა ყრილობებისთვის და სადაც საერთაშორისო მიმდინარეობათა და პროგრამების ამდენი კარგი მცოდნე ამხანაგები იყოს, როგორც ჩვენს პარტიაშია. აი რატომ არის საჭირო უეჭველად ვიკისროთ თაოსნობა. ამას მოითხოვს ჩვენი, როგორც ინტერნაციონალისტების, პირდაპირი მოვალეობა.

როგორც ჩანს, სწორედ ასე უყურებს საქმეს ამხ. ბუხარინიც, ვინაიდან თავისი სტატიის დასაწყისში ამბობს, რომ «ახლახან დამთავრებულმა (დაწერილია აგვისტოში) პარტიულმა ყრილობამ საჭიროდ ცნო პროგრამის გადამუშავება» და რომ «ამ მიზნით მოწვეული იქნება სპეციალური ყრილობაო»; ამ სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამხ. ბუხარინს ამ ყრილობაზე ახალი პროგრამის მიღების საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

თუ ეს ასეა, აღძრულ საკითხზე სრული ერთსულოვნება მყარდება. არა მგონია მოიძებნოს ვინმე, ვინც წინააღმდეგი იქნებოდა იმისა, რომ ჩვენმა ყრილობამ, ახალი პროგრამის მიღების შემდეგ, III ინტერნაციონალის საერთო ერთიანი პროგრამის შექმნის სურვილი გამოთქვას და საამისოდ განსაზღვრული ნაბიჯი გადადგას, როგორც, მაგალითად, მემარცხენეთა კონფერენციის მოწვევის დაჩქარება, კრებულის გამოცემა რამდენიმე ენაზე, იმ მასალების შემაჯამებელი კომისიის შექმნა, თუ რა გაუკეთებია სხვა ქვეყნებს ახალი პროგრამისაკენ გზის «მოსასინჯად» (როგორც სამართლიანად ამბობს ამხანაგი ბუხარინი) (ტრიბუნისტებს ჰოლანდიაში[44], მემარცხენეებს გერმანიაში. ამერიკის «სოციალისტური პროპაგანდის ლიგა»[45] ამხ. ბუხარინმა უკვე დაასახელა, შეიძლება კიდევ აღვნიშნოთ ამერიკის «სოციალისტური მ უ შ ა თ»

პარტია»[46] და მის მიერ დაყენება საკითხისა «პოლიტიკური სახელმწიფოს ინდუსტრიული დემოკრატიით» შეცვლის შესახებ).

შემდეგ ამხ. ბუხარინის ერთი მითითება ჩემი პროექტის ნაკლზე უცილობლად სწორად უნდა ვაღიარო. ამხ. ბ. აციტირებს ამ პროექტის იმ ადგილს (ბროშურის 23-ე გვ. *), სადაც ლაპარაკია იმ მომენტზე, რომელსაც რუსეთი განიცდის, კაპიტალისტების დროებითს მთავრობაზე და სხვა. ამხ. ბუხარინი მართალია, როცა ამ ადგილს აკრიტიკებს და ამბობს, იგი უნდა გადავიტანოთ ტაქტიკურ რეზოლუციაში ან პლატფორმაშიო. ამიტომ წინადადება შემომაქვს ან სავსებით ამოვაგდოთ 23-ე გვერდის მთელი უკანასკნელი აბზაცი, ანდა გადმოვცეთ იგი შემდეგნაირად:

«ისწრაფვის რა ისეთი სახელმწიფო წყობილების შექმნისაკენ, რომელიც საუკეთესოდ უზრუნველყოფს საერთოდ როგორც ხალხის ეკონომიურ განვითარებას და უფლებებს, ისე განსაკუთრებით სოციალიზმზე რაც შეიძლება უფრო უმტკივნეულოდ გადასვლის შესაძლებლობას, პროლეტარიატის პარტიას არ შეუძლია დასჯერდეს» და სხვ.

ბოლოს, ერთი მუხლის შესახებ აქ უნდა ვუპასუხო ერთ საკითხზე, რომელიც დაებადა ზოგიერთ ამხანაგს, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, პრესაში არ აღძრულა. ეს არის პოლიტიკური პროგრამის მე-9 პარაგრაფის საკითხი — ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ. ეს მუხლი იყოფა ორ ნაწილად: პირველი იძლევა თვითგამორკვევის უფლების ახალ ფორმულირებას, მეორე შეიცავს არა მოთხოვნას, არამედ დეკლარაციას. საკითხი, რომელიც მე დამიყენეს, იმაში მდგომარეობდა, უადგილო ხომ არ არის აქ დეკლარაციაო. საერთოდ რომ ვთქვათ, დეკლარაციები პროგრამაში უადგილოა, მაგრამ აქ, ჩემი აზრით, საჭიროა გამონაკლისი საერთო წესიდან. ნაცვლად სიტყვისა — თვითგამორკვევა, რასაც ბევრჯერ გამოუწვევია მითქმა-მოთქმა, მე ვაყენებ სრულიად ზუსტ ცნებას: «თავისუფალი გამოყოფის უფლება». 1917 წლის

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 570. რ ე დ.

რევოლუციის ნახევარი წლის გამოცდილების შემდეგ არა მგონია სადავო იყოს, რომ რუსეთის რევოლუციური პროლეტარიატის პარტია, პარტია, რომელიც ველიკორუსულ ენაზე ეწევა თავის მუშაობას, ვალდებულია ცნოს გამოყოფის უფლება. ხელისუფლების მოპოვებისთანავე ჩვენ უსათუოდ ვცნობდით ამ უფლებას ფინეთის, უკრაინის, სომხეთის მიმართ, ცარიზმის (და ველიკორუსების ბურჟუაზიის) მიერ ჩაგრული ყველა ეროვნების მიმართ. მაგრამ ჩვენ, ჩვენდათავად, სრულიადაც არა გვსურს გამოყოფა. ჩვენ გვინდა რაც შეიძლება უფრო დიდი სახელმწიფო, რაც შეიძლება უფრო მჭიდრო კავშირი, ერთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა არსებობდეს ველიკორუსთა მეზობლად; ჩვენ ეს გვსურს დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესების სასარგებლოდ, პროლეტარიატის ბრძოლაში სხვადასხვა ერის მშრომელთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მისაზიდად. ჩვენ გვსურს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ-პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ერთიანობა, შ ე ე რ თ ე ბ ა და არა დაყოფა. ჩვენ გვსურს რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი შეერთება, ამიტომ არ ვაყენებთ საერთოდ ყველა და ყოველგვარი სახელმწიფოს გაერთიანების ლოზუნგს, რადგან სოციალური რევოლუცია დღის წესრიგში აყენებს მ ხ ო ლ ო დ იმ სახელმწიფოთა გაერთიანებას, რომლებიც გადავიდნენ და გადადიან სოციალიზმზე, იმ კოლონიების გაერთიანებას, რომლებიც თავისუფლდებიან და სხვ.. ჩვენ გვსურს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი შეერთება, ამიტომაც ვალდებული ვართ ვცნოთ გამოყოფის თავისუფლება (გამოყოფის თავისუფლების გარეშე შეერთებას ვერ ვუწოდებთ თავისუფალს). ჩვენ მით უფრო ვალდებული ვართ ვცნოთ გამოყოფის თავისუფლება, რომ ცარიზმმა და ველიკორუსების ბურჟუაზიამ თავიანთი ჩაგვრით მეზობელ ერებში დატოვა დიდი გაბოროტება და უნდობლობა საერთოდ ველიკორუსებისადმი, და ეს უნდობლობა უნდა გავფანტოთ ს ა ქ მ ი თ და არა სიტყვიერად.

მაგრამ ჩვენ გვსურს გაერთიანება, და ეს უნდა ითქვას, ჭრელი ნაციონალური შემადგენლობის სახელმწიფოს პარტიის

პროგრამაში ამის თქმა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამის გულისთვის საჭიროა გადავუხვიოთ ჩვეულებრივ წესს და ადგილი დავუთმოთ დეკლარაციას. ჩვენ გვსურს, რომ რუსი (იმის საწინააღმდეგოც არაფერი მაქვს, რომ ვთქვათ: ველიკორუსი, რადგან ეს უფრო სწორია) ხალხის რესპუბლიკა იზიდავდეს სხვა ერებს, მაგრამ რით? არა ძალადობით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმებით. თორემ ირღვევა ყველა ქვეყნის მუშების ერთობა და ძმური კავშირი. ბურჟუაზიული დემოკრატებისგან განსხვავებით ჩვენ ვაყენებთ არა ხალხთა ძმობის, არამედ ყველა ეროვნების მუშების ძმობის ლოზუნგს, რადგან ჩვენ არ ვენდობით ყველა ქვეყნის ბურჟუაზიას, მტრად მიგვაჩნია იგი.

აი რატომ უნდა დავუშვათ აქ გამონაკლისი წესიდან და მე-9 პარაგრაფში ჩავურთოთ პრინციპების დეკლარაცია.

IX

წინა სტრიქონები უკვე დაწერილი იყო, როცა გამოვიდა «რაბოჩიი პუტის» 31-ე ნომერი, რომლის ფურცლებზე მოთავსებულია ამხ. ი. ლარინის სტატია «ჩვენი პროგრამის მუშათა მოთხოვნები». არ შეიძლება არ მივესალმოთ ამ სტატიას, როგორც ჩვენი ცენტრალური ორგანოს მიერ პროგრამის პროექტთა განხილვის დასაწყისს. ამხ. ლარინი სპეციალურად ჩერდება პროგრამის იმ განყოფილებაზე, რომელზედაც მე არ მიხდებოდა მუშაობა და რომლის პროექტი არის მხოლოდ «შრომის დაცვის ქვესექციის» რედაქციაში, იმ ქვესექციისა, რომელიც შეიქმნა 1917 წლის 24 — 29 აპრილის კონფერენციაზე. ამხ. ლარინი აყენებს მთელ რიგ დამატებებს, რომლებიც ჩემი შეხედულებით სავსებით მისაღებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ზუსტად ვერ არის რედაქტირებული მის მიერ.

ამხ. ლარინის სტატიაში უხერხულად მიმაჩნია ერთი მუხლის ფორმულირება: «მუშახელის სწორად (?) განაწილება

მუშების დემოკრატიული (?) თვითმმართველობის საფუძველზე (?) პიროვნებათა (?) მიერ მათი გამგებლობის (?) საქმეში». ჩემი აზრით, ეს უარესია, ვიდრე ქვესექციის ფორმულირება: «შრომის ბირჟები კლასობრივი პროლეტარული ორგანიზაციები უნდა იყვნენ» და სხვ. (იხ. «მასალების» მე-15 გვ.). შემდეგ ხელფასის მინიმუმის საკითხზე ამხ. ლარინს მართებდა უფრო საფუძვლიანად დაემუშავებინა და ზუსტად ჩამოეყალიბებინა თავისი წინადადება, დ ა ე კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ნ ა იგი ამ მუხლზე მარქსისა და მარქსიზმის შეხედულებათა ი ს ტ ო რ ი ა ს თ ა ნ.

შემდეგ, პროგრამის პოლიტიკური და აგრარული ნაწილის საკითხზე ამხ. ლარინს საჭიროდ მიაჩნია «უფრო საგულდაგულო რედაქცია». სასურველია, რომ ჩვენი პარტიული პრესა მყისვე იწყებდეს ამა თუ იმ მოთხოვნის რ ე დ ა ქ ტ ი რ ე ბ ი ს საკითხების განხილვასაც, არამც და არამც არ უნდა გადაიდოს ეს ყრილობამდე, რადგან, ჯერ-ერთი, სხვა მხრივ ვერ მივიღებთ კარგად მომზადებულ ყრილობას, მეორე, ყველას, ვისაც უხდებოდა პროგრამებსა და რეზოლუციებზე მუშაობა, მოეხსენება, რა ხშირად ხდება ხოლმე, რომ განსაზღვრული მუხლის შემუშავების გულმოდგინე რ ე დ ა ქ ც ი ა ა ა შ კ ა რ ა ვ ე ბ ს დ ა ს პ ო ბ ს პრინციპულ გაურკვევლობას თუ უთანხმოებას.

ბოლოს, პროგრამის ფინანსურ-ეკონომიური ნაწილის საკითხზე ამხ. ლარინი წერს, რომ «მისი ადგილი თითქმის ცარიელია, მოხსენებული არ არის ;ცარიზმის» (მხოლოდ ცარიზმის?) «სამხედრო სესხთა და სახელმწიფო ვალის გაუქმება, ბრძოლა სახელმწიფო მონოპოლიების ფისკალური გამოყენების წინააღმდეგ და სხვ.». მეტად სასურველია, რომ ამხ. ლარინი არ გადადებდეს ყრილობამდე თავის კონკრეტულ წინადადებებს და ახლავე წამოაყენებდეს მათ, თორემ სერიოზული მომზადება არ გამოვა. სახელმწიფო ვალის გაუქმების (რა თქმა უნდა, არა მარტო ცარიზმის, არამედ ბურჟუაზიისაც) საკითხზე საჭიროა გულმოდგინედ მოფიქრება წვრილ ხელისმომწერთა საკითხისა, ხოლო «სახელმწიფო მონო-

პოლიების ფისკალური გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის» საკითხზე საჭიროა მოფიქრება, თუ რა მდგომარეობაშია ფუფუნების საგნების წარმოების მონოპოლიის საქმე და რა კავშირი აქვს პროექტირებულ მუხლს პროგრამის მოთხოვნასთან ყველა არაპირდაპირი გადასახადის გაუქმების შესახებ.

ვიმეორებ: პროგრამის სერიოზულად მომზადებისათვის, იმისათვის, რომ მასზე მართლაც მთელმა პარტიამ იმუშაოს, საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმეს ყველა დაინტერესებულნი და დაბეჭდონ როგორც თავიანთი მოსაზრებანი, ისე უკვე რედაქტირებული მუხლების ზუსტი პროექტები დამატებებითა და ცვლილებებით.

გარეშეს რჩევანი

ამ სტრიქონებს ვწერ 8 ოქტომბერს და ვეჭვობ, რომ ისინი უკვე 9-ს ხელთ ექნეთ პიტერელ ამხანაგებს. შესაძლებელია, მათ დააგვიანდეთ, რადგან ჩრდილოეთის საბჭოების ყრილობა 10 ოქტომბრისთვისაა დანიშნული. მაგრამ მე მაინც შევეცდები ჩემი «გარეშეს რჩევებით» გამოვიდე იმ შემთხვევისათვის, რომ პიტერისა და მთელი მისი მიდამოების მუშათა და ჯარისკაცთა მოსალოდნელი გამოსვლა მოხდება მალე, მაგრამ ჯერ კიდევ არ მომხდარა.

მთელი ძალაუფლება რომ საბჭოების ხელში უნდა გადავიდეს, ეს ცხადია. ასევე უდავო უნდა იყოს ყოველი ბოლშევიკისათვის, რომ რევოლუციურ-პროლეტარული (ანუ ბოლშევიკური — ეს ახლა ერთი და იგივეა) ხელისუფლებისათვის უზრუნველყოფილია უდიდესი თანაგრძნობა და თავდადებული მხარისდაჭერა საერთოდ ყველა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მხრივ მთელ მსოფლიოში, კერძოდ მეომარ ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთის გლეხობის მხრივ. ამ, მეტისმეტად საყოველთაოდ ცნობილ და დიდი ხანია დამტკიცებულ, ჭეშმარიტებაზე შეჩერება არა ღირს.

შეჩერება საჭიროა იმაზე, რაც არა მგონია ყველა ამხანაგისთვის საკმაოდ ნათელი იყოს, სახელდობრ: რომ ძალაუფლების

გადასვლა საბჭოების ხელში ახლა პრაქტიკულად შეიარაღებულ აჯანყებას ნიშნავს. თითქოს, ეს ცხადია, მაგრამ ყველა როდი ჩაფიქრებია და უფიქრდება ამას. ახლა შეიარაღებულ აჯანყებაზე უარისთქმა — ეს იქნებოდა ბოლშევიზმის მთავარ ლოზუნგზე (მთელი ძალაუფლება საბჭოებს) და საერთოდ მთელ რევოლუციურ-პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე უარისთქმა.

მაგრამ შეიარაღებული აჯანყება პოლიტიკური ბრძოლის განსაკუთრებული სახეა, დაქვემდებარებული განსაკუთრებული კანონებისადმი, რომელთაც ყურადღებით უნდა ჩავუფიქრდეთ. ეს ჭეშმარიტება შესანიშნავი სიცხადით გამოხატა კარლ მარქსმა, როცა დასწერა, რომ შეიარაღებული «აჯანყება, ისევე როგორც ომი, ხელოვნებაა».

ამ ხელოვნების მთავარი წესებიდან მარქსმა წამოაყენა:

1) არასოდეს არ ეთამაშოთ აჯანყებას, ხოლო, თუ დაიწყებთ, მტკიცედ იცოდეთ, რომ ბოლომდე უნდა მიხვიდეთ.

2) აუცილებელია დააგროვოთ ძალთა დიდი უპირატესობა გადამწყვეტ ადგილას, გადამწყვეტ მომენტში, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მტერი, რომელსაც უკეთესი მომზადება და ორგანიზაცია აქვს, გაანადგურებს აჯანყებულთ.

3) რაკი აჯანყება დაწყებულია, უნდა იმოქმედოთ უდიდესი გაბედულებით და უეჭველად, უსათუოდ გადახვიდეთ შეტევაზე. «თავდაცვა სიკვდილია შეიარაღებული აჯანყებისა».

4) უნდა ეცადოთ მოულოდნელად დაესხათ თავს მტერს, შეურჩიოთ მომენტი, სანამ მისი ჯარები დაქსაქსულია.

5) უნდა ცდილობდეთ ყოველ დღე მიაღწიოთ თუნდაც მცირე წარმატებებს (შეიძლება ითქვას: ყოველ საათს, თუ საქმე ერთ ქალაქს ეხება) და შეინარჩუნოთ, რადაც უნდა დაჯდეს, «მორალური უპირატესობა».

მარქსმა შეაჯამა ყველა რევოლუციის გაკვეთილები შეიარაღებული აჯანყების შესახებ «ისტორიაში რევოლუციური ტაქტიკის უდიდესი ოსტატის — დანტონის სიტყვებით: გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა»[47].

რუსეთისა და 1917 წლის ოქტომბრისადმი შეფარდებით ეს ნიშნავს: ერთდროისი, რაც შეიძლება უფრო უეცარი და სწრაფი შეტევა პიტერზე, უსათუოდ გარედანაც და შიგნიდანაც, მუშათა უბნებიდანაც, ფინეთიდანაც, რეველიდანაც და კრონშტადტიდანაც, მ თ ე ლ ი ფლოტის შეტევა, დაგროვება ძალთა გ ი გ ა ნ ტ უ რ ი სიჭარბისა ჩვენი «ბურჟუაზიული გვარდიის» (იუნკრებისა), ჩვენი «ვანდეის ჯარების» (კაზაკების ნაწილი) და სხვათა 15 — 20 ათასი კაცის (და შეიძლება მეტის) მიმართ.

გაწესრიგდეს ჩვენი ს ა მ ი მთავარი ძალა: ფლოტი, მუშები და ჯარის ნაწილები ისე, რომ აუცილებლად დაიკავონ და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი ს გაღებით შეინარჩუნონ: ა) ტელეფონი, ბ) ტელეგრაფი, გ) რკინიგზის სადგურები, დ) ხიდები პირველ რიგში.

გამოიყოს ყ ვ ე ლ ა ზ ე გ ა ბ ე დ უ ლ ი ელემენტები (ჩვენი «დამკვრელები» და მ უ შ ა თ ა ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა, აგრეთვე საუკეთესო მატროსები) პატარ-პატარა რაზმებად მათ მიერ ყველა უმნიშვნელოვანესი პუნქტის დასაკავებლად და მათი ყველგან, ყველა მნიშვნელოვან ოპერაციაში მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს მ ი ს ა ღ ე ბ ა დ, მაგალითად:

პიტერის გარემოცვა და მოწყვეტა, ფლოტის, მუშებისა და ჯარის კომბინირებული იერიშით მისი აღება, — ასეთია ამოცანა, რომელიც ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ს ა დ ა ს ა მ მ ა გ გ ა ბ ე დ უ ლ ე ბ ა ს მოითხოვს.

შედგეს თოფებითა და ყუმბარებით შეიარაღებული საუკეთესო მუშების რაზმები მტრის «ცენტრების» (იუნკერთა სკოლის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და სხვათა) საიერიშოდ და გარემოსაცავად ლოზუნგით: გ ა ვ წ ყ დ ე თ ყ ვ ე ლ ა ნ ი, მ ტ ე რ ი კ ი ა რ გ ა ვ უ შ ვ ა თ.

იმედი ვიქონიოთ, რომ თუ ვინიცობაა გამოსვლა გადაწყვეტება, ხელმძღვანელები წარმატებით გამოიყენებენ დანტონისა და მარქსის დიად ანდერძებს.

როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო რევოლუციის წარმატება ორი-სამი დღის ბრძოლაზეა დამოკიდებული.

დაწერილია 1917 წ. 8 (21) ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1920 წ. 7 ნოემბერს გაზეთში «პრავდა» № 250

ხელმოწერა: გ ა რ ე შ ე

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

წერილი ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების საოლქო ყრილობის მონაწილე ამხანაგ ბოლშევიკებისადმი

ამხანაგებო! ჩვენი რევოლუცია უაღრესად კრიზისულ ხანას განიცდის. ეს კრიზისი დაემთხვა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ზრდის და მის წინააღმდეგ მსოფლიო იმპერიალიზმის ბრძოლის დიდ კრიზისს. ჩვენი პარტიის პასუხისმგებელ ამხანაგებს ეკისრებათ უზარმაზარი ამოცანა, რომლის შეუსრულებლობა ინტერნაციონალისტურ პროლეტარულ მოძრაობას სრული კრახით ემუქრება. მომენტი ისეთია, რომ დაყოვნება, ჭეშმარიტად, სიკვდილს უდრის.

გადახედეთ საერთაშორისო მდგომარეობას. მსოფლიო რევოლუციის გაძლიერება უდავოა. ჩეხელი მუშების აღშფოთება გაუგონარი სიმხეცით ჩაახშეს, რაც მთავრობის უკიდურეს დაშინებულობას მოასწავებს. იტალიაშიც საქმე მასობრივ მღელვარებამდე მივიდა ტურინში. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია აჯანყება გერმანიის ფლოტში. უნდა წარმოიდგინო რევოლუციის გაუგონარი სიძნელენი ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა გერმანია, და ისიც დღევანდელ პირობებში. შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ აჯანყება გერმანიის ფლოტში მსოფლიო რევოლუციის ზრდის უდიდესი კრიზისის მომასწავებელია. თუ ჩვენებური შოვინისტები, რომლებიც გერმანიის დამარცხებას ქადაგებენ, გერმანიის მუშებისაგან ერთბაშად აჯანყებას მოითხოვენ, ჩვენ, რუსეთის რევოლუციონერ-ინტერნაციონალისტებმა, 1905 — 1917 წლების გამოცდილებით ვიცით, რომ რევოლუციის ზრდის იმაზე უფრო

დიდმნიშვნელოვანი ნიშნის წარმოდგენა, ვიდრე არის აჯანყება ჯარში, არც კი შეიძლება.

ჩაუფიქრდით, რა მდგომარეობაში ვვარდებით ჩვენ ახლა გერმანელი რევოლუციონერების წინაშე. მათ შეუძლიათ გვითხრან: ჩვენ მხოლოდ ერთი ლიბკნეხტი გვყავს, რომელმაც აშკარად მოგვიწოდა რევოლუციისაკენ. მისი ხმა საკატორღო ციხემ ჩაახშო. ჩვენ არც ერთი ისეთი გაზეთი არა გვაქვს, რომ აშკარად გაგვიმარტოს რევოლუციის აუცილებლობა, ჩვენში არ არის კრებების თავისუფლება. ჩვენში არ არის მუშათა ან ჯარისკაცთა დეპუტატების არც ერთი საბჭო. ჩვენი ხმა ძლივძლივობით აღწევს ნამდვილ ფართო მასებამდე. და ჩვენ ვცადეთ აჯანყება, თუმცა ასიდან რაღაც ერთი შანსი გვქონდა. თქვენ კი, რუსეთის რევოლუციური ინტერნაციონალისტები, უკვე ნახევარი წელია თავისუფლად ეწევით აგიტაციას, თქვენ გაქვთ ოციოდე გაზეთი, გაქვთ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მთელი რიგი საბჭოები, თქვენ გაიმარჯვეთ ორივე დედაქალაქის საბჭოში, თქვენს მხარეზეა მთელი ბალტიის ფლოტი და რუსეთის მთელი ჯარები ფინეთში, და თქვენ არ გვეხმაურებით ჩვენს მოწოდებაზე აჯანყებისადმი, არ ამხობთ თქვენს იმპერიალისტ კერენსკის, როდესაც აჯანყების გამარჯვების ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი შანსი გაქვთო.

დიახ, ჩვენ ინტერნაციონალის ნამდვილი მოღალატენი ვიქნებით, თუ ასეთ მომენტში, ასეთ ხელსაყრელ პირობებში გერმანელ რევოლუციონერთა ასეთს მოწოდებაზე მ ხ ო ლ ო დ... რეზოლუციებით გამოვეხმაურებით.

დაუმატეთ ამას ისიც, რომ ჩვენ ყველამ მშვენივრად ვიცით რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ საერთაშორისო იმპერიალისტების შეთანხმებისა და შეთქმულების სწრაფი ზრდის ამბავი. მისი ჩახრჩობა რადაც უნდა დაჯდეს, ჩახრჩობა სამხედრო ღონისძიებებითაც და რუსეთის ხარჯზე დადებული ზავითაც — აი რას უახლოვდება საერთაშორისო იმპერიალიზმი. აი განსაკუთრებით რა ამწვავებს მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის კრიზისს, აი რა ხდის განსა-

კუთრებით საშიშს — თითქმის მზადა ვარ ვთქვა: დანაშაულს ჩვენი მხრივ — აჯანყების დაყოვნებას.

აიღეთ ახლა რუსეთის შინაური მდგომარეობა. კრახი წვრილბურჟუაზიულ-შემთანხმებლური პარტიებისა, რომლებმაც კერენსკისა და საერთოდ იმპერიალისტებისადმი მასების შეუგნებელი ნდობა გამოხატეს, საესებით მომწიფებულია. კრახი სრულია. დემოკრატიულ თათბირზე საბჭოთა კურიის მიერ კოალიციის წინააღმდეგ ხმისმიცემა, გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების უ მ ე ტ ე ს ო ბ ი ს მიერ კოალიციის წინააღმდეგ ხმისმიცემა (მათი ცენტრალური საბჭოს მიუხედავად, სადაც ავქსენტიევები და კერენსკის სხვა მეგობრები სხედან); არჩევნები მოსკოვში, სადაც მუშათა მოსახლეობა ყველაზე ახლოს დგას გლეხობასთან და სადაც ხმების 4 9 პ რ ო ც ე ნ ტ ზ ე მ ე ტ ი ბოლშევიკებმა მიიღეს (ჯარისკაცთა შორის კი 14 ათასი 17 ათასიდან), — განა ეს კერენსკისადმი და კერენსკისთან და კომპანიასთან შემთანხმებლებისადმი ხალხის ნდობის სრული კრახი არ არის? განა შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, რომ ხალხის მასები როგორმე უფრო ნათლად, ვიდრე ამ ხმისმიცემით, შესძლებდნენ ეთქვათ ბოლშევიკებისთვის: გაგვიძეხით, ჩვენ გამოგყვებითო.

ჩვენ კი, როცა ამრიგად ხალხის მასების უმრავლესობა ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანეთ, ორივე დედაქალაქის საბჭო დავიპყარით, უნდა ველოდოთ. ველოდოთ რას? იმას, რომ კერენსკიმ და მისმა კორნილოველმა გენერლებმა პიტერი გერმანელებს დაანებონ და ამრიგად პირდაპირ თუ არაპირდაპირ, აშკარად თუ ფარულად, შეთქმულება მოაწყონ ბიუკენენსა და ვილჰელმთან ერთად რუსეთის რევოლუციის საესებით ჩასახრჩობად.

ეგ კიდევ არაფერი, რომ ხალხმა მოსკოვის კენჭისყრით და საბჭოების გადარჩევით ნდობა გამოგვიცხადა. არის აპათიისა და გულგრილობის ზრდის ნიშნები. ეს გასაგებია. ეს რევოლუციის დაცემას კი არ ნიშნავს, როგორც კადეტები და მათი დამქაშები გაჰკივიან, არამედ რეზოლუციებისა და

არჩევნებისადმი რწმენის დაცემას. მასები რევოლუციაში ხელმძღვანელი პარტიებისაგან მოითხოვენ საქმეს და არა სიტყვებს, ბრძოლაში გამარჯვებას და არა ლაყბობას. ახლოვდება ის დრო, როდესაც ხალხში შეიძლება დაიბადოს აზრი, რომ ბოლშევიკებიც ვერ არიან სხვებზე უკეთესი, რადგან მათაც ვერ შესძლეს ე მ ო ქ მ ე დ ნ ა თ ჩვენი მხრივ მათდამი ნდობის გამოცხადების შემდეგო...

მთელ ჩვენს ქვეყანას გლეხთა აჯანყების ალი ედება. ცხადზე უცხადესია, რომ კადეტები და კადეტების მაჩანჩალები ყოველგვარად შეეცდებიან დაამცირონ იგი, «რბევად» და «ანარქიად» დაგვისახონ. ამ სიცრუეს აბათილებს ის გარემოება, რომ აჯანყების ცენტრებში იწყეს გლეხებისთვის მიწის გადაცემა: «რბევასა» და «ანარქიას» ჯერ არასოდეს არ მოყოლია ასეთი საუცხოო პოლიტიკური შედეგები! გლეხთა აჯანყების უდიდეს ძალას ამტკიცებს ისიც, რომ შემთანხმებლებიც, ესერებიც «დელო ნაროდაში», და ბრეშკო-ბრეშკოვსკაიაც კ ი ალაპარაკდნენ გლეხებისთვის მიწის გადაცემაზე, რათა შეანელონ მოძრაობა, ვიდრე ის საბოლოოდ არ გადაახტა მათ თავზე.

ჩვენ კი უნდა ველოდოთ, მოახერხებენ თუ არა კორნილოველი კერენსკის (რომლის კორნილოველობაც უკანასკნელ ხანებში თვით ესერებმა გამოამჟღავნეს) კაზაკთა ნაწილები ნ ა წ ი ლ-ნ ა წ ი ლ ა დ ჩააქრონ გლეხთა ეს აჯანყება?

როგორც ჩანს, ჩვენი პარტიის მრავალ ხელმძღვანელს ვერ შეუმჩნევია იმ ლოზუნგის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი მნიშვნელობა, რომელიც ჩვენ ყველამ ვაღიარეთ და დაუსრულებლივ ვიმეორებდით. ეს ლოზუნგია: მთელი ძალაუფლება საბჭოებს. ყოფილა პერიოდები, ყოფილა მომენტები რევოლუციის ნახევარი წლის მანძილზე, როდესაც ეს ლოზუნგი აჯანყებას ა რ ნიშნავდა. შესაძლოა, ამ პერიოდებმა და ამ მომენტებმა ჩვენი ამხანაგების ერთი ნაწილი დააბრმავა და აიძულა დაევიწყნათ, რომ ახლა ჩვენთვისაც, ყოველ შემთხვევაში სექტემბრის მეორე ნახევრიდან, ეს ლოზუნგი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს ა კ ე ნ მ ო წ ო დ ე ბ ა ს უ დ რ ი ს.

ამის შესახებ ოდნავი ეჭვიც შეუძლებელია არსებობდეს. «დელო ნაროდამ» ამას წინათ «პოპულარულად» განმარტა ეს, როდესაც თქვა: «კერენსკი არავითარ შემთხვევაში არ დაგვეშორჩილებაო!». ოღონდაც!

ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» აჯანყებისაკენ მოწოდებაა და სხვა არაფერი. და ბრალი მთლიანად და უეჭველად ჩვენ დაგვედება, თუ ჩვენ, რომლებიც თვეობით მოვუწოდებდით მასებს აჯანყებისაკენ, შემთანხმებლობაზე ხელის აღებისაკენ, ამ მასებს რევოლუციის კრახის წინ არ გავუძეხით აჯანყებისაკენ მას შემდეგ, რაც მასებმა ნდობა გამოგვიცხადეს.

კადეტები და შემთანხმებლები 3 — 5 ივლისის მაგალითით, შავრაზმელთა აგიტაციის ზრდით და სხვა ამისთანებით გვაშინებენ. მაგრამ 3 — 5 ივლისი თუ შეცდომა იყო, ეს მხოლოდ იმ მხრივ, რომ ძალაუფლება არ ავიღეთ ხელში. მე ვფიქრობ, მაშინ ეს არ იყო შეცდომა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ უმრავლესობას არ წარმოვადგენდით, ახლა კი ეს საბედისწერო შეცდომა და შეცდომაზე უარესიც იქნებოდა. შავრაზმელთა აგიტაციის ზრდა გასაგებია, როგორც მზრდადი პროლეტარულ-გლეხური რევოლუციის ატმოსფეროში უკიდურესობათა გამწვავება. მაგრამ აჯანყების საწინააღმდეგოდ ამის გამოტანა საბუთად სასაცილოა, რადგან კაპიტალისტების მიერ მოსყიდულ შავრაზმელთა უძლურებას, ბრძოლაში შავრაზმელთა უძლურებას მტკიცებაც კი არ სჭირდება. ბრძოლაში ეს პირდაპირ ნულს უდრის. ბრძოლაში კორნილოვსა და კერენსკის შეუძლიათ მხოლოდ ველურ დივიზიასა და კაზაკებს დაეყრდნონ. ახლა კი დაშლა კაზაკებშიც დაიწყო; გარდა ამისა მათ კაზაკთა ოლქების შიგნიდანაც სამოქალაქო ომით ემუქრებიან გლეხები.

მე ამ სტრიქონებს ვწერ კვირას, 8 ოქტომბერს, თქვენ მახ წაიკითხავთ არა უადრეს 10 ოქტომბრისა. ერთმა გამვლელმა ამხანაგმა მიამბო, რომ ვარშავის გზაზე გამვლელნი ამბობენ: კერენსკის კაზაკები მიჰყავს პიტერშიო! სავსებით შესაძლებელია, და პირდაპირ ჩვენი ბრალი იქნება, თუ ეს

ყოველმხრივ არ შევამოწმეთ და არ შევისწავლეთ კორნილოვის მეორე გაწვევის ჯართა ძალები და მათი განაწილება.

კერენსკიმ კვლავ გადმოიყვანა პიტერთან კორნილოვის ჯარები, რათა ხელი შეუშალოს საბჭოებისთვის ხელისუფლების გადაცემას, ხელი შეუშალოს ამ ხელისუფლების მიერ ზავის წინადადების დაუყოვნებლივ წამოყენებას, ხელი შეუშალოს მთელი მიწის გლეხობისთვის მყისვე გადაცემას, რათა პიტერი გერმანელებს გადასცეს, თვითონ კი მოსკოვს გაიქცეს! აი აჯანყების ლოზუნგი, რომელიც დაუყოვნებლივ რაც შეიძლება ფართოდ უნდა გავავრცელოთ და რომელსაც უდიდესი წარმატება ექნება.

შეუძლებელია ველოდოთ საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობას, რომლის მოწვევა შეიძლება ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ნოემბრამდეც კი გადასდოს, შეუძლებელია დაყოვნება, რაც კერენსკის საშუალებას აძლევს კვლავ გადმოიყვანოს კორნილოვის ჯარები. საბჭოების ყრილობაზე წარმოდგენილია ფინეთი, ფლოტი და რეველი, რომელთაც, ერთად აღებულთ, შეუძლიათ დაუყოვნებლივ დაძრან ძალები პიტერისაკენ კორნილოველთა პოლკების წინააღმდეგ, შეუძლიათ დაძრან ფლოტი და არტილერია, ტყვიამფრქვევები და ჯარისკაცთა ორი-სამი კორპუსი, რომლებმაც, მაგალითად, ვიბორგში დაამტკიცეს, რა საშინლად სძულთ მათ ის კორნილოველი გენერლები, რომლებსაც კვლავ შეუთანხმდა კერენსკი.

უდიდესი შეცდომა იქნებოდა უარი გვეთქვა კორნილოვის მეორე გაწვევის პოლკების დაუყოვნებლივ დამარცხების შესაძლებლობაზე იმ მოსაზრებით, რომ ბალტიის ფლოტი, პიტერისაკენ წასვლით, გერმანელებს ამით ვითომ ფრონტს გაუხსნისო. ცილისმწამებელი კორნილოველები თუ იტყვიან ამას, როგორც იტყვიან საერთოდ ყოველგვარ სიცრუეს, მაგრამ რევოლუციონერებს არ შეჰფერით სიცრუესა და ცილისწამებას შეუშინდნენ. კერენსკი პიტერს გერმანელებს გადასცემს, აი რა არის ახლა ცხადზე უცხადესი; ვერავითარი დარწმუნება

წინააღმდეგში ვერ გააქარწყლებს ჩვენს სრულ რწმენას, რომელიც მოვლენათა მთელი მსვლელობიდან და კერენსკის მთელი პოლიტიკიდან გამომდინარეობს.

კერენსკი და კორნილოველები პიტერს გერმანელებს გადასცემენ. სწორედ პიტერის დასახსნელად არის საჭირო კერენსკის დამხობა და ორივე დედაქალაქის საბჭოების მიერ ხელისუფლების აღება; ეს საბჭოები მაშინვე ზავს შესთავაზებენ ყველა ხალხს და ამით აღასრულებენ თავიანთ მოვალეობას გერმანელი რევოლუციონერების წინაშე, გადამწყვეტ ნაბიჯს გადადგამენ ამით რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ დანაშაულებრივ შეთქმულებათა, საერთაშორისო იმპერიალიზმის შეთქმულებათა ჩასაშლელად.

რუსეთის და მსოფლიო რევოლუციის ხსნა შეუძლია მხოლოდ ბალტიის ფლოტის, ფინეთის, რეველისა და კრონშტადტის ჯარების დაუყოვნებლივ დაძვრას პიტერთან მდგომი კორნილოველი ჯარების წინააღმდეგ. და ასეთ მოძრაობას ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი შანსი აქვს იმისა, რომ რამდენიმე დღეში ამას მოჰყვება კაზაკთა ჯარების ერთი ნაწილის დანებება, მეორე ნაწილის სრული განადგურება და კერენსკის დამხობა, რადგან ორივე დედაქალაქის მუშები და ჯარისკაცები მხარს დაუჭერენ ასეთ მოძრაობას.

დაყოვნება სიკვდილს უდრის.

ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» — აჯანყების ლოზუნგია. ვინც ასეთ ლოზუნგს შეუგნებლად, მოუფიქრებლად ხმარობს, დაე თავისთავს დააყვედროს. აჯანყებას კი ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც ხელოვნებას; მე ამას დაჟინებით მოვითხოვდი დემოკრატიული თათბირის დროს და დაჟინებით მოვითხოვ ახლაც, ვინაიდან ამას გვასწავლის მარქსიზმი, ამას გვასწავლის რუსეთის და მთელი მსოფლიოს მთელი დღევანდელი მდგომარეობა.

საქმე კენჭისყრა, «მემარცხენე ესერების» მომხრობა, პროვინციული საბჭოების დამატება, მათი ყრილობა კი არ არის. საქმე აჯანყებაა, რომელიც შეუძლია და კიდევაც უნდა გადაწყვიტოს პიტერმა, მოსკოვმა, ჰელსინგფორსმა,

კრონშტადტმა, ვიბორგმა და რეველმა. პიტერთან და პიტერში — აი სად შეიძლება და სად უნდა გადაწყდეს და განხორციელდეს ეს აჯანყება, რაც შეიძლება უფრო სერიოზულად, რაც შეიძლება უფრო მომზადებულად, რაც შეიძლება უფრო სწრაფად, რაც შეიძლება უფრო ენერგიულად.

ფლოტს, კრონშტადტს, ვიბორგს, რეველს შეუძლიათ და უნდა გაილაშქრონ კიდევაც პიტერზე, გაანადგურონ კორნილოვის პოლკები, ფეხზე დააყენონ ორივე დედაქალაქი, გააჩაღონ მასობრივი აგიტაცია ისეთი ხელისუფლებისათვის, რომელიც დაუყოვნებლივ გადასცემს გლეხებს მიწას და დაუყოვნებლივ წამოაყენებს ზავის წინადადებას, დაამხობს კერენსკის მთავრობას და შექმნის ამ ხელისუფლებას.

დაყოვნება სიკვდილს უდრის.

ნ. ლენინი

1917 წ. 8 ოქტომბერი

პირველად დაიბეჭდა 1925 წ. 7 ნოემბერს გაზეთში «პრავდა» № 255

იბეჭდება საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

რსდმპ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1917 წ. 10 (23) ოქტომბრის სხდომა[48]

საოქმო ჩანაწერი

1

მოხსენება

ლენინი აღნიშნავს, რომ სექტემბრიდან დაწყებული შემჩნეულია რაღაც გულგრილობა აჯანყების საკითხისადმი. ეს კი შეუწყნარებელია, თუ სერიოზულად ვაყენებთ საბჭოების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების ლოზუნგს. ამიტომ უკვე დიდი ხანია საჭიროა ყურადღება მივაქციოთ საკითხის ტექნიკურ მხარეს. ახლა კი, როგორც ჩანს, დრო მნიშვნელოვნად გაშვებულია ხელიდან.

მიუხედავად ამისა, საკითხი მეტად მწვავედ დგას, და გადამწყვეტი მომენტი მოახლოებულია.

საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ ინიციატივა ჩვენს ხელში უნდა იყოს.

ის, რაც განზრახულია ნარვამდე უკან დახევით და პიტერის დანებებით, კიდევ უფრო მეტად გვაიძულებს გადაჭრით ვიმოქმედოთ.

პოლიტიკური მდგომარეობაც დიდად მოქმედებს ამ მხრივ. 3 — 5 ივლისს გადამწყვეტი მოქმედება ჩვენი მხრივ დაიმსხვრეოდა იმაზე, რომ უმრავლესობა ჩვენს მხარეზე არ იყო. მას შემდეგ ჩვენი აღმავლობა უზარმაზარ ნაბიჯებს დგამს.

მასების აბსენტეიზმი და გულგრილობა იმით შეიძლება აიხსნას, რომ მასები დაღალა სიტყვებმა და რეზოლუციებმა.

ახლა უმრავლესობა ჩვენს მხარეზეა. პოლიტიკურად საქმე სავსებით მომწიფდა ძალაუფლების გადასასვლელად.

აგრარული მოძრაობაც აქეთკენ მიდის, რადგან ცხადია, რომ საჭიროა გმირული ძალა ამ მოძრაობის ჩასაქრობად. მთელი მიწის გადასვლის ლოზუნგი გლეხთა საერთო ლოზუნგი გახდა. ამრიგად პოლიტიკური ვითარება მზად არის. ლაპარაკი საჭიროა ტექნიკურ მხარეზე. ეს არის თავიდათავი. ამავე დროს ჩვენ, ობორონცების არ იყოს, გვჩვევია აჯანყების სისტემატური მომზადების რაღაც პოლიტიკურ ცოდვად მიჩნევა.

დამფუძნებელი კრების ლოდინი, რომელიც, აშკარაა, ჩვენს მხარეზე არ იქნება, უაზრობაა, რადგან ეს ჩვენი ამოცანის გართულებას ნიშნავს.

უნდა ვისარგებლოთ საოლქო ყრილობით და მინსკიდან მილებული წინადადებით[49] გადამწყვეტი მოქმედების დასაწყებად.

პირველად დაიბეჭდა
1922 წელს ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია»
№ 10

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
ხელნაწერი ეგზემპლარის მიხედვით

2

რეზოლუცია

ცენტრალური კომიტეტი აღიარებს, რომ როგორც რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო მდგომარეობა (აჯანყება გერმანიის ფლოტში, როგორც მთელ ევროპაში მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ზრდის უკიდურესი გამოხატულება, შემდეგ იმპერიალისტთა სამყაროს მუქარა რუსეთის რევოლუციის ჩახრჩობის მიზნით), — ისე სამხედრო მდგომარეობა (რუსეთის ბურჟუაზიის და კერენსკისა და კომპანიის უეჭველი გადაწყვეტილება — გადასცენ პიტერი გერმანელებს), — ისე საბჭოებში უმრავლესობის მოპოვება პროლეტარული პარტიის მიერ, — ყოველივე ეს გლეხთა აჯანყებასთან და ხალხის ნდობის ჩვენი პარტიისადმი შემობრუნებასთან (მოსკოვის არჩევნები) დაკავშირებით, ბოლოს, მეორე კორნილოველობის აშკარა მომზადება (პიტერიდან ჯარების გაყვანა, პიტერთან კაზაკების მოგროვება, კაზაკების მიერ მინსკის გარემოცვა და სხვ.), — ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს შეიარაღებულ აჯანყებას.

ამრიგად ცენტრალური კომიტეტი აღიარებს, რომ შეიარაღებული აჯანყება გარდუვალია და სავსებით მომწიფებულია, და წინადადებას აძლევს პარტიის ყველა ორგანიზაციას იხელმძღვანელონ ამით და ამ თვალსაზრისით განიხილონ და გადაწყვიტონ ყველა პრაქტიკული საკითხი (ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების ყრილობისა, პიტერიდან ჯარების გაყვანისა, მოსკოველთა და მინსკელთა გამოსვლისა და სხვ.).

პირველად დაიბეჭდა 1922 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 10

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1917 წ. 16 (29) ოქტომბრის სხდომა[59]

საოქმო ჩანაწერი

1

ლენინი აქვეყნებს ცენტრალური კომიტეტის მიერ წინა სხდომაზე მიღებულ რეზოლუციას. ამბობს, რეზოლუცია მიღებული იყო ორი ხმის წინააღმდეგო. თუ ის ამხანაგები, რომლებიც ამ რეზოლუციას არ ეთანხმებიან, მოისურვებენ აზრი გამოთქვან, შეიძლება კამათი გავმართოთო, მანამდე კი ასაბუთებს ამ რეზოლუციას.

მენშევიკებისა და ესერების პარტიებს რომ ხელი აეღოთ შემთანხმებლობაზე, შეიძლებოდა კომპრომისი შეგვეთავაზებინა მათთვის. ეს წინადადება მათ მიეცათ, მაგრამ ცხადი იყო, რომ აღნიშნულმა პარტიებმა ეს კომპრომისი უარყვეს *. მეორე მხრივ, ამ დროისთვის უკვე ნათლად გამოიკვეთა, რომ მასები ჩვენ გვემხრობიან. ეს იყო ჯერ კიდევ კორნილოველობამდე. დამამტკიცებელ საბუთად მოჰყავს პიტერისა და მოსკოვის არჩევნების სტატისტიკა. კორნილოველობამ კი უფრო გადაჭრით გადმოხარა მასები ჩვენსკენო. ძალთა თანაფარდობა დემოკრატიულ თათბირზე. მდგომარეობა ნათელია: ან კორნილოვის დიქტატურა, ან პროლეტარიატისა და გლეხობის ულარიბესი ფენების დიქტატურა. მასების განწყობილებით ვერ ვიხელმძღვანელებთ, რადგან ის ცვალებადია და მისი გათვალისწინება არ შეიძლება; ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ რევოლუციის ობიექტური ანალიზით და შეფასებით. მასებმა ნდობა გამოუცხადეს ბოლშევიკებს და მათგან მოით-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 25, გვ. 369 — 377. რ ე დ.

ხოვენ არა სიტყვებს, არამედ საქმეს, გადამჭრელ პოლიტიკას ომის წინააღმდეგ ბრძოლაშიც და ნგრევის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. თუ საფუძვლად დავუდებთ რევოლუციის პოლიტიკურ ანალიზს, სრულიად ცხადი გახდება, რომ ახლა თვით ანარქიული გამოსვლებიც კი ადასტურებენ ამასო.

შემდეგ ლენინი ანალიზს უკეთებს ევროპაში არსებულ მდგომარეობას და ამტკიცებს, რომ იქ რევოლუციის მოხდენა უფრო ძნელია, ვიდრე ჩვენში; თუ ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის გერმანია, საქმე იქამდე მივიდა, რომ აჯანყებამ იფეთქა ფლოტში, ეს იმას ამტკიცებს, რომ იქაც კი საქმე უკვე ძალიან შორს წასულა. საერთაშორისო მდგომარეობა მთელ რიგ ობიექტურ მონაცემებს გვაძლევს, რომ, თუ ახლა გამოვალთ, ჩვენს მხარეზე იქნება მთელი პროლეტარული ევროპა; ამტკიცებს, რომ ბურჟუაზიას სურს დასთმოს პიტერი. ამას თავს დავაღწევთ მხოლოდ იმით, თუ ხელში ავიღებთ პეტროგრადს. ყოველივე აქედან ცხადია ის დასკვნა, რომ რიგში დგას ის შეიარაღებული აჯანყება, რომელზედაც ლაპარაკია ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციაშიო.

რაც შეეხება პრაქტიკული დასკვნების გამოტანას რეზოლუციიდან, ეს უფრო მოსახერხებელია ცენტრების წარმომადგენელთა მოხსენებების მოსმენის შემდეგ.

როგორც რუსეთის, ისე ევროპის კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკური ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საჭიროა უაღრესად გადამწყვეტი, უაღრესად აქტიური პოლიტიკის წარმოება, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ შეიარაღებული აჯანყება.

2

ლენინი ეკამათება მილიუტინსა და შოტმანს და ამტკიცებს, რომ საქმე შეიარაღებული ძალა კი არ არის, საქმე ჯარის წინააღმდეგ ბრძოლას კი არ ეხება, არამედ ჯარის ერთი ნაწილის ბრძოლას მეორის წინააღმდეგ. ვერ ხედავს პესიმიზმს იმაში, რაც აქ ითქვა. ამტკიცებს, ბურჟუაზიის მხარეზე მცირე ძალებიაო. ფაქტები ამტკიცებს, რომ ჩვენ

მეტი ძალები გვყავს, ვიდრე მტერს. რატომ არ შეუძლია ცენტრალურ კომიტეტს დაიწყოს? ეს არ გამომდინარეობს ყველა მონაცემიდან. ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია რომ უკუაგდო, უნდა დაამტკიცო, რომ ნგრევა არ არის, რომ საერთაშორისო მდგომარეობა გართულებებს არ იწვევს. თუ პროფესიული მოღვაწეები მოითხოვენ მთელ ძალაუფლებას, მათ მშვენივრად ესმით, რაც სურთ. ობიექტური პირობები ამტკიცებს, რომ გლეხობას უნდა გავუძღვეთ; პროლეტარიატს იგი გაჰყვება.

შიშობენ, ხელისუფლებას ვერ შევინარჩუნებთო, მაგრამ ჩვენ სწორედ ახლა გვაქვს განსაკუთრებული შანსები ხელისუფლების შენარჩუნებისა.

სურვილს გამოთქვამს, რომ კამათი წარმოებდეს რეზოლუციის არსებითად განხილვის საფუძველზე.

3

ყველა რეზოლუცია რომ ასე იფუშებოდეს, უკეთეს რამეს ვერ ისურვებდი. ახლა ზინოვიევი ამბობს, ძირს ლოზუნგი — «ძალაუფლება საბჭოებს», და ზეგავლენა მოვახდინოთ მთავრობაზეო. თუ ვიტყვით, რომ აჯანყება მომწიფდა, მაშინ შეთქმულებაზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ პოლიტიკურად აჯანყება აუცილებელია, მაშინ აჯანყებას ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც ხელოვნებას. ხოლო პოლიტიკურად იგი უკვე მომწიფებულიაო.

სწორედ იმიტომ, რომ პური მხოლოდ ერთი დღის სამყოფი გვაქვს, დამფუძნებელ კრებას ვერ დავუცდით. წინადადებას იძლევა დავამტკიცოთ რეზოლუცია, გადაჭრით ვემზადოთ და ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოს მივანდოთ გადაწყვიტოს, როდის.

4

ლენინი უპასუხებს ზინოვიევს, შეუძლებელია ეს რევოლუცია თებერვლის რევოლუციას დავუპირისპიროთო. არსებითად აყენებს რეზოლუციას:

«კრება სავსებით მიესალმება და მთლიანად მხარს უჭერს ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციას, მოუწოდებს ყველა ორგანიზაციას და ყველა მუშასა და ჯარისკაცს ყოველმხრივ და გაძლიერებით მოემზადონ შეიარაღებული აჯანყებისათვის, მხარი დაუჭიროონ ცენტრს, რომელსაც საამისოდ ქმნის ცენტრალური კომიტეტი და სრულ რწმენას გამოთქვამს, რომ თავის დროზე ცენტრალური კომიტეტი და საბჭო მიუთითებენ შეტევის ხელსაყრელ მომენტს და მიზანშეწონილ საშუალებებს».

პირველად დაიბეჭდა
1927 წელს ჟურნალში
«პროლეტარსკაია რევოლუცია»
№ 10

იბეჭდება: გამოსვლები — საოქმო ჩანაწერის საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით; რეზოლუცია — ხელნაწერის მიხედვით

წერილი ამხანაგებისადმი

ამხანაგებო! ის ხანა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, იმდენად კრიზისულია, ამბები ისეთი დაუჯერებელი სისწრაფით ვითარდება, რომ პუბლიცისტს, რომელიც ბედს ისტორიის მთავარი კალაპოტიდან ცოტა მოშორებით დაუყენებია, მუდამ მოელის საფრთხე დაიგვიანოს ან საქმის ვითარებას არ იყოს გაცნობილი, განსაკუთრებით თუ მისი ნაწერები დაგვიანებით ქვეყნდება. მე სავსებით მესმის ეს, მაგრამ იძულებული ვარ მაინც მივმართო ამ წერილით ბოლშევიკებს, თუმცა ვშიშობ, რომ შესაძლებელია იგი სრულიადაც არ გამოქვეყნდეს პრესაში, რადგან ის მერყეობა, რის წინააღმდეგაც ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გადაჭრით გავილაშქრო, გაუგონარია და მას შეუძლია დამღუპველი გავლენა იქონიოს პარტიაზე, საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობაზე, რევოლუციაზე. ხოლო რაც შეეხება დაგვიანების საფრთხეს, მის თავიდან ასაცილებლად მე აღვნიშნავ, რა და რომელი რიცხვის ცნობები მაქვს.

მე შევძელი მხოლოდ ორშაბათს, 16 ოქტომბერს, დილით მენახა ერთი ამხანაგი, რომელიც წინადღით დასწრებია ბოლშევიკების მეტად მნიშვნელოვან კრებას პიტერში და მან დაწვრილებით გამაცნო კამათის შინაარსი[51]. იხილავდნენ ჯანყების სწორედ იმ საკითხს, რომელსაც იხილავენ კვირის ყველა მიმართულების გაზეთები. კრებაზე წარმოდგენილი ყოფილა ყველა უგავლენიანესი დარგი ბოლშევიკური მუშაო-

ბისა დედაქალაქში. და კრების მხოლოდ სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას, სახელდობრ მარტოდმარტო ორ ამხანაგს დაუჭერია უარყოფითი პოზიცია. მოსაზრებები, რომლებითაც ეს ამხანაგები გამოსულან, იმდენად სუსტია, ეს მოსაზრებები ისეთ განსაცვიფრებელ დაბნეულობას, დაშინებას და ბოლშევიზმისა და რევოლუციურ-პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ყველა ძირითადი იდეის კრახს გამოხატავენ, რომ ადვილი არ არის ახსნა ასეთი სამარცხვინო მერყეობა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, და რადგან რევოლუციურ პარტიას უფლება არა აქვს მოითმინოს მერყეობა ესოდენ სერიოზულ საკითხში, რადგან ამ ორ ამხანაგს, რომლებსაც თავიანთი პრინციპები დაუკარგავთ, შეუძლიათ ერთგვარი არევ-დარევა გამოიწვიონ, ამიტომ საჭიროა განვიხილოთ მათი მოსაზრებები, გამოვააშკარავოთ მათი მერყეობა, ცხადვყოთ, რამდენად სამარცხვინოა ეს. შემდეგი სტრიქონები დაე ცდა იყოს ამ ამოცანის შესრულებისა.

...«ხალხში ჩვენ უმრავლესობა არა გვყავს, ამ პირობის გარეშე აჯანყება უიმედოა»...

ის ადამიანები, ვისაც ამის თქმა შეუძლია, ან სიმართლის დამმახინჯებელნი არიან, ან პედანტები, რომლებსაც სურთ, რადაც უნდა დაჯდეს, ოდნავი ანგარიში არ გაუწიონ რევოლუციის რეალურ ვითარებას და წინასწარ მიიღონ გარანტიები, რომ მთელ ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკების პარტიამ მიიღოს სწორედ ხმების ნახევარი პლუს ერთი ხმა. ასეთი გარანტიები ისტორიას არასოდეს და არც ერთ რევოლუციაში არ მოუცია და აბსოლუტურად არ ძალუძს მისი მოცემა. ასეთი მოთხოვნის წარდგენა მსმენელთა აბუჩად აგდებაა და სხვა არაფერი, ეს არის საფარველი სინამდვილისგან გ ა ქ ცე ვ ი ს ა.

ვინაიდან სინამდვილე ნათლად გვიჩვენებს, რომ სწორედ ივლისის დღეების შემდეგ ხალხის უმრავლესობამ იწყო ბოლშევიკების მხარეზე სწრაფად გადმოსვლა. ეს დაამტკიცა პიტერის 20 აგვისტოს არჩევნებმაც, ჯერ კიდევ კორნილოველობამდე,

როცა ბოლშევიკთა ხმების პროცენტი ქალაქში უგარეუბნებოდ 20%-დან 33%-მდე გაიზარდა, და შემდეგ მოსკოვის თვითმმართველობების სექტემბრის არჩევნებმაც, როცა ბოლშევიკთა ხმების პროცენტი 11%-დან 49⅓%-მდე გაიზარდა (ერთმა მოსკოველმა ამხანაგმა, რომელიც ამ დღეებში ვნახე, მითხრა — ზუსტი რიცხვი 51% არისო). ეს დაამტკიცა საბჭოების გადარჩევამ. ეს დაამტკიცა იმ ფაქტმა, რომ გ ლ ე ხ თ ა საბჭოების უმრავლესობამ, «ავქსენტიევისეული» ცენტრალური საბჭოს მიუხედავად, კოალიციის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ გაილაშქრა. კოალიციის წინააღმდეგი იყო — ეს იმას ნიშნავს, რომ ს ა ქ მ ი თ ბოლშევიკებს გაჰყვე. შემდეგ, ფრონტიდან მიღებული ცნობები უფრო და უფრო ხშირად და უფრო და უფრო გარკვევით ცხადყოფენ, რომ ჯარისკაცთა მ ა ს ა, მიუხედავად ესერულ-მენშევიკურ ბელადთა, ოფიცერთა, დეპუტატთა და სხვათა მხრივ ბოროტი ცილისწამებისა და თავდასხმებისა, სულ უფრო და უფრო გადაჭრით გადმოდის ბოლშევიკების მხარეზე.

დასასრულ, რუსეთის თანამედროვე ცხოვრების ყველაზე დიდი ფაქტი არის გ ლ ე ხ თ ა ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა. აი ობიექტური, არა სიტყვებით, არამედ საქმით ნაჩვენები გადასვლა ხალხისა ბოლშევიკების მხარეზე. ვინაიდან, რამდენიც უნდა იცრუოს ბურჟუაზიულმა პრესამ და მისმა უბადრუკმა დამქაშებმა «მერყევი» ნოვოჟიზნელებისა და კომპანიის ბანაკიდან, როცა დარბევებსა და ანარქიაზე გაჰკივიან, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. ტამბოვის გუბერნიის გლეხთა მოძრაობა აჯანყება იყო როგორც ფიზიკური, ისე პოლიტიკური მხრივ, აჯანყება, რომელსაც ისეთი საუცხოო პოლიტიკური შედეგები მოჰყვა, როგორიცაა ჯერ-ერთი, თანხმობა გლეხებისათვის მიწის გადაცემისა. ტყვილად კი არ გ ა ჰ კ ი ვ ი ა ნ ახლა აჯანყებით დაშინებული ესერი ვიგინდარები «დელო ნაროდას» ჩათვლით, საჭიროა მიწა გადაეცეს გლეხებსო! აი ს ა ქ მ ი თ დამტკიცებული სისწორე ბოლშევიზმისა და მისი წარმატება. წინაპარლამენტში ბონაპარტისტებისა და მათი ლაქიებისათვის «ჭკუის სწავლება» შეუძლებელი გ ა ხ დ ა უაჯანყებოდ.

ეს ფაქტია. ფაქტები კი ჯიუტი რამაა. და ასეთი ფაქტიური «მოსაზრება» აჯანყების სასარგებლოდ ათასჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე გზააბნეული და დაშინებული პოლიტიკოსის «პესიმისტური» თავის დაძვრენა.

გლეხთა აჯანყება რომ საერთო-ნაციონალური პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა არ ყოფილიყო, ესერი ლაქიები წინაპარლამენტში როდი მორთავდნენ ყვირილს — საჭიროა გლეხებს მიწა გადაეცესო.

გლეხთა აჯანყების მეორე საუცხოო პოლიტიკური და რევოლუციური შედეგი, რომელიც უკვე აღნიშნა «რაბოჩიი პუტმა», ეს არის პურის მოზიდვა რკინიგზის სადგურებზე ტამბოვის გუბერნიაში[52]. აი კიდევ «მოსაზრება», ბატონო თავგზააბნეულნო, მოსაზრება აჯანყების სასარგებლოდ, როგორც ერთადერთი საშუალებისა ქვეყნის გადასარჩენად კარსმომდგარი შიმშილისა და გაუგონარი მოცულობის კრიზისისაგან. ვიდრე ხალხის ესერულ-მენშევიკური მოღალატენი ბუზღუნებენ, იმუქრებიან, რეზოლუციებს წერენ, დამფუძნებელი კრების მოწვევით მშივრების გაძღომას გვპირდებიან, ხალხი ბოლშევიკურად მოჰკიდებს ხელს პურის საკითხის გადაჭრას აჯანყების მოწყობით მემამულეების, კაპიტალისტებისა და ჩარჩების წინააღმდეგ.

და პურის საკითხის ასეთი (ერთადერთი რეალური) გადაჭრის ჩინებული ნაყოფი იძულებული იყო აღეარებინა ბურჟუაზიულ პრესას, «რუსსკაია ვოლიასაც» კი, რომელმაც დაბეჭდა ცნობა, რომ ტამბოვის გუბერნიის რკინიგზის სადგურები პურით აივსო... მას შემდეგ, რაც გლეხები აჯანყდნენ!!

არა, ახლა იმის ეჭვი, რომ ხალხის უმრავლესობა ბოლშევიკებს მიჰყვება და გაჰყვება, ნიშნავს სამარცხვინო ყოყმანს და პროლეტარული რევოლუციურობის ყველა პრინციპის საქმით უკუგდებას, ბოლშევიზმის სრულ უარყოფას.

...«ჩვენ საკმაოდ ძლიერი არა ვართ, რომ ხელისუფლება ავიღოთ, ხოლო ბურჟუაზია საკმაოდ ძლიერი არ არის, რომ დამფუძნებელი კრება ჩაშალოს»...

ამ მოსაზრების პირველი ნაწილი უბრალო განმეორებაა წინა მოსაზრებისა. მას არავითარი ძალა და დამარწმუნებლობა არ ემატება იმით, რომ თავიანთ გზააბნეულობას და ბურჟუაზიით დაშინებას გამოხატავენ პესიმიზმით მუშების მიმართ და ოპტიმიზმით ბურჟუაზიის მიმართ. როცა იუნკრები და კაზაკები ამბობენ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ ბოლშევიკების წინააღმდეგო, ეს სრულიად დასაჯერებელია; ხოლო როცა მუშები და ჯარისკაცები ასეულ კრებებზე სრულ ნდობას უცხადებენ ბოლშევიკებს და ირწმუნებიან, მზადა ვართ მკერდით ვიბრძოლოთ საბჭოებისათვის ხელისუფლების გადასაცემადო, აქ «უადგილო არ იქნება» გავიხსენოთ, რომ ხმის მიცემა ერთია, ხოლო ბრძოლა კი სხვაა!

რა თქმა უნდა, ასე თუ ვიმსჯელებთ, აჯანყება «უარყოფილია». მხოლოდ, იბადება კითხვა, რით განსხვავდება ეს თავისებურად მიმართული, თავისებურად წარმართული «პესიმიზმი» ბურჟუაზიის მხარეზე პოლიტიკური გადასვლისაგან?

შეხედეთ ფაქტებს, მოიგონეთ ჩვენი პესიმისტების მიერ «დავიწყებული» ათასჯერ განმეორებული განცხადება ბოლშევიკებისა. ჩვენ ათასჯერ გვითქვამს, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები ძალაა, რომ ეს რევოლუციის ავანგარდია, რომ მათ შ ე უ ძ ლ ი ა თ აიღონ ძალაუფლება. ჩვენ ათასჯერ გვისაყვედურებია მენშევიკებისა და ესერებისათვის, რომ ისინი ლაყბობენ «დემოკრატიის სრულუფლებიანი ორგანოების» შესახებ და იმავე დროს ე შ ი ნ ი ა თ საბჭოების მიერ ძალაუფლების აღებისა.

მერე რა დაამტკიცა კორნილოველობამ? მან დაამტკიცა, რომ საბჭოები მართლაც ძალაა.

და მას შემდეგ, რაც ეს დამტკიცებულია გამოცდილებით, ფაქტებით, ჩვენ უკუვაგდებთ ბოლშევიზმს, უარვყოფთ ჩვენს თავს და ვიტყვით: ჩვენ საკმაოდ ძლიერი არა ვართ (თუმცა ბოლშევიკების მხარეზეა ორივე დედაქალაქის და პროვინციის საბჭოების უმრავლესობა)!!! განა ეს სამარცხვინო მერყეობა არ არის? არსებითად ჩვენი «პესიმისტები» ხომ უკუაგდებენ

ლოზუნგს «მთელი ძალაუფლება საბჭოებს», თუმცა ე შ ი ნ ი ა თ ამის აღიარება.

როგორ შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ბურჟუაზია საკმაოდ ძლიერი არ არის, რომ დამფუძნებელი კრება ჩაფუშოს?

თუ საბჭოებს ა რ ძ ა ლ უ ძ თ ბურჟუაზიის დამხობა, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ის საკმაოდ ძლიერი ყოფილა დამფუძნებელი კრების ჩასაშლელად, რადგან სხვა ხელისშემშლელი არავინაა. ერწმუნო კერენსკისა და კომპანიის დაპირებებს, ერწმუნო მლიქვნელი წინაპარლამენტის რეზოლუციებს — ნუთუ ეს შეეფერება პროლეტარული პარტიის წევრსა და რევოლუციონერს?

ბურჟუაზიას არათუ ძ ა ლ უ ძ ს დამფუძნებელი კრების ჩაშლა, თუ ახლანდელი მთავრობა არ დაამხვეს, არამედ მას შეუძლია ა რ ა პ ი რ დ ა პ ი რ ა ც მიაღწიოს ამ შედეგს, თუ გერმანელებს გადასცემს პიტერს, გახსნის ფრონტს, გააძლიერებს ლოკაუტებს, საბოტაჟს გაუწევს პურის მოზიდვას. დამტკიცებულია ფ ა ქ ტ ე ბ ი თ, რომ ბურჟუაზია ნაწილ-ნაწილად ყოველივე ამას უკვე სჩადიოდა. მაშასადამე, მას ძალუძს გააკეთოს ეს მ თ ლ ი ა ნ ა დ ა ც, თუ მუშები და ჯარისკაცები არ დაამხობენ მას.

...«საბჭოები უნდა იყოს ის რევოლვერი, რომელიც მიდებულია მთავრობის საფეთქელზე იმის მოთხოვნით, რომ მოიწვიოს დამფუძნებელი კრება და ხელი აიღოს კორნილოვის ცდაზე»...

ამ ორი სავალალო პესიმისტიდან ერთი იქამდე მივიდა, რომ ესა თქვა!

იძულებული იყო ეს ეთქვა, რადგან აჯანყებაზე ხელის აღება ა რ ი ს ხელის აღება ლოზუნგზე — მთელი ძალაუფლება საბჭოებს.

რა თქმა უნდა, ლოზუნგები «წმიდათაწმიდა არაა», ეს უეჭველია. მაგრამ რატომ ა რ ა ვ ი ნ აღძრა ამ ლოზუნგის შეცვლის საკითხი (როგორც მე აღვძარი ეს საკითხი ივლისის დღეების შემდეგ *)? რად ე შ ი ნ ი ა თ აშკარად ამის

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 25, გვ. 214 — 223. რ ე დ.

თქმა, თუმცა სექტემბრიდან პარტიაში ირჩევა საკითხი აჯანყებისა, რომელიც ამიერიდან აუცილებელია განსახორციელებლად ლოზუნგისა: «მთელი ძალაუფლება საბჭოებს»?

აქ ჩვენი სავალალო პესიმისტები ვერასოდეს თავს ვერ დაიძვრენენ. აჯანყებაზე უარისთქმა არის უარისთქმა საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემაზე და მთელი იმედისა და სასოების «გადატანა» კეთილ ბურჟუაზიაზე, რომელმაც «აღგვითქვა» დამფუძნებელი კრების მოწვევა.

ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ თუ ძალაუფლება საბჭოების ხელში იქნება, დამფუძნებელი კრებაც და მისი წარმატებაც უზრუნველყოფილია? ეს ათასჯერ უთქვამთ ბოლშევიკებს. არასოდეს არავის უცდია ამის უარყოფა. ასეთ «კომბინირებულ ტიპს» ყველა ცნობდა, მაგრამ ახლა სიტყვის «კომბინირებული ტიპი» საფარველით საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემაზე უარისთქმის შემოპარება, შემოპარება მალულად, იმიტომ რომ ეშინიათ ჩვენი ლოზუნგის აშკარად უარყოფა, — რა არის ეს? შეიძლება განა ამის დასახასიათებლად პარლამენტური გამოთქმა მოიძებნოს?

ჩვენს პესიმისტს მოსწრებულად უპასუხეს: «უტყვიო რევოლვერი?». თუ ჰო, მაშინ ეს პირდაპირი გადაბარგებაა ლიბერდანებთან, რომლებსაც ათასჯერ გამოუცხადებიათ საბჭოები «რევოლვერად» და ათასჯერ მოუტყუებიათ ხალხი, რადგან საბჭოები მათი ბატონობის პირობებში ნული იყო.

ხოლო თუ რევოლვერი «გატენილია», მაშინ ეს სწორედ აჯანყების ტექნიკური მომზადებაა, რადგან ტყვია უნდა იშოვო, რევოლვერი გატენო და არც მარტო ტყვია კმარა.

ან გადასვლა ლიბერდანებთან და აშკარად უარისთქმა ლოზუნგზე «მთელი ძალაუფლება საბჭოებს», ან აჯანყება. შუათანა რამ არ არსებობს.

...«ბურჟუაზია ვერ დაანებებს პიტერს გერმანელებს, თუმცა როძიანკოს კი სურს ეს, ვინაიდან ომობენ არა ბურჟუები, არამედ ჩვენი გმირი მატროსები»...

ეს მოსაზრება კვლავ იმ «ოპტიმიზმს» გამოხატავს ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს მ ი მ ა რ თ, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ფატალურად ამჟღავნებენ პესიმისტები პროლეტარიატის რევოლუციურ ძალთა და უნარის მიმართ.

ომობენ გმირი მატროსები, მ ა გ რ ა მ ამას ხელი არ შეუშლია ო რ ი ადმირალისთვის მ ი მ ა ლ უ ლ ი ყ ვ ნ ე ნ ეზელის აღების წინ!!

ეს ფაქტია. ფაქტები კი ჯიუტი რამაა. ფაქტები ამტკიცებენ, რომ ადმირალებს კორნილოვზე ნაკლებ არ შ ე ს ძ ლ ე ბ ი ა თ ღალატი. ხოლო მთავარი ბანაკი რომ შეუცვლელია, უფროსთა შემადგენლობა რომ კორნილოვის მომხრეა, ეს უდავო ფაქტია.

თუ კორნილოველები (კერენსკის მეთაურობით, ვინაიდან ისიც კორნილოველია) მ ო ი ნ დ ო მ ე ბ ე ნ პიტერის დანებებას, მათ ეს შეუძლიათ ჩაიდინონ ორნაირად და «სამნაირადაც».

ჯერ-ერთი, მათ შეუძლიათ კორნილოვის მომხრე უფროსთა შემადგენლობის ღალატით გახსნან ჩრდილოეთის ფრონტი ხმელეთიდან.

მეორე, მათ შეუძლიათ «შეთანხმდნენ» გერმანიის მთელი ფლოტის მოქმედების თავისუფლების შესახებ, ხოლო გერმანიის ფლოტი ჩვენსაზე უფრო ძ ლ ი ე რ ი ა; შეუძლიათ შეუთანხმდნენ როგორც გერმანიის, ისე ინგლისის იმპერიალისტებს. გარდა ამისა «მიმალულ ადმირალებს» შეეძლოთ გ ე გ მ ე ბ ი ც გადაეცათ გერმანელებისთვის.

მესამე, ლოკაუტებითა და პურის მოზიდვის საბოტაჟით მათ შეუძლიათ ს რ უ ლ სასოწარკვეთილებამდე და დაუძლურებამდე მიიყვანონ ჩვენი ჯარები.

ამ სამი გზიდან არც ერთის უარყოფა არ შეიძლება. ფაქტებმა დაამტკიცეს, რომ რუსეთის ბურჟუაზიულ-კაზაკური

პარტია უკვე სამივე ამ კარს უკაკუნებდა, ცდილობდა მათ გაღებას.

მაშასადამე? მაშასადამე, ჩვენ უფლება არა გვაქვს ვ ე ლ ო დ ო თ, ვიდრე ბურჟუაზია რევოლუციას ჩაახრჩობდეს.

როძიანკოს «სურვილები» რომ ფუჭი არ არის, ეს გამოცდილებით არის დამტკიცებული. როძიანკო საქმის კაცია. როძიანკო კ ა პ ი ტ ა ლ ს ეყრდნობა. ეს უდავოა. კაპიტალი დიდი ძალაა, ვიდრე პროლეტარიატი ხელისუფლებას არ დაუფლებია. კაპიტალის პოლიტიკას როძიანკო ალალ-მართლად ახორციელებდა ა თ ე უ ლ ი წ ლ ე ბ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე.

მაშასადამე? მაშასადამე, მერყეობა აჯანყების საკითხში, როგორც რევოლუციის ხსნის ერთადერთ საშუალებაში, ნიშნავს იმ სანახევროდ ლიბერდანულ, ესერულ-მენშევიკურ ლაჩრულ მიმნდობლობას ბურჟუაზიისადმი, სანახევროდ «ტეტიურ»-შეუგნებელ მიმნდობლობას, რომლის წინააღმდეგაც ყველაზე უფრო ბოლშევიკები იბრძოდნენ.

ან უმოქმედო ხელები უნდა დაიკრიფო ცარიელ მკერდზე და ელოდო, იფიცო, დამფუძნებელი კრება «მწამსო», ვიდრე როძიანკო და კომპანია პიტერს დაანებებენ და რევოლუციას ჩაახრჩობენ, — ან აჯანყება. შუათანა რამ არ არსებობს.

დამფუძნებელი კრების მოწვევაც კი, ცალკე აღებული, არაფერს ცვლის აქ, რადგან ვერავითარი «დამფუძნებლობით», ვერავითარი კენჭისყრით თუნდაც არქისუვერენული კრებისა — შიმშილზე ვერ იმოქმედებ, ვილჰელმზე ვერ იმოქმედებ. დამფუძნებელი კრების მოწვევაც და მისი წ ა რ მ ა ტ ე ბ ა ც დამოკიდებულია საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლაზე, ამ ძველ ბოლშევიკურ ჭეშმარიტებას სულ უფრო და უფრო თვალსაჩინოდ და სულ უფრო და უფრო ს ა ს ტ ი კ ა დ ადასტურებს სინამდვილე.

...«ჩვენ დღითი დღე ვძლიერდებით, ჩვენ შეგვიძლია ძლიერი ოპოზიცია ვიყოთ დამფუძნებელ კრებაში, რა საჭიროა ყველაფერი გავწიროთ»...

ეს ხომ მოსაზრებაა ფილისტერისა, რომელსაც «წაუკითხავს», დამფუძნებელ კრებას იწვევენო და გულდამშვიდე-

ბით სჯერდება უაღრესად ლეგალურ, უაღრესად ლოიალურ, კონსტიტუციურ გზას.

სამწუხაროა მხოლოდ, რომ ვერც შიმშილის საკითხს, ვერც პიტერის დანებების საკითხს დამფუძნებელი კრების ლ ო დ ი ნ ი თ ვერ გადაწყვეტ. ამ «წვრილმანს» ივიწყებენ გულუბრყვილო, გზააბნეული, ან შეშინებული ადამიანები.

შიმშილი არ იცდის. გლეხთა აჯანყებას არ მოუცდია. ომი არ იცდის. მიმალული ადმირალებიც არ იცდიდნენ.

ან იქნებ იმით, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, დამფუძნებელი კრების მოწვევას ვ ი წ ა მ ე ბ თ, ამით დათანხმდება შიმშილი დაიცადოს? მიმალული ადმირალები დათანხმდებიან დაიცადონ? მაკლაკოვები და როძიანკოები დათანხმდებიან შეწყვიტონ ლოკაუტები, პურის მოზიდვის საბოტაჟი, საიდუმლო შეთანხმება ინგლისელ და გერმანელ იმპერიალისტებთან?

ა ს ე გამოუდით ხომ «კონსტიტუციური ილუზიებისა» და პარლამენტური კრეტინიზმის გმირებს. ცოცხალი ცხოვრება ქრება — რჩება მხოლოდ ფ ა რ ა ტ ი ნ ა ქ ა ღ ა ლ დ ი დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ, რჩება მხოლოდ არჩევნები.

და ბეც ადამიანებს უკვირთ კიდევ, რომ მშიერი ხალხი და ჯარისკაცები, რომლებსაც გენერლები და ადმირალები ღალატობენ, გულგრილად ეკიდებიან არჩევნებს! ჰოი, ბრძენნო!

...«აი კორნილოველები რომ კვლავ დაიწყებდნენ, მაშინ ვუჩვენებდით სეირს! ხოლო ჩვენ რომ დავიწყოთ, რად უნდა გავწიოთ რისკი»?..

ეს მეტისმეტად დამარწმუნებელი და მეტისმეტად რევოლუციურია! ისტორია არ მეორდება, მაგრამ თუ ჩვენ მას ზ უ რ გ ს შევაქცევთ და, დავუწყებთ რა ჩიჩინს პირველ კორნილოველობას, დავიჩემებთ: «აი კორნილოველები რომ დაიწყებდნენ»; ჩვენ რომ ეს ვქნათ, რა საუცხოო რევოლუციური სტრატეგია იქნება! როგორ ჰგავს ეს «იქნებ და ალბათ»-ს! იქნებ კორნილოველებმა კვლავ უდროოდ

დაიწყონ! — რა ძლიერი «მოსაზრებაა», არა? რა სერიოზული დასაბუთებაა პროლეტარული პოლიტიკისა?

ხოლო თუ მეორე გაწვევის კორნილოველებს ცოტა რამ უსწავლიათ? მათ რომ დ ა უ ც ა დ ო ნ მშიერთა ამბოხებას, ფრონტის გარღვევას, პიტერის ჩაბარებას და მანამდე ა რ დ ა ი წ ყ ო ნ? მაშინ?

ჩვენ გვირჩევენ პროლეტარული პარტიის ტაქტიკა ავაგოთ კორნილოველების მიერ თავიანთი ერთ-ერთი ძველი შეცდომის შესაძლებელ განმეორებაზე!

დავივიწყოთ ყველაფერი, რაც ასჯერ უმტკიცებიათ ბოლშევიკებს და რაც მათ დ ა ა მ ტ კ ი ც ე ს კიდევაც, რაც დაამტკიცა ჩვენი რევოლუციის ნახევარი წლის ისტორიამ, სახელდობრ: რომ გამოსავალი ა რ ა რ ი ს, ობიექტურად არ არის, არ შეიძლება იყოს, გ ა რ დ ა კორნილოველების დიქტატურისა ან პროლეტარიატის დიქტატურისა, დავივიწყოთ ეს, უკუვაგდოთ ყოველივე ეს და ველოდოთ! ველოდოთ რას? ველოდოთ სასწაულს: სახელდობრ, რომ ამბების მძაფრი და კატასტროფული მიმდინარეობა 20 აპრილიდან 29 აგვისტომდე შეიცვლება (ომის გაჭიანურებისა და შიმშილობის გაძლიერების გამო) დამფუძნებელი კრების მშვიდობიანი, წყნარი, უშფოთველი, ლეგალური მოწვევითა და მის უკანონიერეს გადაწყვეტილებათა შესრულებით. აი «მარქსისტული» ტაქტიკა! მშიერნო, ელოდეთ, კერენსკი დამფუძნებელი კრების მოწვევას შეგვპირდა!

...«საერთაშორისო მდგომარეობაში, მართლაც, ისეთი არაფერია, რაც დაუყოვნებლივ გამოსვლას გვაიძულებდეს, ჩვენ უფრო ზიანს მივაყენებთ სოციალისტურ რევოლუციას დასავლეთში, თუ თავს დავახვრეტინებთ»...

ჭეშმარიტად საუცხოო მოსაზრებაა: «თვით» შეიდემანიც კი, «თვით» რენოდელიც ვერ შესძლებდა ამაზე უფრო ოსტატურად «გამოეყენებინა» მუშების თანაგრძნობა საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის წარმატებისათვის!

აბა ერთი იფიქრეთ: გერმანელებმა საშინლად ძნელ პირობებში, როდესაც მ ა რ ტ ო ლიბკნეხტი ჰყავდათ (და ისიც

კატორღაში), არც გაზეთები გააჩნდათ, არც კრებების თავისუფლება, არც საბჭოები, როცა მოსახლეობის ყ ვ ე ლ ა კლასი, თვით უკანასკნელი შეძლებული გლეხი, მეტისმეტად ძტრულად იყო განწყობილი ინტერნაციონალიზმის იდეისადმი, როცა იმპერიალისტური მსხვილი, საშუალო და წვრილი ბურჟუაზია საუცხოოდ იყო დარაზმული, ამ დროს გერმანელებმა, ე. ი. გერმანელმა რევოლუციონერმა-ინტერნაციონალისტებმა, მატროსთა ქურთუკში გამოწყობილმა მუშებმა, აჯანყება მოაწყვეს ფლოტში, როცა ასიდან ერთი შანსი თუ ჰქონდათ.

ჩვენ კი, რომლებსაც მრავალი ათეული გაზეთი, კრებების თავისუფლება გვაქვს, საბჭოებში უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა გვყავს, ჩვენ, მთელ მსოფლიოში საუკეთესო მდგომარეობაში მყოფი პროლეტარული ინტერნაციონალისტები, ჩვენ უარს ვიტყვით ჩვენი აჯანყებით გერმანელი რევოლუციონერების დახმარებაზე. ჩვენ დავიწყებთ მსჯელობას, როგორც შეიდემანები და რენოდელები: ყველაზე გონივრულია არ ავჯანყდეთ, რადგან თუ ჩვენ გაგვწყვიტეს, მსოფლიო ასეთ საუცხოო, ასეთ კეთილგონიერ, ასეთ იდეალურ ინტერნაციონალისტებს დაჰკარგავს!!

დავამტკიცოთ ჩვენი კეთილგონიერება. მივიღოთ გ ე რ მ ა ნ ე ლ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა დ მ ი თანაგრძნობის რეზოლუცია და უარვყოთ ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა რუსეთში. ეს იქნება ნამდვილი, კეთილგონიერი ინტერნაციონალიზმი. და რა სწრაფად გაიფურჩქნება საერთაშორისო ინტერნაციონალიზმი, თუ ყ ვ ე ლ გ ა ნ ასეთივე ბრძნული პოლიტიკა გაიმარჯვებს!..

ომმა უკიდურესად აწამა, დატანჯა ყველა ქვეყნის მუშები. მღელვარება ხშირდება იტალიაშიც, გერმანიაშიც, ავსტრიაშიც. მ ხ ო ლ ო დ ჩვენა გვაქვს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, — ვ ე ლ ო დ ო თ — ვუღალატოთ გერმანელ ინტერნაციონალისტებს, როგორც ვღალატობთ რუსეთის გლეხებს, რომლებიც არა სიტყვიერად, არამედ საქმით, მემამულეების წინააღმდეგ აჯანყებით, მოგვიწოდებენ აჯანყებისაკენ კერენსკის მთავრობის წინააღმდეგ...

დაე მოპირქუშდეს იმპერიალისტური შეთქმულების ღრუბელი ყველა ქვეყნის კაპიტალისტებისა, რომლებიც მზად არიან ჩაახრჩონ რუსეთის რევოლუცია, — მშვიდად ველოდოთ, ვიდრე ფ უ ლ ი თ დაგვახრჩობდნენ! იმის მაგივრად, რომ თავს დავესხათ შეთქმულებს და გავტეხოთ მათი რიგები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გამარჯვებით, ველოდოთ დამფუძნებელ კრებას, სადაც კ ე ნ ჭ ი ს ყ რ ი თ დამარცხდება ყველა საერთაშორისო შეთქმულება, თუ კერენსკი და როძიანკო კეთილსინდისიერად მოიწვევენ დამფუძნებელ კრებას. განა გვაქვს უფლება ეჭვი შევიტანოთ კერენსკისა და როძიანკოს კეთილსინდისიერებაში?

...«მაგრამ «ყველა» ჩვენი წინააღმდეგია! ჩვენ განცალკევებული ვართ; ცაკ-მაც, მენშევიკ-ინტერნაციონალისტებმაც, ნოვოჟიზნელებმაც და მემარცხენე ესერებმაც ჩვენს წინააღმდეგ გამოუშვეს და კვლავაც გამოუშვებენ მოწოდებებს!»...

უძლიერესი მოსაზრებაა. ჩვენ დღემდე შეუბრალებლად ვამათრახებდით მერყევთ მერყეობისათვის. ჩვენ ა მ ი თ მოვიპოვეთ ხალხის თანაგრძნობა. ჩვენ ა მ ი თ დავიპყარით საბჭოები, ურომლებისოდ აჯანყება საიმედო, სწრაფი, უტყუარი ვერ იქნებოდა. ახლა ვისარგებლოთ დაპყრობილი საბჭოებით, რათა ჩ ვ ე ნ ც მ ე რ ყ ე ვ თ ა ბ ა ნ ა კ ში გ ა დ ა ვ ი დ ე თ ო. რა საუცხოო კარიერაა ბოლშევიზმისა!

ლიბერდანებისა და ჩერნოვების, აგრეთვე ესერთა და მენშევიკთა შორის «მემარცხენეების» პოლიტიკის მთელი დედაარსი მ ე რ ყ ე ო ბ ა ა. როგორც იმის მ ა ჩ ვ ე ნ ებ ლ ებ ს, რომ მ ა ს ე ბ ი მ ე მ ა რ ც ხ ე ნ დ ე ბ ი ა ნ, მემარცხენე ესერებსა და მენშევიკ-ინტერნაციონალისტებს უ დ ი დ ე ს ი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ. ისეთი ორი ფაქტი, როგორიცაა, ერთი მხრივ, მენშევიკებისა და ესერების დაახლოებით 40%-ის გადასვლა მემარცხენეთა ბანაკში და, მეორე მხრივ, გლეხთა აჯანყება, უეჭველად, აშკარად დაკავშირებულია ერთიმეორესთან.

მაგრამ სწორედ ამ კავშირის ხასიათი ამჟღავნებს იმათ განუზომელ უნებისყოფობას, ვინც ახლა წუწუნს მოჰყოლია იმის გამო, რომ ცოცხლად დამპალი ცაკ-ი ანუ მერყევი მემარცხენე ესერები და კომპანია ჩვენს წინააღმდეგ გამოვიდნენ. ვინაიდან წვრილბურჟუაზიული ბელადების, მარტოვების, კამკოვების, სუხანოვებისა და კომპანიის ეს მერყეობა გლეხების აჯანყებას უნდა დაუპირისპირო. აი რეალური პოლიტიკური დაპირისპირება. ვის უნდა გაჰყვე? იმ ერთ მუჭა მერყევ პიტერელ ბელადებს, რომლებმაც არაპირდაპირ გამოხატეს მასების გამემარცხენება და რომლებიც ყოველი პოლიტიკური შემობრუნებისას საამარცხვინოდ წუწუნებდნენ, ყოყმანობდნენ, საბოდიშოდ გარბოდნენ ლიბერდანებთან, ავქსენტიევებთან და კომპანიასთან, თუ ამ გამემარცხენებულ მასებს?

ასე, მხოლოდ ასე დგას საკითხი.

მარტოვების, კამკოვებისა და სუხანოვების მიერ გლეხთა აჯანყებისადმი ღალატის გამო ჩვენც, რევოლუციური ინტერნაციონალისტების მუშათა პარტიას, გვირჩევენ ვუღალატოთ მას. აი რას ნიშნავს მემარცხენე ესერებისა და მენშევიკ-ინტერნაციონალისტებისაკენ «თავის ქნევის» პოლიტიკა.

ჩვენ კი ვთქვით: მერყეევებს რომ დაეხმარო, თვითონვე უნდა გაანებო თავი მერყეობას. ეს «ძვირფასი» მემარცხენე წვრილბურჟუაზიული დემოკრატები ხომ კოალიციისთვისაც ყოყმანობდნენ! ჩვენ ისინი, ბოლოს და ბოლოს, იმით გავიყოლიეთ, რომ თვითონ ჩვენ არ ვმერყეობდით. და ცხოვრებამ დაადასტურა ჩვენი პოზიცია.

თავიანთი მერყეობით ეს ვაჟბატონები მუდამ ღუპავდნენ რევოლუციას. მხოლოდ ჩვენ ვიყავით მისი მხსნელი. და ახლა დავყრით იარაღს, როცა შიმშილი პიტერის კარებს უკაკუნებს, ხოლო როძიანკო და კომპანია კი მის დანებებას ამზადებენ?!

...«მაგრამ ჩვენ მტკიცე კავშირიც კი არა გვაქვს რკინიგზელებთან და ფოსტის მოსამსახურეებთან. მათი ოფიციალური წარმომადგენლები — პლანსონები არიან. განა შეიძლება უფოსტოდ და ურკინიგზოდ გავიმარჯვოთ?»...

დიახ, დიახ, პლანსონები — აქ, ლიბერდანები — იქ. როგორი ნდობა გამოუცხადეს მათ მ ა ს ე ბ მ ა? განა ჩვენ არ ვამტკიცებდით მუდამ, რომ ეს ბელადები მ ა ს ე ბ ს ღალატობენ? განა ამ ბელადებს არ აქციეს მასებმა ზურგი და ჩ ვ ე ნ მოგვემხრნენ მოსკოვის არჩევნებშიც და საბჭოების არჩევნებშიც? ან იქნებ რკინიგზისა და ფოსტის მოსამსახურეთა მასა არ შიმშილობს? არ იფიცება კერენსკისა და კომპანიის მთავრობის წინააღმდეგ?

«ხოლო 28 თებერვლის წინ განა გვქონდა ურთიერთობა ამ კავშირებთან?» — შეეკითხა ერთი ამხანაგი «პესიმისტს». მან უპასუხა, ამ ორი რევოლუციის შედარება არ შეიძლებაო. მაგრამ ასეთი პასუხი მხოლოდ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ს შემკითხველის პოზიციას. ვინაიდან ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი რევოლუციის ხანგრძლივი მომზადების შესახებ ათასჯერ ულაპარაკნიათ სწორედ ბოლშევიკებს (და ულაპარაკნიათ არა იმისთვის, რომ გადამწყვეტი მომენტის წინ დაევიწყნათ ეს). წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული ზედაფენებიდან მასის პროლეტარული ელემენტების გ ა მ ო ყ ო ფ ი თ ხასიათდება სწორედ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა და რკინიგზელთა კავშირების პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება. საქმე ის კი არ არის, რომ უსათუოდ წინასწარ მოამზადო «ურთიერთობა» ამა თუ იმ კავშირთან, საქმე ის არის, რომ მხოლოდ პროლეტართა და გლეხთა აჯანყების გამარჯვებას შ ე უ ძ ლ ი ა დააკმაყოფილოს რკინიგზელთა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა არმიების მ ა ს ე ბ ი.

...«პიტერში 2 — 3 დღის სამყოფი პურია. შეგვიძლია განა პური მივცეთ აჯანყებულებს»?...

ეს ერთ-ერთი სკეპტიკური შენიშვნაა მრავალი ათასიდან (სკეპტიკოსებს ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს შეუძლიათ «იეჰვიანონ», და თუ არა გამოცდილებით, ვერაფრით დაარწმუნებ მათ), ისეთი შენიშვნა, რომელიც საკუთარ სატკივარს სხვას ახვევს თავს.

სწორედ როძიანკოები და კომპანია, სწორედ ბურჟუაზია ამზადებს შიმშილს, სურს რა გამოიყენოს ის — შიმშილით მოაშთოს რევოლუცია. არ არის და არ შეიძლება იყოს სხვა ხსნა შიმშილისაგან, თუ არა გლეხთა აჯანყება მემამულეების წინააღმდეგ სოფლად და კაპიტალისტების დამარცხება მუშების მიერ ქალაქსა და ცენტრში. სხვანაირად შეუძლებელია პურის შოვნა მდიდრებისაგან, მისი გამოტანა მათი საბოტაჟის გამო, მოსყიდულ მოსამსახურეთა და გამდიდრებულ კაპიტალისტთა წინააღმდეგობის გატეხა, სასტიკი აღრიცხვის შექმნა. ეს დაამტკიცა სწორედ სასურსათო დაწესებულებათა ისტორიამ და «დემოკრატიის» სასურსათო ჯახირმა, «დემოკრატიის», რომელიც მილიონჯერ უჩიოდა კაპიტალისტების საბოტაჟს, წუწუნებდა, ევედრებოდა.

არ არის ქვეყნად სხვა ძალა, გარდა ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციისა, რათა ჩივილის, მუდარისა და ცრემლის ფრქვევის მაგივრად რევოლუციურ საქმეზე გადახვიდე. და რამდენადაც უფრო შორს გადაიდება პროლეტარული რევოლუცია, რამდენადაც უფრო დააგვიანებს მას გარემოება ან მერყეევთა და თავგზააბნეულთა ყოყმანი, იმდენად მეტ მსხვერპლს შეიწირავს იგი, იმდენად ძნელი იქნება პურის მოზიდვისა და განაწილების მოგვარება.

აჯანყების დაყოვნება სიკვდილს უდრის — აი რა უნდა ვუპასუხოთ იმათ, ვისაც შესწევს სავალალო «მამაცობა» უცქიროს ნგრევის ზრდას, შიმშილის მოახლოებას და არ ურჩიოს მუშებს აჯანყება (ესე იგი ურჩიოს მათ ლოდინი, კვლავ დაენდონ ბურჟუაზიას).

...«ფრონტის მდგომარეობაშიც ჯერ საშიში არაფერია. ჯარისკაცებმა თვითონაც რომ დადონ დროებითი ზავი, ამას კიდევ არა უშავს რა»...

მაგრამ ჯარისკაცები დროებით ზავს არ დადებენ. საამისოდ საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლება, რომელსაც ვერ მიიღებ უაჯანყებოდ. ჯარისკაცები დაჰკრავენ ფეხს და

გ ა ი ქ ც ე ვ ი ა ნ. ამას მეტყველებენ მოხსენებები ფრონტიდან. ლოდინი შეუძლებელია, თუ არ გვინდა დავეხმაროთ რომიანკრს ვილჰელმთან შეთანხმებაში და გამოვიწვიოთ ს რ უ ლ ი ნგრევა ჯარისკაცთა მასობრივი გაქცევით, თუ ისინი (უ კ ვ ე თ ი თ ქ მ ი ს ს ა ს ო წ ა რ კ ვ ე თ ი ლ ე ბ ა მ დ ე მ ი ს უ ლ ნ ი) სრულ სასოწარკვეთილებამდე მივლენ და ყველაფერს ბედის ამარა მიაგდებენ.

...«ხელისუფლება რომ ავიღოთ და ვერც დროებითი ზავი მივიღოთ და ვერც დემოკრატიული ზავი, მაშინ ჯარისკაცები შეიძლება არ დათანხმდნენ რევოლუციურ ომს. მაშინ რა ვქნათ?»

ეს მოსაზრება მოგვაგონებს თქმას: ერთ რეგვენს იმდენი კითხვის მოცემა შეუძლია, რომ ათი ბრძენი ვერ გადაწყვეტსო.

ჩვენ არასოდეს არ უარგვიყვია ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს სიძნელენი იმპერიალისტური ომის დროს, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც მუდამ ვ ქ ა დ ა გ ე ბ დ ი თ პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დიქტატურას. ნუთუ ჩვენ უარვყოფთ ამას, როცა მოქმედების მომენტი დადგა??

ჩვენ მუდამ ვამბობდით, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ერთ ქვეყანაში უდიდეს ცვლილებებს ქმნის საერთაშორისო მდგომარეობაშიც, ქვეყნის ეკონომიკაშიც, არმიის მდგომარეობაშიც და მის სულიერ განწყობილებაშიც, — და ჩვენ ყოველივე ამას «დავივიწყებთ» ახლა და რევოლუციის «სიძნელეებს» შევუშინდებით??

...«როგორც ყველა ამბობს, მასებში არ არის ქუჩაში სწრაფვის განწყობილება. პესიმიზმის გასამართლებელ ნიშნებს ეკუთვნის აგრეთვე მეტად ვაძლიერებული გავრცელება დამრბეკი და შავრაზმული პრესისა»...

როცა ადამიანები ბურჟუაზიას შეუშინდებიან, მაშინ, ბუნებრივია, ყველა საგანი და მოვლენა ყვითლად მოეჩვენოს. ჯერ-ერთი, ისინი მოძრაობის მარქსისტულ კრიტერიუმს ცვლიან ინტელიგენტურ-იმპრესიონისტურით, მთელ ქვეყანაში საერთოდ, საერთაშორისო ვითარებაში საერთოდ კლასობრივი ბრძოლის განვითარების და ამბების მსვლელობის პოლიტიკური

გათვალისწინების ნ ა ც ვ ლ ა დ ისინი აყენებენ განწყობილების სუბიექტურ შთაბეჭდილებებს; ხოლო იმას, რომ პარტიის მტკიცე ხაზი, მისი ურყევი გადაწყვეტილება ა გ რ ე თ ვ ე განწყობილების ფ ა ქ ტ ო რ ი ა, განსაკუთრებით ყველაზე უფრო მწვავე რევოლუციურ მომენტში, ამას, რა თქმა უნდა, «დროულად» ივიწყებენ. ხანდახან ადამიანებისთვის ძალიან «დროულია» იმის დავიწყება, რომ პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს თავიანთი მერყეობითა და მიდრეკილებით — დასწვან ის, რასაც გუშინ თაყვანსა სცემდნენ, მასების განსაზღვრული ფენების განწყობილებაშიც შეაქვთ ყოვლად უმსგავსო მერყეობა.

მეორე, — და ეს დღევანდელ მომენტში მთავარია, — როცა მასების განწყობილებაზე ლაპარაკობენ, უნებისყოფო ადამიანებს ავიწყდებათ დაუმატონ,

რომ «ყველა» ამბობს, ეს განწყობილება დაძაბული და მომლოდინეაო;

რომ «ყველა» ეთანხმება იმ აზრს, რომ საბჭოების მოწოდებაზე და საბჭოების დასაცავად მუშები გამოვლენ, როგორც ერთი კაცი;

რომ «ყველა» ეთანხმება იმ აზრს, რომ მუშებში დიდი უკმაყოფილებაა ცენტრების გაუბედაობით «უკანასკნელი, გადამწყვეტი ბრძოლის» საკითხში, რომლის აუცილებლობა ნათლადაა შეგნებული;

რომ «ყველა» ერთსულოვნად ახასიათებს უფართოესი მასების განწყობილებას, როგორც თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისულს, და აღნიშნავს ანარქიზმის ზრდის ფაქტს სწორედ ამ ნიადაგზე;

რომ «ყველა» აღიარებს აგრეთვე, რომ შეგნებულ მუშებში გარკვეული განწყობილებაა — არ გავიდნენ ქუჩაში მ ხ ო ლ ო დ დემონსტრაციისათვის, მ ხ ო ლ ო დ ნაწილობრივი ბრძოლისთვის, რადგან ჰაერში ტრიალებს არა ნაწილობრივი, არამედ საერთო ბრძოლის მოახლოების სუნი, ხოლო ცალკეული გაფიცვების, დემონსტრაციებისა და ზეგავლენის უიმედობა საკვლევით ნაცადი და შეგნებულია.

და ა ს ე შ ე მ დ ე გ.

თუ ჩვენ მასების განწყობილების ამ დახასიათებას მივუდგებით მთელი კლასობრივი და პოლიტიკური ბრძოლის განვითარების, აგრეთვე ამბების მთელი მსვლელობის თვალსაზრისით ჩვენი რევოლუციის ამ ექვსი თვის მანძილზე, ჩვენთვის ცხადი გახდება, როგორ ამახინჯებენ საქმის ვითარებას ბურჟუაზიის მიერ დაშინებული ადამიანები. საქმის ვითარება სწორედ ისეთი არ არის, როგორც 20 — 21 აპრილის, 9 ივნისის, 3 ივლისის წინ იყო, რადგან მაშინ იყო ს ტ ი ქ ი უ რ ი ა ღ ტ ყ ი ნ ე ბ ა, რომელსაც ჩვენ, როგორც პარტია, ან ვერ ვამჩნევდით (20 აპრილს), ან ვაკავებდით და ვაყალიბებდით მშვიდობიან დემონსტრაციად (9 ივნისს და 3 ივლისს). ვინაიდან ჩვენ მაშინ კარგად ვიცოდით, რომ საბჭოები ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ იყვნენ ჩვენი, რომ გლეხებს კ ი დ ე ვ სწამდათ ლიბერდან-ჩერნოვების გზა და არა ბოლშევიკური (აჯანყების) გზა, რომ, მაშასადამე, ხალხის უმრავლესობა შეუძლებელი იყო ჩვენს მხარეზე ყოფილიყო, რომ, მაშასადამე, აჯანყება ნაადრევი იყო.

მაშინ შეგნებული მუშების უმრავლესობაში სრულიადაც ა რ აღძრულა უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლის საკითხი; საერთოდ პარტიულ კოლეგიათა შორის არ ყოფილა არც ერთი კოლეგია, რომელსაც ეს საკითხი დაესვას. ხოლო ნაკლებ შეგნებულ და ძლიერ ფართო მასებს არ ჰქონდათ არც დაძაბულობა და არც სასოწარკვეთილების გაბედულება, იყო სწორედ სტიქიური ა ღ ტ ყ ი ნ ე ბ ა გულუბრყვილო იმედით, რომ უბრალო «გამოსვლით», უბრალო დემონსტრაციით «გავლენა» მოეხდინათ კერენსკებსა და ბურჟუაზიაზე.

აჯანყებისთვის კი საჭიროა არა ეს, არამედ შეგნებულთა შეგნებული, მტკიცე და ურყევი გამბედაობა — იბრძოლონ ბოლომდე, ეს — ერთი მხრივ. ხოლო, მეორე მხრივ, საჭიროა დაძაბულ-სასოწარკვეთილი განწყობილება ფართო მასებისა, რომლებიც გ რ ძ ნ ო ბ ე ნ, რომ ნახევარზომებით ახლა ვერაფერს გახდები, რომ «გავლენის» მხრივ ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენ, რომ დამშეულნი «ყველაფერს გაანადგუ-

რებენ, ყველაფერს მილეწ-მოლეწენ ანარქიულადაც კი», თუ ბოლშევიკები ვერ შესძლებენ ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ გადამწყვეტ ბრძოლაში.

რევოლუციის განვითარებამ მუშებიც და გლეხობაც საქმით სწორედ იქამდე მიიყვანა, რომ შეგნებულთა გამოცდილებით შეძენილი დაძაბულობა შეუერთდა უფართოესი მასების სასოწარკვეთილებამდე მისულ ზიზღის განწყობილებას ლოკაუტების მომწყობთა და კაპიტალისტებისადმი.

სწორედ ამ ნიადაგზეა გასაგები აგრეთვე შავრაზმული პრესის ბოლშევიზმის ქურქში გახვეული არამზადების «წარმატება». შავები რომ ღვარძლიანად ხითხითებენ, ხედავენ რა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის გადამწყვეტი ბრძოლის მოახლოებას, ეს ყოველთვის ასე ყოფილა ხოლმე, ყოველ რევოლუციაში გამოუკლებლივ ასე ხდებოდა, ეს აბსოლუტურად გარდუვალია. და თუ ამ გარემოებას შეუშინდი, მაშინ უარი უნდა თქვა არა მარტო აჯანყებაზე, არამედ საერთოდ პროლეტარულ რევოლუციაზედაც. ვინაიდან კაპიტალისტურ საზოგადოებაში შეუძლებელია ამ რევოლუციის ისეთი ზრდა, რომელსაც თან არ ახლდეს შავრაზმელთა ღვარძლიანი ხითხითი და იმედი ხელის მოთბობისა.

შეგნებულმა მუშებმა მშვენივრად იციან, რომ შავი რაზმი და ბურჟუაზია ხელიხელჩაკიდებული მუშაობენ და რომ მუშების გადამწყვეტი გამარჯვება (რომელიც წვრილ ბურჟუებს არა სწამთ, რომლისაც კაპიტალისტებს ეშინიათ, რომელიც შავრაზმელებს ხანდახან ღვარძლიანობის გამო სურთ, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ბოლშევიკები ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებენ), რომ ეს გამარჯვება შავ რაზმს საბოლოოდ გასრესს, რომ ხელისუფლების მტკიცედ შენარჩუნებას ბოლშევიკები შესძლებენ ომით დატანჯული და განაწამები მთელი კაცობრიობის დიდად სასარგებლოდ.

მართლაც, ვინ იქნება ისეთი ჭკუათამყოფელი, რომელსაც ეჭვი შეეპაროს იმაში, რომ როძიანკოები და სუვორინები

ერთად მოქმედებენ? რომ მათ შორის როლები განაწილებულია?

განა ფაქტებმა არ დაამტკიცეს, რომ როძიანკოს კარნახით მოქმედებს კერენსკი, ხოლო «რუსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო სტამბა» (ხუმრობა არ გეგონოთ!) სახელმწიფო ხარჯზე ბეჭდავს «სახელმწიფო სათათბიროს» შავრაზმელთა შავრაზმულ სიტყვებს? განა ეს ფაქტი არ გამოამჟღავნეს თ ვ ი თ «დელონაროდელმა» ლაქიებმაც კი, რომლებიც მლიქვნელობენ «თავიანთი კაცუნას» წინაშე? განა ყ ვ ე ლ ა არჩევნების გამოცდილებამ არ დაამტკიცა, რომ «ნოვოე ვრემია»[53], ეს სინდისგარეცხილი გაზეთი, რომელსაც მეფე-მემამულეების «ინტერესები» ამოძრავებს, სრულ დახმარებას უწევდა კადეტურ სიებს?

განა გუშინ არ წავიკითხეთ, რომ სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალმა (უპარტიომ, რა თქმა უნდა, ოჰ, რასაკვირველია, უპარტიომ, რადგან ვიხლიაევები და რაკიტნიკოვები, გვოზდევები და ნიკიტინები კოალიციაში შედიან არა კადეტებთან, ღმერთმა დაგვიფაროს, არამედ უ პ ა რ ტ ი ო სავაჭრო-სამრეწველო წრეებთან!) კადეტებს 300 000 მანეთი უთავაზა?

მთელი შავრაზმული პრესა, თუ სინამდვილეს კლასობრივი და არა სანტიმენტალური თვალსაზრისით შევხედავთ, გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა ა «რიაბუშინსკის, მილიუკოვისა და კომპანიის» ფირმისა. კაპიტალი ყიდულობს, ერთი მხრივ, მილიუკოვებს, ზასლავსკებს, პოტრესოვებს და სხვებს, ხოლო, მეორე მხრივ, შავრაზმელებს.

არავითარი სხვა საშუალება არ არსებობს ბოლო მოეღოს ამ იაფფასიანი შავრაზმული გადამდები სენის შხამით ხალხის უსაზიზღრეს მოწამვლას, გარდა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ა.

და განა უნდა გიკვირდეს, რომ შიმშილითა და გაჭიანურებული ომით დატანჯული და განაწამები ხალხი «ებღაუჭება» შავრაზმულ შხამს? განა შეიძლება წარმოიდგინო კაპიტალისტური საზოგადოება მისი კრახის წინადღით, რომ დაჩაგრული მასები სასოწარკვეთილებაში ა რ იყოს ჩავარდნილი? და

განა შესაძლებელია სასოწარკვეთილება მასებისა, რომელთა შორისაც ცოტა სიბნელე როდია, ა რ გამოიხატოს ყოველგვარი შხამის გაძლიერებული გასაღებით?

არა, უიმედოა იმათი პოზიცია, ვინც მასების განწყობილებაზე მსჯელობს და თავის პირად უნებისყოფობას მასებს ახვევს თავს. მასები განიყოფება შეგნებულ მომლოდინეებად და ისეთებად, რომლებიც შეუგნებლად მზად არიან სასოწარკვეთილებას მიეცენ, მაგრამ ჩაგრულთა და მშიერთა მასები უნებისყოფონი ა რ არიან.

...«მეორე მხრივ, მარქსისტულ პარტიას არ შეუძლია აჯანყების საკითხი და სამხედრო შეთქმულების საკითხი გააიგივოს»...

მარქსიზმი უაღრესად ღრმა და მრავალმხრივი მოძღვრებაა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მარქსის ნაწერებიდან ციტატების ნ ა წ ყ ვ ე ტ ე ბ ს, — განსაკუთრებით თუ ციტატები უ ა დ გ ი ლ ო დ მოჰყავთ, — ყოველთვის შეხვდებით იმათ «მოსაზრებებს» შორის, ვინც შორდება მარქსიზმს. სამხედრო შეთქმულება არის ბლანკიზმი, თ უ მას აწყობს არა განსაზღვრული კლასის პარტია, თ უ მისმა მომწყობებმა ვერ გაითვალისწინეს საერთოდ პოლიტიკური მომენტი და განსაკუთრებით საერთაშორისო მომენტი, თ უ ამ პარტიას არ თანაუგრძნობს ხალხის უმრავლესობა და ეს თანაგრძნობა დამტკიცებული არ არის ობიექტური ფაქტებით, თ უ რევოლუციის ამბების განვითარება არ იწვევს წვრილი ბურჟუაზიის შემთანხმებლური ილუზიების პრაქტიკულ უარყოფას, თ უ შენს მხარეზე არ არის რევოლუციური ბრძოლის «სრულუფლებიანად» ცნობილი ორგანოების ან ისეთი ორგანოების უმრავლესობა, რომლებმაც სხვანაირად გამოიჩინეს თავი, მაგალითად, «საბჭოები», თ უ ჯარში (თუ ვინიცობაა ეს ომის დროს ხდება) არ არსებობს სრულიად მომწიფებული განწყობილება მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ხალხის ნების წინააღმდეგ აჭიანურებს უსამართლო ომს, თ უ აჯანყების ლოზუნგებს (როგორიცაა—«მთელი ძალაუფლება საბჭოებს»,

«მიწა გლეხებს», «დემოკრატიული ზავის დაუყოვნებლივ შეთავაზება ყველა მეომარი ხალხისთვის საიდუმლო ხელშეკრულებათა და საიდუმლო დიპლომატიის დაუყოვნებლივ გაუქმებასთან ერთად» და სხვ.) ფრიად ფართოდ არ გაუთქვამთ სახელი და პოპულარული არ გამხდარა, თ უ მოწინავე მუშები დარწმუნებული არ არიან მასების სასოწარკვეთილ მდგომარეობასა და სოფლის მხარისდაჭერაში, რაც დამტკიცებულია გლეხთა სერიოზული მოძრაობით, ან მემამულეებისა და მათი დამცველი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებით, თ უ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა სერიოზულ იმედს იძლევა, რომ კრიზისი მშვიდობიანი და პარლამენტური საშუალებით გადაწყდება საკეთილოდ.

მგონი, კმარა?

ჩემს ბროშურაში: «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?» (იმედი მაქვს, რომ ის ამ დღეებში უკვე გამოქვეყნდება) მარქსის ნაწერებიდან მოვიყვანე ციტატი, რომელიც მართლა შეეხება აჯანყების საკითხს და განსაზღვრავს აჯანყების როგორც «ხელოვნების» ნიშნებს *.

მე მზადა ვარ სანაძლეო დავდო, რომ თუ წინადადებას მივცემთ იმ ყბედებს, რომლებიც ახლა რუსეთში სამხედრო შეთქმულების წინააღმდეგ ჰყვირიან, ენა ამოიდგან და აგვიხსნან, რა განსხვავებაა შეიარაღებული აჯანყების «ხელოვნებასა» და გაკიცხვის ღირსს სამხედრო შეთქმულებას შორის, ისინი ან გაიმეორებენ ზემონათქვამს, ან თავს შეირცხვენენ და მუშების საერთო სიცილს გამოიწვევენ. აბა სცადეთ, ძვირფასო ვითომ-მარქსისტებო! გვიმღერეთ რამე «სამხედრო შეთქმულების» წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ!

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 141 — 142. რ ე დ.

ბოლოსიტყვაობა

წინა სტრიქონები უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც საღამოს 8 საათზე, სამშაბათს, მივიღე პიტერის დილის გაზეთები ბ-ნ ვ. ბაზაროვის სტატიით «ნოვაია ჟიზნში». ბ-ნი ვ. ბაზაროვი ამტკიცებს, რომ «ქალაქში ვრცელდება ხელნაწერი ფურცელი, რომელიც ორი ცნობილი ბოლშევიკის სახელით გამოსვლის წინააღმდეგ ილაშქრებს».

თუ ეს მართალია, ვთხოვ ამხანაგებს, რომლებიც ამ წერილს ოთხშაბათის შუადღეზე ადრე ვერ მიიღებენ, დ ა ბ ე ჭ დ ო ნ ი გ ი რაც შეიძლება მალე.

ამ წერილს ვწერდი არა პრესისთვის, არამედ მხოლოდ პარტიის იმ წევრებთან საბაასოდ, რომლებთანაც მიწერ-მოწერა მაქვს. მაგრამ თუ «ნოვაიაჟიზნელი» გმირები, რომლებიც პარტიას არ ეკუთვნიან და მის მიერ ათასჯერ ყოფილან საცინლად აგდებული საზიზღარი უნებისყოფობისათვის (რომლებიც 3 დღის წინათ ბოლშევიკებს აძლევდნენ ხმას, გუშინ კი მენშევიკებს მისცეს ხმა და რომლებმაც თ ი თ ქ მ ი ს გააერთიანეს ისინი საქვეყნოდ განთქმულ გამაერთიანებელ ყრილობაზე), თუ მსგავსი სუბიექტები იღებენ ფ უ რ ც ე ლ ს ჩვენი პარტიის იმ წევრებისგან, რომლებიც აგიტაციას ეწევიან აჯანყების წინააღმდეგ, მაშინ გაჩუმება აღარ შეიძლება. საჭიროა აგიტაციის გაწევა აჯანყების ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ ა ც. დაე ანონიმები საბოლოოდ გამოძვრნენ დღის სინათლეზე და მიიღონ სამარცხვინო მერყეობისთვის დამსახურებული

სასჯელი თუნდაც ყველა შეგნებული მუშის დაცინვის სახით. ჩემს განკარგულებაში მხოლოდ ერთი საათი დროა ამ წერილის პიტერში გაგზავნამდე და ამიტომ მხოლოდ ორი სიტყვით აღვნიშნავ აბნეული «ნოვოჟიზნელობის» სავალალო გმირების ერთ «ხერხს». ბ-ნი ვ. ბაზაროვი ცდილობს ეკამათოს ამხ. რიაზანოვს, რომელმაც თქვა და თქვა ათასჯერ სწორად, რომ «აჯანყებას ამზადებენ ყველა ისინი, ვინც მასებში სასოწარკვეთილებისა და გულგრილობის განწყობილებას ქმნისო».

სავალალო საქმის სავალალო გმირი «უპასუხებს»:

«განა სასოწარკვეთილებასა და გულგრილობას ოდესმე გაუმარჯვნიათ?»

ოჰ, «ნოვაიაჟიზნელი» საზიზღარი რეგვნები! განა იციან მათ აჯანყების ი ს ე თ ი მაგალითები ისტორიაში, როცა ჩაგრული კლასების მასებს გაუმარჯვნიათ თავგანწირულ ბრძოლაში ისე, რომ ხანგრძლივი ტანჯვითა და ყოველგვარი კრიზისების უკიდურესი გამწვავებით სასოწარკვეთილებამდე არ ყოფილიყვნენ მიყვანილი? როდის იყო, რომ ეს მასები არ ყოფილან შეპყრობილი ინდიფერენტიზმით (გულგრილობით) სხვადასხვა ლაქიური წინაპარლამენტისადმი, რევოლუციობის ფუქსავატური გათამაშებისადმი, ლიბერდანების მიერ საბჭოების ჩამოქვეითებამდე ძალაუფლებისა და აჯანყების ორგანოების როლიდან ცარიელი სალაყბოს როლამდე?

ან, იქნებ, «ნოვაიაჟიზნელმა» საზიზღარმა რეგვნებმა მასებში აღმოაჩინეს გ უ ლ გ რ ი ლ ო ბ ა... პურის საკითხისადმი? ომის გაჭიანურებისადმი? გლეხებისთვის მიწების გადაცემისადმი?

დაწერილია 1917 წ. 17 (30) ოქტომბერს

დაიბეჭდა 1917 წ. 1, 2 და 3 ნოემბერს (19, 20 და 21 ოქტომბერს) გაზეთში «რაბოჩიი პუტ» №№ 40, 41 და 42

ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

წერილი ბოლშევიკების პარტიის წევრებისადმი[54]

ამხანაგებო! მე ჯერ კიდევ არ მქონია საშუალება მიმეღო ოთხშაბათის, 18 ოქტომბრის, პიტერის გაზეთები. როდესაც ტელეფონით გადმომცეს არაპარტიულ გაზეთ «ნოვაია ჟიზნ-ში» კამენევისა და ზინოვიევის გამოსვლის სრული ტექსტი, მე ეს ვერ დავიჯერე. მაგრამ ახლა ეჭვები შეუძლებელია და იძულებული ვარ ვისარგებლო შემთხვევით, რათა ეს წერილი პარტიის წევრებს მივაწოდო ხუთშაბათ საღამოსთვის ან პარასკევ დილისათვის, რადგან ასეთი გაუგონარი შ ტ რ ე ი კ-ბ რ ე ხ ე რ ო ბ ი ს ფაქტის წინაშე გაჩუმება დანაშაული იქნებოდა.

რაც უფრო სერიოზულია პრაქტიკული საკითხი, რაც უფრო პასუხისმგებელი და «გამოჩენილი» არიან შტრეიკბრე-ხერობის ჩამდენი პირები, მით უფრო საშიშია იგი, მით უფრო დაუნდობლად უნდა განვდევნოთ შტრეიკბრეხერები, მით უფრო მიუტევებელი იქნებოდა მერყეობა შტრეიკბრეხე-რის თუნდაც წარსულ «დამსახურებათა» გამო.

აბა ჩაუფიქრდით! პარტიულმა წრეებმა იციან, რომ პარ-ტია უკვე სექტემბრიდან იხილავს აჯანყების საკითხს. არც ერთი ზემოხსენებული პირის არც ერთი წერილის ან ფურცლის შესახებ არავის არაფერი სმენია! ახლა კი, შეიძლება ითქვას, საბჭოების ყრილობის წინადღით, ორი ცნობილი ბოლ-შევიკი გამოდის უმრავლესობის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და, ცხა-დია, ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ-დ ე გ ა ც. ეს აშკარად არ არის ნათქვამი, და ეს საქმისათვის

უფრო მავნებელია, რადგან მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი უფრო საშიშია.

კამენევისა და ზინოვიევის განცხადების ტექსტიდან სავსებით ცხადია, რომ მათ გაილაშქრეს ც. კ-ის წინააღმდეგ, ვინაიდან უამისოდ მათი განცხადება უაზროა, მაგრამ იქ ნათქვამი არ არის, ც. კ-ის სახელდობრ რ ო მ ე ლ ი დადგენილება მიაჩნიათ მათ სადავოდ.

რატომ?

ცხადია, იმიტომ, რომ ეს დადგენილება ც. კ-ს არ გამოუქვეყნებია.

მერე რა გამოდის?

უმნიშვნელოვანეს საბრძოლო საკითხზე, 20 ოქტომბრის კრიზისული დღის წინ, ორი «ცნობილი ბოლშევიკი» **არა**პარტიულ პრესაში და ამასთანავე სწორედ ისეთ გაზეთში, **რ**ომელიც ამ საკითხში მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ს თ ა ნ ხ ე ლ ი ხ ე ლ ჩ ა კ ი დ ე ბ უ ლ ი მიდის, ამნაირ გაზეთში თავს ესხმის პარტიის ცენტრის გ ა მ ო უ ქ ვ ე ყ ნ ე ბ ე ლ გადაწყვეტილებას!

ეს ხომ ათასჯერ უფრო ფლიდურია და **მილიონჯერ უფრო მავნებელია** თუნდაც 1906 — 1907 წლებში უპარტიო პრესაში პლეხანოვის ყველა იმ გამოსვლაზე, რომელიც ასე მკაცრად დაჰგმო პარტიამ! მაშინ ხომ საქმე მხოლოდ არჩევნებს ეხებოდა, ახლა კი საქმე ეხება აჯანყებას ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის!

და ასეთ საკითხზე, ცენტრის მიერ გადაწყვეტილების მიღების შ ე მ დ ე გ, სადავოდ გამოცხადება როძიანკოების და კერენსკების წინაშე არაპარტიულ გაზეთში ცენტრის ამ გ ა მ ო უ ქ ვ ე ყ ნ ე ბ ე ლ ი გადაწყვეტილებისა — შეიძლება განა ამაზე უფრო მოღალატური, ამაზე უფრო შტრეიკბრეხერული საქციელის წარმოდგენა?

მე სამარცხვინოდ მივიჩნევდი ჩემთვის, რომ ამ ყოფილი ამხანაგებისადმი წარსული სიახლოვის გამო მათ დაგმობაში მერყეობა გამომეჩინა. მე პირდაპირ ვაცხადებ, რომ ორივე ისინი ამხანაგებად აღარ მიმაჩნია და მთელი ძალ-ღონით ვიბრ-

ძოლებ ც. კ-შიც და ყრილობაზედაც პარტიიდან ორივეს გასარიცხავად.

ვინაიდან მუშათა პარტიას, რომელსაც ცხოვრება სულ უფრო და უფრო ხშირად აყენებს აჯანყების პირისპირ, არ ძალუძს ამ ძნელი ამოცანის გადაჭრა, თუკი ცენტრის გამოუქვეყნებელ დადგენილებებს, მათი მიღების შემდეგ, სადავოდ ხდიან არაპარტიულ პრესაში და მებრძოლთა რიგებში მერყეობა და შფოთი შეაქვთ.

დაე ბბ. ზინოვიევმა და კამენევმა დააარსონ საკუთარი პარტია რამდენიმე ათეული გზააბნეული ადამიანისა ან დამფუძნებელი კრების კანდიდატებისაგან. მუშები ასეთ პარტიაში არ შევლენ, ვინაიდან მისი პირველი ლოზუნგი იქნება:

> «ცეკისტებს, რომლებიც დამარცხდებიან ც. კ-ის სხდომაზე გადამწყვეტი ბრძოლის საკითხში, ნება ეძლევათ გამოვიდნენ არაპარტიულ პრესაში პარტიის გამოუქვეყნებელი დადგენილებების წინააღმდეგ გასალაშქრებლად».

დაე აშენონ მათ ა ს ე თ ი პარტია; ჩვენი ბოლშევიკური მუშათა პარტია ამით მხოლოდ მოიგებს.

როდესაც ყველა დოკუმენტი გამოქვეყნდება, ზინოვიევისა და კამენევის შტრეიკბრეხერობა გაცილებით უფრო ნათელი გახდება. ჯერჯერობით კი მუშების წინაშე დაე დადგეს საკითხი:

> «ვთქვათ, სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირის გამგეობამ გადაწყვიტა, ერთი თვის მსჯელობის შემდეგ და 80 პროცენტზე მეტი უმრავლესობით, რომ საჭიროა გაფიცვის მომზადება, მაგრამ არც ვადა, არც სხვა რაიმე ჯერ არ იქნეს გამოქვეყნებული. ვთქვათ, ორი წევრი ყალბად ამოეფარა «განსაკუთრებულ აზრს» და გადაწყვეტილების შ ე მ დ ე გ წერილების წერა დაიწყეს არათუ ადგილობრივ ჯგუფებში გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ, არამედ თავისი წერილების გამოქვეყნებაც კი დაუშვეს **არა**პარტიულ გაზეთებში. ვთქვათ,

ბოლოს, ისინი თვითონაც თავს დაესხნენ არაპარტიულ გაზეთებში გადაწყვეტილებას, თუმცა იგი ჯერ არ გამოუქვეყნებიათ, და კაპიტალისტების წინაშე დაიწყეს გაფიცვის გაკიცხვა.

იბადება კითხვა, შეყოყმანდებიან განა მუშები თავიანთი წრიდან ასეთი შტრეიკბრეხერები გარიცხონ?»

* * *

რაც შეეხება აჯანყების საკითხის მდგომარეობას ახლა, როცა 20 ოქტომბრამდე ასე ახლოსაა, მე შორიდან არ შემიძლია განვსაჯო, სახელდობრ რამდენად გააფუჭა საქმე შტრეიკბრეხერულმა გამოსვლამ არაპარტიულ პრესაში. უეჭველია, პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ვნება ძალიან დიდია მიყენებული. საქმის გამოსასწორებლად უწინარეს ყოვლისა საჭიროა ბოლშევიკური ფრონტის ერთიანობის აღდგენა შტრეიკბრეხერების გარიცხვით.

აჯანყების საწინააღმდეგო იდეური მოსაზრებების სისუსტე მით უფრო ცხადი იქნება, რაც უფრო აშკარად გამოვამზეურებთ მათ. ამ დღეებში ამის შესახებ სტატია გავუგზავნე «რაბოჩიი პუტს», და თუ რედაქცია შეუძლებლად მიიჩნევს მის მოთავსებას, პარტიის წევრები მას, ალბათ, ხელნაწერში გაეცნობიან *.

ეს, უკაცრავად პასუხია, «იდეური» მოსაზრება სულ ორია: პირველი, დამფუძნებელი კრების «ლოდინი». დავუცადოთ, იქნებ როგორმე გავძლოთო, — აი მთელი მოსაზრება. ეგებ შიმშილობით, ნგრევით, ჯარისკაცთა მოთმინების გამოლევით, როძიანკოს მიერ გერმანელებისათვის პიტერის დათმობისაკენ გადადგმული ნაბიჯებით, ლოკაუტებით იქნებ როგორმე . გავძლოთო.

ეგებ და იქნებ — აი მთელი ძალა ამ მოსაზრებისა.

მეორე, მყვირალა პესიმიზმი. ბურჟუაზიასა და კერენსკის ყველაფერი ჩინებულად აქვთ, ჩვენ კი ცუდად. კაპიტალის-

* იხ. ეს ტომი, გვ. 222 — 246. რ ე ო.

ტებს ყველაფერი საუცხოოდ აქვთ მომზადებული, მუშებს კი — ყველაფერი ცუდად. საქმის სამხედრო მხარის შესახებ «პესიმისტები» რაც ძალი და ღონე აქვთ გაჰყვირიან, «ოპტიმისტები» კი დუმან, რადგან როძიანკოსა და კერენსკის წინაშე რაიმეს გადმოლაგება, გარდა შტრეიკბრეხერებისა, არა მგონია ვინმესთვის სასიამოვნო იყოს.

ძნელი დროა. მძიმე ამოცანაა. მძიმე ღალატია.

ამოცანა კი მაინც გადაწყვეტილი იქნება, მუშები დაირაზმებიან, გლეხთა აჯანყება და ფრონტზე ჯარისკაცთა უკიდურესი მოუთმენლობა თავისას გაიტანს! უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ რიგები, — პროლეტარიატმა უნდა გაიმარჯვოს!

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1917 წ. 18 (31) ოქტომბერს

პირველად დაიბეჭდა 1927 წ. 1 ნოემბერს გაზეთში «პრავდა» № 250

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ჩვენი პარტიის ამოცანები ინტერნაციონალში

(ციმერვალდის III კონფერენციის გამო.[55])

«რაბოჩიი პუტის» 22-ე ნომერში 28 სექტემბერს დაიბეჭდა ციმერვალდის III კონფერენციის მანიფესტი. თუ არ ვცდებით, იგი მოთავსებული იყო კიდევ მხოლოდ მენშევიკ-ინტერნაციონალისტების გაზეთში «ისკრა»[56], № 1, 26 სექტემბერს, და დამატებით სულ მოკლედ აღნიშნული იყო ციმერვალდის III კონფერენციის შემადგენლობა და კონფერენციის თარიღი (20 — 27 აგვისტო ახალი სტილით); სხვა გაზეთებში კი არც მანიფესტი დაბეჭდილა და არც რამდენადმე დაწვრილებითი ცნობები კონფერენციის შესახებ.

ამჟამად ჩვენს ხელთაა ზოგიერთი მასალა ამ კონფერენციის შესახებ — სტატია შვეციის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების გაზეთიდან «**Politiken**» (ეს სტატია გადათარგმნილი იყო ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოში «**Työmies**»)[57] და ორი წერილობითი ცნობა ერთი პოლონელი და ერთი რუსი ამხანაგისა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კონფერენციაში. ჯერ გიამბობთ, ამ ცნობებზე დაყრდნობით, საერთოდ კონფერენციის შესახებ, შემდეგ კი გადავალთ მის შეფასებაზე და ჩვენი პარტიის ამოცანების შეფასებაზე.

I

კონფერენციას დაესწრნენ შემდეგი პარტიებისა და ჯგუფების წარმომადგენლები: 1) გერმანიის «დამოუკიდებელი» სოციალ-დემოკრატიული პარტიისა («კაუცკელები»); 2) შვეიცარიის პარტიისა; 3) შვეციის მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე პარტიისა (რომელმაც, როგორც ვიცით, ყოველგვარი კავშირი გაწყვიტ-

ბრანტინგის ოპორტუნისტულ პარტიასთან); 4) ნორვეგიელებისა და 5) დანიელებისა (ჩვენს მასალაში არ არის აღნიშნული, ლაპარაკი ხომ არ არის დანიის ოფიციალურ, ოპორტუნისტულ პარტიაზე მინისტრ სტაუნინგის მეთაურობით); 6) ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა; 7) რუმინელებისა; 8) რსდმ პარტიისა (ბოლშევიკებისა); 9) რსდმ პარტიისა (მენშევიკებისა) (პანინმა წერილობით განაცხადა, მონაწილეობას ვერ მივიღებო და ამას იმით ასაბუთებდა, რომ კონფერენცია სრული არ არისო; აქსელროდი კი ხანდახან ესწრებოდა სხდომებს, მ ა გ რ ა მ მ ა ნ ი ფ ე ს ტ ზ ე ხ ე ლ ი ა რ მ ო უ წ ე რ ი ა); 10) მენშევიკ-ინტერნაციონალისტებისა; 11) ამერიკის «ქრისტიანი სოციალისტ-ინტერნაციონალისტების» (?) ჯგუფისა; 12) ამერიკის «სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის ჯგუფისა» (ყველაფრით ჩანს, ეს სწორედ ის ჯგუფი უნდა იყოს, რომელიც ნახსენებია ჩემს ბროშურაში «პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში (პროლეტარული პარტიის პლატფორმის პროექტი)», გვ. 24 *, რადგან სწორედ ამ ჯგუფმა დაიწყო 1917 წლის იანვარში გაზეთ «ინტერნაციონალის» გამოცემა); 13) «სამხარეო გამგეობით» გაერთიანებული პოლონელი სოციალ-დემოკრატებისა, 14) ავსტრიის ოპოზიციისა («კარლ მარქსის კლუბი», რომელიც დახურა ავსტრიის მთავრობამ ფრიდრიხ ადლერის მიერ შტიურგკის მოკვლის შემდეგ; ეს კლუბი მოხსენებული მაქვს იმავე ბროშურაში 25-ე გვ. **); 15) ბულგარეთის «დამოუკიდებელი პროფესიული კავშირებისა» (რომლებიც მიეკუთვნებოდნენ, როგორც დასძენს ჩემს ხელში არსებული წერილის ავტორი, არა «ტესნიაკებს», ე. ი. ბულგარეთის არა მემარცხენე, ინტერნაციონალისტურ, პარტიას, არამედ «შიროკებს», ე. ი. ბულგარეთის ოპორტუნისტულ პარტიას); ეს წარმომადგენელი ჩამოვიდა უკვე კონფერენციის დამთავრების შემდეგ, ისე როგორც 16) სერბიის პარტიის წარმომადგენლები.

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 75. რ ე დ.

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც, ტომი 24, გვ. 76. რ ე დ.

ამ 16 პარტიიდან და ჯგუფიდან იმ «მესამე» მიმდინარეობას, რომელზედაც ლაპარაკია 1917 წლის 24 — 29 აპრილის ჩვენი კონფერენციის რეზოლუციაში (და ჩემს ბროშურაშიც, გვ. 23 *, სადაც ამ მიმდინარეობას ეწოდება «საქმით ინტერნაციონალისტების» მიმდინარეობა), მიეკუთვნება ნომრები მე-3, 8, 12, 13 და 14; შემდეგ ამ «მემარცხენე» მიმდინარეობასთან ახლოსაა, ან მასსა და კაუცკელების «ცენტრს» შუა არიან მე-4 და 16 ჯგუფები, თუმცა მათი პოზიციის ზუსტად გარკვევა ძნელია, — შესაძლოა, ისინი «ცენტრსაც» კი ეკუთვნოდნენ. შემდეგ, ჯგუფი 1, და ალბათ მე-2, 6 და 7, ჯგუფი მე-10, და ალბათ მე-15, მიეკუთვნებიან კაუცკიანურ «ცენტრს». ჯგუფები მე-5 (თუ ეს — სტაუნინგის პარტიაა) და მე-9 მიეკუთვნებიან ობორონცებს, მინისტერიალისტებს, სოციალ-შოვინისტებს. ბოლოს, ჯგუფი მე-11, აშკარად, სავსებით შემთხვევითია.

აქედან ჩანს, რომ კონფერენციის შემადგენლობა მეტისმეტად ჭრელი იყო, — შეუსაბამოც კი, რადგან შეკრებილან ისეთი ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ა რ ეთანხმებიან ძ ი რ ი თ ა დ შ ი, ამიტომაც ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ იმოქმედონ მართლაც შეთანხმებულად, მართლაც ერთობლივად, ადამიანები, რომლებიც უეჭველად არ ეთანხმებიან ერთმანეთს თავიანთი პოლიტიკის ძ ი რ ი თ ა დ მიმართულებაში. ბუნებრივია, რომ ასეთ ადამიანთა «თანამშრომლობის» «ნაყოფია» ან ლანძღვა-გინება და «კინკლაობა», ანდა მოქნილი, კომპრომისული, სიმართლის დასაფარავად დაწერილი რეზოლუციები. ამის მაგალითებს და დამამტკიცებელ საბუთებს ახლავე დავინახავთ... **

დაწერილია 1917 წ. ოქტომბერში

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს ლენინის კრებულში VII

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 73 — 77. რ ე დ.

** აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

წერილი რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო!

პარტია, რომელიც პატივს სცემს თავის თავს, ვერ მოითმენს თავის წრეში შტრეიკბრეხერობასა და შტრეიკბრეხერებს. ეს ცხადია. ხოლო რამდენადაც უფრო მეტს უფიქრდები არაპარტიულ პრესაში ზინოვიევისა და კამენევის გამოსვლას, მით უფრო უდავო ხდება, რომ მათი საქციელი სრულ შტრეიკბრეხერობას შეიცავს. პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე კამენევის თავისდაძვრენა — ეს რაღაც აშკარა სიფლიდეა; ის, თურმე ნუ იტყვით, სავსებით ეთანხმება ტროცკის. მაგრამ ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ ტროცკის ა რ შ ე ე ძ ლ ო, უფლება არ ჰქონდა, არ უნდა ეთქვა მტრების წინაშე იმაზე მეტი, რაც თქვა. ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ა პარტიისა, რომელმაც მტერს დაუმალა თ ა ვ ი ს ი გადაწყვეტილება (შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობაზე, იმაზე, რომ აჯანყება სავსებით მომწიფებულია, ყოველმხრივ მომზადებაზე და სხვ.), რომ ეს გადაწყვეტილება გ ვ ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ს საჯარო გამოსვლების დროს არათუ ბრალი, არამედ თაოსნობაც მოწინააღმდეგეს მივაწეროთ. მხოლოდ ბალღები თუ ვერ მიხვდებიან ამას. კამენევის თავისდაძვრენა პირდაპირ გაიძვერობაა. იგივე უნდა ითქვას ზინოვიევის თავისდაძვრენაზეც. ყოველ შემთხვევაში მის «თავის გასამართლებელ» წერილზე (მგონი, ცენტრალურ ორგანოში), წერილზე, რომლის გარდა სხვა არაფერი მინახავს (ვინაიდან განსაკუთრებული აზრი, ვითომდა

განსაკუთრებული აზრი. რაზედაც გაჰკივის ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი პრესა, მე, ც. კ-ის წევრს, ა ქ ა მ დ ე არ მინახავს). ზინოვიევის «მოსაზრებებიდან»: ლენინი თავის წერილებს არიგებდა «რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე», და თქვენ პროტესტი არ გაგიცხადებიათო. სიტყვასიტყვით ასე წერს ზინოვიევი და ოთხმაგად ხაზს უსვამს სიტყვას «მ ი ღ ე ბ ა მ დ ე». ნუთუ ძნელია იმის გაგება, რომ ცენტრის მიერ გაფიცვის საკითხზე გადაწყვეტილების მ ი ღ ე ბ ა მ დ ე შეიძლება აგიტაცია მის დასაცავადაც და მის წინააღმდეგაც, ხოლო გაფიცვის სასარგებლოდ გადაწყვეტის შ ე მ დ ე გ (დამატებითი გადაწყვეტილების შემდეგ — დავუმალოთ ეს მტერს), ამის შემდეგ გაფიცვის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევა შტრეიკბრეხერობაა? ყოველი მუშა მიხვდება ამას. შეიარაღებული აჯანყების საკითხი იხილებოდა ცენტრში სექტემბრიდან. აი როდის შეეძლოთ ზინოვიევსა და კამენევს და კიდევაც უ ნ დ ა გამოსულიყვნენ წერილობით, რათა ყ ვ ე ლ ა ს, მათს საბუთებს რომ გაიცნობდნენ, ყ ვ ე ლ ა ს შეეფასებინა მათი სრული დაბნეულობა. პარტიას უმალავდე გადაწყვეტილების მ ი ღ ე ბ ა მ დ ე მთელი თვის განმავლობაში საკუთარ შეხედულებებს და განსაკუთრებულ აზრს გზავნიდე გადაწყვეტილების მიღების შ ე მ დ ე გ — ნიშნავს შტრეიკბრეხერი იყო.

ზინოვიევი თავს იკატუნებს, თითქოს არ ესმოდეს ეს განსხვავება, არ ესმოდეს, რომ გაფიცვის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ცენტრის გადაწყვეტილების შემდეგ, მხოლოდ შტრეიკბრეხერებს შეუძლიათ აგიტაცია გასწიონ დაბალი ინსტანციების წინაშე გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ყოველი მუშა მიხვდება ამას.

ხოლო ზინოვიევი სწორედ აგიტაციას ეწეოდა და ცენტრის გადაწყვეტილებებს შლიდა როგორც კვირის კრებაზე, სადაც მან და კამენევმა ვერც ერთი ხმა ვერ მიიღეს, ისე თავის ახლანდელ წერილში. ვინაიდან ზინოვიევს ჰყოფნის ურცხვობა ამტკიცოს: «პარტიას არ დაკითხებიან», რომ ასეთი საკითხები «არ შეიძლება ათმა კაცმა გადაწყვიტოსო».

ერთი ჩაუფიქრდით. ყველა ცეკისტმა იცის, რომ გადაწყვეტ კრებას ც. კ-ის ათ წევრზე მეტი დაესწრო, რომ პ ლ ე ნ უ-მ ი ს უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა დაესწრო, რომ თვით კამენევმა ამ კრებაზე განაცხადა: «ეს კრება გადამწყვეტია», რომ ც. კ-ის იქ არმყოფი წევრების შესახებ დანამდვილებით ვიცოდით, რომ მათი უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა არ ე თ ა ნ ხ მ ე-ბ ა ზინოვიევსა და კამენევსო. და აი, ც. კ-ის გადაწყვეტილების შ ე მ დ ე გ იმ კრებაზე, რომელიც კამენევმაც კ ი გ ა-დ ა მ წ ყ ვ ე ტ ა დ აღიარა, ც. კ-ის წევრს ჰყოფნის თავხედობა დაწეროს: «პარტიას არ დაკითხებიანო». «ასეთი საკითხები არ შეიძლება ათმა კაცმა გადაწყვიტოსო»; ეს სრული შტრეიკბრეხერობაა. პარტიის ყრილობამდე საკითხებს ც. კ. წყვეტს. ც. კ-მა გადაწყვიტა. კამენევმა და ზინოვიევმა, რომლებიც გადაწყვეტილების მ ი ღ ე ბ ა მ დ ე წერილობით არ გამოსულან, ს ა დ ა ვ ო დ გამოაცხადეს ც. კ-ის გადაწყვეტილება მისი გამოტანის შ ე მ დ ე გ.

ეს სრული შტრეიკბრეხერობაა. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ყოველგვარი შედავება შ ე უ წ ყ ნ ა რ ე ბ ე-ლ ი ა, რაკი საქმე გაფიცვის დაუყოვნებლივ და ს ა ი დ უ მ-ლ ო მომზადებას ეხება. ზინოვიევს ჰყოფნის თავხედობა ჩ ვ ე ნ დაგვაბრალოს ახლა «მოწინააღმდეგის გაფრთხილება». აქვს თუ არა ურცხვობას საზღვარი? მართლაცდა, ვინ გააფუჭა საქმე, ვინ ჩაშალა გაფიცვა «მოწინააღმდეგის გაფრთხილებით», თუ არა იმ ადამიანებმა, რომლებიც ა რ ა პ ა რ-ტ ი უ ლ პრესაში გამოვიდნენ?

გაზეთში, რომელიც ა მ საკითხში მთელ ბურჟუაზიასთან ერთად არის, პარტიის «გადამწყვეტი» დადგენილების წ ი ნ ა-ა ღ მ დ ე გ გამოსვლა!

თუ ეს შესაწყნარებელია, მაშინ პარტია შეუძლებელია, პარტია განადგურებულია.

«განსაკუთრებული აზრი» უწოდო იმას, რასაც შეიტყობს და ბეჭდავს ბაზაროვი არაპარტიულ გაზეთში — ეს პარტიის აბუჩად აგდებას ნიშნავს.

კამენევისა და ზინოვიევის გამოსვლა არაპარტიულ პრესაში განსაკუთრებით ფლიდური იყო კიდევ იმიტომ, რომ პარტიას არ შეუძლია აშკარად უარყოს მათი თ ა ღ ლ ი თ უ რ ი ს ი ცრ უ ე: მე არ ვიცი გადაწყვეტილებანი ვადის შესახებო, წერს და ბეჭდავს თავისი და ზინოვიევის სახელით კამენევი. (ასეთი განცხადების შემდეგ ზინოვიევი სავსებით პასუხისმგებელია კამენევის ყველა გამოსვლისა და საქციელისათვის.)

როგორ შეუძლია ც. კ-ს ამის უარყოფა?

ჩვენ არ შეგვიძლია კაპიტალისტებს სიმართლე ველაპარაკოთ, სახელდობრ ის, რომ გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ი გვაქვს გაფიცვა და გადაწყვეტილი გვაქვს საამისო მ ო მ ე ნ ტ ი ს ა მ ო რ ჩ ე ვ ა დ ა ვ მ ა ლ ო თ.

ჩვენ არ შეგვიძლია უარვყოთ ზინოვიევისა და კამენევის თაღლითური სიცრუე ისე, რომ ს ა ქ მ ე ს კ ი დ ე ვ უ ფ რ ო მ ე ტ ა დ ა რ ვ ა ვ ნ ო თ. ორივე ამ პიროვნების განუსაზღვრელი ფლიდობა, ნამდვილი მოღალატეობა სწორედ ისაა, რომ კაპიტალისტებს მათ გაუმჟღავნეს გაფიცულთა გეგმა, ვინაიდან, რაკი პრესაში ჩვენ ვდუმვართ, ყველა მიხვდება, თუ რ ო გ ო რ ი ა საქმის ვითარება.

კამენევმა და ზინოვიევმა როძიანკოსა და კერენსკის გ ა უ მ ჟ ღ ა ვ ნ ე ს თავიანთი პარტიის ც. კ-ის გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების შესახებ და ის, რომ მტრისათვის დაგვემალა შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება, შეიარაღებული აჯანყებისათვის ვადის ამორჩევა. ეს ფაქტია. ვერავითარი თავისდაძვრენა ვერ უარყოფს ამ ფაქტს. ც. კ-ის ორმა წევრმა თაღლითური სიცრუით კაპიტალისტებს გ ა უ მ ჟ ღ ა ვ ნ ე ს მუშების გადაწყვეტილება. ამის პასუხი შეიძლება და კიდევაც უნდა იყოს მხოლოდ ერთი: ც. კ-ის დაუყოვნებლივი გადაწყვეტილება:

«აღიარებს რა ზინოვიევისა და კამენევის არაპარტიულ პრესაში გამოსვლას სრულ შტრეიკბრეხერობად, ც. კ. რიცხავს ორივეს პარტიიდან».

ჩემთვის ადვილი როდია ამის დაწერა ჩემს ყოფილ ახლო ამხანაგებზე, მაგრამ მერყეობა აქ დანაშაულობად მიმაჩნია,

რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში რევოლუციონერთა პარტია, რომელიც არ სჯის გამოჩენილ შტრეიკბრეხერებს, დ ა ღ უ პ ულ ი ა.

შეიარაღებული აჯანყების საკითხი, თუნდაც იგი კარგა ხნით გადადეს როძიანკოსა და კერენსკისათვის საქმის გამმჟღავნებელმა შტრეიკბრეხერებმა, მ ო ხ ს ნ ი ლ ი არ არის, არ არის მოხსნილი პარტიის მიერ. როგორ შეიძლება შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება და მისი მომზადება, თუ ჩვენს წრეში მ ო ვ ი თ მ ე ნ თ «გამოჩენილ» შტრეიკბრეხერებს? რაც უფრო გამოჩენილია, მით უფრო ს ა შ ი შ ი ა, მით უფრო შეუწყნარებელია «პატიება». **On n'est trahi que par les siens**, ამბობენ ფრანგები. მოღალატე მხოლოდ თ ა ვ ი ს ი ა ნ ი შეიძლება გახდეს.

რაც უფრო «გ ა მ ო ჩ ე ნ ი ლ ი» არიან შტრეიკბრეხერები, მით უფრო სავალდებულოა დაუყოვნებლივ მათი დასჯა გარიცხვით.

მხოლოდ ასე შეიძლება მუშათა პარტიის გაჯანსაღება, ათიოდე უნებისყოფო ინტელიგენტისგან განთავისუფლება, რევოლუციონერთა რიგების შემჭიდროებით დიდ და უდიდეს სიძნელეთა პირისპირ შეხვედრა, რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ მ უ შ ე ბ თ ა ნ ე რ თ ა დ სვლა.

ჩვენ არ შეგვიძლია სიმართლის გამოქვეყნება: რომ ც. კ-ის გადამწყვეტი კრების შ ე მ დ ე გ ზინოვიევსა და კამენევს ეყოთ თავხედობა კვირის სხდომაზე საკითხის გ ა დ ა ს ი ნ ჯ ვ ა მოეთხოვათ, რომ კამენევი ურცხვად ჰყვიროდა: «ც. კ. ჩავარდა, ვინაიდან ერთი კვირის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია» (ამის უარყოფა მ ე ა რ შემეძლო, რადგან არ შეიძლება თქმა, ს ა ხ ე ლ დ ო ბ რ რ ა გ ა კ ე თ დ ა), ზინოვიევი კი გულუბრყვილო სახით გვაჩეჩებდა კრების მიერ უკუგდებულ რეზოლუციას: «არ გამოვიდეთ იმ ბოლშევიკებთან მოთათბირებამდე, რომლებიც საბჭოების ყრილობაზე უნდა ჩამოვიდნენ 20 ოქტომბერს».

ერთი ჩაუფიქრდით: ც ე ნ ტ რ ი ს მიერ გაფიცვის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ წინადადებას აძლევდე ქვედა-

ფენების კრებას გადადონ ეს საკითხი (20 ოქტომბრის ყრილობისთვის, შემდეგ კი ყრილობა გადადეს... ზინოვიევებს ლიბერდანებისა სჯერათ) და გადასცენ ი ს ე თ კოლეგიას, რომელსაც პარტიის წესდება არ იცნობს, რომელიც ც. კ-ს ვ ე რ უბრძანებს, რომელიც პიტერს ა რ იცნობს.

და ამის შემდეგ ზინოვიევს კიდევ ჰყოფნის თავხედობა, რომ წეროს: «ასე როდი განამტკიცებენ პარტიის ერთიანობას».

ინებეთ და უწოდეთ ამას სხვა რამ, თუ არა გათიშვით დამუქრება.

მე ასეთ მუქარაზე ვუპასუხებ: ამ საქმეს ბოლომდე მივყვები, მუშების წინაშე სიტყვის თავისუფლებას მოვიპოვებ და, რ ა დ ა ც უ ნ დ ა დ ა ჯ დ ე ს, სამარცხვინო ბოძზე გავაკრავ შტრეიკბრეხერ ზინოვიევს, როგორც შტრეიკბრეხერს. გათიშვით დამუქრებაზე მე ვუპასუხებ ბოლომდე ომის გამოცხადებით, პარტიიდან ორივე შტრეიკბრეხერის გარიცხვის მოთხოვნით.

პროფესიული კავშირის გამგეობამ ე რ თ ი თ ვ ი ს დებატების შემდეგ გადაწყვიტა: გაფიცვა გარდუვალია და მომწიფებული, ვადა მეპატრონეებს დავუმალოთო. ამის შემდეგ გამგეობის ორი წევრი მიდის ქ ვ ე დ ა ფ ე ნ ე ბ შ ი, სადავოდ აცხადებს გადაწყვეტილებას, მაგრამ მარცხდება. მაშინ ეს ორნი გამოდიან პრესაში კაპიტალისტების წინაშე და თაღლითური სიცრუით ამყლავნებენ გამგეობის გადაწყვეტილებას, სანახევროდ შლიან ამით გაფიცვას ანდა ახერხებენ მის გადადებას უფრო ცუდი დროისათვის, აფრთხილებენ რა მტერს.

აი სრული შტრეიკბრეხერობა. აი რატომ მოვითხოვ ორივე შტრეიკბრეხერის გარიცხვას და ვიტოვებ უფლებას (ვინაიდან ისინი გათიშვით იმუქრებიან) ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი გამოვაქვეყნო, როდესაც გამოქვეყნება შესაძლებელი იქნება.

დაწერილია 1917 წ. 19 ოქტომბერს (1 ნოემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1927 წ. 1 ნოემბერს გაზეთში «პრავდა» № 250

იბეჭდება საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი ასლის მიხედვით

გლეხების ახალი მოტყუება ესერების პარტიის მიერ

ესერების პარტიამ დიდის ამბით და საქვეყნოდ განაცხადა თავისი ცენტრალური გაზეთის «დელო ნაროდას» 18 და 19 ოქტომბრის ნომრებში, რომ მიწათმოქმედების მინისტრის ახალი მიწის კანონპროექტით «დიდი ნაბიჯია გადადგმული პარტიის აგრარული პროგრამის განხორციელებისაკენ», რომ «პარტიის ცენტრალური კომიტეტი დაჟინებით ურჩევს ყველა პარტიულ ორგანიზაციას ენერგიული აგიტაცია გაა-ჩაღონ კანონპროექტის სასარგებლოდ და პოპულარული გახადონ იგი მასებში».

ნამდვილად კი მინისტრ ს. ლ. მასლოვის, ესერების პარტიის წევრის, ეს კანონპროექტი, რომლის მთავარი ნაწილები გადაბეჭდილია «დელო ნაროდაში» — გ ლ ე ხ ე ბ ი ს მ ო ტ ყ უ ე ბ ა ა. ესერების პარტიამ მოატყუა გლეხები: საკუთარი მიწის კანონპროექტიდან იგი გადაცოცდა «სამართლიანი შეფასების» და მიწის მემამულური საკუთრების შენარჩუნების მემამულურ, კადეტურ გეგმაზე. ესერების პარტიამ თავის ყრილობებზე რუსეთის პირველი (1905 წლის) და მეორე (1917 წლის) რევოლუციის დროს დიდის ამბით და საჯაროდ ვალდებულება იკისრა, მხარს დავუჭერ მემამულეთა მიწების კ ო ნ ფ ი ს კ ა ც ი ი ს, ე. ი. ამ მიწების გლეხების ხელში უ ს ა ს ყ ი დ ლ ო დ გადასვლის გლეხთა მოთხოვნასო. ბატონ ს. ლ. მასლოვის ახლანდელი პროექტით კი არათუ რჩება მიწის მემამულური საკუთრება, არამედ მიწის «საიჯარო»

ქირაც, «სამართლიანი» შეფასებით გაღებული გლეხების მიერ, მემამულეებს ეძლევათ.

ბატონ ს. ლ. მასლოვის ეს კანონპროექტი ესერების პარტიის სრული ღალატია გლეხების მიმართ, ამ პარტიის სრული გადასვლაა მემამულეთა მხარეზე. საჭიროა მთელი ძალის დაძაბვა, მთელი ძალ-ღონის გამოყენება, რომ რაც შეიძლება ფართოდ გავავრცელოთ გლეხებში ამ ჭეშმარიტების შეგნება.

18 ოქტომბრის «დელო ნაროდამ» დაბეჭდა ს. ლ. მასლოვის პროექტის 25 — 40 პარაგრაფი. აი ამ პროექტის ძირითადი და უმთავრესი მუხლები:

1) «დროებითს საიჯარო ფონდში», რომელიც არსდება, არ შედის მემამულეთა მთელი მიწა.

2) ამ ფონდში მემამულეთა მიწების ჩარიცხვას ახდენენ საადგილმამულო კომიტეტები, რომლებიც შექმნილია თავად ლვოვის მემამულური მთავრობის 1917 წლის 21 აპრილის კანონის მიხედვით.

3) გლეხთა საიჯარო ქირას მემამულეთა ამ მიწებისათვის აწესებენ საადგილმამულო კომიტეტები «წმინდა შემოსავლიანობის შესაბამისად» და, გადასახდელთა გამოკლებით, იგი ეძლევა «სათანადო მფლობელს», ესე იგი მემამულეს.

ეს არის გლეხების სამმაგი მოტყუება ესერების მიერ, ამიტომაც თვითეულ ამ სამ მუხლზე უფრო დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ.

გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს «იზვესტიის» 88-ე ნომერში, 19 აგვისტოს, დაიბეჭდა «სანიმუშო განაწესი, შედგენილი იმ 242 განაწესის საფუძველზე, რომლებიც დეპუტატებმა ჩამოიტანეს ადგილებიდან გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის 1-ლ ყრილობაზე პეტროგრადში 1917 წელს».

242 განაწესის ეს შენაჯამი, შესრულებული ადგილობრივ გლეხთა წარმომადგენლების მიერ, საუკეთესო მასალაა იმის გასარკვევად, თუ რა სურთ გლეხებს. და ეს შეჯამებული განაწესი სავსებით თვალსაჩინოდ

ამტკიცებს გლეხთა მოტყუებას ს. ლ. მასლოვისა და ესერების პარტიის პროექტით.

გლეხები მოითხოვენ მიწის კერძო საკუთრების უფლების გაუქმებას; მ თ ე ლ ი კერძომფლობელური და სხვა მიწების უსასყიდლოდ მთელი ხალხის კუთვნილებად გადაქცევას; «საჩვენებელ ნაკვეთებად» გადაქცევას მიწის იმ ნაკვეთებისას, სადაც მაღალკულტურიანი მეურნეობებია გაშენებული (ბაღები, პლანტაციები და სხვ.), მათ გადაცემას «მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს და თემთა სარგებლობაში»; მ თ ე ლ ი სამეურნეო ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის» კონფისკაციას და სხვ.

ასეა გამოხატული გლეხთა მოთხოვნები, ზუსტად და ნათლად, თვით გლეხების მიერ მიცემული 242 ადგილობრივი განაწესის საფუძველზე.

ესერების პარტიამ კი ამის ნაცვლად, შევიდა რა «კოალიციაში» (ე. ი. კავშირში ანუ შეთანხმებაში) ბურჟუაზიასთან (კაპიტალისტებთან) და მემამულეებთან, მონაწილეობა მიიღო რა კაპიტალისტებისა და მემამულეების მთავრობაში, ახლა შეადგინა პროექტი, რომელიც მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა ს ა კ უ თ რ ე ბ ა ს კ ი ა რ ს პ ო ბ ს, არამედ მემამულეთა მიწების მ ხ ო ლ ო დ ნ ა წ ი ლ ს გადასცემს დ რ ო ე ბ ი თ ს ს ა ი ჯ ა რ ო ფ ო ნ დ შ ი!!

ამ პროექტის მიხედვით, საიჯარო ფონდში ა რ შეიძლება ჩაირიცხოს ბაღები, პლანტაციები, ჭარხლის ნათესები და სხვა! საიჯარო ფონდში ა რ შეიძლება ჩაირიცხოს ის მიწები, რომლებიც საჭიროა «თვით მფლობელის, მისი ოჯახის, მოსამსახურეებისა და მუშების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე არსებული პირუტყვის შენახვის უზრუნველსაყოფად»!!

მაშასადამე, მდიდარ მემამულეს, რომელსაც შაქრის, კარტოფილის ქარხანა, ზეთსახდელი ქარხნები ან წისქვილები, ბაღები და პლანტაციები აქვს, რამდენიმე ასეული სული პირუტყვი და ათეულობით მოსამსახურე და მუშა ჰყავს, რჩება დ ი დ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ა და ა მ ა ს თ ა ნ

კაპიტალისტური მეურნეობა. აი რა თავხედურად, რა ურცხვად მოატყუა გლეხები ესერების პარტიამ!

პროექტის მიხედვით, მემამულურ, ანუ «კერძომფლობელურ», მიწებს საიჯარო ფონდში რიცხავენ საადგილმამულო კომიტეტები, რომლებიც შექმნილია 1917 წლის 21 აპრილის კანონის მიხედვით თავად ლვოვისა და კომპანიის მემამულური მთავრობის მიერ, მილიუკოვისა და გუჩკოვის, იმპერიალისტებისა და ხალხის მსაების მძარცველების იმ მთავრობის მიერ, რომელიც პეტროგრადის მუშებმა და ჯარისკაცებმა დაამარცხეს 20—21 აპრილის მოძრაობით, ე. ი. მთელი ნახევარი წლის წინათ.

გასაგებია, რომ ამ მემამულური მთავრობის კანონი საადგილმამულო კომიტეტების შესახებ სრულიადაც არ არის დემოკრატიული (სახალხო) კანონი. პირიქით, ამ კანონში მთელი რიგი უაღრესად აღმაშფოთებელი გადახვევებია დემოკრატიზმისაგან. მაგალითად, ამ კანონის § XI «საგუბერნიო საადგილმამულო კომიტეტებს უფლებას» ანიჭებს «შეაჩერონ სავოლოსტო და სამაზრო კომიტეტების გადაწყვეტილებანი, ვიდრე მთავარი საადგილმამულო კომიტეტი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდეს». კომიტეტები კი, ამ თაღლითურად დაწერილი მემამულური კანონის მიხედვით, ისეა შედგენილი, რომ სამაზრო კომიტეტი უფრო ნაკლებ დემოკრატიულია, ვიდრე სავოლოსტო, საგუბერნიო კომიტეტი უფრო ნაკლებ დემოკრატიულია, ვიდრე სამაზრო, მთავარი კომიტეტი უფრო ნაკლებ დემოკრატიულია, ვიდრე საგუბერნიო!

სავოლოსტო საადგილმამულო კომიტეტს მთლიანად ვოლოსტის მოსახლეობა ირჩევს. სამაზრო კომიტეტში კანონის მიხედვით შედის, მაგალითად, მომრიგებელი მოსამართლე, 5 წევრი «დროებითი აღმასრულებელი კომიტეტებისგან» (ახალი თვითმმართველობის მოწყობამდე). საგუბერნიო კომიტეტში საოლქო სასამართლოს წევრისა და მომრიგებელი მოსამართლის გარდა შედის აგრეთვე სამინისტროს წარმომადგენელიც, რომელსაც ნიშნავს მინისტრი, და სხვა. ხოლო მთავარ საადგილმამულო კომიტეტში შედის 27 წევრი

«დროებითი მთავრობის მიწვევით»! მასში შედის თითო წარმომადგენელი თერთმეტი პოლიტიკური პარტიისა, ამასთან უმრავლესობა (11-დან 6) მიცემული აქვთ კადეტებს და მათზე მარჯვნივ მდგომთ. აბა, განა ეს ლვოვის, შინგარიოვისა (კანონს ისინი აწერენ ხელს) და მათი მეგობრების თაღლითობა არ არის? განა ეს მემამულეების გულის მოსაგებად დემოკრატიზმის აბუჩად აგდება არ არის?

განა ეს სავსებით არ ადასტურებს ბოლშევიკების მრავალგზის განცხადებას, რომ გლეხობის ნების სწორად გამოხატვა და მისი განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ მშრომელთა მასების მიერ არჩეულ გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, ამასთან დეპუტატების შეცვლა მათ ყოველთვის შეუძლიათ?

ესერებმა, რომლებმაც გლეხთა შეუგნებელი ნდობის მეოხებით გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტში უმრავლესობა მოიპოვეს, უღალატეს გლეხებს, გასცეს გლეხთა საბჭოები, მემამულეთა მხარეზე გადავიდნენ და შეურიგდნენ მემამულე თავად ლვოვის კანონს საადგილმამულო კომიტეტების შესახებ. აი რა არის ესერების მიერ გლეხთა მეორე მთავარი მოტყუება.

და მით უფრო დაჟინებით უნდა გავიმეოროთ ჩვენ, მუშათა პარტიამ, ბოლშევიკების მოთხოვნა: სოფლად მთელი ძალაუფლება გლეხთა დეპუტატებისა და სოფლის მეურნეობის მუშათა დეპუტატების საბჭოებს!

გლეხთა განაწესები მოითხოვს მემამულეთა მიწების კონფისკაციას, უსასყიდლო განსხვისებას, ცხენთსაშენთა, კერძო ჯიშიანი მესაქონლეობისა და მეფრინველეობის კონფისკაციას, მაღალკულტურიანი ნაკვეთების გადაცემას სახელმწიფო სარგებლობაში, მემამულეთა ეკონომიების მთელი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის კონფისკაციას.

ამის ნაცვლად ესერი მინისტრის პროექტი გლეხებს უმასპინძლდება საჯარო ქირის შენარჩუნებით, რაც წინანდებურად მემამულის ჯიბეში მიდის!

«საიჯარო ქირა, — ნათქვამია ესერების პროექტის 33-ე პარაგრაფში, — შეაქვთ კომიტეტებში, რომლებიც» (ხაზინაში შესატან გადასახდელთა და სხვათა დაფარვის შემდეგ) «ნაშთს სათანადო მფლობელს გადასცემენ».

აი «სოციალისტ-რევოლუციონერებმა» როგორ მოატყუეს გლეხები მაღალფარდოვანი დაპირებებით და როგორ შეაჩეჩეს მათ ხელში მიწის კ ა დ ე ტ უ რ-მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი პროექტი!!

ეს გლეხების სრული მოტყუებაა.

კონფისკაციის გლეხური მოთხოვნებიდან აქ სრულიად აღარაფერი დარჩენილა. ეს არის არა კონფისკაცია მემამულური მიწათმფლობელობისა, არამედ მისი გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა «რესპუბლიკური» მთავრობის მიერ, რომელიც მემამულეებისთვის უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ს შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ა ს ინვენტარისაც, მიწისაც «მოსამსახურეებისა და მუშების» შესანახად, იმ მიწისაც, რომელიც «მფლობელის მიერ განკუთვნილია» (საკმარისი ყოფილა მხოლოდ «განკუთვნა»!!) «შაქრის ჭარხლის და სხვა ტექნიკურ კულტურათა დასათესად», ქ ი რ ა ს ა ც მთელი დანარჩენი მიწისათვის, რომელიც გადავა საიჯარო ფონდში. საადგილმამულო კომიტეტები ხდებიან ს ა ი ჯ ა რ ო ქ ი რ ი ს ა მ კ რ ე ფ ლ ე ბ ა დ ბატონ კეთილშობილ მიწათმფლობელთათვის!!

ესერები მემამულურ საკუთრებას კი არ სპობენ, არამედ განამტკიცებენ. მათი გადასვლა მემამულეთა მხარეზე, მათი ღალატი გლეხების მიმართ ახლა ცხადზე უცხადესად იჩენს თავს.

ნუ მოვატყუებინებთ თავს ვერაგ კადეტებს, კაპიტალისტებისა და მემამულეების ამ ერთგულ მეგობრებს. კადეტები ისე გვაჩვენებენ თავს, თითქოს ესერების პროექტი არაჩვეულებრივ «რევოლუციურად» მიაჩნიათ, და ყველა ბურჟუაზიულ გაზეთში ატეხილია ხმაური პროექტის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ყველგან მოთავსებულია შენიშვნები — ბურჟუაზიული მინისტრები (და, რა თქმა უნდა, კერენსკის მსგავსი მათი პირდაპირი მაჩანჩალები) «წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა ს» უწევენ

ასეთ «საშინელ» კანონპროექტსო. ყოველივე ეს არის კომედია, თამაში, ჯანჯლობა ვაჭრისა, რომელიც ხედავს ესერების უნებისყოფობას და იმედოვნებს კიდევ მეტი გამოსცანცლოს. ნამდვილად კი ს. ლ. მასლოვის პროექტი «მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი» პროექტია, რომელიც დაწერილია მემამულეებთან შ ე ს ა თ ა ნ ხ მ ე ბ ლ ა დ, მათ გ ა დ ა ს ა რ ჩ ე ნ ა დ.

როცა «დელო ნაროდა» აღნიშნულ ნომრებში ამ პროექტს უწოდებს «მიწის საუცხოო კანონპროექტს, რომლითაც იწყება (!) მიწის სოციალიზაციის (!!!) დიადი (!!) რეფორმა», ეს ნამდვილი შარლატნობაა. პროექტში არ არის არავითარი «სოციალიზაცია» (თუ არ ჩავთვლით «სოციალური» დახმარების გაწევას მემამულისთვის — უეჭველად იღებდეს საჯარო ქირას), სრულიად არაფერია «რევოლუციურ-დემოკრატიული», საერთოდ სრულიად არაფერია, გარდა ევროპულ ბ ურ ჟ უ ა ზ ი ულ რ ე ფ ო რ მ ა ტ ო რ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ჩვეულებრივი ირლანდიური ტიპის «რეფორმებისა» [58].

ვიმეორებთ, ეს არის პროექტი მემამულეების გ ა დ ა ს ა რ ჩ ე ნ ა დ, დაწყებული გლეხთა აჯანყების «დ ა ს ა ც ხ რ ო ბ ა დ» ისეთი უმნიშვნელო დათმობებით, რომლებიც უმთავრესს მემამულეებს უტოვებენ.

ესერების მიერ მთავრობაში ასეთი სამარცხვინო პროექტის შეტანა თვალსაჩინო გამოაშკარავებაა იმ გაუგონარი თვალთმაქცობისა, რომლითაც ბოლშევიკებს უსაყვედურებენ დამფუძნებელი კრების «ჩაშლას» საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის იმედით. «სულ რაღაც ორმოციოდე დღე დარჩენილა დამფუძნებელ კრებამდეო» — თვალთმაქცურად გაჰყვირიან კადეტები, კაპიტალისტები, მემამულეები, მენშევიკები და ესერები! ამ ხმაურში კი მთავრობაში შეაქვთ მიწის უდიდესი კანონპროექტი, რომლითაც ა ტ ყ უ ე ბ ე ნ გლეხებს, უ მ ო ნ ე ბ ე ნ მათ მემამულეებს, გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ მიწის მემამულურ საკუთრებას.

როდესაც საჭიროა გლეხთა გაძლიერებული აჯანყების წინააღმდეგ მემამულეებისთვის მხარისდაჭერა, მაშინ დამფუძნებელ

კრებამდე 40 დღით ადრეც და 30 დღით ადრეც «შ ე ი ძ ლ ე ბ ა» უდიდესი კანონპროექტი გააპარო.

ხოლო როდესაც საქმე მიდგება მთელი ძალაუფლების საბჭოებისთვის გადაცემაზე გლეხებისთვის მ თ ე ლ ი მიწის გ ა დ ა ს ა ც ე მ ა დ, მიწის მემამულური საკუთრების დ ა უ უ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ მოსასპობად, სამართლიანი ზავის წინადადების დ ა უ უ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ წამოსაყენებლად, — ოჰ, მაშინ კადეტები, კაპიტალისტები, მემამულეები, მენშევიკები და ესერები ერთსულოვნად იწყებენ ღმუილს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მაშ დაე იცოდნენ გლეხებმა, თუ როგორ მოატყუა ისინი ესერების პარტიამ, როგორ ვერაგულად ჩაუგდო მან გლეხები ხელში მემამულეებს.

დაე იცოდნენ გლეხებმა, რომ მხოლოდ მ უ შ ა თ ა პარტია, მხოლოდ ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი იცავენ თავგამოდებით და ბოლომდე უ ღ ა რ ი ბ ე ს ი გლეხობის და ყ ვ ე ლ ა მშრომელის ინტერესებს კაპიტალისტების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, მემამულეების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ.

დაწერილია 1917 წ.
20 ოქტომბერს (2 ნოემბერს)

დაიბეჭდა 1917 წ. 6 ნოემბერს
(24 ოქტომბერს) გაზეთში
«რაბოჩიი პუტ» № 44
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

წერილი ცენტრალური კომიტეტის წევრებს

ამხანაგებო!

ამ სტრიქონებს ვწერ 24-ს საღამოს, მდგომარეობა უაღრესად კრიზისულია. ცხადზე უცხადესია, რომ ახლა, ჭეშმარიტად, აჯანყების დაყოვნება სიკვდილს უდრის.

მთელი ძალ-ღონით ვარწმუნებ ამხანაგებს, რომ ახლა ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია, რომ დღის წესრიგში ისეთი საკითხები დგას, რომლებსაც თათბირები, ყრილობები (თუნდაც საბჭოების ყრილობები) კი არ წყვეტენ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ხალხები, მასა, შეიარაღებული მასების ბრძოლა.

კორნილოველთა ბურჟუაზიული შემოტევა, ვერხოვსკის გადაყენება ცხადყოფს, რომ ლოდინი შეუძლებელია. საჭიროა, რადაც უნდა დაჯდეს, ამ საღამოსვე, ამ ღამითვე დავაპატიმროთ მთავრობა, იარაღი ავყაროთ (დავამარცხოთ, თუ წინააღმდეგობა გაგვიწიეს) იუნკრებს და სხვ.

ლოდინი შეუძლებელია!! შეიძლება ყველაფერი დავკარგოთ!!

ხელისუფლების ახლავე აღების მიზანია: ხ ა ლ ხ ი ს (არა ყრილობის, არამედ ხალხის, არმიის და პირველ ყოვლისა გლეხების) დაცვა კორნილოვური მთავრობისაგან, რომელმაც გააგდო ვერხოვსკი და კორნილოვის მეორე შეთქმულება მოაწყო.

ვინ უნდა აიღოს ხელისუფლება?

ამას ახლა დიდი მნიშვნელობა არა აქვს: დაე იგი აიღოს სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა[59] «ან სხვა რომელიმე დაწესებულებამ», რომელიც განაცხადებს, რომ ხელისუფლებას გადასცემს მხოლოდ ხალხის ინტერესების, არმიის ინტერესების (მაშინვე ზავის წინადადების წამოყენება), გლეხთა ინტერესების (მიწა დაუყოვნებლივ უნდა ჩამოვართვათ, კერძო საკუთრება უნდა გავაუქმოთ), მშიერთა ინტერესების ნამდვილ წარმომადგენლებს.

საჭიროა ყველა რაიონი, ყველა პოლკი, მთელი ძალები ახლავე შეიკრიბონ და დაუყოვნებლივ დელეგაცია გაუგზავნონ სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს, ბოლშევიკების ცენტრალურ კომიტეტს, და დაჟინებით მოითხოვონ: არავითარ შემთხვევაში არ დაუტოვონ ხელისუფლება კერენსკისა და კომპანიას 25 ოქტომბრამდე, არავითარ შემთხვევაში; უეჭველად დღეს საღამოს ან ღამით უნდა გადაწყდეს საქმე.

ისტორია არ აპატიებს დაყოვნებას რევოლუციონერებს, რომლებსაც შეეძლოთ გაემარჯვნათ დღეს (და უეჭველად გაიმარჯვებენ დღეს), ხვალ კი შეიძლება ბევრი დაჰკარგონ, შეიძლება ყველაფერი დაჰკარგონ.

როცა დღეს ხელისუფლებას ვიღებთ, ვიღებთ მას არა საბჭოების წინააღმდეგ, არამედ მათთვის.

ხელისუფლების აღება აჯანყების საქმეა; აჯანყების პოლიტიკური მიზანი ხელისუფლების აღების შემდეგ გამოირკვევა.

დაღუპვა ან ფორმალობა იქნებოდა 25 ოქტომბრის მერყევი კენჭისყრის ლოდინი, ხალხს უფლება აქვს და ვალდებულიცაა ასეთი საკითხები გადაწყვიტოს არა კენჭისყრით, არამედ ძალით; ხალხს უფლება აქვს და ვალდებულიცაა რევოლუციის კრიზისულ მომენტებში თავის წარმომადგენლებს, თავის საუკეთესო წარმომადგენლებსაც კი უხელმძღვანელოს და არა ელოდოს მათ.

ეს დაამტკიცა ყველა რევოლუციის ისტორიამ, და უსაზღვრო დანაშაულს ჩაიდენდნენ რევოლუციონერები, თუ ხელიდან გაუშვებდნენ მომენტს, როცა იციან, რომ მათზეა დამოკიდებული რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ხ ს ნ ა, ზავის წინადადების

წამოყენება, პიტერის ხსნა, შიმშილისგან ხსნა, მიწის გადაცემა გლეხებისთვის.

მთავრობა მერყეობს. ბ ო ლ ო უნდა მ ო ვ უ ღ ო თ მას, რადაც უნდა დაჯდეს!

გამოსვლის დაყოვნება სიკვდილს უდრის.

დაწერილია 1917 წ.
24 ოქტომბერს (6 ნოემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.

იბეჭდება საწერ მანქანაზე
გადაბეჭდილი ასლის მიხედვით



მიმართვა «რუსეთის მოქალაქეებისადმი!», რომელიც დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ 1917 წ. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს)

დაპატარავებულია

რუსეთის მოქალაქეებისადმი![60]

დროებითი მთავრობა დამხობილია. სახელმწიფო ხელისუფლება გადავიდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანოს — სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში, რომელიც სათავეში უდგას პეტროგრადის პროლეტარიატსა და გარნიზონს.

ის საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი: დემოკრატიული ზავის წინადადების დაუყოვნებლივ წამოყენება, მიწის მემამულური საკუთრების გაუქმება, მუშათა კონტროლი წარმოების მიმართ, საბჭოთა მთავრობის შექმნა, — ეს საქმე უზრუნველყოფილია.

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციას!

პეტროგრადის მუშათა და
ჯარისკაცთა დეპუტატების
საბჭოსთან არსებული
სამხედრო-რევოლუციური
კომიტეტი

1917 წლის 25 ოქტომბერი
დილის 10 ს.

«რაბოჩიი ი სოლდატ» № 8, 1917 წ.
25 ოქტომბერი (7 ნოემბერი)

იბეჭდება გაზეთის
«რაბოჩიი ი სოლდატ» ტექსტის
მიხედვით, რომელიც
შედარებულია ხელნაწერთან

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა 1917 წ. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს)[61]

1

მოხსენება საბჭოების ხელისუფლების ამოცანების შესახებ

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ამხანაგებო! მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობის შესახებ მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, მოხდა.

რა მნიშვნელობა აქვს ამ მუშათა და გლეხთა რევოლუციას? უწინარეს ყოვლისა, ამ გადატრიალების მნიშვნელობა ისაა, რომ ჩვენ გვეყოლება საბჭოთა მთავრობა, ხელისუფლების ჩვენი საკუთარი ორგანო, ბურჟუაზიის ყოველივე მონაწილეობის გარეშე. დაჩაგრული მასები თვითონ შექმნიან ხელისუფლებას. ძირფესვიანად დამსხვრეული იქნება ძველი სახელმწიფო აპარატი და შეიქმნება მართვა-გამგეობის ახალი აპარატი საბჭოთა ორგანიზაციების სახით.

ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში, და რუსეთის ამ მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება.

ერთ-ერთ ჩვენს მორიგ ამოცანას წარმოადგენს ომის დაუყოვნებლივ დამთავრება. მაგრამ იმისათვის, რომ დავამთავროთ ეს ომი, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ახლანდელ კაპიტალისტურ წყობილებასთან, — ყველასათვის ცხადია, რომ ამისათვის აუცილებელია დავამარცხოთ თვით კაპიტალი.

ამ საქმეში ჩვენ დაგვეხმარება ის მსოფლიო მუშათა მოძრაობა, რომელიც უკვე ვითარდება იტალიასა, ინგლისსა და გერმანიაში.

ჩვენს მიერ საერთაშორისო დემოკრატიისათვის შეთავაზებული სამართლიანი, დაუყოვნებლივი ზავის წინადადება ყველგან მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებს საერთაშორისო პროლეტარულ მასებში. პროლეტარიატის ამ ნდობის განსამტკიცებლად საჭიროა დაუყოვნებლივ გამოვაქვეყნოთ ყველა საიდუმლო ხელშეკრულება.

რუსეთის შიგნით გლეხობის უდიდესმა ნაწილმა განაცხადა: კმარა კაპიტალისტებთან თამაში, — ჩვენ მუშებს გავყვებით. ჩვენ მოვიპოვებთ გლეხების ნდობას ერთი დეკრეტით, რომელიც მოსპობს მემამულურ საკუთრებას. გლეხები მიხვდებიან, რომ გლეხობის ხსნა მხოლოდ მუშებთან კავშირშია. ჩვენ დავაწესებთ ნამდვილ მუშათა კონტროლს წარმოების მიმართ.

ჩვენ ახლა ვისწავლეთ შეთანხმებულად მუშაობა. ამას მოწმობს ახლახან მომხდარი რევოლუცია. ჩვენ მოგვეპოვება მასობრივი ორგანიზაციის ის ძალა, რომელიც ყოველივეს დასძლევს და პროლეტარიატს მსოფლიო რევოლუციამდე მიიყვანს.

რუსეთში ჩვენ ახლა ხელი უნდა მოვკიდოთ პროლეტარული სოციალისტური სახელმწიფოს შენებას.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!

(მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

2

რეზოლუცია

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მიესალმება პეტროგრადის პროლეტარიატისა და გარნიზონის ძლევამოსილ რევოლუციას. საბჭო განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავს იმ შემჭიდროებულობას, დარაზმვას, დისციპლინას, იმ სრულ ერთსულოვნებას, რომელიც გამოიჩინეს მასებმა ამ იშვიათად უსისხლო და იშვიათად წარმატებითს აჯანყებაში.

საბჭო გამოთქვამს იმ ურყევ რწმენას, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელსაც, როგორც საბჭოთა მთავრობას, შექმნის რევოლუცია და რომელიც უზრუნველყოფს ქალაქის პროლეტარიატისთვის უღარიბესი გლეხობის მთელი მასის მხარისდაჭერას, რომ ეს მთავრობა მტკიცედ გასწევს სოციალიზმისკენ, რომელიც ერთადერთი საშუალებაა ჩვენი ქვეყნის ხსნისა ომის გაუგონარ უბედურებათა და საშინელებათაგან.

ახალი მუშათა და გლეხთა მთავრობა დაუყოვნებლივ შესთავაზებს ყველა მეომარ ხალხს სამართლიან დემოკრატიულ ზავს.

ის დაუყოვნებლივ გააუქმებს მიწის მემამულურ საკუთრებას და გადასცემს მიწას გლეხობას. ის შექმნის მუშათა კონტროლს პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მიმართ, დაამყარებს საერთო-სახალხო კონტროლს ბანკების მიმართ და გადააქცევს მათ ერთ სახელმწიფო საწარმოდ.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო მოუწოდებს ყველა მუშას და მთელ გლეხობას მთელი ენერგიით თავდადებით დაუჭირონ მხარი მუშათა და გლეხთა რევოლუციას. საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ ქალაქის მუშები, უღარიბეს გლეხობასთან კავშირში, გამოიჩენენ ურყევ ამხანაგურ დისციპლინას, შექმნიან უსასტიკეს რევოლუციურ წესრიგს, რაც აუცილებელია სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

საბჭო დარწმუნებულია, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების პროლეტარიატი დაგვეხმარება სრულ და მტკიცე გამარჯვებამდე მივიყვანოთ სოციალიზმის საქმე.

ცაკ-ის «იზვესტია» № 207,
1917 წ. 26 ოქტომბერი

იბეჭდება ცაკ-ის «იზვესტიის» ტექსტის მიხედვით

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეოთხე ყრილობა[62]

1917 წ. 25—26 ოქტომბერს (7—8 ნოემბერს)

ЕЖЕДНЕВНАЯ ВЕЧЕРНЯЯ ГАЗЕТА

РАБОЧІЙ и СОЛДАТЪ

Органъ Петроградскаго Совѣта Рабочихъ и Солдатскихъ Депутатовъ.

На 6 [illegible] 15 к.
На 1 мѣс. [illegible] 20 к.

№ 9. Четвергъ, 26 Октября (8 ноября нов. ст.) 1917 года. № 9.

Адресъ редакціи и конторы: Смольный Институтъ, [illegible] этажъ, комната № 30 [illegible] (Телефонъ [illegible]) [illegible] комната № 30)

РАБОЧИМЪ, СОЛДАТАМЪ и КРЕСТЬЯНАМЪ!

Второй Всероссійскій Съѣздъ Совѣтовъ Рабочихъ и Солдатскихъ Депутатовъ открылся. На немъ представлено громадное большинство Совѣтовъ. На съѣздѣ присутствуетъ и рядъ делегатовъ отъ крестьянскихъ Совѣтовъ. Полномочія соглашательскаго Ц. И. К. окончились. Опираясь на волю громаднаго большинства рабочихъ, солдатъ и крестьянъ, опираясь на совершившееся въ Петроградѣ побѣдоносное возстаніе рабочихъ и гарнизона, Съѣздъ беретъ власть въ свои руки.

Временное Правительство низложено. Большинство членовъ Временного Правительства уже арестовано.

Совѣтская власть предложитъ немедленный демократическій миръ всѣмъ народамъ и немедленное перемиріе на всѣхъ фронтахъ. Она обезпечиваетъ безвозмездную передачу помѣщичьихъ, удѣльныхъ и монастырскихъ земель въ распоряженіе крестьянскихъ комитетовъ, отстоитъ права солдатъ, проведя полную демократизацію арміи, установитъ рабочій контроль надъ производствомъ, обезпечитъ своевременный созывъ Учредительнаго Собранія, озаботится доставкой хлѣба въ города и предметовъ первой необходимости въ деревню, обезпечитъ всѣмъ націямъ, населяющимъ Россію, подлинное право на самоопредѣленіе.

Съѣздъ постановляетъ: вся власть на мѣстахъ переходитъ къ Совѣтамъ Рабочихъ, Солдатскихъ и Крестьянскихъ депутатовъ, которые и должны обезпечить подлинный революціонный порядокъ.

Съѣздъ призываетъ солдатъ въ окопахъ къ бдительности и стойкости. Съѣздъ Совѣтовъ увѣренъ, что революціонная армія сумѣетъ защитить революцію отъ всякихъ посягательствъ имперіализма, пока новое правительство не добьется заключенія демократическаго мира, который оно непосредственно предложитъ всѣмъ народамъ. Новое Правительство приметъ всѣ мѣры къ тому, чтобы обезпечить революціонную армію всѣмъ необходимымъ, путемъ рѣшительной политики реквизицій и обложенія имущихъ классовъ, а также улучшить положеніе солдатскихъ семей.

Корниловцы — Керенскій, Калединъ и др. дѣлаютъ попытки двести войска на Петроградъ. Нѣсколько отрядовъ, обманнымъ путемъ двинутыхъ Керенскимъ, перешли на сторону возставшаго народа.

Солдаты, окажите активное противодѣйствіе корниловцу Керенскому! Будьте на сторожѣ!

Желѣзнодорожники, останавливайте всѣ эшелоны, посылаемые Керенскимъ на Петроградъ!

Солдаты, рабочіе, служащіе,—въ вашихъ рукахъ судьба революціи и судьба демократическаго мира!

ДА ЗДРАВСТВУЕТЪ РЕВОЛЮЦІЯ!

Всероссійскій Съѣздъ Совѣтовъ Рабочихъ и Солдатскихъ Депутатовъ.
Делегаты отъ Крестьянскихъ Совѣтовъ.

პირველი გვერდი გაზეთისა «რაბოჩიი ი სოლდატ» № 9, 1917 წ.

26 ოქტომბერი (8 ნოემბერი)

დაპატარავებულია

1

მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს!

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა გაიხსნა. აქ წარმოდგენილია საბჭოების უდიდესი უმრავლესობა. ყრილობას ესწრებიან აგრეთვე გლეხთა საბჭოების მთელი რიგი დელეგატები. შემთანხმებლური ცაკ-ის რწმუნებულება გათავდა. ყრილობა ეყრდნობა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა უდიდესი უმრავლესობის ნებას, ეყრდნობა პეტროგრადში მომხდარ მუშებისა და გარნიზონის ძლევამოსილ აჯანყებას და ხელთ იღებს ძალაუფლებას.

დროებითი მთავრობა დამხობილია. დროებითი მთავრობის წევრთა უმრავლესობა უკვე დაპატიმრებულია.

საბჭოთა ხელისუფლება დაუყოვნებლივ დემოკრატიულ ზავს შესთავაზებს ყველა ხალხს და დაუყოვნებლივ დროებითს ზავს ყველა ფრონტზე. ის უზრუნველყოფს გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში მემამულეთა, საუფლისწულო და სამონასტრო მიწების უსასყიდლოდ გადაცემას, დაიცავს ჯარისკაცის უფლებებს, გაახორციელებს რა არმიის სრულ დემოკრატიზაციას, დააწესებს მუშათა კონტროლს წარმოების მიმართ, უზრუნველყოფს დამფუძნებელი კრების თავის დროზე მოწვევას, იზრუნებს ქალაქებისათვის პურის და სოფლისათვის პირველი საჭიროების საგნების მიწოდებაზე, უზრუნველყოფს რუსეთში მოსახლე ყველა ერისათვის თვითგამორკვევის ნამდვილ უფლებას.

ყრილობა ადგენს: მთელი ძალაუფლება ადგილობრივ გადადის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების

საბჭოების ხელში, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ნამდვილი რევოლუციური წესრიგი.

ყრილობა მოუწოდებს სანგრებში მყოფ ჯარისკაცებს სიფხიზლისა და სიმტკიცისაკენ. საბჭოების ყრილობა დარწმუნებულია, რომ რევოლუციური არმია შესძლებს რევოლუციის დაცვას იმპერიალიზმის მხრივ ყოველგვარი ხელყოფისაგან, ვიდრე ახალი მთავრობა მიაღწევდეს დემოკრატიული ზავის შეკვრას, რომელსაც უშუალოდ შესთავაზებს ყველა ხალხს. ახალი მთავრობა ყოველგვარ ზომებს მიიღებს, რათა რევოლუციური არმია უზრუნველყოს ყველაფრით, რაც მისთვის აუცილებელია, რეკვიზიციებისა და შეძლებულ კლასთა დაბეგვრის გაბედული პოლიტიკის გატარებით, აგრეთვე გაუმჯობესებს ჯარისკაცთა ოჯახების მდგომარეობას.

კორნილოველები — კერენსკი, კალედინი და სხვ. — ცდილობენ ჯარები წამოიყვანონ პეტროგრადის წინააღმდეგ. რამდენიმე რაზმი, მოტყუებით წამოყვანილი კერენსკის მიერ, აჯანყებული ხალხის მხარეზე გადმოვიდა.

ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ო, ა ქ ტ ი უ რ ი წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო ბ ა გ ა უ წ ი ე თ კ ო რ ნ ი ლ ო ვ ე ლ კ ე რ ე ნ ს კ ი ს! ი დ ე ქ ი თ ს ა დ ა რ ა ჯ ო ზ ე!

რ კ ი ნ ი გ ზ ე ლ ე ბ ო, გ ა ა ჩ ე რ ე თ ყ ვ ე ლ ა ე შ ე ლ ო ნ ი, რ ო მ ე ლ თ ა ც კ ე რ ე ნ ს კ ი გ ზ ა ვ ნ ი ს პ ე ტ რ ო გ რ ა დ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ!

ჯ ა რ ი ს კ ა ც ე ბ ო, მ უ შ ე ბ ო, მ ო ს ა მ ს ა ხ უ რ ე ნ ო, — თ ქ ვ ე ნ ს ხ ე ლ თ ა ა რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ბ ე დ ი, დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ზ ა ვ ი ს ბ ე დ ი!

გაუმარჯოს რევოლუციას!

მ უ შ ა თ ა დ ა ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ
რ უ ს ე თ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა.
გ ლ ე ხ თ ა ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს დ ე ლ ე გ ა ტ ე ბ ი

«რაბოჩი ი სოლდატ» № 9,
1917 წ. 26 ოქტომბერი
(8 ნოემბერი)

იბეჭდება გაზეთის
«რაბოჩი ი სოლდატ» ტექსტის
მიხედვით

2

მოხსენება ზავის შესახებ 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს)

ზავის საკითხი თანამედროვეობის მწვავე საკითხი, საჭირბოროტო საკითხია. მის შესახებ ბევრი თქმულა, დაწერილა, და თქვენც ყველას, ალბათ, ბევრჯერ გაგიხილავთ იგი. ამიტომ ნება მომეცით გადავიდე იმ დეკლარაციის წაკითხვაზე, რომელიც უნდა გამოსცეს თქვენს მიერ არჩეულმა მთავრობამ.

დეკრეტი ზავის შესახებ

მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელიც შექმნა 24 — 25 ოქტომბრის რევოლუციამ და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს ეყრდნობა, წინადადებას აძლევს ყველა მეომარ ხალხს და მათ მთავრობებს დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება სამართლიანი დემოკრატიული ზავის შესახებ.

სამართლიან ანუ დემოკრატიულ ზავად, რომელიც სწყურია ყველა მეომარი ქვეყნის ომით ილაჯგაწყვეტილი, დატანჯული და განაწამები მუშებისა და მშრომელთა კლასების უდიდეს უმრავლესობას, — ზავად, რომელსაც სავსებით გარკვეულად და მტკიცედ მოითხოვდნენ რუსეთის მუშები და გლეხები მეფის მონარქიის დამხობის შემდეგ, — ასეთ ზავად მთავრობას მიაჩნია დაუყოვნებლივი ზავი უანექსიოდ (ე. ი. სხვისი მიწაწყლის მიუტაცებლად, უცხო ეროვნებათა ძალდატანებით შემოუერთებლად) და უკონტრიბუციოდ.

რუსეთის მთავრობა ასეთი ზავის შეკვრას სთავაზობს ყველა მეომარ ხალხს დაუყოვნებლივ და მზად არის სრულიად გაუჭიანურებლად ახლავე გადადგას ყველა გადამწყვეტი ნაბიჯი, ვიდრე ასეთი ზავის ყველა პირობას საბოლოოდ დაამტკიცებდნენ ყველა ქვეყნის და ყველა ერის სახალხო წარმომადგენელთა სრულუფლებიანი კრებები.

ანექსია ანუ სხვისი მიწაწყლის დაპყრობა მთავრობას ესმის საერთოდ დემოკრატიის და განსაკუთრებით მშრომელი კლასების უფლებრივი შეგნების თანახმად როგორც მცირე ან სუსტი ეროვნების ყოველი შეერთება დიდი ან ძლიერი სახელმწიფოსადმი ამ ეროვნების ზუსტად, ნათლად და ნებაყოფლობით გამოთქმული თანხმობისა და სურვილის გარეშე, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის მოხდა ეს ძალდატანებითი შეერთება, აგრეთვე იმის დამოუკიდებლად, თუ რამდენად განვითარებული თუ ჩამორჩენილია ის ერი, რომელსაც ძალდატანებით უერთებენ ამა თუ იმ სახელმწიფოს ან ძალდატანებით აკავებენ მის საზღვრებში. ბოლოს, დამოუკიდებლად იმისა, თუ სად ცხოვრობს ეს ერი — ევროპაში თუ შორეულ ოკეანესიქითა ქვეყნებში.

თუ რომელიმე ერს ძალდატანებით აკავებენ ამა თუ იმ სახელმწიფოს საზღვრებში, თუ მას, მიუხედავად მის მიერ გამოთქმული სურვილისა — სულ ერთია, ეს სურვილი გამოთქმულია პრესაში, სახალხო კრებებზე, პარტიათა გადაწყვეტილებებში თუ აღშფოთებით და აჯანყებებით ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ — არ ენიჭება უფლება თავისუფალი კენჭისყრით, შემმოერთებელი ან საერთოდ უფრო ძლიერი ერის ჯარის სრული გაყვანის პირობებში, სრულიად ძალდაუტანებლად გადაწყვიტოს ამ ერის სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმების საკითხი, მისი შემოერთება წარმოადგენს ანექსიას, ე. ი. დაპყრობას და ძალმომრეობას.

ამ ომის განგრძობა იმის გულისთვის, თუ როგორ გაიყონ ურთიერთშორის ძლიერმა და მდიდარმა ერებმა მათ მიერ

დაპყრობილი სუსტი ეროვნებანი, მთავრობას მიაჩნია უდიდეს დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ და საქვეყნოდ აცხადებს თავის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი იმ ზავის პირობებს, რომელიც შეწყვეტს ამ ომს აღნიშნული, გამოუკლებლივ ყველა ეროვნებისთვის თანასწორად სამართლიანი პირობების საფუძველზე.

ამასთან ერთად მთავრობა აცხადებს, რომ იგი ზავის ზემოაღნიშნულ პირობებს სრულიადაც არ თვლის ულტიმატურად, ე. ი. თანახმაა განიხილოს ზავის ყოველგვარი სხვა პირობებიც, მხოლოდ მოითხოვს რაც შეიძლება სასწრაფოდ წარმოადგინოს ისინი რომელიმე მეომარმა ქვეყანამ და ზავის წარმოდგენილი პირობები იყოს სრულიად ცხადი, ყოველგვარ ორაზროვნებას და ყოველგვარ საიდუმლოებას უცილობლად მოკლებული.

საიდუმლო დიპლომატიას მთავრობა აუქმებს და თავის მხრივ გამოთქვამს მტკიცე განზრახვას ყოველგვარი მოლაპარაკება აწარმოოს სრულიად აშკარად მთელი ხალხის წინაშე, დაუყოვნებლივ შეუდგეს იმ საიდუმლო ხელშეკრულებათა სრულ გამოქვეყნებას, რომლებიც დაუდასტურებია ან დაუდვია მემამულეებისა და კაპიტალისტების მთავრობას 1917 წლის თებერვლიდან 25 ოქტომბრამდე. ამ საიდუმლო ხელშეკრულებათა მთელ შინაარსს, რამდენადაც იგი მიმართულია, როგორც ეს უმეტეს შემთხვევაში ყოფილა, იმისაკენ, რომ რუსეთის მემამულეებსა და კაპიტალისტებს არგუნოს სარფა და პრივილეგიები, ველიკორუსებს შერჩეთ ან გაუდიდდეთ ანექსიები, — მთავრობა უცილობლად და დაუყოვნებლივ გაუქმებულად აცხადებს.

მთავრობა წინადადებით მიმართავს ყველა ქვეყნის მთავრობებსა და ხალხებს დაუყოვნებლივ დაიწყონ აშკარა მოლაპარაკება ზავის შეკვრის შესახებ და თავის მხრივ გამოთქვამს მზადყოფნას აწარმოოს ეს მოლაპარაკება როგორც წერილობითი კავშირურთიერთობით, ტელეგრაფით, ისე მოლაპარაკებით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა შორის ან ამ წარმომადგენელთა კონფერენციაზე. ასეთ

მოლაპარაკებათა გასაადვილებლად მთავრობა თავის სრულუფლებიან წარმომადგენელს ნიშნავს ნეიტრალურ ქვეყნებში.

მთავრობა წინადადებას აძლევს ყველა მეომარი ქვეყნის ყველა მთავრობას და ხალხს დაუყოვნებლივ შეჰკრან დროებითი ზავი, ამასთან თავის მხრივ მას სასურველად მიაჩნია, რომ ეს დროებითი ზავი შეიკრას სამი თვით მაინც, ე. ი. ისეთი ვადით, რომლის განმავლობაში სავსებით შესაძლებელია როგორც საზავო მოლაპარაკების დამთავრება ომში ჩაბმული ან მასში იძულებით მონაწილე გამოუკლებლივ ყველა ეროვნების ან ერის წარმომადგენელთა მონაწილეობით, ისე აგრეთვე ყველა ქვეყნის ხალხის წარმომადგენელთა სრულუფლებიანი კრებების მოწვევა ზავის პირობების საბოლოოდ დასამტკიცებლად.

ზავის ამ წინადადებით მიმართავს რა ყველა მეომარი ქვეყნის მთავრობებს და ხალხებს, რუსეთის მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობა მიმართავს აგრეთვე განსაკუთრებით კაცობრიობის სამი ყველაზე მოწინავე ერის და დღევანდელი ომის მონაწილე ყველაზე დიდი სახელმწიფოების: ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის შეგნებულ მუშებს. ამ ქვეყნების მუშებმა ყველაზე დიდი სამსახური გაუწიეს პროგრესისა და სოციალიზმის საქმეს, უდიდესი ნიმუშები მოგვცეს ჩარტისტული მოძრაობისა ინგლისში, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი რევოლუციები მოახდინა საფრანგეთის პროლეტარიატმა, ბოლოს, დიდი სამსახური გაუწიეს გმირულ ბრძოლას განსაკუთრებული კანონის წინააღმდეგ გერმანიაში და მთელი მსოფლიოს მუშების სანიმუშო, ხანგრძლივ, მედგარ დისციპლინირებულ მუშაობას გერმანიის მასობრივი პროლეტარული ორგანიზაციების შესაქმნელად. პროლეტარული გმირობისა და ისტორიული შემოქმედების ყველა ეს ნიმუში ჩვენთვის იმის საწინდარია, რომ დასახელებული ქვეყნების მუშები შეიგნებენ ომის საშინელებათა და მისი შედეგებისაგან კაცობრიობის განთავისუფლების ამჟამად

მათზე დაკისრებულ ამოცანებს, რომ ეს მუშები თავისი ყოველმხრივი, გაბედული, თავდადებულად ენერგიული მოქმედებით დაგვეხმარებიან წარმატებით დავაბოლოოთ ზავის საქმე და ამასთან ერთად მოსახლეობის მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ყოველგვარი მონობისა და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან განთავისუფლების საქმე.

---

24 — 25 ოქტომბრის რევოლუციის მიერ შექმნილმა და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებზე დაყრდნობილმა მუშათა და გლეხთა მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს საზავო მოლაპარაკება. ჩვენი მოწოდება მიმართული უნდა იყოს როგორც მთავრობების, ისე ხალხებისადმი. ჩვენ არ შეგვიძლია უგულებელვყოთ მთავრობები, ვინაიდან მაშინ ჭიანურდება ზავის დადების შესაძლებლობა, ხოლო სახალხო მთავრობა ამას ვერ გაბედავს, მაგრამ ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ამავე დროს არ მივმართოთ ხალხებსაც. ყველგან მთავრობები და ხალხები ვერ უთანხმდებიან ერთიმეორეს, ამიტომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ ხალხებს ჩაერიონ ომისა და ზავის საკითხებში. ჩვენ, რა თქმა უნდა, ყოველნაირად დავიცავთ უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მთელ ჩვენს პროგრამას. ჩვენ არ გადავუხვევთ მას, მაგრამ ჩვენ უნდა მოვუსპოთ ჩვენს მტრებს შესაძლებლობა თქვან, რომ მათი პირობები სხვაა, და ამიტომ ზედმეტია თქვენთან მოლაპარაკების გამართვაო. არა, ჩვენ უნდა მოვუსპოთ მათ ეს ხელსაყრელი მდგომარეობა და არ უნდა წავუყენოთ ულტიმატურად ჩვენი პირობები. ამიტომაც არის ჩართული ის დებულება, რომ ჩვენ განვიხილავთ ზავის ყოველგვარ პირობებს, ყველა წინადადებას. განვიხილავთ, ეს კიდევ იმას როდი ნიშნავს, რომ მივიღებთ. ჩვენ მათ განსახილველად წარვუდგენთ დამფუძნებელ კრებას, რომელსაც სრული უფლება ექნება გადაწყვიტოს, რა შეიძლება დავუთმოთ და რა არ შეიძლება. ჩვენ ვებრძვით მოტყუებას მთავრობების მხრივ, რომლებიც მხოლოდ

ლაპარაკობენ მშვიდობაზე, სამართლიანობაზე, ნამდვილად კი დაპყრობითს მძარცველურ ომებს აწარმოებენ. არც ერთი მთავრობა არ იტყვის ყოველივე იმას, რასაც ფიქრობს. ჩვენ კი წინააღმდეგი ვართ ფარული დიპლომატიისა, და აშკარად ვიმოქმედებთ მთელი ხალხის წინაშე. ჩვენ არ ვიხუჭავთ და არც ვიხუჭავდით თვალს სიძნელეების წინაშე. ომის დამთავრება არ შეიძლება უარისთქმით, ომს ვერ დაამთავრებს ერთი მხარე. ჩვენ წინადადებას ვიძლევით დაიდოს დროებითი ზავი სამი თვით, მაგრამ არ უარვყოფთ არც უფრო მოკლე ვადას, რომ ერთხანს მაინც თავისუფლად ამოისუნთქოს გაწამებულმა არმიამ და, გარდა ამისა, საჭიროა ყველა კულტურულ ქვეყანაში მოწვეულ იქნეს სახალხო კრებები პირობების განსახილველად.

წინადადებას ვიძლევით რა დაუყოვნებლივ დადებულ იქნეს დროებითი ზავი, ჩვენ მივმართავთ იმ ქვეყნების შეგნებულ მუშებს, რომლებსაც ბევრი რამ გაუკეთებიათ პროლეტარული მოძრაობის განვითარებისათვის. ჩვენც სწორედ ინგლისის მუშებს მივმართავთ, ინგლისისა, სადაც ჩარტისტული მოძრაობა იყო, საფრანგეთის მუშებს, რომლებსაც არა ერთხელ გამოუჩენიათ აჯანყებებში თავიანთი კლასობრივი შეგნების მთელი ძალა, და გერმანიის მუშებს, რომლებმაც გადაიტანეს ბრძოლა კანონთან სოციალისტების შესახებ და მძლავრი ორგანიზაციები შექმნეს.

14 მარტის მანიფესტში ჩვენ წინადადებას ვიძლეოდით დაემხოთ ბანკირები, მაგრამ ჩვენ თვითონ არათუ არ დავამხვეთ ჩვენი ბანკირები, არამედ კავშირიც კი შევკარით მათთან. ახლა ჩვენ დავამხვეთ ბანკირთა მთავრობა.

მთავრობა და ბურჟუაზია ყოველ ღონისძიებას იხმარენ, რომ გაერთიანდნენ და სისხლში ჩაახრჩონ მუშათა და გლეხთა რევოლუცია. მაგრამ სამი წლის ომმა საკმარისად ასწავლა ჭკუა მასებს. საბჭოთა მოძრაობა სხვა ქვეყნებში, გერმანიის ფლოტის აჯანყება, რომელიც ჯალათ ვილჰელმის იუნკრებმა ჩააქრეს. დასასრულ, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვცხოვ-

რობთ არა მიყრუებულ აფრიკაში, არამედ ევროპაში, სადაც ყოველივე მალე გაიგება.

მუშათა მოძრაობა გაიმარჯვებს და გაიკაფავს გზას მშვიდობისა და სოციალიზმისაკენ. (ხანგრძლივი ტაში, რომელიც დიდხანს არ ცხრება.)

ცაკ-ის «იზვესტია» № 208, 1917 წ. 27 ოქტომბერი
«პრავდა» № 171, 1917 წ. 10 ნოემბერი (28 ოქტომბერი)

იბეჭდება: მოხსენება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით; დეკრეტი — ცაკ-ის «იზვესტიის» ტექსტის მიხედვით

3

საბოლოო სიტყვა ზავის შესახებ მოხსენების გამო 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს)

მე არ შევეხები დეკლარაციის საერთო ხასიათს. მთავრობა, რომელსაც თქვენი ყრილობა შექმნის, შესძლებს ცვლილება შეიტანოს არაარსებითს მუხლებშიც.

მე გადაჭრით გავილაშქრებ იმის წინააღმდეგ, რომ ჩვენი მოთხოვნა ზავის შესახებ ულტიმატური იყოს. ულტიმატურობა შეიძლება დამღუპველი გახდეს მთელი ჩვენი საქმისათვის. ჩვენ ვერ მოვითხოვთ, რომ ჩვენი მოთხოვნებიდან რაიმე უმნიშვნელო გადახვევამ საშუალება მისცეს იმპერიალისტურ მთავრობებს თქვან, რომ არ შეიძლებოდა საზავო მოლაპარაკების დაწყება ჩვენი შეურიგებლობის გამო.

ჩვენს მიმართვას დავგზავნით ყველგან, ყველას ეცოდინება იგი. ჩვენი მუშურ-გლეხური მთავრობის მიერ წამოყენებული პირობების დამალვა შეუძლებელი იქნება.

შეუძლებელია დაიმალოს ჩვენი მუშურ-გლეხური რევოლუცია, რომელმაც დაამხო ბანკირთა და მემამულეთა მთავრობა.

ულტიმატურობის პირობებში მთავრობებს შეუძლიათ არ გვიპასუხონ, ჩვენი რედაქციის მიხედვით ისინი იძულებული იქნებიან გვიპასუხონ. დაე ყველამ იცოდეს, თუ რას ფიქრობენ მათი მთავრობები. ჩვენ საიდუმლოება არ გვინდა. ჩვენ გვინდა, რომ მთავრობა ყოველთვის თავისი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის კონტროლს ექვემდებარებოდეს.

რას იტყვის რომელიმე შორეული გუბერნიის გლეხი, თუ ჩვენი ულტიმატურობის გამო მას არ ეცოდინება, თუ რა

სურს სხვა მთავრობას. ის იტყვის: ამხანაგებო, რად მოსპეთ ყოველგვარ საზავო პირობათა წინადადების შესაძლებლობა. მე მათ განვიხილავდი, გადავხედავდი, შემდეგ კი დავავალებდი ჩემს წარმომადგენლებს დამფუძნებელ კრებაში, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. მე მზადა ვარ ვიბრძოლო რევოლუციური გზით სამართლიანი პირობებისათვის, თუ მთავრობები არ დათანხმდებიან, მაგრამ შეიძლება ისეთი პირობები იქნეს ზოგიერთი ქვეყნისათვის, რომ მე მზად ვიქნე ვურჩიო ამ მთავრობებს თვითონ განაგრძონ ბრძოლა. ჩვენი აზრების სრული განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ მთელი კაპიტალისტური წყობილების დამხობაზეო. აი რა შეუძლია გვითხრას ჩვენ გლეხმა, და ის ბრალს დაგვდებს გადაჭარბებულ დაუთმობლობასა და წვრილმანებში, როდესაც ჩვენთვის მთავარია გამოვააშკარავოთ მთელი სისაძაგლე, მთელი არამზადობა ბურჟუაზიისა და მისი გვირგვინოსანი და უგვირგვინო ჯალათებისა, რომლებიც მთავრობის სათავეში არიან დაყენებული.

ჩვენ ნება არა გვაქვს საშუალება მივცეთ მთავრობებს და არც უნდა მივცეთ საშუალება ამოეფარონ ჩვენს დაუთმობლობას და დაუმალონ ხალხებს, თუ რისთვის გზავნიან მათ სასაკლაოზე. ეს წვეთია, მაგრამ ჩვენ ნება არა გვაქვს უარი ვთქვათ და არც უნდა ვთქვათ უარი ამ წვეთზე, რომელიც ხვრეტს ბურჟუაზიული მტაცებლობის ქვას. ულტიმატურობა მდგომარეობას შეუმსუბუქებს ჩვენს მოწინააღმდეგეთ. ჩვენ კი ყველა პირობას დავანახვებთ ხალხს. ჩვენ ყველა მთავრობას დავაყენებთ ჩვენი პირობების წინაშე, — და დაე პასუხი გასცენ მათ თავიანთ ხალხებს. ჩვენ ყველა საზავო წინადადებას წარვუდგენთ დამფუძნებელ კრებას დასკვნისათვის.

არის კიდევ ერთი მუხლი, რომელსაც თქვენ, ამხანაგებო, გულდასმით უნდა მიაქციოთ ყურადღება. საიდუმლო ხელშეკრულებები უნდა გამოქვეყნდეს. უნდა გაუქმდეს ანექსიებისა და კონტრიბუციების მუხლები. არის სხვადასხვა მუხლი, ამხანაგებო, — მძარცველი მთავრობები ხომ არათუ უთანხმდებოდნენ ერთმანეთს ძარცვის შესახებ, არამედ ასეთ

შეთანხმებებს შორის აქცევდნენ ისინი ეკონომიურ შეთანხმებებსაც და კეთილმეზობლური ურთიერთობის სხვადასხვა მუხლსაც.

ჩვენ ხელს არ ვიბოჭავთ ხელშეკრულებებით. ჩვენ არ გავებმებით ხელშეკრულებათა ქსელში. ჩვენ უარვყოფთ ძარცვისა და ძალმომრეობის ყველა მუხლს, მაგრამ ყოველ მუხლს, რომელიც შეიცავს კეთილმეზობლურ პირობებს და ეკონომიურ შეთანხმებებს, ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ, ჩვენ მათ ვერ უარვყოფთ. ჩვენ წინადადებას ვიძლევით დროებითი ზავი დაიდოს სამი თვის ვადით, ჩვენ ვირჩევთ გრძელ ვადას, იმიტომ რომ ხალხები დაიღალნენ, ხალხებს სწყურიათ დასვენება ამ სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტისაგან, რაც მეოთხე წელიწადია გრძელდება. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ხალხებმა უნდა განიხილონ ზავის პირობები, გამოხატონ თავიანთი ნება, პარლამენტის მონაწილეობით, ამისათვის კი ვადა უნდა მიეცეთ. ჩვენ იმიტომ მოვითხოვთ ხანგრძლივ დროებითს ზავს, რომ არმიამ სანგრებში მოისვენოს ამ გამუდმებულ მკვლელობათა კოშმარისაგან, მაგრამ ჩვენ არც უფრო მოკლე დროებითი ზავის წინადადებებს უარვყოფთ, ჩვენ მათ განვიხილავთ და ისინი უნდა მივიღოთ, ერთი თვით ან თვენახევრითაც რომ შემოგვთავაზონ დროებითი ზავი. არც ჩვენი დროებითი ზავის წინადადება უნდა იყოს ულტიმატური, რადგან ჩვენ არ მივცემთ შესაძლებლობას ჩვენს მტრებს დაუმალონ მთელი სიმართლე ხალხებს ჩვენი შეურიგებლობის ამოფარებით. ჩვენი წინადადება არ უნდა იყოს ულტიმატური, რადგან ბოროტმოქმედია ის მთავრობა, რომელსაც არ სურს დროებითი ზავი. ხოლო თუ ჩვენი დროებითი ზავის წინადადება ულტიმატური არ იქნება, ამით ჩვენ ვაიძულებთ მთავრობებს ხალხის თვალში გადაიქცნენ დამნაშავეებად, ასეთ დამნაშავეთ კი ხალხები ბოდიშობას არ დაუწყებენ. ჩვენ გვიპასუხებენ, ჩვენი არაულტიმატურობა ჩვენი უძლურების მაჩვენებელი იქნებაო, მაგრამ დროა უკუვაგდოთ მთელი ბურჟუაზიული სიყალბე ხალხის ძალაზე ლაპარაკის დროს. ბურჟუაზიული წარმოდგენით, ძალა მაშინ

არის, როცა მასები ბრმად მიდიან სასაკლაოზე, როცა ისინი ემორჩილებიან იმპერიალისტური მთავრობების კარნახს. ბურჟუაზია მხოლოდ მაშინ ცნობს სახელმწიფოს ძლიერად, როცა მას შეუძლია მთავრობის აპარატის მთელი სიმძლავრით გადაისროლოს მასები იქით, საითკენაც ბურჟუაზიულ მმართველებს სურთ. ჩვენი გაგება ძალისა სხვანაირია. ჩვენი წარმოდგენით სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით. იგი ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, როცა მათ შეუძლიათ ყველაფერზე იმსჯელონ და ყველაფერს შეგნებულად სჩადიან. ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს სიმართლე ვთქვათ დაღლილობის შესახებ, რადგან დღეს რომელი სახელმწიფო არ არის დაღლილი, რომელი ხალხი არ ლაპარაკობს აშკარად ამაზე? აიღეთ იტალია, სადაც ამ დაღლილობის ნიადაგზე წარმოიშვა ხანგრძლივი რევოლუციური მოძრაობა, რომელიც ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტას მოითხოვდა. განა გერმანიაში არ ხდება მუშების მასობრივი დემონსტრაციები, სადაც აყენებენ ლოზუნგებს ომის შეწყვეტის შესახებ? განა დაღლილობით არ არის გამოწვეული გერმანიის ფლოტის ის აჯანყება, რომელიც ასე შეუბრალებლად ჩააქრეს ჯალათმა ვილჰელმმა და მისმა დამქაშებმა? თუ ასეთი მოვლენა შესაძლებელია ისეთს დისციპლინირებულ ქვეყანაში, როგორიცაა გერმანია, სადაც იწყებენ ლაპარაკს დაღლილობაზე, ომის შეწყვეტაზე, ჩვენ რიღასი უნდა გვეშინოდეს, თუ აშკარად ვიტყვით ამასვე, რადგან ეს არის სიმართლე, ერთნაირად სწორი როგორც ჩვენთვის, ისე ყველა მეომარი და არამეომარი ქვეყნისთვისაც კი.

«პრავდა» № 171,
1917 წ. 10 ნოემბერი (28 ოქტომბერი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

4

მოხსენება მიწის შესახებ 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს)

ჩვენ ვფიქრობთ, რომ რევოლუციამ დაამტკიცა და ცხადყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ მიწის საკითხი ნათლად იქნეს დაყენებული. შეიარაღებული აჯანყების, მეორე, ოქტომბრის რევოლუციის წარმოშობა ნათლად ამტკიცებს, რომ მიწა გლეხებს უნდა გადაეცეს. დანაშაულს სჩადიოდა ის მთავრობა, რომელიც დამხობილია, და მენშევიკებისა და ესერების შემთანხმებლური პარტიები, რომლებიც სხვადასხვა მომიზეზებით აჭიანურებდნენ მიწის საკითხის გადაჭრას და რომლებმაც ამით ქვეყანა ნგრევამდე და გლეხთა აჯანყებამდე მიიყვანეს. სიყალბედ და ლაჩრულ მოტყუებად გაისმის მათი სიტყვები სოფლად რბევისა და ანარქიის შესახებ. სად და როდის იწვევდნენ რბევასა და ანარქიას გონივრული ზომები? მთავრობა რომ გონივრულად იქცეოდეს და მისი ზომები ღარიბი გლეხობის საჭიროებებს შეესაბამებოდეს, განა გლეხთა მასა მღელვარებას დაიწყებდა? მაგრამ მთავრობის ყველა ღონისძიება, რომელსაც ავქსენტიევის და დანის საბჭოები იწონებდნენ, გლეხების წინააღმდეგ იყო მიმართული და ამან აიძულა ისინი აჯანყება დაეწყოთ.

გამოიწვია რა აჯანყება, მთავრობამ მორთო ყვირილი დარბევებსა და ანარქიაზე, რაც თვითონვე გამოიწვია. მას უნდოდა რკინითა და სისხლით ჩაეხშო იგი, მაგრამ თვითონვე

აღგავა იგი რევოლუციური ჯარისკაცებისა, მატროსებისა და მუშების შეიარაღებულმა აჯანყებამ. მუშურ-გლეხური რევოლუციის მთავრობამ პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოს მიწის საკითხი, — საკითხი, რომელსაც შეუძლია დაამშვიდოს და დააკმაყოფილოს ღარიბი გლეხების უდიდესი მასები. მე წაგიკითხავთ იმ მუხლებს დეკრეტისას, რომელიც უნდა გამოაქვეყნოს თქვენმა საბჭოთა მთავრობამ. ამ დეკრეტის ერთ-ერთი მუხლი შეიცავს განაწესს საადგილმამულო კომიტეტებისათვის, შედგენილს გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 242 განაწესის საფუძველზე.

დეკრეტი მიწის შესახებ

1) მიწის მემამულური საკუთრება უქმდება დაუყოვნებლივ სრულიად გამოუსყიდველად.

2) მემამულეთა მამულები, ისე როგორც ყველა საუფლისწულო, სამონასტრო, საეკლესიო მიწა, მთელი მათი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით, საკარმიდამო შენობებით და ყოველგვარი მოწყობილობით გადადის, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, ვოლოსტის საადგილმამულო კომიტეტების და გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოების განკარგულებაში.

3) ყოველგვარი გაფუჭება ჩამორთმეული ქონებისა, რომელიც ამიერიდან მთელ ხალხს ეკუთვნის, ცხადდება მძიმე დანაშაულად, რომელსაც რევოლუციური სასამართლო სჯის. გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოები იღებენ ყოველგვარ საჭირო ზომებს, რომ მემამულეთა მამულების კონფისკაციის დროს დაცულ იქნეს უსასტიკესი წესრიგი, განისაზღვროს, რა ზომის და სახელდობრ რომელი ნაკვეთები უნდა იქნეს ჩამორთმეული, მოხდეს მთელი ჩამორთმეული ქონების ზუსტი აღწერა და უსასტიკესი რევოლუციური ზომებით უნდა იქნეს დაცული ხალხის ხელში გადასული მიწაზე მოწყობილი მთელი მეურნეობა ყველა შენობით, იარაღით, პირუტყვით, პროდუქტების მარაგით და სხვ.

4) დიად საადგილმამულო გარდაქმნათა განხორციელების სახელმძღვანელოდ, ვიდრე ამ გარდაქმნებს საბოლოოდ

გადაწყვეტდეს დამფუძნებელი კრება, ყველგან უნდა იყოს გლეხთა შემდეგი განაწესი, შედგენილი გლეხთა 242 ადგილობრივი განაწესის საფუძველზე გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს «იზვესტიის» რედაქციის მიერ და გამოქვეყნებული «იზვესტიის» 88-ე ნომერში (პეტროგრადი, № 88, 1917 წ. 19 აგვისტო).

5) უბრალო გლეხებს და უბრალო კაზაკებს მიწები არ ჩამოერთმევათ.

გლეხთა განაწესი მიწის შესახებ

«მიწის საკითხი, მთელი თავისი მოცულობით, შეუძლია გადაჭრას მხოლოდ საყოველთაო-სახალხო დამფუძნებელმა კრებამ.

მიწის საკითხის ყველაზე სამართლიანი გადაწყვეტა ასეთი უნდა იყოს:

1) მიწის კერძო საკუთრების უფლება უქმდება სამუდამოდ; მიწის არც გაყიდვა შეიძლება, არც ყიდვა, არც იჯარით გაცემა ან დაგირავება, არც რაიმე სხვა საშუალებით განსხვისება.

მთელი მიწა: სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო, საეკლესიო, საპოსესიო, სამაიორატო[63], კერძომფლობელური, საზოგადო და გლეხთა და სხვ. სხვისდება უსასყიდლოდ, ხდება სახალხო კუთვნილებად და გადადის ყველა იმ მშრომელის სარგებლობაში, ვინც მას ამუშავებს.

ქონებრივი გადატრიალებით დაზარალებულთ ენიჭებათ მხოლოდ საზოგადოებრივი დახმარების უფლება იმ დროის განმავლობაში, რაც საჭიროა არსებობის ახალ პირობებთან შესაგუებლად.

2) მიწის მთელი წიაღი: მადანი, ნავთობი, ქვანახშირი, მარილი და სხვ., აგრეთვე ტყეები და წყლები, რომელთაც საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ, გადადის სახელმწიფოს განსაკუთრებულ სარგებლობაში. ყველა პატარა მდინარე, ტბა, ტყე და სხვა გადადის თემთა სარგებლობაში, იმ პირობით, რომ მათი გამგებლობა იქნება თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელში.

3) მიწის ნაკვეთები მაღალ-კულტურიანი მეურნეობებით: ბაღები, პლანტაციები, საჩითილეები, სანერგეები, ორანჟერეები და სხვ. კი არ იყოფა, არამედ იქცევა საჩვენებელ ნაკვეთებად და გადადის სახელმწიფოს ან თემთა განსაკუთრებულ სარგებლობაში, მათი ზომისა და მნიშვნელობის მიხედვით.

საკარმიდამო, საქალაქო და სასოფლო მიწა, საოჯახო ბაღებით და ბოსტნებით, რჩება ახლანდელ მფლობელთა სარგებლობაში, ამასთან თვით ნაკვეთების ოდენობა და მათი სარგებლობისათვის გადასახადის სიდიდე ისაზღვრება საკანონმდებლო წესით.

4) ხდება ცხენთსაშენთა, სახაზინო და კერძო ჯიშიანი მესაქონლეობის, მეფრინველეობის და სხვ. კონფისკაცია; ისინი იქცევიან საყოველთაო-სახალხო კუთვნილებად და გადადიან სახელმწიფოს ან თემის განსაკუთრებულ სარგებლობაში, მათი ოდენობისა და მნიშვნელობის მიხედვით.

გამოყიდვის საკითხს განიხილავს დამფუძნებელი კრება.

5) კონფისკებული მიწების მთელი სამეურნეო ინვენტარი, ცოცხალი და მკვდარი, გადადის სახელმწიფოს ან თემის განსაკუთრებულ სარგებლობაში, მათი ოდენობისა და მნიშვნელობის მიხედვით, გამოუსყიდველად.

ინვენტარის კონფისკაცია არ ეხება მცირემიწიან გლეხებს.

6) მიწით სარგებლობის უფლება ენიჭება რუსეთის სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს (განურჩევლად სქესისა), რომელთაც სურთ დამუშაონ იგი თავიანთი შრომით, თავიანთი ოჯახის დახმარებით, ან საამხანაგოდ, და მხოლოდ იმ დრომდე, ვიდრე შესძლებენ მის დამუშავებას. დაქირავებული შრომა აკრძალულია.

თუ სოფლის საზოგადოების რომელიმე წევრი შემთხვევით დაუძლურებულია ორი წლის განმავლობაში, სოფლის საზოგადოება კისრულობს ამ ვადით, მისი შრომისუნარიანობის აღდგენამდე, დაეხმაროს მას მიწის საზოგადოებრივი დამუშავების გზით.

მიწათმოქმედნი, რომლებმაც სიბერის თუ ინვალიდობის გამო სამუდამოდ დაჰკარგეს მიწის პირადად დამუშავების უნარი, ჰკარგავენ მიწით სარგებლობის უფლებას, მაგრამ სამაგიეროდ სახელმწიფოსაგან იღებენ საპენსიო უზრუნველყოფას.

7) მიწათსარგებლობა უნდა იყოს გათანაბრებითი, ე. ი. მიწა ნაწილდება მშრომელთა შორის, ადგილობრივი პირობების მიხედვით, შრომითი ან მოხმარებითი ნორმის მიხედვით.

მიწით სარგებლობის ფორმა უნდა იყოს სრულიად თავისუფალი, — საკომლო, სახუტორო, სათემო, საარტელო, როგორც გადაწყვეტენ ცალკეულ სოფლებსა და დაბებში.

8) მთელი მიწა, განსხვისების შემდეგ, გადადის საერთო-სახალხო საადგილმამულო ფონდში. მშრომელთა შორის მის განაწილებას განაგებენ ადგილობრივი და ცენტრალური თვითმმართველობანი, დაწყებული დემოკრატიულად მოწყობილი უწოდებრივო სასოფლო და საქალაქო თემებით და გათავებული ცენტრალური საოლქო დაწესებულებებით.

ხდება საადგილმამულო ფონდის პერიოდული განაწილება მოსახლეობის მატებისა და სოფლის მეურნეობის ნაყოფიერების გადიდებისა და კულტურის ამაღლების მიხედვით.

ნადელთა საზღვრების ცვლილებისას ნადელის თავდაპირველი ბირთვი ხელუხლებელი უნდა დარჩეს.

გასულ წელკრთა მიწა უკანვე უბრუნდება საადგილმამულო ფონდს, ამასთან გასულ წევრთა ნაკვეთების მიღების უპირატესი უფლება ეძლევათ მათ უახლოეს ნათესავებს და იმ პირთ, ვისაც გასული წევრი მიუთითებს.

მიწაში დაბანდებული სასუქის და მელიორაციის (ძირითადი გაუმჯობესებანი) ღირებულება, რამდენადაც იგი გამოყენებული არ არის ნადელის უკანვე საადგილმამულო ფონდში დაბრუნებისას, ანაზღაურებული უნდა იქნეს.

თუ ცალკეულ ადგილებში არსებული საადგილმამულო ფონდი საკმარისი არ აღმოჩნდება მთელი ადგილობრივი მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად, ჭარბი მოსახლეობა გადასახლებულ უნდა იქნეს.

გადასახლების ორგანიზაცია, აგრეთვე გადასახლების, ინვენტარით მომარაგების და სხვ. ხარჯები უნდა იკისროს სახელმწიფომ.

გადასახლება ხდება შემდეგი რიგით: მსურველი უმიწაწყლო გლეხები, შემდეგ თემის მანკიერი წევრები, დეზერტირები და სხვ., ბოლოს, წილისყრით ან შეთანხმებით».

ყოველივე, რასაც ეს განაწესი შეიცავს, როგორც მთელი რუსეთის შეგნებულ გლეხთა უდიდესი უმრავლესობის ნების უეჭველი გამოხატულება, ცხადდება დროებით კანონად, რომელიც დამფუძნებელი კრების მოწვევამდე ხორციელდება შეძლებისდაგვარად დაუყოვნებლივ, ხოლო ზოგიერთ თავის ნაწილში იმ აუცილებელი თანდათანობით, რომელსაც უნდა საზღვრავდეს გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოები.

აქ გაისმის ხმები, თვით დეკრეტი და განაწესი სოციალისტ-რევოლუციონერების მიერ არის შედგენილია. დაე ასე იყოს. განა სულ ერთი არ არის, ვინ შეადგინა იგი, მაგრამ ჩვენ, როგორც დემოკრატიულ მთავრობას, არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ხალხის ქვედაფენების დადგენილებას, თუნდაც არ ვეთანხმებოდეთ მას. ცხოვრების ორომტრიალში, მისი პრაქტიკული გამოყენებისას, ადგილებზე მისი განხორციელებისას, გლეხები თვითონ მიხვდებიან, სად არის სიმართლე. და გლეხები შემდეგშიც რომ სოციალისტ-რევოლუციონერებს გაჰყვნენ და ამ პარტიას მისცენ უმრავლესობა დამფუძნებელ კრებაში, ჩვენ მაშინაც კი ვიტყვით: დაე ასე

იყოს. ცხოვრება — საუკეთესო მასწავლებელია, ის დაგვანახვებს, ვინ არის მართალი, და დაე გლეხებმა ერთი მხრიდან და ჩვენ მეორე მხრიდან გადავწყვიტოთ ეს საკითხი. ცხოვრება გვაიძულებს დავუახლოვდეთ ერთმანეთს რევოლუციური შემოქმედების საერთო ნაკადში, ახალი სახელმწიფოებრივი ფორმების შემუშავებაში. ჩვენ უნდა გავყვეთ ცხოვრებას, ჩვენ შემოქმედების სრული თავისუფლება უნდა მივანიჭოთ ხალხის მასებს. შეიარაღებული აჯანყებით დამხობილ ძველ მთავრობას უნდოდა მიწის საკითხი გადაეწყვიტა მეფის გადაუყენებელი ძველი ბიუროკრატიის საშუალებით. მაგრამ საკითხის გადაჭრის ნაცვლად ბიუროკრატია გლეხებს ებრძოდა მხოლოდ. გლეხებმა ცოტა რამ ისწავლეს ჩვენი რვა თვის რევოლუციის განმავლობაში, მათ უნდათ თვითონ გადაჭრან მიწის ყველა საკითხი. ამიტომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ რაიმე შესწორების შეტანისა ამ კანონპროექტში; ჩვენ არ გვინდა დეტალიზაცია, იმიტომ რომ ჩვენ ვწერთ დეკრეტს და არა მოქმედების პროგრამას. რუსეთი დიდია, და ადგილობრივი პირობებიც მასში სხვადასხვაგვარია; ჩვენ გვწამს, რომ გლეხობა თვითონ, ჩვენზე უკეთ შესძლებს სწორად, ისე, როგორც საჭიროა, გადაწყვიტოს ეს საკითხი. ჩვენებურად იქნება, თუ ესერების პროგრამის მიხედვით, — თავიდათავი ეს როდია. თავიდათავი ისაა, რომ გლეხობა დარწმუნდეს მტკიცედ იმაში, რომ სოფლად მემამულენი უკვე აღარ არიან, რომ დაე თვითონ გლეხებმა გადაჭრან ყველა საკითხი, დაე თვითონვე მოაწყონ თავიანთი ცხოვრება. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

ცაკ-ის «იზვესტია» № 209, 1917 წ. 28 ოქტომბერი
«პრავდა» № 171, 1917 წ. 10 ნოემბერი (28 ოქტომბერი)

იბეჭდება: მოხსენება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით; დეკრეტი — ცაკ-ის «იზვესტიის» ტექსტის მიხედვით

5

დადგენილება მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნის შესახებ

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობა ადგენს:

დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის შეიქმნას მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობა, რომელსაც ეწოდოს სახალხო კომისართა საბჭო. სახელმწიფო ცხოვრების ცალკეულ დარგთა გამგებლობა ევალება კომისიებს, რომელთა შემადგენლობამ უნდა უზრუნველყოს ყრილობის მიერ გამოცხადებული პროგრამის განხორციელება მუშების, მუშა-ქალების, მატროსების, ჯარისკაცების, გლეხებისა და მოსამსახურეების მასობრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო ერთიანობის გზით. მთავრობის ძალაუფლება ეკუთვნის ამ კომისიების თავმჯდომარეთა კოლეგიას, ე. ი. სახალხო კომისართა საბჭოს.

სახალხო კომისართა მოქმედების კონტროლი და მათი გადაყენების უფლება ეკუთვნის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობას და მის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ამჟამად სახალხო კომისართა საბჭო დგება შემდეგ პირთაგან:

საბჭოს თავმჯდომარე — ვ ლ ა დ ი მ ი რ უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი);

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი — ა. ი. რ ი კ ო ვ ი;

მიწათმოქმედების — ვ. პ. მ ი ლ ი უ ტ ი ნ ი;

შრომის — ა. გ. შლიაპნიკოვი;

სამხედრო და საზღვაო საქმეთა — კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ვ. ა. ოვსეენკო (ანტონოვი), ნ. ვ. კრილენკო და პ. ე. დიბენკო;

ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეთა — ვ. პ. ნოგინი;

სახალხო განათლების — ა. ვ. ლუნაჩარსკი;

ფინანსთა — ი. ი. სკვორცოვი (სტეპანოვი);

საგარეო საქმეთა—ლ. დ. ბრონშტეინი (ტროცკი);

იუსტიციის — გ. ი. ოპოკოვი (ლომოვი);

სასურსათო საქმეთა — ი. ა. ტეოდოროვიჩი;

ფოსტა-ტელეგრაფის — ნ. პ. ავილოვი (გლებოვი);

ეროვნებათა საქმეების კომისიის თავმჯდომარე — ი. პ. ჯუღაშვილი (სტალინი).

რკინიგზის საქმეთა სახალხო კომისრის პოსტი დროებით დაუკავებელი რჩება.

«რაბოჩიი ი სოლდატ» № 10,
1917 წ. 27 ოქტომბერი (9 ნოემბერი)

იბეჭდება გაზეთის
«რაბოჩიი ი სოლდატ» ტექსტის
მიხედვით

პირდაპირი მავთულით ლაპარაკი ჰელსინგფორსთან 1917 წ. 27 ოქტომბერს (9 ნოემბერს)

I

— შეგიძლიათ თუ არა ილაპარაკოთ არმიისა და ფლოტის ხალხო კომიტეტის სახელით?

— რა თქმა უნდა, შემიძლია.

— შეგიძლიათ თუ არა დაუყოვნებლივ დასძრათ პეტროგრადისაკენ რაც შეიძლება მეტი ნაღმოსნები და სხვა შეიარაღებული გემები?

— ახლავე დავუძახებთ ცენტრობალტის თავმჯდომარეს, რადგან საქმე წმინდა საზღვაო ხასიათისაა. — რა არის ახალი პეტროგრადში?

— არის ცნობები, რომ კერენსკის ჯარები მოგვიახლოვდნენ და აიღეს გატჩინა, და რადგან პეტროგრადის ჯარების ნაწილი დაქანცულია, ამიტომ უცილობლად საჭიროა სასწრაფოდ მოგვაშველოთ ძლიერი დამხმარე ძალა.

— კიდევ რაა?

— ნაცვლად კითხვისა — «კიდევ რაა» ველოდი განცხადებას, რომ მზადა ხართ დაიძრათ და იბრძოლოთ.

— მგონია, ამის განმეორება საჭირო არაა; ჩვენ განვაცხადეთ ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ, მაშასადამე, ყველაფერი გაკეთდება საქმით.

— გაქვთ თუ არა შაშხანების მარაგი და ტყვიამფრქვეევები და რა რაოდენობით?

— აქ არის სამხედრო განყოფილების საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე მიხაილოვი. ის გეტყვით ფინეთის არმიის შესახებ.

II. ლაპარაკი ამხ. მიხაილოვთან

— რამდენი მებრძოლი გესაჭიროებათ?

— ჩვენ გვინდა რაც შეიძლება მეტი მებრძოლი, მხოლოდ ერთგულნი და საბრძოლველად გამზადებულნი. რამდენი გყავთ ასეთი ადამიანები?

— ხუთი ათასამდე. შეგვიძლია გამოვგზავნოთ სასწრაფოდ, ისინი იბრძოლებენ.

— რამდენ საათში შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ისინი იქნებიან პიტერში, თუ უდიდესი სისწრაფით გამოიგზავნებიან?

— მაქსიმუმ ოცდაოთხ საათში ამ წუთიდან.

— ხმელეთით?

— რკინიგზით.

— შეგიძლიათ თუ არა უზრუნველყოთ ისინი სურსათის მიწოდებით?

— დიახ. სურსათი ბლომადაა. არის აგრეთვე 35-მდე ტყვიამფრქვევი; შეგვიძლია აგრეთვე გამოვგზავნოთ აქაური მდგომარეობისთვის ზიანის მიუყენებლად საველე არტილერიის მცირე რაოდენობაც, არტილერისტებითურთ.

— დაბეჯითებით გთხოვთ რესპუბლიკის მთავრობის სახელით დაუყოვნებლივ შეუდგეთ მათ გამოგზავნას და გთხოვთ აგრეთვე გვიპასუხოთ, იცით თუ არა ახალი მთავრობის შედგენის შესახებ და როგორ შეხვდნენ მას თქვენი საბჭოები?

— მთავრობის შესახებ ჯერ მხოლოდ გაზეთებით ვიცით. საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლას ჩვენთან ენთუზიაზმით შეხვდნენ.

— მაშასადამე, ხმელეთის ჯარები დაუყოვნებლივ დაიძვრიან და მათთვის უზრუნველყოფილი იქნება სურსათის მოზიდვა?

— დიახ. ახლავე შეუდგებით გამოგზავნას და მოვამარაგებთ სურსათით. აქ აპარატთან არის ცენტრობალტის თავმჯდომარის ამხანაგი, რადგან დიბენკო პეტროგრადში წამოვიდა დღეს, საღამოს 10 საათზე.

III. ლაპარაკი ცენტროგალტის თავმჯდომარის ამხანაგთან — ამხ. იზმაილოვთან

— რამდენი ნაღმოსანი და სხვა შეიარაღებული გემი შეგიძლიათ გამოგზავნოთ?

— შეგვიძლია გამოვგზავნოთ სახაზო ხომალდი «რესპუბლიკა» და ორი ნაღმოსანი.

— ისინიც უზრუნველყოფილი იქნებიან თუ არა თქვენს მიერ სურსათით?

— ფლოტში სურსათი გვაქვს, და ისინი მომარაგებული იქნებიან სურსათით. ყველა გამოგზავნილი ნაღმოსანი და სახაზო ხომალდი «რესპუბლიკა» — დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ შეასრულებენ რევოლუციის დაცვის საქმეს. შეიარაღებული ძალის გამოგზავნაში ნუ დაეჭვდებით. შესრულებული იქნება უსიტყვოდ.

— რამდენ საათში?

— მაქსიმუმ 18 საათში. აუცილებელია თუ არა ახლავე გამოვგზავნოთ?

— დიახ. მთავრობა აბსოლუტურად დარწმუნებულია დაუყოვნებლივ გამოგზავნის აუცილებლობაში იმ პირობით, რომ სახაზო ხომალდი შემოვიდეს საზღვაო არხში და რაც შეიძლება მოუახლოვდეს ნაპირს.

— რადგან სახაზო ხომალდი წარმოადგენს დიდს, თორმეტდიუმიანი არტილერიით შეიარაღებულ გემს, ამიტომ მას არ შეუძლია ნაპირის ახლოს დადგეს: ასე პირდაპირ ცარიელი ხელით შეიძლება მისი შეპყრობა. ამის შესრულება კი შეუძლიათ ნაღმოსნებს მცირე ყალიბის არტილერიით და ტყვიამფრქვევებით; რაც შეეხება სახაზო ხომალდს, ის უნდა იდგეს, დაახლოებით, რეიდზე ან კრეისერ «ავრორას» გვერდით, რადგან მისი არტილერია 25 ვერსის მანძილზე ისვრის, — საერთოდ ამ საქმეს შეასრულებენ მატროსები მეთაურთა შემადგენლობასთან ერთად.

— ნაღმოსნები უნდა შემოვიდნენ ნევაში სოფ. რიბაცკოეს ახლოს, რომ დაიცვან ნიკოლოზის გზა და ყველა მისი მისადგომი.

— კარგი, ყოველივე ეს შესრულებული იქნება. კიდევ რას გვეტყვით?

— არის თუ არა რადიო-ტელეგრაფი «რესპუბლიკაზე», და შეუძლია თუ არა მას გზაში კავშირი იქონიოს პიტერთან?

— არის არათუ «რესპუბლიკაზე», არამედ ნაღმოსნებზედაც, რომელთაც კავშირი აქვთ ეიფელის კოშკთან. საერთოდ, გარწმუნებთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება შესრულებული.

— ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ყველა დასახელებული გემი დაუყოვნებლივ წამოვა?

— დიახ, შეგიძლიათ. ახლავე გავცემთ სასწრაფო განკარგულებას, რათა დასახელებული გემები ვადაზე იქნენ პეტროგრადში.

— გაქვთ თუ არა შაშხანების მარაგი ვაზნებითურთ? გამოგზავნეთ რაც შეიძლება ბლომად.

— არის, მაგრამ მცირე რაოდენობით გემებზე, — რაც არის, გამოვგზავნით.

— ნახვამდის. სალამი.

— ნახვამდის. თქვენ ლაპარაკობდით? თქვით სახელი?

— ლენინი.

— ნახვამდის. ვიწყებთ შესრულებას.

პირველად დაიბეჭდა 1922 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 10

იბეჭდება ტელეგრაფის ლენტის მიხედვით

პეტროგრადის გარნიზონის პოლკების წარმომადგენელთა 1917 წ. 29 ოქტომბრის (11 ნოემბრის) თათბირი[64]

საგაზეთო ანგარიში

1

მოხსენება მიმდინარე მომენტზე

პოლიტიკურ მდგომარეობაზე დიდხანს არ შევჩერდებით. პოლიტიკური საკითხი ახლა ძლიერ უახლოვდება სამხედრო საკითხს. ცხადზე უცხადესია, რომ კერენსკიმ კორნილოველები მიიმხრო, მათს გარდა ის ვეღარავის დაეყრდნობა. მოსკოვში მათ აიღეს კრემლი, ხოლო გარეუბნები, სადაც მუშები და საერთოდ უღარიბესი მოსახლეობა ცხოვრობს, მათ ხელში არ არის. ფრონტზე კერენსკის არავინ ემხრობა. მერყევი ელემენტებიც კი, როგორც, მაგალითად, რკინიგზელთა კავშირის წევრები, მხარს უჭერენ დეკრეტს ზავისა და მიწის შესახებ.

გლეხთა, ჯარისკაცთა და მუშათა დიდი უმრავლესობა ზავის პოლიტიკის მომხრეა.

ეს არ არის ბოლშევიკების პოლიტიკა, საერთოდ არც «პარტიული» პოლიტიკაა, ეს არის მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების, ე. ი. ხალხის უმრავლესობის პოლიტიკა. ჩვენ არ ვახორციელებთ ბოლშევიკების პროგრამას, მიწის საკითხშიც ჩვენი პროგრამა მთლიანად გლეხთა განაწესებიდან არის ნასესხები.

ჩვენი ბრალი არ არის, რომ ესერები და მენშევიკები წავიდნენ. მათ თავაზობდნენ გაეზიარებინათ ხელისუფლება, მაგრამ ისინი ელოდებიან კერენსკისთან ბრძოლის დამთავრებას.

მთავრობაში მონაწილეობის მიღებას ჩვენ ყველას ვთხოვ-დით. მემარცხენე ესერებმა განაცხადეს, ჩვენ გვსურს მხარი დავუჭიროთ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკასო. მათ არც კი განუცხადებიათ, ახალი მთავრობის პროგრამას არ ვეთანხმე-ბითო.

პროვინციაში უჯერიან «დელო ნაროდას» მსგავს გაზე-თებს. აქ ყველამ იცის, რომ ესერები და მენშევიკები წავი-დნენ, იმიტომ რომ უმცირესობაში დარჩნენ. პეტროგრადის გარნიზონმა ეს იცის. მან იცის, რომ ჩვენ გვინდოდა საბჭოთა კოალიციური მთავრობა. ჩვენ საბჭოდან არავინ გამოგვირიც-ცხავს. თუ მათ არ სურდათ ერთად მუშაობა, მით უარესი მათთვის. მენშევიკებსა და ესერებს ჯარისკაცთა და გლეხთა მასები არ გაჰყვებიან. მე ეჭვი არ მეპარება, რომ მუშათა და ჯარისკაცთა ყოველ კრებაზე ცხრა მეათედი ჩვენ დაგვი-ჭერს მხარს.

კერენსკის ცდა — ეს ისეთივე უბადრუკი ავანტურაა, რო-გორც კორნილოვის ცდა. მაგრამ ახლა ძნელი მომენტია. სა-ჭიროა ენერგიული ზომების მიღება სასურსათო საქმის მოსა-წესრიგებლად, ომის უბედურებათა შესაწყვეტად. ჩვენ არ შეგვიძლია ლოდინი და ერთ დღესაც ვერ მოვითმენთ კერენს-კის აჯანყებას. თუ კორნილოველები მოაწყობენ ახალ შემო-ტევას, მათ ისეთივე პასუხს გასცემენ, როგორც დღეს იუნ-კერთა აჯანყებაზე გასცეს. დაე იუნკრებმა თავიანთ თავს დააბრალონ. ჩვენ ხელისუფლება ავიღეთ თითქმის სისხლის დაუღვრელად. თუკი იყო მსხვერპლი, მხოლოდ ჩვენი მხრივ. მთელ ხალხს სწორედ ის პოლიტიკა სურდა, რომელსაც ახალი მთავრობა ადგია. მთავრობამ ეს პოლიტიკა გადმოიღო არა ბოლშევიკებისაგან, არამედ ფრონტელი ჯარისკაცებისა-გან, სოფლის გლეხებისა და ქალაქის მუშებისაგან.

მუშათა კონტროლის დეკრეტი ამ დღეებში უნდა გამო-ქვეყნდეს. ვიმეორებ: პოლიტიკური მდგომარეობა ახლა სამ-ხედრო მდგომარეობად იქცა. ჩვენ ვერ მოვითმენთ კერენს-კის გამარჯვებას: მაშინ არ იქნება არც ზავი, არც მიწა, არც თავისუფლება. ეჭვი არ მეპარება, რომ პეტროგრადის

ჯარისკაცები და მუშები, რომლებმაც ეს-ესაა დააგვირგვინეს ძლევამოსილი აჯანყება, შესძლებენ კორნილოველების ჩახშობას. ჩვენ ნაკლოვანებანი გვქონდა. ამის უარყოფა ზედმეტია. ამის გამო ჩვენ ზოგი რამ დავკარგეთ. მაგრამ ეს ნაკლოვანებანი შეიძლება დავძლიოთ. არ უნდა დავკარგოთ არც ერთი საათი, არც ერთი წუთი, თვითონ უნდა დავირაზმოთ, მოვაწყოთ შტაბი, ეს დღესვე უნდა მოვაგვაროთ. როცა დავირაზმებით, ჩვენ შევძლებთ რამდენიმე დღეში და, შეიძლება, უფრო ადრეც უზრუნველვყოთ ჩვენი გამარჯვება.

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ნებით შექმნილი მთავრობა აბუჩად არ ააგდებინებს თავს კორნილოველებს.

პოლიტიკის ამოცანა და სამხედრო ამოცანაა: შტაბის მოწყობა, მატერიალური ძალების თავმოყრა, ჯარისკაცების უზრუნველყოფა ყოველივე აუცილებელით; ეს უნდა გავაკეთოთ ისე, რომ არ დავკარგოთ არც ერთი საათი, არც ერთი წუთი, რათა შემდეგშიც ყველაფერი ისევე ძლევამოსილად მიმდინარეობდეს, როგორც დღემდე.

2

გამოსვლა ნაწილების შეიარაღების საკითხზე

დიდი დეზორგანიზაციის ხანას ბოლო მოელო. შტაბის უფროსი დაინიშნა. ამის შესახებ გამოცხადებული იქნება. ყოფმანის პერიოდმა განვლო. სამხედრო წესრიგისა და კავშირურთიერთობის უქონლობას ძალიან მწვავედ ვგრძნობდით. ახლა გამორკვეულია, რომ ნაწილებში დიდი ერთიანობა და აღმავლობაა. თქვენ თვითონ უნდა მოჰკიდოთ საქმეს ხელი, თვითონ უნდა შეამოწმოთ ყოველი მოქმედება, შესრულებულია თუ არა ის, რაც დავალებულია, დაუკავშირდნენ თუ არა მუშათა ორგანიზაციებს და სხვა. ამაში მუშები დაგეხმარებიან. თავს ნებას მივცემ ერთი რჩევა მოგცეთ: არავის არ დაენდოთ, შეამოწმეთ ყოველი ცნობა საკონტროლო კომისიის ან პოლკების წარმომადგენლების საშუალებით, შესრულებულია თუ არა ბრძანება, სწორია თუ არა ცნობები მარაგის შესახებ. თვითონ მოჰკიდეთ ხელი საქმეს, თვითონ შეამოწმეთ ყველაფერი, აღრიცხეთ ყოველგვარი მარაგი, გაითვალისწინეთ ყოველი ნაბიჯი — ეს გამარჯვების საუკეთესო თავდებია.

3

გამოსვლა ქალაქში წესრიგის დამყარების საკითხზე

სავსებით ვუერთდები გამოთქმულ აზრს: ქალაქის დაცვის შრომის ნაწილი მუშებმა უნდა იკისრონ. ამ საერთო მუშაობაში ჯარისკაცები ასწავლიან მუშებს იარაღის ხმარებას. ჩვენი ამოცანაა, — და ეს ამოცანა ერთი წუთითაც არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან, — ხალხის საყოველთაო შეიარაღება და მუდმივი ჯარის გაუქმება. თუ მუშათა მოსახლეობა იქნება ჩაბმული — საქმე გაადვილდება. პრაქტიკულია ამხანაგების წინადადება ყოველდღე შეკრების შესახებ. მართალია, რომ რუსეთის რევოლუცია იძლევა ბევრ ახალ რამეს, რაც არც ერთ რევოლუციას არ გააჩნდა. ისეთი ორგანო, როგორც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებია, არ ყოფილა. თქვენ უნდა შეუერთდეთ მუშებს, ისინი მოგცემენ ყოველივე იმას, რასაც ბურჟუაზია დღემდე ცუდად იძლეოდა. თვითეული ნაწილი მუშათა ორგანიზაციასთან ერთად უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ ყველაფერი, რაც საჭიროა ამ თქვენი ომისათვის, მომარაგებული იყოს, არ უნდა ელოდოთ მითითებას ზევიდან. ამაღამიდანვე უნდა შეუდგეთ ამ ამოცანის გადაწყვეტას დამოუკიდებლად. არ უნდა ელოდონ შტაბის მითითებებს, თვითონ ნაწილმა წამოაყენოს წინადადებანი. თქვენ ისეთი საშუალება გაქვთ, როგორიც არასოდეს არ ჰქონია ბურჟუაზიას: მათ მხოლოდ ერთი საშუალება აქვთ — ყიდვისა, თქვენ კი შეგიძლიათ დაუკავშირდეთ თვით მუშებს, რომლებიც ყოველივე ამას ამზადებენ.

«პრავდა» № 174, 1917 წ. 13 ნოემბერი (31 ოქტომბერი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წ. 30 ოქტომბრის (12 ნოემბრის) რადიო

ყველას. ყველას.

საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობამ გამოჰყო ახალი საბჭოთა მთავრობა. კერენსკის მთავრობა დამხობილი და დაპატიმრებულია. კერენსკი გაიქცა. ყველა დაწესებულება საბჭოთა მთავრობის ხელშია. 29 ოქტომბერს დაიწყო აჯანყება იუნკრებისა, რომლებიც განთავისუფლებული იყვნენ 25 ოქტომბერს პატიოსანი სიტყვის ჩამორთმევით. აჯანყება იმ დღესვე ჩააქრეს. კერენსკი და სავინკოვი იუნკრებთან და კაზაკთა ნაწილთან ერთად გაძვრნენ მოტყუებით ცარსკოე სელომდე. საბჭოთა მთავრობამ შეკრიბა ძალები პეტროგრადზე კორნილოვის ახალი გამოლაშქრების ჩასაქრობად. გამოწვეულია დედაქალაქისაკენ ფლოტი ჯავშნოსან «რესპუბლიკის» მეთაურობით. კერენსკის იუნკრები და კაზაკები ყოყმანობენ. კერენსკის ბანაკიდან ჩვენთან მოჰყავთ ტყვეები, რომლებიც გვარწმუნებენ, კაზაკები მოატყუეს, და, როცა გაიგებენ, თუ რაშია საქმე, აღარ დაიწყებენ სროლასო. საბჭოთა მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებს სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. თუ სისხლისღვრის აცილება ვერ მოხერხდა, თუ კერენსკის რაზმები მაინც დაიწყებენ სროლას, საბჭოთა მთავრობა დაუნდობლად ჩააქრობს კერენსკი-კორნილოვის ახალ გამოლაშქრებას.

გაცნობებთ, რომ საბჭოების ყრილობამ, რომელიც უკვე დამთავრდა, მიიღო ორი მნიშვნელოვანი დეკრეტი: 1) მემამულეთა მთელი მიწების გლეხთა კომიტეტების ხელში დაუყოვნებლივ გადასვლისა და 2) დემოკრატიული ზავის წინადადების წამოყენების შესახებ.

საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარე
ვ ლ ა დ ი მ ი რ უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

კაკ-ის «იზვესტია» № 212,
1917 წ. 31 ოქტომბერი

იბეჭდება ცაკ-ის გაზეთის
«იზვესტიის» ტექსტის მიხედვით

მონასახი წესებისა მოსამსახურეთათვის

1. მსხვილი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო სამრეწველო საწარმოთა (სადაც დაქირავებული მუშების რიცხვი 5-ზე არანაკლებია) ყველა მოსამსახურე ვალდებულებას კისრულობს შეასრულოს თავისი მოვალეობა და არ მიატოვოს თანამდებობა მთავრობის, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ან პროფესიული კავშირების განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

2. § 1-ში აღნიშნული წესების დარღვევა, აგრეთვე ყოველგვარი დაუდევრობა, დაშვებული მთავრობისა და ხელისუფლების ორგანოებისთვის საქმეების და ანგარიშის ჩაბარებაში ან საზოგადოებისა და სახალხო მეურნეობის მომსახურებაში ისჯება დამნაშავის მთელი ქონების კონფისკაციით და დაპატიმრებით 5 წლამდე.

დაწერილია 1917 წ. ოქტომბრის დამლევს

პირველად დაიბეჭდა 1928 წელს
ლენინის კრებულში VIII

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მუშათა კონტროლის დებულების პროექტი[65]

1. ყველა სამრეწველო, სავაჭრო, საბანკო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა საწარმოში, სადაც ხუთზე არანაკლები მუშა-მოსამსახურეა (ერთად) ან 10 000 მანეთზე არანაკლები ბრუნვაა წელიწადში, არსდება **მუშათა კონტროლი** ყველა პროდუქტის და ნედლი მასალის წარმოების, შენახვისა და ყიდვა-გაყიდვის მიმართ.

2. მუშათა კონტროლს ახორციელებს საწარმოს ყველა მუშა-მოსამსახურე ან უშუალოდ, თუ საწარმო ისე მცირეა, რომ ეს შესაძლებელია, ან თავიანთ არჩეულ წარმომადგენელთა საშუალებით, რომლებიც არჩეულ უნდა იქნენ **დაუყოვნებლივ** საერთო კრებებზე არჩევნების ოქმის შედგენით და არჩეულთა სახელების შეტყობინებით მთავრობისა და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისათვის.

3. მუშათა და მოსამსახურეთა არჩეული წარმომადგენლების ნებადაურთველად უეჭველად აკრძალულია საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოს ან წარმოების (იხ. § 7) შეჩერება, აგრეთვე ყოველგვარი ცვლილება მის მუშაობაში.

4. ამ არჩეულ წარმომადგენელთათვის ღია უნდა იყოს გამოუკლებლივ ყ ვ ე ლ ა დავთარი და დოკუმენტი, აგრეთვე მასალების, იარაღებისა და პროდუქტების ყ ვ ე ლ ა საწყობი და მარაგი, სრულიად გამოუკლებლივ.

5. მუშა-მოსამსახურეთა არჩეული წარმომადგენლების გადაწყვეტილებანი სავალდებულოა საწარმოთა მფლობელებისათვის და შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ პროფესიული კავშირებისა და ყრილობების მიერ.

6. ყველა საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოში, **ყველა** მფლობელი და მუშა-მოსამსახურეთა **ყველა** არჩეული წარმომადგენელი, არჩეულნი მუშათა კონტროლის განსახორციელებლად, ცხადდებიან პასუხისმგებლებად სახელმწიფოს წინაშე სასტიკი წესრიგის, დისციპლინისა და ქონების დაცვისათვის. დამნაშავენი დაუდევრობაში, მარაგის და ანგარიშგების გადამალვაში და სხვა ისჯებიან მთელი ქონების კონფისკაციით და დაპატიმრებით ხუთ წლამდე.

7. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოდ ითვლება ყოველი საწარმო, რომელიც თავდაცვისათვის მუშაობს და აგრეთვე ასე თუ ისე დაკავშირებულია მოსახლეობის მასის საარსებო პროდუქტების წარმოებასთან.

8. მუშათა-კონტროლის უფრო დაწვრილებითს წესებს ამყარებენ მუშათა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენციები, აგრეთვე მოსამსახურეთა კომიტეტები მათი წარმომადგენლების საერთო კრებებზე.

დაწერილია 1917 წ. 26 და 31 ოქტომბერს (8 და 13 ნოემბერს) შუა

დაიბეჭდა 1917 წ. 16 (3) ნოემბერს
გაზეთში «პრავდა» № 178

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

გამოსვლები რსდმპ (ბ) ც. კ-ის 1917 წ. 1 (14) ნოემბრის სხდომაზე

საოქმო ჩანაწერი

1

ლენინი ფიქრობს, რომ კამენევის პოლიტიკა შეწყვეტილ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ. ახლა «ვიკჟელთან» ლაპარაკი ზედმეტია[66]. საჭიროა გაიგზავნოს ჯარი მოსკოვში. შემოაქვს რეზოლუცია «ვიკჟელის» შესახებ. «ვიკჟელი» საბჭოში არ შედის, ის იქ არც უნდა შევუშვათ; საბჭოები — ნებაყოფლობითი ორგანოებია, ხოლო «ვიკჟელს» დასაყრდენი არა აქვს მასებში.

2

ლენინი ფიქრობს, რომ მოლაპარაკება დიპლომატიური საფარი უნდა ყოფილიყო სამხედრო მოქმედებისა. ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იქნება — მოვსპოთ მერყევთა მერყეობა და თვითონ გავხდეთ გაბედულნი. საჭიროა დავეხმაროთ მოსკოველებს, და ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

3

ძირითადი საკითხი დგას, და დროა ბოლო მოეღოს მერყეობას. აშკარაა, რომ «ვიკჟელი» კალედინებისა და კორნილოვების მხარეზეა. ყოყმანი შეუძლებელია. ჩვენს მხარეზეა მუშათა, გლეხთა და ჯარის უმრავლესობა. აქ ვერავინ ვერ და-

ამტკიცა, რომ ქვედაფენები ჩვენს წინააღმდეგაა; ან კალედინის აგენტებთან, ან ქვედაფენებთან. ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მასებს, უნდა გავგზავნოთ სოფლად აგიტატორები. «ვიკ-ქელს» წინადადება ჰქონდა მიცემული — ჯარები ჩაეყვანა მოსკოვში, მან უარი თქვა, ჩვენ უნდა მივმართოთ მასებს, და ისინი «ვიკქელს» ჩამოაგდებენ.

პირველად დაიბეჭდა 1922 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 10

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის ხელნაწერი ეგზემპლარის მიხედვით

რსდმპ(ბ) ც. კ-ის რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის შიგნით არსებული ოპოზიციის საკითხზე 1917 წ. 2 (15) ნოემბერს

ცენტრალური კომიტეტი ისტორიული მნიშვნელობის მქონედ აღიარებს ამ სხდომას და ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს აქ გამოაშკარავებული ორი პოზიცია.

1) ცენტრალური კომიტეტი აღიარებს, რომ ც. კ-ის შიგნით ჩამოყალიბებული ოპოზიცია სავსებით შორდება ბოლშევიზმისა და საერთოდ პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ყველა ძირითად პოზიციას, იმეორებს რა ფრიად არამარქსისტულ სიტყვებს რუსეთში სოციალისტური რევოლუციის შეუძლებლობის შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა დავუთმოთ საბჭოთა ორგანიზაციის აშკარა უმცირესობის ულტიმატუმებს და მუქარას — წავალთო და ამრიგად ფუშავს საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის ნებას და გადაწყვეტილებას, საბოტაჟს უწევს პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის დაწყებულ დიქტატურას.

2) ცენტრალური კომიტეტი მთელ პასუხისმგებლობას რევოლუციური მუშაობის შეფერხებისა და ამ მომენტში დანაშაულებრივი მერყეობისთვის აკისრებს აღნიშნულ ოპოზიციას და მოუწოდებს მას თავისი დისკუსია და თავისი სკეპტიციზმი გადაიტანოს პრესაში და ჩამოშორდეს პრაქტიკულ მუშაობას, რომელიც მათ არა სწამთ. ვინაიდან ეს ოპოზიცია გამოხატავს მხოლოდ ბურჟუაზიის მიერ დაშინებულობას და მოსახლეობის დაღლილი (და არა რევოლუციური) ნაწილის სულიერ განწყობილებას და სხვას არაფერს.

3) ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს, რომ თუ არ ულალატე საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგს, უარს ვერ იტყვი წმინდა ბოლშევიკური მთავრობის შედგენაზე, როცა საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის უმრავლესობამ, არავინ გაურიცხავს რა ყრილობიდან, ამ მთავრობას ჩააბარა ძალაუფლება.

4) ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს, რომ, თუ არ ულალატე მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ძალაუფლების ლოზუნგს, ვერ გადახვალ წვრილმან ჯანჯლობაზე საბჭოებისადმი არა საბჭოური ტიპის ორგანიზაციების შემოერთებისათვის, ე. ი. ორგანიზაციებისა, რომლებიც არ წარმოადგენენ მემამულეებისა და კაპიტალისტების დასამხობად მებრძოლი მასების რევოლუციური ავანგარდის ნებაყოფლობითს გაერთიანებას.

5) ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს, რომ საბჭოების უმცირესობის ულტიმატუმებისა და მუქარისადმი დათმობა იმას უდრის, რომ სავსებით უარყო არათუ საბჭოთა ხელისუფლება, არამედ დემოკრატიზმიც, რადგან ასეთი დათმობანი უდრის უმრავლესობის შიშს გამოიყენოს თავისი მდგომარეობა, როგორც უმრავლესობისა, უდრის ანარქიისადმი დამორჩილებას და ყოველი უმცირესობის მხრივ ულტიმატუმების განმეორებას.

6) ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს, რომ მას არავინ გაურიცხავს საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობიდან და ახლაც სავსებით მზადაა დააბრუნოს წასულნი და აღიაროს ამ წასულებთან კოალიცია საბჭოების ფარგლებში, რომ, მაშასადამე, აბსოლუტური სიცრუეა, როცა ამბობენ, თითქოს ბოლშევიკებს არავისთან არ სურდეთ ხელისუფლების გაზიარება.

7) ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს, რომ იმ დღეს, როცა ახლანდელ მთავრობას ადგენდნენ, რამდენიმე საათით წინ მის შედგენამდე, ცენტრალურმა კომიტეტმა თავის სხდომაზე მიიწვია მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერთა სამი წარმომადგენელი და ფორმალურად შესთავაზა მათ

მონაწილეობა მიეღოთ მთავრობაში. მემარცხენე ესერების უარი, თუმცა ეს დროებითი და პირობითი იყო, მთელ პასუხისმგებლობას მათთან შეთანხმების ჩაშლისათვის სავსებით და სრულიად ამ მემარცხენე ესერებს აკისრებს.

8) ცენტრალური კომიტეტი მოგვაგონებს, რომ საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობამ მიიღო ბოლშევიკების ფრაქციის მიერ შეტანილი დადგენილება, რომელიც გამოხატავს მზადყოფნას საბჭო შეივსოს სანგრების ჯარისკაცებითაც, ადგილობრივი, სოფლელი გლეხებითაც, — რომ, მაშასადამე, აბსოლუტური ტყუილია იმის მტკიცება, თითქოს ბოლშევიკური მთავრობა წინააღმდეგი იყოს გლეხებთან კოალიციისა. პირიქით, ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ ჩვენი მთავრობის მიწის კანონმა, რომელიც მთლიანად გადმოწერილია ესერული განაწესიდან, საქმით დაამტკიცა, რომ ბოლშევიკები სავსებით და ფრიად გულწრფელად მზად არიან განახორციელონ კოალიცია რუსეთის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობასთან.

9) დასასრულ, ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს, რომ, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა, სოციალიზმის გამარჯვებას რუსეთშიც და ევროპაშიც უზრუნველყოფს მხოლოდ ახლანდელი მთავრობის პოლიტიკის მტკიცედ განგრძობა. ცენტრალური კომიტეტი სრულიად დარწმუნებულია ამ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში და მოუწოდებს ყველა სკეპტიკოსს და მერყევს უკუაგდონ მთელი თავიანთი მერყეობა და მთელი სულითა და გულით და თავდადებული ენერგიით დაუჭირონ მხარი ამ მთავრობის საქმიანობას.

ლ ე ნ ი ნ ი

დაიბეჭდა პირველი სამი მუხლის
გამოკლებით 1917 წ. 17 (4)
ნოემბერს გაზეთში «პრავდა» № 180

პირველად სრულად დაიბეჭდა
1932 წელს ვ. ი. ლენინის თხზულებათა
მე-2 — 3 გამოცემებში, ტომი XXX

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რსდმპ(ბ) ც. კ-ის უმრავლესობის ულტიმატუმი უმცირესობას

რსდმპ (ბოლშევიკების) ც. კ-ის უმრავლესობა, მთლიანად იწონებს რა იმ პოლიტიკას, რომელსაც დღევანდლამდე ატარებდა სახალხო კომისართა საბჭო, საჭიროდ თვლის მიმართოს ც. კ-ის უმცირესობას შემდეგი კატეგორიული განცხადებით.

ჩვენი პარტიის პოლიტიკა დღევანდელი მომენტისათვის განსაზღვრულია ამხანაგ ლენინის მიერ წამოყენებულ და გუშინ, 2 ნოემბერს, ც. კ-ის მიერ მიღებულ რეზოლუციაში *. ეს რეზოლუცია პროლეტარიატის საქმის ღალატად აცხადებს ყოველგვარ ცდას თავს მოახვიონ ჩვენს პარტიას განდგომა ხელისუფლებისაგან, რაკი საბჭოების სრულიად რუსეთის ყრილობამ ეს ხელისუფლება მილიონობით მუშის, ჯარისკაცისა და გლეხის სახელით ჩააბარა ჩვენი პარტიის წარმომადგენლებს, ჩვენი პროგრამის საფუძველზე. ჩვენი ტაქტიკის ეს ძირითადი ხაზი, რომელიც გამომდინარეობს მთელი ჩვენი ბრძოლიდან შემთანხმებლობის წინააღმდეგ და რომლითაც ვხელმძღვანელობდით აჯანყებაში კერენსკის მთავრობის წინააღმდეგ, ამჟამად შეადგენს ბოლშევიზმის რევოლუციურ დედაარსს და მას კვლავ ადასტურებს ცენტრალური კომიტეტი, — უეჭველად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის და უწინარეს ყოვლისა ც. კ-ის უმცირესობისათვის.

მიუხედავად ამისა უმცირესობის წარმომადგენლები, როგორც ც. კ-ის გუშინდელ სხდომამდე, ისე სხდომის შემდეგ,

* იხ. ეს ტომი, გვ. 322—324. რ ე დ.

აწარმოებდნენ და აწარმოებენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც აშკარად მიმართულია ჩვენი პარტიის ძირითადი ხაზის წინააღმდეგ და დემორალიზაციას ახდენს ჩვენს საკუთარ რიგებში, ნერგავს მერყეობას იმ დროს, როცა საჭიროა უდიდესი სიმტკიცე და ურყეობა.

ასე, მაგალითად, გუშინ ცაკ-ის სხდომაზე ბოლშევიკურმა ფრაქციამ, ც. კ-ის იმ წევრების უშუალო მონაწილეობით, რომლებიც უმცირესობას ეკუთვნიან, აშკარად მისცა ხმა ც. კ-ის დადგენილების წინააღმდეგ (მთავრობის შემადგენლობაში ჩვენი პარტიის რიცხობრივი და პერსონალური წარმომადგენლობის საკითხში). დისციპლინის ასეთი გაუგონარი დარღვევა, რაც ჩაიდინეს ც. კ-ის წევრებმა ც. კ-ის ზურგს უკან ც. კ-ში ოპოზიციის იმავე წარმომადგენლების მიერ გამოწვეული ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ჩვენთვის აშკარად ხდის იმ გარემოებას, რომ ოპოზიციას განზრახული აქვს ძალდატანებით ჩაიგდოს ხელში პარტიული დაწესებულებანი, საბოტაჟს უწევს რა პარტიის მუშაობას ისეთ მომენტში, როცა ამ მუშაობის უახლოეს შედეგზეა დამოკიდებული პარტიის ბედი, რევოლუციის ბედი.

ჩვენ არ შეგვიძლია და არ გვინდა ვიკისროთ პასუხისმგებლობა საქმის ასეთი მდგომარეობისათვის.

მივმართავთ რა ც. კ-ის უმცირესობას ამ განცხადებით, ჩვენ მოვითხოვთ წერილობითს კატეგორიულ პასუხს კითხვაზე, კისრულობს თუ არა ვალდებულებას უმცირესობა დაემორჩილოს პარტიულ დისციპლინას და გაატაროს ის პოლიტიკა, რომელიც ფორმულირებულია ც. კ-ის მიერ მიღებულ ამხანაგ ლენინის რეზოლუციაში.

თუ ვინიცობაა უარყოფითი ან გაურკვეველი პასუხი მივიღეთ ამ კითხვაზე, ჩვენ დაუყოვნებლივ მივმართავთ პ. კ-ს, მ. კ-ს, ცაკ-ის ბოლშევიკურ ფრაქციას, პეტროგრადის საერთო-საქალაქო კონფერენციას და საგანგებო პარტიულ ყრილობას ალტერნატიური წინადადებით:

ან პარტიამ უნდა მიანდოს ახლანდელ ოპოზიციას შეადგინოს ახალი ხელისუფლება თავის იმ მოკავშირეებთან

ერთად, რომლების გულისთვისაც ოპოზიცია საბოტაჟს უწევს ამჟამად ჩვენს მუშაობას, — და მაშინ ჩვენ სრულიად თავისუფლად ჩავთვლით თავს ამ ახალი ხელისუფლების მიმართ, რომელიც გარდა მერყეობისა, უძლურებისა და ქაოსისა ვერაფერს მოიტანს.

ან — რაშიც ეჭვი არ გვეპარება — პარტია მოიწონებს ერთადერთ შესაძლებელ რევოლუციურ ხაზს, რომელიც გამოხატულია ც. კ-ის გუშინდელ გადაწყვეტილებაში, და მაშინ პარტიამ გადაჭრით უნდა მოთხოვოს ოპოზიციის წარმომადგენლებს თავიანთი დეზორგანიზატორული მუშაობა გადაიტანონ ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ფარგლებს იქით. სხვა გამოსავალი არ არის და არც შეიძლება იყოს. რასაკვირველია, გათიშვა უაღრესად სამწუხარო ფაქტი იქნებოდა. მაგრამ პატიოსნური და აშკარა გათიშვა ამჟამად შეუდარებლად უკეთესია, ვიდრე შინაგანი საბოტაჟი, საკუთარი გადაწყვეტილებების ჩაშლა, დეზორგანიზაცია და პროსტრაცია. ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, ერთი წუთითაც არ გვეპარება ეჭვი იმაში, რომ მასების სამსჯავროს წინაშე ჩვენი უთანხმოების (რომელიც ძირითადად იმეორებს ჩვენს უთანხმოებას «ნოვაია ჟიზნის» და მარტოვის ჯგუფებთან) გამოტანა უზრუნველყოფს იმ გარემოებას, რომ ჩვენს პოლიტიკას უეჭველად და თავდადებით დაუჭერენ მხარს რევოლუციური მუშები, ჯარისკაცები და გლეხები, ხოლო მერყევი ოპოზიცია უმოკლეს ვადაში დაუძლურდება და გაირიყება.

დაწერილია 1917 წ. 3 (16) ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1922 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 7

იბეჭდება საწერ მანქანაზე ვადაბეჭდილი ასლის მიხედვით

პროექტი რეზოლუციისა პრესის თავისუფლების შესახებ[67]

პრესის თავისუფლება ბურჟუაზიას ესმოდა როგორც მდიდრების მიერ გაზეთების გამოცემის თავისუფლება, კაპიტალისტების მიერ პრესის ხელში ჩაგდება, რაც სინამდვილეში ყველგან ყველა ქვეყანაში, ყველაზე უფრო თავისუფალი ქვეყნების გამოუკლებლივ, იწვევდა პრესის სინდისგარეცხილობას.

მუშურ და გლეხურ მთავრობას პრესის თავისუფლება ესმის როგორც პრესის განთავისუფლება კაპიტალის უღლისაგან, როგორც სახელმწიფოს საკუთრებად გადასვლა ქაღალდის ფაბრიკებისა და სტამბებისა, მოქალაქეთა თვითეული ჯგუფისთვის, რომლის შემადგენლობა განსაზღვრულ რიცხვს მიაღწევს (მაგალითად, 10 000-ს), თანასწორი უფლების მინიჭება — ისარგებლოს ქაღალდის მარაგის სათანადო წილით და სასტამბო შრომის სათანადო რაოდენობით.

როგორც პირველი ნაბიჯი ამ მიზნის განხორციელებისაკენ, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია კაპიტალის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლებასთან, დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობა ნიშნავს საგამომძიებლო კომისიას იმის გამოსაკვლევად, თუ რა კავშირი აქვს პერიოდულ გამოცემებს კაპიტალთან, რა არის მათი სახსრებისა და შემოსავლის წყარო, ვინ სწირავს მათ ფულს, ვინ ჰფარავს მათს დეფიციტს და საერთოდ რა მდგომარეობაშია გაზეთების მთელი მეურნეობა. საგამომძიებლო კომისიისთვის დავთ-

რების, ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტების ყოველგვარი გადამალვა, აგრეთვე შეგნებულად რაიმე ცრუ ჩვენების მიცემა დაისჯება რევოლუციური სასამართლოს წესით.

გაზეთების ყველა მფლობელი, აქციონერი, აგრეთვე ყველა მოსამსახურე ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს წერილობითი ანგარიშები და ცნობები აღნიშნულ საკითხებზე კაპიტალთან პრესის კავშირის და კაპიტალისაგან პრესის დამოკიდებულების გამომკვლევ ს ა გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ლ ო კ ო მ ი ს ი ა ს სმოლნის ინსტიტუტში, პეტროგრადში.

საგამომძიებლო კომისია ინიშნება შემდეგი პირებისგან: *

კომისიას უფლება აქვს შეავსოს თავისი შემადგენლობა, გამოიწვიოს ექსპერტები და მოწმეები, მოითხოვოს ყველა დავთრის გადაშლა და სხვ.

დაწერილია 1917 წ. 4 (17) ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1932 წ. 7 ნოემბერს გაზეთში «პრავდა» № 309

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

---

* ხელნაწერში დატოვებულია ადგილი გვარების ჩამოსათვლელად. რ ე დ.

სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1917 წ. 4 (17) ნოემბრის სხდომა

1

სიტყვა პრესის საკითხზე[68]

ამხ. კარელინი გვარწმუნებდა, რომ იმ გზას, რომელსაც ის ადგება, სოციალიზმისკენ მივყავართ, მაგრამ სოციალიზმისკენ ასე სვლა ნიშნავს ზურგით წინსვლას. ტროცკი მართალი იყო: პრესის თავისუფლებისათვის მოაწყვეს იუნკრების აჯანყება, გამოცხადდა ომი პეტროგრადსა და მოსკოვში. ამჯერად სოციალისტ-რევოლუციონერები გამოდიოდნენ არა როგორც სოციალისტები და რევოლუციონერები. ამ კვირაში მთელი ტელეგრაფი კერენსკის ხელში იყო. «ვიკჟელი» მათ მხარეზე იყო. მაგრამ ჯარი არ ჰყავდათ. აღმოჩნდა, რომ ჯარი ჩვენს მხარეზეა. უმნიშვნელო ჯგუფმა დაიწყო სამოქალაქო ომი. იგი არ დამთავრებულა. მოსკოვს უახლოვდებიან კალედინელები, პიტერს — დამკვრელები. ჩვენ არ გვინდა სამოქალაქო ომი. ჩვენმა ჯარებმა დიდი მოთმინება გამოიჩინეს. ისინი ელოდებოდნენ, არ ისროდნენ, თავდაპირველად დამკვრელებმა მოგვიკლეს სამი კაცი. კრასნოვს ლმობიერად მოვეპყარით. ის მხოლოდ შინ იყო დაპატიმრებული. ჩვენ სამოქალაქო ომის წინააღმდეგი ვართ. თუ, მიუხედავად ამისა, იგი გრძელდება, ჩვენ რა უნდა ვქნათ? ტროცკი მართალი იყო, როცა ეკითხებოდა, ვისი სახელით ლაპარაკობთ თქვენო. ჩვენ შევეკითხეთ კრასნოვს, შეგიძლია თუ არა კალედინის სახელით სიტყვა მოგვცე, რომ ის არ განაგრძობს ომს. მან გვიპასუხა, და ეს გასაგებიცაა, არ შემიძლიაო. როგორ

უნდა შევწყვიტოთ დევნის ღონისძიებანი მტრის წინააღმდეგ, რომელსაც არ შეუწყვეტია სამტრო მოქმედება?

როდესაც ზავის პირობებს წამოგვიყენებენ, ჩვენ დავიწყებთ მოლაპარაკებას. მაგრამ ჯერჯერობით ზავს ისინი გვთავაზობენ, ვისგანაც იგი არ არის დამოკიდებული. ეს მხოლოდ კარგი სიტყვებია. «რეჩი» ხომ კალედინელთა ორგანოა. ჩვენ სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია ესერების გულწრფელობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ზურგს უკან დგანან კალედინი და მილიუკოვი.

რაც უფრო მტკიცედ იქნებით თქვენ, ჯარისკაცებო და მუშებო, მით უფრო მეტს მივაღწევთ. პირიქით, ჩვენ გვეტყვიან: «ისინი ჯერ კიდევ არ არიან მაგრად, თუ მილიუკოვს გამოუშვებენ». ჩვენ წინათაც ვაცხადებდით, რომ დავხურავთ ბურჟუაზიულ გაზეთებს, თუ ხელისუფლებას ავიღებთ-თქო. ამ გაზეთების არსებობის მოთმენა ნიშნავს სოციალისტობაზე ხელის აღებას. ვინც ამბობს: «გახსენით ბურჟუაზიული გაზეთებიო», იმას არ ესმის, რომ ჩვენ სრული ნაბიჯით მივდივართ სოციალიზმისაკენ. ხომ ხურავდნენ ცარისტულ გაზეთებს მას შემდეგ, რაც დამხობილ იქნა ცარიზმი! ახლა ჩვენ დავამხვეთ ბურჟუაზიის უღელი. სოციალური რევოლუცია ჩვენ როდი გამოგვიგონია, — იგი საბჭოების ყრილობის წევრებმა გამოაცხადეს, — არავის პროტესტი არ განუცხადებია, ყველამ მიიღო დეკრეტი, რომლითაც იგი გამოცხადებულ იქნა. ბურჟუაზიამ გამოაცხადა თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა. მუშები ამბობენ: «ჩვენ ეს როდი გვინდა». გვეუბნებიან: «ჩვენ უკან ვიხევთო». არა, ამხანაგებო, ესერები უკან წავიდნენ კერენსკისკენ. გვეუბნებიან, ჩვენს რეზოლუციაში არის ახალი რამო. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიძლევით ახალს იმიტომ, რომ სოციალიზმისაკენ მივდივართ. როდესაც ესერები I და II სათათბიროში გამოდიოდნენ, მათაც დაცინვით ხვდებოდნენ, რომ ისინი ახალს ამბობდნენ.

კერძო განცხადებები მონოპოლიად უნდა იქნეს აღიარებული. მბეჭდავთა კავშირის წევრები ლუკმაპურის თვალსაზრისით უყურებენ საქმეს. ჩვენ მათ მივცემთ ამ ლუკმაპურს,

მაგრამ სხვა სახით. ჩვენ ბურჟუაზიას ვერ მივცემთ საშუალებას ცილისწამება ავრცელოს ჩვენზე. ახლავე უნდა დაინიშნოს კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად დამოკიდებულია ბურჟუაზიული გაზეთები ბანკებისაგან. როგორი თავისუფლება უნდათ ამ გაზეთებს? ბევრი ქაღალდის ყიდვის და მრავალი მჯღაბნელის დაქირავების თავისუფლება ხომ არა? ჩვენ უნდა განვშორდეთ კაპიტალისაგან დამოკიდებული პრესის ამ თავისუფლებას. ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თუ ჩვენ სოციალური რევოლუციისაკენ ვივდივართ, ჩვენ არ შეგვიძლია კალედინის ყუმბარებს სიცრუის ყუმბარები დავუმატოთ.

ჩვენს კანონპროექტს ნაკლოვანებანი, რა თქმა უნდა, აქვს. მაგრამ მას ყველგან გამოიყენებენ საბჭოები, — ადგილობრივი პირობების შესაბამისად. ჩვენ ბიუროკრატები არა ვართ და არ გვინდა ყველგან გამოვიყენოთ ის სიტყვასიტყვით, როგორც ძველებურ კანცელარიებში იყო. მაგონდება, როგორ ლაპარაკობდნენ ესერები: რა უსაზღვროდ ცოტა იციან სოფლადო. ისინი მთელ ცნობებს «რუსსკოე სლოვოდან» იღებენ. და აი ჩვენა ვართ დამნაშავე, რომ ბურჟუაზიის ხელში ვტოვებდით გაზეთებს. უნდა წავიდეთ წინ, ახალი საზოგადოებისაკენ, და ბურჟუაზიულ გაზეთებს ისევე მოვეპყრათ, როგორც ვეპყროდით შავრაზმულ გაზეთებს თებერვალ-მარტში.

2

პასუხი მემარცხენე ესერების შეკითხვაზე

მემარცხენე ესერების მიერ შეტანილი შეკითხვის საპასუხოდ გამოდის ლენინი [69]. ის მოაგონებს დამსწრეთ, რომ გადატრიალების პირველ დღეებში ბოლშევიკები წინადადებას აძლევდნენ მემარცხენე ესერების წარმომადგენლებს შესულიყვნენ ახალ მთავრობაში, მაგრამ ბოლშევიკებთან თანამშრომლობა უარყო თვით მემარცხენე ესერების ფრაქციამ, რომელმაც არ მოისურვა თავის მარცხენა მეზობლებთან ერთად გაეზიარებინა პასუხისმგებლობა ამ მძიმე, კრიზისულ დღეებში.

ახალ ხელისუფლებას არ შეეძლო თავის მოქმედებაში ანგარიში გაეწია ყოველგვარი დაბრკოლებისათვის, რომელიც მის გზაზე წამოიჭრებოდა ყველა ფორმალობის ზუსტად დაცვის დროს. მომენტი მეტისმეტად სერიოზული იყო და დაყოვნება არ შეიძლებოდა. შეუძლებელი იყო დროს დაკარგვა იმაზე, რომ შეგვერბილებინა უთანხმოებანი, რაც მხოლოდ გარეგნულ ელფერს ქმნიდა და არსებითად არაფერს ცვლიდა ახალ ღონისძიებებში. თვით საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამაც ხომ, უკუაგდო რა ყოველგვარი ფორმალური დაბრკოლებანი, ერთ დიდ სხდომაზე მიიღო მსოფლიო მნიშვნელობის ორი კანონი. დაე ამ კანონებს ბურჟუაზიული საზოგადოების თვალსაზრისით ფორმალური ნაკლოვანებანი ჰქონდეთ, მაგრამ ძალაუფლება ხომ საბჭოების ხელშია, რომლებსაც შეუძლიათ საჭირო შესწორებები შეიტანონ.

კერენსკის მთავრობის დანაშაულებრივმა უმოქმედობამ უფსკრულის პირამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა და რევოლუცია; დაყოვნება, ჭეშმარიტად, სიკვდილს უდრის; ახალი ხელისუფლება, როცა ხალხის ფართო მასების სასოებისა და იმედების შესაბამისს კანონებს სცემს, ამით გზას უჩვენებს ცხოვრების ახალი ფორმების განვითარებას. ადგილობრივ საბჭოებს, ადგილისა და დროის პირობების შესაბამისად, შეუძლიათ შეცვალონ, გააფართოონ და შეავსონ ის ძირითადი დებულებები, რომლებსაც მთავრობა ქმნის. მასების ცოცხალი შემოქმედება — აი ახალი საზოგადოებრიობის ძირითადი ფაქტორი. დაე მუშებმა მოჰკიდონ ხელი მუშათა კონტროლის შექმნას თავიანთ ფაბრიკებსა და ქარხნებში, დაე მათ მოამარაგონ სოფელი ფაბრიკატებით, გადაცვალონ ისინი პურზე. არც ერთი ნაწარმი, არც ერთი გირვანქა პური არ უნდა დარჩეს აღურიცხველად, ვინაიდან სოციალიზმი — ეს უწინარეს ყოვლისა, აღრიცხვაა. სოციალიზმი არ იქმნება ზევიდან ბრძანებით. მის სულს ეუცხოება კაზიონურ-ბიუროკრატიული ავტომატიზმი; ცოცხალი, შემოქმედებითი სოციალიზმი თვით ხალხის მასების ქმნილებაა.

3

ორი გამოსვლა მემარცხენე ესერების შეკითხვის გამო

I

ლენინი ჩერდება სახალხო კომისართა საბჭოს წინააღმდეგ წამოყენებულ კონკრეტულ ბრალდებებზე. მურავიოვის[70] ბრძანების შესახებ სახალხო კომისართა საბჭომ შეიტყო მხოლოდ გაზეთებიდან, რადგან მთავარსარდალს უფლება აქვს მინიჭებული თავისი ნებით გამოსცეს გადაუდებელი ბრძანებები. იმის გამო, რომ ეს ბრძანება ისეთს არაფერს შეიცავდა, რაც საწინააღმდეგო ყოფილიყოს ახალი ხელისუფლების სულისკვეთებისა, მაგრამ მის რედაქციას შეეძლო არასასურველი გაუგებრობა გამოეწვია, ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა იგი გააუქმა. შემდეგ თქვენ აკრიტიკებთ მიწის დეკრეტს. მაგრამ ეს დეკრეტი ხალხის მოთხოვნებს ეთანხმება. თქვენ სქემატურობას გვისაყვედურებთ. მაგრამ სად არის თქვენი პროექტები, შესწორებები, რეზოლუციები? სად არის თქვენი საკანონმდებლო შემოქმედების ნაყოფი? თქვენ თავისუფლად შეგეძლოთ შემოქმედება გამოგეჩინათ. მაგრამ ჩვენ მას ვერ ვხედავთ. თქვენ ამბობთ, ექსტრემისტები ხართო, მერე, თქვენ ვინა ხართ? აპოლოგეტები საპარლამენტო ობსტრუქციისა, იმისა, რასაც წინათ ხრიკიანობა ეწოდებოდა. თუ თქვენ უკმაყოფილო ხართ, მოიწვიეთ ახალი ყრილობა, იმოქმედეთ, მაგრამ ნუ ლაპარაკობთ ხელისუფლების რღვევაზე. ძალაუფლება ეკუთვნის ჩვენს პარტიას, რომელიც ხალხის ფართო მასების ნდობას

ეყრდნობა. მართალია, რამდენიმე ჩვენი ამხანაგი დადგა იმ პლატფორმაზე, რომელსაც ბოლშევიზმთან საერთო არაფერი აქვს. მაგრამ მოსკოვის მუშათა მასები არ გაჰყვებიან რიკოვსა და ნოგინს. ამხ. პროშიანი ამბობდა — ფინეთში, სადაც მემარცხენე ესერებს კონტაქტი ჰქონდათ მასასთან, ისინი საჭიროდ თვლიდნენ რევოლუციური სოციალიზმის მთელი მემარცხენე ფრთის უმჭიდროეს თანამშრომლობას. ხოლო თუ აქ მემარცხენე ესერები არ გვიერთდებიან, ამით ისინი მხოლოდ იმას ცხადყოფენ, რომ მათ აქ იგივე ბედი ეწიათ, რაც მათ წინამორბედებს — ობორონცებს, ისინი მოწყდნენ ხალხს.

II

ლენინმა, მიუთითა რა პარტიული ყრილობების მაგალითზე და პარტიული დისციპლინისადმი დამორჩილების აუცილებლობაზე, განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს კენჭისყრაში.

4

სიტყვა და რეზოლუცია ნოგინის განცხადების გამო სახკომსაბჭოდან გასვლის შესახებ

I

ლენინი აღნიშნავს, რომ გამოთქმა: «დასავლეთი სამარცხვინოდ დუმს»[71] შეუწყნარებელია ინტერნაციონალისტისათვის. მხოლოდ ბრმას შეუძლია ვერ დაინახოს ის მღელვარება, რომელიც მოედვა მუშათა მასებს გერმანიასა და დასავლეთში. გერმანიის პროლეტარიატის ზედაფენები, სოციალისტური ინტელიგენცია იქ ისევე, როგორც ყველგან, მეტ ნაწილად ობორონცებისაგან შედგება. მაგრამ პროლეტარული ქვედაფენები, ზედაფენების ნების წინააღმდეგ, მზად არიან გამოეხმაურონ ჩვენს მოწოდებას. სასტიკმა დისციპლინამ, რომელიც გამეფებულია გერმანიის ჯარსა და ფლოტში, ვერ შეუშალა ხელი ოპოზიციური ელემენტების გამოსვლას. გერმანიის ფლოტის რევოლუციური მეზღვაურები, რომლებმაც წინდაწინვე იცოდნენ, რომ მათი ცდა დამარცხდებოდა, გმირულად დებდნენ თავს, ოღონდ კი თავიანთი სიკვდილით გამოეღვიძებინათ ხალხში აჯანყების ჯერ კიდევ მთვლემარე სული. «სპარტაკის» ჯგუფი უფრო და უფრო ინტენსიურად ავითარებს რევოლუციურ პროპაგანდას. ლიბკნეხტის, პროლეტარიატის იდეალებისათვის ამ დაუღალავი მებრძოლის, სახელი დღითი დღე უფრო და უფრო პოპულარული ხდება გერმანიაში.

ჩვენ გვწამს რევოლუცია დასავლეთში. ჩვენ ვიცით, რომ იგი გარდუვალია, მაგრამ, რა თქმა უნდა, შეკვეთით მისი

შექმნა შეუძლებელია. განა ჩვენ გასული წლის დეკემბერში დანამდვილებით შეგვეძლო გვცოდნოდა მომავალი თებერვლის დღეების შესახებ? განა ჩვენ სექტემბერში დანამდვილებით ვიცოდით, რომ ერთი თვის შემდეგ რევოლუციური დემოკრატია რუსეთში მოახდენდა მსოფლიოში უდიდეს გადატრიალებას? ჩვენ ვიცოდით, რომ ძველი ხელისუფლება კულკანზე იმყოფებოდა. მრავალი ნიშნეულობის მიხედვით ჩვენ მიმხვდარი ვიყავით, რომ ხალხის შეგნების სილრმეში ხდებოდა დიდი იდუმალი მუშაობა. ვგრძნობდით, რომ ჰაერში დაგროვილი იყო ელექტრობა. ვიცოდით, რომ იგი აუცილებლად იფეთქებდა განმწმენდ ჭექა-ქუხილად. მაგრამ ამ ჭექა-ქუხილის დღისა და საათის წინასწარმეტყველება ჩვენ არ შეგვეძლო. იმავე სურათს, რაც ჩვენში იყო, ამჟამად ვხედავთ გერმანიაშიც. იქაც იზრდება ხალხის მასების ისეთივე ყრუ უკმაყოფილება, რომელიც აუცილებლად სახალხო ძოძრაობის ფორმებს მიიღებს. რევოლუციის დეკრეტით გაძოცხადება ჩვენ არ შეგვიძლია, მაგრამ მისი ხელის შეწყობა ჩვენც შეგვიძლია. სანგრებში ჩვენ გავაჩაღებთ ორგანიზებულ დაძმობილებას, დავეხმარებით დასავლეთის ხალხებს დაიწყონ უძლეველი სოციალისტური რევოლუცია. შემდეგ ამხ. ზაკსმა ილაპარაკა სოციალიზმის დეკრეტირების შესახებ. მაგრამ განა ახლანდელი ხელისუფლება არ მოუწოდებს თვით მასებს ცხოვრების უკეთესი ფორმების შემოქმედებისაკენ? დამმუშავებელი მრეწველობის პროდუქტთა გადაცვლა პურზე, წარმოების მკაცრი კონტროლი და აღრიცხვა — ეს სოციალიზმის დასაწყისი. დიახ, ჩვენ გვექნება შრომის რესპუბლიკა. ვისაც არ სურს იმუშაოს, ის დაე ნურც ჭამს.

შემდეგ, რაში გამოიხატება ჩვენი პარტიის განცალკევებულობა? იმაში, რომ ცალკეული ინტელიგენტები გვეთიშებიან. მაგრამ დღითი დღე სულ უფრო და უფრო მეტ მხარისდაჭერას ვპოულობთ გლეხობაში. მხოლოდ ის გაიმარჯვებს და შეინარჩუნებს ხელისუფლებას, ვისაც რწმენა აქვს ხალხისა, ვინც ჩაეშვება ხალხის ცოცხალი შემოქმედების წყაროში.

II

ცაკ-ი ავალებს სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგი სხდომისთვის დაასახელოს შინაგან საქმეთა და ვაჭრობისა და მრეწველობის სახალხო კომისართა კანდიდატურები და წინადადებას აძლევს ამხ. კოლეგაევს დაიკავოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის პოსტი.

ცაკ-ის «იზვესტია» № 218,
1917 წ. 7 ნოემბერი

იბეჭდება ცაკ-ის გაზეთის
«იზვესტიის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე ფრონტის წარმომადგენლებთან ერთად 1917 წ. 4 (17) ნოემბერს

საგაზეთო ანგარიში

დიდი მოხსენების გაკეთება არ შემიძლია, შემიძლია მხოლოდ მოკლედ გაცნობოთ ახალი მთავრობის მდგომარეობის, მისი პროგრამისა და ამოცანების შესახებ.

თქვენ იცით, რა ერთსულოვანი იყო ზავის პოლიტიკის მოთხოვნა, ზავის დაუყოვნებლივ წამოყენების მოთხოვნა. არ არის არც ერთი ბურჟუაზიული მინისტრი მთელს ევროპაში და ჩვენშიც, რომელსაც ზავი არ აღეთქვას; ამ სიტყვების სიყალბეში რუსეთის ჯარისკაცები დარწმუნდნენ; მათ ზავის პოლიტიკას შეჰპირდნენ, მაგრამ ზავის წინადადებას არ აყენებდნენ და ამის ნაცვლად შეტევაზე მიერეკებოდნენ. ჩვენი მთავრობის უპირველეს მოვალეობად ვთვლიდით დაუყოვნებლივ ზავის წინადადების წამოყენებას, და ეს შესრულებულია.

ლენინი გადმოსცემს, რა პირობებით წამოაყენა ახალმა მთავრობამ ზავი, და განაგრძობს: თუ სახელმწიფოები შეინარჩუნებენ კოლონიებს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ეს ომი არასოდეს არ დამთავრდება. რა გამოსავალია აქედან? გამოსავალი ერთია: მუშათა და გლეხთა რევოლუციის გამარჯვება კაპიტალზე. ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს, რომ ომის დამთავრება შეიძლება ერთი დაკვრით, ხიშტის მიწაში ჩარჭობით. ომი იმიტომ ხდება, რომ ერთმანეთს შეეჯახნენ მილიარდიანი კაპიტალები, რომელთაც მთელი მსოფლიო გაიყვეს ერთმანეთში, ამიტომ კაპიტალის ბატონობის მოუსპობლად ომის დამთავრება შეუძლებელია.

ლენინი ჩერდება საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლაზე და აცხადებს, რომ ის ამჟამად ხედავს ახალ მოვლენას: გლეხებს არ უნდათ დაიჯერონ, რომ მთელი ძალაუფლება საბჭოებს ეკუთვნით, ისინი ჯერ კიდევ რაღაცას მოელიან მთავრობისაგან, ივიწყებენ, რომ საბჭო კერძო დაწესებულება კი არ არის, სახელმწიფო დაწესებულებაა. ჩვენ ვაცხადებთ, რომ გვინდა ახალი სახელმწიფო, რომ საბჭომ უნდა შესცვალოს ძველი მოხელეობა, რომ მთელმა ხალხმა უნდა ისწავლოს მართვა-გამგეობა. მთელი სიმაღლით გაიმართეთ წელში, გასწორდით, და მაშინ ჩვენ მუქარა ველარ შეგვაშინებს. იუნკრებმა სცადეს აჯანყების მოწყობა, მაგრამ ჩვენ მათ ვძლიეთ; მოსკოვში მათ მოაწყვეს ხოცვა-ჟლეტა და კრემლის კედელზე ხვრეტდნენ ჯარისკაცებს. მაგრამ როდესაც ხალხმა უკვე გაიმარჯვა, მან არათუ სამხედრო პატივი არ ახადა მტრებს, არამედ იარაღიც კი შეუნარჩუნა.

«ვიკჟელი» გაფიცვით გვემუქრება, მაგრამ ჩვენ მივმართავთ მასებს და შეველაპარაკებით, განა გინდათ გაფიცვით შიმშილი განუმზადოთ ფრონტზე ჯარისკაცებს და ზურგში ხალხს? და, ეჭვი არ მეპარება, რკინიგზის პროლეტარები ამას არ იზამენ. გვისაყვედურებენ, რომ ზოგიერთებს ვაპატიმრებთ. დიახ, ვაპატიმრებთ და დღესაც დავაპატიმრეთ სახელმწიფო ბანკის დირექტორი. გვისაყვედურებენ, რომ ტერორს მივმართავთ, მაგრამ იმ ტერორს, როგორსაც მიმართავდნენ საფრანგეთის რევოლუციონერები, რომლებიც გილიოტინით ჰკვეთდნენ თავს უარაღო ადამიანებს, ჩვენ არ მივმართავთ და, ვიმედოვნებ, არც მომავალში მივმართავთ. ვიმედოვნებ, არ მივმართავთ, რადგან ჩვენს მხარეზეა ძალა. როდესაც ჩვენ ვაპატიმრებდით, ვეუბნებოდით, გაგიშვებთ, თუ ხელწერილს მოგვცემთ, რომ საბოტაჟს აღარ გაგვიწევთ. და ასეთ ხელწერილს იძლევიან. ჩვენი ნაკლი ის არის, რომ საბჭოთა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ ისწავლა მართვა-გამგეობა, ჩვენ ძალიან გადაყოლილი ვართ მიტინგებს. დაე საბჭოები დაიყონ რაზმებად და ხელი მოჰკიდონ მართვა-გამგეობის საქმეს. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ

სოციალიზმისაკენ წავიდეთ. ამ დღეებში მუშებმა მიიღეს კანონი წარმოების კონტროლის შესახებ. ამ კანონის თანახმად, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები სახელმწიფო დაწესებულებას წარმოადგენენ. მუშებმა დაუყოვნებლივ უნდა გაახორციელონ ეს კანონი. მუშები გლეხებს მისცემენ ქსოვილს, რკინას, ხოლო გლეხები მისცემენ პურს. მე ახლა ვნახე ივანოვო-ვოზნესენსკელი ამხანაგი, და მან მითხრა, რომ ეს მთავარი საქმეა. სოციალიზმი — ეს არის აღრიცხვა. თუ თქვენ გინდათ აღრიცხოთ ყოველი ნაჭერი რკინა და ქსოვილი, ეს იქნება სწორედ სოციალიზმი. წარმოებისათვის ჩვენ გვესაჭიროება ინჟინრები, და ჩვენც დიდად ვაფასებთ მათ შრომას. ჩვენ მათ სიამოვნებით მივცემთ გასამრჯელოს. ჩვენ ჯერ არ ვაპირებთ წავართვათ მათ პრივილეგიური მდგომარეობა. ყველა, ვისაც მუშაობა უნდა, ძვირფასია ჩვენთვის, მაგრამ მან უნდა იმუშაოს არა როგორც უფროსმა, არამედ როგორც თანასწორმა მუშების კონტროლით. ჩვენ სრულიად არა ვართ გაბოროტებული პიროვნებათა წინააღმდეგ, და მთელი ძალ-ღონით შევეცდებით დავეხმაროთ მათ ახალ მდგომარეობაზე გადასასვლელად.

რაც შეეხება გლეხებს, ჩვენ ვამბობთ: მშრომელ გლეხს უნდა დავეხმაროთ, საშუალოს არ ვაწყენინოთ, მდიდარი ვაიძულოთ. 25 ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენ გვემუქრებოდნენ — მოგსპობთო. არიან ადამიანები, რომელთაც ამის შეეშინდათ და უნდოდათ გაქცეოდნენ ხელისუფლებას, მაგრამ ჩვენი მოსპობა ვერ შესძლეს. ვერ შესძლეს იმიტომ, რომ ჩვენს მტრებს შეუძლიათ დაეყრდნონ მხოლოდ იუნკრებს, ჩვენს მხარეზე კი ხალხია. გამოუკლებლივ ყველა ჯარისკაცი და მუშა რომ არ აღმდგარიყო, ძალაუფლებას არასოდეს არ შეელეოდნენ. მისი მპყრობელნი. ძალაუფლება გადავიდა საბჭოების ხელში. საბჭოები ხალხის სრული თავისუფლების ორგანიზაციაა. ჩვენ, საბჭოთა მთავრობამ, რწმუნებულება მივიღეთ საბჭოების ყრილობისაგან და იქე ვიმოქმედებთ, როგორც დღემდე ვმოქმედებდით, დარწმუნებულნი თქვენს მხარისდაჭერაში. ჩვენ არავინ

გაგვირიცხავს. თუ მენშევიკები და ესერები წავიდნენ, ეს დანაშაულია მათი მხრივ. ჩვენ ვთხოვდით მემარცხენე ესერებს მონაწილეობა მიეღოთ მთავრობაში, მაგრამ მათ უარი თქვეს. ჩვენ არ გვინდა ვივაჭროთ ხელისუფლების შესახებ, ჩვენ არ გვსურს გავმართოთ ვაჭრობა და საჯარო ვაჭრობა. ქალაქის თვითმმართველობას, კორნილოველთა ამ ცენტრს, ჩვენ ხელისუფლებამდე არ მივუშვებთ. ამბობენ, რომ განცალკევებული ვართ. ბურჟუაზიამ ჩვენს გარშემო სიცრუის და ცილისწამების ატმოსფერო შექმნა, მაგრამ მე ჯერ არ მინახავს ისეთი ჯარისკაცი, რომელიც აღტაცებით არ შეგებებოდეს ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში. მე არ მინახავს ისეთი გლეხი, რომელიც საბჭოების წინააღმდეგი ყოფილიყოს. საჭიროა უღარიბესი გლეხობის კავშირი მუშებთან, და მაშინ სოციალიზმი მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს. (საბჭოს წევრები ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშით აცილებენ ლენინს.)

«პრავდა» № 181,
1917 წ. 18 (5) ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ
«პრავდის» ტექსტის მიხედვით

პასუხი გლეხების შეკითხვებზე[72]

გლეხების მრავალრიცხოვანი შეკითხვის პასუხად განვმარტავთ, რომ მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში ამიერიდან მთლიანად გადავიდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში. მუშათა რევოლუციამ გაიმარჯვა პეტროგრადსა და მოსკოვში, იგი იმარჯვებს რუსეთის ყველა დანარჩენ ადგილას. მუშურ-გლეხური მთავრობა უზრუნველყოფს გლეხთა მასების, უღარიბესი გლეხების, გლეხთა უმრავლესობის კავშირს მუშებთან მემამულეების წინააღმდეგ, კაპიტალისტების წინააღმდეგ.

ამიტომ ამიერიდან გლეხთა დეპუტატების, პირველ ყოვლისა, სამაზრო და შემდეგ საგუბერნიო საბჭოები დამფუძნებელი კრების მოწვევამდე წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების სრულუფლებიან ორგანოებს ადგილებზე. მიწის მემამულური საკუთრება საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის მიერ **გაუქმებულია**. ბრძანებულება მიწის შესახებ უკვე გამოცემულია ახლანდელი დროებითი მუშათა და გლეხთა მთავრობის მიერ. ამ ბრძანებულების საფუძველზე მემამულეთა მთელი მიწა სავსებით და მთლიანად გადადის გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში.

ვოლოსტის საადგილმამულო კომიტეტებმა ახლავე უნდა აიღონ თავიანთ გამგებლობაში მემამულეთა მთელი მიწა, უსასტიკესი აღრიცხვით, დაიცვან სრული წესრიგი, უსასტიკესად დაიცვან ყოფილი მემამულური ქონება, რომელიც

ამიერიდან გადაიქცა საერთო-სახალხო კუთვნილებად და რომელიც ამიტომ თვითონ ხალხმა უნდა დაიცვას.

ვოლოსტის საადგილმამულო კომიტეტთა ყველა განკარგულება, მიღებული გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოების თანხმობით, წარმოადგენს **კანონს** და უეჭველად და დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს.

საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის მიერ დანიშნულ მუშურ-გლეხურ მთავრობას დაერქვა სახალხო კომისართა საბჭო.

სახალხო კომისართა საბჭო მოუწოდებს გლეხებს თვითონ აიღონ ხელში მთელი ძალაუფლება ადგილობრივ. მუშები საკსებით, მთლიანად და ყოველგვარად დაუჭერენ მხარს გლეხებს, მოაგვარებენ მანქანებისა და იარაღების წარმოებას, თხოვენ გლეხებს დაეხმარონ პურის მოზიდვით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

პეტროგრადი.
1917 წ. 5 ნოემბერი.

ცაკ-ის «იზვესტია» № 219,
1917 წ. 8 ნოემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მოსახლეობისადმი

ამხანაგებო — მუშებო, ჯარისკაცებო, გლეხებო, ყველა მშრომელნო!

მუშათა და გლეხთა რევოლუციამ საბოლოოდ გაიმარჯვა პეტროგრადში, გაჰფანტა და დაატუსაღა კერენსკის მიერ მოტყუებულ მცირერიცხოვან კაზაკთა უკანასკნელი ნაშთები. რევოლუციამ მოსკოვშიც გაიმარჯვა. ვიდრე იქ ჩავიდოდა პეტროგრადიდან გასული სამხედრო ძალებით დატვირთული რამდენიმე ეშელონი, მოსკოვში იუნკრებმა და სხვა კორნილოველებმა უკვე მოაწერეს. ხელი ზავის პირობებს, იუნკრების განიარაღებას, ხსნის კომიტეტის დაშლას [73].

ფრონტიდან და სოფლებიდან ყოველდღე და ყოველ საათს მოდის ცნობები, რომ სანგრებში მყოფ ჯარისკაცთა და მაზრების გლეხთა უდიდესი უმრავლესობა მხარს უჭერს ახალ მთავრობას და მის კანონებს ზავის წამოყენებისა და გლეხებისთვის მიწის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ. მუშათა და გლეხთა რევოლუციის გამარჯვება უზრუნველყოფილია, რადგან მას მიემხრო უკვე ხალხის უმრავლესობა.

სავსებით გასაგებია, რომ მემამულეები და კაპიტალისტები, ბურჟუაზიასთან მჭიდროდ დაკავშირებული **უმაღლესი** მოსამსახურენი და მოხელენი, ერთი სიტყვით, ყველა მდიდარი და მდიდრების ამყოლი მტრულად ხვდებიან ახალ რევოლუციას, ეწინააღმდეგებიან მის გამარჯვებას, იმუქრებიან ბანკების მოქმედების შეწყვეტით, აფუჭებენ ან აჩერებენ სხვადასხვა დაწესებულების მუშაობას, ხელს უშლიან მას ყოველნაირად, აფერხებენ ხან პირდაპირ და ხან არა-

პირდაპირ. ყოველ შეგნებულ მუშას მშვენივრად **ესმოდა,** რომ ასეთ წინააღმდეგობას ჩვენ აუცილებლად შევხვდებით, ბოლშევიკების მთელ პარტიულ პრესას ეს მრავალჯერ ალუნიშნავს. მშრომელი კლასები ერთი წუთითაც არ შეუშინდებიან ამ წინააღმდეგობას, ოდნავადაც არ შედრკებიან ბურჟუაზიის მომხრეების მუქარისა და გაფიცვების წინაშე.

ჩვენს მხარეზეა ხალხის უმრავლესობა. ჩვენს მხარეზეა მშრომელთა და ჩაგრულთა უმრავლესობა მთელ მსოფლიოში. ჩვენსკენაა სამართლიანობა. ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია.

კაპიტალისტთა და უმაღლეს მოსამსახურეთა წინააღმდეგობა შემუსვრილი იქნება. არც ერთ კაცს არ ერთმევა ჩვენს მიერ ქონება საგანგებო სახელმწიფო კანონის გარეშე ბანკებისა და სინდიკატების ნაციონალიზაციის შესახებ. ეს კანონი მზადდება. არც ერთი მშრომელი და მუშაკი არ დაჰკარგავს არც ერთ კაპიკს; პირიქით, მას დახმარება აღმოეჩინება. გარდა უსასტიკესი აღრიცხვისა და კონტროლისა, გარდა წინათ დაწესებული გადასახადის აკრეფისა, მთავრობა არავითარი სხვა ღონისძიების შემოღებას არ აპირებს.

ამ სამართლიან მოთხოვნათა გულისთვის ხალხის უდიდესი უმრავლესობა დაირაზმა მუშურ-გლეხური დროებითი მთავრობის გარშემო.

ამხანაგო მშრომელებო! გახსოვდეთ, რომ ახლა **თვითონ თქვენ** განაგებთ სახელმწიფოს. არავინ არ დაგეხმარებათ, თუ თვითონვე არ გაერთიანდებით და **საკუთარ** ხელში არ აიღებთ სახელმწიფოს **ყველა საქმეს. თქვენი** საბჭოები — ამიერიდან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია, სრულუფლებიანი, გადამწყვეტი ორგანოები.

შემჭიდროვდით თქვენი საბჭოების გარშემო. განამტკიცეთ ისინი. თვითონვე მოჰკიდეთ საქმეს ხელი ქვემოდან, ნურავის დაელოდებით. დაამყარეთ უსასტიკესი რევოლუციური წესრიგი, დაუნდობლად ჩაახშეთ ანარქიის გამოწვევის

ცდა ლოთების, ხულიგნების, კონტრრევოლუციური იუნკრების, კორნილოველებისა და მათ მსგავსთა მხრივ.

შემოიღეთ უსასტიკესი კონტროლი პროდუქტების წარმოებისა და აღრიცხვისა. დააპატიმრეთ და ხალხის რევოლუციურ სამართალში მიეცით ყველა, ვინც გაბედავს სახალხო საქმისთვის ვნების მიყენებას, როგორი ხასიათისაც უნდა იყოს ეს ვნება — წარმოების საბოტაჟი (გაფუჭება, შეფერხება, ჩაშლა) თუ პურისა და პროდუქტების მარაგის გადამალვა, პურის ტვირთვის გაჩერება, რკინიგზის, ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის მოქმედების მოშლა და საერთოდ რაიმე წინააღმდეგობის გაწევა ზავის დიადი საქმისთვის, გლეხებისთვის მიწის გადაცემის საქმისთვის, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მიმართ მუშათა კონტროლის უზრუნველყოფის საქმისთვის.

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო, გლეხებო და ყველა მშრომელნო! აიღეთ **მთელი** ძალაუფლება **თქვენივე** საბჭოების ხელში. თვალის ჩინივით გაუფრთხილდით, მოუარეთ მიწას, პურს, ფაბრიკებს, იარაღებს, პროდუქტებს, ტრანსპორტს — ამიერიდან ყოველივე ეს **სავსებით** თქვენი, საერთოსახალხო კუთვნილება იქნება. თანდათანობით, გლეხების უმრავლესობის თანხმობით და მოწონებით, მათი და მუშების **პრაქტიკული** გამოცდილების მითითებით, მტკიცედ და ურყევად გავწევთ სოციალიზმის გამარჯვებისაკენ, რომელსაც განამტკიცებენ ყველაზე ცივილიზებული ქვეყნების მოწინავე მუშები და რომელიც ხალხებს მიანიჭებს მტკიცე ზავს და იხსნის ყოველგვარი ჩაგვრისა და ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან.

1917 წლის 5 ნოემბერი.

პეტროგრადი.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

«პრავდა» № 182,
1917 წ. 20 (7) ნოემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან

ამხანაგებს: კამენევს, ზინოვიევს, რიაზანოვსა და ლარინს.

ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხელ უკვე წაუყენა ულტიმატუმი თქვენი პოლიტიკის ცნობილ წარმომადგენლებს (კამენევსა და ზინოვიევს) და მოითხოვა საკუთარი დამორჩილებოდნენ ც. კ-ის გადაწყვეტილებებსა და მის ხაზს, სრულიად აეღოთ ხელი მისი მუშაობის საბოტაჟზე და დეზორგანიზატორულ მოქმედებაზე *.

თქვენი პოლიტიკის წარმომადგენლები ც. კ-დან გავიდნენ, პარტიაში კი დარჩნენ და მით ვალდებულება იკისრეს დამორჩილებოდნენ ც. კ-ის დადგენილებებს. ნამდვილად კი თქვენ არ სჯერდებით კრიტიკას პარტიის შიგნით, მერყეობა შეგაქვთ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი აჯანყების მებრძოლთა რიგებში და, არღვევთ რა პარტიულ დისციპლინას, განაგრძობთ ჩვენი პარტიის ფარგლებს გარეთ, საბჭოებში, მუნიციპალურ დაწესებულებებში, პროფესიულ კავშირებში და სხვ. ც. კ-ის გადაწყვეტილებების ჩაშლას და მისი მუშაობის შეფერხებას.

ამის გამო ც. კ. იძულებულია გაიმეოროს თავისი ულტიმატუმი და წინადადება მოგცეთ — ან დაუყოვნებლივ წერილობით მოგვცეთ პირობა, რომ დაემორჩილებით ც. კ-ის

* იხ. ეს ტომი, გვ. 325 — 327. რედ.

გადაწყვეტილებებს და ყოველ თქვენს გამოსვლაში გაატარებთ მის პოლიტიკას, ან ჩამოშორდებით ყოველგვარ საჯარო პარტიულ მუშაობას და დასტოვებთ ყველა პასუხსაგებ პოსტს მუშათა მოძრაობაში, პარტიული ყრილობის მოწვევამდე.

ერთ-ერთი ამ პირობის მოცემაზე უარისთქმა ც. კ-ს დააყენებს აუცილებლობის წინაშე — დააყენოს პარტიიდან თქვენი დაუყოვნებლივ გარიცხვის საკითხი.

დაწერილია 1917 წლის
5 ან 6 (18 ან 19) ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს ბროშურაში «პარტია ზინოვიევისა და კამენევის შტრეიკბრეხერობის წინააღმდეგ 1917 წ. ოქტომბერს»

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან

პარტიის ყველა წევრისა და რუსეთის ყველა მშრომელი კლასისადმი

ამხანაგებო!

ყველამ იცის, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის დელეგატების უმრავლესობა ბოლშევიკების პარტიის წევრი იყო.

ეს ფაქტი ძირითადი ფაქტია ახლანდელ მომხდარი და როგორც პეტროგრადსა და მოსკოვში, ისე მთელ რუსეთში გამარჯვებული რევოლუციის გასაგებად. სწორედ ამ ფაქტს ივიწყებენ მუდამ და გვერდს უვლიან კაპიტალისტთა ყველა მომხრენი და მათი შეუგნებელი ხელისშემწყობნი, რომლებიც ძირს უთხრიან ახალი რევოლუციის ძირითად საწყისს, სახელდობრ: მ თ ე ლ ი ძ ა ლ ა უ ფ ლ ე ბ ა ს ა ბ ჭ ო ებ ს. რუსეთში არ უნდა იყოს სხვა მთავრობა, გარდა ს ა ბ ჭ ო თ ა მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა. რუსეთში მოპოვებულია საბჭოთა ხელისუფლება, და მთავრობის გადასვლა ერთი საბჭოთა პარტიის ხელიდან მეორე პარტიის ხელში უზრუნველყოფილია სრულიად ურევოლუციოდ, საბჭოების უბრალო გადაწყვეტილებით, საბჭოების დეპუტატების უბრალო გადარჩევით. საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ უმრავლესობა ბოლშევიკების

პარტიას არგუნა. ამიტომ მხოლოდ ის მთავრობაა საბჭოთა მთავრობა, რომელიც ამ პარტიის მიერაა შედგენილი. ყველასათვის ცნობილია ისიც, რომ ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რამდენიმე საათით ადრე ახალი მთავრობის შექმნამდე და მის წევრთა სიის საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობისათვის წარდგენამდე, თავის სხდომაზე მიიწვია მემარცხენე ესერების ჯგუფის სამი ცნობილი წევრი, ამხანაგები კამკოვი, სპირო და კარელინი, და შ ე ს თ ა ვ ა ზ ა მ ა თ მონაწილეობა მიეღოთ ახალ მთავრობაში. ძალიან ვწუხვართ, რომ ამხანაგმა მემარცხენე ესერებმა უარი თქვეს, მათს უარს ჩვენ შეუწყნარებლად ვთვლით რევოლუციონერისა და მშრომელთა მომხრისათვის, ჩვენ მუდამ მზადა ვართ მემარცხენე ესერები შევიყვანოთ მთავრობის შემადგენლობაში, მაგრამ ვაცხადებთ, რომ, როგორც საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის უმრავლესობის პარტიას, უფლება გვაქვს დ ა ხალხის წინაშე ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ც ვ ა რ თ შევადგინოთ მთავრობა.

ყველამ იცის, რომ საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობას ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წარუდგინა სახალხო კომისართა წმინდა ბოლშევიკური სია და რომ ყ რ ი ლ ო ბ ა მ წ მ ი ნ დ ა ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ე ს ს ი ა მ ო ი წ ო ნ ა.

ამიტომ აბსოლუტურად ყალბია, და მხოლოდ ხალხის მტრები, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მტრები ავრცელებენ და მხოლოდ მათ შეუძლიათ გაავრცელონ ცრუ განცხადებანი, თითქოს ბოლშევიკური მთავრობა ა რ იყოს საბჭოთა მთავრობა. პირიქით, მ ხ ო ლ ო დ ბოლშევიკური მთავრობა შეიძლება ამჟამად, საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის შემდეგ, მესამეს მოწვევამდე, ან საბჭოების გადარჩევამდე, ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ახალი მთავრობის შედგენამდე, — მ ხ ო ლ ო დ ბოლშევიკური მთავრობა შეიძლება ამჟამად აღიარებულ იქნეს ს ა ბ ჭ ო თ ა მთავრობად.

* * *

ამხანაგებო! ჩვენი პარტიის ც. კ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს რამდენიმე წევრი — კამენევი, ზინოვიევი, ნოგინი, რიკოვი, მილიუტინი და ზოგიერთი სხვა, გუშინ, 4 ნოემბერს, გამოვიდნენ ჩვენი პარტიის ც. კ-დან და — უკანასკნელი სამი — სახალხო კომისართა საბჭოდან. ისეთ დიდ პარტიაში, როგორიცაა ჩვენი პარტია, მიუხედავად ჩვენი პოლიტიკის პროლეტარულ-რევოლუციური გეზისა, არ შეიძლებოდა არ აღმოჩენილიყვნენ ცალკეული ამხანაგები, არასაკმაოდ მედგარნი და მტკიცენი ხალხის მტრებთან ბრძოლის საქმეში. ამჟამად ჩვენი პარტიის წინაშე წამოჭრილი ამოცანები ჭეშმარიტად განუზომელია, სიძნელენი უზარმაზარია, — და ჩვენი პარტიის რამდენიმე წევრი, რომელთაც წინათ პასუხსაგები თანამდებობები ეჭირათ, შედრკნენ ბურჟუაზიის შემოტევის წინაშე და გაიქცნენ ჩვენი წრიდან. მთელი ბურჟუაზია და მისი დამქაშები ზეიმობენ ამის გამო, გესლიანად ხარობენ, ჰყვირიან დაშლის შესახებ, წინასწარმეტყველებენ ბოლშევიკური მთავრობის დაღუპვას.

ამხანაგებო! არ დაუჯეროთ ამ სიცრუეს. წასული ამხანაგები მოიქცნენ, როგორც დეზერტირები; მათ არათუ მიატოვეს ჩაბარებული პოსტები, არამედ ჩაშალეს ჩვენი პარტიის ც. კ-ის პირდაპირი დადგენილებაც იმის შესახებ, რომ მოეცადათ თუნდ იმ დრომდე, ვიდრე პეტროგრადისა და მოსკოვის პარტიული ორგანიზაციები გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ. ჩვენ გადაჭრით ვგმობთ ამ დეზერტირობას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ყველა შეგნებული მუშა, ჯარისკაცი და გლეხი, რომლებიც ჩვენს პარტიას ეკუთვნიან ან თანაუგრძნობენ, ასევე გადაჭრით დაჰგმობენ დეზერტირების საქციელს.

მაგრამ ვაცხადებთ, რომ ჩვენი პარტიის ზედაფენიდან გამოსული რამდენიმე კაცის დეზერტირული მოქმედება ვრთი წუთითაც და ოდნავადაც ვერ შეარყევს იმ მ ა ს ე ბ ი ს

ერთიანობას, რომლებიც ჩვენს პარტიას მიჰყვებიან, და, მაშასადამე, ვერ შეარყევს ჩვენს პარტიასაც.

მოიგონეთ, ამხანაგებო, რომ ორი ამ დეზერტირთაგან, კამენევი და ზინოვიევი, უკვე პეტროგრადის აჯანყების წინ გამოვიდნენ, როგორც დეზერტირები და შტრეიკბრეხერები, რადგან მათ არათუ ხმა მისცეს აჯანყების წინააღმდეგ ც. კ-ის 1917 წ. 10 ოქტომბრის გადამწყვეტ კრებაზე, არამედ ც. კ-ის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შ ე მ დ ე გ ა ც გამოდიოდნენ პარტიული მუშაკების წინაშე აჯანყების საწინააღმდეგო აგიტაციით. ყველამ იცის, რომ იმ გაზეთებმა, რომელთაც ეშინიათ მიემხრონ მუშებს და რომლებიც უფრო ბურჟუაზიისაკენ მიიწევენ (მაგალითად, «ნოვაია ჟიზნ»), მთელ ბურჟუაზიულ პრესასთან ერთად ასტეხეს მაშინ ყვირილი და აურზაური ჩვენი პარტიის «დაშლაზე», «აჯანყების ჩავარდნაზე» და სხვა. მაგრამ ცხოვრებამ მალე უკუაგდო როგორც ერთთა სიცრუე და ცილისწამება, ისე მეორეთა ეჭვები, მერყეობა და სილაჩრე. «ქარიშხალი», რომელიც უნდოდათ გამოეწვიათ კამენევისა და ზინოვიევის მიერ პეტროგრადის აჯანყების ჩასაშლელად გადადგმული ნაბიჯების გამო, აღმოჩნდა ქ ა რ ი შ ხ ა ლ ი ჭ ი ქ ა წ ყ ა ლ შ ი, და მასებში დიადმა აღმავლობამ, მილიონობით მუშის, ჯარისკაცისა და გლეხის დიადმა გმირობამ პიტერსა და მოსკოვში, ფრონტზე, სანგრებსა და სოფლებში ისეთივე სიადვილით გადაისროლა დეზერტირები, როგორც რკინიგზის მატარებელი გადაისვრის ხოლმე ნაფოტებს.

დაე შერცხვეს ყველა მცირემორწმუნეს, ყველა მერყევს, ყველა დაეჭვებულს, ყველას, ვინც შეუშინდა ბურჟუაზიას ან აჰყვა მისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი დამქაშების ყვირილს. ო დ ნ ა ვ ი მერყეობა პეტროგრადის, მოსკოვისა და სხვა მუშათა და ჯარისკაცთა მ ა ს ე ბ შ ი ა რ ა რ ი ს. ჩვენი პარტია ერთსულოვნად და მტკიცედ, როგორც ერთი კაცი, დგას საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე, ყველა მშრომელის, უპირველეს ყოვლისა,

მუშებისა და უღარიბესი გლეხების ინტერესების სადარაჯოზე!

ბურჟუაზიული მჯლაბნელების და იმ ადამიანების გუნდები, რომლებიც შეუშინდნენ ბურჟუაზიას, ბრალს გვდებენ იმაში, რომ ჩვენ არაფერს ვუთმობთ, შეურიგებელნი ვართ, არ გვინდა ხელისუფლება გავუზიაროთ სხვა პარტიას. ეს მართალი არ არის, ამხანაგებო! ჩ ვ ე ნ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა მ ი ვ ე ც ი თ და ახლაც ვაძლევთ წინადადებას მემარცხენე ესერებს ჩვენთან ერთად გაიზიარონ ხელისუფლება. ჩვენი ბრალი არ არის, თუ მ ა თ უ ა რ ი თ ქ ვ ე ს. ჩვენ მოლაპარაკება გავმართეთ და საბჭოების მეორე ყრილობის დამთავრების შემდეგაც ამ მოლაპარაკების დროს ყოველგვარ დათმობაზე მივდიოდით, პირობითად იმის თანახმაც კი ვიყავით დაგვეშვა პეტროგრადის ქალაქის თვითმმართველობის ნაწილის წარმომადგენლები, თვითმმართველობისა, რომელიც კორნილოველების ბუდეა, რომელსაც პირველ რიგში აღგვის ხალხი, თუ არამზადა-კორნილოველები, თუ კაპიტალისტთა და მემამულეთა ნაშიერნი, იუნკრები კვლავ შეეცდებიან წინააღმდეგობა გაუწიონ ხალხის ნებას, როგორც მათ ეს სცადეს წარსულ კვირას პეტროგრადში და როგორც აპირებენ კვლავაც მოიქცნენ (ეს დამტკიცებულია პურიშკევიჩის შეთქმულების აღმოჩენით და გუშინ, 3 ნოემბერს, მასთან ნახული საბუთებით). მაგრამ ჩვენი დამთმობლობა იმ ვაჟბატონებმა, რომლებიც მემარცხენე ესერებს ამოფარებიან და მათი მეშვეობით ბურჟუაზიის სასარგებლოდ მოქმედებენ, გაიგეს როგორც ჩვენი სისუსტე, და გამოიყენეს ახალი ულტიმატუმების წამოსაყენებლად ჩვენთვის. 3 ნოემბრის თათბირზე გამოცხადდნენ ბბ. აბრამოვიჩი და მარტოვი და წამოგვიყენეს ულტიმატუმი: არავითარი მოლაპარაკება, ვიდრე ჩვენი მთავრობა არ შეწყვეტს დაპატიმრებებს და ბურჟუაზიული გაზეთების დახურვას.

ჩვენმა პარტიამაც და საბჭოების ყრილობის ცაკ-მაც უ ა რ ი თ ქ ვ ე ს ამ ულტიმატუმის შესრულებაზე, რომელიც აშკარად მოდის კალედინის, ბურჟუაზიის, კერენსკისა და

კორნილოვის მომხრეებისაგან. პურიშკევიჩის შეთქმულებამ და 5 ნოემბერს პეტროგრადში მე-17 კორპუსის იმ ნაწილის დელეგაციის გამოჩენამ, რომელიც პიტერზე გამოლაშქრებით გვემუქრება (სასაცილო მუქარაა, რადგან ამ კორნილოველთა მოწინავე რაზმები უკვე დამარცხდნენ და გატჩინასთან გაიქცნენ, უმეტეს ნაწილად კი უარი თქვეს საბჭოების წინააღმდეგ გამოლაშქრებაზე), — ყველა ამ ამბებმა ცხადყო, თუ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ვისგან გამოდიოდა ბბ. აბრამოვიჩის და მარტოვის ულტიმატუმი, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ვის ემსახურებოდნენ ეს ადამიანები.

დაე გულდამშვიდებით და მტკიცედ იყვნენ ყველა მშრომელნი! ჩვენი პარტია არასოდეს არ დაუთმობს საბჭოების უმცირესობის ულტიმატუმებს, იმ უმცირესობის, რომელიც შეუშინდა და ფაქტიურად, საქმით, მიუხედავად თავისი «კეთილი სურვილებისა», გამოდის როგორც სათამაშო ტიკინა კორნილოველების ხელში.

ჩვენ მტკიცედ ვიცავთ საბჭოთა ხელისუფლების, ე. ი. უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ი ს ხელისუფლების პრინციპს, იმ უმრავლესობის, რომელიც მივიღეთ საბჭოების უკანასკნელ ყრილობაზე; ჩვენ თანახმა ვიყავით და თ ა ნ ა ხ მ ა ვ ა რ თ გავუზიაროთ ხელისუფლება საბჭოების უმცირესობას, იმ პირობით, თუ ეს უმცირესობა ლოიალურად, პატიოსნად იკისრებს დაემორჩილოს უმრავლესობას და განახორციელოს ის პროგრამა, რომელიც მ ო ი წ ო ნ ა საბჭოების სრულიად რუსეთის მ თ ე ლ მ ა მეორე ყრილობამ და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ თანდათან, მაგრამ მტკიცედ და განუხრელად გადაიდგას ნაბიჯები სოციალიზმისაკენ. მაგრამ ჩვენ არ დავემორჩილებით არავითარ ულტიმატუმებს იმ ინტელიგენტური ჯგუფებისას, რომლებსაც მასები მხარს არ უჭერენ, რომლებსაც ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ში მხარს უჭერენ მხოლოდ კორნილოველები, სავინკოველები, იუნკრები და სხვ.

მაშ დაე გულდამშვიდებით და მტკიცედ იყვნენ ყველა მშრომელნი! ჩვენი პარტია, საბჭოთა უმრავლესობის პარტია,

ერთსულოვნად და დარაზმულად დგას მათი ინტერესების სადარაჯოზე, და ჩვენს პარტიას კვლავინდებურად მხარს უჭერენ მილიონობით მუშები ქალაქებში, ჯარისკაცები სანგრებში, გლეხები სოფლად, რომლებიც მზად არიან რადაც უნდა დაჯდეს განახორციელონ ზავის და სოციალიზმის გამარჯვება!

დაწერილია 1917 წ.
5 — 6 (18 — 19) ნოემბერს

დაიბეჭდა 1917 წ.
20 (7) ნოემბერს გაზეთში
«პრავდა» № 182

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

წინასიტყვაობა ბროშურისა: «როგორ მოატყუეს ხალხი სოციალისტ-რევოლუციონერებმა და რა მისცა ხალხს ბოლშევიკების ახალმა მთავრობამ»

რუსეთის გლეხობამ ახლა ხელში უნდა აიღოს ჩვენი ქვეყნის სვე-ბედი.

მუშათა რევოლუციის გამარჯვებამ ორივე დედაქალაქში და რუსეთის ადგილების დიდ უმეტეს ნაწილში გლეხებისთვის უზრუნველყო შესაძლებლობა საკუთარ ხელში აიღონ საადგილმამულო საქმეების მოწყობა. ყველა გლეხი ჯერ კიდევ არ მიმხვდარა, მაგრამ მალე მიხვდება, რომ მათი გლეხთა დეპუტატების საბჭოები არის სწორედ ნამდვილი, ჭეშმარიტი, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება.

როდესაც გლეხები ამას მიხვდებიან, მაშინ განმტკიცდება მათი კავშირი მუშებთან, კავშირი გლეხების უმრავლესობისა, მშრომელებისა, უღარიბესი გლეხებისა. საბჭოებშიც და დამფუძნებელ კრებაშიც მხოლოდ ამ კავშირს, და არა გლეხთა კავშირს კაპიტალისტებთან, — შეუძლია ნამდვილად უზრუნველყოს მშრომელთა ინტერესები.

ეჭვი არაა, გლეხები ძალიან მალე მიხვდებიან, რომ მათი ხსნა ომის საშინელებისა და მემამულეთა და კაპიტალისტთა ჩაგვრისაგან მოითხოვს გლეხობის კავშირს არა მდიდრებთან, არამედ ქალაქების მშრომელებთან, პირველ ყოვლისა, ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან.

გლეხებმა რომ რაც შეიძლება უფრო მალე გაიგონ ეს, საჭიროა, სხვათა შორის, რომ გლეხებმა უფრო ზუსტად, უფრო დოკუმენტურად შეაჯერონ, დაუპირისპირონ, შეადარონ ერთმანეთს ესერების («სოციალისტ-რევოლუციონერების»)

დაპირებები და კანონპროექტები და ახალი, მუშურ-გლეხური, მთავრობის მიწის კანონი.

ასეთ შედარებას ეძღვნება ეს ბროშურა. მასში მკითხველები იპოვიან ისეთ დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ს, რომლებიც უწინარეს ყოვლისა საჭიროა ყველასათვის, ვისაც კი უნდა შეგნებულად მოეკიდოს საქმეს. მთავარი დოკუმენტი, რომელიც ესერებს შეეხება, ეს არის ესერთა მინისტრის მასლოვის კანონპროექტი მიწის შესახებ. ეს კანონპროექტი მთლიანად გადმოვბეჭდე «დელო ნაროდადან» (ჩერნოვის გაზეთიდან). გადმოვბეჭდე აგრეთვე ჩემი სტატიაც ამ საკითხზე «რაბოჩიი პუტიდან» *.

მთლიანადაა გადმობეჭდილი მუშურ-გლეხური მთავრობის მიწის კანონიც **.

ამხანაგო გლეხებო! ეძიეთ სიმართლე სხვადასხვა პარტიის შესახებ და იპოვით მას. თვითონვე შეკრიბეთ და შეადარეთ ერთმანეთს სხვადასხვა პარტიის კანონპროექტები მიწის შესახებ.

ყურადღებით წაიკითხეთ ესერთა მინისტრის მიწის კანონპროექტი და მიწის ის კანონი, რომელიც გამოსცა ახლანდელმა, საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის რწმუნებით აღჭურვილმა, ბოლშევიკურმა მთავრობამ. ჩვენ ერთი წუთითაც ეჭვი არ გვეპარება, თუ როგორი იქნება გლეხების საბოლოო აზრი.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პეტროგრადი,
1917 წ. 9 ნოემბერი

დაიბეჭდა 1917 წელს ბროშურაში:
ნ. ლენინი. «როგორ მოატყუეს ხალხი
სოციალისტ-რევოლუციონერებმა
და რა მისცა ხალხს ბოლშევიკების
ახალმა მთავრობამ». ჯარისკაცის
და გლეხის ბიბლიოთეკა, № 18

იბეჭდება ბროშურის
ტექსტის მიხედვით

* იხ. ეს ტომი, გვ. 261—268. რ ე დ.
** იხ. ეს ტომი გვ. 299—302. რ ე დ.

მთავრობის ლაპარაკი პირდაპირი მავთულით მთავარ ბანაკთან 1917 წ. 9 (22) ნოემბერს

— აქ აპარატთან უმაღლესი მთავარსარდალია?

— დიტერიხსი.

— გეთაყვა, სთხოვეთ უმაღლესი მთავარსარდლის მოვალ. აღმსრულებელს. თუ გენერალი დუხონინი ამ მოვალეობას არ ასრულებს, კეთილინებეთ და სთხოვეთ იმ პირს, რომელიც მას სცვლის ამჟამად. რამდენადაც ვიცით, გენერალ დუხონინს თავისი მოვალეობისათვის ჯერ თავი არ დაუნებებია.

მთავარსარდლის ბანაკი უპასუხებს: — უმაღლესი მთავარსარდლის მოვალ. აღმსრულებელი გენ. დუხონინი გიცდიდათ თქვენ ღამის პირველ საათამდე, ახლა მას სძინავს. აპარატი არ მუშაობდა, შემდეგ კი დაკავებული იყო მთავარსარდლის ბანაკის მიერ უმაღლესი მთავარსარდლის გენერალური ბანაკის მავთულით.

— თუ შეგიძლიათ, გვითხარით: მიიღეთ თუ არა სახალხო კომისართა საბჭოს რადიო-დეპეშა, 4 საათზე გამოგზავნილი, და რა გაკეთდა სახალხო კომისართა საბჭოს ბრძანების შესასრულებლად?

მთავარსარდლის ბანაკი უპასუხებს: — მიღებული იყო სახელმწიფო მნიშვნელობის დეპეშა უნომროდ და უთარიღოდ, ამიტომ გენერალი დუხონინი შეეკითხა გენერალ მანიკოვსკის, საჭიროა ამ დეპეშის სინამდვილის დამადასტურებელი გარანტიებიო.

— მერე რა უპასუხა ამ შეკითხვაზე მანიკოვსკიმ და რომელ საათზე გაიგზავნა ეს შეკითხვა და რა საშუალებით: რადიოთი, ტელეფონით თუ დეპეშით?

მთავარსარდლის ბანაკი უპასუხებს: — პასუხი ჯერ კიდევ არ მოსულა, ერთი საათის წინათ გაიგზავნა თხოვნა დააჩქარონ პასუხი.

— გთხოვთ ზუსტად აღნიშნოთ, რომელ საათზე და სახელდობრ რა წესით გაიგზავნა პირველი შეკითხვა? არ შეიძლება დაუჩქაროთ?

მთავარსარდლის ბანაკი უპასუხებს: — დეპეშა გაეგზავნა გენერალ მანიკოვსკის აპარატით და რადიოთი, — რომელ საათზე, ახლავე გეტყვიან.

— დეპეშა გადაცემულია 19 საათსა და 50 წუთზე.

— რატომ იმავდროულად ეს შეკითხვა არ გამომეგზავნა მე, როგორც სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარს, რადგან უმაღლესმა მთავარსარდალმა იცოდა ჩემთან პირადი ლაპარაკიდან, რომ გენერალი მანიკოვსკი მხოლოდ ისეთი პირია, რომლის მოვალეობაა მომარაგებასა და სურსათზე ტექნიკური მუშაობის განგრძობა, მაშინ როდესაც სამხედრო სამინისტროს მოქმედების პოლიტიკური ხელმძღვანელობა და მისი პასუხისმგებლობა მე მაქვს დაკისრებული?

მთავარსარდლის ბანაკი უპასუხებს: — ამაზე არაფერი შემიძლია გიპასუხოთ.

— ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ დაგვიანების პასუხისმგებლობას ესოდენ მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეში სავსებით გენერალ დუხონინს ვაკისრებთ და უეჭველად მოვითხოვთ: ჯერ-ერთი, დაუყოვნებლივ გაიგზავნოს პარლამენტიორები, და, მეორე, პირადად გამოცხადდეს გენერალი დუხონინი მავთულთან ხვალ დილის სრულ 11 საათზე. თუ დაყოვნება გამოიწვევს შიმშილს, რღვევას ან დამარცხებას, ანდა ანარქიულ ჯანყს, ბრალი მთლიანად თქვენ დაგედებათ, რაც ეცნობება ჯარისკაცებს.

მთავარსარდლის ბანაკი უპასუხებს: — ამას მოვახსენებ გენერალ დუხონინს.

— როდის მოახსენებთ? — ახლავე? — მაშინ ვუცდით დუხონინს.

მთავარსარდლის ბანაკი უპასუხებს: — ახლავე გავაღვიძებ.

— აპარატთან არის უმაღლესი მთავარსარდლის მოვალ. დროებ. აღმსრულებელი გენერალი დუხონინი.

— აპარატთან არიან სახალხო კომისრები, ველით თქვენს პასუხს.

— დავრწმუნდი რა უმაღლესი მთავარსარდლის გენერალური ბანაკის თქვენთან ლაპარაკის ახლა გადმოცემული ლენტიდან, რომ თქვენ მიერ ჩემს სახელზე დეპეშა მანამდეა გამოგზავნილი, ვიდრე მივიღებდი გადაწყვეტილებას სახალხო კომისრების — ულიანოვ-ლენინის, ტროცკისა და კრილენკოს ხელმოწერილი დეპეშის არსებითი მხარის გამო, აუცილებლად საჭიროა მქონდეს შემდეგი ფაქტიური ცნობები: 1) აქვს თუ არა სახალხო კომისართა საბჭოს რაიმე პასუხი თავის დეკრეტზე ზავის შესახებ, რომლითაც მან მეომარ სახელმწიფოებს მიმართა; 2) როგორ უნდა მოვქცეოდით რუმინეთის არმიას, რომელიც ჩვენი ფრონტის შემადგენლობაში შემოდის; 3) განზრახულია თუ არა მოლაპარაკების დაწყება სეპარატულ დროებით ზავზე და ვისთან, მარტო გერმანელებთან თუ თურქებთანაც, თუ მოლაპარაკება უნდა ვაწარმოოთ საერთო დროებითი ზავის შესახებ?

— თქვენთვის გამოგზავნილი დეპეშის ტექსტი სავსებით ზუსტი და ნათელია, მასში ლაპარაკია იმაზე, რომ დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნეს მოლაპარაკება ყველა მეომარ სახელმწიფოსთან დროებითი ზავის შესახებ; ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის დაყოვნების უფლებას რაიმე წინასწარი შეკითხვებით და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაიგზავნოს პარლამენტიორები და ყოველ საათში გვეცნობოს მოლაპარაკების მსვლელობა.

მთავარსარდლის ბანაკი უპასუხებს: — ჩემი შეკითხვები წმინდა ტექნიკური ხასიათისაა, რომელთა გადაუწყვეტლად შეუძლებელია მოლაპარაკების წარმოება.

— თქვენ არ შეიძლება არ გესმოდეთ, რომ მოლაპარაკების დროს იბადება მრავალი ტექნიკური, უფრო სწორად რომ ვთქვათ, დეტალური საკითხი, რომლებზედაც მოგცემთ პასუხს იმისდაკვალად, როგორც კი ეს საკითხები წამოიჭრება თუ დაისმება მოწინააღმდეგის მიერ; ამიტომ კიდევ ერთხელ და ულტიმატურად მოვითხოვთ დაუყოვნებლივ და ულაპარაკოდ შეუდგეთ ფორმალურ მოლაპარაკებას დროებითი ზავის

შესახებ ,ყველა მეომარ, როგორც მოკავშირე, ისე ჩვენთან სამტრო მოქმედებაში მყოფ ქვეყნებს შორისაც. კეთილინებეთ მოგვცეთ ზუსტი პასუხი.

— ჩემი აზრით, უშუალო მოლაპარაკება სახელმწიფოებთან თქვენთვის შეუძლებელია. მით უფრო ნაკლებ შესაძლებელია იგი ჩემთვის თქვენი სახელით. მხოლოდ ცენტრალურ სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელსაც მხარს დაუჭერენ არმია და ჩვენი ქვეყანა, შეუძლია საკმარო წონა და მნიშვნელობა ექნეს მოწინააღმდეგეებისთვის, რათა ამ მოლაპარაკებას საჭირო ავტორიტეტულობა მიეცეს შედეგების მისაღწევად. მეც იმას ვფიქრობ, რომ რუსეთის ინტერესები მოითხოვს რაც შეიძლება ჩქარა შეიკრას საყოველთაო ზავი.

— თქვენ კატეგორიულად ამბობთ უარს ზუსტი პასუხი მოგვცეთ და შეასრულოთ ჩვენი ბრძანება?

— ზუსტი პასუხი ჩემს მიერ თქვენი დეპეშის შესრულების შეუძლებლობის მიზეზებზე მე მოგეცით და კიდევ ვიმეორებ, რომ რუსეთისთვის აუცილებელი ზავის მოცემა შეუძლია მხოლოდ ცენტრალურ მთავრობას. დ უ ხ ო ნ ი ნ ი.

— რუსეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით, სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით, თქვენ გითხოვთ თანამდებობიდან მთავრობის ბრძანებათა შეუსრულებლობისა და იმ მოქმედებისათვის, რომელსაც განუზომელი უბედურება მოაქვს ყველა ქვეყნის მშრომელი მასებისა და განსაკუთრებით ჯარებისათვის. გიბრძანებთ სამხედრო დროის კანონების მიხედვით პასუხისმგებლობის შიშით განაგრძოთ საქმის გაძღოლა, ვიდრე ბანაკში მოვიდოდეს ახალი მთავარსარდალი ან ისეთი პირი, რომელიც მის მიერ უფლებამოსილი იქნება ჩაიბაროს თქვენგან საქმეები. მთავარსარდლად ინიშნება პრაპორშჩიკი კრილენკო.

ლ ე ნ ი ნ ი, ს ტ ა ლ ი ნ ი, კ რ ი ლ ე ნ კ ო

ცაკ-ის «იზვესტია» № 221, 1917 წ. 10 ნოემბერი

იბეჭდება წიგნის: «II მოწვევის მ., ჯ., გლ. და კაზ. დეპუტატების საბჭოების სრ. რ. ცაკ-ის სხდომათა ოქმების» ტექსტის მიხედვით. მოსკოვი, 1918

რადიო ყველას

ყველა პოლკის, დივიზიის, კორპუსის, არმიის და სხვა კომიტეტს, რევოლუციური არმიის ყველა ჯარისკაცს და რევოლუციური ფლოტის ყველა მატროსს

7 ნოემბერს ღამით სახალხო კომისართა საბჭომ რადიო-დეპეშა გაუგზავნა მთავარსარდალს დუხონინს და უბრძანა მას დაუყოვნებლივ და ფორმალურად დროებითი ზავის წინადადება მიეცა ყველა მეომარი, როგორც მოკავშირე, ისე ჩვენთან სამტრო მოქმედებაში მყოფი ქვეყნისათვის.

ეს რადიო-დეპეშა მთავარსარდლის ბანაკმა მიიღო 8 ნოემბერს, დილის 5 საათსა და 5 წუთზე. დუხონინს ებრძანა განუწყვეტლივ მოეხსენებინა სახალხო კომისართა საბჭოსთვის მოლაპარაკების მსვლელობა და დროებითი ზავის აქტზე ხელი მოეწერა მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ. ამავე დროს დროებითი ზავის შეკვრის ასეთივე წინადადება ფორმალურად გადაეცა მოკავშირე ქვეყნების ყველა სრულუფლებიან წარმომადგენელს პეტროგრადში.

რადგან დუხონინისაგან პასუხი არ მოვიდა 8 ნოემბრის საღამომდე, სახალხო კომისართა საბჭომ სრული უფლებით აღჭურვა ლენინი, სტალინი და კრილენკო — შეჰკითხოდნენ პირდაპირი მავთულით დუხონინს დაყოვნების მიზეზების შესახებ.

მოლაპარაკება წარმოებდა ღამის ორი საათიდან დილის ხუთის ნახევრამდე 9 ნოემბერს. დუხონინი ყოველნაირად

ცდილობდა აეცილებინა თავიდან თავისი საქციელის განმარტება და ზუსტი პასუხის გაცემა მთავრობის ბრძანებაზე, მაგრამ როდესაც დუხონინს კატეგორიულად ებრძანება დაუყოვნებლივ დაეწყო ფორმალური მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ, მან უარი განაცხადა დამორჩილებაზე. მაშინ რუსეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით და სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით დუხონინს გამოეცხადა, რომ ის გადაყენებულია თანამდებობიდან მთავრობის ბრძანებათა შეუსრულებლობისა და იმ მოქმედებისათვის, რომელსაც განუზომელი უბედურება მოაქვს ყველა ქვეყნის მშრომელი მასებისა და განსაკუთრებით არმიებისათვის. ამასთან ერთად დუხონინს ებრძანა განაგრძოს საქმის გაძღოლა, ვიდრე არ მივა ახალი მთავარსარდალი ან ისეთი პირი, რომელიც მის მიერ უფლებამოსილი იქნება ჩაიბაროს საქმეები დუხონინისაგან. ახალ მთავარსარდლად დანიშნულია პრაპორშჩიკი კრილენკო.

ჯარისკაცებო! ზავის საქმე თქვენს ხელთაა. ნუ დაანებებთ კონტრრევოლუციურ გენერლებს ჩაფუშონ ზავის დიადი საქმე, გარს შემოარტყით მათ მცველები, რათა თაეიდან აიცილოთ რევოლუციური არმიისათვის შეუფერებელი თვითგასამართლება და ხელი შეუშალოთ ამ გენერლებს თავი აარიდონ გასამართლებას, რომელიც მათ მოელის. დაიცავით უსასტიკესი რევოლუციური და სამხედრო წესრიგი.

დაე პოზიციებზე მდგომმა პოლკებმა ახლავე აირჩიონ რწმუნებულები მტერთან ფორმალური მოლაპარაკების დასაწყებად დროებითი ზავის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭო განიჭებთ თქვენ ამის უფლებას.

მოლაპარაკების ყოველი ნაბიჯი შეგვატყობინეთ ყოველგვარი საშუალებით. დროებითი ზავის შესახებ საბოლოო ხელშეკრულების ხელისმოწერის უფლება აქვს მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს.

ჯარისკაცებო! ზავის საქმე თქვენს ხელთაა! სიფხიზლე, გამძლეობა, ენერგია, და მშვიდობის საქმე გაიმარჯვებს!

რუსეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი
და უმაღლესი მთავარსარდალი ნ. კ რ ი ლ ე ნ კ ო

დაწერილია 1917 წ. 9 (22) ნოემბერს

დაიბეჭდა. 1917 წ. 10 ნოემბერს
ცაკ-ის გაზეთ «იზვესტიაში» № 221

იბეჭდება გაზეთის ტექსტის
მიხედვით

სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომა 1917 წ. 10 (23) ნოემბერს

საოქმო ჩანაწერი

1

ბოლსენევა დუხონინთან მოლაპარაკების შესახებ

დუხონინთან ჩვენი მოლაპარაკების სრული ტექსტი დაბეჭდილია, და მე შემიძლია დავჯერდე მცირე განცხადებებს. ჩვენთვის აშკარა იყო, რომ საქმე გვაქვს ხალხის ნების მოწინააღმდეგესთან და რევოლუციის მტერთან. დუხონინი სხვადასხვა ფანდს და ხერხს მიმართავდა საქმის გასაჭიანურებლად. ეჭვი შეჰქონდათ ჩვენი დეპეშის სინამდვილეში და შეკითხვით მისი სინამდვილის შესახებ მიმართავდნენ არა კრილენკოს, არამედ გენერალ მანიკოვსკის. ამნაირად გენერლებმა ერთი დღე და ღამე მაინც მოგვპარეს ისეთ მნიშვნელოვან და არსებით საკითხში, როგორიცაა ზავის საკითხი. მხოლოდ მაშინ, როდესაც განვაცხადეთ, რომ მივმართავთ ჯარისკაცებს-თქო, მავთულთან გაჩნდა გენერალი დუხონინი. ჩვენ განვუცხადეთ დუხონინს, რომ მოვითხოვთ მისგან დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება დროებითი ზავის შესახებ, და მეტს არაფერს. ჩვენ დუხონინს არ ვაძლევდით უფლებას დროებითი ზავი დაედო. დუხონინის კომპეტენციაში არ შედის არათუ დროებითი ზავის დადების საკითხი, არამედ ყოველი მისი ნაბიჯიც დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების საქმეში სახალხო კომისართა კონტროლს უნდა დაქვემდებარებოდა. ბურჟუაზიული პრესა გვისაყვედურებს, თითქოს ჩვენ ვითხოვდეთ სეპარატულ დროებითს ზავს, თითქოს ჩვენ ანგარიშს არ ვუწევდეთ რუმინეთის არმიის ინტერესებს. ეს მტკნარი სიცრუეა. ჩვენ წინადადებას

ვიძლევით დაუყოვნებლივ იქნეს დაწყებული საზავო მოლაპარაკება და დაიდოს დროებითი ზავი გამოუკლებლივ ყველა მეომარ ქვეყანასთან. ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ ჩვენი რადიო-დეპეშები ევროპაში აღწევს. მაგალითად, ჩვენი რადიო-დეპეშა კერენსკიზე გამარჯვების შესახებ* დაიჭირა და გადასცა ავსტრიის რადიო-ტელეგრაფმა. გერმანელები კი შემხვედრ ტალღებს უშვებდნენ მის შესაჩერებლად. ჩვენ საშუალება გვაქვს კავშირი ვიქონიოთ პარიზთან რადიო-ტელეგრაფით, და როდესაც საზავო ხელშეკრულება შედგენილი იქნება, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ვაცნობოთ საფრანგეთის ხალხს, რომ იგი შეიძლება ხელმოწერილ იქნეს და რომ საფრანგეთის ხალხზეა დამოკიდებული დროებითი ზავის დადება ორ საათში. ვნახოთ, რას იტყვის მაშინ კლემანსო. ჩვენს პარტიას არასოდეს არ განუცხადებია, რომ მას შეუძლია მოგვცეს დაუყოვნებლივი ზავი. ის ამბობდა, რომ დაუყოვნებლივ წამოაყენებს ზავის წინადადებას და გამოაქვეყნებს საიდუმლო ხელშეკრულებებს. და ეს უკვე შესრულებულია — ზავისათვის ბრძოლა იწყება. ეს ბრძოლა ძნელი და შეუპოვარი იქნება. საერთაშორისო იმპერიალიზმი მთელ თავის ძალებს რაზმავს ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალა მეტად დიდია, ჩვენი შანსები ფრიად ხელსაყრელია; ზავისათვის ამ რევოლუციური ბრძოლის დროს და ზავისათვის ბრძოლასთან ერთად ჩვენ გავაჩაღებთ რევოლუციურ დაძმობილებას. ბურჟუაზიის სურვილია განხორციელდეს იმპერიალისტური მთავრობების შეთანხმება ჩვენს წინააღმდეგ.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 315—316. რ ე დ

2

საბოლოო სიტყვა

ამხ. ჩუდნოვსკი ლაპარაკობდა აქ იმის შესახებ, რომ მან «თავს ნება მისცა» მკაცრად გაეკრიტიკებინა კომისართა მოქმედება. აქ შეუძლებელია იმაზე ლაპარაკი, შეიძლება თუ არა მკაცრი კრიტიკით გამოსვლა, ეს კრიტიკა რევოლუციონერის მოვალეობას შეადგენს, და სახალხო კომისრები თავს არ თვლიან უცოდველებად.

ამხ. ჩუდნოვსკი ამბობდა, უხამსი ზავი ჩვენთვის მიუღებელიაო, მაგრამ მან ვერ მოიყვანა ვერც ერთი სიტყვა, ვერც ერთი ფაქტი, რომელიც შეიძლებოდა გაგვეგო იმ აზრით, რომ ჩვენთვის ეს ზავი მიუღებელი იყოს. ჩვენ ვთქვით: ზავზე ხელისმოწერა შეუძლია მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭოს. როდესაც დუხონინთან მოლაპარაკებას ვიწყებდით, ვიცოდით, რომ მოლაპარაკებას ვმართავთ მტერთან, ხოლო როდესაც მტერთან გაქვს საქმე, არ შეიძლება შენი მოქმედების გადადება. მოლაპარაკების შედეგები ჩვენ არ ვიცოდით. მაგრამ ჩვენ გვქონდა გამბედაობა. საჭირო იყო გადაწყვეტილების მიღება იქვე, პირდაპირ მავთულთან. ურჩი გენერლის მიმართ ზომები უნდა მიგვეღო დაუყოვნებლივ. ჩვენ არ შეგვეძლო ცაკ-ის პირდაპირი მავთულით მოწვევა; აქ არ არის ცაკ-ის პრეროგატივების არავითარი დარღვევა. ომში შედეგს არ უცდიან, ეს კი ომი იყო კონტრრევოლუ-

ციური გენერალიტეტის წინააღმდეგ, და ჩვენ იქვე მივმართეთ ჯარისკაცებს მის წინააღმდეგ. ჩვენ გადავაყენეთ დუხონინი, მაგრამ ჩვენ ფორმალისტები და ბიუროკრატები არა ვართ, და ვიცით, რომ მარტო გადაყენება არ კმარა. ის მიდის ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ კი მის საწინააღმდეგოდ მივმართავთ ჯარისკაცთა მასას. ამ უკანასკნელს უფლებას ვაძლევთ დაიწყოს მოლაპარაკება დროებითს ზავზე. მაგრამ დროებითს ზავს არ ვდებთ. ჯარისკაცებმა მიიღეს გაფრთხილება: უთვალთვალონ კონტრრევოლუციურ გენერლებს *. ვფიქრობ, რომ ყოველი პოლკი საკმაოდ ორგანიზებულია იმისათვის, რომ დაიცვას საჭირო რევოლუციური წესრიგი. თუ ის მომენტი, როცა ჯარისკაცები დაიწყებენ მოლაპარაკებას დროებითს ზავზე, საღალატოდ იქნება გამოყენებული, თუ დაძმობილების დროს თავდასხმა მოხდება, ჯარისკაცთა მოვალეობაა — იქვე დახვრიტონ მოღალატენი ყოველგვარი ფორმალობის გარეშე.

ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ ახლა შევასუსტეთ ჩვენი ფრონტი, თუ ვინიცობაა გერმანელებმა შემოგვიტიეს — საოცრებაა. ვიდრე დუხონინი არ იყო მხილებული და გადაყენებული, არმია არ იყო დარწმუნებული, რომ იგი ზავის საერთაშორისო პოლიტიკას ატარებდა. ახლა ეს რწმენა არის: დუხონინთან ბრძოლა შეიძლება მხოლოდ ჯარისკაცთა მასის ორგანიზებულობის და თვითმოქმედების გრძნობისადმი მიმართვით. ზავის დადება შეუძლებელია მხოლოდ ზევიდან. ზავის დადება უნდა ვეცადოთ ქვემოდან. ჩვენ ოდნავადაც არ ვენდობით გერმანიის გენერალიტეტს, მაგრამ ჩვენ ვენდობით გერმანელ ხალხს. ჯარისკაცთა აქტიური მონაწილეობის მიუღებლად მთავარსარდალთა მიერ დადებული ზავი მტკიცე არ იქნება. მე კამენევის წინადადების წინააღმდეგი ვარ არა იმიტომ, რომ პრინციპულად წინააღმდეგი ვიყო მისი, არამედ იმიტომ, რომ ის, რასაც კამენევი გვირჩევს, არ კმარა, ეს მეტისმეტად სუსტია. მე კომისიის საწი-

* იხ. ეს ტომი, გვ. 364—366. რ ე დ.

ნაალმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ წინადადებას ვიძლევი წინასწარ ნუ განვსაზღვრავთ მის ფუნქციებს; მე სუსტი ზომების წინააღმდეგი ვარ და წინადადებას ვიძლევი ამ მხრივ ნუ შეგვიკრავთ ხელს.

«პრავდა» № 188,
1917 წ. 26 (13) ნოემბერი

იბეჭდება წიგნის: «II მოწვევის მ., ჯ., გლ. და კაზ. დეპუტატების საბჭოების სრ. რუს. ცაკ-ის სხდომათა ოქმების» ტექსტის მიხედვით. მოსკოვი, 1918

გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობა[74]

1917 წ. 10—25 ნოემბერს
(23 ნოემბერს — 8 დეკემბერს)

I

განცხადება გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობის ბოლშევიკურ ფრაქციას[75]

კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ ბოლშევიკებმა ულტიმატურად მოითხოვონ ღიად **უყარონ კენჭი** მთავრობის წარმომადგენლ**ების დაუყოვნებლივ** მოწვევის საკითხს.

თუ უარყოფენ ამ წინადადების წ ა კ ი თ ხ ვ ა ს და მისთვის კენჭისყრას სრულ სხდომაზე, ბოლშევიკების მთელმა ფრაქციამ პროტესტის ნიშნად უნდა **დ ა ტ ო ვ ო** ს სხდომა.

დაწერილია 1917 წ.
14 (27) ნოემბერს

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს
ლენინის კრებულში XXI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

2

სიტყვა აგრარულ საკითხზე 14 (27) ნოემბერს საგაზეთო ანგარიში

ლენინი ბოლშევიკების ფრაქციის დავალებით გამოდის აგრარულ საკითხზე ბოლშევიკების პარტიის შეხედულების გადმოცემით.

ესერების პარტია დამარცხდა მიწის საკითხში, როცა სიტყვიერად მემამულეთა მიწების კონფისკაციას ქადაგებდა, ხოლო საქმით მის განხორციელებაზე უარს ამბობდა.

მემამულური მიწათმფლობელობა ბატონყმური ჩაგვრის საფუძველია, და მემამულეთა მიწების კონფისკაცია — რუსეთის რევოლუციის პირველი ნაბიჯია. მაგრამ მიწის საკითხის გადაჭრა შეუძლებელია რევოლუციის სხვა ამოცანებისაგან დამოუკიდებლად. ამ ამოცანების სწორი დაყენება გამომდინარეობს იმ ეტაპების ანალიზიდან, რომლებიც განვლო რევოლუციამ. პირველი ნაბიჯია — თვითმპყრობელობის დამხობა და ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლების დამყარება. მემამულეთა ინტერესები მჭიდროდ გადაეხლართა ბურჟუაზიის, ბანკების ინტერესებს. მეორე ეტაპია — საბჭოების განმტკიცება და ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკა. მემარცხენე ესერების შეცდომა ის არის, რომ იმ დროს ისინი არ ილაშქრებდნენ შეთანხმების პოლიტიკის წინააღმდეგ, იმოწმებდნენ რა იმას, რომ მასები საკმაოდ განვითარებული არ არისო. პარტია არის კლასის ავანგარდი, და მისი ამოცანა ის კი არ არის, რომ მასის საშუალო მდგომარეობა გამოხატოს, არამედ ის, რომ მასები გაიყოლიოს. მაგ-

რამ მერყევნი რომ გაიყოლიოს, თვითონ ამხანაგმა მემარცხენე ესერებმა უნდა დაანებონ თავი მერყეობას.

ამხანაგო მემარცხენე ესერებო, ივლისში დაიწყო ხანა ხალხის მასების კავშირის გაწყვეტისა შეთანხმების პოლიტიკასთან, მაგრამ მემარცხენე ესერები დღემდე ავქსენტიევებს უწვდიან მთელ ხელს, მუშებს კი — მხოლოდ ნეკს. თუ შემთანხმებლობა გაგრძელდა, რევოლუცია დაიღუპება. თუ გლეხობა მხარს დაუჭერს მუშებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება რევოლუციის ამოცანების გადაწყვეტა. შემთანხმებლობა არის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასების ცდა — განახორციელონ თავიანთი საჭიროებანი რეფორმების საშუალებით, კაპიტალის მხრივ დათმობით, სოციალისტური რევოლუციის მოუხდენლად. მაგრამ შეუძლებელია ხალხს მიეცეს ზავი, მიწა ბურჟუაზიის დაუმხობლად, უსოციალიზმოდ. რევოლუციის ამოცანაა — უარყოს შემთანხმებლობა, ხოლო შემთანხმებლობის უარყოფა ნიშნავს სოციალისტური რევოლუციის გზას დაადგე.

შემდეგ ლენინი იცავს ინსტრუქციებს ვოლოსტის კომიტეტებისათვის[76] და ლაპარაკობს ზედაფენებთან, როგორიცაა საარმიო კომიტეტები, გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი და სხვ. კავშირის გაწყვეტის აუცილებლობაზე. — ჩვენი კანონი ვოლოსტის კომიტეტების შესახებ გლეხებისაგან გადმოვიღეთ. გლეხებს უნდათ მიწა, დაქირავებული შრომის აკრძალვა, ინვენტარი მიწის დასამუშავებლად. მაგრამ ამის მიღება შეუძლებელია კაპიტალის დაუმხობლად. ჩვენ ვეუბნებოდით მათ: თქვენ გინდათ მიწები, მაგრამ მიწები დაგირავებულია და ეკუთვნის რუსეთის და მსოფლიო კაპიტალს. თქვენ ომს უცხადებთ კაპიტალს, ამავე დროს თქვენ სხვა გზით მიდიხართ, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს ვეთანხმებით იმაში, რომ მივდივართ და უნდა წავიდეთ სოციალური რევოლუციისაკენ. რაც შეეხება დამფუძნებელ კრებას, მომხსენებელმა თქვა, რომ დამფუძნებელი კრების მუშაობა დამოკიდებული იქნება ჩვენი

ქვეყნის სულისკვეთებაზეო, მე კი გეტყვით: სულისკვეთების იმედი იქონიე, მაგრამ შაშხანა არ დაივიწყო.

ლენინი შემდეგ ჩერდება ომის საკითხზე. როდესაც ორატორი ლაპარაკობს დუხონინის გადაყენებასა და მთავარსარდლად კრილენკოს დანიშვნაზე, ისმის სიცილი. — თქვენ გეცინებათ, მაგრამ ჯარისკაცები დაგგმობენ ამ სიცილისთვის. თუ აქ არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც ეცინებათ, რომ ჩვენ გადავაყენეთ კონტრრევოლუციური გენერალი და დავნიშნეთ კრილენკო, რომელიც გენერლის წინააღმდეგია და წავიდა მოლაპარაკების გასამართავად, ასეთ ადამიანებთან სალაპარაკო არაფერი გვაქვს. ჩვენ არაფერი გვაქვს საერთო იმათთან, ვინც არ ცნობს ბრძოლას კონტრრევოლუციურ გენერალიტეტთან, ჩვენ გვირჩევნია გავშორდეთ ხელისუფლებას, შესაძლოა, იატაკქვეშაც ჩავძვრეთ, მაგრამ ასეთ ადამიანებთან საერთო არაფერი გვექნება.

«პრავდა» № 190,
1917 წ. 28 (15) ნოემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

3

რეზოლუციის პროექტი

გლეხთა ყრილობა სავსებით და ყოველნაირად უჭერს მხარს 1917 წ. 26 ოქტომბრის მიწის კანონს (დეკრეტს), რომელიც დაამტკიცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ და გამოსცა სახალხო კომისართა საბჭომ, როგორც რუსეთის რესპუბლიკის დროებითმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ. გლეხთა ყრილობა გამოთქვამს თავის მტკიცე და ურყევ გადაწყვეტილებას მკერდით დაიცვას ამ კანონის განხორციელება, მოუწოდებს ყველა გლეხს ერთსულოვნად დაუჭირონ მას მხარი და ადგილობრივად დაუყოვნებლივ გაახორციელონ თვით გლეხებმა, აგრეთვე მოუწოდებს გლეხებს აირჩიონ ყველა და ყოველგვარ პასუხსაგებ პოსტზე და თანამდებობაზე მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ადამიანები, რომლებმაც არა სიტყვიერად, არამედ საქმით დაამტკიცეს, რომ სრული ერთგული არიან მშრომელ და ექსპლოატირებულ გლეხთა ინტერესებისა, რომ მზად არიან და უნარიც შესწევთ დაიცვან ეს ინტერესები, მიუხედავად მემამულეების, კაპიტალისტებისა და მათი მომხრეების თუ დამქაშების ყოველგვარი წინააღმდეგობისა.

გლეხთა ყრილობა ამასთანავე გამოთქვამს რწმენას, რომ მიწის კანონის ყველა შემადგენელი ღონისძიების სავსებით განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმატებით დაგვირგვინდება 25 ოქტომბერს დაწყებული მუშათა სოციალისტური რევოლუცია, რადგან მხოლოდ სოციალისტურ რევოლუციას შეუძლია უზრუნველყოს მიწის

უსასყიდლო გადასვლაც მშრომელი გლეხობის ხელში, მემამულეთა ინვენტარის კონფისკაციაც, მიწათმოქმედებაში დაქირავებულ მუშათა ინტერესების სრული დაცვაც, კაპიტალისტური დაქირავებული მონობის მთელი სისტემის უეჭველი მოსპობის დაუყოვნებლივ დაწყებასთან ერთად, სახელმწიფოს ოლქებსა და მცხოვრებლებს შორის სამიწათმოქმედო და სამრეწველო პროდუქტების სწორი და გეგმაშეწონილი განაწილებაც, ბანკებზე ბატონობაც (ურომლისოდაც შეუძლებელია ხალხი ბატონობდეს მიწას მიწის კერძო საკუთრების გაუქმების დროსაც), სახელმწიფოს მხრივ სწორედ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ყოველმხრივი დახმარებაც და სხვ.

ამიტომ გლეხთა ყრილობა, რომელიც სავსებით მხარს უჭერს 25 ოქტომბრის რევოლუციას, მხარს უჭერს მას სწორედ როგორც სოციალისტურ რევოლუციას, გამოთქვამს თავის ურყევ გადაწყვეტილებას ჯეროვანი თანდათანობით, მაგრამ სრულიად უყოყმანოდ, გაახორციელოს რუსეთის რესპუბლიკის სოციალისტური გარდაქმნის ღონისძიებები.

მაშვრალი, ექსპლოატირებული და მშრომელი გლეხობის სრული კავშირი მუშათა კლასთან — პროლეტარიატთან — ყველა მოწინავე ქვეყანაში აუცილებელი პირობაა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა, რომელიც ერთადერთი უზრუნველყოფს მიწის კანონის მტკიცე წარმატებას და სავსებით განხორციელებას. რუსეთის რესპუბლიკაში ამიერიდან სახელმწიფოს მთელი წყობა და მართვა-გამგეობა თავიდან ბოლომდე ასეთ კავშირზე უნდა აიგოს. მხოლოდ ასეთი კავშირი, მოსპობს რა ბურჟუაზიასთან და ბურჟუაზიული პოლიტიკის გამტარებლებთან ცხოვრების მიერ დაგმობილი შემთანხმებლობისადმი დაბრუნების ყველა და ყოველგვარ, პირდაპირ და არაპირდაპირ, აშკარა და ფარულ ცდას, უზრუნველყოფს სოციალიზმის გამარჯვებას მთელ მსოფლიოში.

ცაკ-ის «იზვესტია» № 226,
1917 წ. 15 ნოემბერი

იბეჭდება ცაკ-ის გაზეთის
«იზვესტიის» ტექსტის
მიხედვით

4

სიტყვა ვიკჟელის წარმომადგენლის განცხადების გამო 18 ნოემბერს (1 დეკემბერს)

საგაზეთო ანგარიში

ამხანაგებო!

«ვიკჟელის» განცხადება, უეჭველად, მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობაა და სხვა არაფერი. შეგიძლიათ განა წარმოიდგინოთ, თუნდაც ერთი წუთით, რომ ის ჯარი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი რევოლუციური მოვალეობა, იბრძვის ხალხის ინტერესებისათვის, მიუახლოვდა თუ არა მთავარ ბანაკს, მყისვე შეუდგა ყველას და ყველაფრის შემუსვრას მოთხოვნების წაუყენებლად, მისვლის მიზეზის განუმარტებლად თუნდაც იმ ჯარისკაცებისთვის, რომლებიც გარს არტყიან მთავარ ბანაკს. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ამის მსგავსი რამ შეუძლებელია. რევოლუციურ არმიას, რომელსაც ესმის რას აკეთებს, სურს, რომ იმათ, ვისაც იგი მიმართავს, იცოდნენ, თუ რას მოითხოვენ მათგან. მოთხოვნების წაყენებისას კიდევ მეტს შვრებოდნენ, მიუთითებდნენ, უხსნიდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევა ნიშნავს ხალხის ნების წინააღმდეგ წასვლას, იგი მძიმე დანაშაულია არა მარტო ჩვეულებრივი, არამედ მორალური დანაშაულიც ხალხის თავისუფლების, ინტერესებისა და უდიადესი სასოების წინააღმდეგ. რევოლუციური არმია არასოდეს არ ახდენს პირველ გასროლას, ის გაბოროტებით ილაშქრებს მხოლოდ დამპყრობთა და ხალხის მოძალადეების წინააღმდეგ. სხვანაირად რომ იყოს, სიტყვა რევოლუცია დაჰკარგავდა თავის აზრს. არ შემიძლია ყურადღება არ მივაქციო იმას, რომ «ვიკჟელი», აყენებს რა შეუმოწმებელ ბრალდებებს, ამასთანავე აცხადებს,

«ნეიტრალიტეტს» ვიცავო. «ვიკჟელს» ამის უფლება სრულიადაც არა აქვს. რევოლუციური ბრძოლის დღეებში, როცა ყოველი წუთი ძვირფასია, როცა უთანხმოებაა, ნეიტრალიტეტი საშუალებას აძლევს მოწინააღმდეგეს სიტყვა აიღოს, ხოლო როდესაც მას მაინც ყურს დაუგდებენ, როდესაც არ ისწრაფვიან დაეხმარონ ხალხს ბრძოლაში თავისი წმიდათაწმიდა უფლებებისათვის — ასეთ პოზიციას მე არასგზით არ შემიძლია ნეიტრალიტეტი ვუწოდო, ეს არ არის ნეიტრალიტეტი, რევოლუციონერი ამას წაქეზებას უწოდებს. (ტ ა შ ი.) ასეთი პოზიციით თქვენ აქეზებთ გენერლებს გამოსასვლელად, ჩვენ კი მხარს არ გვიჭერთ, თქვენ ხალხის წინააღმდეგი ხართ.

გენერალ დუხონინს სწორედ ის უნდა, რომ გადადონ დროებითი ზავი. როცა ხელს უწყობთ მას, თქვენ ჰფუშავთ დროებითს ზავს. დაფიქრდით, რა მძიმე პასუხისმგებლობა გეკისრებათ და როგორ მოგეპყრობათ თქვენ ხალხი?

შემდეგ ლენინი ამბობს, რომ ზოგიერთ ადგილას ტელეგრაფის საბოტაჟს ეწევიან. მთავრობა ცნობებს ვერ იღებს, მოწინააღმდეგე ბანაკები კი ცრუ ხმებს ავრცელებენ. ამის მაგალითია ხმები პოლონელთა ბატალიონების შესახებ, რომლებიც, ვითომ, მთავრობის წინააღმდეგ გამოდიან, მაშინ როდესაც პოლონელებს არა ერთხელ განუცხადებიათ, რომ რუსეთის საქმეებში ისინი არ ერევიან და არც მომავალში ჩაერევიან, მათგან მიღებულია აგრეთვე განცხადება, რომ ისინი მხარს უჭერენ დროებითს ზავს.

ცაკ-ის «იზვესტია» № [illegible]0,
1917 წ. 19 ნოემბერი

იბეჭდება ცაკ-ის «იზვესტიის»
ტექსტის მიხედვით

5
საბოლოო სიტყვა
18 ნოემბერს (1 დეკემბერს)

საგაზეთო ანგარიში

ლენინმა პირველ ყოვლისა აღნიშნა, რომ ბოლშევიკებისთვის ანარქიზმის დაბრალება მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერების მხრივ უსაფუძვლოაო.

რით განირჩევიან სოციალისტები ანარქისტებისაგან? იმით, რომ ანარქისტები არ ცნობენ ხელისუფლებას, მაშინ როდესაც სოციალისტები, და მათ შორის ბოლშევიკებიც, ცნობენ ხელისუფლებას გარდამავალ ხანაში იმ მდგომარეობასა, რომელშიც ვიმყოფებით, და სოციალიზმს შორის, რომლისკენაც მივდივართ.

ჩვენ, ბოლშევიკები, მხარს ვუჭერთ მტკიცე ხელისუფლებას, მაგრამ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც მუშათა და გლეხთა ხელისუფლება იქნებოდა.

ყოველი სახელმწიფო ხელისუფლება არის იძულება, მაგრამ დღემდე ისე იყო, რომ ეს ხელისუფლება იყო უმცირესობის ხელისუფლება, მემამულისა და კაპიტალისტის ხელისუფლება მუშისა და გლეხის წინააღმდეგ.

ჩვენ კი ისეთ ხელისუფლებას ვიცავთ, რომელიც იქნებოდა მუშებისა და გლეხების უმრავლესობის მტკიცე ხელისუფლება კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ.

აღნიშნა რა შემდეგ ის გარემოება, რომ მემარცხენე ესერების რეზოლუციაში მიწის შესახებ ახალ მთავრობას ეწოდება სახალხო სოციალისტური მთავრობა, ლენინი ვრცლად შეჩერდა იმაზე, თუ რას შეუძლია მჭიდროდ დაუკავშიროს ერთმანეთს ბოლშევიკები და მემარცხენე ესერები.

გლეხებისა და მუშების კავშირი მემარცხენე ესერებისა და ბოლშევიკების შეთანხმების საფუძველია.

ეს არის პატიოსანი კოალიცია, პატიოსანი კავშირი, მაგრამ ეს კავშირი პატიოსანი კოალიცია იქნება ზედაფენებშიც, მემარცხენე ესერებსა და ბოლშევიკებს შორის, თუ მემარცხენე ესერები უფრო გარკვევით გამოთქვამენ თავიანთ რწმენას, რომ ჩვენი ახლანდელი რევოლუცია სოციალისტური რევოლუციაა. ეს რევოლუცია სოციალისტურია. მიწის კერძო საკუთრების გაუქმება, მუშათა კონტროლის შემოღება, ბანკების ნაციონალიზაცია — ყველა ეს ისეთი ზომებია, რომლებსაც სოციალიზმისაკენ მივყავართ. ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალიზმი, მაგრამ ეს ის ზომებია, რომლებსაც გიგანტური ნაბიჯით მივყავართ სოციალიზმისაკენ. გლეხებსა და მუშებს ჩვენ ერთბაშად ყოველგვარ სიკეთეს როდი ვპირდებით, მაგრამ ვამბობთ: მუშათა და ექსპლოატირებულ გლეხთა მჭიდრო კავშირს, მტკიცე, განუხრელ ბრძოლას საბჭოების ხელისუფლებისათვის მივყავართ ჩვენ სოციალიზმისაკენ, და ყოველმა პარტიამ, რომელსაც ნამდვილად სურს სახალხო პარტია იყოს, ნათლად და ვადაჭრით უნდა თქვას, რომ ჩვენი რევოლუცია სოციალისტურია.

და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მემარცხენე ესერები ნათლად და არაორაზროვნად იტყვიან ამას, ჩვენი კავშირი მათთან განმტკიცდება და გაიზრდება.

გვეუბნებიან, მიწის სოციალიზაციის წინააღმდეგი ხართ და ამიტომ ვერ შესძლებთ შეუთანხმდეთ მემარცხენე ესერებსო.

ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: დიახ, ჩვენ წინააღმდეგი ვართ მიწის ესერული სოციალიზაციისა, მაგრამ ეს ხელს არ შეგვიშლის პატიოსანი კავშირი გვქონდეს მემარცხენე ესერებთან.

დღეს თუ ხვალ მემარცხენე ესერები წამოაყენებენ მიწათმოქმედების მინისტრის თავიანთ კანდიდატურას და თუ ის გაიყვანს სოციალიზაციის კანონს, ჩვენ წინააღმდეგ არ მივცემთ ხმას. ჩვენ თავს შევიკავებთ.

სიტყვის დასასრულს ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ მუშათა და გლეხთა კავშირით შეიძლება მოვიპოვოთ მიწა და ზავიო.

სხვათა შორის ლენინს შეეკითხნენ, როგორ მოიქცევიან ბოლშევიკები დამფუძნებელ კრებაში, თუ იქ მემარცხენე ესერები უმცირესობაში იქნებიან და წამოაყენებენ მიწის სოციალიზაციის კანონს, განა მაშინ თავს შეიკავებენ ბოლშევიკებიო? რა თქმა უნდა, არა. ბოლშევიკები ხმას მისცემენ ამ კანონს და თან განმარტავენ, ჩვენ ხმას ვაძლევთ ამ კანონს, რათა მხარი დავუჭიროთ გლეხებს მათი მტრების წინააღმდეგო.

«პრავდა» № 195,
1917 წ. 4 დეკემბერი (21 ნოემბერი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

სახალხო კომისართა საბჭო სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს

ომით და უყაირათობით გამოწვეულ სასურსათო ნგრევას უკიდურესად ამწვავებენ სპეკულანტები, მძარცველები და მათი დამქაშები რკინიგზებზე, სანაოსნო სააგენტოებში, სატრანსპორტო კანტორებში და სხვ.

უდიდესი სახალხო უბედურების პირობებში ბოროტმოქმედი მტაცებლები გამორჩენის გულისთვის მილიონობით ჯარისკაცის და მუშის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ხიფათში აგდებენ.

ასეთი მდგომარეობა ამიერიდან არც ერთ დღეს არ უნდა მოვითმინოთ.

სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს მიიღოს უაღრესად გადამწყვეტი ზომები სპეკულაციის და საბოტაჟის, მარაგის გადამალვის, ტვირთის ბოროტი განზრახვით დაგვიანებისა და სხვ. აღმოსაფხვრელად.

ამგვარ მოქმედებაში დამნაშავე პირები, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის სპეციალური დადგენილებით, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ დაპატიმრებული და კრონშტადტის საპყრობილეებში მოთავსებული, ვიდრე სამხედრო-რევოლუციურ სასამართლოს გადაეცემოდნენ.

ყველა სახალხო ორგანიზაცია უნდა იქნეს ჩაბმული სასურსათო მტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

ცაკ-ის «იზვესტია» № 223,
1917 წ. 12 ნოემბერი

იბეჭდება ცაკ-ის გაზეთის
«იზვესტიის» ტექსტის მიხედვით

პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ამოცანების შესახებ [77]

გონივრულად, გააზრებულად, წარმატებით რომ მიიღო მონაწილეობა რევოლუციაში, საჭიროა სწავლა.

პეტროგრადში საბიბლიოთეკო საქმე, ცარიზმის მიერ საზალხო განათლების საქმის მრავალი წლის მანძილზე გაფუჭების გამო, ძალიან ცუდადაა დაყენებული.

დაუყოვნებლივ და უეჭველად საჭიროა მოვახდინოთ შემდეგი ძირითადი გარდაქმნები, რომლებსაც საფუძვლად უნდა დაედოს დასავლეთის თავისუფალ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით შვეიცარიასა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ხნის წინათ განხორციელებული პრინციპები:

1) **საჯარო** ბიბლიოთეკა (ყოფილი საიმპერატორო) დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს წიგნების გ ა ც ვ ლ ა-გ ა მ ო ც ვ ლ ა ს როგორც პიტერის და პროვინციის **ყველა** საზოგადოებრივ და სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან, ისე **საზღვარგარეთის** ბიბლიოთეკებთან (ფინეთის, შვეციის და ს ხ ვ ა თ ა).

2) წიგნების გადაგზავნა **ბიბლიოთეკიდან ბიბლიოთეკაში** უნდა გამოცხადდეს, კანონით, **უფასოდ**.

3) ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი ღია უნდა იყოს, როგორც ეს ხდება კულტურული ქვეყნების **კერძო** ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში **მდიდრებისათვის**,

ყოველდღე, დღესასწაულებისა და კვირა დღეების **გაშოუკლებლივ**, დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

4) მოსამსახურეთა საჭირო რაოდენობა დაუყოვნებლივ გადაყვანილ უნდა იქნეს საჯარო ბიბლიოთეკაში სახალხო განათლების სამინისტროს დეპარტამენტებიდან (ქალის შრომის ასპარეზის გაფართოებით, რადგან მამაკაცის შრომას სამხედრო საქმე მოითხოვს), რომელ დეპარტამენტებშიც მოსამსახურეთა $^{5}/_{10}$ ეწევა არათუ უსარგებლო, არამედ მავნე შრომას.

დაწერილია 1917 წ. ნოემბერში

პირველად დაიბეჭდა 1933 წელს ლენინის კრებულში XXI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

მუშების კავშირი მშრომელ და ექსპლოატირებულ გლეხებთან

წერილი «პრავდის» რედაქციას

დღეს, შაბათს, 18 ნოემბერს, როდესაც გამოსვლა მომიხდა გლეხთა ყრილობაზე, მე საჯაროდ მომცეს კითხვა, რომელზედაც მაშინვე ვუპასუხე. საჭიროა ეს კითხვა და ჩემი პასუხი დაუყოვნებლივ გაიგოს მთელმა მკითხველმა საზოგადოებამ, რადგან, თუმცა მე ფორმალურად მხოლოდ ჩემი სახელით ვლაპარაკობდი, მაგრამ არსებითად ვლაპარაკობდი ბოლშევიკების მთელი პარტიის სახელით.

საქმე ასე იყო.

როცა შევეხე მუშა-ბოლშევიკების კავშირს მემარცხენე ესერებთან, რომლებიც ამჟამად მრავალი გლეხის ნდობით სარგებლობენ, ჩემს სიტყვაში ვამტკიცებდი, რომ ეს კავშირი შ ე ი ძ ლ ე ბ ა იყოს «პატიოსანი კოალიცია», პატიოსანი კავშირი, რადგან ძირითადი განსხვავება დაქირავებულ მუშათა ინტერესებსა და მშრომელ, ექსპლოატირებულ გლეხთა ინტერესებს შორის ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს. სოციალიზმს ს ა ვ ს ე ბ ი თ შეუძლია დააკმაყოფილოს ორთავეს ინტერესები. **მხოლოდ** სოციალიზმს შეუძლია დააკმაყოფილოს მათი ინტერესები. აქედანაა «პატიოსანი კოალიციის» შესაძლებლობა და აუცილებლობა პროლეტარებსა და მშრომელ და ექსპლოატირებულ გლეხებს შორის. პირიქით, «კოალიცია» (კავშირი), ერთი მხრივ, მშრომელ და ექსპლოატირებულ კლასებსა და, მეორე მხრივ, ბურჟუაზიას შორის **არ** შეიძლება

იყოს «პატიოსანი კოალიცია», ამ კლასთა ინტერესების ძირითადი განსხვავების გამო.

წარმოიდგინეთ, — ვამბობდი მე, — რომ მთავრობაში იქნება ბოლშევიკების უმრავლესობა და მემარცხენე ესერების უმცირესობა, ვთქვათ, თუნდაც, სულ ერთი მემარცხენე ესერი, მიწათმოქმედების კომისარი. შეუძლიათ თუ არა ბოლშევიკებს განახორციელონ ამ შემთხვევაში პატიოსანი კოალიცია?

შეუძლიათ, ვინაიდან, როგორც შეურიგებელნი კონტრრევოლუციურ ელემენტებთან (მათ შორის მემარჯვენე-ესერულ და ობორონცულ ელემენტებთან) ბრძოლაში, ბოლშევიკები ვალდებული იქნებოდნენ თ ა ვ ი შ ე ე კ ა ვ ე ბ ი ნ ა თ ისეთი საკითხების კენჭისყრის დროს, რომლებიც ეხებიან საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის მიერ დამტკიცებული მიწის პროგრამის წმინდა-ესერულ მუხლებს. ასეთია, მაგალითად, გათანაბრებითი მიწათსარგებლობისა და წვრილ მეპატრონეთა შორის მიწის ხელახალი გაყოფის მუხლი.

ასეთი მუხლის კენჭისყრის დროს თავის შეკავებით ბოლშევიკები ოდნავადაც არ ცვლიან თავიანთ პროგრამას. ვინაიდან, სოციალიზმის გამარჯვების პირობებში (მუშათა კონტროლი ფაბრიკების მიმართ, ამის შემდეგ მათი ექსპროპრიაცია, ბანკების ნაციონალიზაცია, ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის მომწესრიგებელი უმაღლესი ეკონომიური საბჭოს შექმნა), ასეთ პირობებში მუშები ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა რ ი ა ნ დ ა ე თ ა ნ ხ მ ო ნ წვრილი მშრომელი და ექსპლოატირებული გლეხების მიერ წამოყენებულ გარდამავალ ღონისძიებებს, თუ ეს ღონისძიებანი ა რ ვ ნ ე ბ ე ნ სოციალიზმის საქმეს. კაუცკიც, როცა ის ჯერ კიდევ მარქსისტი იყო (1899 — 1909 წლებში), არა ერთხელ აღიარებდა,—ვამბობდი მე, — რომ სოციალიზმზე გარდამავალი ღონისძიებანი არ შეიძლება ერთნაირი იყოს მსხვილი და წვრილი მიწათმოქმედების ქვეყნებში.

ჩვენ, ბოლშევიკები, ვალდებული ვიქნებოდით თავი შეგვეკავებინა სახალხო კომისართა საბჭოში ან ცაკ-ში ამგვარი

მუხლის კენჭისყრის დროს, რადგან, თუ მემარცხენე ესერები (აგრეთვე მათ მხარეზე მდგომი გლეხები) დათანხმდებოდნენ მუშათა კონტროლს, ბანკების ნაციონალიზაციას და სხვ., გათანაბრებითი მიწათსარგებლობა სრულ სოციალიზმზე გადასვლის მხოლოდ ერთ-ერთი ღონისძიება იქნებოდა. სისულელე იქნებოდა ასეთ გარდამავალ ღონისძიებათა თავზე მოხვევა პროლეტარიატისთვის; ის ვალდებულია, სოციალიზმის გამარჯვების ინტერესებისათვის, დაუთმოს წვრილ მშრომელ და ექსპლოატირებულ გლეხებს ამ გარდამავალ ღონისძიებათა არჩევაში, რადგან სოციალიზმის საქმეს ეს ღონისძიებები ვნებას ვერ მოუტანდნენ.

ერთმა მემარცხენე ესერმა (თუ არ ვცდები, ეს იყო ამხანაგი ფეოფილაქტოვი) მაშინ შემდეგი კითხვა მომცა:

«როგორ მოიქცევიან ბოლშევიკები, თუ დამფუძნებელ კრებაში გლეხები მოინდომებენ გათანაბრებითი მიწათსარგებლობის კანონის გაყვანას, ბურჟუაზია გლეხების წინააღმდეგი აღმოჩნდება, გადაწყვეტა კი ბოლშევიკებზე იქნება დამოკიდებული?».

მე ვუპასუხე: ისეთ შემთხვევაში, როდესაც სოციალიზმის საქმე უზრუნველყოფილი იქნება მუშათა კონტროლის შემოღებით, ბანკების ნაციონალიზაციით და სხვ., მუშათა კავშირი მშრომელ და ექსპლოატირებულ გლეხებთან პროლეტარიატის პარტიას დაავალდებულებს ხმა მისცეს გლეხებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ჩემი აზრით, ბოლშევიკებს მაშინ უფლება ექნებათ კენჭისყრის დროს თავიანთი განსაკუთრებული განცხადება შეიტანონ, განმარტონ თავიანთი უთანხმოება და სხვ., მაგრამ ასეთ შემთხვევაში თავის შეკავება იქნებოდა ღალატი სოციალიზმისათვის ბრძოლაში თავიანთი მოკავშირეებისა მათთან კერძო უთანხმოების გამო. ასეთ მდგომარეობაში ბოლშევიკები არასოდეს არ უღალატებდნენ გლეხებს. გათანაბრებითი მიწათსარგებლობა და სხვა ამგვარი ზომები არასოდეს **არ** ავნებს სოციალიზმს, თუ ძალაუფლება მუშათა და გლეხთა მთავრობის ხელშია, თუ შემოღებულია

მუშათა კონტროლი, ბანკების ნაციონალიზაცია, შექმნილია მუშათა და გლეხთა უმაღლესი ეკონომიური დაწესებულება, რომელიც წარმართავს (აწესრიგებს) **მთელ** სახალხო მეურნეობას და სხვ.

ასეთი იყო ჩემი პასუხი.

დაწერილია 1917 წ.
18 ნოემბერს (1 დეკემბერს)

დაიბეჭდა 1917 წ. 2 დეკემბერს (19 ნოემბერს) გაზეთში «პრავდა» № 194
ხელმოწერა: ნ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

პროექტი დეკრეტისა გაწვევის უფლების შესახებ[78]

რომელიმე არჩევითი დაწესებულება თუ წარმომადგენელთა კრება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად დემოკრატიულ და ნამდვილად ხალხის ნების გამომხატველ დაწესებულებად, თუ აღიარებული და გამოყენებულია ამომრჩევლების მიერ თავიანთ არჩეულთა გაწვევის უფლება. ნამდვილი დემოკრატიზმის ეს ძირითადი, პრინციპული დებულება, ეხება რა წარმომადგენელთა გამოუკლებლივ ყველა კრებას, ეხება აგრეთვე დამფუძნებელ კრებასაც.

არჩევნების პროპორციული სისტემა, როგორც მაჟორიტარულზე უფრო დემოკრატიული, მოითხოვს უფრო რთულ ღონისძიებებს გაწვევის უფლების განსახორციელებლად, ესე იგი მოითხოვს იმას, რომ ხალხის არჩეულები ნამდვილად ემორჩილებოდნენ ხალხს. მაგრამ ამის საფუძველზე ყოველგვარი უარისთქმა გაწვევის უფლების განხორციელებაზე, მისი განხორციელების ყოველგვარი შეფერხება, მისი განხორციელების ყოველგვარი შეზღუდვა იქნებოდა დემოკრატიზმის ღალატი და სრული უარყოფა რუსეთში დაწყებული სოციალისტური რევოლუციის ძირითადი პრინციპებისა და ამოცანებისა. არჩევნების პროპორციული სისტემა მოითხოვს მხოლოდ გაწვევის უფლების ფორმის სახეცვლილებას და სრულიადაც არა მის დამცირებას.

რადგან არჩევნების პროპორციული სისტემა ემყარება პარტიულობის აღიარებას და არჩევნების განხორციელებას ორგანიზებული პარტიების მიერ, ამიტომ ყოველი დიდი

ცვლილება კლასთა ძალების თანაფარდობაში და პარტიებისადმი კლასების დამოკიდებულებაში, განსაკუთრებით კი გათიშვები მნიშვნელოვანი პარტიების შიგნით, აუცილებლად იწვევს გადარჩევის საჭიროებას იმ საარჩევნო ოლქში, სადაც შეუსაბამობა, ერთი მხრივ, სხვადასხვა კლასის ნებასა და მათს ძალას და, მეორე მხრივ, არჩეულთა პარტიულ შემადგენლობას შორის აშკარა და უეჭველია. ამასთან ჭეშმარიტი დემოკრატიზმის ინტერესები აუცილებლად მოითხოვს, რომ გადარჩევის დანიშვნა არ იყოს დამოკიდებული მარტო გადასარჩევი დაწესებულებისაგან, ე. ი., რომ არჩეულების მიერ თავიანთი მანდატების შენარჩუნების ინტერესებმა წინააღმდეგობა არ გაუწიოს ხალხის ნების განხორციელებას მისი წარმომადგენლების გაწვევის საქმეში.

ამიტომ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის ცაკ-ი ადგენს:

თვითეული საარჩევნო ოლქის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს, აგრეთვე გლეხთა დეპუტატების საბჭოებს უფლება აქვთ დანიშნონ ყველა საქალაქო, საერობო და საერთოდ ყოველგვარი წარმომადგენლობითი დაწესებულების გადარჩევა, მათ შორის დამფუძნებელი კრებისაც. საბჭოებს აგრეთვე უფლება აქვთ დანიშნონ გადარჩევის ვადაც. თვით გადარჩევა კი ხდება ჩვეულებრივი წესით არჩევნების პროპორციული სისტემის მტკიცე საფუძვლებზე.

დაწერილია 1917 წ. 19 ნოემბერს
(2 დეკემბერს)

დაიბეჭდა 1917 წ. 23 ნოემბერს
ცაკ-ის გაზეთში «იზვესტია» № 233

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მოხსენება გაწვევის უფლების შესახებ სრ. რუს. ცაკ-ის სხდომაზე 1917 წ. 21 ნოემბერს (4 დეკემბერს)

გადარჩევის საკითხი — დემოკრატიული საწყისის ნამდვილი განხორციელების საკითხია. ყველა მოწინავე ქვეყანაში აღიარებული და შემოღებულია, რომ მხოლოდ არჩეულებს შეუძლიათ ილაპარაკონ სახელმწიფო საკანონმდებლო ენით. მაგრამ, იძლევა რა მოწვევის უფლებას სახელმწიფოებრივი მანქანის გასაძღოლად, ბურჟუაზიამ განზრახ არ შემოიღო გაწვევის უფლება, — ნამდვილი კონტროლის უფლება.

მაგრამ ყველა ისტორიულ რევოლუციურ ხანაში, კონსტიტუციების ყოველ ცვლილებაში წითელ ზოლად გადის გაწვევის უფლების ნება.

დემოკრატიული წარმომადგენლობა არსებობს და აღიარებულია ყველგან, სადაც პარლამენტური წყობილებაა, მაგრამ წარმომადგენლობის ეს უფლება შეზღუდულია იმით, რომ ხალხს უფლება აქვს ორ წელიწადში ერთხელ მისცეს ხმა, მაგრამ ხშირად ხდება, რომ მისი ხმებით გადიან ისინი, ვინც ხელს უწყობს მისსავე დათრგუნვას, ხოლო გადაყენების დემოკრატიული უფლება, აღკვეთის ქმედითი ზომების მიღების უფლება მას არა აქვს.

იმ ქვეყნებში კი, სადაც შენარჩუნებულია ძველი ტრადიციები რევოლუციური დროისა, როდესაც ისინი ჩამოყალიბდნენ — როგორც, მაგალითად, შვეიცარიის ზოგიერთ კანტონში და ამერიკის ზოგიერთ შტატში — შენარჩუნებულია გაწვევის დემოკრატიული უფლებაც.

ყოველი დიდი გადატრიალება ხალხის წინაშე აშკარად აყენებს არა მარტო არსებულ კანონდებულებათა გამოყენებას, არამედ ახალ სათანადო კანონდებულებათა შექმნასაც. ამიტომ, დამფუძნებელი კრების მოწვევის წინ, საჭიროა გადაისინჯოს ახალი საარჩევნო დებულებანი.

საბჭოები შექმნილია თვით მშრომელების მიერ, მათი რევოლუციური ენერგიითა და შემოქმედებით, — მხოლოდ ესაა იმის საწინდარი, რომ ისინი სავსებით მასების ინტერესების განსახორციელებლად მუშაობენ. საბჭოში ყოველ კლეხს, რომელიც თავის წარმომადგენელს გზავნის, შეუძლია უკანვე გამოიწვიოს კიდეც, — ამაშია საბჭოების ნამდვილი ხალხური აზრი.

ჩვენში გაბატონებული მდგომარეობა სხვადასხვა პარტიას ეპყრა: უკანასკნელად გავლენის გადასვლას ერთი პარტიის ხელიდან მეორის ხელში მოჰყვა გადატრიალება, საკმაოდ მძაფრი გადატრიალება, მაშინ როდესაც გაწვევის უფლების არსებობის პირობებში საკმარისი იქნებოდა უბრალო კენჭისყრა.

ჩვენ ვამბობთ — თავისუფლება. ის, რასაც წინათ თავისუფლება ეწოდებოდა, ეს იყო ბურჟუაზიის თავისუფლება თავისი მილიონების საშუალებით მოტყუებისა, ამ მოტყუების საშუალებით თავისი ძალების გამოყენების თავისუფლება. ბურჟუაზიას და ასეთ თავისუფლებას ჩვენ საბოლოოდ გამოვეთხოვეთ. სახელმწიფო არის იძულების დაწესებულება. წინათ ეს იყო მთელი ხალხის მიმართ ერთი მუჭა სქელჯიბიანთა ძალადობა; ჩვენ კი გვინდა სახელმწიფო გადავაქციოთ ისეთ დაწესებულებად, რომელიც იძულებით განახორციელებს ხალხის ნებას. ჩვენ გვინდა მოვაწყოთ ძალადობა მშრომელთა ინტერესებისათვის.

დამფუძნებელი კრებიდან გაწვევის უფლების მიუნიჭებლობა — ეს არის ხალხის რევოლუციური ნების გამოუმჟღავნებლობა და ხალხის უფლებათა უზურპაცია. ჩვენ გვაქვს პროპორციული, ნამდვილად ყველაზე უფრო დემოკრატიული არჩევნები. ასეთი არჩევნების დროს გაწვევის უფლების მემოღება რამდენადმე ძნელია, მაგრამ აქ სიძნელე წმინდა

ტექნიკურია და ძალიან ადვილად დასაძლევიც. ყოველ შემთხვევაში, წინააღმდეგობა პროპორციულ არჩევნებსა და გაწვევის უფლებას შორის არ არის.

ხალხი ხმას აძლევს არა პირებს, არამედ პარტიას. რუსეთში პარტიულობა ფრიად დიდია, და ხალხის წინაშე პარტიას გარკვეული პოლიტიკური სახე აქვს. ამიტომ ყოველმა გათიშვამ პარტიაში ქაოსი უნდა შეიტანოს, თუ გაწვევის უფლება არ არის გათვალისწინებული. დიდი გავლენით სარგებლობდა სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. მაგრამ სიების წარდგენის შემდეგ მოხდა გათიშვა. სიის შეცვლა არ შეიძლება, არც დამფუძნებელი კრების გადადება შეიძლება. ხალხმა კი ფაქტიურად ხმა მისცა იმ პარტიას, რომელიც უკვე აღარ არსებობდა. ეს დაამტკიცა გლეხთა მეორე მემარცხენე ყრილობამ. გლეხობა მოტყუებული დარჩა არა პიროვნებების მიერ, არამედ პარტიული გათიშვით. ასეთი მდგომარეობა მოითხოვს კორექტივს. საჭიროა პირდაპირი, თანმიმდევრული და დემოკრატიული საწყისის განხორციელება დაუყოვნებლივ — გაწვევის უფლების შემოღება.

უნდა გვეშინოდეს, რომ არასწორი არჩევნების ამარა დავრჩებით. გადარჩევის უფლების შემოღება კი, როცა მასების შეგნებულობა დიდია, რასაც მოწმობს 1905 და 1917 წლების რევოლუციების მსვლელობის შედარება, — საშიში არაა.

ხალხს ეუბნებოდნენ, საბჭო — უფლებამოსილი ორგანოაო, — მას სწამდა და განახორციელა ეს. უნდა განვაგრძოთ დემოკრატიზაციის ხაზი და გაწვევის უფლება სინამდვილედ გადავაქციოთ.

გაწვევის უფლება უნდა მიენიჭოს საბჭოებს, როგორც სახელმწიფოებრიობის, იძულების იდეის სრულყოფილ მატარებლებს. და მაშინ ძალაუფლების გადასვლა ერთი პარტიიდან მეორის ხელში მოხდება სისხლდაუღვრელად, უბრალო გადარჩევის საშუალებით.

ცაკ-ის «იზვესტია» № 233,
1917 წ. 23 ნოემბერი

იბეჭდება ცაკ-ის გაზეთის «იზვესტიის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა სამხედრო ფლოტის სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე[79] 1917 წ. 22 ნოემბერს (5 დეკემბერს)

საოქმო ჩანაწერი

სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ლენინი ყრილობის სახით მიესალმება არმიასა და ფლოტს, რომელთაც თავი გამოიჩინეს როგორც მოწინავე მებრძოლებმა მშრომელი კლასების განთავისუფლებისათვის.

შემდეგ ლენინი გადადის მიმდინარე მომენტის დახასიათებაზე. აღნიშნა რა, რომ კერენსკის შემთანხმებლური მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიიმართებოდა არა ხალხის ფართო მასების საჭიროებათა დაკმაყოფილების გზით და რომელსაც საფუძვლად ედო ბურჟუაზიის ინტერესების, მჩაგვრელთა კლასის ინტერესების სრული ხელუხლებლობის დაცვის პრინციპი, გარდუვალად უნდა გამოეწვია ამ მთავრობის კრახი, ორატორი განაგრძობს:

მაგრამ დროებით მთავრობასთან ერთად არსებობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც აჯანყებული ხალხის რევოლუციური შემოქმედების ნაყოფი იყო და რაც დრო გადიოდა, მშრომელთა მასების მით უფრო ფართო ფენებს ამჭიდროებდნენ თავიანთ გარშემო. მხოლოდ საბჭოების მეოხებით მოხერხდა რუსეთში ის, რაც ვერ შესძლეს ევროპის ვერც ერთს რევოლუციაში: ხალხმა წამოაყენა და დასაყრდენი მისცა ნამდვილ სახალხო მთავრობას. დაჩაგრული მასების წინაშე წამოიჭრა უაღრესად ძნელი ამოცანა — თვითონ აეშენებინათ სახელმწიფო. თქვენ ხედავთ, რა ძალით დაგვატყდა თავს ბურჟუაზიის წინააღმდეგობა, როგორ ცდილო-

ბენ ჩაშალონ ჩვენი საქმიანობა საბოტაჟით, სიცრუისა და ცილისწამების რა ლაფს გვასხამენ ყოველი საბაბით და უსაბაბოდ.

სეტყვასავით გვაყრიან ბრალდებას, რომ ჩვენ ტერორითა და ძალმომრეობით ვმოქმედებთ, მაგრამ ჩვენ მშვიდად ვუყურებთ ამ თავდასხმებს. ჩვენ ვამბობთ: ჩვენ ანარქისტები როდი ვართ, ჩვენ სახელმწიფოს მომხრე ვართ. დიახ, მაგრამ კაპიტალისტური სახელმწიფო უნდა დაინგრეს, კაპიტალისტური ხელისუფლება უნდა მოისპოს. ჩვენი ამოცანაა ვაშენოთ ახალი სახელმწიფო, — სოციალისტური სახელმწიფო. ამ მიმართულებით ჩვენ დაუღალავად ვიმუშავებთ, და ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეგვაშინებს და ვერ შეგვაჩერებს. ახალი მთავრობის პირველმა ნაბიჯებმა უკვე მოგვცა ამის დამამტკიცებელი საბუთი. მაგრამ ახალ წყობილებაზე გადასვლა მეტისმეტად რთული პროცესია, და ამ გადასვლის გასაადვილებლად საჭიროა მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლება. აქამდე ძალაუფლება მონარქებისა და ბურჟუაზიის დაყენებული კაცების ხელში იყო. მთელი მათი ძალ-ღონე, მთელი მათი პოლიტიკა მიმართული იყო იმისაკენ, რომ იძულება ეხმარათ ხალხის მასების მიმართ. ჩვენ კი ვამბობთ: საჭიროა მტკიცე ხელისუფლება, საჭიროა ძალდატანება და იძულება, მაგრამ ჩვენ მას მივმართავთ ერთი მუჭა კაპიტალისტების, ბურჟუაზიის კლასის წინააღმდეგ. ჩვენ ყოველთვის იძულების ღონისძიებებით ვუპასუხებთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ცდას — უგუნურ, უიმედო ცდას. და ყველა ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ამისათვის წინააღმდეგობის გამწევთ დაეკისრებათ.

გადადის რა შემდეგ სახელმწიფო აპარატის შექმნის საკითხზე, აპარატის, რომელიც ხალხის ინტერესების გულისთვის მოკლებული უნდა იყოს ყოველგვარ ბიუროკრატიზმს და რომელმაც უდიდესი გასაქანი უნდა შექმნას ჩვენი ქვეყნის ყველა შემოქმედებითი ძალის გამოსავლინებლად, ლენინი ამბობს:

— ბურჟუაზია და მოსახლეობის ინტელიგენტური ბურჟუაზიული წრეები ყოველნაირად უწევენ საბოტაჟს სახალხო

ხელისუფლებას. მშრომელ მასებს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ, სხვისი არავის. ეჭვი არ არის, ის ამოცანები, რომლებიც ხალხის წინაშე დგას, განუზომლად ძნელია და დიდი. მაგრამ უნდა გვქონდეს საკუთარი ძალების რწმენა, საჭიროა, რომ ყოველივე, რამაც გაიღვიძა ხალხში და რასაც შემოქმედების უნარი აქვს, გადმოდიოდეს ჩვენს ორგანიზაციებში, რომლებიც გვაქვს და რომლებსაც შემდეგშიც შექმნიან მშრომელი მასები. მასები უძლური არიან, თუ ისინი დაქსაქსული არიან; ისინი ძლიერი არიან, თუ დარაზმული არიან. მასებმა იწამეს საკუთარი ძალა, ისინი აღარ ეპუებიან ბურჟუაზიის მხრივ დევნა-შევიწროებას და შეუდგნენ დამოუკიდებელ მუშაობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში. პირველ ხანებში შეიძლება სიძნელენი იქნეს, შეიძლება თავი იჩინოს არასაკმარისმა მომზადებამ. მაგრამ საჭიროა პრაქტიკულად ვისწავლოთ ქვეყნის მართვა, ვისწავლოთ ის, რაც წინათ ბურჟუაზიის მონოპოლიას შეადგენდა. ამ მხრივ ფლოტში ჩვენ ვხედავთ მშრომელი მასების შემოქმედებითს შესაძლებლობათა ბრწყინვალე ნიმუშს, ამ მხრივ ფლოტმა თავი გამოიჩინა, როგორც მოწინავე რაზმმა.

შემდეგ ლენინი გადადის მიმდინარე მომენტის უმნიშვნელოვანესი საკითხების — მიწის, მუშათა პოლიტიკის, ნაციონალური პრობლემისა და ზავის საკითხების გაშუქებაზე და დაწვრილებით ჩერდება თვითეულ მათგანზე.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ მიიღო მიწის დეკრეტი, სადაც ბოლშევიკებს მთლიანად მოჰყავთ ის პრინციპები, რომლებიც აღნიშნულია გლეხთა განაწესებში. ამაში გამოიხატა სოციალ-დემოკრატების პროგრამიდან გადახვევა, რადგან განაწესები შეესაბამება ესერების პროგრამის სულისკვეთებას, მაგრამ იგივე გარემოება იმის დამამტკიცებელია, რომ სახალხო ხელისუფლებას ის კი არ სურდა, რომ ხალხისთვის თავს მოეხვია თავისი ნება, არამედ ცდილობდა თვით ხალხის ნება დაეკმაყოფილებინა.

როგორც უნდა გადაწყდეს მიწის საკითხი, რა პროგრამაც უნდა დაედოს საფუძვლად გლეხების ხელში მიწის გადასვლის განხორციელებას, — ეს არ შეუქმნის დაბრკოლებას გლეხებისა და მუშების მტკიცე კავშირს. მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ, თუ გლეხები მთელი საუკუნეობით შეუპოვრად ესწრაფვიან მიწის საკუთრების გაუქმებას, იგი უნდა გაუქმდეს.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ მიწის საკითხს მჭიდროდ ეხლართება მრეწველობის საკითხი, რომ აგრარულ რევოლუციასთან ერთად უნდა მოხდეს კაპიტალისტური ურთიერთობის ძირეული მსხვრევაო და ხაზგასმით აღნიშნავს მუშებისა და გლეხების მტკიცე კავშირის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

რუსეთის რევოლუციის განვითარებამ ცხადყო, რომ მემამულეებსა და კაპიტალისტებთან მონური შემთანხმებლობის პოლიტიკა საპნის ბუშტივით გაჰქრა. უნდა იბატონოს უმრავლესობის ნებამ; უმრავლესობის ამ ნებას გაახორციელებს სწორედ მშრომელთა კავშირი, მუშათა და გლეხთა პატიოსანი კოალიცია საერთო ინტერესების საფუძველზე. პარტიები იცვლებიან და იღუპებიან, მშრომელები კი რჩებიანო, და ორატორი მოუწოდებს ყველაზე მეტად იზრუნონ ამ კავშირის სიმტკიცეზე.

დაე ფლოტმა, — ამბობს ორატორი, — მთელი თავისი ძალ-ღონე მოახმაროს იმას, რომ ეს კავშირი სახელმწიფო ცხოვრების საფუძვლად დარჩეს; თუ ეს კავშირი მტკიცე იქნება, ვერაფერი გასტეხს სოციალიზმზე გადასვლის საქმეს.

რაც შეეხება ნაციონალურ საკითხს, — ამბობს ლენინი, — საჭიროა აღინიშნოს ეროვნებათა განსაკუთრებით ჭრელი შემადგენლობა რუსეთში, სადაც ველიკორუსები მხოლოდ 40 პროცენტამდეა, დანარჩენი უმრავლესობა კი სხვა ეროვნებებს ეკუთვნის. ცარიზმის დროს ნაციონალური ჩაგვრა უკანასკნელთა მიმართ, რომელიც გაუგონარი იყო თავისი სიმკაცრით და უაზრობით, არასრულუფლებიან ეროვნებებში აგროვებდა უძლიერეს სიძულვილს მონარქებისადმი.

გასაკვირველი არ არის, რომ ეს სიძულვილი მათ მიმართ, ვინც თვით დედაენის ხმარებასაც კი კრძალავდა და უცოდინარობას უმზადებდა ხალხის მასებს, გადაჰქონდათ ყველა ველიკორუსზედაც. ფიქრობდნენ, რომ ველიკორუსებს, როგორც პრივილეგიურ ხალხს, უნდოდათ შეენარჩუნებინათ თავისთვის მხოლოდ ის უპირატესობანი, რაც ხელუხლებლად შეუნარჩუნეს მათ ნიკოლოზ II და კერენსკიმ.

გვეუბნებიან, რუსეთი დაქუცმაცდება, დაიშლება ცალკეულ რესპუბლიკებადო, მაგრამ ჩვენ ამის არ უნდა გვეშინოდეს. რამდენიც უნდა იყოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ჩვენ ამის არ შეგვეშინდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ სად გადის სახელმწიფო საზღვარი, არამედ ის, რომ შენარჩუნებულ იქნეს ყველა ერის მშრომელთა კავშირი ყოველგვარი ერის ბურჟუაზიასთან საბრძოლველად. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

თუ ფინეთის ბურჟუაზია იარაღს ყიდულობს გერმანელებისაგან, რომ თავისი მუშების წინააღმდეგ მიმართოს იგი, ჩვენ მივმართავთ ფინეთის მუშებს კავშირი შეჰკრან რუსეთის მშრომელებთან. დაე ბურჟუაზიამ ასტეხოს საძაგელი უბადრუკი ჩხუბი და ვაჭრობა საზღვრების გულისთვის, ყველა ქვეყნის და ყველა ერის მუშები კი ამ საზიზღარ ნიადაგზე არ დაშორდებიან ერთმანეთს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

ჩვენ ახლა, — ვიხმარ ცუდ სიტყვას — «ვიპყრობთ» ფინეთს, მაგრამ არა ისე, როგორც ამას სჩადიან საერთაშორისო მტაცებელი-კაპიტალისტები. ჩვენ ვიპყრობთ იმით, რომ ვანიჭებთ ფინეთს სრულ თავისუფლებას იცხოვროს ჩვენთან თუ სხვებთან კავშირში და უზრუნველვყოფთ ყველა ეროვნების მშრომელთათვის სრულ მხარისდაჭერას ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს კავშირი ემყარება არა ხელშეკრულებებს, არამედ ექსპლოატირებულთა სოლიდარობას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

ამჟამად ჩვენ ვხედავთ ნაციონალურ მოძრაობას უკრაინაში და ვამბობთ: ჩვენ უცილობლად მხარს ვუჭერთ უკრაინელი ხალხის სრულ და შეუზღუდველ თავისუფლებას. ჩვენ უნდა

დავამსხვრიოთ ის ძველი, სისხლიანი და ჭუჭყიანი წარსული, როდესაც კაპიტალისტ-მჩაგვრელთა რუსეთი სხვა ხალხების მიმართ ჯალათის როლს ასრულებდა. ამ წარსულს ჩვენ აღვგვით, ამ წარსულიდან ჩვენ ქვას ქვაზე არ დავტოვებთ. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

ჩვენ ვეტყვით უკრაინელებს: როგორც უკრაინელებს, თქვენ შეგიძლიათ მოაწესრიგოთ თქვენი ცხოვრება, როგორც გსურთ. მაგრამ ჩვენ ძმურ ხელს გავუწოდებთ უკრაინელ მუშებს და ვეტყვით მათ: თქვენთან ერთად ჩვენ ვიბრძოლებთ თქვენი და ჩვენი ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მხოლოდ ყველა ქვეყნის მშრომელთა სოციალისტური კავშირი გამოაცლის ყოველგვარ ნიადაგს ნაციონალურ დევნასა და შუღლს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

— გადავალ ომის საკითხზე. ნადავლისათვის მტაცებელთა შეხლა-შემოხლით გამოწვეული ომის წინააღმდეგ ჩვენ გადამწყვეტი ბრძოლა დავიწყეთ. დღემდე ყველა პარტია ამ ბრძოლაზე ლაპარაკობდა, მაგრამ სიტყვებსა და თვალთმაქცობას არ გაშორებიან. ახლა ბრძოლა ზავისათვის დაწყებულია. ეს ბრძოლა ძნელია. ვინც ფიქრობდა, რომ ზავის მიღწევა ადვილია, საკმარისია მხოლოდ კრინტის დაძვრა ზავზე, და ბურჟუაზია თეფშით მოგვართმევს მასო, ის სულ გულუბრყვილოა. ვინც ამ შეხედულებას ბოლშევიკებს მიაწერდა, ის იტყუებოდა. კაპიტალისტები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს ნადავლის გასაყოფად. ცხადია: ომის ჩაკვლა ნიშნავს კაპიტალის დამარცხებას, და ამ აზრით დაიწყო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებამ. ჩვენ გამოვაქვეყნეთ და კვლავაც გამოვაქვეყნებთ საიდუმლო ხელშეკრულებებს. ვერავითარი ღვარძლი და ვერავითარი ცილისწამება ვერ შეგვაჩერებს ამ გზაზე. ბატონი ბურჟუები გაბოროტებული არიან იმით, რომ ხალხი ხედავს, თუ რისთვის ერეკებოდნენ მას სასაკლაოზე. ისინი აშინებენ ქვეყანას ახალი ომის პერსპექტივით, რომელშიც რუსეთი განმარტოებული აღმოჩნდებოდა. მაგრამ ჩვენ ვერ შეგვაჩერებს ის ცოფმორეული მძულვარება, რომელსაც ბურჟუაზია იჩენს

ჩვენდამი, ზავისაკენ ჩვენი მოძრაობისადმი. დაე სცადოს მან ომის მეოთხე წელიწადს გაუძღვეს ხალხებს საომრად ერთმანეთის წინააღმდეგ! ამას ის ვერ შესძლებს. არა მარტო ჩვენში, არამედ ყველა მეომარ ქვეყანაში მწიფდება ბრძოლა საკუთარი იმპერიალისტური მთავრობების წინააღმდეგ. გერმანიაშიც კი, რომლის სამხედრო ბანაკად გადაქცევას იმპერიალისტები ათეული წლების განმავლობაში ცდილობდნენ, სადაც მთავრობის მთელი აპარატი მიმართულია იქითკენ, რომ ხალხის აღშფოთების სულ მცირედი გამოხატულებაც კი ჩანასახშივე იქნეს აღკვეთილი, იქაც კი საქმე ფლოტის აშკარა აჯანყებამდე მივიდა. უნდა ვიცოდეთ, რა გაუგონრად დიდია პოლიციის თვითნებობა გერმანიაში, რომ გავიგოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ აჯანყებას. მაგრამ რევოლუცია შეკვეთით არ ხდება; რევოლუცია გვევლინება, როგორც შედეგი ხალხის მასების აღშფოთების გადმოხეთქისა. თუ ასე ადვილი იყო დაძლევა უბადრუკი, ჭკუამოკლე ადამიანთა ხროვისა, როგორიც იყვნენ რომანოვი და რასპუტინი, სამაგიეროდ განუზომლად უფრო ძნელია ბრძოლა გერმანიის გვირგვინოსანი და უგვირგვინო იმპერიალისტების ორგანიზებულ და ძლიერ ხროვასთან. მაგრამ შეიძლება და კიდევაც უნდა ვიმუშაოთ ხელიხელჩაკიდებული ყველა ქვეყნის მშრომელთა რევოლუციურ კლასთან ერთად. და ამ გზას დაადგა საბჭოთა მთავრობა, როდესაც გამოაქვეყნა საიდუმლო ხელშეკრულებები და გვიჩვენა, რომ ყველა ქვეყნის მმართველები — ყაჩაღები არიან. ეს არის პროპაგანდა არა სიტყვით, არამედ საქმით. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

დასასრულ, შეეხო რა საზავო მოლაპარაკების საკითხს, ორატორმა თქვა:

როდესაც გერმანელებმა ჩვენს მოთხოვნაზე — არ გადაესროლათ ჯარები დასავლეთ და იტალიის ფრონტებზე, მიკიბულ-მოკიბულად გვიპასუხეს, ამის შემდეგ შევწყვიტეთ მოლაპარაკება და განვაახლებთ მას რამდენიმე ხნის შემდეგ. და როდესაც ჩვენ ამას მთელ მსოფლიოს ვაცნობებთ, აღარ დარჩება არც ერთი გერმანელი მუშა, რომელსაც არ ეცოდი-

ნება, რომ ჩვენი მიზეზით არ შეწყვეტილა საზავო მოლაპარაკება. ხოლო თუ ისეთ შემთხვევას წარმოვიდგენთ, როდესაც გერმანიის მუშათა კლასი აჰყვებოდა თავის მტაცებელ-იმპერიალისტთა მთავრობას, და ჩვენ ომის განგრძობის აუცილებლობის წინაშე დავდგებოდით, მაშინ რუსი ხალხი, რომელიც უდრტვინველად ჰღვრიდა სისხლს და რომელმაც არც კი იცოდა რისთვის და რა მიზნებისთვის ასრულებდა თავისი სულთამხუთავი მთავრობის ნებას, — უეჭველად გაათკეცებული ენერგიით, გაათკეცებული გმირობით ჩაებმებოდა ბრძოლაში, რადგან ეს იქნებოდა ბრძოლა სოციალიზმისათვის, თავისუფლებისათვის, რომლის წინააღმდეგაც მიმართავდა ხიშტებს საერთაშორისო ბურჟუაზია. მაგრამ ჩვენ გვწამს საერთაშორისო სოლიდარობა მშრომელი მასებისა, რომლებიც გადალახავენ ყველა წინააღმდეგობას და ყველა დაბრკოლებას სოციალიზმისათვის ბრძოლის გზაზე. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

ცაკ-ის «იზვესტია» № 235,
1917 წლის 25 ნოემბერი

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხდვით,
რომელიც შედარებულია ცაკ-ის
გაზეთის «იზვესტიის» ტექსტთან

წინასიტყვაობა ბროშურისა: «მასალები აგრარულ საკითხზე»

მკითხველთა საყურადღებოდ წარმოდგენილ ამ ბროშურაში თავმოყრილია (არა ავტორის, არამედ ერთ-ერთი ბოლშევიკის ინიციატივით) ფართოდ გასავრცელებლად გამოსადეგი ჩემი უმთავრესი სტატიები და სიტყვები მიწის საკითხზე. აქ თავმოყრილი სტატიები და სიტყვები მოიცავენ 1917 წლის აპრილის დამლევიდან ოქტომბრის დამლევამდე განვლილ პერიოდს. სტატიებს დამატებული აქვს: რსდმპ (ბოლშევიკების) აპრილის კონფერენციის რეზოლუცია *, მიწის დეკრეტი, მიღებული 1917 წ. 26 ოქტომბერს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის მიერ **. ორივე ამ დოკუმენტის ტექსტი თავდაპირველი სახით (ე. ი. პ რ ო ე ქ ტ ე ბ ი) დაწერილია ჩემს მიერ.

მთლიანად აღებული, ეს დოკუმენტები და სტატიები იძლევიან რევოლუციის ნახევარი წლის მანძილზე ბოლშევიზმის შეხედულებათა განვითარებისა და ამ შეხედულებათა პრაქტიკული გამოყენების ზუსტ სურათს.

შემიძლია კიდევ დავიმოწმო ჩემი სტატია გაზეთში «რაბოჩიი» (პეტერბურგი, 1917 წ. 11 სექტემბერი (29 აგვისტო), № 6): «პუბლიცისტის დღიურიდან. გლეხები და მუშები» ***. ამ სტატიაში დაწვრილებით არის გარჩეული გლეხთა ის ნაკრები განაწესი, რომელიც მოთავსებული იყო გლეხთა

---

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 339 — 343. რ ე დ.

** იხ. ეს ტომი, გვ. 299 — 302. რ ე დ.

*** იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 25, გვ. 330 — 340. რ ე დ.

დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს «იზვესტიის» 88-ე ნომერში 19 აგვისტოს და რომელიც შევიდა 1917 წლის 26 ოქტომბრის მიწის დეკრეტში. ორი თვით ადრე 25 ოქტომბრის რევოლუციამდე აღნიშნული სტატია განმარტავს «გლეხისადმი მუშის სიტყვების ძირითადი ხაზის შეცვლის» აუცილებლობას.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

პეტერბურგი.
1917 წ. 27 ნოემბერი

დაიბეჭდა 1917 წელს ბროშურაში: ნ. ლენინი. «მასალები აგრარულ საკითხზე», გამომც. «პრიბოი»

იბეჭდება ბროშურის ტექსტის მიხედვით

ზავზე მოლაპარაკების პროგრამის კონსპექტი [80]

1) პოლიტიკური და ეკონომიური მოლაპარაკება.

2) პოლიტიკური მოლაპარაკების მთავარი თემა და ძირითადი პრინციპი: «ანექსიო და უკონტრიბუციო».

3) ანექსიის ცნება:

(ა) **უვარგისობა** ანექსიის განსაზღვრისა, როგორც ამ ომის გამოცხადების შემდეგ შემოერთებული მიწა-წყლისა *.

(ბ) ანექსიად ცხადდება ყოველი ტერიტორია, რომლის მოსახლეობა უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე (XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან) უკმაყოფილებას გამოთქვამდა მისი ტერიტორიის სხვა სახელმწიფოსადმი შეერთებით ან თავისი მდგომარეობით სახელმწიფოში, — სულ ერთია, როგორ იყო გამოთქმული ეს უკმაყოფილება — ლიტერატურაში, სეიმების, მუნიციპალიტეტების, კრებებისა და სხვა დაწესებულებების გადაწყვეტილებებში, ამ ტერიტორიების ნაციონალური მოძრაობით გამოწვეულ სახელმწიფო და დიპლომატიურ აქტებში, ნაციონალურ უთანხმოებაში, შეჯახებებში, არეულობაში და სხვ. **.

1) ოფიციალურად აღიარება ამა თუ იმ მეომარი ქვეყნის შემადგენლობაში შემავალი ყოველი (არამპყრობელი) ერის თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებისა თვით გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის ჩათვლით;

---

* მიუღებელია ანექსიის ისეთი განსაზღვრა, რომლის მიხედვით ანექსირებულად ითვლება ომის გამოცხადების შემდეგ შემოერთებული მიწა-წყალი.

** შემდგომი ტექსტი დაწერილია ი. ბ. სტალინის მიერ. რ ე დ.

2) თვითგამორკვევის უფლების განხორციელება ხდება მთელი იმ ოლქის მოსახლეობის რეფერენდუმით, რომელიც თვითგამორკვევას მოითხოვს; 3) იმ ოლქის გეოგრაფიულ საზღვრებს, რომელსაც თვითგამორკვევა ენიჭება, აწესებენ ამ და მოსაზღვრე ოლქების დემოკრატიულად არჩეული წარმომადგენლები; 4) წინასწარი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების განხორციელებას:

ა) ჯარების გაყვანა იმ ოლქის საზღვრებიდან, სადაც თვითგამორკვევა ხდება;

ბ) ხსენებულ ოლქში დაბრუნება ლტოლვილებისა და აგრეთვე ომის დაწყებიდან ხელისუფლების მიერ გადასახლებული ამ ოლქის მცხოვრებლებისა;

გ) ამ ოლქში შექმნა დროებითი მმართველობისა თვითგამომრკვევი ერის დემოკრატიულად არჩეული წარმომადგენლებისგან და უფლების მიცემა მისთვის (სხვათა შორის) ბ მუხლის განხორციელებისა;

დ) დროებით მმართველობასთან ხელშეკრულების დამდებ მხარეთა კომისიების შექმნა ურთიერთის კონტროლის უფლებით;

ე) ბ და გ მუხლების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები გაიღება სპეციალური ფონდიდან, რომელსაც ქმნის დამპყრობი მხარე.

დაწერილია 1917 წ. 27
ნოემბერს (10 დეკემბერს)

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

დეკრეტი რევოლუციის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის გელადთა დაპატიმრების შესახებ [81]

კადეტების პარტიის, როგორც ხალხის მტრების პარტიის, ხელმძღვანელ დაწესებულებათა წევრები დაპატიმრებულ უნდა იქნენ და გადაეცნენ რევოლუციური ტრიბუნალების სასამართლოს.

ადგილობრივ საბჭოებს ეკისრებათ ვალდებულება განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიონ კადეტების პარტიას, რადგან ის დაკავშირებულია კორნილოვ-კალედინურ სამოქალაქო ომთან რევოლუციის წინააღმდეგ.

დეკრეტი ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ ლ. უ ლ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პეტრ., 1917 წ. 28 ნოემბერი,
საღამოს 10½ ს.

ცაკ-ის «იზვესტია» № 239,
1917 წ. 29 ნოემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომა 1917 წ. 1 (14) დეკემბერს

1

სიტყვა დამფუძნებელი კრების საკითხზე

თუ ავიღებთ დამფუძნებელ კრებას სამოქალაქო ომამდე მისული კლასობრივი ბრძოლის ვითარების გარეშე, ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით უფრო სრულყოფილი დაწესებულება ხალხის ნების გამოსავლინებლად. მაგრამ არ შეიძლება ფანტაზიის სფეროში ნავარდი. დამფუძნებელ კრებას მოქმედება მოუხდება სამოქალაქო ომის ვითარებაში. სამოქალაქო ომი დაიწყეს ბურჟუაზიულ-კალედინურმა ელემენტებმა.

მოსკოვში აჯანყების გაჭიანურების ცდის შემდეგ, კერენსკის მხრივ პეტროგრადზე ჯარების დაძვრის მარცხით დამთავრებული ცდის შემდეგ, არმიის მეთაურთა შემადგენლობის კონტრრევოლუციური ზედაფენების დარაზმვის უნაყოფო ცდის შემდეგ, ისინი ახლა ცდილობენ აჯანყება მოაწყონ დონში. ეს უიმედო ცდაა, რადგან მშრომელი კაზაკობა კალედინელების წინააღმდეგია.

კადეტთა პარტიის დევნის გამო საყვედურის პასუხად ლენინი აცხადებს: არ შეიძლება კლასობრივი ბრძოლა გამოიყოს პოლიტიკური მოწინააღმდეგისაგან. როცა ამბობენ, კადეტების პარტია ძლიერი ჯგუფი არ არისო, — ტყუიან. კადეტების ცენტრალური კომიტეტი, ეს არის ბურჟუაზიის კლასის პოლიტიკური შტაბი. კადეტებმა შემოიკრიბეს ყველა შეძლებული კლასი; მათ შეუერთდნენ კადეტებზე მარჯვნივ მდგომი ელემენტები. ყველა ისინი კადეტურ პარტიას უჭერენ მხარს.

გვეუბნებიან, დამფუძნებელი კრება მოვიწვიოთ ისე, როგორც ეს მოფიქრებული იყოო. არა, უკაცრავად! იგი მოფიქრებული იყო ხალხის საწინააღმდეგოდ. ჩვენ გადატრიალება იმისთვის მოვახდინეთ, რომ გარანტია გვქონოდა დამფუძნებელი კრება ხალხის წინააღმდეგ არ იქნებოდა გამოყენებული, რომ ეს გარანტია მთავრობის ხელში იქნებოდა. ჩვენს დეკრეტში ნათლად, პირდაპირ არის ნათქვამი, როდის იქნება მოწვეული დამფუძნებელი კრება. დეკრეტში ჩვენ ზუსტი პასუხი გავეცით ამ კითხვაზე. ნუ გულთმისნობთ, ჩვენ არაფერს ვმალავთ. ჩვენ ვთქვით, როდესაც შეიკრიბება 400 კაცი, დამფუძნებელ კრებას მოვიწვევთ-თქო. რა ჩვენი ბრალია, რომ არჩევნები უფრო გვიან მოხდა, ვიდრე დანიშნული იყო. ზოგან საბჭოები თვითონ ნიშნავდნენ არჩევნების ვადას უფრო მოგვიანებით. რადგან არჩევნები სხვადასხვა დროს ხდებოდა, საჭირო იყო გაგვესაზღვრა, თუ რამდენი დეპუტატია საკმარისი დამფუძნებელი კრების გასახსნელად. იყო ცდა გამოეყენებინათ ის გარემოება, რომ კანონში ეს რიცხვი არ არის აღნიშნული, რათა დამფუძნებელი კრება მოეწვიათ, რამდენიც უნდა ყოფილიყო დეპუტატების რიცხვი. რა მდგომარეობაში იქნებოდა ხელისუფლება, რომელიც ამას დათანხმდებოდა? საბჭოთა ხელისუფლება სწორად მოიქცა, როცა დაადგინა, რამდენი უნდა იყოს დეპუტატთა რიცხვი, რომ დამფუძნებელი კრება სწორად მოწვეულად ჩაითვალოს. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს გააკეთა. ვინც თანახმა არ არის — უნდა გააკრიტიკოს დეკრეტი. თუ კრიტიკის ნაცვლად გადაკვრით ლაპარაკი, ზოგადი მოსაზრებანი გვესმის, ჩვენ მათ უკუვაგდებთ.

როდესაც რევოლუციური კლასი იბრძვის შეძლებული კლასების წინააღმდეგ, რომლებიც წინააღმდეგობას სწევენ, მან ეს წინააღმდეგობა უნდა ჩაახშოს; და ჩვენც შეძლებულთა ამ წინააღმდეგობას ჩავახშობთ ყველა იმ საშუალებით, რომლებითაც ისინი ახშობდნენ პროლეტარიატს, — სხვა საშუალებები არ არის გამოგონილი.

თქვენ ამბობდით, ბურჟუაზია უნდა გავამარტოოთო. მაგრამ კადეტები ეფარებიან ფორმალურ-დემოკრატიულ ლოზუნგს, დამფუძნებელი კრების ლოზუნგს, და სინამდვილეში სამოქალაქო ომს იწყებენ. ისინი ამბობენ: «ჩვენ გვინდა დამფუძნებელ კრებაშიც ვისხდეთ და ამავე დროს სამოქალაქო ომიც მოვაწყოთო», თქვენ კი ამაზე უპასუხებთ ფრაზებით განმარტოების შესახებ.

ჩვენ არ ვიჭერთ მარტო ფორმალობის დამრღვევთ, ჩვენ ვაყენებთ პირდაპირ პოლიტიკურ ბრალდებას პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ. ასე იქცეოდნენ საფრანგეთის რევოლუციონერებიც. ეს არის ჩვენი პასუხი იმ გლეხებისადმი, რომლებიც ირჩევდნენ და ის კი არ იცოდნენ, თუ ვის ირჩევდნენ. დაე ხალხმა იცოდეს, რომ დამფუძნებელი კრება არ შეიკრიბება ისე, როგორც ეს კერენსკის სურდა. ჩვენ შემოვიღეთ გაწვევის უფლება, და დამფუძნებელი კრება არ იქნება ისეთი, როგორიც ბურჟუაზიას ჰქონდა განზრახული. როდესაც დამფუძნებელი კრების მოწვევა დაშორებულია ჩვენგან სულ რამდენიმე დღით, ბურჟუაზია აწყობს სამოქალაქო ომს და აძლიერებს საბოტაჟს, ჰფუშავს დროებითი ზავის საქმეს. ჩვენ თავს არავის მოვატყუებინებთ ფორმალური ლოზუნგებით. მათ სურთ ისხდნენ დამფუძნებელ კრებაში და ამავე დროს მოაწყონ სამოქალაქო ომი. დაე გაარჩიონ არსებითად ჩვენი ბრალდება კადეტების პარტიის წინააღმდეგ, დაე დაამტკიცონ, რომ კადეტების პარტია არ არის შტაბი სამოქალაქო ომისა, რომელიც აშკარად უიმედოა და სისხლით რწყავს ჩვენს ქვეყანას. ამხ. შტეინბერგი ამის დამტკიცებას არ ცდილა. მას დაავიწყდა ყოველივე ის, რაც გამოირკვა კორნილოვთან კადეტების კავშირის შესახებ; ჩვენ კი არა, ჩვენმა პოლიტიკურმა მოწინააღმდეგემ, ჩერნოვმა, ამხილა ეს კავშირი. ჩვენ გვირჩევენ მეისრენი დავაპატიმროთ. ცალკეულ პირთა დაპატიმრებით ჩვენ არ დავფარავთ პოლიტიკურ ბრალდებას მთელი კლასის შტაბის წინააღმდეგ.

შემდეგ ლენინი ჩერდება იმ შემოკამათებაზე, რომ ბოლშევიკებსაც აცხადებდნენ ხალხის მტრებადო. ჩვენ

გვემუქრებოდნენ, ხალხის მტრებად გამოგაცხადებთო, მაგრამ ეს ვერ ჰქნეს. მათ ეს ვერ გაბედეს. ჩვენ მათ ვეუბნებოდით მაშინ: «კარგი, თუ თქვენ ეს შეგიძლიათ ჰქნათ, სცადეთ. სცადეთ უთხრათ ხალხს, რომ ბოლშევიკების პარტია, როგორც პარტია, როგორც მიმართულება, ხალხის მტერია». მათ ეს ვერ გაბედეს; ისინი აპატიმრებდნენ ცალკეულ პირებს, ციხეს სწამებდნენ მათ. ჩვენ მათ ვეუბნებოდით: თქვენ არ შეგიძლიათ ხალხის მტრებად გამოგვაცხადოთ, თქვენ ოდნავი პრინციპული სათქმელი არა გაქვთ ბოლშევიკების წინააღმდეგ, თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ ციხისწამება გაავრცელოთ. ჩვენი ბრალდება პარტიის წინააღმდეგ ბოლოს უღებს პოლიტიკური ბრძოლის წვრილმან ფანდებს. ჩვენ ხალხს სიმართლეს ვეტყვით. ჩვენ ვეტყვით ხალხს, რომ მისი ინტერესები დემოკრატიული დაწესებულების ინტერესებზე მაღლა დგას. არ უნდა დავუბრუნდეთ ძველ ცრურწმენას, რომელიც ხალხის ინტერესებს ფორმალურ დემოკრატიზმს უმორჩილებს. კადეტები ჰყვირიან: «მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას», ნამდვილად კი ეს მათთვის ნიშნავს: «მთელი ძალაუფლება კალედინს». ეს უნდა ვუთხრათ ხალხს, და ხალხი ამას მოგვიწონებს.

«პრავდა» № 207,
1917 წ. 19 (6) დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

2

რეზოლუცია დეკრეტის შესახებ კადეტების პარტიის გამო

მოისმინა რა სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლების ახსნა-განმარტება იმ დეკრეტის გამო, რომელიც კადეტებს ხალხის მტრების პარტიად აცხადებს და ბრძანებს ამ პარტიის ხელმძღვანელ დაწესებულებათა წევრების დაპატიმრებას და საბჭოთა მეთვალყურეობის დაწესებას მთელი პარტიის მიმართ, ცაკ-ი ადასტურებს უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობას ბურჟუაზიულ კონტრრევოლუციასთან, რომელსაც კადეტების პარტია მეთაურობს და რომელმაც გააფთრებული სამოქალაქო ომი გააჩაღა მუშათა და გლეხთა რევოლუციის თვით საფუძვლების წინააღმდეგ.

ცაკ-ი კვლავაც მხარს დაუჭერს ამ გზაზე სახალხო კომისართა საბჭოს და უკუაგდებს იმ პოლიტიკური ჯგუფების პროტესტებს, რომლებიც თავიანთი მერყეობით ძირს უთხრიან პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის დიქტატურას.

ცაკ-ის «იზვესტია» № 243, 1917 წ. 3 დეკემბერი

იბეჭდება ცაკ-ის გაზეთის «იზვესტიის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეოთხე ყრილობაზე 1917 წ. 2 (15) დეკემბერს [82]

ამხანაგებო, გლეხთა დეპუტატების წინა საგანგებო ყრილობაზე მე ვიყავი ბოლშევიკების ფრაქციისაგან და არა სახალხო კომისართა საბჭოსაგან, სწორედ ასევე გამოვდივარ ამჟამადაც, იმიტომ რომ ჩემთვის დიდად საყურადღებოა ბოლშევიკების პარტიის აზრი იცოდეთ თქვენ, გლეხთა დეპუტატების ყრილობამ.

აქ მე მოვუსწარი უკანასკნელი ორატორის სიტყვის ნაწილს; ორატორმა ჩემკენ მოიხედა და გითხრათ, თითქოს მე მინდოდეს თქვენი გარეკვა ხიშტებით. ამხანაგებო, რუსეთი გადასცდა იმ ასაკს, რომ ვინმე მართავდეს მას. თქვენ იცით, რომ მას შემდეგ, რაც ჯარმა იარაღი მიმართა თავისუფლების მოსაპოვებლად, მას შემდეგ, რაც ჯარისკაცის ფარაჯაში გახვეულ გლეხებს შეუძლიათ შეიკრიბონ და შეუთანხმდნენ იმ გლეხებს, რომლებიც ასეთ ფარაჯებს არ ატარებენ, არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ხალხის ნების, გლეხებისა და მუშების ნების დამორჩილება.

ამხანაგებო, მინდა გითხრათ, თუ როგორ გვესმის ჩვენ 25 ოქტომბრის გადატრიალება. ამხანაგებო, აქ ამბობდნენ, რევოლუციის ახალმა ტალღამ შეიძლება აღგავოს საბჭოებიო. მე ვამბობ: ეს არ მოხდება. მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ საბჭოები არასოდეს არ დაიღუპებიან; 25 ოქტომბრის რევოლუციამ დაგვიმტკიცა ეს. საბჭოები არასოდეს არ დაიღუპებიან, იმიტომ რომ ისინი შეიქმნენ ჯერ კიდევ 1905 წლის პირველი რევოლუციის დროს, შეიქმნენ თებერვლის რევო-

ლუციის შემდეგაც, და ეს მოხდა არა ვისიმე პირადი წამოწყებით, არამედ ძირიდან, ხალხის მასების ნებით. აქ არ შეიძლება არავითარი შეზღუდვა, არავითარი ფორმალობა იმიტომ, რომ საბჭოები შეიქმნა ხალხის ნებით, და ხალხს შეუძლია ყოველ წუთში გაიწვიოს თავისი წარმომადგენლები. საბჭოები ყოველგვარ პარლამენტებზე, ყოველგვარ დამფუძნებელ კრებებზე მაღლა დგანან. (ხმაური, ყვირილი: «ტყუილია!».) ბოლშევიკების პარტია ყოველთვის ამბობდა, რომ უმაღლესი ორგანო — საბჭოებია. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ტყუილია, იმიტომ რომ დამფუძნებელი კრების საშუალებით რევოლუციები, რომლებიც ევროპაში იყო და რომლებიც მონარქიას ამხობდნენ, ბურჟუაზიულ რესპუბლიკას ქმნიდნენ. ისეთი რევოლუცია, როგორიც ჩვენში მოხდა, ჯერ არსად და არასოდეს არ ყოფილა. ამბობენ, 25 ოქტომბრის რევოლუციამ მხოლოდ «ბოლშევიკური მთავრობა» მოგვცაო. მე შემეძლო მეთქვა, რომ სახალხო კომისართა საბჭოში მარტო ბოლშევიკები არ არიან. ყველა თქვენგანმა, ვისაც ახსოვს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების პირველი ყრილობა, უნდა იცოდეს, რომ ბოლშევიკები მაშინ უმცირესობაში იყვნენ; და აი ახლა ხალხი, რომელიც გამოცდილებით დარწმუნდა, თუ საით მივყავართ შემთანხმებლობის პოლიტიკას, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მეორე ყრილობაზე უმრავლესობას ანიჭებს ბოლშევიკების პარტიას. როდესაც მეუბნებიან და ჰყვირიან მტრულად განწყობილი პრესიდან, რომ ხიშტები შეიძლება მიიმართოს საბჭოების წინააღმდეგო, მე მეცინება. ხიშტები მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების ხელშია და მათ ისინი არასოდეს არ მიმართავენ საბჭოებისკენ. და დაე დასძრას კონტრრევოლუციამ ხიშტები საბჭოების წინააღმდეგ, მათ ეს ვერ შეაშინებს.

გადავდივარ რა დამფუძნებელი კრების საკითხზე, უნდა ვთქვა, რომ დამფუძნებელ კრებას შეუძლია დახმარება გაგვიწიოს მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითონ ხალხი დაიწყებს

თავისუფლად განვითარებას და ახალი ცხოვრების შენებას. გეკითხებით: არის ეს ასე?

მე გეტყვით იმას, რაც თქვენ ყველამ იცით: «ადამიანი კი არ არსებობს შაბათისთვის, არამედ შაბათი ადამიანისთვის». თქვენ იცით, ამხანაგებო, როგორ ხდებოდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. ეს არჩევნების ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე წესია, იმიტომ რომ აქ ირჩევენ არა ცალკეულ პირებს, არამედ პარტიების წარმომადგენლებს. და ეს ნაბიჯის გადადგმაა წინ იმიტომ, რომ რევოლუციას ახდენენ არა პირები, არამედ პარტიები. როდესაც დამფუძნებელი კრების არჩევნები ხდებოდა, მარტო ესერების პარტია იყო, პარტია, რომელსაც უმრავლესობა ჰყავს დამფუძნებელ კრებაში. ახლა ეს ასე არ არის. თქვენ, შეიძლება, თქვათ, რომ ესეც ბოლშევიკებმა ჰქნესო? არა, ამხანაგებო, ეს მსოფლიო კანონია. ყველგან და ყოველთვის ხალხი ნელ-ნელა და სიძნელით იყოფა ორ ბანაკად: ბედკრულთა, დაბეჩავებულთა ბანაკი, იმათი ბანაკი, ვინც იბრძვის ყველა მშრომელის უკეთესი მომავლისთვის, — და იმათი ბანაკი, ვინც ასე თუ ისე ძხარს უჭერს მემამულეებსა და კაპიტალისტებს. როდესაც არჩევნები ხდებოდა, ხალხი იმათ კი არ ირჩევდა, ვინც მის ნებას, მის სურვილს გამოხატავს. თქვენ ამბობთ, კადეტების მთელი პარტია ხალხის მტრებად გამოაცხადეთო. — დიახ, ჩვენ ეს ვქენით და ამით მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მეორე ყრილობის ნება გამოვხატეთ. და ახლა, როდესაც ზავის, სამი წლის საშინელი ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტის ზღურბლზე ვდგავართ, დარწმუნებული ვართ, რომ ეს არის ყველა მშრომელის, ყველა ქვეყნის მოთხოვნა. ნელა და გაჭირვებით მიმდინარეობს იმპერიალიზმის დამხობის საქმე ევროპაში, და ახლა ყველა ქვეყნის იმპერიალისტები დაინახავენ, რომ ხალხი ძლიერია და თავისი ძალით ის დაამხობს ყველას, ვინც გზაზე ეღობება მას. როდესაც აჯანყებას აწყობენ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, საბჭოების წინააღმდეგ, ხოლო მეორე ხელით დამფუძნებელი კრების მაღალ მანდატზე მიუთითებენ, ჩვენ ამის წინაშე არ შევჩერდებით. ივლისში

გვეუბნებოდნენ: «ხალხის მტრებად გამოგაცხადებთო». და ჩვენ ვუპასუხებდით: «სინჯეთ». აბა ესინჯათ ბატონ ბურჟუებს და მათ მომხრეებს აშკარად ეთქვათ ეს ხალხისთვის; მაგრამ მათ ეს ვერ ჰქნეს, ისინი სარგებლობდნენ ყოველგვარი ინსინუაციით, ცილისწამებითა და ლაფით. როდესაც ბურჟუაზიამ სამოქალაქო ომი დაიწყო, ჩვენ ვიყავით ამის მოწამე, მათ მოაწყვეს იუნკრების აჯანყება, და ჩვენ, გამარჯვებულნი, მათ, დამარცხებულთ, ლმობიერად მოვექეცით. ჩვენ მეტიც ვქენით: ჩვენ მათ სამხედრო ღირსებაც კი შევუნარჩუნეთ. და აი ახლა, როდესაც იწვევა დამფუძნებელი კრება, ჩვენ ვამბობთ: როდესაც შეგროვდება დამფუძნებელი კრების 400 წევრი, ჩვენ მას გავხსნით. ჩვენ ვხედავთ, რომ კადეტების შეთქმულება გრძელდება, ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი აწყობენ აჯანყებას საბჭოების წინააღმდეგ ოქროს ქისის, ანგარების, სიმდიდრის გულისთვის, ჩვენ აშკარად ვაცხადებთ მათ ხალხის მტრებად. იმ დროს, როდესაც ჩვენ ამ დღეებში გვეცოდინება ზავის პირობები, როდესაც ჩვენ გვექნება დროებითი ზავი, როდესაც საადგილმამულო კომიტეტების წევრებს ველარ დააპატიმრებენ, როდესაც მემამულეთა მიწების კონფისკაცია დაიწყება, როდესაც იქნება კონტროლი ფაბრიკებისა და ქარხნების მიმართ, ისინი შეთქმულებას აწყობენ ჩვენს წინააღმდეგ, საბჭოების წინააღმდეგ. და ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი, კადეტების პარტია — ბურჟუაზიის პარტია, ხალხის მტრები არიან, და ჩვენ ბრძოლას გავუმართავთ მას.

ცაკ-ის «იზვესტია» № 244,
1917 წ. 6 დეკემბერი

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
საწერ მანქანაზე გადაბეჭდილი
ეგზემპლარის მიხედვით

მანიფესტი უკრაინელი ხალხისადმი ულტიმატური მოთხოვნებით უკრაინის რადისადმი[83]

ხელმძღვანელობს რა სოციალიზმისათვის ბრძოლაში მუშათა და მშრომელთა, ექსპლოატირებულ მასათა ერთიანობისა და ძმური კავშირის ინტერესებით, ხელმძღვანელობს რა იმით, რომ ეს პრინციპები აღიარებულია რევოლუციური დემოკრატიის ორგანოების, საბჭოებისა, და განსაკუთრებით საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის მრავალრიცხოვანი გადაწყვეტილებით, რუსეთის სოციალისტური მთავრობა, სახალხო კომისართა საბჭო, კვლავ ადასტურებს თვითგამორკვევის უფლებას ყველა ერისათვის, რომლებსაც ჩაგრავდნენ ცარიზმი და ველიკორუსული ბურჟუაზია, თვით ამ ერთა რუსეთიდან გამოყოფის უფლებასაც.

ამიტომ ჩვენ, სახალხო კომისართა საბჭო, ვცნობთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკას, მის უფლებას — სრულიად გამოეყოს რუსეთს ან ხელშეკრულება დადოს რუსეთის რესპუბლიკასთან მათ შორის ფედერაციული და სხვა ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ჩვენ, სახალხო კომისართა საბჭო, დაუყოვნებლივ, შეუზღუდავად და უეჭველად ვაღიარებთ ყოველივეს, რაც კი ეხება უკრაინის ხალხის ნაციონალურ უფლებებს და ნაციონალურ დამოუკიდებლობას.

ფინეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ ისევ ბურჟუაზიული რჩება, ჩვენ არ გადაგვიდგამს არც ერთი ნაბიჯი ფინეთის ხალხის ნაციონალური უფლებებისა და ნაციონალური დამოუკიდებლობის შეზღუდვის მხრივ,

და არც გადავდგამთ არავითარ ნაბიჯს, რომელიც ზღუდავდეს რუსეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი და შესვლის მსურველი რომელიმე ერის ნაციონალურ დამოუკიდებლობას.

ჩვენ ბრალს ვდებთ რადას, რომ იგი ეფარება ნაციონალურ ფრაზებს და აწარმოებს ორჭოფ ბურჟუაზიულ პოლიტიკას, რომელიც უკვე დიდი ხანია გამოიხატება იმაში, რომ რადა არა ცნობს საბჭოებს და საბჭოთა ხელისუფლებას უკრაინაში (სხვათა შორის, რადამ უარი თქვა დაუყოვნებლივ მოეწვია, უკრაინის საბჭოების მოთხოვნით, უკრაინის საბჭოების სამხარეო ყრილობა). ამ ორჭოფმა პოლიტიკამ, რომელიც საშუალებას გვისპობს რადა უკრაინის რესპუბლიკის მშრომელი და ექსპლოატირებული მასების სრულუფლებიან წარმომადგენლად ვაღიაროთ, სულ უკანასკნელ ხანებში რადას ისეთი ნაბიჯები გადაადგმევინა, რაც შეთანხმების ყოველგვარი შესაძლებლობის მოსპობას მოასწავებს.

ასეთი ნაბიჯები იყო, ჯერ-ერთი, ფრონტის დეზორგანიზაცია.

რადა **ცალმხრივი** ბრძანებებით ადგილს უნაცვლებს და ფრონტიდან იწვევს უკრაინის ნაწილებს და ამნაირად არღვევს ერთიან საერთო ფრონტს, **ვიდრე** გამიჯვნა მოხდებოდეს, რისი განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ ორივე რესპუბლიკის მთავრობათა ორგანიზებული შეთანხმებით.

მეორე, რადა შეუდგა უკრაინაში მყოფი საბჭოთა ჯარების განიარაღებას.

მესამე, რადა მხარს უჭერს კადეტურ-კალედინურ შეთქმულებას და აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. რადა აშკარად ტყუის, როცა იმოწმებს «დონის და ყუბანის» ვითომდა ავტონომიურ უფლებებს და ამით ფარავს კალედინის კონტრრევოლუციურ გამოსვლებს, რაც ეწინააღმდეგება მშრომელი კაზაკობის დიდი უმრავლესობის ინტერესებსა და მოთხოვნებს, და თავის ტერიტორიაზე გავლის უფლებას აძლევს კალედინთან მიმავალ ჯარებს, ამავე დროს კი **უარს ამბობს გაატაროს ჯარები კალედინის წინააღმდეგ**.

რადა დგება რევოლუციის ამ გაუგონარი ღალატის გზაზე, როგორც რუსეთის ხალხთა ნაციონალური დამოუკიდებლობის, ისე საბჭოთა ხელისუფლების უბოროტესი მტრების, მშრომელი და ექსპლოატირებული მასის მტრების, კადეტებისა და კალედინელების მხარისდაჭერის გზაზე, რითაც ის იძულებულს გაგვხდიდა, სრულიად უყოყმანოდ, ომი გამოგვეცხადებინა მისთვის, თუნდაც იგი ყოფილიყო ფორმალურად სავსებით აღიარებული და უცილობელი ორგანო უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლებისა, უკრაინის დამოუკიდებელი ბურჟუაზიული რესპუბლიკისა.

ამჟამად კი, ყველა ზემოხსენებული გარემოების გამო, სახალხო კომისართა საბჭო უკრაინისა და რუსეთის რესპუბლიკების ხალხთა წინაშე რადას უყენებს შემდეგ კითხვებს:

1. კისრულობს თუ არა რადა ვალდებულებას ხელი აიღოს საერთო ფრონტის დეზორგანიზაციის ცდაზე?

2. კისრულობს თუ არა რადა ვალდებულებას უმაღლესი მთავარსარდლის ნებადაურთველად ამიერიდან აღარ გაატაროს დონში, ურალში ან სხვაგან მიმავალი არავითარი სამხედრო ნაწილები?

3. კისრულობს თუ არა რადა ვალდებულებას ხელი შეუწყოს რევოლუციურ ჯარებს კონტრრევოლუციურ კადეტურ-კალედინურ აჯანყებასთან ბრძოლის საქმეში?

4. კისრულობს თუ არა რადა ვალდებულებას შეწყვიტოს საბჭოთა პოლკების და მუშათა წითელი გვარდიის განიარაღების ყოველგვარი ცდა უკრაინაში და დაუყოვნებლივ დაუბრუნოს იარაღი იმათ, ვისაც იგი ჩამოართვეს?

უკეთუ სახალხო კომისართა საბჭო ამ კითხვებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მიიღებს 48 საათის განმავლობაში, იგი ამას ისე ჩათვლის, რომ რადა აშკარა ომის მდგომარეობაშია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ რუსეთსა და უკრაინაში.

დაწერილია 1917 წ. 3 (16) დეკემბერს

დაიბეჭდა 1917 წ. 6 დეკემბერს
ცაკ-ის გაზეთში «იზვესტია» № 244

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

მოხსენება პეტროგრადის მუშების ეკონომიური მდგომარეობისა და მუშათა კლასის ამოცანების შესახებ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის სხდომაზე 1917 წ. 4 (17) დეკემბერს

საგაზეთო ანგარიში

25 ოქტომბრის რევოლუციამ ცხადყო უაღრესად დიდი პოლიტიკური სიმწიფე პროლეტარიატისა, რომელმაც გამოამჟღავნა ბურჟუაზიისათვის მტკიცე წინააღმდეგობის გაწევის უნარი. მაგრამ სოციალიზმის სრული გამარჯვებისათვის საჭიროა კოლოსალური ორგანიზებულობა, იმ შეგნებით გამსჭვალული, რომ პროლეტარიატი გაბატონებული კლასი უნდა გახდეს.

პროლეტარიატის წინაშე დგას წყობილების სოციალისტური გარდაქმნის ამოცანები, ვინაიდან ყოველი საშუალო გადაწყვეტილება, რაც უნდა ადვილი იყოს მის სასარგებლოდ საბუთების მოყვანა, უმნიშვნელოა, რადგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სამეურნეო მდგომარეობა იმ წერტილამდე მივიდა, სადაც შეუძლებელია საშუალო გადაწყვეტილების შეწყნარება. იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ჩვენს გიგანტურ ბრძოლაში ნახევარზომებისათვის ადგილი აღარ რჩება.

საკითხი ასე დგას: ან უნდა გაიმარჯვო, ან უნდა დამარცხდე.

მუშებს ეს უნდა ესმოდეთ, და ესმით კიდევაც; ეს ცხადია იქიდან, რომ საშუალო კომპრომისულ გადაწყვეტილებებს ისინი უარყოფენ. რაც უფრო ღრმაა გადატრიალება,

მით უფრო მეტი აქტიური მუშაკია საჭირო მუშაობისათვის სოციალიზმის აპარატით კაპიტალიზმის შესაცვლელად. ამისათვის წვრილი ბურჟუაზიის ძალა მაშინაც კი არ კმარა, საბოტაჟი რომ არ იყოს. ამოცანის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ხალხის მასების სიღრმიდან, მათი თვითმოქმედებით. ამიტომ ამჟამად საკუთარი მდგომარეობის აი ახლავე გაუმჯობესებაზე კი არ უნდა ვფიქრობდეთ, არამედ იმაზე, რომ გაბატონებული კლასი გავხდეთ. შეუძლებელია იმის იმედი ვიქონიოთ, რომ სოფლის პროლეტარიატს ნათლად და მტკიცედ აქვს შეგნებული თავისი ინტერესები. ეს მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია ჰქნას, და ყოველმა პროლეტარმა, დიადი პერსპექტივის შეგნებით, ხელმძღვანელად უნდა იგრძნოს თავი და თან გაიყოლიოს მასები.

პროლეტარიატი უნდა გახდეს გაბატონებული კლასი ყველა მშრომელის ხელმძღვანელობის აზრით და გაბატონებული კლასი პოლიტიკურად.

უნდა ვებრძოლოთ ცრურწმენას, თითქოს სახელმწიფოს მართვა მხოლოდ ბურჟუაზიას შეეძლოს. სახელმწიფოს მართვა-გამგეობა პროლეტარიატმა უნდა იკისროს.

კაპიტალისტები პირდაპირ ყველაფერს სჩადიან, რომ გააძნელონ მუშათა კლასის ამოცანები. ყოველ მუშათა ორგანიზაციას — პროფესიულ კავშირებს, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს და სხვ. — გადამწყვეტი ბრძოლა მოელის ეკონომიურ სფეროში. ბურჟუაზია ყველაფერს აფუჭებს, ყველაფერს საბოტაჟს უწევს, რომ ჩაშალოს მუშათა რევოლუცია. და წარმოების ორგანიზაციის ამოცანები მთლიანად მუშათა კლასს აწვება მხრებზე. ერთხელ და სამუდამოდ უკუვაგდოთ ის ცრურწმენა, თითქოს სახელმწიფო საქმეები, ბანკების, ქარხნების მართვა — მუშებისათვის შეუძლებელი ამოცანა იყოს. მაგრამ ყოველივე ეს შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ დიდი ყოველდღიური ორგანიზაციული მუშაობით.

აუცილებლად უნდა მოვაწყოთ პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა, სისტემად გადავაქციოთ აღრიცხვა, კონტროლი —

ეს მუშათა კლასის ამოცანებია, ხოლო ცოდნა მათ განსახორციელებლად მას ფაბრიკა-ქარხნების ცხოვრებამ მისცა.

დაე თვითეულმა ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტმა იგრძნოს, რომ იგი გართულია არა მარტო თავისი ქარხნის საქმეებით, არამედ წარმოადგენს ორგანიზაციულ უჯრედსაც მთელი სახელმწიფო ცხოვრების მოსაგვარებლად.

ადვილია დეკრეტის გამოცემა კერძო საკუთრების გაუქმების შესახებ, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ მუშებს და კიდევაც უნდა გაახორციელონ. დაე იყოს შეცდომები — ეს ახალი კლასის შეცდომებია ახალი ცხოვრების შექმნის დროს.

ეკონომიური ცხოვრების ორგანიზაციის კონკრეტული გეგმა არ არის და არც შეიძლება იყოს.

მისი მოცემა არავის შეუძლია. ამის გაკეთება კი შეუძლია მასას ქვევიდან, გამოცდილებით. რა თქმა უნდა, მოცემული იქნება მითითებანი და დასახული იქნება გზები, მაგრამ დაწყება საჭიროა ერთდაიმავე დროს ზემოდანაც და ქვემოდანაც.

საბჭოები უნდა გადაიქცნენ იმ ორგანოებად, რომლებიც მოაწესრიგებენ რუსეთის მთელ წარმოებას, მაგრამ ისინი რომ უჯარო შტაბებად არ გადაიქცნენ, საჭიროა მუშაობა ქვედაფენებში... *

მუშათა მასამ ხელი უნდა მოჰკიდოს კონტროლისა და წარმოების ორგანიზაციას ფართო სახელმწიფო მასშტაბით. წარმატების საწინდარია არა პიროვნებათა ორგანიზაცია, არამედ მთელი მშრომელი მასის ორგანიზაცია, და თუ ამას მივაღწევთ, მოვაგვარებთ სამეურნეო ცხოვრებას, თავისთავად აღიგვება ყოველივე, რაც კი წინააღმდეგობას გვიწევს.

«პრავდა» № 208,
1917 წ. 20 (7) დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

---

* გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა ჩანაწერის გაურკვევლობის გამო. რ ე დ.

დამფუძნებელი კრების გახსნის შესახებ

დამფუძნებელი კრების არჩევნების გაჭიანურების გამო, რაშიც, უმთავრესად, ბრალი მიუძღვის სრულიად რუსეთის ყოფილ საარჩევნო კომისიას, აგრეთვე იმის გამო, რომ კონტრრევოლუციურმა ჯგუფებმა დამფუძნებელი კრების საქმეზე შექმნეს განსაკუთრებული კომისია საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი კომისარიატის დასაპირისპირებლად, გავრცელდა ხმები, თითქოს დამფუძნებელ კრებას სულაც არ მოიწვევენ თავისი ახლანდელი შემადგენლობით. სახალხო კომისართა საბჭო საჭიროდ თვლის განაცხადოს, რომ ეს ხმები, რომელსაც შეგნებულად და ბოროტი განზრახვით ავრცელებენ გლეხთა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მტრები, სრული სიცრუეა. თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტისა, რომელიც დაამტკიცა საბჭოების ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, დამფუძნებელი კრება მოწვეული იქნება, როგორც კი დამფუძნებელი კრების წევრთა ნახევარი, სახელდობრ 400 დეპუტატი, აღირიცხება დადგენილი წესით თავრიდის სასახლის კანცელარიაში.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ ლ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

«პრავდა» № 207,
1917 წ. 19 (6) დეკემბერი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

პროექტი გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის მოწოდებისა გლეხობისადმი

გლეხთა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა მხურვალე მოწოდებით მიმართავს რუსეთის ყველა ერისა და ხალხის გლეხობას მოიკრიბოს ჭკუისა და ნების მთელი ძალა, მთელი ძლიერება თავისი რიცხვისა და ენერგიისა, რათა გამოაღვიძოს მძინარენი, გაამხნევოს გაუბედავნი და ყველას გასაგონად, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან, ყოველი სოფლიდან, დიდი ქალაქების ყოველი უბნიდან თქვას თავისი საფუძვლიანი, თავისი გადამწყვეტი სიტყვა რუსეთის დიდი რევოლუციის დღევანდელ, — შეიძლება, ყველაზე უფრო სერიოზულ და ყველაზე უფრო პასუხსაგებ — მომენტში.

ამხანაგო გლეხებო! ჩვენ შევადგენთ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას. ჩვენ ვართ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მთავარი მასა. ჩვენ ვართ მთავარი მასა მშრომელთა კანონიერი და სამართლიანი მოთხოვნების, პირველ ყოვლისა კი მიწის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მებრძოლებისა, როგორც მემამულეთა, ისე კაპიტალისტთა მხრივ ყოველგვარი ჩაგვრის და ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ მებრძოლებისა.

ამხანაგო გლეხებო! ჩვენ ვართ მთავარი მასა ჩვენი არმიისა, რომელსაც წილად ხვდა პირველ ყოვლისა მეფეების და კაპიტალისტების მიერ წამოწყებული სამი წლის ომის არაადამიანური ტანჯვა,—იმ არმიისა, რომელსაც წილად ხვდა აგრეთვე

მძიმე, მაგრამ მადლიანი და საპატიო როლი, როლი მოწინავე მებრძოლისა — მუშებთან ერთად — თავისუფლებისათვის, მიწისათვის, ზავისათვის, მშრომელთა სრული განთავისუფლებისათვის ყოველგვარი ჩაგვრისაგან, ყოველგვარი ექსპლოატაციისაგან.

ამხანაგო გლეხებო! მოიფიქრეთ ჩვენი მომართვა, ჩვენი მოწოდება, რომლითაც მიმართავენ გლეხთა დეპუტატები რუსეთის ყველა ერის გლეხებს, წაიკითხეთ ჩვენი მოწოდება ყოველ სოფელში, ყოველ ქოხში, განიხილეთ იგი გამოუკლებლივ ყველა კრებაზე, სოფლის ყრილობაზე, გლეხთა დაწესებულებებში, თვითონ მიიღეთ ადგილებზე მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილებანი. ვინაიდან თქვენს გადაწყვეტილებებზე, ხალხის უმრავლესობის გადაწყვეტილებებზე, თვით გლეხთა გადაწყვეტილებებზეა ყველაზე უფრო დამოკიდებული ჩვენი სამშობლოს ბედი.

ახლოვდება მრისხანე ჟამი. ახლოვდება უკანასკნელი ბრძოლა. მთელი ჩვენი ქვეყანა, ჩვენი რესპუბლიკის ყველა ერი ორ დიდ ბანაკად გაიყო.

ერთია ბანაკი მემამულეებისა და კაპიტალისტების, მდიდრებისა და მათი დამქაშების, წარჩინებული მოხელეებისა და მათი მეგობრების, რომლებიც მბრძანებლობენ ხალხზე და მომხრე არიან ომისა.

მეორეა ბანაკი მუშებისა და მშრომელი და ექსპლოატირებული გლეხების, ღარიბი ხალხისა და მისი მეგობრების, რიგითი ჯარისკაცებისა და ზავის მომხრეების, ზავისთვის თავდადებული გადამწყვეტი, გაბედული, ხალხის მჩაგვრელებისადმი შეუბრალებელი, რევოლუციური ბრძოლის მომხრეებისა.

ამ ორ ბანაკს შორის ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში ბრძოლა გამწვავდა უკვე პირდაპირ, აშკარა სამოქალაქო ომამდე, საბჭოთა არმიების ომამდე იმ ადამიანთა სრულიად უმნიშვნელო რაოდენობის წინააღმდეგ, რომელთაც იმედი აქვთ სიმდიდრის ძალისა და სურთ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელისუფლება და მთავრობა.

ამხანაგო გლეხებო! თქვენს საფუძვლიან, მტკიცე, ურყევ სიტყვაზე ბევრი რამაა დამოკიდებული ახლა, დამოკიდებულია ამ სამოქალაქო ომის შეწყვეტაც, დამოკიდებულია რუსეთის მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობა მშრომელთათვის მთელი მიწის უსასყიდლოდ გადაცემაზე, სოციალიზმის გამარჯვებაზე. აღსდექით, ამხანაგო გლეხებო, როგორც ერთი კაცი, აღიმაღლეთ ხმა, განაცხადეთ თქვენი მოთხოვნა, შეადგინეთ **თქვენი განაწესები** ყოველი სოფლიდან, თქვენ შეგიძლიათ აიძულოთ მოგისმინონ, თქვენ აიძულებთ ყველას მოგისმინონ!

ამხანაგო გლეხებო! თქვენ პირველ ყოვლისა უნდა თქვათ თქვენი გადაჭრით გამკიცხველი სიტყვა გლეხთა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის იმ დეპუტატების მიმართ, რომლებიც გ ა მ ო ე თ ი შ ნ ე ნ ამ ყრილობას. დაჰგმეთ გამთიშველები. დაჰგმეთ გლეხების ერთიანობის, მშრომელი ხალხის ერთიანობის, გლეხთა და მუშათა ერთიანობის დამრღვევნი. წარმოუდგენელი დანაშაული ჩაიდინეს ამ გამთიშველებმა, გლეხობის ამ გამცალკევებლებმა, მდიდართა ბანაკში, მემამულეთა და კაპიტალისტთა ბანაკში გადამრბენებმა. ეს ადამიანები თავიანთ თავს უწოდებენ მემარჯვენე ფრთისა და ცენტრის «სოციალისტ-რევოლუციონერებს», ავქსენტიევისა და ჩერნოვის მომხრეებს. მათ უღალატეს სოციალისტ-რევოლუციონერთა ყველა მოძღვრებასა და პროგრამას, ისინი გადავიდნენ სოციალიზმის მტრების, რევოლუციის ჩამხშობთა მხარეზე. მათ გაწყვიტეს კავშირი სოციალისტ-რევოლუციონერების მოძღვრების, პროგრამისა და მოთხოვნების ერთგულ დამცველებთან, «მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერ ინტერნაციონალისტთა» პარტიასთან, რომელიც ერთგული დარჩა მშრომელი გლეხობის ინტერესებისა. ისინი, ავქსენტიევისა და ჩერნოვის ეს მომხრეები, წავიდნენ გლეხთა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობიდან, უარი თქვეს დამორჩილებოდნენ გლეხთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას, რათა განახორციელონ მდიდრებისა და კაპიტალისტების ნება გლეხების წინააღმდეგ, რათა შეაფერხონ ზავის საქმე, ხელი

შეუშალონ მთელი მიწის მშრომელი ხალხის ხელში დაუყოვნებლივ უსასყიდლოდ გადასვლას, რათა უშველონ ავქსენტიევის, ჩერნოვის, მასლოვისა და მათ მსგავსთა გლეხებისთვის დამღუპველ პოლიტიკას.

დაჰგმეთ გლეხთა საქმის ეს მოღალატენი. ასეთი დაგმობით თქვენ იხსნით მრავალ მერყევს და სუსტს, თქვენ იხსნით რუსეთს სამოქალაქო ომის გამოწვევის უგუნური ცდისაგან. ეს ცდა უგუნურია, რადგან ტყუილუბრალოდ სისხლისღვრის გარდა არაფერი გამოვა, ქვეყნად ვერაფერი ვერ გასტეხს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ერთსულოვან გადაწყვეტილებას, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობისა და აგრეთვე გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის გადაწყვეტილებებს.

დაჰგმეთ გლეხთა საქმის ეს მოღალატენი. დაე ყოველმა სოფელმა გამოუცხადოს ნდობა ამ ორი ყრილობის, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობის და გლეხთა ყრილობის გადაწყვეტილებებს. დაე ყოველმა სოფელმა **გაიწვიოს** დამფუძნებელი კრებიდან ის დეპუტატები სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა, თუ გლეხთა საბჭოებისა და დაწესებულებებისა, რომელთაც ხმამაღლა არ განუცხადებიათ და საქმით არ დაუმტკიცებიათ ამ გადაწყვეტილებათა სრული აღიარება.

ამხანაგო გლეხებო! თქვენ ყველამ იცით, რომ დამფუძნებელ კრებაში მხოლოდ **მოტყუებით** შეეძლოთ გასულიყვნენ და გავიდნენ კიდევაც გლეხებისგან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობისა და აგრეთვე გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის გადაწყვეტილებათა მოწინააღმდეგენი. ამ ადამიანებმა, რომლებიც ხშირად თავიანთ თავს «სოციალისტ-რევოლუციონერებს» უწოდებენ, სინამდვილეში მოატყუეს გლეხები, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ სიმართლე ავქსენტიევის, ჩერნოვის, მასლოვის პოლიტიკის შესახებ, მემამულეებისათვის დათმობების, კაპიტალისტებთან შემთან-

ხმებლობის პოლიტიკის, ადგილობრივ გლეხთა საადგილმამულო კომიტეტების წევრთა დაპატიმრების პოლიტიკის შესახებ. ამ ავქსენტიევებმა, მასლოვებმა, ჩერნოვებმა მოატყუეს გლეხები, რადგან სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის საერთო სიები დამთავრებული იყო 17 ოქტომბრისათვის, სიმართლე კი მთელი რუსეთის წინაშე გამოაშკარავდა 17 ოქტომბრის **შემდეგ.**

სიმართლე მთელი რუსეთის წინაშე გამოააშკარავა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ 1917 წ. 25 — 26 ოქტომბერს. შემდეგ ეს სიმართლე გამოაშკარავა საბჭოთა ხელისუფლებამ, საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც პირველად გამოაქვეყნა სამარცხვინო საიდუმლო ხელშეკრულებები, პირველად დაიწყო ნამდვილი რევოლუციური ბრძოლა ზავისათვის, პირველად გვიჩვენა **საქმით,** თუ როგორი უნდა იყოს ეს ბრძოლა, და მიაღწია უკვე პირველ წარმატებას: დროებით ზავს ერთ ფრონტზე.

ეს სიმართლე გამოააშკარავა საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც გამოსცა მიწის დეკრეტი და რომელიც ამრიგად გადაჭრით დადგა გლეხების მხარეზე, რომელმაც მოსპო ყოველგვარი შესაძლებლობა გარედან ხელის შეშლისა ადგილებზე გლეხთა სრული ძალაუფლებისათვის.

ეს სიმართლე გამოააშკარავა გლეხთა სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ, რომელმაც პირველად გამოამჟღავნა გლეხობის წინაშე ავქსენტიევ-ჩერნოვის აღმასრულებელი კომიტეტის სამარცხვინო როლი განსაკუთრებულ, დაწვრილებითს რეზოლუციაში. ყრილობა მთავრდება 1917 წლის 8 დეკემბერს, ხოლო დაიწყო 30 ნოემბერს.

თქვენ ხედავთ, ამხანაგო გლეხებო, რომ სიების შედგენის დროს 17 ოქტომბერს და დამფუძნებელი კრების არჩევნებში 12 ნოემბერს, გლეხობას ჯერ კიდევ **არ შეეძლო** ცოდნოდა სიმართლე მიწისა და ზავის შესახებ, **არ შეეძლო** გაერჩია თავისი მეგობრები მტრებისაგან, ცხვრის ქურქში გახვეული მგლებისაგან. თქვენ ხედავთ, რომ იმ ესერებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების

სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის და აგრეთვე გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის გადაწყვეტილებებს, გლეხების სახელით **მხოლოდ მოტყუებით** შეუძლიათ გამოვიდნენ.

მაშ ნუ დაუშვებთ, ამხანაგო გლეხებო, რომ **ამ მოტყუების გულისთვის** დაიღვაროს სისხლი! აღიმაღლეთ თქვენი მტკიცე საპროტესტო სიტყვა იმათ წინააღმდეგ, ვინც დასტოვა გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა. მიიღეთ **განაწესები** ყოველ გუბერნიაში, ყოველ მაზრაში, ყოველ ვოლოსტში, ყოველ სოფელში, გამოთქვით თქვენი პროტესტი ყრილობიდან წასულთა წინააღმდეგ, **დაასახელეთ** გლეხობისაგან დამფუძნებელი კრების წევრებად არჩეული ადგილობრივი დეპუტატები, რომლებმაც **არ** მიიღეს ამ ყრილობების გადაწყვეტილებები, **მოითხოვეთ** ასეთი დეპუტატების **წასვლა** დამფუძნებელი კრებიდან, რადგან მხოლოდ ხალხის მოტყუებით შეუძლიათ მათ ხალხის არჩეულებად გაასაღონ თავი.

ამხანაგო გლეხებო! დამფუძნებელი კრება ხალხის ნებას უნდა გამოხატავდეს. ვინც დასტოვა გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა, ვინც ჩაშალა მისი ნება, ვინც გათიშა გლეხები, ვინც გლეხებიდან მდიდრებთან გაიქცა, ის ხალხის არჩეული არ არის, ის მოღალატეა, მას ადგილი არა აქვს დამფუძნებელ კრებაში. მას მოაქვს არა ზავი, არა მიწა მშრომელთათვის, მას მოაქვს ხალხისთვის მდიდრების უაზრო და დანაშაულებრივი აღშფოთება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ხალხი ვერ მოითმენს მოტყუებას. ხალხი ვერ მოითმენს მისი ნების ჩაშლას. ხალხი არ დათმობს საბჭოთა ხელისუფლებას მდიდრების საამებლად. ხალხი მდიდართა საჯიჯგნად არ გახდის თავის ხელში აღებულ **ზავის** საქმეს, **მიწის** დაუყოვნებლივ, გამოუკლებლივ და უსასყიდლოდ მშრომელთა ხელში გადაცემის საქმეს.

მთელ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ ორი გამოსავალი აქვს:

ან კალედინელების, კადეტების, კორნილოველების (და მათი ფარული მოკავშირეების, ავქსენტიეველების, ჩერნოველე-

ბის, მასლოველების) სამოქალაქო ომი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სისხლისმღვრელი, უიმედო ომი ძის დამწყებთათვის, ომი, რომელიც საბჭოებს ხელისუფლებას ვერ წაართმევს, არამედ წარმოშობს მხოლოდ მეტ გაბოროტებას, მეტ მსხვერპლს, მეტ სისხლისღვრას, დიად, სოციალისტურ გარდაქმნათა მეტ გაჭიანურებას, მეტ შიმშილს უპურო გუბერნიებში.

ან პატიოსნად აღიარება ყველას მიერ ყველასათვის თვალხილული სიმართლისა, სახელდობრ: რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის და აგრეთვე გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის გადაწყვეტილებათა მოწინააღმდეგეებს მხოლოდ მოტყუებით შეეძლოთ გლეხებისგან გასულიყვნენ დამფუძნებელ კრებაში და რომ ამიტომ აუცილებელია ასეთი დეპუტატების **გადარჩევა**.

მესამე გზა არ არის. ან მდიდრების, ავქსენტიეველების, ჩერნოველების, მასლოველების სისხლისმღვრელი გაჟღეტა. ან მათი თანხმობა დამფუძნებელი კრების გლეხობის დეპუტატების ხელახალ არჩევნებზე, როგორც კი გამოვლენ გლეხებისგან დამფუძნებელ კრებაში ორი საბჭოთა ყრილობის, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობისა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის გადაწყვეტილებათა მოწინააღმდეგენი.

სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ამხანაგო გლეხებო!

გადამწყვეტი სიტყვა თქვენია!

ყველა გლეხის მტკიცე სიტყვით, **ყველა** გლეხისგან **ადგილებზე მიღებული** განაწესებით თქვენ **შეგიძლიათ** დაამყაროთ მშვიდობა მთელ ჩვენს ქვეყანაში, რუსეთის ყველა ერში თქვენ შეგიძლიათ შეწყვიტოთ სამოქალაქო ომი, თქვენ შეგიძლიათ უზრუნველყოთ არა მატყუარა, არამედ მართებული ჭეშმარიტი დამფუძნებელი კრების მოწვევა, თქვენ შეგიძლიათ დაიჩქაროთ და გააადვილოთ ომის შეწყვეტა სამართ

ლიანი ზავით, დააჩქაროთ მშრომელთათვის მთელი მიწის გადაცემა, განამტკიცოთ გლეხების კავშირი მუშებთან, დააჩქაროთ სოციალიზმის გამარჯვება.

გადამწყვეტი სიტყვა თქვენ გეკუთვნით, ამხანაგო გლეხებო! გაუმარჯოს მშრომელთათვის მიწის გადაცემას! გაუმარჯოს ზავს! გაუმარჯოს სოციალიზმს!

გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა

დაწერილია 1917 წ.
6 — 7 (19 — 20) დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1925 წელს
ლენინის კრებულში IV

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ბარათი ფ. ე. ძერჟინსკის

ამხანაგ ძერჟინსკის.

დღევანდელი თქვენი მოხსენებისთვის მესაბოტაჟეებთან და კონტრრევოლუციონერებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

იქნებ დავძრათ **ამგვარი** დეკრეტი:

კონტრრევოლუციონერებთან და მესაბოტაჟეებთან ბრძოლის შესახებ.

ბურჟუაზია, მემამულეები და ყველა მდიდარი კლასი მთელ ძალ-ღონეს იკრებენ ძირი გამოუთხარონ რევოლუციას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მუშების, მშრომელებისა და ექსპლოატირებული მასების ინტერესები.

ბურჟუაზია უბოროტეს დანაშაულს სჩადის, როცა მოსყიდვით იბირებს საზოგადოების ნაძირალებსა და გახრწნილ ელემენტებს, აკავშირებს მათ დარბევათა მიზნით. ბურჟუაზიის მომხრეები, განსაკუთრებით მაღალი მოსამსახურეებიდან, ბანკების მოხელეებიდან და სხვ., მუშაობის საბოტაჟს ეწევიან, აწყობენ გაფიცვებს, რათა ძირი გამოუთხარონ მთავრობის იმ ღონისძიებებს, რომლებიც სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებისკენაა მიმართული. საქმე სასურსათო მუშაობის საბოტაჟამდეც კი მიდის, რაც შიმშილით ემუქრება ჭრაველ მილიონ ადამიანს.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება კონტრრევოლუციონერებთან და მესაბოტაჟეებთან საბრძოლველად. გამოდის რა ამ აუცილებლობიდან, სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის პირნი, რომლებიც მდიდარ კლასებს ეკუთვნიან (ე. ი. რომლებსაც თვიურად 500 მან. და მეტი შემოსავალი აქვთ, ფლობენ ქალაქის უძრავ ქონებას, აქციებსა და ფულად თანხებს 1 000 მან. ზევით), აგრეთვე ბანკების, სააქციო საწარმოების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების მოსამსახურენი, ვალდებული არიან სამი დღის ვადაში* წარუდგინონ სახლის კომიტეტებს სამ ცალად საკუთარი ხელმოწერით განცხადებანი მისამართის, შემოსავლის, სამსახურისა და მოსაქმეობის აღნიშვნით.

2. სახლის კომიტეტები ამ განცხადებებს ადასტურებენ თავიანთი ხელმოწერით, ერთ ცალს თვითონ ინახავენ, ხოლო დანარჩენ ორ ცალს ადგენენ ქალაქის თვითმმართველობასა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში (მისამართი:).

3. ამ კანონის შეუსრულებლობაში (განცხადებათა წარუდგენლობაში ან ყალბი ცნობების წარმოდგენაში და სხვ.) დამნაშავე პირნი, აგრეთვე სახლის კომიტეტთა წევრები, რომლებიც დაარღვევენ ამ განცხადებათა შენახვის, მათი შეკრებისა და ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში წარდგენის წესებს, დაისჯებიან ფულადი ჯარიმით 5 000 მანეთამდე თვითეული დარღვევისათვის, დაპატიმრებით ერთ წლამდე ან ფრონტზე გაგზავნით, დანაშაულისდამიხედვით.

4. ამგვარადვე დაისჯებიან ის პირნი, რომლებსაც დაბრალდებათ მუშაობის საბოტაჟი ან მუშაობის თავის არიდება ბანკებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, სააქციო საწარმოებში, რკინიგზებზე და სხვ.

5. როგორც პირველი ნაბიჯი საყოველთაო შრომის ბეგრის შემოღებისა, დგინდება, რომ § 1-ში მოხსენებული პირნი ვალდებული არიან, პირველი, მუდამ თან იქონიონ ზემოხსენებულ განცხადებათა ასლები, სახლის კომიტეტების, აგრეთვე უფროსების ან არჩეული დაწესებულებების (ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, სასურსათო კომიტეტების, რკინიგზის კომიტეტების, მოსამსახურეთა კავშირების და სხვ.)

* ხელნაწერში სიტყვებს ზევით «სამი დღის ვადაში» ლენინის მიერ წარწერილია: «24 საათის განმავლობაში». რ ე დ.

მოწმობებით; მოწმობაში აღნიშნული უნდა იყოს, რა საზოგადოებრივ სამსახურს ან სამუშაოს ასრულებს ესა თუ ის პირი, ცხოვრობს თუ არა ოჯახში, როგორც შრომისუნარმოკლებული წევრი და სხვ.

6. მეორე, აღნიშნული პირები ვალდებული არიან ერთი კვირის ვადაში დღიდან ამ კანონის გამოცემისა შეიძინონ სამომხმარებლო-სამუშაო წიგნაკები (მათი ნიმუში თან ერთვის) შემოსავალ-გასავლის ყოველკვირეული ჩანაწერების საწარმოებლად და წიგნაკებში კომიტეტებისა და დაწესებულებებისაგან გაცემული მოწმობების შესატანად იმ სახის საზოგადოებრივი სამსახურის შესახებ, რომელსაც ესა თუ ის პირი ეწევა.

7. ის პირნი, რომლებსაც § 1-ის პირობები არ მიუდგებათ, სახლის კომიტეტებს უდგენენ ერთ ცალად განცხადებას თავისი შემოსავლისა და მუშაობის ადგილის შესახებ, ამასთანავე ვალდებული არიან თან იქონიონ სახლის კომიტეტის მიერ დამოწმებული ამ განცხადების ასლი.

დაწერილია 1917 წ. 7 (20) დეკემბერს

ჟურნალში «კრასნი არხივ» № 5 პირველად დაიბეჭდა 1924 წელს

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე 1917 წ. 11 (24) დეკემბერს

საოქმო ჩანაწერი

ლენინი წინადადებას იძლევა: 1) გადაყენებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ფრაქციის ბიურო[81]; 2) განემარტოს ფრაქციას ჩვენი დამოკიდებულება დამფუძნებელი კრებისადმი თეზისების სახით; 3) შედგენილ იქნეს მიმართვა ფრაქციისადმი, სადაც აღინიშნოს, რომ პარტიის წესდების მიხედვით ყველა საწარმომადგენლო დაწესებულება ემორჩილება ც. კ-ს; 4) დაინიშნოს ც. კ-ის წევრი ფრაქციისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად; 5) შემუშავდეს ფრაქციის წესდება.

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს წიგნში: «რსდმპ ც. კ-ის ოქმები. 1917 წ. აგვისტო — 1918 წ. თებერვალი»

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის ხელნაწერი ეგზემპლარის მიხედვით

პროექტი რეზოლუციისა დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკების ფრაქციის დროებითი ბიუროს შესახებ [85]

იღებს რა მხედველობაში, რომ დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დროებითმა ბიურომ გამოიჩინა უმოქმედობა თავისი მთავარი ამოცანის, დამფუძნებელი კრებისადმი ჩვენი პარტიის დამოკიდებულების შესახებ პრინციპული რეზოლუციის შემუშავების მიმართ;

რომ მთელმა რიგმა ცალკე განცხადებებმა, წინადადებებმა და კენჭისყრამ ცხადყო დროებითი ბიუროს წევრთა უმრავლესობის (თუ ყველას?) მხრივ სავსებით არა სოციალ-დემოკრატიული, დამფუძნებელი კრების მიმართ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შეხედულების გამომხატველი თვალსაზრისი კლასობრივი ბრძოლისა და სამოქალაქო ომის რეალური პირობების გაუთვალისწინებლად,

— ფრაქცია ადგენს გადააყენოს დროებითი ბიურო და აირჩიოს ახალი.

დაწერილია არა უგვიანეს 1917 წ.
11 (24) დეკემბრისა

იბეჭდება პირველად

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

თეზისები დამფუძნებელი კრების შესახებ

1. დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნა სრულიად კანონიერად შედიოდა რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამაში, რადგან ბურჟუაზიულ რესპუბლიკაში დამფუძნებელი კრება დემოკრატიზმის უმაღლეს ფორმას წარმოადგენს და რადგანაც იმპერიალისტური რესპუბლიკა კერენსკის მეთაურობით პარლამენტის შექმნით ამზადებდა არჩევნების გაყალბებას დემოკრატიზმის მთელი რიგი დარღვევით.

2. როდესაც დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნას აყენებდა, რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას 1917 წლის რევოლუციის დასაწყისიდანვე არა ერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ საბჭოების რესპუბლიკა დემოკრატიზმის უფრო მაღალი ფორმაა, ვიდრე ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რესპუბლიკა დამფუძნებელი კრებით.

3. ბურჟუაზიული წყობილებიდან სოციალისტურზე გადასასვლელად, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა არის არა მარტო უფრო მაღალი ტიპის დემოკრატიულ დაწესებულებათა ფორმა (შედარებით ჩვეულებრივ ბურჟუაზიულ რესპუბლიკასთან დამფუძნებელი კრებით, როგორც მისი გვირგვინით), არამედ ერთადერთი ფორმაც, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ყველაზე უფრო უმტკივნეულო გადასვლა სოციალიზმზე.

4. ჩვენს რევოლუციაში დამფუძნებელი კრების მოწვევა 1917 წლის შუა ოქტომბერს წარდგენილი სიების მიხედვით

ისეთ პირობებში ხდება, რომლებიც შეუძლებელს ხდის საერთოდ ხალხის და განსაკუთრებით მშრომელი მასების ნების სწორ გამოხატვას ამ დამფუძნებელი კრების არჩევნებით.

5. ჯერ-ერთი, არჩევნების პროპორციული სისტემა ხალხის ნებას ჭეშმარიტად გამოხატავს მხოლოდ მაშინ, როცა პარტიული სიები შეესაბამება ხალხის რეალურ დაყოფას მართლაც იმ პარტიულ დაჯგუფებებად, რომლებიც ამ სიებში გამოიხატა. ჩვენში კი, როგორც ვიცით, პარტიამ, რომელსაც მაისიდან ოქტომბრამდე ყველაზე მეტი მომხრე ჰყავდა ხალხში და განსაკუთრებით გლეხობაში, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ დამფუძნებელი კრების ერთიანი სიები 1917 წლის შუა ოქტომბერს წარადგინა, მაგრამ იგი გაითიშა დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ, მის მოწვევამდე.

ამის გამო ამომრჩეველთა მასის ნებასა და დამფუძნებელ კრებაში არჩეულთა შემადგენლობას შორის ფორმალური შესაბამისობაც კი არ არის და არც შეიძლება იყოს.

6. მეორე, ერთი მხრივ, ხალხის და განსაკუთრებით მშრომელი კლასების ნებასა და, მეორე მხრივ, დამფუძნებელი კრების შემადგენლობას შორის არსებული შეუსაბამობის კიდევ უფრო მნიშვნელოვან, არა ფორმალურ, არა იურიდიულ, არამედ საზოგადოებრივ-ეკონომიურ, კლასობრივ წყაროს ის გარემოება წარმოადგენს, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მაშინ მოხდა, როდესაც ხალხის უდიდეს უმრავლესობას ჯერ კიდევ არ შეეძლო ცოდნოდა მთელი მოცულობა და მნიშვნელობა ოქტომბრის, საბჭოთა, პროლეტარულ-გლეხური რევოლუციისა, რომელიც დაიწყო 1917 წლის 25 ოქტომბერს, ე. ი. დამფუძნებელი კრების კანდიდატთა სიების წარდგენის შემდეგ.

7. ოქტომბრის რევოლუცია, რომელმაც ძალაუფლება მოუპოვა საბჭოებს, პოლიტიკური ბატონობა გამოჰგლიჯა რა ბურჟუაზიას ხელიდან და გადასცა რა იგი პროლეტარიატს და უღარიბეს გლეხობას, ჩვენ თვალწინ განიცდის თავისი განვითარების თანამიმდევრულ ეტაპებს.

8. ეს რევოლუცია დაიწყო 24 — 25 ოქტომბრის გამარჯვებით დედაქალაქში, როდესაც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ, პროლეტარებისა და გლეხობის პოლიტიკურად ყველაზე უფრო ქმედითი ნაწილის ამ ავანგარდმა, უპირატესობა ბოლშევიკების პარტიას მიანიჭა და ხელისუფლების სათავეში დააყენა იგი.

9. შემდეგ ნოემბრისა და დეკემბრის განმავლობაში რევოლუცია მოედო არმიისა და გლეხობის მთელ მასას; პირველ ყოვლისა ეს გამოიხატა ძველი ზედაფენური ორგანიზაციების (საარმიო კომიტეტები, საგუბერნიო გლეხთა კომიტეტები, გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს ცაკ-ი და სხვ.) გადაყენებასა და გადარჩევაში, იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც გამოხატავდნენ რევოლუციის განვლილ, შემთანხმებლურ, ხანას, მის ბურჟუაზიულ და არა პროლეტარულ ეტაპს, და რომლებიც ამიტომ აუცილებლად უნდა გასცლოდნენ ასპარეზს ხალხის უფრო ღრმა და უფრო ფართო მასების მოწოლით.

10. ექსპლოატირებული მასების ეს მძლავრი მოძრაობა თავიანთ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ორგანოების გარდასაქმნელად ახლაც, 1917 წლის დეკემბრის ნახევარშიც, არ დასრულებულა, და რკინიგზელთა ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ყრილობა ერთ-ერთ მის ეტაპს წარმოადგენს.

11. მაშასადამე, რუსეთის კლასობრივ ძალთა დაჯგუფება მათს კლასობრივ ბრძოლაში ნამდვილად ყალიბდება 1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში, პრინციპულად განსხვავებული იმისაგან, რასაც შეეძლო თავისი გამოხატულება ეპოვა 1917 წლის შუა ოქტომბრის დამფუძნებელი კრების კანდიდატთა პარტიულ სიებში.

12. უკანასკნელი ამბები უკრაინაში (ნაწილობრივ აგრეთვე ფინეთსა და ბელორუსიაში, აგრეთვე კავკასიაშიც) ასევე ცხადყოფენ კლასობრივ ძალთა ახალ დაჯგუფებას, რომელიც წარმოებს ბრძოლის პროცესში, ერთი მხრივ, უკრაინის რადის, ფინეთის სეიმისა და სხვ. ბურჟუაზიულ ნაციონალიზმსა

და, მეორე მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებას, თვითეული ამ ნაციონალური რესპუბლიკის პროლეტარულ-გლეხურ რევოლუციას შორის.

13. ბოლოს, სამოქალაქო ომმა, რომელიც დაიწყო კადეტურ-კალედინური კონტრრევოლუციური აჯანყებით საბჭოთა ხელისუფალთა წინააღმდეგ, მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ, საბოლოოდ გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა და მოსპო ყოველგვარი შესაძლებლობა ფორმალურ-დემოკრატიული გზით გადაჭრილიყო რუსეთის ხალხების და პირველ ყოვლისა მუშათა კლასისა და გლეხობის წინაშე ისტორიის მიერ დაყენებული ყველაზე მწვავე საკითხები.

14. მხოლოდ მუშათა და გლეხთა სრულ გამარჯვებას ბურჟუაზიულ და მემამულურ აჯანყებაზე (რამაც თავისი გამოხატულება კადეტურ-კალედინურ მოძრაობაში ჰპოვა), მხოლოდ მონათმფლობელთა ამ აჯანყების შეუბრალებელ სამხედრო ჩაქრობას შეუძლია ნამდვილად უზრუნველყოს პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია. მოვლენათა მსვლელობას და რევოლუციაში კლასობრივი ბრძოლის განვითარებას ის მოჰყვა, რომ ლოზუნგი — «მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას», რომელიც ანგარიშს არ უწევს მუშურ-გლეხური რევოლუციის მონაპოვართ, ანგარიშს არ უწევს საბჭოთა ხელისუფლებას, ანგარიშს არ უწევს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის, გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის და სხვ. გადაწყვეტილებას, ასეთი ლოზუნგი ნამდვილად გადაიქცა კადეტებისა და კალედინელების და მათი დამქაშების ლოზუნგად. მთელი ხალხისთვის ცხადი ხდება, რომ ეს ლოზუნგი ფაქტიურად ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების მოსპობისათვის ბრძოლას და რომ დამფუძნებელ კრებას, თუ იგი საბჭოთა ხელისუფლებას დაშორდებოდა, გარდუვალად პოლიტიკური სიკვდილი მოელოდა.

15. სახალხო ცხოვრების განსაკუთრებით მწვავე საკითხთა რიცხვს ეკუთვნის ზავის საკითხი. ზავისათვის ნამდვილად რევოლუციური ბრძოლა რუსეთში მხოლოდ 25 ოქტომბრის

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაიწყო, და ამ გამარჯვებამ მოგვცა პირველი ნაყოფი საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნების, დროებითი ზავის დადებისა და საყოველთაო უანექსიო და უკონტრიბუციო ზავზე საჯარო მოლაპარაკების დაწყების სახით.

ხალხის ფართო მასებს მხოლოდ დღეს, ნამდვილად, სავსებით და აშკარად ეძლევათ შესაძლებლობა დაინახონ ზავისთვის რევოლუციური ბრძოლის პოლიტიკა და შეისწავლონ მისი შედეგები.

დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს ხალხის მასები მოკლებული იყვნენ ამ შესაძლებლობას.

ცხადია, ამ მხრივაც შეუსაბამობა დამფუძნებელ კრებაში არჩეულთა შემადგენლობასა და ხალხის ნამდვილ ნებას შორის ომის დასრულების საკითხში აუცილებელია.

16. ზემოხსენებულ გარემოებათა ერთობლიობა იმ შედეგს იძლევა, რომ დამფუძნებელი კრება, მოწვეული პროლეტარულ-გლეხურ რევოლუციამდე არსებულ პარტიათა სიებით, ბურჟუაზიის ბატონობის ვითარებაში, აუცილებლად ეჯახება ბურჟუაზიის წინააღმდეგ 25 ოქტომბერს სოციალისტური რევოლუციის დამწყები მშრომელი და ექსპლოატირებული კლასების ნებასა და ინტერესებს. ბუნებრივია, რომ ამ რევოლუციის ინტერესები დამფუძნებელი კრების ფორმალურ უფლებებზე უფრო მაღლა დგას, იმ შემთხვევაშიც კი, ეს ფორმალური უფლებები რომ სახელგატეხილი არ იყოს იმით, რომ კანონში დამფუძნებელი კრების შესახებ არ არის აღიარებული ხალხის უფლება ყოველ დროს თავისი დეპუტატების გადარჩევისა.

17. ყოველგვარი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, ცდა — დამფუძნებელი კრების საკითხი განხილულ იქნეს ფორმალური იურიდიული მხრივ, ჩვეულებრივი ბურჟუაზიული დემოკრატიის ფარგლებში, კლასობრივი ბრძოლისა და სამოქალაქო ომის გაუთვალისწინებლად, წარმოადგენს პროლეტარიატის საქმის ღალატს და ბურჟუაზიის თვალსაზრისზე გადასვლას. რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის უცილობელი მოვა-

ლეობაა გააფრთხილოს ყველა და თვითეული არ ჩაიდინონ ეს შეცდომა, რომელშიც ვარდებიან ზოგიერთები ბოლშევიზმის ზედაფენებიდან, რომლებიც ვერ აფასებენ ოქტომბრის აჯანყებას და პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანებს.

18. ერთადერთი შანსი იმ კრიზისის უმტკივნეულოდ გადაჭრისა, რომელიც შეიქმნა დამფუძნებელი კრების არჩევნებისა და ხალხის ნების, აგრეთვე მშრომელი და ექსპლოატირებული კლასების ინტერესების შეუსაბამობის გამო, არის რაც შეიძლება ფართოდ და ჩქარა განხორციელება ხალხის მიერ დამფუძნებელი კრების წევრთა გადარჩევის უფლებისა, თვით დამფუძნებელი კრების მიერ მოწონება ცაკ-ის კანონისა ამ გადარჩევის შესახებ და უყოყმანო განცხადება დამფუძნებელი კრებისა, რომ აღიარებს საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა რევოლუციას, მის პოლიტიკას ზავის, მიწისა და მუშათა კონტროლის საკითხში, გადაჭრით შეერთება დამფუძნებელი კრებისა კადეტურ-კალედინური კონტრრევოლუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკისადმი.

19. უამპირობოდ კრიზისი დამფუძნებელ კრებასთან დაკავშირებით შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ რევოლუციური გზით, ყველაზე უფრო ენერგიული, სასწრაფო, მტკიცე და გადამჭრელი რევოლუციური ზომების მიღებით საბჭოთა ხელისუფლების მხრივ კადეტურ-კალედინური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, რა ლოზუნგებითაც და დაწესებულებებითაც (თუნდაც დამფუძნებელი კრების წევრობით) უნდა იფარებოდეს ეს კონტრრევოლუცია. ყოველგვარი ცდა საბჭოთა ხელისუფლების ხელის შებოჭვისა ამ ბრძოლაში კონტრრევოლუციის ხელის შეწყობა იქნებოდა.

დაწერილია 1917 წ. 12 (25) დეკემბერს

დაიბეჭდა 1917 წ. 26 (13) დეკემბერს
გაზეთში «პრავდა» № 213

გადაბეჭდილია წიგნში: ნ. ლენინი
(ვლ. ულიანოვი). «პროლეტარული
რევოლუცია და რენეგატი კაუცკი»,
გამომც. «კომუნისტ», მ., 1918

იბეჭდება წიგნის
ტექსტის მიხედვით

სიტყვა რკინიგზელ მუშათა და ხელოსანთა სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობაზე 1917 წ. 13 (26) დეკემბერს [86]

— ნება მიბოძეთ მივესალმო ყრილობას სახალხო კომისართა საბჭოს სახელით და იმედი ვიქონიო, რომ რკინიგზელთა ორგანიზაცია წარიმართება რუსეთის მუშათა და გლეხთა დიდი უმრავლესობის შესაბამისად. ოქტომბრის რევოლუცია, რომელიც მოახდინეს მუშებმა, გლეხებმა და ჯარისკაცებმა, უეჭველად სოციალისტური რევოლუციაა. მის წინააღმდეგ ამხედრდნენ ბურჟუაზიისა და მოსამსახურეთა ზედაფენების მთელი ძალები, რომლებიც შეჩვეული არიან ძველ წესწყობილებას და ვერ წარმოუდგენიათ, რომ ეს რევოლუცია მთელ ძველ წყობილებას გარდაქმნის. შეხედეთ, რა ხმამაღლა ჰყვირიან ისინი, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ ცნობს რუსეთის უმრავლესობაო. თქვენ იცით, რა ფასი აქვს ამ ხმაურს. ჩვენ დეპეშა დეპეშაზე მოგვდის, რომ ჯარები მოდიან პეტროგრადზე ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა წინააღმდეგო. ჩვენ ამ დეპეშებს სანაგვე კალათში ვყრით, რადგან ვიცით, რომ გაბათილების ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირდება. გლეხთა პირველი ყრილობის ზედაფენური ორგანიზაციები ბატონ ავქსენტიევების სახით გლეხთა მასის სახელით ლაპარაკობდნენ, ისინი წინააღმდეგი არიან დამპყრობ-მოძალადეთა ხელისუფლებისაო. ჩვენ კი ვამბობდით: «დაე იგინონ, ჩვენ კი ვნახავთ, რას იტყვიან გლეხები, როდესაც დავიწყებთ მემამულეთა მიწების კონფისკაციას და გლეხებისთვის გადაცემას». და, როგორც ხედავთ, გლეხთა მეორე ყრილობამ გამარჯვება საბჭოთა ხელისუფლებას არგუნა. მეორე მოწვევის გლეხთა

დეპუტატების საბჭოსთან ჩვენ მჭიდრო კონტაქტი დავამყარეთ. მასთან ერთად ჩვენ მოვაწყვეთ მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების საბჭოთა ხელისუფლება. უთუოდ ამასვე ვნახავთ რკინიგზელთა მასაშიც. თქვენ იცით, რა მძიმეა ჩვენი ქვეყნისთვის რკინიგზის ნგრევა, რომელსაც აძლიერებს მოხელეობის ზედაფენების საბოტაჟი. თქვენ იცით, რომ რკინიგზის ნგრევა შეუძლებელს ხდის წესიერ გაცვლა-გამოცვლას ქალაქსა და სოფელს შორის, რაც ასე საჭიროა სასურსათო საქმის მოსაწესრიგებლად. სარკინიგზო მიმოსვლის მოსაწესრიგებლად კი საჭიროა თქვენი დახმარება, ამხანაგებო. მხოლოდ თქვენთან ერთად საერთო ძალ-ღონით შევძლებთ უწესრიგობის აღმოფხვრას და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ხელისუფლების განმტკიცებას. საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ ფართო მშრომელი მასების დახმარებას ეყრდნობა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რკინიგზელთა ეს ყრილობა განამტკიცებს სახალხო კომისართა ხელისუფლებას ისეთი ორგანიზაციის შექმნით, რომელიც დაგვეხმარება ზავისა და მიწისთვის ბრძოლაში. ამრიგად, ამხანაგებო, ვამთავრებ რა ჩემს სიტყვას, ერთხელ კიდევ მოგესალმებით და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას. (ლ ე ნ ი ნ ს, რ ო მ ე ლ ი ც ს ტ ო ვ ე ბ ს ს ხ დ ო მ ი ს დ ა რ ბ ა ზ ს, ე რ თ ს უ ლ ო ვ ა ნ ი ტ ა შ ი თ ა ც ი ლ ე ბ ე ნ. ყ რ ი ლ ო ბ ა ს ა ე რ თ ო ტ ა შ ი ს გ რ ი ა ლ ში ს ა პ ა ტ ი ო თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე დ ი რ ჩ ე ვ ს მ ა ს.)

ცაკ-ის «იზვესტია» № 251,
1917 წ. 14 დეკემბერი

იბეჭდება ცაკ-ის გაზეთის
«იზვესტიის» ტექსტის მიხედვით

სიტყვა განკეგის ნაციონალიზაციის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე 1917 წ. 14 (27) დეკემბერს

საოქმო ჩანაწერი

წინა ორატორი ცდილობდა შეეშინებინეთ, რომ ჩვენ ნამდვილი დაღუპვისაკენ მივექანებით და პირდაპირ უფსკრულში ვეშვებით. მაგრამ ეს დაშინება ჩვენთვის ახალი ამბავი არ არის. თვით ის გაზეთი, რომელიც ორატორის ფრაქციის აზრს გამოხატავს — «ნოვაია ჟიზნ», — ოქტომბრის დღეების წინ წერდა, თქვენი რევოლუციიდან არაფერი გამოვა, გარდა დარბევებისა და ანარქიული ამბოხებებისაო. ამიტომ იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენ ყალბი გზით მივდივართ, ანარეკლია ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისა, რომელიც დაუინტერესებელ ადამიანებსაც კი ვერ უკუუგდიათ... (წ ა მ ო ძ ა ხ ი ლ ი ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს მ ხ რ ი დ ა ნ: «დემაგოგიაა!») არა, ეს დემაგოგია არ არის, ხოლო თქვენი გამუდმებული სიტყვები ნაჯახის შესახებ — ეს კი ნამდვილი დემაგოგიაა.

ყველა ღონისძიება, რომელსაც დეკრეტი ითვალისწინებს [87], კონტროლის ნამდვილი უზრუნველყოფაა მხოლოდ.

თქვენ ლაპარაკობთ აპარატის სირთულეზე, მის სისათუთეზე და საკითხის აბნეულობაზე, — ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, და ეს ყველამ იცის. თუ ამ ჭეშმარიტებას იყენებენ მხოლოდ ყველა სოციალისტური წამოწყების დასაბრკოლებლად, მაშინ ჩვენ ვამბობთ, რომ ის, ვინც ამ გზაზე დგება, — დემაგოგია და მავნე დემაგოგიც.

ჩვენ გვინდა სეიფების რევიზია დავიწყოთ, ჩვენ კი სწავლული სპეციალისტების სახელით გვეუბნებიან, მათში დოკუმენტებისა და ფასიანი ქაღალდების გარდა არაფერი მოიძევებაო. მერე რა არის აქ ცუდი, თუ ხალხის წარმომადგენლები მათ კონტროლს გაუწევენ?

თუ ასეა, რატომღა იმალებიან თვით ეს მოკრიტიკე სწავლული სპეციალისტები? საბჭოს ყოველი გადაწყვეტილების დროს ისინი გვეუბნებიან, გეთანხმებით, მაგრამ მხოლოდ პრინციპულადო. ეს არის სისტემა ბურჟუაზიული ინტელიგენციის, ყველა შემთანხმებლისა, რომლებიც თავიანთი მუდმივი პრინციპული თანხმობით და პრაქტიკული დაუთანხმებლობით ყველაფერს ღუპავენ.

თუ თქვენ ყველა საქმეში გამობრძმედილი და გამოცდილი ხართ, რატომ არ გვეხმარებით, რატომაა, რომ ჩვენს ძნელ გზაზე თქვენი მხრივ საბოტაჟის გარდა ვერაფერს ვხვდებით?

თქვენ სწორი მეცნიერული თეორიიდან გამოდიხართ, მაგრამ ჩვენთვის თეორია დასაბუთებაა დაწყებული მოქმედებისა მასში დასარწმუნებლად და არა ფუჭი შიშის გამოსაწვევად. რა თქმა უნდა, დასაწყისი ძნელია, და ჩვენ ხშირად ვეხებით სათუთ საგნებს, მაგრამ ჩვენ მათ ვძლევდით, ვძლევთ და კიდევაც დავძლევთ.

წიგნი რომ დაბრკოლებისა და ახალი ნაბიჯის გადადგმის მუდმივი შიშის მეტს არაფერს იძლეოდეს — მას ფასი არ ექნებოდა.

სოციალისტ-უტოპისტების გარდა არავინ არ ამტკიცებდა, რომ გამარჯვება შეიძლება წინააღმდეგობის გაუწევლად, პროლეტარიატის უდიქტატუროდ და ძველ სამყაროზე რკინის ხელის დაუდებლად.

პრინციპულად თქვენ ამ დიქტატურასაც ცნობდით, მაგრამ როდესაც ამ სიტყვას თარგმნიან და მას «რკინის ხელს» უწოდებენ, ამას ნამდვილად იყენებენ, თქვენ გვაფრთხილებთ, ეს სათუთი და არეული საქმეაო.

თქვენ არასგზით არ გინდათ დაინახოთ, რომ ეს რკინის ხელი ერთ და იმავე დროს ანგრევს და აშენებს კიდევაც. თუ

ჩვენ პრინციპიდან საქმეზე გადავდივართ, ეს ჩვენი უეჭველი პლუსია.

კონტროლის განსახორციელებლად ჩვენ ბანკის ეს საქმოსნები მოვიწვიეთ და მათთან ერთად შევიმუშავეთ ღონისძიებები, რაზედაც ისინი დათანხმდნენ, რომ სრული კონტროლისა და ანგარიშგების პირობებში მიეღოთ სესხი. მაგრამ ბანკის მოსამსახურეთა შორის აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც გული შესტკივათ ხალხის ინტერესებისთვის, და მათ გვითხრეს: «ისინი გატყუებენ, საჩქაროდ აღკვეთეთ მათი დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ თქვენს საზიანოდაა მიმართული». და ჩვენც დავუჩქარეთ.

ჩვენ ვიცით, რომ ეს რთული ღონისძიებაა. არც ერთი ჩვენგანი, ეკონომიური განათლების მქონეც კი, ხელს არ მოჰკიდებს მის განხორციელებას. ჩვენ მოვიწვევთ სპეციალისტებს, რომლებიც ამ საქმეს ეწევიან, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც გასაღები ჩვენს ხელთ იქნება. მაშინ ჩვენ კონსულტანტებსაც კი გავიჩენთ ყოფილი მილიონერებიდან. ვისაც მუშაობა სურს — მობრძანდეს, ოღონდ ყოველი რევოლუციური თაოსნობა მკვდარ ასოდ არ გადაიქცეს, — ამ ანკესზე ჩვენ არ წამოვეგებით. სიტყვებს — პროლეტარიატის დიქტატურა — ჩვენ სერიოზულად წარმოვთქვამთ, და ჩვენ მას განვახორციელებთ.

ჩვენ გვინდოდა ბანკებთან შეთანხმების გზით გვევლო, ჩვენ ვაძლევდით მათ სესხს საწარმოების დასაფინანსებლად, მაგრამ მათ გაუგონრად დიდი საბოტაჟი წამოიწყეს, და პრაქტიკამ იქამდე მიგვიყვანა, რომ კონტროლი სხვა ზომებით გაგვეხორციელებინა.

ამხანაგმა მემარცხენე ესერმა თქვა, პრინციპულად ჩვენ ხმას მივცემთ ბანკების დაუყოვნებლივ ნაციონალიზაციას, რათა შემდეგ, უმოკლეს ვადაში, პრაქტიკული ღონისძიებანი შევიმუშაოთო. მაგრამ ეს შეცდომაა, ვინაიდან ჩვენი პროექტი პრინციპებს გარდა არაფერს შეიცავს. მათს განხილვას უკვე უცდის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, მაგრამ დეკრეტის ახლავე დაუმტკიცებლობა იმას გამოიწვევს, რომ

ბანკები ყოველგვარ ზომებს მიიღებენ მეურნეობის ნგრევის უფრო მეტად გასაძლიერებლად.

დეკრეტის განხორციელება გადაუდებელი საქმეა, თორემ დაგვღუპავს წინააღმდეგობა და საბოტაჟი. (ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის.)

ცაკ-ის «იზვესტია» № 253,
1917 წ. 16 დეკემბერი

იბეჭდება წიგნის — «II მოწვევის მ., ჯ., გლ. და კაზ. დეპუტატების საბჭოების სრ. რუს. ცაკ-ის სხდომათა ოქმების» ტექსტის მიხედვით.
მოსკოვი, 1918

პურისა და ზავისათვის[88]

ამ თვეში ყველა სხვა პოლიტიკურ საკითხს შორის ორი საკითხი წამოიჭრა პირველ ადგილას: პურის საკითხი და ზავის საკითხი!

იმპერიალისტური ომი, ინგლისისა და გერმანიის უდიდესი და უმდიდრესი საბანკო ფირმების ომი, რომელიც წარმოებს ნადავლის გასაყოფად, მცირე და სუსტი ხალხების გასაძარცვავად, ეს საშინელი, დანაშაულებრივი ომი, რომელმაც გააჩანაგა ყველა ქვეყანა, არაქათი გამოაცალა ყველა ხალხს, — ეს ომი კაცობრიობას უყენებს დილემას: ან მთელი კულტურის მსხვერპლად გაღება, ანდა რევოლუციური გზით კაპიტალისტური უღლის გადაგდება კისრიდან, ბურჟუაზიის ბატონობის მოსპობა და სოციალისტური საზოგადოების და მტკიცე ზავის მოპოვება.

თუ სოციალიზმმა ვერ გაიმარჯვა, ზავი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის იქნება მხოლოდ დროებითი ზავი, შესვენება, ხალხთა ახალი ხოცვა-ჟლეტის მომზადება. ზავი და პური — ასეთია მუშათა და ექსპლოატირებულთა ძირითადი მოთხოვნები. ომმა უკიდურესად გაამწვავა ეს მოთხოვნები. ომმა შიმშილობა დაატეხა თავს ყველაზე უფრო ცივილიზებულ, ყველაზე უფრო კულტურულად განვითარებულ ქვეყნებს. მაგრამ სამაგიეროდ, მეორე მხრივ, ომმა როგორც უდიდესმა ისტორიულმა პროცესმა გაუგონრად დააჩქარა სოციალური განვითარება. იმპერიალიზმად, ე. ი. მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაზრდილი კაპიტალიზმი ომის გავლენით

სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაიქცა. ჩვენ ახლა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ამ საფეხურს მივაღწიეთ, და იგი სოციალიზმის უშუალო კარიბჭეს წარმოადგენს.

ამიტომ სოციალისტური რევოლუცია, რომელმაც რუსეთში იფეთქა, მხოლოდ დასაწყისია მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისა. ზავი და პური, ბურჟუაზიის დამხობა, რევოლუციური საშუალებები ომით მიყენებულ ჭრილობათა განსაკურნავად, სოციალიზმის სრული გამარჯვება — აი ბრძოლის მიზნები.

პეტროგრადი, 1917 წ. 14 დეკემბერი.

პირველად დაიბეჭდა 1918 წ. მაისს გაზეთში «Jugend-Internationale» № 11
ხელმოწერა: W. Lenin

ბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით
თარგმანი გერმანულიდან

რუსულ ენაზე პირველად
დაიბეჭდა 1927 წელს წიგნში:
«ლენინის ინსტიტუტის უწყებები» II

პროექტი დეკრეტისა ბანკების ნაციონალიზაციის განხორციელების და ამასთან დაკავშირებით საჭირო ზომების მიღების შესახებ[89]

სურსათის კრიზისული მდგომარეობა, შიმშილობის მუქარა, შექმნილი სპეკულაციები, კაპიტალისტთა და მოხელეთა საბოტაჟით, აგრეთვე საერთო ნგრევით, საჭიროდ ხდიან საგანგებო რევოლუციური ზომების მიღებას ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს ყველა მოქალაქემ და პირველ ყოვლისა ყველა მშრომელმა კლასმა, თავიანთი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელმძღვანელობით, შესძლონ დაუყოვნებლივ და ყოველმხრივ, ყოველგვარი ზომების მიღებით და ყველაზე უფრო რევოლუციური გზით მოქმედებით, ხელი მოჰკიდონ ასეთ ბრძოლას და ქვეყნის წესიერი სამეურნეო ცხოვრების მოგვარებას, დგინდება შემდეგი წესები:

პროექტი დეკრეტისა ბანკების ნაციონალიზაციის განხორციელების და ამასთან დაკავშირებით საჭირო ზომების მიღების შესახებ

1. ყველა სააქციო საწარმო ცხადდება სახელმწიფოს საკუთრებად.

2. სააქციო საზოგადოებათა გამგეობის წევრები და დირექტორები, აგრეთვე ყველა აქციონერი, რომლებიც მდიდარ კლასებს ეკუთვნიან (ე. ი., რომელთაც აქვთ 5 000 მანეთზე მეტი მთელი ქონება ან 500 მანეთზე მეტი შემოსავალი თვიურად), ვალდებული არიან სრული წესრიგის დაცვით განაგრძონ საწარმოთა საქმის გაძღოლა, შეასრულონ კანონი მუშათა კონტროლის შესახებ, წარმოადგინონ ყველა აქცია

სახელმწიფო ბანკში და ჩააბარონ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს ყოველკვირეული ანგარიში თავიანთი მოქმედების შესახებ.

3. სახელმწიფო სესხები, საგარეო და საშინაო, უქმდება (ისპობა).

4. ობლიგაციების, აგრეთვე ყოველგვარი აქციების წვრილ მფლობელთა ინტერესები, ე. ი. იმ მფლობელთა, რომლებიც მოსახლეობის მშრომელ კლასებს ეკუთვნიან, სავსებით უზრუნველყოფილია.

5. შემოღებულია შრომის საყოველთაო ბეგარა. ყველა მოქალაქე ორივე სქესისა, 16-დან 55 წლამდე, ვალდებულია შეასრულოს ის სამუშაო, რომელსაც დანიშნავენ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები ან საბჭოთა ხელისუფლების სხვა ორგანოები.

6. როგორც პირველი ნაბიჯი შრომის საყოველთაო ბეგრის განსახორციელებლად, დგინდება, რომ მდიდარ კლასთა პირები (იხ. § 2) ვალდებული არიან იქონიონ და სწორად აწარმოონ სამომხმარებლო-სამუშაო ანუ საბიუჯეტო-სამუშაო წიგნაკები, რომლებიც უნდა წარედგინოს სათანადო მუშათა ორგანიზაციებს, ან ადგილობრივ საბჭოებს და მათ ორგანოებს, რათა ყოველკვირეულად აღინიშნოს თვითეულის მიერ ნაკისრი სამუშაოს შესრულება.

7. როგორც სურსათის, ისე სხვა საჭირო პროდუქტების სწორი აღრიცხვისა და განაწილებისათვის სახელმწიფოს ყველა მოქალაქე ვალდებულია შეუერთდეს რომელიმე სამომხმარებლო საზოგადოებას. სასურსათო გამგეობები, მომარაგების კომიტეტები და სხვა ამგვარი ორგანიზაციები, აგრეთვე რკინიგზელთა და სატრანსპორტო კავშირები, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელმძღვანელობით, აწესებენ კონტროლს ამ კანონის შესრულების მიმართ. მდიდარ კლასთა პირები ვალდებულებას კისრულობენ განსაკუთრებით შეასრულონ სამომხმარებლო საზოგადოებათა საქმეების მოწყობისა და გაძღოლის ის სამუშაოები, რომელთაც მათ საბჭოები დააკისრებენ.

8. რკინიგზელ მუშა-მოსამსახურეთა კავშირები ვალდებული არიან სასწრაფოდ შეიმუშაონ და დაუყოვნებლივ შეუდგნენ საგანგებო ღონისძიებათა განხორციელებას ტრანსპორტის უფრო წესიერად დაყენებისათვის, განსაკუთრებით სურსათის, სათბობისა და სხვა ყველაზე უფრო საჭირო საგნების მოსაზიდავად, პირველ ყოვლისა იხელმძღვანელონ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების დაკვეთებითა და ორდერებით, შემდეგ კი იმ დაწესებულებებისა, რომელთაც საამისო რწმუნებები აქვთ, და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი.

ამასთანავე რკინიგზელთა კავშირებს, ადგილობრივ საბჭოებთან თანამშრომლობით, ევალებათ მეტომრეობასთან უენერგიულესი ბრძოლა და ყოველგვარი სპეკულანტების დაუნდობელი დევნა რევოლუციური ზომების დაუზოგავი გამოყენებით.

9. მუშათა ორგანიზაციები, მოსამსახურეთა კავშირები და ადგილობრივი საბჭოები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეუდგნენ დახურული და დემობილიზებული საწარმოების, აგრეთვე უმუშევრების გადაყვანას სასარგებლო სამუშაოებზე და საჭირო პროდუქტების წარმოებაზე, შეკვეთების, ნედლი მასალისა და სათბობის გამოძებნას. ადგილობრივი კავშირები და საბჭოები, რომლებმაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადადონ ეს საქმე და რომლებიც აგრეთვე უნდა შეუდგნენ სასოფლო პროდუქტების გაცვლას საქალაქო პროდუქტებზე, ზევიდან განსაკუთრებული ბრძანების მიღებამდე ვალდებული არიან თავიანთი მუშაობა სასტიკად შეუფარდონ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მითითებებს და წერილობითს ბრძანებებს.

10. მდიდარ კლასთა პირები ვალდებული არიან სახელმწიფო ბანკსა და მის განყოფილებებში, აგრეთვე შემნახველ სალაროებში იქონიონ მთელი თავიანთი ფულადი თანხები და კვირაში უნდა მიიღონ (ადგილობრივი საბჭოების დაწესებით) არა უმეტეს 100 — 125 მან. სამომხმარებლო საჭიროებისათვის, ხოლო საწარმოო და სავაჭრო საჭიროებისათვის —

მხოლოდ მუშათა კონტროლის დაწესებულებათა წერილობითი მოწმობებით.

ამ კანონდებულების ნამდვილად განხორციელების სამეთვალყურეოდ შემოღებული იქნება ამჟამად მოქმედი ფულის ნიშნების სხვა ნიშნებზე გადაცვლის წესები, და დამნაშავეთ სახელმწიფოს და ხალხის მოტყუებაში ჩამოერთმევათ მთელი ქონება.

11. იმავე სასჯელით, აგრეთვე საპყრობილეში ჩასმით ან ფრონტზე და იძულებითს სამუშაოზე გაგზავნით დაისჯებიან ამ კანონის ურჩნი, მესაბოტაჟენი და გაფიცული მოხელენი, აგრეთვე სპეკულანტები. ადგილობრივი საბჭოები და მათთან არსებული დაწესებულებები ვალდებული არიან სასწრაფოდ შეიმუშაონ ყველაზე უფრო რევოლუციური ზომები ხალხის ამ ნამდვილი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

12. პროფესიული კავშირები და მშრომელთა სხვა ორგანიზაციები, ადგილობრივ საბჭოებთან თანამშრომლობით, ყველაზე საიმედო და პარტიული და სხვა ორგანიზაციების მიერ რეკომენდირებული პირების მონაწილეობით, აწყობენ კონტროლიორთა მფრინავ ჯგუფებს ამ კანონის განხორციელების სამეთვალყურეოდ, მუშაობის რაოდენობისა და ხარისხის შესამოწმებლად და კანონის დარღვევაში ან მისთვის გვერდის ახვევაში დამნაშავეთა რევოლუციურ სამართალში მისაცემად.

ნაციონალიზებულ საწარმოთა მუშები და მოსამსახურეები ვალდებული არიან დაძაბონ მთელი ძალ-ღონე და საგანგებო ზომები მიიღონ მუშაობის მოწყობის გასაუმჯობესებლად, დისციპლინის განსამტკიცებლად და შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. მუშათა კონტროლის ორგანოები ვალდებული არიან ყოველკვირეულად წარუდგინონ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ანგარიშები იმის შესახებ, თუ რა მიღწეულია ამ მხრივ. ნაკლოვანებებისა და დაუდევრობისათვის დამნაშავენი პასუხს აგებენ რევოლუციური სასამართლოს წინაშე.

დაწერილია 1917 წ. დეკემბრის
პირველ ნახევარში

პირველად დაიბეჭდა 1918 წელს
ჟურნალში «ნაროდნოე ხოზიაისტვო» № 11

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

კითხვები არმიის დემოგილიზაციის გამო მოწვეული საერთო-საარმიო ყრილობის დელეგატებს [90]

1) მცირეა თუ დიდი იმის შესაძლებლობა, რომ გერმანელები დაიწყებენ ახლო მომავალში შემოტევას:

ა) ზამთარში შემოტევის ფიზიკური და ტექნიკური შესაძლებლობის თვალსაზრისით;

ბ) გერმანელ ჯარისკაცთა მასის განწყობილების თვალსაზრისით; შეიძლება თუ არა ამ განწყობილებამ შეუშალოს ხელი შემოტევას ან თუნდაც შეაფერხოს იგი?

2) შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ გერმანელები, თუ ვინიცობაა ჩვენ დაუყოვნებლივ შევწყვეტთ საზავო მოლაპარაკებას და მათი ჯარები დაუყოვნებლივ გადმოვლენ შემოტევაზე, შესძლებენ ჩვენს გადამწყვეტ დამარცხებას? შეუძლიათ თუ არა მათ აიღონ პეტროგრადი?

3) არსებობს თუ არა იმის შიში, რომ საზავო მოლაპარაკების ჩაშლის ცნობა გამოიწვევს არმიაში მასობრივ ანარქიულ განწყობილებას და ფრონტიდან გამოქცევას, თუ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ არმია მტკიცედ დაიცავს ფრონტს ასეთი ცნობის მიღების შემდეგაც?

4) შეუძლია თუ არა ჩვენს არმიას სამხედრო მხრივ გაუმკლავდეს გერმანელთა შემოტევას, თუ იგი 1 იანვარს დაიწყო? თუ არა, რა ხნის შემდეგ შესძლებდა ჩვენი არმია წინააღმდეგობის გაწევას გერმანელთა შემოტევისთვის?

5) შესძლებდა თუ არა ჩვენი არმია გერმანელთა შემოტევის შემთხვევაში წესრიგით უკან დახევას და არტილერიის შენარჩუნებას და, თუ ჰო, დიდი ხნით შეიძლებოდა თუ არა

ასეთ პირობებში რუსეთის სიღრმეში გერმანელთა შეჭრის შეჩერება?

6) საერთო დასკვნა: არმიის მდგომარეობის თვალსაზრისით უნდა ვეცადოთ გავაჭიანუროთ საზავო მოლაპარაკება თუ უმჯობესია საზავო მოლაპარაკების რევოლუციურად მკვეთრი და დაუყოვნებლივ ჩაშლა გერმანელების ანექსიონიზმის გამო, როგორც გადამწყვეტი მტკიცე გადასვლა, რომელიც ნიადაგს ამზადებს რევოლუციური ომის შესაძლებლობისათვის?

7) დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეთ თუ არა გაძლიერებულ აგიტაციაზე გერმანელთა ანექსიონიზმის წინააღმდეგ და აგიტაციაზე რევოლუციური ომის სასარგებლოდ?

8) შეიძლება თუ არა ძალიან მოკლე ვადაში (მაგალითად, 5 — 10 დღეში) მოვაწყოთ მოქმედი არმიის საკმაოდ ფართო ნაწილების გამოკითხვა იმ ვარაუდით, რომ უფრო შესაბამისი სახით და სრული პასუხი მივიღოთ ზემოთ დასმულ კითხვებზე?

9) შეიძლება თუ არა იმედი ვიქონიოთ, რომ უკრაინელებთან შუღლი შესუსტდება ან თუნდაც შეიცვლება ძალთა ერთსულოვანი დარაზმვით გერმანელების ანექსიონიზმის ამბის გაგონებისას, თუ მოსალოდნელია, რომ უკრაინელები ისარგებლებენ ველიკორუსების უფრო მძიმე მდგომარეობით ბრძოლის გასაძლიერებლად ველიკორუსების წინააღმდეგ?

10) არმიას რომ შეეძლოს ხმისმიცემა, მიემხრობოდა ის დაუყოვნებლივ ზავს რუსეთისათვის ანექსიონისტურ (ყველა დაკავებული ოლქის დაკარგვა) და ეკონომიურად უაღრესად მძიმე პირობებში, თუ მიემხრობოდა ძალების უკიდურესად დაძაბვას რევოლუციური ომის საწარმოებლად, ე. ი. გერმანელებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად?

დაწერილია 1917 წ. 18 (31) დეკემბერზე უფრო ადრე

პირველად დაიბეჭდა 1927 წელს წიგნში «ლენინის ინსტიტუტის უწყებები» II

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

სახალხო კომისართა საბჭოს რეზოლუციის პროექტი [91]

1. გაძლიერებული აგიტაცია გერმანელების ანექსიონიზმის წინააღმდეგ.

2. დამატებითი სახსრების გადადება ამ აგიტაციისთვის.

3. საზავო მოლაპარაკების გადატანა სტოკჰოლმს.

4. განვაგრძოთ საზავო მოლაპარაკება და ხელი შევუშალოთ გერმანელების მხრივ მისი დამთავრების დაჩქარებას.

5. გაძლიერებული ზომების მიღება არმიის რეორგანიზაციისათვის მისი შემადგენლობის შემცირებისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების პირობებში.

6. თავდაცვის სასწრაფო ზომების მიღება პიტერისაკენ გაჭრის წინააღმდეგ.

7. პროპაგანდა და აგიტაცია რევოლუციური ომის საჭიროებისათვის.

დაწერილია 1917 წ. 18 (31) დეკემბერს

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სახალხო კომისართა საბჭოს რეზოლუცია რადასთან მოლაპარაკების შესახებ 1917 წ. 19 დეკემბერს (1918 წ. 1 იანვარს)

მოისმინა რა მოხსენება ამხ. პროშიანისა, რომელსაც, როგორც გლეხთა ყრილობის დელეგატს, საუბარი ჰქონდა ვინიჩენკოსთან, გრუშევსკისთან, პოროშთან და რადის სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებთან,

— და მიიღო რა მხედველობაში, რომ რადის ამ ოფიციალურმა წარმომადგენლებმა გამოთქვეს პრინციპული მზადყოფნა—დაიწყონ მოლაპარაკება სახალხო კომისართა საბჭოსთან შეთანხმების შესახებ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებისა და რადის მიერ კალედინის და მისი დამქაშების კონტრრევოლუციურობის აღიარების საფუძველზე; —

— მიიღო რა შემდეგ მხედველობაში, რომ სახალხო კომისართა საბჭო მუდამ და უეჭველად აღიარებდა ყოველი ერის, მათ შორის უკრაინის ერისაც, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლებას; —

— რომ რადასთან ომის თავიდან აცილების ყოველგვარი ცდა, რადა რომ აღიარებდეს კალედინის კონტრრევოლუციურობას და ხელს არ შეუშლიდეს ომს მის წინააღმდეგ, უეჭველად სასურველია, —

გამოთქვამს რა რწმენას, რომ მხოლოდ უკრაინის ღარიბ გლეხთა, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს შეუძლიათ შექმნან უკრაინაში ისეთი ხელისუფლება, როცა შეხლა-შემოხლა ძმურ ხალხთა შორის შეუძლებელი იქნება, —

სახალხო კომისართა საბჭო, მიზანშეწონილად თვლის რა ამავე დროს დაიწყოს საქმიანი მოლაპარაკება რადასთან იმ შეხლა-შემოხლის თავიდან ასაცილებლად, რომელიც გამოწვეული იყო რადის პოლიტიკით საერთო ფრონტისა და კალედინის კონტრრევოლუციური აჯანყების მიმართ, ადგენს:

წინადადება მიეცეს რადას დაიწყოს მოლაპარაკება აღნიშნულ საფუძველზე შეთანხმების შესახებ და ერთ-ერთ პუნქტად, სადაც ალბათ ყველაზე მოსახერხებელი იქნებოდა მოლაპარაკების გამართვა, ნიშნავს ქალაქ სმოლენსკს ან ვიტებსკს.

ცაკ-ის «იზვესტია» № 257,
1917 წ. 21 დეკემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

ძველის ძრახვით შეშინებულნი და ახლისთვის მებრძოლნი

«ბოლშევიკები უკვე ორი თვეა ხელისუფლების სათავეში არიან, ხოლო სოციალისტური სამოთხის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ ქაოსის, სამოქალაქო ომისა და კიდევ უფრო მეტი ნგრევის ჯოჯოხეთს». ასე წერენ, ლაპარაკობენ და ფიქრობენ კაპიტალისტები თავის შეგნებულ და ნახევრად-შეგნებულ მომხრეებთან ერთად.

ბოლშევიკები მხოლოდ ორი თვეა ხელისუფლების სათავეში არიან, — ვუპასუხებთ ჩვენ, — და უკვე გადადგმულია უდიდესი ნაბიჯი წინ სოციალიზმისაკენ. ამას ვერ ხედავს ის, ვისაც არ სურს დაინახოს ან არ შეუძლია შეაფასოს ისტორიული მოვლენები მათ ურთიერთკავშირში. არ სურთ დაინახონ, რომ რამდენიმე კვირაში თითქმის ძირფესვიანად დანგრეულია არადემოკრატიული დაწესებულებანი არმიაში, სოფლად, ფაბრიკაში. ხოლო გარდა ასეთი ნგრევისა, სხვა გზა სოციალიზმისაკენ არ არის და არც შეიძლება იყოს. არ სურთ დაინახონ, რომ რამდენიმე კვირაში ნაცვლად იმპერიალისტური სიცრუისა საგარეო პოლიტიკაში, რომელიც აჟიანურებდა ომს და საიდუმლო ხელშეკრულებებით ფარავდა ძარცვასა და მტაცებლობას, წამოყენებულია ნამდვილად დემოკრატიული ზავის ნამდვილად რევოლუციურ-დემოკრატიული პოლიტიკა, რომელმაც უკვე მოგვცა ისეთი დიდი პრაქტიკული გამარჯვება, როგორიც არის დროებითი ზავი და ასწილ გაძლიერება ჩვენი რევოლუციის პროპაგანდისტული ძალისა. არ სურთ დაინახონ, რომ მუშათა კონტროლი და ბანკების

ნაციონალიზაცია უკვე ხორციელდება, და სწორედ ეს არის პირველი ნაბიჯები სოციალიზმისაკენ.

ვერ გებულობენ ისტორიულ პერსპექტივას ისინი, ვინც დაბეჩავებულია კაპიტალიზმის რუტინით, გაბრუებულია ძველის ძლიერი კრახით, ცარიზმისა და ბურჟუაზიის საუკუნოვან შენობათა რღვევისა და ნგრევის ტკაცანით, ხმაურით, «ქაოსით» (მოჩვენებითი ქაოსით), ვინც შეშინებულია კლასობრივი ბრძოლის უკიდურეს გამწვავებამდე მიყვანით, მისი სამოქალაქო ომად გადაქცევით, იმ ომად, რომელიც ერთადერთი კანონიერი, ერთადერთი სამართლიანი, ერთადერთი წმიდათაწმიდა ომია, — ამ სიტყვის არა ხუცური, არამედ ადამიანური აზრით წმიდათაწმიდა ომი ჩაგრულთა მჩაგვრელების წინააღმდეგ მათ დასამხობად, ყოველგვარი ჩაგვრისაგან მშრომელთა განსათავისუფლებლად. არსებითად ყველა ეს დაბეჩავებული, გაბრუებული, შეშინებული ბურჟუები, წვრილი ბურჟუები და «ბურჟუაზიის მსახურნი» ხელმძღვანელობენ, ხშირად თავისდაშეუცნობლად, «სოციალიზმის შემოღების» იმ ძველი, უაზრო, სანტიმენტალური, ინტელიგენტურ-უგვანო წარმოდგენით, რომელიც მათ შეიძინეს «ყურმოკვრით», როცა სოციალისტური მოძღვრების ნაწყვეტებს აფრინდებოდნენ, იმეორებდნენ უმეცართა და უცოდინართა მიერ ამ მოძღვრების დამახინჯებას და გვაწერდნენ ჩვენ, მარქსისტებს, სოციალიზმის «შემოღების» აზრს და გეგმასაც კი.

ჩვენთვის, მარქსისტებისთვის, ასეთი აზრები, გეგმებზე რომ არაფერი ვთქვათ, უცხოა. ჩვენ ყოველთვის ვიცოდით, ვამბობდით, ვიმეორებდით, რომ სოციალიზმის «შემოღება» შეუძლებელია, რომ მას წარმოშობს უაღრესად გამძაფრებული, უაღრესად გამწვავებული, გააფთრებამდე, თავგანწირულებამდე გამწვავებული კლასობრივი ბრძოლისა და სამოქალაქო ომის მსვლელობა, — რომ კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შუა «მშობიარობის ტანჯვის» ხანგრძლივი პერიოდი ძევს, — რომ ძალმომრეობა ყოველთვის ძველი საზოგადოების ბებია-ქალია, — რომ ბურჟუაზიული საზოგადოებიდან

სოციალისტურ საზოგადოებაზე გარდამავალ პერიოდს შეესაბამება განსაკუთრებული სახელმწიფო (ე. ი. განსაზღვრული კლასის მიმართ ორგანიზებული ძალმომრეობის განსაკუთრებული სისტემა), სახელდობრ: პროლეტარიატის დიქტატურა. ხოლო დიქტატურა გულისხმობს და ნიშნავს ჩახშული ომის მდგომარეობას, ბრძოლის სამხედრო ღონისძიებათა მდგომარეობას პროლეტარული ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ. კომუნა პროლეტარიატის დიქტატურა იყო, და მარქსი და ენგელსი უსაყვედურებდნენ კომუნას, მისი დაღუპვის ერთ-ერთ მიზეზად იმ გარემოებას თვლიდნენ, რომ კომუნა საკმაოდ ენერგიულად ვერ იყენებდა თავის შეიარაღებულ ძალას ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დასათრგუნავად [92].

არსებითად, მთელი ეს ინტელიგენტური გოდება კაპიტალისტთა წინააღმდეგობის დათრგუნვის გამო, თუ «ზრდილობიანად» ვიტყვით, წარმოადგენს მხოლოდ ძველი «შემთანხმებლობის» გამოხატულებას და სხვას არაფერს. ხოლო თუ პროლეტარული პირდაპირობით ვილაპარაკებთ, უნდა ვთქვათ: მონური ქედის მოხრის განგრძობას ფულის ქისის წინაშე, აი დედაარსი გოდებისა თანამედროვე, მუშათა ძალმომრეობის წინააღმდეგ, რომელსაც ვიყენებთ (სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალიან სუსტად და არა ენერგიულად) ბურჟუაზიის, მესაბოტაჟეების, კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ. «კაპიტალისტთა წინააღმდეგობა გატეხილია», გამოაცხადა შემთანხმებელმა მინისტრმა, კეთილმა პეშეხონოვმა, 1917 წლის ივნისში. ამ გულკეთილ ადამიანს ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ წინააღმდეგობა მართლაც უნდა გატეხილიყო, რომ იგი გატეხილი იქნება, რომ სწორედ ასეთ გატეხას ეწოდება, მეცნიერული ენით, პროლეტარიატის დიქტატურა, რომ მთელი ისტორიული პერიოდი ხასიათდება კაპიტალისტთა წინააღმდეგობის დათრგუნვით, ხასიათდება, მაშასადამე, სისტემატური ძალმომრეობით მთელი კლასის (ბურჟუაზიის) და მის ხელშემწყობთა მიმართ.

ანგარება, ბინძური, ღვარძლიანი, გააფთრებული ანგარება მდიდართა, სილაჩრე და მონური მორჩილება მათი დამქაშებისა — აი ნამდვილი სოციალური საფუძველი ინტელიგენტუნების ახლანდელი ღმუილისა «რეჩით» დაწყებული «ნოვაია ჟიზნამდე» პროლეტარიატისა და რევოლუციური გლეხობის მხრივ ძალმომრეობის წინააღმდეგ. ასეთია ობიექტური მნიშვნელობა მათი ღმუილისა, მათი უბადრუკი სიტყვებისა, მათი ჯამბაზური ყვირილისა «თავისუფლებაზე» (კაპიტალისტების მხრივ ხალხის ჩაგვრის თავისუფლებაზე) და სხვ. და ა. შემდეგ. ისინი «მზად» არიან აღიარონ სოციალიზმი, თუ კაცობრიობა გადახტებოდა მასზე ერთბაშად, ერთი ეფექტური ნახტომით, უბრძოლველად, შეხლა-შემოხლის, კბილთა ღრჭენის გარეშე ექსპლოატატორების მხრივ, მათი მხრივ მრავალგვარი ცდის მოუხდენლად ძველის გადარჩენისათვის ან შემოვლით, ფარულად მისი დაბრუნებისათვის, ასეთ ცდაზე რევოლუციურ-პროლეტარული ძალმომრეობის ახალ-ახალი «პასუხის» მიუცემლად. ბურჟუაზიის ეს ინტელიგენტური დამქაშები «მზად არიან» რეცხონ ტყავი, ცნობილი გერმანული ანდაზისა არ იყოს, მხოლოდ ისე, რომ ტყავი არ სველდებოდეს.

როდესაც ბურჟუაზია და მის სამსახურს შეჩვეული მოხელენი, მოსამსახურენი, ექიმები, ინჟინრები და სხვ. მიმართავენ წინააღმდეგობის გაწევის მეტად უკიდურეს ზომებს, ეს შიშის ზარსა სცემს ინტელიგენტუნებს. ისინი თრთიან შიშით და უფრო მეტი წკმუილით ჰგოდებენ «შემთანხმებლობისადმი» დაბრუნების აუცილებლობაზე. ჩვენ კი, ისე როგორც ჩაგრული კლასის ყველა გულწრფელ მეგობარს, ექსპლოატატორების წინააღმდეგობის უკიდურესი ზომები მხოლოდ გაგვახარებს, რადგან პროლეტარიატის დავაჟკაცებას, მომწიფებას ხელისუფლებისათვის ჩვენ მოველით არა შეგონებით და დარწმუნებით, არა მოთაფლული ქადაგების თუ ჭკუის სასწავლი დეკლამაციის სკოლისაგან, არამედ ცხოვრების სკოლის, ბრძოლის სკოლისაგან. გაბატონებული კლასი რომ გახდეს და საბოლოოდ დაამარცხოს ბურჟუაზია, პროლეტარიატმა უნდა ი ს წ ა ვ ლ ო ს ეს, რადგან ერთბაშად იგი ამის ცოდნას

ვერსაიდან შეიძენს. სწავლა კი ბრძოლაში უნდა შეიძინო. გვასწავლის კი მხოლოდ სერიოზული, შეუპოვარი, თავგანწირული ბრძოლა. რაც უფრო უკიდურესია ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა, მით უფრო ენერგიული, მტკიცე, შეუბრალებელი, წარმატებული იქნება მათი დათრგუნვა ექსპლოატირებულთა მიერ. რაც უფრო მრავალგვარი იქნება ექსპლოატატორთა ცდა და ჭაპანწყვეტა ძველის დასაცავად, მით უფრო ჩქარა ისწავლის პროლეტარიატი თავისი კლასობრივი მტრების განდევნას მათი უკანასკნელი ბუნაგებიდან, მათი ბატონობის ძირის გამოთხრას, თვით იმ ნიადაგის მოსპობას, რომელზედაც შეეძლო (და უნდა) წარმოშობილიყო დაქირავებული მონობა, მასების სიღატაკე, მდიდრის სარფა და თავხედობა.

რამდენადაც იზრდება ბურჟუაზიისა და მისი დამქაშების წინააღმდეგობა, იმდენად იზრდება ძალა პროლეტარიატისა და გლეხობისა, რომელიც მას უერთდება. ექსპლოატირებულნი მაგრდებიან, ვაჟკაცდებიან, იზრდებიან, სწავლობენ, თავიდან იშორებენ «ადამისდროინდელ» დაქირავებულ მონობას იმისდაკვალად, რამდენადაც იზრდება მათი მტრების — ექსპლოატატორების წინააღმდეგობა. გამარჯვება დარჩებათ ექსპლოატირებულთ, რადგან მათ მხარეზეა ცხოვრება, მათ მხარეზეა რიცხვის ძალა, მასის ძალა, ძალა ყოველივე თავდადებულის, იდეურის, პატიოსანის, წინმსწრაფის დაუშრეტელი წყაროებისა, ძალა ახლის მშენებლობისთვის გაღვიძებული, ეგრეთწოდებული «უბრალო ხალხის», მუშებისა და გლეხების ენერგიის და ნიჭის მთელი უზარმაზარი მარაგისა. გამარჯვება მათ დარჩებათ.

დაწერილია 1917 წ. 25—28
დეკემბერს (1918 წ. 7—10 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
22 იანვარს გაზეთში «პრავდა» № 18
ხელმოწერა: ლ ე ნ ი ნ.

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

(a)

Как организовать соревнование?

[illegible]

[illegible]

[illegible]

როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?

ბურჟუაზიულმა მწერლებმა აუარებელი ქაღალდი დაჯღაბნეს და ჯღაბნიან, ადიდებენ რა კონკურენციას, კერძო თაოსნობას და კაპიტალისტთა და კაპიტალისტური წესწყობილების სხვა დიდებულ ღირსებებსა და მშვენიერებათ. სოციალისტებს ბრალს დებდნენ იმაში, თითქოს მათ არ უნდოდეთ გაიგონ ამ ღირსებათა მნიშვნელობა და ანგარიში გაუწიონ «ადამიანის ბუნებას». ნამდვილად კი კაპიტალიზმმა დიდი ხანია შესცვალა წვრილი სასაქონლო დამოუკიდებელი წარმოება, როცა კონკურენციას შეეძლო რამდენადმე მაინც ფართო ფარგლებში აღეზარდა თაოსნობა, ენერგია, წამოწყების გაბედულობა — მსხვილი და უმსხვილესი საფაბრიკო წარმოებით, სააქციო საწარმოებით, სინდიკატებითა და სხვა მონოპოლიებით. ასეთი კაპიტალიზმის დროს კონკურენცია ნიშნავს მოსახლეობის მასის, მისი უდიდესი უმრავლესობის, მშრომელთა ოთხმოცდაცხრამეტი მეასედის თაოსნობის, ენერგიის, გაბედული წამოწყების გაუგონრად მხეცურ ჩახშობას, ნიშნავს აგრეთვე შეჯიბრების შეცვლას ფინანსური თაღლითობით, დესპოტიზმით, მლიქვნელობით სოციალური კიბის ზედაფენებში.

სოციალიზმი არათუ არ აქრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის მისი გამოყენების შესაძლებლობას ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივად, შესაძლებლობას ნამდვილად გამოყვანილ იქნეს მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ

გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოააშკარაონ ნიჭი, რომელიც ხალხში ულევია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით თელავდა, ჰქელავდა და ახშობდა.

დღეს, როდესაც ხელისუფლების სათავეში სოციალისტური მთავრობა დგას, ჩვენი ამოცანაა — შეჯიბრების მოწყობა.

ბურჟუაზიის მაჩანჩალები და დამქაშები სოციალიზმს გვიხატავდნენ, როგორც ერთგვაროვან, კაზიონურ, მონოტონურ, უფერულ ყაზარმას. ფულიანი ქისის ლაქიები, ექსპლოატატორთა ყურმოჭრილი მონები — ბატონი ბურჟუაზიული ინტელიგენტები — სოციალიზმით «აშინებდნენ» ხალხს, რომელსაც სწორედ კაპიტალიზმის დროს აქვს მისჯილი უზომო, მომაბეზრებელი შრომის, ნახევრადმშიერი ცხოვრების, საშინელი სიღატაკის კატორღა და ყაზარმა. ამ კატორღისაგან მშრომელთა განთავისუფლების პირველ ნაბიჯს წარმოადგენს მემამულეთა მიწების კონფისკაცია, მუშათა კონტროლის შემოღება, ბანკების ნაციონალიზაცია. შემდგომი ნაბიჯი იქნება ფაბრიკა-ქარხნების ნაციონალიზაცია, მთელი მოსახლეობის იძულებითი ორგანიზაცია სამომხმარებლო საზოგადოებებად, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ პროდუქტების გასაღების საზოგადოებებს, პურის და სხვა საჭირო საგნების ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია.

თაოსნობის, შეჯიბრების, გაბედული წამოწყების უნარის გამოჩენა ფართოდ, ჭეშმარიტად მასობრივად მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი. ყოველი ფაბრიკა, საიდანაც კაპიტალისტი გაძევებულია ან თუნდაც ალაგმულია ნამდვილი მუშათა კონტროლით, ყოველი სოფელი, საიდანაც გააძევეს მემამულე-ექსპლოატატორი და ჩამოართვეს მას მიწა, დღეს, და მხოლოდ დღეს, წარმოადგენს ისეთ ასპარეზს, რომელზედაც შეუძლია თავი გამოიჩინოს მშრომელმა ადამიანმა, შეუძლია ცოტათი წელში გაიმართოს, გასწორდეს, თავი იგრძნოს ადამიანად. საუკუნეობით სხვებისთვის შრომის, ექსპლოატატორებისთვის იძულებითი მუშაობის შემდეგ პირველად ხდება შესაძლებელი ადამიანმა თ ა ვ ი ს თ ვ ი ს ი მ უ შ ა ო ს,

და იმუშაოს იმგვარად, რომ გამოიყენოს უახლესი ტექნიკის და კულტურის ყველა მონაპოვარი.

რა თქმა უნდა, კაცობრიობის ისტორიაში ეს უდიდესი შეცვლა იძულებითი შრომისა თავისთვის შრომით შეუძლებელია მოხდეს შეხლა-შემოუხლელად, სიძნელეთა დაუძლეველად, უკონფლიქტოდ, ძალდაუტანებლად გაუსწორებელი მუქთახორებისა და მათი მაჩანჩალების მიმართ. ამ მხრივ არც ერთ მუშას არა აქვს ილუზია: ექსპლოატატორებისთვის ხანგრძლივი საკატორღო მუშაობით გამობრძმედილმა, მათი მხრივ უამრავი დაცინვის, აბუჩად აგდების ატანაში, საშინელ გაჭირვებაში გამობრძმედილმა .მუშებმა და უღარიბესმა გლეხებმა იციან, რომ საჭიროა დრო ექსპლოატატორების წინააღმდეგობის გ ა ს ა ტ ე ხ ა დ. მუშებს და გლეხებს სრულიადაც არა სჭირთ ბატონ ინტელიგენტუნების, მთელ ამ უსახურ ნოვოჟიზნელთა და სხვათა სანტიმენტალური ილუზიების სენი, ვინც ხმის ჩახრინწიანებამდე «ჰყვიროდნენ» კაპიტალისტების წინააღმდეგ, «ემუქრებოდნენ» მათ, «ანადგურებდნენ» მათ მხოლოდ იმიტომ, რომ ატირებულიყვნენ და გალახული ლეკვივით მოქცეულიყვნენ, როდესაც საქმე ს ა ქ მ ე ზ ე მიდგა, როდესაც უნდა მომხდარიყო მუქარის რეალიზაცია, უნდა შესრულებულიყო სინამდვილეში კაპიტალისტების გ ა დ ა ყ ე ნ ე ბ ა.

დიადი შეცვლა იძულებითი შრომისა თავისთვის შრომით, უზარმაზარი, საერთო-სახელმწიფოებრივი (ერთგვარად ინტერნაციონალური, მსოფლიო) მასშტაბით გეგმაშეწონილად მოწესრიგებული შრომით, მოითხოვს აგრეთვე — გარდა ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დასათრგუნავად საჭირო «ს ა მ ხ ე დ რ ო» ზომებისა — უდიდეს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ, ორგანიზატორულ ღონისძიებებს პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის მხრივ. ორგანიზაციული ამოცანა ერთ განუყრელ მთელად ეხლართება გუშინდელი მონათმფლობელების (კაპიტალისტების) და მათი ლაქიების ხროვის — ბატონ ბურჟუაზიული ინტელიგენტების დაუნდობელი სამხედრო დათრგუნვის ამოცანას. ჩვენ ყოველთვის ორგანიზატორები

და უფროსები ვიყავით, ჩვენ ვმბრძანებლობდით — ასე ამბობენ და ფიქრობენ გუშინდელი მონათმფლობელნი და ინტელიგენციის წრიდან გამოსული მათი ნოქრები — ჩვენ გვსურს ასეთებად დავრჩეთ, ჩვენ არ გავუგონებთ «უბრალო ხალხს», მუშებსა და გლეხებს, ჩვენ არ დავემორჩილებით მათ, ცოდნას ჩვენ გადავაქცევთ მდიდართა პრივილეგიებისა და ხალხზე კაპიტალის ბატონობის დაცვის იარაღადო.

ასე ამბობენ, ფიქრობენ, მოქმედებენ ბურჟუები და ბურჟუაზიული ინტელიგენტები. ს ა კ უ თ ა რ ი ტ ყ ა ვ ი ს თვალსაზრისით მათი საქციელი გასაგებია: მებატონე-მემამულეთა დამქაშებს და მუქთახორებს, ხუცებს, კანცელარიის მწერლებს, გოგოლის მიერ შექმნილი ტიპის მოხელეებს, ბელინსკის მოძულე «ინტელიგენტებსაც» «ეძნელებოდათ» ბატონყმობას შელეოდნენ. მაგრამ ექსპლოატატორების და მათი ინტელიგენტი შინაყმების საქმე — წაგებული საქმეა. მათ წინააღმდეგობას მუშები და გლეხები სტეხენ, — სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არასაკმაოდ მტკიცედ, გაბედულად და შეუბრალებლად, — დ ა გ ა ს ტ ე ხ ე ნ კ ი დ ე ც.

«ისინი» ფიქრობენ, რომ «უბრალო ხალხი», «უბრალო» მუშები და უღარიბესი გლეხები ვერ გაართმევენ თავს დიადს, ამ სიტყვის მსოფლიო ისტორიული აზრით ჭეშმარიტად გმირული ორგანიზაციული ხასიათის ამოცანას, რომელიც დააკისრა მშრომელებს სოციალისტურმა რევოლუციამ. «უჩვენოდ იოლად ვერ წავლენო», — ინუგეშებენ თავს კაპიტალისტების და კაპიტალისტური სახელმწიფოს სამსახურს შეჩვეული ინტელიგენტები. მათი უტიფარი ვარაუდი არ გამართლდება: განათლებული ადამიანები უკვე ახლა გამოირჩევიან, გადადიან ხალხის მხარეზე, მშრომელთა მხარეზე, გვეხმარებიან კაპიტალის მსახურთა წინააღმდეგობის შემუსვრაში. ხოლო ორგანიზაციული ნიჭი გლეხობასა და მუშათა კლასში ბევრია, და ეს ნიჭი ეს-ესაა იწყებს თავისი თავის შეცნობას, იღვიძებს, ესწრაფვის ცოცხალს, შემოქმედებითს, დიად სამუშაოს, ხელს ჰკიდებს დამოუკიდებლად სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას.

ამჟამად ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, თუ ყველაზე მთავარი არა, ის არის, რომ რაც შეიძლება ფართოდ განვავითაროთ მუშების და საერთოდ ყველა მშრომელის და ექსპლოატირებულის ეს დამოუკიდებელი თაოსნობა შემოქმედებითი ორგანიზაციული მუშაობის საქმეში. რადაც უნდა დაჯდეს, უდნა აღმოვფხვრათ ძველი, უაზრო, ველური, საზიზღარი და საძაგელი ცრურწმენა, თითქოს სახელმწიფოს მართვა, სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციული მშენებლობის გაძღოლა შეუძლიათ მხოლოდ ეგრეთწოდებულ «უმაღლეს კლასებს», მხოლოდ მდიდრებს ან მდიდარი კლასების სკოლაგავლილებს.

ეს ცრურწმენაა. მას ხელს უწყობს დამპალი რუტინა, დახავსებულობა, მონური ჩვეულება, და კიდევ უფრო ბინძური ანგარება კაპიტალისტებისა, რომლებიც დაინტერესებული არიან იმით, რომ მართონ ძარცვით და ძარცვონ მართვით. არა. მუშები ერთი წუთითაც არ დაივიწყებენ, რომ მათ ესაჭიროებათ ცოდნის ძალა. ის არაჩვეულებრივი თავგამოდება, რომელსაც მუშები იჩენენ განათლების საქმეში, და იჩენენ სწორედ ამჟამად, ამტკიცებს, რომ ამ მხრივ პროლეტარიატის წრეში არ ცდებიან და არც შეიძლება შეცდნენ. მაგრამ ორგანიზატორული მუშაობა ძალუძს უბრალო მუშასაც და გლეხსაც, რომელიც წერა-კითხვის მცოდნეა, იცნობს ადამიანებს და რომელსაც პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ასეთი ადამიანები უამრავია «უბრალო ხალხში», რომლის შესახებაც ამაყად და ათვალწუნებით ლაპარაკობენ ბურჟუაზიული ინტელიგენტები. ასეთი ნიჭის წყარო მუშათა კლასსა და გლეხობაში ჯერ კიდევ ულევი და დაუშრეტელია.

მუშები და გლეხები ჯერ კიდევ «მორცხვობენ», ჯერ კიდევ ვერ შეჩვევიან იმას, რომ ახლა ისინი გაბატონებული კლასია, ჯერ კიდევ საკმაოდ გაბედული ვერ არიან. მრავალ მილიონ ადამიანში, რომლებიც მთელ თავიანთ სიცოცხლეში იძულებული იყვნენ ემუშავნათ შიმშილისა და გაჭირვების გამო, ასეთ თვისებებს გადატრიალება ერთბაშად ვერ შექმნიდა. მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის ძალა,

ცხოველმყოფელობა და უძლეველობა სწორედ იმაშია, რომ იგი აღვიძებს ამ თვისებებს, ძლევს ყველა ძველ დაბრკოლებას, ამსხვრევს დახავსებულ ბორკილებს და მშრომელები გამოჰყავს ახალი ცხოვრების დამოუკიდებელი შემოქმედების გზაზე.

აღრიცხვა და კონტროლი — აი მთავარი ეკონომიური ამოცანა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ყოველი საბჭოსი, ყოველი სამომხმარებლო საზოგადოებისა, ყოველი კავშირისა ან მომარაგების კომიტეტისა, ყოველი ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტისა ან საერთოდ მუშათა კონტროლის ორგანოსი.

ბრძოლა ძველ ჩვეულებასთან — უყურონ შრომის ოდენობას, წარმოების საშუალებებს დამონებული ადამიანის თვალსაზრისით: რამენაირად თავი დააღწიონ ზედმეტ ტვირთს, როგორმე წაჰგლიჯონ რამე ბურჟუაზიას, ეს ბრძოლა აუცილებელია. ეს ბრძოლა უკვე დაიწყეს მოწინავე, შეგნებულმა მუშებმა, რომლებიც მედგარ წინააღმდეგობას უწევენ იმ მოსულებს საფაბრიკო წრეში, რომლებიც განსაკუთრებით ბლომად გაჩნდნენ ომის დროს და რომელთაც ახლაც უნდათ სახალხო ფაბრიკას, ხალხის საკუთრებად გადასულ ფაბრიკას მოეპყრან ძველებურად ერთადერთი განზრახვით: «რაც შეიძლება მეტი ლუკმა წაჰგლიჯონ და გაიქცნენ». ყოველივე, რაც კი შეგნებული, პატიოსანი, მოაზროვნეა გლეხობასა და მშრომელ მასებში, ამ ბრძოლაში მოწინავე მუშების მხარეზე დადგება.

აღრიცხვა და კონტროლი, თუ ამას ახდენენ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, როგორც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება, ან ამ ხელისუფლების მითითებით, რწმუნებულებით, — აღრიცხვა და კონტროლი ყველგან, საყოველთაო, უნივერსალური, — აღრიცხვა და კონტროლი შრომის რაოდენობისა და პროდუქტების განაწილების საქმეში — ეს არის სოციალისტური გარდაქმნის არსი, რაკი პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობა შექმნილი და უზრუნველყოფილია.

აღრიცხვა და კონტროლი, რაც აუცილებელია სოციალიზმზე გადასასვლელად, მხოლოდ მასობრივი შეიძლება იყოს. მხოლოდ მუშათა და გლეხთა მ ა ს ი ს ნებაყოფლობით და კეთილსინდისიერად, რევოლუციური ენთუზიაზმით გაწეულ თანამშრომლობას აღრიცხვასა და კონტროლში მ დ ი დ რ ე ბ ი ს, გ ა ი ძ ვ ე რ ე ბ ი ს, მ უ ქ თ ა ხ ო რ ე ბ ი ს, ხ უ ლ ი გ ნ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ შეუძლია მოსპოს წყეული კაპიტალისტური საზოგადოების ეს გადმონაშთები, კაცობრიობის ეს ნაძირალები, ეს საბოლოოდ დამპალი და მკვდარი წევრნი, ეს ჭირი, ჟამი, წყლული, რომელიც სოციალიზმს მემკვიდრეობად გადმოეცა კაპიტალიზმისაგან.

მუშებო და გლეხებო, მშრომელებო და ექსპლოატირებულნო! მიწა, ბანკები, ფაბრიკები, ქარხნები მთელი ხალხის საკუთრებად გადავიდა! თ ვ ი თ ო ნ მოჰკიდეთ ხელი პროდუქტების წარმოებისა და განაწილების აღრიცხვასა და კონტროლს, — ამაში და მ ხ ო ლ ო დ ამაშია სოციალიზმის გამარჯვების გზა, მისი გამარჯვების საწინდარი, ყოველგვარ ექსპლოატაციაზე, ყოველგვარ გაჭირვებასა და სიღატაკეზე გამარჯვების საწინდარი! ვინაიდან რუსეთში პური, რკინა, ხე-ტყე, მატყლი, ბამბა და სელი ყველას სამყოფია, ოღონდ მართებულად განაწილდეს შრომა და პროდუქტები, ოღონდ დაწესდეს საყოველთაო-სახალხო **საქმიანი, პრაქტიკული** კონტროლი ამ განაწილებაზე, ოღონდ დავამარცხოთ **არა მარტო** პოლიტიკაში, არამედ აგრეთვე **ყოველდღიურ ეკონომიურ** ცხოვრებაში ხალხის მტრები: მდიდრები, მათი დამქაშები, — შემდეგ გაიძვერები, მუქთახორები და ხულიგნები.

არავითარი დანდობა ხალხის ამ მტრებს, სოციალიზმის მტრებს, მშრომელთა მტრებს. სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მდიდრებს და მათ დამქაშებს, ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, ომი გაიძვერებს, მუქთახორებს და ხულიგნებს. ერთნიც და მეორენიც, პირველნიც და უკანასკნელნიც — ღვიძლი ძმები, კაპიტალიზმის პირმშონი, ბატონკაცური და ბურჟუაზიული საზოგადოების ნაშიერნი არიან, საზოგადოებისა, რომელშიც ერთი მუჭა მუქთახორები ძარცვავდა და აბუჩად იგდებდა

ხალხს, — საზოგადოებისა, რომელშიც გაჭირვება და სიღატაკე ათასობით და ათიათასობით ადამიანს აყენებდა ხულიგნობის, გამყიდველობის, გაიძვერობის, ადამიანობის დავიწყების გზაზე, — საზოგადოებისა, რომელშიც აუცილებლად ვითარდებოდა მისწრაფება მშრომელებში: გაქცეოდნენ თუნდ მოტყუებით ექსპლოატაციას, თავი დაეძვრინათ, თავი დაეღწიათ თუნდ ერთი წუთით შეძაგებულ სამუშაოსგან, გამოეგლიჯათ ლუკმაპური მაინც რა გზითაც უნდა ყოფილიყო, რადაც უნდა დამჯდარიყო, რომ არ ეშიმშილნათ, არ ეგრძნოთ თავიანთი თავის და თავიანთი მახლობლების დამშევა.

მდიდრები და გაიძვერები, ეს ორი მხარეა ერთი მედალისა, ეს ორი მთავარი თანრიგია კაპიტალიზმის მიერ გამოზრდილი პ ა რ ა ზ ი ტ ე ბ ი ს ა, ეს მთავარი მტრებია სოციალიზმისა; ამ მტრების მიმართ უნდა დავაწესოთ მთელი მოსახლეობის განსაკუთრებული მეთვალყურეობა, მათ დაუნდობლად უნდა გავუსწორდეთ, როგორც კი ოდნავად დაარღვევენ სოციალისტური საზოგადოების წესებსა და კანონებს. ამ მხრივ ყოველგვარი სისუსტე, ყოველგვარი მერყეობა, ყოველი სანტიმენტალობა უდიდესი დანაშაული იქნებოდა სოციალიზმის წინაშე.

სოციალისტური საზოგადოება რომ უვნებელვყოთ ამ პარაზიტებისაგან, უნდა მოვაწყოთ საყოველთაო-სახალხო, მრავალი მილიონი მუშის და გლეხის მიერ ნებაყოფლობით, ენერგიულად, რევოლუციური ენთუზიაზმით ზურგგამაგრებული აღრიცხვა და კონტროლი შრომის ოდენობის, პროდუქტების წარმოებისა და განაწილების მიმართ. ხოლო ამ აღრიცხვისა და კონტროლის მოსაწყობად, რაც ს ა ვ ს ე ბ ი თ ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი, სავსებით შესაძლისია ყოველი პატიოსანი, გაგებული, თადარიგიანი მუშისა და გლეხისათვის, საჭიროა გამოვაცოცხლოთ მათი საკუთარი, მათი წრიდან წარმოშობილი, ორგანიზატორული ნიჭის მქონენი, საჭიროა აღვძრათ მათში — და მოვაგვაროთ საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით — შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა ორგანიზატორულ წარმატებათა სფეროში, საჭიროა მუშებმა და გლეხებმა ნათლად

გაარჩიონ ერთმანეთისაგან განათლებული ადამიანის აუცილებელი რჩევა და «უბრალო» მუშისა და გლეხის აუცილებელ კონტროლი დ ო ყ ლ ა პ ი ო ბ ი ს მიმართ, რაც ასე ჩვევიათ «განათლებულ» ადამიანებს.

ეს დოყლაპიობა, დაუდევრობა, უთაურობა, უწესობა, ნერვული სიჩქარე, მიდრეკილება საქმის შეცვლისა დისკუსიით, მუშაობისა — ლაპარაკით, მიდრეკილება ყველაფრის ხელისმოკიდებისა და ბოლომდე არაფრის მიყვანისა «განათლებულ ადამიანთა» ერთ-ერთი თვისებაა, რაც გამომდინარეობს სრულიადაც არა მათი ცუდი ბუნებიდან, მით უფრო ნაკლებ სიბოროტიდან, არამედ ცხოვრების მთელი ჩვეულებიდან, მათი შრომის ვითარებიდან, დაღლილობიდან, გონებრივი შრომის ფიზიკური შრომისაგან არანორმალური განცალკევებიდან და სხვ. და სხვ.

ჩვენი რევოლუციის შეცდომებსა, ნაკლოვანებებსა და გაუფრთხილებლობაში მცირე როლს როდი ასრულებს ის შეცდომები და სხვ., რაც გამოწვეულია ჩვენი წრის ინტელიგენტების ამ სავალალო, — მაგრამ ამჟამად აუცილებელი, — თვისებებით და მ უ შ ე ბ ი ს მხრივ ინტელიგენტთა ო რ გ ა ნ ი ზ ა ტ ო რ უ ლ ი მუშაობის მიმართ საკმაო კონტროლის უ ქ ო ნ ლ ო ბ ი თ.

მუშები და გლეხები ჯერ კიდევ «მორცხვობენ», ამისაგან ისინი უნდა განთავისუფლდნენ და **უსათუოდ** განთავისუფლდებიან კიდევაც. განათლებული ადამიანების, ინტელიგენტების, სპეციალისტების რჩევის, სახელმძღვანელო მითითების გარეშე იოლად ვერ წავალთ. ყოველ ცოტად თუ ბევრად გაგებულ მუშას და გლეხს ჩინებულად ესმის ეს, და ჩვენი წრის ინტელიგენტებს არ შეუძლიათ საყვედური თქვან, რომ მუშები და გლეხები მათ საკმაო ყურადღებას არ აქცევენ და ამხანაგურად პატივს არ სცემენ. მაგრამ ერთია — რჩევა და სახელმძღვანელო მითითება, მეორეა—**პრაქტიკული** აღრიცხვისა და კონტროლის ორგანიზაცია. ინტელიგენტები სულ ხშირად ჩინებულ რჩევას და სახელმძღვანელო მითითებებს იძლევიან, მაგრამ პირდაპირ სასაცილო, შ ე უ ს ა ბ ა მ ო,

სამარცხვინო «უხერხემლობას», უუნარობას იჩენენ ამ რჩევათა და მითითებათა განხორციელების საქმეში, **პრაქტიკული** კონტროლის განხორციელების საქმეში, რათა სიტყვა საქმედ იქცეს.

აი აქ «ხალხიდან», მუშებიდან და მშრომელი გლეხებიდან გამოსული პრაქტიკოს-ორგანიზატორების დაუხმარებლად და მათი **ხელმძღვანელი როლის გარეშე** ვერავითარ შემთხვევაში იოლად ვერ წახვალ. «ქოთნებს ღმერთები როდი გამოწვავენ» — ეს ჭეშმარიტება ყველაზე უფრო მაგრად უნდა დაიხსომონ მუშებმა და გლეხებმა. მათ უნდა გაიგონ, რომ ახლა მთელი საქმე პრაქტიკაა, რომ დადგა სწორედ ის ისტორიული მომენტი, როდესაც თეორია იქცევა პრაქტიკად, სულდგმულდება პრაქტიკით, სწორდება პრაქტიკით, მოწმდება პრაქტიკით, როდესაც განსაკუთრებით სწორია მარქსის სიტყვები: «პრაქტიკული მოძრაობის ყოველი ნაბიჯი დუჟინ პროგრამაზე უფრო მნიშვნელოვანია»[93], — ყოველი ნაბიჯი მდიდართა და გაიძვერათა პრაქტიკული რეალური ალაგმვის, ფრთების შეკვეცის, სრული აღრიცხვისა და მეთვალყურეობის ქვეშ დაყენების საქმეში უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მრავალი შესანიშნავი მსჯელობა სოციალიზმის შესახებ. ვინაიდან «თეორია, ჩემო მეგობარო, უფერულია, მწვანედ გაშლილია მხოლოდ ცხოვრების მარადი ხე».

უნდა მოვაწყოთ მუშა და გლეხ პრაქტიკოს-ორგანიზატორთა შეჯიბრება ერთმანეთს შორის. უნდა ვებრძოლოთ ყოველგვარ შაბლონს და ერთფეროვნების დამყარების ცდას ზევიდან, რაც ასე ჩვევიათ ინტელიგენტებს. დემოკრატიულ და სოციალისტურ ცენტრალიზმთან საერთო არაფერი აქვს არც გაშაბლონებას და არც ერთფეროვნების დამყარებას ზევიდან. ერთიანობას ძირითადში, მთავარში, არსებითში კი არ არღვევს, არამედ უზრუნველყოფს მრავალგვაროვნებას წვრილმანებში, ადგილობრივ თავისებურებებში, საქმისადმი მიდგომის ხერხებში, კონტროლის განხორციელების საშუალებებში, პარაზიტების (მდიდრებისა და გაიძვერების, ინტელიგენტ დოყლა-

პიებისა და ისტორიული პირების და სხვ. და სხვ.) მოსპობისა და გაუვნებლების გ ზ ე ბ შ ი.

პარიზის კომუნამ დაგვანახვა დიადი ნიმუში იმისა, თუ როგორ უერთდება ერთმანეთს ქვედაფენის თაოსნობა, დამოუკიდებლობა, მოძრაობის თავისუფლება, ენერგიის გაქანება — და ნებაყოფლობითი, შაბლონს მოკლებული, ცენტრალიზმი. ჩვენი საბჭოებიც იმავე გზას ადგიან. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ «მორცხვობენ», ჯერ კიდევ ვერ გაშლილან, ვერ «შეწყობიან» სოციალისტური წესწყობილების შექმნის ახალ, დიად, შემოქმედებითს მუშაობას. საჭიროა საბჭოებმა უფრო თამამად, უფრო მეტი თაოსნობით მოჰკიდონ ხელი საქმეს. საჭიროა, რომ თვითეული «კომუნა» — ყოველი ფაბრიკა, ყოველი სოფელი, ყოველი სამომხმარებლო საზოგადოება, მომარაგების ყოველი კომიტეტი — გამოვიდნენ და შ ე ე ჯ ი ბ რ ო ნ ერთმანეთს, როგორც შრომის და პროდუქტების განაწილების აღრიცხვისა და კონტროლის პრაქტიკული ორგანიზატორები. ამ აღრიცხვისა და კონტროლის პროგრამა მარტივი, ნათელი და ყველასთვის გასაგებია: პური რომ უნდა ჰქონდეს ყველას, ყველას ეცვას მაგარი ფეხსაცმელი და მთელი ტანსაცმელი, ჰქონდეს თბილი ბინა, ყველა კეთილსინდისიერად მუშაობდეს, არც ერთი გაიძვერა (მათ შორის მუშაობისაგან თავის დამძვრენიც) არ სეირნობდეს თავისუფლად, არამედ საპყრობილეში იჯდეს ან სასჯელს იხდიდეს უმძიმესი სახის იძულებითს სამუშაოებზე, რომ ვერც ერთმა მდიდარმა, რომელიც არღვევს სოციალიზმის წესებს და კანონებს, ვერ აიცილოს თავიდან გაიძვერას ხვედრი, რომელიც სამართლიანად მდიდრის ხვედრიც უნდა გახდეს. «ვინც არ მუშაობს, ის არც უნდა სჭამდეს» — აი სოციალიზმის პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მცნება. აი რა უნდა მოგვარდეს პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ. აი როგორი პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი წარმატებებით უნდა ამაყობდნენ ჩვენი «კომუნები» და ჩვენი მუშა და გლეხი ორგანიზატორები, მით უფრო ინტელიგენტი ორგანიზატორები (მით უ ფ რ ო, რადგან ისინი მ ე ტ ი ს მ ე ტ ა დ მიეჩვევნენ, გ ა დ ა ჭ ა რ ბ ე ბ უ ლ ა დ

მიეჩვევნენ თავიანთი მითითებებითა და რეზოლუციებით ამაყობას).

მდიდრების, გაიძვერებისა და მუქთახორების მიმართ პრაქტიკული აღრიცხვისა და კონტროლის ათასნაირი ფორმები და წესები უნდა შემუშავდეს და გამოიცადოს პრაქტიკულად თვით კომუნების, წვრილი უჯრედების მიერ სოფლად და ქალაქად. აქ ნაირსახეობა თავდებია ცხოველმყოფელობისა, საწინდარია წარმატებისა საერთო ერთიანი მიზნის მიღწევაში: რუსეთის მიწა-წყლის გ ა ნ წ მ ე ნ დ ა ში ყოველგვარი მავნე მწერებისაგან, რწყილებისაგან — გაიძვერებისაგან, ბაღლინჯოებისაგან — მდიდრებისაგან და სხვა და სხვა. ერთ ადგილას საპყრობილეში ჩააჯენენ ათეულ მდიდარს, დუჟინ გაიძვერას, ნახევარ დუჟინ მუშას, რომლებიც გაურბიან მუშაობას (ისევე ხულიგნურად, როგორც მუშაობას გაურბის ჰიტლერის ბევრი ასოთამწყობი, განსაკუთრებით პარტიულ სტამბებში). მეორე ადგილას დააყენებენ მათ ფეხისადგილების საწმენდად. მესამე ადგილას მისცემენ მათ, კარცერის მოხდის შემდეგ, ყვითელ ბილეთებს, რათა, ვიდრე გამოსწორდებოდნენ, მთელი ხალხი მეთვალყურეობდეს მათ, როგორც მ ა ვ ნ ე ადამიანებს. მეოთხე ადგილას დახვრეტენ იქვე ერთს მუქთახორობაში დამნაშავე ათეულიდან. მეხუთე ადგილას მოიგონებენ სხვადასხვა საშუალების კომბინაციებს და, მაგალითად, პირობითი განთავისუფლებით ჩქარა გამოასწორებენ მდიდრებიდან, ბურჟუაზიული ინტელიგენტებიდან, გაიძვერებიდან და ხულიგნებიდან გამოსულ ელემენტებს, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია. რაც უფრო მრავალგვარია, მით უკეთესი, მით უფრო მდიდარი იქნება საერთო გამოცდილება, მით უფრო ნამდვილი და სწრაფი იქნება სოციალიზმის წარმატება, მით უფრო ადვილად შეიმუშავებს პრაქტიკა — რადგან მხოლოდ პრაქტიკა შეიმუშავებს ხოლმე — ბრძოლის ს ა უ კ ე თ ე ს ო წესებსა და საშუალებებს.

რომელ კომუნაში, დიდი ქალაქის რომელ უბანში, რომელ ფაბრიკაში, რომელ სოფელში ა რ ა რ ი ა ნ მშივრები, ა რ ა რ ი ა ნ უმუშევარნი, ა რ ა რ ი ა ნ მდიდარი მუქთახორები,

ა რ ა რ ი ა ნ არამზადები ბურჟუაზიის ლაქიებიდან, მესაბოტაჟენი, რომლებიც თავიანთ თავს ინტელიგენტებს უწოდებენ? სად უფრო მეტია გაკეთებული შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად? ახალი კარგი სახლების ასაშენებლად ღარიბთათვის, მათ მოსათავსებლად მდიდრების სახლებში? ღარიბ ოჯახთა თვითეული ბავშვის ბოთლი რძით წესიერად მოსამარაგებლად? — აი რა საკითხების ნიადაგზე უნდა გაიშალოს შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა კომუნების, თემების, სამომხმარებლო-საწარმოო საზოგადოებებისა და ამხანაგობებისა, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისა. აი **პრაქტიკულად** რა სამუშაოს ნიადაგზე უნდა გამოირჩეს და დაწინაურდეს, საერთო-სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის საქმეში, **ორგანიზატორი ტალანტები.** ასეთი ტალანტი ბევრია ხალხში. ისინი მხოლოდ ჩახშული არიან. საჭიროა გასაქანი მიეცეთ მათ. მათ **და მხოლოდ მათ** შეუძლიათ, მასების დახმარებით, იხსნან რუსეთი და იხსნან სოციალიზმის საქმე.

დაწერილია 1917 წ. 25 — 28 დეკემბერს
(1918 წ. 7 — 10 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1929 წ. 20 იანვარს
გაზეთში «პრავდა» № 17
ხელმოწერა: ვ. ლ ე ნ ი ნ ი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

პროექტი დეკრეტისა სამომხმარებლო კომუნების შესახებ[94]

კაპიტალისტთა შორის მათი ნაძარცვი ნადავლის გაყოფის გულისთვის ამტყდარი ბრძოლით გამოწვეულმა ომმა გაუგონარ ნგრევამდე მიგვიყვანა. დანაშაულებრივმა სპეკულაციამ და მოგების გამოდევნებამ, განსაკუთრებით მდიდარ კლასებს შორის, კიდევ უფრო გაამწვავა ეს ნგრევა, შიმშილობის ტანჯვამდე და უმუშევრობამდე მიიყვანა ასიათასობით და მილიონობით ადამიანი. დამშეულთა დასახმარებლად და სპეკულანტებთან დაუნდობელი ბრძოლის საწარმოებლად საგანგებო ღონისძიებათა მიღების საჭიროება აიძულებს მუშათა და გლეხთა მთავრობას შემოიღოს, როგორც რუსეთის რესპუბლიკის კანონი, შემდეგი წესები:

სახელმწიფოს ყველა მოქალაქე უნდა ეკუთვნოდეს ადგილობრივ სამომხმარებლო საზოგადოებას (სასოფლოს, საოლოსტოს, სადაბოს ან ქალაქის განსაზღვრული ნაწილის, ქუჩის ნაწილის და სხვ. გამაერთიანებელ საზოგადოებას).

ოჯახების დაჯგუფება სამომხმარებლო საზოგადოებებში თავისუფალია, მხოლოდ იმ შეზღუდვით, რომ თვითეული საზოგადოების ოჯახთა რაოდენობის ²/₃-ზე არანაკლები უნდა ეკუთვნოდეს ხელმოკლე კლასებს (ე. ი. მუშებს, გლეხებს, რომლებიც სრულიად არ იყენებენ დაქირავებულ მუშებს, და სხვ.).

თვითეული სამომხმარებლო საზოგადოება, პროდუქტთა შესყიდვისა და განაწილების გარდა, განაგებს ადგილობრივი

პროდუქტების გასაღების საქმეს. სამომხმარებლო საზოგადოებათა გამგეობები ადგენენ მ ო მ ა რ ა გ ე ბ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ს, და მომარაგების სათანადო კომიტეტის წერილობითი მოწმობის გარეშე აკრძალულია პროდუქტების ყოველგვარი გადაზიდვა.

ხდება არსებულ სამომხმარებლო საზოგადოებათა ნაციონალიზაცია, და ეს საზოგადოებები ვალდებულებას კისრულობენ თავიანთ შემადგენლობაში შეიყვანონ მთელი ადგილობრივი მოსახლეობა გამოუკლებლივ.

კერძო პირებს პროდუქტები შეუძლიათ იყიდონ არა მარტო ადგილობრივ, არამედ ცენტრალურ საწყობებშიც, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს მხოლოდ ადგილობრივი სამომხმარებლო საზოგადოების დავთრებში აღნიშვნით.

პროდუქტების გადაზიდვა და ყიდვა-გაყიდვა მომარაგების კომიტეტთა მოწმობის გარეშე ისჯება დამნაშავის მთელი ქონების კონფისკაციით, დატუსაღებით ნახევარ წელზე არანაკლები ვადით და იძულებითს სამუშაოზე გაყვანით.

პროდუქტების გადაზიდვის და ყიდვა-გაყიდვის მოწმობა უნდა იწერებოდეს ორ ცალად, მას ხელს უნდა აწერდეს მომარაგების სათანადო კომიტეტის გამგეობის სამ წევრზე არანაკლები და ერთი ეგზემპლარი აუცილებლად უნდა ინახებოდეს გამგეობის საქმეებში.

ყოველ მოწმობაში აღნიშნული უნდა იყოს: რომელი სამომხმარებლო საზოგადოებიდანაა პროდუქტი გაგზავნილი და რომელში უნდა იქნეს მიტანილი.

სატელეგრაფო კანტორები მომარაგების კომიტეტების დეპეშებს გზავნიან რიგგარეშე.

მომარაგების ყველა კომიტეტი მოქმედებს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კონტროლით და მითითებებით.

თავისი სამომხმარებლო საზოგადოების საშუალებით ყველას შეუძლია შეიძინოს ყოველგვარი პროდუქტი, სრულიად შეუზღუდავად, გარდა იმ შემზღუდველი წესებისა, რომლებიც

შეიძლება დაწესდეს უცხოეთიდან პროდუქტების შემოტანისათვის.

პროდუქტები, რომლებიც გასასაღებლად მზადდება, აუცილებლად უნდა ჩაბარდეს მომარაგების ადგილობრივ კომიტეტს თავისუფალ ფასებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი აწესებს მტკიცე ფასებს. პროდუქტებისთვის გადასახდელი ფული იწერება მესაკუთრის მიმდინარე ანგარიშზე სახალხო ბანკის ადგილობრივ (სასოფლო, სავოლოსტო, საქალაქო, საფაბრიკო და სხვ.) განყოფილებაში.

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების თვითეული საბჭო ვალდებულია შეადგინოს კონტროლიორთა, რევიზორთა და ინსტრუქტორთა ჯგუფები მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად სამომხმარებლო საზოგადოებების (მომარაგების კომიტეტების) მოწყობის საქმეში და მათი ანგარიშგების, აგრეთვე მთელი მათი საქმის წარმოების შესამოწმებლად.

ინსტრუქცია მომარაგების კომიტეტებისათვის ანგარიშგების და მიწერ-მოწერის წარმოების შესახებ ცალკე იქნება გამოცემული.

დაწერილია *1917* წ. 25 — 28 დეკემბერს
(1918 წ. 7 — 10 იანვარს)

პირველად დაიბეჭდა 1929 წ. 22 იანვარს
ცაკ-ის გაზეთ «იზვესტიაში» № 18

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წ. 30 დეკემბრის (1918 წ. 12 იანვრის) დადგენილება რადის პასუხზე სახალხო კომისართა საბჭოსადმი

სახალხო კომისართა საბჭო აღიარებს, რომ რადის პასუხი იმდენად გაურკვეველი და მიკიბულ-მოკიბულია, რომ იგი აბუჩად აგდებას უდრის. რადასთან უთანხმოების ძირითადი წყარო იყო ის გარემოება, რომელიც სახალხო კომისართა საბჭომ ნათლად აღნიშნა თავის პირველ მიმართვაში, როცა საზავო მოლაპარაკების წინადადება მისცა რადას *. სახელდობრ, ამ მიმართვაში ნათქვამი იყო, რომ რადის მხრივ კალედინელთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი დახმარება ჩვენთვის წარმოადგენს უეჭველ საფუძველს რადის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დასაწყებად. კალედინის ირგვლივ ჯგუფდებიან რუსეთის ყველა კუთხიდან თავმოყრილი მემამულური და ბურჟუაზიული კონტრრევოლუციური ელემენტები. კალედინის წინააღმდეგ აშკარად დგას გლეხების და მშრომელი კაზაკობის უმრავლესობა დონშიც კი. საბჭოთა ხელისუფლების ცნობა რუსეთის მოსახლეობის და პირველ ყოვლისა ყველა ერის მშრომელი მასების უმრავლესობის მიერ, ყველასთვის აშკარა ფაქტია. თვით უკრაინაში უკრაინელი მშრომელი კლასების რევოლუციური მოძრაობა საბჭოებისათვის მთელი ძალაუფლების გადასაცემად თანდათან უფრო ძლიერდება და უახლოეს მომავალში უკრაინის ბურჟუაზიაზე გამარჯვების იმედს იძლევა.

---

* იხ. ეს ტომი, გვ. 420 — 422. რ ე დ.

ის გარემოება, რომ რადა თავს არიდებს პასუხის გაცემას კითხვაზე, წყვეტს თუ არა იგი კალედინელთა პირდაპირ და არაპირდაპირ დახმარებას, ფუშავს ჩვენს მიერ დაწყებულ საზავო მოლაპარაკებას და რადას აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას სამოქალაქო ომის განგრძობისათვის, რომელიც დაიწყეს სხვადასხვა ერის ბურჟუაზიულმა კლასებმა და რომელიც სრულიად უიმედოა, რადგან მუშების, გლეხებისა და არმიის უდიდესი უმრავლესობა გადაჭრით ემხრობა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

ხოლო უკრაინელთა ნაციონალურ მოთხოვნებს, მათი სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ფედერაციული ურთიერთობის მოთხოვნის მის უფლებას, სახალხო კომისართა საბჭო სავსებით აღიარებს და ეს არავითარ დავას არ იწვევს.

ცაკ-ის «იზვესტია» № 264,
1917 წ. 31 დეკემბერი

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა სოციალისტური არმიის პირველი ეშელონების გაცილებისას 1918 წ. 1 (14) იანვარს[95]

მოკლე საგაზეთო ანგარიში

ამხანაგებო, თქვენი სახით მივესალმები რუსეთის პროლეტარიატის მტკიცე გადაწყვეტილებას — იბრძოლოს რუსეთის რევოლუციის გამარჯვებისათვის, მისი დიადი ლოზუნგების გამარჯვებისათვის არა მარტო ჩვენს მიწა-წყალზე, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა შორისაც. თქვენი სახით მივესალმები სოციალისტური არმიის იმ პირველ გმირ-მოხალისეებს. რომლებიც შექმნიან ძლიერ რევოლუციურ არმიას. და ეს არმია მოწოდებულია დაიცვას რევოლუციის მონაპოვარნი, ჩვენი სახალხო ხელისუფლება, ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, მთელი ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული წყობილება ხალხის ყველა მტრისაგან, რომლებიც დღეს ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ რევოლუციის დასაღუპავად. ეს მტრებია — მთელი მსოფლიოს კაპიტალისტები, რომლებიც ამჟამად აწყობენ ლაშქრობას რუსეთის იმ რევოლუციის წინააღმდეგ, რომელსაც ხსნა მოაქვს ყველა მშრომელისთვის. უნდა დავანახვოთ ყველას, რომ ჩვენ წარმოვადგენთ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს დასძლიოს ყველა დაბრკოლება მსოფლიო რევოლუციის გზაზე. დაე სანგრებში მიმავალმა ამხანაგებმა გაამხნეონ სუსტნი, გაამაგრონ მერყევნი და თავიანთი პირადი მაგალითით აღაფრთოვანონ დაღლილნი. უკვე იღვიძებენ ხალხები, უკვე ესმით მათ ჩვენი რევოლუციის მხურვალე მოწოდება, და ჩვენ მალე აღარ ვიქნებით მარტონი, ჩვენს არმიას შეემატებიან სხვა

ქვეყნების პროლეტარული ძალები. (ამხანაგ ლენინის სიტყვები დაჰფარა მისალმებათა ყიჟინმა და ხანგრძლივმა ტაშმა... «ინტერნაციონალის» სიმღერით გააცილეს ავტომობილამდე ამხანაგი ლენინი სოციალისტური არმიის მოხალისეებმა.)

«პრავდა» № 3 (სალამოს გამოშვება), 1918 წ. 17 (4) იანვარი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ლაპარაკი პირდაპირი მავთულით[96]

1

1918 წ. 2 (15) იანვარი.

— აპარატთან არის ლენინი. აი ეს-არის მივიღე თქვენი საგანგებო წერილი. სტალინი აქ არ არის და ჯერ არ შემეძლო მეჩვენებინა მისთვის. თქვენი გეგმა სადისკუსიოდ მეჩვენება. ხომ არ შეიძლება რამდენიმე ხნით მაინც გადადოთ მისი საბოლოო განხორციელება და უკანასკნელი გადაწყვეტილება მიიღოთ აქ ცაკ-ის სპეციალური სხდომის შემდეგ? როგორც კი დაბრუნდება სტალინი, მასაც ვუჩვენებ წერილს. ლ ე ნ ი ნ ი.

— ვიდრე თქვენს შეკითხვაზე გიპასუხებდეთ, მინდოდა ჯერ მოვთათბირებოდი სტალინს. დღეს თქვენთან მოემგზავრება უკრაინის — ხარკოვის ცაკ-ის დელეგაცია, რომელმაც დამარწმუნა, კიევის რადა სულს ღაფავსო. ლ ე ნ ი ნ ი.

2

1918 წ. 5 (18) იანვარი.

ეს-არის ახლა მოვიდა სტალინი, განვიხილავთ ერთად და ახლავე მოგცემთ ერთობლივ პასუხს.

ლ ე ნ ი ნ ი

3

გადაეცით ტროცკის. ვთხოვთ დანიშნოს შესვენება და გამოემგზავროს პიტერს. ლ ე ნ ი ნ ი. ს ტ ა ლ ი ნ ი.

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ჟურნალში «პროლეტარსკაია რევოლუცია» № 5

იბეჭდება ტელეგრაფის ლენტის მიხედვით

(1

Декларація прав трудящагося и эксплуатируемаго народа.

Утвер. Совдепом 3 января:

I 1. Россія провозглашена республикой Советов Рабочих, Солдатских и Крестьянских Депутатов. Все власть в центре и на местах принадлежит этим Советам.

2. Советская российская республика устанавливается на федерации свободных республик, как национальных, так и территориальных.

II Ставя своей основной задачей уничтожение всякого эксплуатирования человека человеком, полное упразднение деления общества на классы, беспощадное подавление сопротивления эксплуататоров, установление социалистической организации общества и победу социализма во всех странах, Утвер. Совдепом 3 января:

1. Частная собственность на землю отменяется. Все земли, со всем инвентарем и прочими принадлежностями с.-х. производства, объявляются достоянием всего трудящагося народа.

Пирвели гвердი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია». - 1918 წ. იანვარი.

დაპატარავებულია

მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია[97]

დამფუძნებელი კრება ადგენს:

I. 1. რუსეთი ცხადდება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკად. მთელი ძალაუფლება ცენტრში და ადგილებზე ამ საბჭოებს ეკუთვნის.

2. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა მყარდება თავისუფალ ერთა თავისუფალი კავშირის საფუძველზე, როგორც საბჭოთა ნაციონალური რესპუბლიკების ფედერაცია.

II. თავის ძირითად ამოცანად ისახავს რა ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობას, საზოგადოების კლასებად დაყოფის სრულიად გაუქმებას, ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ულმობელ დათრგუნვას, საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციის დამყარებას და სოციალიზმის გამარჯვებას ყველა ქვეყანაში, დამფუძნებელი კრება შემდეგ ადგენს:

1. მიწის კერძო საკუთრება უქმდება. მთელი მიწა მთელი შენობებით, ინვენტარით და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა მოწყობილობით, ცხადდება მთელი მშრომელი ხალხის კუთვნილებად.

2. დასტურდება საბჭოთა კანონი მუშათა კონტროლისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შესახებ ექსპლოატატორების მიმართ მშრომელი ხალხის ძალაუფლების უზრუნველსაყოფად და როგორც პირველი ნაბიჯი ფაბრიკების, ქარხნების, მაღაროების, რკინიგზების და წარმოებისა

და ტრანსპორტის სხვა საშუალებათა მთლიანად მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საკუთრებად გადასასვლელად.

3. დასტურდება ყველა ბანკის მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საკუთრებად გადასვლა, როგორც ერთ-ერთი პირობა კაპიტალის უღლისაგან მშრომელი მასების განთავისუფლებისა.

4. საზოგადოების პარაზიტული ფენების მოსპობის მიზნით შემოღებულია შრომის საყოველთაო ბეგარა.

5. მშრომელი მასებისთვის მთელი ძალაუფლების უზრუნველსაყოფად და ექსპლოატატორთა ხელისუფლების აღდგენის ყოველგვარი შესაძლებლობის მოსასპობად, ცხადდება მშრომელთა შეიარაღება, მუშათა და გლეხთა სოციალისტური წითელი არმიის შექმნა და შეძლებული კლასების სრული განიარაღება.

III. 1. დამფუძნებელი კრება გამოთქვამს ურყევ გადაწყვეტილებას ბრჭყალებიდან გამოჰგლიჯოს კაცობრიობა ფინანსურ კაპიტალს და იმპერიალიზმს, მთელი დედამიწა რომ სისხლით მორწყეს დღევანდელ ყველაზე დანაშაულებრივ ომში, და სავსებით უერთდება იმ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ახორციელებს საიდუმლო ხელშეკრულებათა გაუქმების, ამჟამად ერთმანეთს შორის მეომარი არმიების მუშებთან და გლეხებთან უფართოესი დაძმობილების ორგანიზაციისა და ერთა თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე, რადაც უნდა დაჯდეს, რევოლუციური ღონისძიებებით ხალხთა შორის უანექსიო და უკონტრიბუციო დემოკრატიული ზავის მიღწევის მეოხებით.

2. იმავე მიზნით დამფუძნებელი კრება დაჟინებით მოითხოვს სავსებით უარყოფილ იქნეს ბარბაროსული პოლიტიკა ბურჟუაზიული ცივილიზაციისა, რომელიც ზოგიერთი რჩეული ერის ექსპლოატატორების კეთილდღეობას ამყარებდა აზიის, საერთოდ კოლონიების და მცირე ქვეყნების მრავალი ასეული მილიონი მშრომელი მოსახლეობის დამონებაზე.

დამფუძნებელი კრება მიესალმება სახალხო კომისართა საბჭოს პოლიტიკას, რომელმაც (საბჭომ) აღიარა ფინეთის სრული დამოუკიდებლობა[98], დაიწყო ჯარების გამოყვანა სპარსეთიდან[99], გამოაცხადა სომხეთის თვითგამორკვევის თავისუფლება[100].

3. დამფუძნებელ კრებას საბჭოთა კანონი მეფის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის მთავრობების სასესხო ხელშეკრულებათა გაუქმების (მოსპობის) შესახებ მიაჩნია ლახვარის პირველ ჩაცემად საერთაშორისო საბანკო, ფინანსური კაპიტალისთვის, იგი გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ ივლის ამ გზით კაპიტალის უღლის წინააღმდეგ საერთაშორისო მუშათა აჯანყების სრულ გამარჯვებამდე.

IV. იყო რა არჩეული ოქტომბრის რევოლუციამდე შედგენილი პარტიული სიების მიხედვით, როდესაც ხალხს ჯერ კიდევ არ შეეძლო მასობრივად გაელაშქრნა ექსპლოატატორების წინააღმდეგ, როდესაც მან არ იცოდა ექსპლოატატორების წინააღმდეგობის მთელი ძალა თავიანთი კლასობრივი პრივილეგიების დაცვის დროს, ჯერ კიდევ არ შედგომოდა პრაქტიკულად სოციალისტური საზოგადოების აშენებას, დამფუძნებელი კრება ფორმალური თვალსაზრისითაც კი სრულიად არასწორად ჩათვლიდა თავისი თავი დაეპირისპირებინა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

არსებითად კი დამფუძნებელი კრება ფიქრობს, რომ დღეს, ექსპლოატატორების წინააღმდეგ ხალხის უკანასკნელი ბრძოლის მომენტში, — ექსპლოატატორები ვერ დარჩებიან ხელისუფლების ვერც ერთ ორგანოში. ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეთ საკუთრებით და მხოლოდ და მხოლოდ მშრომელ მასებს და მათს სრულუფლებიან წარმომადგენლობას — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს.

მხარს უჭერს რა საბჭოთა ხელისუფლებას და სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტებს, დამფუძნებელი კრება ფიქრობს, რომ მისი ამოცანები ამოიწურება საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ძირითადი საფუძვლების ჩაყრით.

ამასთან ერთად, ისწრაფვის რა შექმნას რუსეთის ყველა ერის მშრომელ კლასთა ნამდვილად თავისუფალი და ნებაყოფლობითი, მაშასადამე, მით უფრო მჭიდრო და მტკიცე კავშირი, დამფუძნებელი კრება თავის ამოცანას ზღუდავს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის ძირითადი საფუძვლების დამყარებით და უფლებას ანიჭებს თვითეული ერის მუშებს და გლეხებს მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება თავიანთ საკუთარ უფლებამოსილ საბჭოთა ყრილობაზე, სურთ თუ არა მათ და რა საფუძველზე სურთ მიიღონ მონაწილეობა ფედერალურ მთავრობაში და დანარჩენ ფედერალურ საბჭოთა დაწესებულებებში.

დაწერილია 1918 წ. იანვრის დამდეგს

დაიბეჭდა 1918 წ. 17 (4) იანვარს გაზეთში «პრავდა» № 2

ხელნაწერის მიხედვით

არმიის დემობილიზაციის გამო მოწვეულ საერთო-საარმიო ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

ამხ. პოდვოისკიმ გადმომცა თქვენი წინადადება და გთხოვთ მომიტევოთ, ცუდად არ გაიგოთ, რომ იძულებული ვარ დავჯერდე წერილის მოწერას. მხურვალედ მივესალმები იმის რწმენას, რომ სოციალისტური არმიის შექმნის დიად ამოცანას, მიმდინარე მომენტის მთელ სიძნელესთან დაკავშირებით, და მიუხედავად ამ სიძნელეებისა, თქვენ წარმატებით გადაწყვეტთ. ჩვენ განვიცდით, შესაძლოა, რევოლუციის ერთ-ერთ კრიზისულ პერიოდს, როცა საბჭოთა ხელისუფლებას ემუქრება გარეშე მტერიც — გერმანიის და სხვა ქვეყნების იმპერიალისტები — და შინაური მტერიც — კონტრრევოლუცია, რომელიც ეფარება აგრეთვე ლოზუნგს: «მთელი ძალაუფლება» დამფუძნებელ კრებას».

ჩვენ დავძლევთ ამ კრიზისსაც. ოდნავი ეჭვიც არ არის ამისა! საბჭოების მიერ მოპოვებული ძალაუფლება საბჭოებსვე დარჩება. სოციალისტური რევოლუცია დაიწყო. იგი განაგრძობს გზას გამარჯვებისაკენ როგორც რუსეთში, ისე მთელ მსოფლიოში.

მუშაობაში წარმატებისა და სიმხნევის საუკეთესო სურვილებით.

თქვენი ლენინი

(წერილს ხვდებიან ძლიერი, ხანგრძლივი ტაშით.)

დაწერილია 1918 წ.
1 — 3 (14 — 16) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1918 წ.
6 (19) იანვარს გაზეთში
«არმია ი ფლოტ რაბოჩეი ი კრესტიანსკოი როსსიი» № 4

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1918 წ. 3 (16) იანვრის დადგენილება

ოქტომბრის რევოლუციის ყველა მონაპოვრის საფუძველზე და თანახმად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ა. წ. 3 იანვრის სხდომაზე მიღებული მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის დეკლარაციისა მთელი ძალაუფლება რუსეთის რესპუბლიკაში ეკუთვნის საბჭოებს და საბჭოთა დაწესებულებებს. ამიტომ, ყოველგვარი ცდა სახელმწიფო ხელისუფლების ამა თუ იმ ფუნქციის მითვისებისა, ვისი მხრივაც ან რომელი დაწესებულების მხრივაც უნდა იყოს ეს, მიჩნეული იქნება როგორც კონტრრევოლუციური მოქმედება. ყოველგვარი ასეთი ცდა ჩახშობილი იქნება საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საშუალებით. შეიარაღებული ძალის გამოყენების ჩათვლით.

«პრავდა» № 2,
1918 წ. 17 (4) იანვარი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

რსდმ პარტიის (ბოლშევიკების) ფრაქციის დეკლარაცია, გამოქვეყნებული დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1918 წ. 5 (18) იანვარს

მშრომელი რუსეთის დიდმა უმრავლესობამ — მუშებმა, გლეხებმა, ჯარისკაცებმა—დამფუძნებელ კრებას წარუდგინეს მოთხოვნა — აღიაროს დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარნი, საბჭოთა დეკრეტები მიწის, ზავის, მუშათა კონტროლის შესახებ და უპირველეს ყოვლისა აღიაროს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელისუფლება. სრულიად რუსეთის ცაკ-მა, რომელიც ასრულებს რუსეთის მშრომელი კლასების ამ უდიდესი უმრავლესობის ნებას, წინადადება მისცა დამფუძნებელ კრებას თავისთვის სავალდებულოდ აღიაროს ეს ნება. მაგრამ დამფუძნებელი კრების უმრავლესობამ, ბურჟუაზიის მოთხოვნების თანახმად, უარყო ეს წინადადება და ამით ბრძოლაში გამოიწვია მთელი რუსეთის მშრომელები.

დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობა მიიღო მემარჯვენე ესერების პარტიამ, კერენსკის, ავქსენტიევის, ჩერნოვის პარტიამ. ეს პარტია, რომელიც თავის თავს სოციალისტურს და რევოლუციურს უწოდებს, ხელმძღვანელობს ბურჟუაზიული ელემენტების ბრძოლას მუშათა და გლეხთა რევოლუციის წინააღმდეგ და სინამდვილეში წარმოადგენს ბურჟუაზიულ და კონტრრევოლუციურ პარტიას.

დამფუძნებელი კრება მისი ახლანდელი შემადგენლობით შედეგია ძალთა იმ თანაფარდობისა, რომელიც ჩამოყალიბდა დიდ ოქტომბრის რევოლუციამდე. დამფუძნებელი კრების ახლანდელი კონტრრევოლუციური უმრავლესობა, არჩეული

მოძველებული პარტიული სიების მიხედვით, გამოხატავს რევოლუციის გუშინდელ დღეს და ცდილობს წინ გადაეღობოს მუშათა და გლეხთა მოძრაობას.

კამათმა მთელი დღის განმავლობაში თვალნათლივ გვიჩვენა, რომ მემარჯვენე ესერების პარტია, როგორც კერენსკის დროსაც, დაპირებებით ჰკვებავს ხალხს, სიტყვით მას ყველაფერს და ყოველივეს ჰპირდება, ხოლო საქმით გადაწყვეტილი აქვს იბრძოლოს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელისუფლების წინააღმდეგ, სოციალისტური ღონისძიებების წინააღმდეგ, მიწისა და მთელი ინვენტარის უსასყიდლოდ გლეხებისთვის გადაცემის წინააღმდეგ, ბანკების ნაციონალიზაციის, სახელმწიფო ვალების გაუქმების წინააღმდეგ.

ჩვენ ერთი წუთითაც არა გვსურს ხელი დავაფაროთ ხალხის მტრების დანაშაულს, ამიტომ ვაცხადებთ, რომ ვტოვებთ დამფუძნებელ კრებას იმ განზრახვით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას მივანდოთ დამფუძნებელი კრების კონტრრევოლუციური ნაწილისადმი დამოკიდებულების საკითხის საბოლოო გადაწყვეტა.

«პრავდა» № 5 (ს

იმქვეყნიური ადამიანები

«ამაოდ დავკარგე დღე, ჩემო მეგობრებო». ასე ამბობს ერთი ძველი ლათინური ნათქვამი. უნებურად იგონებ მას, როცა ფიქრობ 5 იანვრის დღის დაკარგვაზე.

ცოცხალი, ნამდვილი, საბჭოური მუშაობის შემდეგ, მუშათა და გლეხთა შორის, რომლებიც გართული Არიან ᲡᲐᲥᲛᲘთ, ჩეხენ ტყეს და თხრიან მემამულური და კაპიტალისტური ექსპლოატაციის ძირკვებს, — უცბად მოგვიხდა გადასვლა «უცხო სამყაროში», ვიღაც იმქვეყნიდან მოსულებთან, ბურჟუაზიის და მის ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულ თუ შეუგნებელ მომხრეთა, დამქაშთა, მსახურთა და დამცველთა ბანაკიდან მოსულებთან. ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მშრომელი მასების, და მათი საბჭოთა ორგანიზაციის, ბრძოლის სამყაროდან — მოთაფლული ფრაზების, გასლექილი, ცარიელი დეკლამაციების, წინანდებურად კაპიტალისტებთან შემთანხმებლობაზე დამყარებული დაპირებების და კიდევ დაპირებების სამყაროში.

თითქოს ისტორიამ უცაბედად თუ შეცდომით თავისი საათი უკან გადასწია, და ჩვენს წინაშე 1918 წლის იანვრის ნაცვლად ერთი დღით 1917 წლის მაისი თუ ივნისი დადგა!

ეს საშინელებაა! ცოცხალი ადამიანების წრიდან მოხვდე ლეშთა საზოგადოებაში, ისუნთქო მძორის სუნი, უსმინო «სოციალური», ლუიბლანური ფრაზიორობის იმავე მუმიებს, ჩერნოვს» და წერეთელს, — ეს რაღაც აუტანელი რამაა.

მართალი იყო ამხ. სკვორცოვი, რომელმაც ორი-სამი მოკლე, ზუსტად გამოკვეთილი, მარტივი, მშვიდი და იმავე დროს შეუბრალებლად მკაცრი ფრაზით უთხრა მემარჯვენე ესერებს: «ჩვენს შორის ყველაფერი გათავებულია. ჩვენ ბოლომდე მიგვყავს ოქტომბრის რევოლუცია ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ჩვენ და თქვენ ბარიკადის სხვადასხვა მხარეზე ვართ».

პასუხად კი — გატკეცილ-გატკეცილი ფრაზების ნიაღვარი, ჩერნოვისა და წერეთლისა, რომლებიც გულმოდგინედ უვლიან გვერდს მხოლოდ (მხოლოდ!) ერთ საკითხს, საბჭოთა ხელისუფლების, ოქტომბრის რევოლუციის საკითხს. «ნუ მოხდება სამოქალაქო ომი, ნუ იქნება საბოტაჟიო», შეულოცავს ჩერნოვი რევოლუციას მემარჯვენე ესერების სახელით. მემარჯვენე ესერები კი, რომელთაც, თითქოს მიცვალებულთ კუბოში, სძინებიათ ნახევარი წელიწადი — 1917 წლის ივნისიდან 1918 წლის იანვრამდე, დგებიან ადგილიდან და გაცხარებით, დაჟინებით უკრავენ ტაშს. ეს მართლაც რა ადვილი და რა სასიამოვნოა: რევოლუციის საკითხების შელოცვით გადაწყვეტა. «ნუ მოხდება სამოქალაქო ომი, ნუ იქნება საბოტაჟი, ყველამ იცნოს დამფუძნებელი კრება», არსებითად რით განსხვავდება ეს შელოცვისაგან: შეურიგდნენ ერთმანეთს მუშები და კაპიტალისტები? სრულიად არაფრით. კალედინები და რიაბუშინსკები, მათი ყველა ქვეყნის იმპერიალისტი მეგობრებიანად, არც ტკბილად მოუბარი ჩერნოვის შელოცვით და არც წერეთლის გაუგებარი, მოუფიქრებელი, დამახინჯებული ჭკუისდამრიგებლური მოსაწყენი წიგნით არ მოისპობიან და არც შეცვლიან თავიანთ პოლიტიკას.

ან უნდა დავამარცხოთ კალედინები და რიაბუშინსკები, ან ხელი უნდა ავიღოთ რევოლუციაზე. ან გამარჯვება ექსპლოატატორებზე სამოქალაქო ომში, ან რევოლუციის დაღუპვა. ასე იდგა საკითხი ყ ვ ე ლ ა რევოლუციაში, ინგლისის XVII საუკუნის, საფრანგეთის XVIII საუკუნის, გერმანიის XIX საუკუნის რევოლუციებში. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ საკითხი ასე ა რ იდგეს რუსეთის XX

საუკუნის რევოლუციაში? როგორ მოხდება ეს, რომ მგლები ცხვრებად გადაიქცევიან?

წერეთელს და ჩერნოვს აზრის ნატამალი არ მოეპოვებათ, არავითარი სურვილი არა აქვთ აღიარონ ფაქტი კლასობრივი ბრძოლისა, რომელიც არა შემთხვევით, არა უეცრად, არა ვისიმე ჟინით ან ბოროტი ნებით, არამედ გარდუვალად, რევოლუციური განვითარების ხანგრძლივ პროცესში, გადაიქცა სამოქალაქო ომად.

მძიმე, მოსაწყენი და გულის გამაწვრილებელი დღე იყო თავრიდის სასახლის ლაზათიან სადგომებში, რომელიც თავისი შესახედაობითაც განსხვავდება სმოლნისაგან დაახლოებით ისე, როგორც ლაზათიანი, მაგრამ მკვდარი ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი განსხვავდება პროლეტარული, უბრალო, ბევრ რამეში ჯერ კიდევ მოუწესრიგებელი და დაუმთავრებელი, მაგრამ ცოცხალი და ცხოველმყოფელი საბჭოთა აპარატისაგან. იქ, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ძველ სამყაროში, ფ ა რ ი კ ა ო ბ დ ნ ე ნ ბურჟუაზიის მტრული კლასების და მტრული ჯგუფების ბელადები. აქ, პროლეტარულ-გლეხური, სოციალისტური სახელმწიფოს ახალ სამყაროში, ჩაგრული კლასები ცოტა არ იყოს უხეშად, უცოდინარად აკეთებენ *...

დაწერილია 1918 წ. 5 ან 6
(18 ან 19) იანვარს

პირველად დაიბეჭდა 1926 წ.
21 იანვარს გაზეთში «პრავდა» № 17

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

* ხელნაწერი აქ წყდება. რ ე დ.

პროექტი დეკრეტისა დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ [101]

რუსეთის რევოლუციამ სულ დასაწყისიდანვე წამოაყენა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, როგორც ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული კლასის მასობრივი ორგანიზაცია, რომელსაც ერთადერთს შესწევს უნარი უხელმძღვანელოს ამ კლასების ბრძოლას მათი სრული პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლებისათვის.

რუსეთის რევოლუციის მთელი პირველი პერიოდის მანძილზე საბჭოები მრავლდებოდნენ, იზრდებოდნენ და მაგრდებოდნენ, საკუთარი გამოცდილებით სძლევდნენ რა ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის ილუზიებს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარლამენტარიზმის ფორმების მატყუარობას და პრაქტიკულად იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ჩაგრული კლასების განთავისუფლება შეუძლებელია, თუ არ უკუვაგდეთ ეს ფორმები და ყოველგვარი შემთანხმებლობა. ამგვარად წარმოიშვა ოქტომბრის რევოლუცია, რომელმაც საბჭოებს გადასცა მთელი ძალაუფლება.

დამფუძნებელი კრება, რომელიც აირჩიეს ოქტომბრის რევოლუციამდე შედგენილი სიების მიხედვით, გამოხატავდა პოლიტიკური ძალების ძველ თანაფარდობას, როდესაც ხელისუფლების სათავეში შემთანხმებლები და კადეტები იყვნენ. ხალხი მაშინ ხმას აძლევდა ესერების პარტიის კანდიდატებს და მას არ შეეძლო არჩევანი მოეხდინა ბურჟუაზიის მომხრე მემარჯვენე ესერებსა და სოციალიზმის მომხრე მემარცხენე ესერებს შორის. ამრიგად ამ დამფუძნებელ კრებას, რომელიც

ბურჟუაზიული პარლამენტური რესპუბლიკის დაგვირგვინება უნდა ყოფილიყო, არ შეეძლო გზაზე არ გადაღობებოდა ოქტომბრის რევოლუციას და საბჭოთა ხელისუფლებას.

ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც ხელისუფლება არგუნა საბჭოებს და საბჭოების მეშვეობით — მშრომელ და ექსპლოატირებულ კლასებს, ექსპლოატატორების გააფთრებული წინააღმდეგობა გამოიწვია და ამ წინააღმდეგობის დათრგუნვაში სავსებით გამომჟღავნა თავი როგორც სოციალისტური რევოლუციის დასაწყისმა. მშრომელი კლასები გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ძველმა ბურჟუაზიულმა პარლამენტარიზმმა მოსჭამა თავისი დრო, რომ იგი სრულიად არ შეეფერება სოციალიზმის განხორციელების ამოცანებს, რომ შეძლებულ კლასთან წინააღმდეგობის დაძლევა და სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების ჩაყრა შეუძლია არა საერთო-ნაციონალურ დაწესებულებებს, არამედ მხოლოდ კლასობრივ დაწესებულებებს (როგორიცაა საბჭოები). საბჭოების სრულ ძალაუფლებაზე, ხალხის მიერ ბრძოლით მოპოვებულ საბჭოთა რესპუბლიკაზე ყოველგვარი უარისთქმა, ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის და დამფუძნებელი კრების სასარგებლოდ, ახლა იქნებოდა ნაბიჯის უკან გადადგმა და ოქტომბრის მთელი მუშურ-გლეხური რევოლუციის კრახი.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო 5 იანვარს შეკრებილმა დამფუძნებელმა კრებამ უმრავლესობა არგუნა მემარჯვენე ესერების პარტიას, კერენსკის, ავქსენტიევისა და ჩერნოვის პარტიას. ბუნებრივია, რომ ამ პარტიამ უარი განაცხადა განსახილველად მიეღო საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს, საბჭოების ცაკ-ის სრულიად ზუსტი, ცხადი, მართებული წინადადება—აღიაროს საბჭოთა ხელისუფლების პროგრამა, აღიაროს «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია», აღიაროს ოქტომბრის რევოლუცია და საბჭოთა ხელისუფლება. ამით დამფუძნებელმა კრებამ ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა თავის თავსა და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას შორის. ასეთი დამფუძნებელი კრებიდან ბოლშევიკების და მემარცხენე ესერების ფრაქციების

წასვლა, რომლებიც ამჟამად საბჭოებში აშკარა უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ და მუშების და გლეხების უმრავლესობის ნდობით სარგებლობენ, გარდუვალი იყო.

სინამდვილეში მემარჯვენე ესერების და მენშევიკების პარტიები, დამფუძნებელი კრების კედლებს გარეთ, უაღრესად თავგანწირულ ბრძოლას ეწევიან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აშკარად მოუწოდებენ თავიანთ ორგანოებში მისი დამხობისაკენ, თვითნებობასა და უკანონობას უწოდებენ ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებისათვის საჭირო მშრომელი კლასების ძალით ექსპლოატატორების წინააღმდეგობის დათრგუნვას, იცავენ კაპიტალის მოსამსახურე მესაბოტაჟეებს და იქამდე მიდიან, რომ შეულამაზებლად მოუწოდებენ ტერორისაკენ, რომლის განხორციელება უკვე დაიწყეს «უცნობმა ჯგუფებმა». ცხადია, დამფუძნებელი კრების დარჩენილ ნაწილს ამის გამო შეეძლო შეესრულებინა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად კონტრრევოლუციონერების ბრძოლის მხოლოდ საფარის როლი.

ამიტომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამფუძნებელი კრება დათხოვნილია.

დაწერილია 1918 წ. 6 (19) იანვარს

დაიბეჭდა 1918 წ. 7 იანვარს
ცაკ-ის გაზეთში «იზვესტია» № 5

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

სიტყვა დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე 1918 წ. 6 (19) იანვარს

ამხანაგებო! შეჯახება საბჭოთა ხელისუფლებასა და დამფუძნებელ კრებას შორის მომზადებულია რუსეთის რევოლუციის მთელი ისტორიით, რევოლუციის, რომელიც დაყენებული იყო საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის გაუგონარი ამოცანების წინაშე. 1905 წლის ამბების შემდეგ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ცარიზმის დღეები დათვლილია, და მან მხოლოდ სოფლის ჩამორჩენილობის და უვიცობის წყალობით დააღწია თავი უფსკრულს. 1917 წლის რევოლუციას თან ახლდა ის მოვლენა, რომ, ერთი მხრივ, ბურჟუაზიული იმპერიალისტური პარტია გარემოებათა გამო რესპუბლიკურ პარტიად გადაიქცა, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოიშვნენ დემოკრატიული ორგანიზაციები — საბჭოები, შექმნილნი ჯერ კიდევ 1905 წელს, რადგან სოციალისტებმა უკვე მაშინ გაიგეს, რომ ამ საბჭოების ორგანიზაციით იქმნება რაღაც დიადი, ახალი და მსოფლიო რევოლუციის ისტორიაში გაუგონარი. საბჭოები, რომელთა შექმნა ხალხმა სრულიად დამოუკიდებლად შესძლო, ეს არის დემოკრატიზმის ფორმა, რომლის მსგავსი არ არსებობს არც ერთ ქვეყანაში.

რევოლუციამ წამოაყენა ორი ძალა — მასების გაერთიანება ცარიზმის დასამხობად და მშრომელი ხალხის ორგანიზაციები. როდესაც ოქტომბრის რევოლუციის მოწინააღმდეგეთაგან მესმის ყვირილი სოციალიზმის იდეათა განუხორციელებლობის და უტოპიურობის შესახებ, ჩვეულებრივ ასეთ

შემთხვევაში ვაძლევ მათ უბრალო და ნათელ კითხვას: რა მოვლენაა ეს საბჭოები? რისი შედეგია მსოფლიო რევოლუციის განვითარების ისტორიაში ამ ჯერ გაუგონარი სახალხო ორგანიზაციების წარმოშობა? და ამ კითხვაზე მე არავისაგან არ მიმიღია და არც შემეძლო მიმეღო გარკვეული პასუხი. ბურჟუაზიული წყობილების დამყაყებული დაცვის გულისთვის ისინი ილაშქრებენ ამ მძლავრი ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომელთა წარმოშობა არავის უნახავს ჯერ მსოფლიოს არც ერთ რევოლუციაში. ვინც ებრძვის მემამულეებს, ის მიმართავს გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. საბჭოები მხურვალედ მიესალმება ყველას და თვითეულს, ვისაც არ სურს უმოქმედობა და შემოქმედებითი მუშაობის გზას ადგია. მათ მთელი ჩვენი ქვეყანა საბჭოების ქსელით მოჰფინეს, და რაც უფრო სქელი იქნება სახალხო საბჭოების ეს ქსელი, მით უფრო ნაკლებ შესაძლებელი გახდება მშრომელი ხალხის წარმომადგენელთა ექსპლოატაცია, რადგან საბჭოების არსებობა შეუთავსებელია ბურჟუაზიული წყობილების აყვავებასთან; ეს არის ბურჟუაზიის წარმომადგენლების ყველა ამ წინააღმდეგურობის წყარო, წარმომადგენლებისა, რომლებიც ეწევიან ბრძოლას ჩვენი საბჭოების წინააღმდეგ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესების გულისთვის.

კაპიტალიზმიდან სოციალისტურ წყობილებაზე გადასვლას თან ახლავს ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა. რუსეთის რევოლუცია, რომელმაც დაამხო ცარიზმი, განუხრელად უნდა წასულიყო წინ, არ დაკმაყოფილებულიყო ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებით, რადგან ომმა და მის მიერ წარმოშობილმა არაქათგამოლეულ ხალხთა გაუგონარმა გაჭირვებამ შექმნა ნიადაგი იმისათვის, რომ სოციალური რევოლუციის ცეცხლი დანთებულიყო. ამიტომაც იმაზე უფრო სასაცილო არაფერია, როცა ლაპარაკობენ, რომ რევოლუციის შემდგომი განვითარება, მასების შემდგომი აღშფოთება გამოიწვია რომელიმე ცალკე პარტიამ, ცალკეულმა პიროვნებამ ან, როგორც ისინი გაჰყვირიან, «დიქტატორის» ნებამ. რევოლუციის ხანძარი ანთო მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის

განუზომელ ტანჯვათა და ყველა იმ პირობის წყალობით, რაც გამოწვეულია ომით, რომელმაც მძაფრად და გადაჭრით დაუყენა საკითხი მშრომელ ხალხს: ან გადადგი გაბედული, თავგანწირული და უშიშარი ნაბიჯი, ან დაიღუპე — მოკვდი შიმშილით.

და რევოლუციური ცეცხლი იმაში გამოიხატა, რომ საბჭოები — მშრომელთა რევოლუციის ეს დასაყრდენი — შეიქმნა. რუსმა ხალხმა გიგანტური ნახტომი გააკეთა — ნახტომი ცარიზმიდან საბჭოებისკენ. ეს უცილობელი და ჯერ არსად არნახული ფაქტია. და იმ დროს, როდესაც ყველა ქვეყნის და სახელმწიფოს ბურჟუაზიული პარლამენტები, კაპიტალიზმისა და საკუთრების ფარგლებით შებოჭილნი, არსად და არასოდეს არავითარ დახმარებას არ უწევდნენ რევოლუციურ მოძრაობას, — საბჭოები აღვივებენ რევოლუციის ხანძარს და მბრძანებლურად უკარნახებენ ხალხს: — იბრძოლე, ჩაიგდე ხელში ყველაფერი და დაირაზმე. ეჭვი არ არის, რომ საბჭოების ძალით გამოწვეული რევოლუციის განვითარების პროცესში მთელი რიგი ყოველნაირი შეცდომები და მარცხი შეგვხვდება, მაგრამ არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ყოველ რევოლუციურ მოძრაობას მუდამ თან ახლავს ქაოსის, ნგრევისა და არეულობის დროებითი გამოხატულება. ბურჟუაზიული საზოგადოებაც იგივე ომია, იგივე სასაკლაოა, და ამ მოვლენამ გამოიწვია და გაამწვავა კონფლიქტი დამფუძნებელ კრებასა და საბჭოებს შორის, და იმათ, ვინც მიგვითითებს, რომ ჩვენ, რომლებიც ოდესღაც დამფუძნებელ კრებას ვიცავდით, ახლა მას «ვერეკებით», — მათ აზრის ნატამალიც არ გააჩნიათ და მხოლოდ მაღალფარდოვანი უშინაარსო ფრაზები აკერიათ პირზე. ვინაიდან ოდესღაც, ცარიზმთან და კერენსკის რესპუბლიკასთან შედარებით, დამფუძნებელი კრება ჩვენთვის მათი ხელისუფლების ყბადაღებულ ორგანოებზე უკეთესი იყო, მაგრამ საბჭოების წარმოშობისდამიხედვით, უკანასკნელნი, რა თქმა უნდა, როგორც საყოველთაო-სახალხო რევოლუციური ორგანიზაციები, შეუდარებლად უფრო მაღლა დადგნენ

მთელი მსოფლიოს ყველა პარლამენტზე, და ამ მოვლენას მე ხაზგასმით აღვნიშნავდი ჯერ კიდევ აპრილში. საბჭოებმა ძირფესვიანად დაამსხვრიეს ბურჟუაზიული და მემამულური საკუთრება, ხელი შეუწყვეს საბოლოო გადატრიალებას, რაც სპობს ბურჟუაზიული წყობილების ყოველგვარ კვალს, და დაგვაყენეს იმ გზაზე, რომელმაც ხალხი თავისი ცხოვრების მშენებლობამდე მიიყვანა. ჩვენ უკვე შევუდექით ამ დიად მშენებლობას და მშვენივრადაც მოვიქეცით, რომ შევუდექით. უეჭველია, რომ სოციალისტური რევოლუცია ერთბაშად ვერ მიერთმევა ხალხს სუფთა, გატკეცილი, უმწიკვლო სახით, მას შეუძლებელია თან არ ახლდეს სამოქალაქო ომი, საბოტაჟი და წინააღმდეგობა. ისინი კი, ვინც თქვენ წინააღმდეგს გიმტკიცებთ — ან მატყუარები არიან, ან ფუტლარის ადამიანები. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.) 20 აპრილის ამბებმა, როდესაც ხალხი დამოუკიდებლად, «დიქტატორების» ან პარტიების ყოველგვარი კარნახის გარეშე, მარტო გამოვიდა შემთანხმებლური მთავრობის წინააღმდეგ, — ამ მოვლენამ უკვე მაშინ გამოააშკარავა ბურჟუაზიის დასაყრდენის მთელი სისუსტე და უნიადაგობა. მასებმა იგრძნეს თავიანთი ძალა, და მათ გულის მოსაგებად დაიწყო ეს ცნობილი სამინისტრო ოთურმა ხალხის მოსატყუებლად, მაგრამ ხალხი მალე გამოფხიზლდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა კერენსკიმ, რომელსაც ორივე ჯიბეში ედო მძარცველური ფარული ხელშეკრულებები იმპერიალისტებთან, ჯარები დასძრა შეტევაზე. შემთანხმებელთა მთელი საქმიანობა თანდათან გაიგო მოტყუებულმა ხალხმა, რომელსაც მოთმინება აღარ ყოფნიდა, და აი ყოველივე ამის შედეგია ოქტომბრის რევოლუცია. ხალხი სწავლობდა გამოცდილებით, მან გაიარა წამება, სიკვდილით დასჯა და მასობრივი ხვრეტა, და მისი ჯალათები ამაოდ გვარწმუნებენ, რომ მშრომელთა აჯანყებაში ბრალი მიუძღვით ბოლშევიკებს ან ვინმე «დიქტატორებს». ამას ამტკიცებს გათიშვა ხალხის მასების წიაღში, ყრილობებზე, კრებებზე, კონფერენციებზე და სხვ.. ხალხის მიერ ოქტომბრის რევოლუციის შეთვისება დღემდეც არ დამთავრებულა. ამ რევოლუ-

ციან საქმით გვიჩვენა, თუ როგორ უნდა შეუდგეს ხალხი მიწის და ბუნებრივ სიმდიდრეთა ხელში აღებას, როგორ უნდა გადაეცეს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს მიმოსვლისა და წარმოების საშუალებები. მთელი ძალაუფლება საბჭოებს — ვთქვით ჩვენ, და ამისთვის ვიბრძვით კიდეც. ხალხს უნდოდა მოეწვია დამფუძნებელი კრება — და კიდევაც მოვიწვიეთ იგი. მაგრამ მან მყისვე იგრძნო, თუ რას წარმოადგენს ეს ყბადაღებული დამფუძნებელი კრება. და ახლა ჩვენ შევასრულეთ ხალხის ნება, რომელიც ამბობს: მთელი ძალაუფლება საბჭოებს. მესაბოტაჟეებს კი ჩვენ გავტეხთ. როდესაც მე ბობოქარი, სიცოცხლით სავსე სმოლნიდან თავრიდის სასახლეში მოვხვდი, ისე ვიგრძენი თავი, თითქოს ლეშთა და უსიცოცხლო მუმიებს შორის ვყოფილიყავი. იშველიებენ რა სოციალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ყოველგვარ საშუალებას, იყენებენ რა ძალას, საბოტაჟს, მათ კაცობრიობის დიადი სიამაყეც — ცოდნაც — გადააქციეს მშრომელი ხალხის ექსპლოატაციის იარაღად, და თუმცა ამით რამდენადმე შეარყიეს ნაბიჯები სოციალისტური რევოლუციისაკენ, მაგრამ მისი ჩაშლა ვერ მოახერხეს და ვერც ვერასოდეს მოახერხებენ. ვინაიდან მეტად დიდია ძლიერება საბჭოებისა, რომლებიც ამსხვრევენ ბურჟუაზიული წყობილების ძველ, დრომოჭმულ საფუძვლებს არა ბატონკაცურად, არამედ პროლეტარულად, გლეხურად.

და მთელი ძალაუფლების დამფუძნებელი კრებისთვის გადაცემაც იგივე შემთანხმებლობაა ავთვისებიან ბურჟუაზიასთან. რუსეთის საბჭოები მშრომელი მასების ინტერესებს ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი მოღალატური შემთანხმებლობის ინტერესებზე გაცილებით უფრო მაღლა აყენებენ. ძველი, დახავსებული, ობმოკიდებული სიძველის სუნი სდიოდა სიტყვებს ჩერნოვისა და წერეთლისა, ამ დრომოჭმულ მოღვაწეთა, რომლებიც წინანდებურად განაგრძობენ გულის გამაწვრილებელ წუწუნს სამოქალაქო ომის შეწყვეტის

შესახებ. მაგრამ ჯერჯერობით კალედინი არსებობს, და ლოზუნგით: მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას — იმალება ლოზუნგი: ძირს საბჭოთა ხელისუფლება, — ჩვენ ვერ ავცდებით სამოქალაქო ომს, რადგან არაფრის გულისთვის საბჭოთა ხელისუფლებას არ დავთმობთ! (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.) და ოდესაც დამფუძნებელმა კრებამ კვლავ განაცხადა, მზადა ვარ გადავდო საბჭოების მიერ წამოყენებული ყველა მტკივნეული. მომწიფებული საკითხი და ამოცანაო, — ჩვენ მათ ვუპასუხეთ, ერთი წუთითაც შეუძლებელია გადადება-თქო. და საბჭოთა ხელისუფლების ნებისამებრ დამფუძნებელი კრება, რომელმაც არ იცნო ხალხის ძალაუფლება, დათხოვნილია. რიაბუშინსკების იმედი დამსხვრეულია, და უკანასკნელთა წინააღმდეგობა მხოლოდ გაამწვავებს და სამოქალაქო ომის ახალ აფეთქებას გამოიწვევს.

დამფუძნებელი კრება დათხოვნილია, და საბჭოთა რევოლუციური რესპუბლიკა გაიმარჯვებს რადაც უნდა დაჯდეს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი, რ ო მ ე ლ ი ც ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ო ვ ა ც ი ა შ ი გ ა დ ა დ ი ს.)

«პრავდა» № 6,
1918 წ. 22 (9) იანვარი

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ბედუკულმართი ზავის საკითხის ისტორიისათვის

ახლა რა დროს ისტორიაა, შეუძლიათ თქვან. დიახ, თუ განსაზღვრულ საკითხზე წარსულსა და აწმყოს შორის განუყრელი უშუალო პრაქტიკული კავშირი არ არსებობს, მაშინ შესაწყნარებელია ამგვარი რამის მტკიცება. მაგრამ ბედუკულმართი ზავის, არქიმძიმე ზავის საკითხი ისეთი საჭირბოროტო საკითხია, რომ საჭიროა შევჩერდეთ მის გარკვევაზე. ამიტომაც მე ვბეჭდავ თეზისებს, რომლებიც მე წავუკითხე ამ საკითხზე 1918 წლის 8 იანვარს ჩვენი პარტიის 60-მდე ცნობილ პიტერელ მუშაკთა კრებას.

აი ეს თეზისები:

7/I 1918

თეზისები სეპარატული და ანექსიონისტური ზავის დაუყოვნებლივ დადების საკითხზე [102]

1. ამჟამად რუსეთის რევოლუციის მდგომარეობა ისეთია, რომ თითქმის ყველა მუშა და გლეხთა დიდი უმრავლესობა, უეჭველად, მხარს უჭერს საბჭოთა ხელისუფლებას და მის მიერ დაწყებულ სოციალისტურ რევოლუციას. ამდენად რუსეთში სოციალისტური რევოლუციის წარმატება უზრუნველყოფილია.

2. ამავე დროს თავის უმაღლეს წერტილამდე ჯერ კიდევ არ მიუღწევია სამოქალაქო ომს, რომელიც გამოწვეულია შეძლებული კლასების გააფთრებული წინააღმდეგობით, იმ კლასების, რომელთაც ჩინებულად აქვთ შეგნებული, რომ მათ წინაშეა უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა მიწის და წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების შესანარჩუნებლად. ამ ომში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება უზრუნველყოფილია, მაგრამ აუცილებლად გაივლის კიდევ რამდენიმე დრო, აუცილებლად საჭირო გახდება ძალთა დიდი დაძაბვა, აუცილებელი იქნება ყოველ ომთან და განსაკუთრებით სამოქალაქო ომთან დაკავშირებული მწვავე ნგრევისა და ქაოსის განსაზღვრული პერიოდი, ვიდრე ბურჟუაზიის წინააღმდეგობა შეიმუსრებოდეს.

3. გარდა ამისა, ეს წინააღმდეგობა უფრო ნაკლებ აქტიური და არასამხედრო სახით: — საბოტაჟი, მაწანწალების მოსყიდვა, მოსყიდვა ბურჟუაზიის იმ აგენტებისა, რომლებიც შემძვრალან სოციალისტთა რიგებში, რათა დაღუპონ მათი საქმე, და სხვ. და სხვ., — ეს წინააღმდეგობა ისეთი შეუპოვარი და იმდენად სხვადასხვაგვარი სახის მიმღები აღმოჩნდა, რომ მასთან ბრძოლა აუცილებლად გაჭიანურდება კიდევ ერთხანს და უმთავრესი სახით, შეიძლება, არც დამთავრდეს რამდენიმე თვეზე ადრე. ხოლო ბურჟუაზიის და მისი მომხრეების ამ პასიურ და დაფარულ წინააღმდეგობაზე გადამწყვეტი გამარჯვების მოუპოვებლად სოციალისტური რევოლუციის წარმატება შეუძლებელია.

4. დასასრულ, რუსეთში სოციალისტური გარდაქმნის ორგანიზაციული ამოცანები ისე დიდი და ძნელია, რომ მათი გადაწყვეტა — სოციალისტური პროლეტარიატის წვრილბურჟუაზიულ თანამგზავრთა სიმრავლისა და მისი დაბალი კულტურული დონის პირობებში — აგრეთვე საკმაოდ ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

5. ყველა ეს გარემოება, ერთად აღებული, ისეთია, რომ მათგან სრულიად გარკვევით გამომდინარეობს, რომ რუსეთში სოციალიზმის გასამარჯვებლად საჭიროა განსაზღვრული

დრო, არა ნაკლებ რამდენიმე თვისა, რომლის განმავლობაშიც სოციალისტურ მთავრობას სავსებით, გახსნილი უნდა ჰქონდეს ხელები ბურჟუაზიაზე გასამარჯვებლად ჯერ საკუთარ ქვეყანაში და ფართო და ღრმა მასობრივი ორგანიზაციული მუშაობის მოსაგვარებლად.

6. რუსეთში სოციალისტური რევოლუციის მდგომარეობა უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო ამოცანების ყოველგვარ განსაზღვრას, რადგან ომის .მეოთხე წელიწადს საერთაშორისო სიტუაცია ისე მოეწყო, რომ რევოლუციის აზვირთებისა და რომელიმე ევროპული იმპერიალისტური მთავრობის (მათ შორის გერმანიისაც) დამხობის მოსალოდნელი მომენტის გათვალისწინება სრულიად შეუძლებელი ხდება. ეჭვი არ არის, რომ სოციალისტური რევოლუცია ევროპაში უნდა დაიწყოს და დაიწყება კიდევაც. მთელი ჩვენი იმედი სოციალიზმის ს ა ბ ო ლ ო ო გამარჯვებისა ემყარება ამ რწმენას და ამ მეცნიერულ წინასწარხედვას. საერთოდ ჩვენი პროპაგანდისტული მუშაობა და განსაკუთრებით დაძმობილების ორგანიზაცია უნდა გაძლიერდეს და განვითარდეს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა რუსეთის სოციალისტური მთავრობის ტაქტიკა დაგვემყარებინა იმის განსაზღვრის ცდაზე, მოხდება თუ არა ევროპის და განსაკუთრებით გერმანიის სოციალისტური რევოლუცია უახლოეს ნახევარ წელიწადში (ან ამგვარ მოკლე ვადაში). რადგან ამის განსაზღვრა არასგზით არ შეიძლება, ამიტომ ყველა ამგვარი ცდა, ობიექტურად. ბრმა აზარტული თამაში იქნებოდა.

7. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებამ სავსებით გამოარკვია, რომ ამჟამად, 1918 წ. 7 იანვრისთვის, გერმანიის მთავრობაში (რომელსაც თავის ნებაზე მიჰყავს ოთხთა კავშირის დანარჩენი მთავრობები) უეჭველად გაიმარჯვა სამხედრო პარტიამ, რომელმაც არსებითად უკვე წაუყენა რუსეთს ულტიმატუმი (დღითი დღე უნდა ველოდეთ, აუცილებლად უნდა ველოდეთ მის ფორმალურ წამოყენებასაც). ეს ულტიმატუმი ასეთია: ან ომის განგრძობა, ან ანექსიონისტური

ზავი, ე. ი. ზავი იმ პირობით, რომ ჩვენ ვუბრუნებთ ჩვენს მიერ დაკავებულ ყველა მიწას, გერმანელები ინარჩუნებენ მათ მიერ დაკავებულ **ყველა** მიწას და გვადებენ კონტრიბუციას (გარეგნულად ვითომ ტყვეების შენახვის ხარჯებს), კონტრიბუციას დაახლოებით 3 მილიარდი **მანეთის** რაოდენობით, გადახდის განაწილვადებით რამდენიმე წლით.

8. რუსეთის სოციალისტური მთავრობის წინაშე დგება საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს: მივიღოთ ახლავე ეს ანექსიონისტური ზავი, თუ ამწამსვე დავიწყოთ რევოლუციური ომი. არსებითად აქ რაიმე წუათანა გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. არავითარი შემდგომი გადადება აღარ არის განსახორციელებელი, რადგან მოლაპარაკების ხელოვნურად გაჭიანურებისათვის ჩვენ **უკვე** ყოველივე შესაძლებელი და შეუძლებელი მოვიმოქმედეთ.

9. დაუყოვნებლივი რევოლუციური ომის სასარგებლო მოსაზრებათა განხილვისას ჩვენ პირველ ყოვლისა იმ მოსაზრებას ვხვდებით, რომ ახლა სეპარატული ზავი, ობიექტურად, იქნება შეთანხმება გერმანელ იმპერიალისტებთან, «იმპერიალისტური გარიგება» და სხვ., და რომ, მაშასადამე, ასეთი ზავი იქნებოდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ძირითადი პრინციპების სრული უარყოფა.

მაგრამ ეს მოსაზრება აშკარად უმართებულოა. როცა მუშები, რომლებიც გაფიცვას აგებენ, ხელს აწერენ მუშაობის განახლების თავისთვის არახელსაყრელ და კაპიტალისტებისთვის ხელსაყრელ პირობებს, არ ღალატობენ სოციალიზმს. სოციალიზმს ღალატობენ მხოლოდ ისინი, ვინც მუშების ერთი ნაწილისთვის ხელსაყრელ პირობებს კაპიტალისტებისთვის ხელსაყრელ პირობებზე ცვლის, მხოლოდ ასეთი შეთანხმებაა პრინციპულად შეუწყნარებელი.

ვინც თავდაცვითს და სამართლიან ომად თვლის გერმანიის იმპერიალიზმთან ომს, ნამდვილად კი დახმარებას იღებს ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებისაგან და ხალხს უმალავს მათთან დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებებს, ის

ღალატობს სოციალიზმს. ვინც არაფერს უმალავს ხალხს, არავითარ საიდუმლო ხელშეკრულებებს არ დებს იმპერიალისტებთან და თანხმდება ხელი მოაწეროს სუსტი ერისთვის არახელსაყრელ, ხოლო ერთი ჯგუფის იმპერიალისტებისთვის ხელსაყრელ საზავო პირობებს, თუ ამ მომენტში არ არის ძალა ომის განსაგრძობად, ის სოციალიზმის მიმართ არავითარ ღალატს არ სჩადის.

10. მეორე მოსაზრება ომის დაუყოვნებლივ განსაგრძობად ის არის, რომ, თუ ზავს დავდებთ, ობიექტურად ჩვენ გერმანიის იმპერიალიზმის აგენტები ვხდებით, რადგან ჯარებსაც ვუთავისუფლებთ მას ჩვენი ფრონტიდან, მილიონობით ტყვესაც ვუბრუნებთ და სხვ.. მაგრამ ეს მოსაზრებაც აშკარად უმართებულოა, რადგან ამჟამად რევოლუციური ომი, ობიექტურად, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმის აგენტებად გაგვხდიდა, რადგან მას მივცემდით მისი მიზნებისთვის დამხმარე ძალებს. ინგლისელები პირდაპირ ჰპირდებოდნენ ჩვენს უმაღლეს მთავარსარდალს კრილენკოს ას-ას მანეთს თვეში თვითეულ ჩვენს ჯარისკაცზე, თუ ომს განვაგრძობდით. კაპიკიც რომ არ ავიღოთ ინგლის-საფრანგეთისაგან, ჩვენ მაინც, ობიექტურად, დახმარებას გავუწევთ მათ, რადგან დავაბანდებთ გერმანიის ჯარების ერთ ნაწილს.

ამ მხრივ ჩვენ ორივე შემთხვევაში ვერ ვაღწევთ თავს მთლიანად ამა თუ იმ იმპერიალისტურ კავშირს, და, ცხადია, არც შეიძლება მთლიანად დააღწიო მას თავი მსოფლიო იმპერიალიზმის დაუმხობლად. მართებული დასკვნა აქედან ისაა, რომ, ერთ-ერთ ქვეყანაში სოციალისტური მთავრობის გამარჯვების დღიდან, საკითხები უნდა გადაწყდეს არა იმ თვალსაზრისით, თუ რომელ იმპერიალიზმს მივცეთ უპირატესობა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ უკვე დაწყებული სოციალისტური რევოლუციის განვითარებისა და განმტკიცების საუკეთესო პირობების თვალსაზრისით.

სხვანაირად რომ ვთქვათ: დღეს ჩვენს ტაქტიკას საფუძვლად უნდა ედოს არა ის პრინციპი, თუ ორი იმპერიალიზმიდან რომლისთვის დახმარებაა უფრო ხელსაყრელი ახლა,

არამედ ის პრინციპი, თუ როგორ შეიძლება უფრო უტყუარად და საიმედოდ უზრუნველვყოთ სოციალისტური რევოლუციისათვის შესაძლებლობა — გამაგრდეს ან თუნდ გაუძლოს მაინც ერთ ქვეყანაში მანამდე, ვიდრე მას სხვა ქვეყნები შეუერთდებოდნენ.

11. ამბობენ, ომის გერმანელი მოწინააღმდეგენი სოციალ-დემოკრატების წრიდან ამჟამად «პორაჟენცები» გახდნენ და გვთხოვენ არ დავუთმოთ გერმანიის იმპერიალიზმსო. მაგრამ ჩვენ პორაჟენცობას ვაღიარებდით მხოლოდ ს ა კ უ თ ა რ ი იმპერიალისტური ბურჟუაზიის მიმართ, ხოლო უცხო იმპერიალიზმზე გამარჯვებას, რომელიც მიღწეული იქნება «მეგობრულ» იმპერიალიზმთან ფორმალური თუ ფაქტიური კავშირით, ჩვენ ყოველთვის უარვყოფდით, როგორც პრინციპულად შეუწყნარებელ და საერთოდ უვარგის მეთოდს.

მაშასადამე, ეს მოსაზრება მხოლოდ წინა მოსაზრების სახესხვაობაა. გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატები რომ წინადადებას გვაძლევდნენ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ვადით გავაჭიანურეთ სეპარატული ზავის დადება და გარანტიას იძლეოდნენ გერმანიაში რევოლუციურ გამოსვლას მოვაწყობთ ამ ვადაშიო, მაშინ საკითხი ჩვენთვის სხვანაირად დ ა ი ს მ ე ბ ო დ ა. მაგრამ გერმანელი მემარცხენენი არათუ ამას არ ამბობენ, არამედ, პირიქით, ფორმალურად აცხადებენ: «გაუძელით, სანამ შეგიძლიათ, მაგრამ საკითხი გადაწყვიტეთ რ უ ს ე თ ი ს სოციალისტური რევოლუციის საქმის ვითარების მიხედვით, რადგან დადებითს ვერაფერს შეგპირდებით გერმანიის რევოლუციის შესახებ».

12. ამბობენ, თითქოს ჩვენ მთელ რიგ პარტიულ განცხადებებში პირდაპირ «დავპირდით» ხალხს რევოლუციურ ომს, და სეპარატული ზავის დადება ჩვენი სიტყვის ღალატი იქნებაო.

ეს არ არის მართალი. ჩვენ ვამბობდით, იმპერიალიზმის ეპოქაში ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ა სოციალისტურმა მთავრობამ «მ ო ა მ ზ ა დ ო ს დ ა ა წ ა რ მ ო ო ს» რევოლუციური

ომი-თქო *; ჩვენ ამას ვამბობდით, რომ შევბრძოლებოდით განყენებულ პაციფიზმს, იმპერიალიზმის ეპოქაში «სამშობლოს დაცვის» სრული უარყოფის თეორიას, ბოლოს, ჯარისკაცთა ერთი ნაწილის წმინდა თავკერძულ ინსტინქტებს, მაგრამ ჩვენ არ აგვიღია ვალდებულება — რევოლუციური ომი დაგვეწყო იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამდენად შეიძლება მისი წარმოება ამა თუ იმ მომენტში.

ჩვენ ამჟამადაც უეჭველად უნდა ვ ა მ ზ ა დ ო თ რევოლუციური ომი. ჩვენ ვასრულებთ ამ ჩვენს დაპირებას, როგორც საერთოდ შევასრულეთ ყველა ჩვენი დაპირება, რომელთა შესრულება შეიძლებოდა ერთბაშად: დავარღვიეთ საიდუმლო ხელშეკრულებები, შევთავაზეთ ყველა ხალხს სამართლიანი ზავი, ყოველნაირად ვაჭიანურებდით და რამდენჯერმე გადავდევით საზავო მოლაპარაკება, რათა დრო მიგვეცა სხვა ხალხებისთვის შემოგვერთებოდნენ.

მაგრამ ის საკითხი, შეიძლება თუ არა ა ხ ლ ა ვ ე, დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ დავიწყოთ რევოლუციური ომი, უნდა გადაწყდეს მხოლოდ ამის განხორციელების მატერიალური პირობების და უკვე დაწყებული სოციალისტური რევოლუციის ინტერესების გათვალისწინებით.

13. თუ შევაჯამებთ დაუყოვნებლივი რევოლუციური ომის სასარგებლო მოსაზრებათა შეფასებას, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ ასეთი პოლიტიკა, შესაძლებელია, შეეფერებოდეს ადამიანის მოთხოვნილებას — ისწრაფოდეს სილამაზისა, ეფექტურისა და ბრწყინვალისადმი, მაგრამ იგი სრულიად არ გაუწევდა ანგარიშს დაწყებული სოციალისტური რევოლუციის კლასობრივ ძალთა და მატერიალურ ფაქტორთა ობიექტურ თანაფარდობას დღევანდელ მომენტში.

14. ეჭვი არ არის, რომ ამჟამად და უახლოეს კვირეებში (და, ალბათ, უახლოეს თვეებშიც) ჩვენს არმიას აბსოლუტურად არ ძალუძს წარმატებით უკუაგდოს გერმანელთა შემოტევა, ჯერ-ერთი, იმის გამო, რომ ჯარისკაცთა უმრავლესობა

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 21, გვ. 493. რ ე დ.

მეტისმეტად დაღლილი და დაქანცულია სასურსათო საქმის გაუგონარი ნგრევის, დაქანცულთა შეცვლის მოუწესრიგებლობის გამო და სხვ.; მეორე, ცხენთა შემადგენლობის სრული უვარგისობის გამო, რაც აუცილებელ დაღუპვას უქადის ჩვენს არტილერიას; მესამე, იმის გამო, რომ ყოვლად შეუძლებელია ზღვის სანაპიროს დაცვა რიგიდან რეველამდე, რითაც უტყუარი შანსი ეძლევა მტერს დაიპყროს ლიფლანდიის დანარჩენი ნაწილი, შემდეგ ესტლანდია და ზურგში მოექცეს ჩვენი ჯარების დიდ ნაწილს, ბოლოს, აიღოს პეტროგრადი.

15. შემდეგ, ყოველივე ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ ჩვენი არმიის გლეხური უმრავლესობა ამჟამად უეჭველად მიემხრობა ანექსიონისტურ ზავს და არა დაუყოვნებლივ რევოლუციურ ომს, რადგან არმიის სოციალისტური რეორგანიზაციის, მასში წითელი გვარდიის რაზმების შეყვანის და სხვ. საქმე ეს-ესაა ახლა დაიწყო.

არმიის სრული დემოკრატიზაციის პირობებში ომის წარმოება ჯარისკაცთა უმრავლესობის ნების წინააღმდეგ ავანტიურა იქნებოდა, ხოლო ნამდვილად ძლიერი და იდეურად მტკიცე სოციალისტური მუშურ-გლეხური არმიის შესაქმნელად საჭიროა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, თვეები.

16. რუსეთის უღარიბეს გლეხობას შეუძლია მხარი დაუჭიროს სოციალისტურ რევოლუციას, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვანელობს, მაგრამ მას არ ძალუძს დაუყოვნებლივ, ამ მომენტში ჩაებას სერიოზულ რევოლუციურ ომში. ამ საკითხში კლასობრივ ძალთა ამ ობიექტური თანაფარდობის უგულებელყოფა საბედისწერო შეცდომა იქნებოდა.

17. მაშასადამე, რევოლუციური ომის საკითხი ამჟამად შემდეგნაირად დგას:

თუ გერმანიის რევოლუცია იფეთქებს და გაიმარჯვებს უახლოეს სამ-ოთხ თვეში, მაშინ, შეიძლება, დაუყოვნებლივი რევოლუციური ომის ტაქტიკამ არ დაღუპოს ჩვენი სოციალისტური რევოლუცია.

ხოლო თუ გერმანიის რევოლუცია უახლოეს თვეებში არ მოხდა, მაშინ მოვლენათა მსვლელობა, ომის განგრძობის

პირობებში, აუცილებლად ისეთი იქნება, რომ ძლიერი დამარცხებანი აიძულებს რუსეთს დადოს კიდევ უფრო არახელსაყრელი სეპარატული ზავი, ამასთან ამ ზავს დადებს არა სოციალისტური, არამედ რომელიმე სხვა მთავრობა (მაგალითად, ბურჟუაზიული რადის ბლოკი ჩერნოველებთან ან რაღაც ამის მსგავსი). ვინაიდან გლეხური არმია, რომელიც წარმოუდგენლად დაქანცულია ომით, პირველივე დამარცხებათა შემდეგ — ალბათ, არა თვეების, არამედ კვირეების შემდეგ — დაამხობს სოციალისტურ მუშათა მთავრობას.

18. საქმის ამგვარი მდგომარეობისას ყოვლად შეუწყნარებელი ტაქტიკა იქნებოდა სასწორზე დაგვედო რუსეთის უკვე დაწყებული სოციალისტური რევოლუციის ბედი მხოლოდ იმის გამო, დაიწყება თუ არა გერმანიის რევოლუცია უახლოეს, უმოკლეს, კვირეებით განსაზღვრულ ვადაში. ასეთი ტაქტიკა ავანტიურა იქნებოდა. ასეთი რისკის გაწევის უფლება ჩვენ არა გვაქვს.

19. და გერმანიის რევოლუცია სრულიადაც არ დაბრკოლდება, თავისი ობიექტური საფუძვლების მიხედვით, იმით, თუ ჩვენ დავდებთ სეპარატულ ზავს. ალბათ, შოვინიზმით თავბრუდახვევა დროებით შეასუსტებს მას; მაგრამ გერმანიის მდგომარეობა მეტად მძიმე გახდება, ინგლისსა და ამერიკასთან ომი ხანგრძლივი იქნება, აგრესიული იმპერიალიზმი სავსებით და ბოლომდე მხილებულია ორივე მხრივ. რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაგალითი ცოცხალ ნიმუშად ედგომება წინ ყველა ქვეყნის ხალხებს, და ამ ნიმუშის პროპაგანდისტული, გამარევოლუციურებელი მოქმედება უზარმაზარი იქნება. აქ — ბურჟუაზიული წყობილება და მტაცებელთა ორი ჯგუფის ბოლომდე გამოაშკარავებული დაპყრობითი ომი. იქ — მშვიდობა და საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა.

20. სეპარატული ზავის დადებით ჩვენ დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი მ ო მ ე ნ ტ ი ს ა თ ვ ი ს უდიდესი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი თ ,თავისუფლდებით ორივე მტრული იმპერიალისტური ჯგუფისაგან, ვიყენებთ მათ მტრობას და ომს, — რაც აძნელებს

მათ მორიგებას ჩვენს წინააღმდეგ. — ვღებულობთ გახსნილი ხელების განსაზღვრულ პერიოდს და ამით ვსარგებლობთ სოციალისტური რევოლუციის განსაგრძობად და განსაძტკიცებლად. რუსეთის რეორგანიზაცია პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე, ბანკების და მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის საფუძველზე, ქალაქსა და სოფლის წვრილი გლეხების სამომხმარებლო საზოგადოებათა შორის ნატურალური პროდუქტცვლის პირობებში, ეკონომიურად სავსებით შესაძლებელია, თუ უზრუნველყოფილი იქნება რამდენიმე თვით მშვიდობიანი მუშაობა. ხოლო ასეთი რეორგანიზაცია უძლეველს გახდის სოციალიზმს როგორც რუსეთში, ისე მთელ მსოფლიოში და ამასთანავე შექმნის მტკიცე ეკონომიურ ბაზას ძლიერი მუშურ-გლეხური წითელი არმიისათვის.

21. ამჟამად ნამდვილად რევოლუციური ომი იქნებოდა სოციალისტური რესპუბლიკის ომი ბურჟუაზიული ქვეყნების წინააღმდეგ სხვა ქვეყნებში ბურჟუაზიის დამხობის ნათლად დაყენებული და სოციალისტური არმიის მხრივ სავსებით მოწონებული მიზნით. ნამდვილად კი **ამჟამად** ასეთი მიზანი **აშკარად** ჯერ კიდევ არ შეგვიძლია დავისახოთ. ჩვენ ახლა, ობიექტურად, ვიომებდით პოლონეთის, ლიტვისა და კურლანდიის განთავისუფლებისათვის. მაგრამ არც ერთს მარქსისტს, თუ იგი საერთოდ არ უარყოფს მარქსიზმის და სოციალიზმის საფუძვლებს, არ შეუძლია უარყოს, რომ სოციალიზმის ინტერესები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ერთა თვითგამორკვევის უფლების ინტერესები. ჩვენმა სოციალისტურმა რესპუბლიკამ რაც შეეძლო ყველაფერი გააკეთა და ახლაც აკეთებს ფინეთის, უკრაინისა და სხვათა თვითგამორკვევის უფლების განსახორციელებლად. მაგრამ თუ საქმის კონკრეტული ვითარება ისე მოეწყო, რომ სოციალისტური რესპუბლიკის არსებობა საფრთხეში ვარდება ამჟამად რამდენიმე ერის (პოლონეთის, ლიტვის, კურლანდიის და სხვ.) თვითგამორკვევის უფლების დარღვევის გამო, მაშინ, რასაკვირველია, სოციალისტური რესპუბლიკის შენარჩუნების ინტერესები უფრო მაღლა დგას.

ამიტომ ის, ვინც ამბობს: «ჩვენ ხელს ვერ მოვაწერთ სამარცხვინო, უხამსს და სხვა ზავს, ვერ ვუღალატებთ პოლონეთსო და სხვ.», ვერ ამჩნევს, რომ პოლონეთის განთავისუფლების პირობით ზავის დადებით ის კიდევ უფრო მეტად გააძლიერებდა გერმანიის იმპერიალიზმს ინგლისის, ბელგიის, სერბიის და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. ზავი პოლონეთის, ლიტვის, კურლანდიის განთავისუფლების პირობით «პატრიოტული» ზავი იქნებოდა რუსეთის თვალსაზრისით, მაგრამ იგი მაინც დარჩებოდა ზავად ანექსიონისტებთან, გერმანელ იმპერიალისტებთან.

1918 წ. 21 იანვარი. ამ თეზისებს უნდა დაემატოს:

22. მასობრივი გაფიცვები ავსტრიასა და გერმანიაში, შემდეგ მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნა ბერლინსა და ვენაში, ბოლოს 18 — 20 იანვარს შეიარაღებული შეტაკებების დაწყება ბერლინის ქუჩებში, ყოველივე ეს გვაიძულებს ვაღიაროთ, როგორც ფაქტი, რომ გერმანიაში რევოლუცია უკვე დაიწყო.

ამ ფაქტიდან ჩვენთვის გამომდინარეობს იმის შესაძლებლობა, რომ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში კიდევ გადავდოთ და გავაჭიანუროთ საზავო მოლაპარაკება.

«პრავდა» № 34, 1918 წ.
24 (11) თებერვალი
ხელმოწერა: ნ. ლენინი

იბეჭდება: შესავალი გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით; თეზისები — ხელნაწერის მიხედვით

ბოლშევიკურ ოპოზიციისადმი სეპარატული და ანექსიონისტური ზავის დაუყოვნებლივ დადების საკითხზე

* * *

ზემომოყვანილი თეზისები მე წავუკითხე პარტიულ მუშაკთა მცირე კერძო თათბირს 1918 წლის 8 იანვარს. მათმა განხილვამ ცხადყო, რომ პარტიაში არსებობს სამი აზრი ამ საკითხზე: მონაწილეთა დაახლოებით ნახევარმა მხარი დაუჭირა რევოლუციურ ომს (ამ თვალსაზრისს ზოგჯერ უწოდებდნენ «მოსკოვისას», რადგან ის სხვა ორგანიზაციებზე ადრე მიიღო ჩვენი პარტიის მოსკოვის საოლქო ბიურომ [103]); შემდეგ დაახლოებით ერთი მეოთხედი მიემხრო ტროცკის, რომელიც წინადადებას იძლეოდა «ომის მდგომარეობა შეწყვეტილად გამოვაცხადოთ, არმიის დემობილიზაცია მოვახდინოთ და შინ გავუშვათ, მაგრამ ზავს კი ხელი არ მოვაწეროთო», და, ბოლოს, დაახლოებით ერთმა მეოთხედმა მე დამიჭირა მხარი.

პარტიაში შექმნილი მდგომარეობა ძლიერ მაგონებს 1907 წლის ზაფხულში არსებულ მდგომარეობას, როდესაც ბოლშევიკების უდიდესი უმრავლესობა მხარს უჭერდა III სათათბიროს ბოიკოტს, როცა მე მასში მონაწილეობას ვიცავდი, დანთან ერთად, და ამისთვის სასტიკად მესხმოდნენ თავს ჩემი ოპორტუნიზმის გამო. ობიექტურად, საკითხი ახლა,

ამნაირადვე, სრულიად ანალოგიურად დგას: როგორც მაშინ, პარტიულ მუშაკთა უმრავლესობა, გამოდის რა საუკეთესო რევოლუციური გულისწადილისა და საუკეთესო პარტიული ტრადიციებიდან, აჰყოლია «ბრწყინვალე» ლოზუნგს, ვერ სწვდება ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიურ და პოლიტიკურ სიტუაციას, ვერ ითვალისწინებს პირობების შეცვლას, რომელიც მოითხოვს ტაქტიკის სწრაფად, მკვეთრად შეცვლას. და იძულებული ვხდები მთელი ჩემი დავა, როგორც მაშინაც, მივაპყრო იმის გარკვევას, რომ მარქსიზმი მოითხოვს ობიექტური პირობების და მათი შეცვლის გათვალისწინებას, რომ საჭიროა საკითხი დავაყენოთ კონკრეტულად, ამ პირობების შეფარდებით, რომ ახლა ძირითადი ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ შექმნილია რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა, რომ ჩვენთვისაც და საერთაშორისო სოციალისტური თვალსაზრისითაც ყველაზე მაღლა დგას შენარჩუნება ამ რესპუბლიკისა, რომელმაც უკვე დაიწყო სოციალისტური რევოლუცია, რომ ამჟამად რევოლუციური ომის ლოზუნგი რუსეთის მხრივ იქნებოდა ან ფრაზა და ლიტონი დემონსტრაცია, ანდა ობიექტურად ეს იქნებოდა მახეში გაბმა, რომელსაც გვიგებენ იმპერიალისტები, რომლებსაც სურთ ჩაგვითრიონ იმპერიალისტური ომის განგრძობაში, როგორც ჯერ კიდევ სუსტი ნაწილი, და რაც შეიძლება იაფი გზით გაანადგურონ საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკა.

«მე ვდგავარ ლენინის ძველ პოზიციაზეო» — წამოიძახა ერთ-ერთმა ახალგაზრდა მოსკოველმა (ახალგაზრდობა — ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღირსებაა, რითაც განირჩევა ორატორების ეს ჯგუფი). და იგივე ორატორი მისაყვედურებდა იმას, რომ მე ვიმეორებ ობორონცების ძველ მოსაზრებებს, გერმანიაში რევოლუცია წარმოუდგენელიაო.

უბედურებაც ის არის, რომ მოსკოველებს სურთ ძველ ტაქტიკურ პოზიციაზე იდგნენ და დაჟინებით არ სურთ დაინახონ, თუ როგორ შეიცვალა, როგორ შეიქმნა ახალი ობიექტური პოზიცია.

მოსკოველები ისე თავგამოდებით იმეორებენ ძველ ლოზუნგებს, რომ ისიც კი გამოეპარათ, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, ყველანი ობორონცები გავხდით ახლა. ვინაიდან, დავამხვეთ რა ბურჟუაზია, დავფხრიწეთ და გამოვააშკარავეთ რა საიდუმლო ხელშეკრულებები, შევთავაზეთ რა ყველა ხალხს ზავი ნამდვილად... *

დაწერილია 1918 წ. 8 და 11
(21 და 24) იანვარს შუა

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

---

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა[104]

1918 წ. 10 — 18 (23 — 31) იანვარი

დაიბეჭდა 1918 წ. 12, 13, 14 და 20 იანვარს ცაკ-ის გაზეთში «იზვესტია» №№ 8, 9, 10 და 15

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

34 ტ. 26

1

მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ 11 (24) იანვარს

ამხანაგებო! სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მე უნდა წარმოგიდგინოთ მოხსენება მისი 2 თვისა და 15 დღის მუშაობის შესახებ, სწორედ ამ დრომ განვლო რუსეთში საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა მთავრობის შექმნის დღიდან.

2 თვე და 15 დღე — ეს სულ ხუთიოდე დღით მეტია იმ ვადისა, რომლის განმავლობაშიც იარსება მუშათა წინანდელმა ხელისუფლებამ მთელი სახელმწიფოს ანუ ექსპლოატატორებისა და კაპიტალისტების მიმართ, — პარიზის მუშათა ხელისუფლებამ პარიზის 1871 წლის კომუნის ეპოქაში.

უწინარეს ყოვლისა მუშების ეს ხელისუფლება უნდა მოვიგონოთ, როცა თვალს ვავლებთ წარსულს და ვადარებთ მას 25 ოქტომბერს შექმნილ საბჭოთა ხელისუფლებას. და პროლეტარიატის წინანდელი და ახლანდელი დიქტატურის ამ შედარებიდან ერთბაშად შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა ბუმბერაზული ნაბიჯი გადაუდგამს საერთაშორისო მუშათა მოძრაობას და რა განუზომლად უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში, მიუხედავად ომისა და ნგრევის ვითარების გაუგონრად რთული პირობებისა.

გაძლეს რა 2 თვე და 10 დღე, პარიზის მუშები, პირველად შექმნეს რა კომუნა, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების ჩანასახს, დაიღუპნენ საფრანგეთის კადეტების, მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერ-კალედინელთა ტყვიით

განგმირულნი. საფრანგეთის მუშებს მოუხდათ წარმოუდგენლად დიდი მსხვერპლის გაღება იმ მუშათა მთავრობის პირველი ცდისათვის, რომლის აზრი და მიზანი არ იცოდა საფრანგეთის გლეხების უდიდესმა უმრავლესობამ.

ჩვენ გაცილებით უფრო ხელსაყრელ გარემოებაში ვიმყოფებით, იმიტომ რომ რუსეთის ჯარისკაცებმა, მუშებმა და გლეხებმა შესძლეს შეექმნათ ისეთი აპარატი, რომელმაც მათი ბრძოლის ფორმები ამცნო მთელ მსოფლიოს, — საბჭოთა მთავრობა. აი უწინარეს ყოვლისა რა ცვლის რუსეთის მუშებისა და გლეხების მდგომარეობას პარიზის პროლეტარიატის ხელისუფლებასთან შედარებით. მათ არ ჰქონდათ აპარატი, მათ ვერა გაუგო რა ქვეყანამ, ჩვენ კი მყისვე დავეყრდენით საბჭოთა ხელისუფლებას და ამიტომ არასოდეს არ დავეჭვებულვართ იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლებას თანაუგრძნობდა და უმხურვალესი, უაღრესი თავდადებით ეხმარებოდა მასების უზარმაზარი უმრავლესობა და რომ ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება უძლეველია.

იმ ადამიანებმა, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას და ხშირად, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ჰყიდდნენ და ღალატობდნენ მას კაპიტალისტებთან და იმპერიალისტებთან შეთანხმების გულისთვის, ამ ადამიანებმა ყური გამოგვიჭედეს იმაზე ყვირილით, რომ რუსეთში შეუძლებელია გაძლოს მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის ხელისუფლებამო. თითქოს რომელიმე ბოლშევიკს და მათ მომხრეს დავიწყებოდეს თუნდაც ერთი წუთით, რომ რუსეთში შეიძლება ხანგრძლივად იარსებოს მხოლოდ იმ ხელისუფლებამ, რომელიც შესძლებს დარაზმოს მუშათა კლასი, გლეხების უმრავლესობა, ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული კლასი ერთ, განუყრელად შეკავშირებულ, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად.

ჩვენ არასოდეს არ შეგვპარვია ეჭვი იმაში, რომ მხოლოდ მუშებისა და უღარიბესი გლეხების, ნახევრადპროლეტარების კავშირს, რაზედაც ლაპარაკობს ჩვენი პარტიული პროგრამა, შეუძლია მოიცვას რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა

და უზრუნველყოს ხელისუფლებისადმი მტკიცე დახმარება. და ჩვენ შევძელით, 25 ოქტომბრის შემდეგ, ერთბაშად, რამდენიმე კვირის განმავლობაში, დაგვეძლია ყველა სიძნელე და დაგვემყარებინა ხელისუფლება ასეთი მტკიცე კავშირის საფუძველზე.

დიახ, ამხანაგებო! თუ ესერების პარტია თავისი ძველი ფორმით, როდესაც გლეხები ჯერ კიდევ ვერ ერკვეოდნენ, ვინ იყო მასში სოციალიზმის ნამდვილი მომხრე, აყენებდა გათანაბრებითი მიწათსარგებლობის ლოზუნგს და არ სურდა გაეგო, ვის უნდა შეესრულებინა ეს ამოცანა, ბურჟუაზიასთან კავშირში თუ არა, ჩვენ ვამბობდით, რომ ეს იყო მოტყუება. და ეს ნაწილი, რომელმაც დღეს დაინახა, რომ მას ხალხი არ მისდევს, რომ ის გუდაფშუტაა, ჩემულობდა, რომ მას შეუძლია განახორციელოს გათანაბრებითი მიწათსარგებლობა ბურჟუაზიასთან კავშირში; ამაში მდგომარეობდა ძირითადი მოტყუება. ხოლო როდესაც რუსეთის რევოლუციამ დაგვანახვა ბურჟუაზიასთან მშრომელი მასების თანამშრომლობის გამოცდილება, ხალხის ცხოვრების უდიადეს ჟამს, როდესაც ომი ღუპავდა და ღუპავს ხალხს, შიმშილით სიკვდილს უმზადებს რა მილიონებს, და მისმა შედეგებმა პრაქტიკულად დაგვანახვა შემთანხმებლობის გამოცდილება, როდესაც იგი განიცადეს და იგრძნეს თვით საბჭოებმა, რომლებმაც განვლეს შემთანხმებლობის სკოლა, მაშინ აშკარა გახდა, რომ ჯანსაღი, ცხოველმყოფელი, დიადი სოციალისტური თესლია იმათ მოძღვრებაში, ვისაც უნდოდა გლეხობა, მისი მშრომელი ნაწილი, შეეერთებინა მთელი მსოფლიოს მუშათა დიად სოციალისტურ მოძრაობასთან.

და როგორც კი დადგა ეს საკითხი პრაქტიკულად ნათლად და მკაფიოდ გლეხობის წინაშე, მოხდა ის, რაშიაც არავის არ შეჰქონდა ეჭვი, როგორც ეს დაგვანახვა დღეს გლეხთა საბჭოებმა და ყრილობებმა: როდესაც დადგა დრო სოციალიზმის საქმით განხორციელებისა, გლეხებს საშუალება მიეცათ ნათლად დაენახათ ეს ორი ძირითადი პოლიტიკური ხაზი — კავშირი ბურჟუაზიასთან თუ მშრომელ მასებთან; მაშინ ისინი

მიხვდნენ, რომ პარტია, რომელიც გლეხობის ნამდვილ მისწრაფებებსა და ინტერესებს გამოხატავს,—ეს არის მემარცხენე ესერების პარტია. და როდესაც ჩვენმა მთავრობამ ამ პარტიასთან შეჰკრა კავშირი, ჩვენ თავიდანვე საქმე იმგვარად დავაყენეთ, რომ იგი უაღრესად ნათელ და თვალხილულ საფუძველზე ყოფილიყო დაყრდნობილი. თუ რუსეთის გლეხებს უნდათ განახორციელონ მიწის სოციალიზაცია მუშებთან კავშირში, რომლებიც განახორციელებენ ბანკების ნაციონალიზაციას და შექმნიან მუშათა კონტროლს, — ისინი ჩვენი ერთგული თანამშრომლები, უერთგულესი და უძვირფასესი მოკავშირეები არიან. არ არის არც ერთი სოციალისტი, ამხანაგებო, რომელიც არ აღიარებდეს იმ აშკარა ჭეშმარიტებას, რომ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შუა ძევს პროლეტარიატის დიქტატურის ხანგრძლივი, მეტნაკლებად ძნელი გარდამავალი პერიოდი, და რომ ეს პერიოდი თავისი ფორმებით ბევრ რამეში იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა სჭარბობს: წვრილი თუ მსხვილი საკუთრება, წვრილი თუ მსხვილი კულტურა. ცხადია, სოციალიზმზე გადასვლა ესტლანდიაში, ამ პატარა, სულ ერთიანად წერა-კითხვის მცოდნე ქვეყანაში, რომელიც მსხვილ სოფლის მეურნეობათაგან შედგება, არ შეიძლება ემსგავსებოდეს სოციალიზმზე გადასვლას ისეთ, უპირატესად წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთი. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს.

ყოველი შეგნებული სოციალისტი ამბობს, რომ არ შეიძლება სოციალიზმი ძალით მოვახვიოთ თავს გლეხებს და იმედი უნდა ვიქონიოთ მხოლოდ მაგალითის ძალისა და გლეხთა მასის მიერ ცხოვრების პრაქტიკის შეთვისებისა. როგორ უფრო ეხერხება მასას სოციალიზმზე გადასვლა? აი ის ამოცანა, რომელიც დღეს პრაქტიკულად არის დაყენებული რუსეთის გლეხობის წინაშე. როგორ შეუძლია თვით მას დაუჭიროს მხარი სოციალისტურ პროლეტარიატს და დაიწყოს სოციალიზმზე გადასვლა? და გლეხებმაც დაიწყეს უკვე ეს გადასვლა, და ჩვენ მათ სრული ნდობით ვუყურებთ.

ის კავშირი, რომელიც ჩვენ მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერებთან შევკარით, შექმნილია მტკიცე ბაზაზე და მტკიცდება არა დღითი დღე, არამედ ყოველ საათობით. თუ პირველ ხანებში სახალხო კომისართა საბჭოში ჩვენ შეგვეძლო შიში გვქონოდა, რომ ფრაქციული ბრძოლა შეაფერხებდა მუშაობას, ერთად მუშაობის ორი თვის გამოცდილების საფუძველზე გარკვევით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენთან უმეტეს საკითხებში ერთხმივი გადაწყვეტილება მუშავდება.

ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ მაშინ, როცა გამოცდილება უჩვენებს გლეხებს, როგორი უნდა იყოს, მაგალითად, გაცვლა-გამოცვლა ქალაქსა და სოფელს შორის, ისინი თვითონ ქვევიდან, საკუთარი გამოცდილების მიხედვით, ამყარებენ თავიანთ კავშირს. მეორე მხრივ, სამოქალაქო ომის გამოცდილება თვალნათლივ უჩვენებს გლეხების წარმომადგენლებს, რომ სოციალიზმისაკენ არ არსებობს სხვა გზა, გარდა პროლეტარიატის დიქტატურისა და ექსპლოატატორების ბატონობის შეუბრალებელი დათრგუნვისა. (ტ ა შ ი.)

ამხანაგებო! ყოველთვის, როცა კი ვეხებით ამ თემას, ამ კრებაზე თუ ცაკ-ში, ხანგამოშვებით მესმის ხოლმე კრების მარჯვენა მხრიდან წამოძახილი: «დიქტატორი». დიახ, «როდესაც ჩვენ სოციალისტები ვიყავით», მაშინ ყველანი ვაღიარებდით პროლეტარიატის დიქტატურას; ისინი კიდევაც წერდნენ მის შესახებ თავიანთ პროგრამებში, ისინი აღშფოთებული იყვნენ იმ გავრცელებული ცრურწმენით, თითქოს შეიძლება გადააჯერო მოსახლეობა, დაუმტკიცო მას, რომ არ უნდა ხდებოდეს მშრომელი მასის ექსპლოატაცია, რომ ეს ცოდვა და სირცხვილია, და რომ მაშინ დამყარდება სამოთხე ქვეყნად. არა, ეს უტოპიური ცრურწმენა დიდი ხანია დამსხვრეულია თეორიაში, და ჩვენი ამოცანაა — დავამსხვრიოთ იგი პრაქტიკაში.

სოციალიზმის წარმოდგენა ისე, რომ ჩვენ ბატონი სოციალისტები მას თეფშით, მზამზარეულად მოგვართმევენ, არ შეიძლება, — ეს არ იქნება. ჯერ კლასობრივი ბრძოლის არც ერთი საკითხი არ გადაჭრილა ისტორიაში ძალდატანების გარეშე.

ძალდატანება, როდესაც მას მშრომელი, ექსპლოატირებული მასები მიმართავენ ექსპლოატატორების წინააღმდეგ, — დიახ, ჩვენ ასეთი ძალდატანების მომხრენი ვართ! (მ ხ უ რ ვ ა ლ ე ტ ა შ ი.) და ჩვენ სულაც არ გვაშფოთებს იმ ადამიანთა გოდება, რომლებიც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ბურჟუაზიის მხარეზე დგანან, ან ისე შეშინებულან, ისე დაჩაგრულან მისი ბატონობით, რომ, როცა ახლა ეს კლასობრივი, წარმოუდგენლად გამწვავებული ბრძოლა დაინახეს, დაიბნენ, ატირდნენ, დაივიწყეს ყველა თავიანთი წანამძღვარი და ჩვენგან მოითხოვენ შეუძლებელს, რომ ჩვენ, სოციალისტებმა, ექსპლოატატორებთან უბრძოლველად, მათი წინააღმდეგობის ჩაუხშობლად მივაღწიოთ სრულ გამარჯვებას.

ბატონი ექსპლოატატორები ჯერ კიდევ 1917 წლის ზაფხულში მიხვდნენ, რომ საქმე ეხება «უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლებს», რომ ბურჟუაზიის უკანასკნელ სიმაგრეს, მის მიერ მშრომელი მასების დათრგუნვის ამ მთავარ და ძირითად წყაროს, მათ ხელიდან გამოჰგლეჯენ, თუ საბჭოები აიღებენ ხელისუფლებას.

აი ამიტომ დაიწყო ოქტომბრის რევოლუციამ ეს სისტემატური შეუდრეკელი ბრძოლა იმისთვის, რომ ექსპლოატატორებმა შეწყვიტონ თავიანთი წინააღმდეგობა, და რომ, თუმცა მეტად ძნელია ეს თვით საუკეთესოებისთვისაც კი მათ შორის, ისინი იძულებული იქნებიან შეურიგდნენ იმ აზრს, რომ მეტი აღარ იქნება ექსპლოატატორული კლასების ბატონობა, ამიერიდან უბრალო გლეხი იქნება მბრძანებელი და ისინი იძულებული იქნებიან დაემორჩილონ მას, — თუმცა ეს დიდად არასასიამოვნო იქნება მათთვის, მაგრამ რას გააწყობენ.

ეს ბევრი სიძნელის, ბევრი მსხვერპლისა და შეცდომის ფასად დაჯდება, ეს ახალი საქმეა, ისტორიაში გაუგონარი, რომელსაც წიგნებში ვერ წაიკითხავ. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს უდიდესი, უძნელესი გადასვლაა ისტორიაში, მაგრამ სხვანაირად ვერასგზით ვერ მოვახდენდით ამ უდიდეს გადასვლას. და იმ გარემოებამ, რომ რუსეთში შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლება, ცხადყო, რომ რევოლუციური გამოცდი-

ლებით ყველაზე მდიდარია თვით რევოლუციური მასა, — როდესაც რამდენიმე ათეული პარტიული ადამიანის დასახმარებლად ჩნდებიან მილიონები, — რომელიც თვითონ პრაქტიკულად სწვდება ყელში თავის ექსპლოატატორებს.

აი რატომ მოიპოვა ამჟამად რუსეთში უპირატესობა სამოქალაქო ომმა. ჩვენს წინააღმდეგ აყენებენ ლოზუნგს: «დაე მოისპოს სამოქალაქო ომი». ეს მე გავიგონე ეგრეთწოდებული დამფუძნებელი კრების მემარჯვენე ნაწილის წარმომადგენლებისაგან. დაე მოისპოს სამოქალაქო ომი... რას ნიშნავს ეს? ვისთან სამოქალაქო ომი? კორნილოვთან, კერენსკისთან, რიაბუშინსკისთან, რომლებიც მილიონებს ხარჯავენ მაწანწალებისა და მოხელეების მოსასყიდად? იმ მესაბოტაჟეებთან, რომლებიც, სულ ერთია, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ამ მოსყიდვაზე მიდიან? უეჭველია, რომ უკანასკნელთა შორის, შეუგნებელთა შორის, არიან ისეთები, რომლებიც ამას შეუგნებლად სჩადიან, იმიტომ რომ მათ წარმოდგენაც კი არ შეუძლიათ, რომ შეიძლება და ძირფესვიანად უნდა დაინგრეს კიდევაც წინანდელი ბურჟუაზიული წყობილება და მის ნანგრევებზე უნდა დაიწყოს სრულიად ახალი სოციალისტური საზოგადოების შენება. უეჭველია, რომ არიან ასეთი ადამიანები, — მაგრამ განა ეს ცვლის მდგომარეობას?

აი ამიტომაა, რომ შეძლებული კლასების წარმომადგენლები აღარაფერს ზოგავენ, აი ამიტომაა ეს მათთვის უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლები, და ისინიც არავითარ დანაშაულობას არ დაერიდებიან, ოღონდ კი საბჭოთა ხელისუფლება მოსტეხონ. განა სოციალიზმის მთელი ისტორია, განსაკუთრებით საფრანგეთისა, რომელიც ასე მდიდარია რევოლუციური მისწრაფებებით, არ გვიჩვენებს, რომ როდესაც თვით მშრომელი მასები იღებენ ხელისუფლებას, მმართველი კლასები სჩადიან გაუგონარ დანაშაულს, არ ერიდებიან დახვრეტას, როდესაც საქმე ეხება მათი საკუთარი ფულის ქისების დაცვას. და როდესაც ეს ადამიანები გველაპარაკებიან სამოქალაქო ომზე, ჩვენ მათ ღიმილით ვუპასუხებთ, ხოლო როდესაც ისინი თავიანთ ლოზუნგს მოსწავლე

ახალგაზრდობაში ისვრიან, ჩვენ მათ ვეუბნებით — თქვენ ატყუებთ მათ!

კლასობრივ ბრძოლას შემთხვევით როდი მიუღია თავისი უკანასკნელი ფორმა, როდესაც ექსპლოატირებულთა კლასი ეუფლება ხელისუფლების ყველა საშუალებას, რათა საბოლოოდ მოსპოს თავისი კლასობრივი მტერი — ბურჟუაზია, აღგავოს რუსეთის დედამიწის პირიდან არა მარტო მოხელეები, არამედ მემამულეებიც, როგორც აღგავეს ისინი ზოგიერთ გუბერნიაში რუსმა გლეხებმა.

გვეუბნებიან, საბოტაჟი, რომლითაც სახალხო კომისართა საბჭოს შეხვდნენ მოხელეები და მემამულეები, ამტკიცებს, რომ არ სურთ ხელი შეუწყონ სოციალიზმსო. თითქოს ცხადი არ იყო, რომ კაპიტალისტებისა და გაიძვერების, მაწანწალებისა და მესაბოტაჟეების მთელი ეს ბანდა წარმოადგენს ბურჟუაზიის მიერ მოსყიდულ ერთ ბრბოს, რომელიც ეწინააღმდეგება მშრომელთა ხელისუფლებას. რა თქმა უნდა, ვინც ფიქრობდა, რომ შეიძლება ერთბაშად გადახტე კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე, ან ვისაც შესაძლებლად მიაჩნდა დაერწმუნებინა მოსახლეობის უმრავლესობა იმაში, რომ ამის მიღწევა შეიძლება დამფუძნებელი კრების საშუალებით, ვისაც სწამდა ეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ზღაპარი, — მას შეუძლია მშვიდად განაგრძოს ამ ზღაპრის დაჯერება, მაგრამ დაე ის ნუღარ დააყვედრის ცხოვრებას, თუ იგი ამ ზღაპარს დაამსხვრევს.

ვინც გაიგო, რა არის კლასობრივი ბრძოლა, რას ნიშნავს საბოტაჟი, რომელიც მოხელეებმა მოაწყვეს, მან იცის, რომ ერთბაშად სოციალიზმზე გადახტომა ჩვენ არ შეგვიძლია. დარჩნენ ბურჟუები, კაპიტალისტები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ დაიბრუნებენ ბატონობას და იცავენ თავიანთ ფულის ქისებს, დარჩა მაწანწალობა, მოსყიდულ, კაპიტალიზმის მიერ სრულიად გასრესილ ადამიანთა ფენა, რომელთაც არ შეუძლიათ ამაღლდნენ პროლეტარული ბრძოლის იდეამდე. დარჩნენ მოსამსახურენი, მოხელენი, რომელთაც ჰგონიათ, რომ ძველი წესწყობილების დაცვა საზოგადოების ინტერესს

წარმოადგენს. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ სოციალიზმის გამარჯვება სხვაგვარად, თუ არა ამ ფენების სრული განადგურებით, სხვაგვარად, თუ არა როგორც რუსეთის, ისე ევროპის ბურჟუაზიის სრული დაღუპვით? ხომ არა გვგონია ჩვენ, რომ ბბ. რიაბუშინსკებს არ ესმით თავიანთი კლასობრივი ინტერესები? ისინი არიან, მესაბოტაჟეებს რომ ქრთამავენ, რათა მათ არ იმუშაონ. ან იქნებ ისინი ცალ-ცალკე მოქმედებენ? განა ისინი საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის კაპიტალისტებთან ერთად არ მოქმედებენ, როცა ფასიან ქაღალდებს ყიდულობენ? ვნახოთ მხოლოდ, ბევრს თუ უშველის მათ ეს შესყიდვა. და იმ ფასიანი ქაღალდების გროვა, ახლა რომ ისინი იღებენ, ხომ არ გადაიქცევა სულ უბრალო, ყოვლად გამოუსადეგარ, ძველ ქაღალდად?

აი ამიტომ არის, ამხანაგებო, როდესაც გვისაყვედურებენ და გვაბრალებენ ტერორს, დიქტატურას, სამოქალაქო ომის გაჩაღებას, თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ ნამდვილი ტერორისაგან, იმიტომ რომ ჩვენ მათზე ძლიერი ვართ, — ჩვენ გვაქვს საბჭოები, ჩვენთვის საკმარისია ბანკების ნაციონალიზაცია და ქონების კონფისკაცია, რომ დავიმორჩილოთ ისინი, — სამოქალაქო ომის გაჩაღების მთელ ამ ბრალდებაზე ჩვენ ვუპასუხებთ: დიახ, ჩვენ აშკარად გამოვაცხადეთ ის, რასაც ვერც ერთი მთავრობა ვერ გამოაცხადებდა. მსოფლიოში პირველი მთავრობა, რომელსაც შეუძლია სამოქალაქო ომზე აშკარად ილაპარაკოს, არის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა მასების მთავრობა. დიახ, ჩვენ დავიწყეთ და ვაწარმოებთ ომს ექსპლოატატორების წინააღმდეგ. რაც უფრო პირდაპირ ვიტყვით ამას, მით უფრო მალე დამთავრდება ეს ომი, მით უფრო ჩქარა მიგვიხვდებიან მთელი მშრომელი და ექსპლოატირებული მასები, მიხვდებიან, რომ საბჭოთა ხელისუფლება აკეთებს ყველა მშრომელის ნამდვილ, საარსებო საქმეს.

მე არ ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ მალე გავიმარჯვებთ ამ ბრძოლაში, მაგრამ ჩვენ მეტად მდიდარი ვართ გამოცდილებით: ორი თვის განმავლობაში ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ.

ჩვენ განვიცადეთ კერენსკის შემოტევის ცდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ ცდის სრული კრახი; ჩვენ განვიცადეთ უკრაინელი კერენსკების ხელისუფლების ორგანიზაცია, — იქ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მაგრამ ყველასთვის, ვინც მას თვალს ადევნებს, ვისაც მოუსმენია თუნდაც რამდენიმე მართალი მოხსენება საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან, აშკარაა, რომ უკრაინის რადის ბურჟუაზიული ელემენტები უკანასკნელ დღეებს ითვლიან. (ტ ა შ ი.) არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვებს უკრაინის ბურჟუაზიულ რადაზე.

ხოლო ბრძოლა კალედინთან, — აქ მართლაც ყველაფერი დამყარებულია მშრომელთა ექსპლოატაციის საფუძველზე, ბურჟუაზიული დიქტატურის საფუძველზე, — თუკი არსებობს რაიმე სოციალური საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. გლეხთა ყრილობამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ კალედინის საქმე — უიმედო საქმეა, მშრომელი მასები მისი წინააღმდეგი არიან. საბჭოთა ხელისუფლების გამოცდილება, საბჭოთა ორგანიზაციების საქმით, მაგალითით პროპაგანდა თავისას შვრება, და კალედინის შინაგანი დასაყრდენი დონზე ახლა იმდენად გარედან არ ინგრევა, რამდენადაც შიგნიდან.

აი ამიტომ არის, რომ, როცა რუსეთში სამოქალაქო ომის ფრონტს ვუყურებთ, ჩვენ შეგვიძლია სრული რწმენით ვთქვათ: აქ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება სრული და სავსებით უზრუნველყოფილია. და ამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება, ამხანაგებო, მიღწეულია იმით, რომ ის თავიდანვე ახორციელებს სოციალიზმის ძველთაძველ ანდერძებს, თანამიმდევრად და გადაჭრით ეყრდნობა მასებს, თავის ამოცანად თვლის საზოგადოების ყველაზე დაჩაგრული, დაბეჩავებული ფენები გამოაღვიძოს ცოცხალი ცხოვრებისათვის, აამაღლოს სოციალისტური შემოქმედებისათვის. აი ამიტომაც ძველი არმია, ყაზარმული წვრთნის და ჯარისკაცთა წამების არმია — წარსულს ჩაბარდა. იგი დამსხვრეულია და მისგან

ქვა-ქვაზე აღარ დარჩენილა. (ტ ა შ ი.) არმიის სრული დემოკრატიზაცია განხორციელებულია.

ჩემს თავს ნებას მივცემ მოგიყვეთ ერთი ამბავი, რომელიც მე შემემთხვა. ეს იყო ფინეთის რკინიგზის ვაგონში, სადაც გავიგონე ლაპარაკი რამდენიმე ფინელსა და ერთ მოხუც დედაკაცს შორის. მე არ შემეძლო მონაწილეობა მიმეღო ლაპარაკში, რადგან არ ვიცოდი ფინური ენა, მაგრამ მე მომმართა ერთმა ფინელმა და მითხრა: «იცით, რა ორიგინალური ამბავი მოგვიყვა ამ დედაბერმა? მან თქვა: ახლა თოფიანი კაცის აღარ უნდა გვეშინოდეს. ერთხელ ტყეში ვიყავი, შემხვდა თოფიანი კაცი, და იმის ნაცვლად, რომ წაერთმია ჩემთვის ფიჩხი, მან კიდევ დამიმატაო».

როდესაც მე ეს გავიგონე, გულში ვთქვი: დაე ასობით გაზეთმა, რა სახელიც უნდა ერქვას მათ — სოციალისტური, თითქმის-სოციალისტური და სხვ., დაე ასობით უაღრესად მაღალმა ხმამ გვიყვიროს: «დიქტატორები», «მოძალადეები» და სხვ. ამგვარი სიტყვები. ჩვენ ვიცით, რომ ხალხის მასებში ახლა სხვა ხმა ისმის; ისინი თავიანთ გულში ამბობენ: დღეს აღარ უნდა გვეშინოდეს თოფიანი კაცის, იმიტომ რომ ის იცავს მშრომელებს და ულმობელი იქნება ექსპლოატატორთა ბატონობის დათრგუნვაში. (ტ ა შ ი.) აი რა იგრძნო ხალხმა, და აი რატომ არის ის აგიტაცია, რომელსაც ეწევიან უბრალო, გაუნათლებელი ადამიანები, როდესაც ლაპარაკობენ იმაზე, რომ წითელგვარდიელები მთელ ძლიერებას ექსპლოატატორების წინააღმდეგ მიმართავენ, — ეს აგიტაცია უძლეველია. ეს აგიტაცია ჩამოიცლის მილიონებს და ათეულ მილიონებს და მტკიცედ შექმნის იმას, რის შექმნაც დაიწყო საფრანგეთის XIX საუკუნის კომუნამ, მაგრამ შექმნა მხოლოდ მოკლე ხნით, იმიტომ რომ იგი გაანადგურა ბურჟუაზიამ, — შექმნის სოციალისტურ წითელ არმიას, რასაც ყველა სოციალისტი ესწრაფოდა — ხალხის საყოველთაო შეიარაღებას. იგი შექმნის წითელი გვარდიის ახალ კადრებს, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ აღვზარდოთ მშრომელი მასები შეიარაღებული ბრძოლისათვის.

თუ რუსეთის შესახებ ამბობდნენ: მას არ შეუძლია იომოს, იმიტომ რომ ოფიცრები არ ეყოლებაო, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის, რასაც ამბობდნენ თვით ეს ბურჟუაზიული ოფიცრები, როცა ხედავდნენ კერენსკისა და კალედინის წინააღმდეგ მებრძოლ მუშებს: «დიახ, ეს წითელგვარდიელები ტექნიკურად არაფრად ვარგიან, მაგრამ ამ ადამიანებს რომ ცოტა რამ ესწავლათ, მათ უძლეველი არმია ეყოლებოდათო». ვინაიდან პირველად მსოფლიო ბრძოლის ისტორიაში არმიის რიგებში შევიდნენ ის ელემენტები, რომლებიც აღჭურვილი არ არიან კაზიონური ცოდნით, მაგრამ რომლებიც გამსჭვალული არიან ექსპლოატირებულთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეებით. და როდესაც ჩვენს მიერ დაწყებული მუშაობა დამთავრდება, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა უძლეველი იქნება. (ტ ა შ. ი.)

ამხანაგებო, ეს გზა, რომელიც განვლო საბჭოთა ხელისუფლებამ სოციალისტური არმიის მიმართ, მან განვლო აგრეთვე გაბატონებული კლასების მეორე, კიდევ უფრო მოქნილი, კიდევ უფრო რთული იარაღის — ბურჟუაზიული სასამართლოს მიმართ, რომელიც ვითომ წესრიგის დაცვას წარმოადგენდა, ნამდვილად კი ბრმა, მოქნილი იარაღი იყო ექსპლოატირებულთა ულმობელი დათრგუნვისა, მდიდართა ინტერესების დაცვისა. საბჭოთა ხელისუფლება მოიქცა ისე, როგორც გვიანდერძა ყველა პროლეტარულმა რევოლუციამ,— მან იგი ერთბაშად გადასცა დასამსხვრევად. დაე იყვირონ, რომ ჩვენ ძველი სასამართლო რეფორმის მოუხდენლად ერთბაშად გადავეცით დასამსხვრევად. ამით ჩვენ გზა გავუკაფეთ ნამდვილ სახალხო სასამართლოს და იმდენად არა რეპრესიების ძალით, რამდენადაც მასების მაგალითით, მშრომელთა ავტორიტეტით, ფორმალობის გარეშე, სასამართლოდან, როგორც ექსპლოატაციის იარაღიდან, შევქმენით აღზრდის იარაღი სოციალისტური საზოგადოების მტკიცე საფუძველზე. არავითარი ეჭვი არ არის, რომ ერთბაშად ასეთი საზოგადოების მიღება ჩვენ არ შეგვიძლია.

აი ის მთავარი ნაბიჯები, რომლებიც გადადგა საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც მიდიოდა მთელ მსოფლიოში უდიდესი სახალხო რევოლუციების მთელი გამოცდილებით ნაჩვენები გზით. არ ყოფილა არც ერთი რევოლუცია, სადაც მშრომელ მასებს არ დაეწყოთ ნაბიჯების გადადგმა ამ გზით ახალი სახელმწიფო ხელისუფლების შესაქმნელად. სამწუხაროდ, ისინი მხოლოდ იწყებდნენ, მაგრამ ვერ მიჰყავდათ საქმე ბოლომდე, ვერ მოხერხდა ახალი ტიპის სახელმწიფო ხელისუფლების შექმნა. ჩვენ იგი შევქმენით, — ჩვენში უკვე განხორციელებულია საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა.

მე არ ვიტყუებ თავს ილუზიებით, რომ ჩვენ მხოლოდ დავიწყეთ სოციალიზმისკენ გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი პერიოდი, რომ ჩვენ ჯერ სოციალიზმამდე არ მივსულვართ. მაგრამ თქვენ სწორად მოიქცევით, თუ იტყვით, რომ ჩვენი სახელმწიფო საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკაა. თქვენ ისევე სწორად მოიქცევით, როგორც ისინი, ვინც დასავლეთის მრავალ ბურჟუაზიულ რესპუბლიკას დემოკრატიულს უწოდებს, თუმცა ყველამ და თვითეულმა იცის, რომ არ არის არც ერთი თვით ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკათა შორის, რომელიც სავსებით დემოკრატიული იყოს. ისინი დემოკრატიზმის ნამცეცებს იძლევიან, წვრილმანებში ჰკვეცენ ექსპლოატატორების უფლებებს, მაგრამ მშრომელი მასები იქ ისევე დაჩაგრული არიან, როგორც ყველგან. და, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვამბობთ, რომ ბურჟუაზიულ წყობილებას წარმოადგენს ძველი მონარქიებიც და კონსტიტუციური რესპუბლიკებიც.

ჩვენც ასე ვართ ახლა. ჩვენ შორსა ვართ იმისაგან, რომ დავამთავროთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდიც კი. ჩვენ არასოდეს არ ვიტყუებდით თავს იმ იმედით, რომ შევძლებთ მის დამთავრებას საერთაშორისო პროლეტარიატის დაუხმარებლად. ჩვენ არასოდეს არ ვცდებოდით ამ მხრივ და ვიცით, რა ძნელია ის გზა, რომელსაც კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ მივყავართ, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ ვთქვათ, რომ საბჭოების ჩვენი

რესპუბლიკა სოციალისტურია, იმიტომ რომ ჩვენ ამ გზას დავადექით, და ეს სიტყვები არ იქნება ლიტონი სიტყვები.

ჩვენ მრავალი ღონისძიების გატარება დავიწყეთ, რომლებიც ძირს უთხრიან კაპიტალისტების ბატონობას. ჩვენ ვიცით, რომ ყველა დაწესებულების მუშაობა ჩვენს ხელისუფლებას უნდა გაეერთიანებინა ერთი საწყისით, და ამ საწყისს ჩვენ გამოვხატავთ სიტყვებით: «რუსეთი ცხადდება საბჭოების სოციალისტურ რესპუბლიკად». ეს იქნება ის სიმართლე, რომელიც ემყარება იმას, რაც ჩვენ უნდა ვაკეთოთ და რისი გაკეთებაც უკვე დავიწყეთ; ეს იქნება საუკეთესო გაერთიანება მთელი ჩვენი მოქმედებისა, გამოცხადება მისი პროგრამისა, მოწოდება ყველა ქვეყნის მშრომელთა და ექსპლოატირებულთადმი, რომლებმაც ან სულ არ იციან, რა არის სოციალიზმი, ან — კიდევ უარესი — სოციალიზმი ესმით ბურჟუაზიული რეფორმების იმ ჩერნოვ-წერეთლისებური დომხალის სახით, რომელიც ჩვენ ვიგემეთ, გამოვცადეთ რევოლუციის ათი თვის განმავლობაში და დავრწმუნდით იმაში, რომ ეს არის ნაყალბი და არა სოციალიზმი.

აი ამიტომ იყო, რომ «თავისუფალი» ინგლისი და საფრანგეთი ყოველგვარ საშუალებას ხმარობდნენ, რათა ჩვენი რევოლუციის ათი თვის განმავლობაში არ გაეშვათ ბოლშევიკების და მემარცხენე ესერების გაზეთების არც ერთი ნომერი. ისინი ასეც უნდა მოქცეულიყვნენ, იმიტომ რომ ხედავდნენ თვალწინ ყველა ქვეყანაში უამრავ მუშასა და გლეხს, რომლებიც ინსტინქტურად ითვისებდნენ ყველაფერს, რასაც კი რუსეთის მუშები აკეთებდნენ. ვინაიდან არ ყოფილა არც ერთი კრება, სადაც ტაშის გრიალით არ შეხვედროდნენ რუსეთის რევოლუციის ამბებს და საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგს. მშრომელი და ექსპლოატირებული მასები უკვე ყველგან ეწინააღმდეგებიან თავიანთ პარტიულ ზედაფენებს. ეს ძველი ზედაფენური სოციალიზმი ჯერ კიდევ არ არის დამარხული, როგორც ჩვენში, რუსეთში, ჩხეიძე და წერეთელი, მაგრამ ის უკვე მოკლულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ის უკვე მკვდარია.

და ამ ძველი ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ დგას უკვე ახალი სახელმწიფო — რესპუბლიკა საბჭოების, რესპუბლიკა მშრომელი, ექსპლოატირებული კლასებისა, რომლებიც ამსხვრევენ ძველ ბურჟუაზიულ ტიხრებს. შექმნილია სახელმწიფოს ახალი ფორმები, როდესაც შესაძლებელი გახდა ექსპლოატატორების, გუშინდელი ფულის ქისით, გუშინდელი ცოდნის მარაგით ძლიერი, უმნიშვნელო ჯგუფის წინააღმდეგობის დათრგუნვა. თავიანთ ცოდნას ისინი — პროფესორები, მასწავლებლები, ინჟინრები — აქცევენ მშრომელთა ექსპლოატაციის იარაღად, როცა ამბობენ: მე მინდა ჩემი ცოდნა ბურჟუაზიას ემსახურებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ ვიმუშავებო. მაგრამ მათი ხელისუფლება დაანგრია მუშურ-გლეხურმა რევოლუციამ, და მათ წინააღმდეგ იქმნება სახელმწიფო, რომელშიც თვითონ მასები თავისუფლად ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს.

სწორედ ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ სინამდვილეში ჩვენ გვაქვს ხელისუფლების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ყოველგვარი ხელისუფლების, ყოველგვარი სახელმწიფოს სრულ გაუქმებაზე გადასვლას. ეს შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც აღარ იქნება არავითარი კვალი ექსპლოატაციისა, ესე იგი სოციალისტურ საზოგადოებაში.

მე ახლა მოკლედ შევეხები იმ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებას შეუდგა რუსეთის საბჭოთა სოციალისტური მთავრობა. ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ არათუ გაჰქრნენ რუსეთის დედამიწის პირიდან მემამულეები, არამედ აგრეთვე ძირი გამოეთხაროს ბურჟუაზიის ბატონობას და მრავალ მილიონ და ათეულ მილიონ მშრომელის მიმართ კაპიტალის ჩაგვრის შესაძლებლობას, — იყო ბანკების ნაციონალიზაციაზე გადასვლა. ბანკები — თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის მსხვილი ცენტრებია. აქ გროვდება გაუგონარი სიმდიდრე და ნაწილდება მთელ უზარმაზარ ქვეყანაში, აქ არის მთელი

კაპიტალისტური ცხოვრების ნერვი. ეს დახვეწილი და რთული ორგანოებია, ისინი საუკუნეებით გაიზარდნენ, და პირველად მათ ეკვეთა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც პირველად გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა სახელმწიფო ბანკში. მაგრამ ამ წინააღმდეგობამ ვერ შეაჩერა საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენ მოვაგვარეთ ძირითადი სახელმწიფო ბანკის ორგანიზაციის საქმეში, ეს ძირითადი მუშებისა და გლეხების ხელშია, და ამ ძირითადი ზომებიდან, რომელთა დამუშავება ჯერ კიდევ დიდხანს მოგვიხდება, ჩვენ გადავედით კერძო ბანკების ხელში ჩაგდებაზე.

ჩვენ ისე არ მოვიქეცით, როგორც ამას, ალბათ, გვირჩევდნენ შემთანხმებლები: ჯერ დაგვეცადა დამფუძნებელი კრებისათვის, შემდეგ, შეიძლება, შეგვემუშავებინა კანონ-პროექტი, შეგვეტანა იგი დამფუძნებელ კრებაში და ამით გვეცნობებინა ბატონ ბურჟუებისთვის ჩვენი განზრახვა, რომ მათ გასაძრომი მოენახათ, როგორ დაეღწიათ თავი ამ არასასიამოვნო ამბისთვის; შესაძლოა, ჩაგვება ისინი კომპანიაში, მაშინ თქვენ შექმნიდით სახელმწიფო კანონებს, — ეს იქნებოდა «სახელმწიფო აქტი».

ეს იქნებოდა სოციალიზმის გაუქმება. ჩვენ უბრალოდ მოვიქეცით: არ მოვერიდეთ «განათლებულ» ადამიანთა ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბურჟუაზიის იმ გაუნათლებელი მომხრეების კიცხვას, რომლებიც თავიანთი ცოდნის ნაშთებით ვაჭრობენ, და ვთქვით: — ჩვენ გვყავს შეიარაღებული მუშები და გლეხები. მათ ამ დილით უნდა დაიკავონ ყველა კერძო ბანკი. (ტ ა შ ი.) და როცა ისინი ამას იზამენ, როცა უკვე ძალაუფლება ჩვენს ხელში იქნება, მხოლოდ ამის შემდეგ განვიხილავთ, თუ რა ზომები მივიღოთ. და დილით ბანკები დაიკავეს, საღამოს კი ცაკ-მა გამოიტანა დადგენილება: «ბანკები ცხადდება ნაციონალურ საკუთრებად», — მოხდა საბანკო საქმის გასახელმწიფოებრივება, განსაზოგადოება, მისი გადაცემა საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

არ იყო ჩვენს შორის არც ერთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო წარმოედგინა, რომ საბანკო საქმის ასეთი დახელოვ-

ნებული, მოქნილი აპარატი, რომელიც მეურნეობის კაპიტალისტური სისტემიდან მთელი საუკუნეობით ვითარდებოდა, შეიძლება დამსხვრეულ ან გადაკეთებულ იქნეს რამდენიმე დღეში. ეს ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს. და როდესაც სწავლული ანუ ვითომ-სწავლული ადამიანები თავს იქნევდნენ და წინასწარმეტყველებდნენ, ჩვენ ვამბობდით: თქვენ შეგიძლიათ რაც გნებავთ ის იწინასწარმეტყველოთ. ჩვენ ვიცით პროლეტარული რევოლუციის მხოლოდ ერთი გზა: მტრის პოზიციის დაპყრობა — ხელისუფლების მომარჯვების სწავლა გამოცდილებით, საკუთარი შეცდომებით. ჩვენ სრულებითაც არ ვამცირებთ ჩვენი გზის სიძნელეს, მაგრამ ძირითადი ჩვენ უკვე გავაკეთეთ. კაპიტალისტური სიმდიდრის წყაროს მათი განაწილება უკვე ჩაფუშულია. სახელმწიფო სესხთა გაუქმება, ფინანსური უღლის დამხობა, — ეს სულ ადვილი ნაბიჯი იყო ამის შემდეგ. აგრეთვე სულ იოლი იყო ქარხნების კონფისკაციაზე გადასვლა მუშათა კონტროლის შემდეგ. როდესაც გვაბრალებდნენ, მუშათა კონტროლის შემოღებით თქვენ წარმოებას ცალკე საამქროებად აქუცმაცებთო, ჩვენ უარვყოფდით ამ სისულელეს. როცა მუშათა კონტროლი შემოვიღეთ, ჩვენ ვიცოდით, რომ დიდი დრო იყო საჭირო, ვიდრე ის მთელ რუსეთში გავრცელდებოდა, მაგრამ ჩვენ გვინდოდა დაგვენახვებინა, რომ ვცნობთ მხოლოდ ერთ გზას — გარდაქმნებს ქვემოდან, რათა მუშებმა თვითონ გამოიმუშაონ ქვემოდან ეკონომიური პირობების ახალი საფუძვლები. ამის გამომუშავებას ცოტა დრო როდი დასჭირდება.

მუშათა კონტროლიდან ჩვენ გადავედით სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შექმნაზე. მხოლოდ ეს ღონისძიება, ბანკების და რკინიგზების ნაციონალიზაციასთან ერთად, რომელიც უახლოეს დღეებში განხორციელდება, მოგვცემს საშუალებას შევუდგეთ ახალი სოციალისტური მეურნეობის შენებას. ჩვენ მშვენივრად ვიცით ჩვენი საქმის სიძნელე, მაგრამ ვამტკიცებთ, რომ ნამდვილი სოციალისტი მხოლოდ ის არის, ვინც ხელს ჰკიდებს ამ ამოცანას და იმედს

ამყარებს მშრომელი მასების გამოცდილებასა და ინსტინქტზე. ისინი ბევრ შეცდომას დაუშვებენ, მაგრამ ძირითადი გაკეთებულია. მათ იციან, რომ, როცა საბჭოთა ხელისუფლებას მიმართავენ, მხოლოდ დახმარებას მიიღებენ ექსპლოატატორების წინააღმდეგ. არ არსებობს მათი მუშაობის შემამსუბუქებელი არც ერთი ისეთი ღონისძიება, რომელსაც მთლიანად და სავსებით მხარს არ უჭერდეს საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოთა ხელისუფლებამ ყველაფერი არ იცის, მას არ შეუძლია ყველაფერს დროზე მიეშველოს, და ხშირად მას უხდება ძნელი ამოცანების წინაშე დგომა. ძალიან ხშირად მთავრობას უგზავნიან მუშათა და გლეხთა დელეგაციებს, რომლებიც გვეკითხებიან, როგორ მოექცნენ, მაგალითად, ამა და ამ მიწას. და თვითონ მეც ხშირად ვვარდებოდი მძიმე მდგომარეობაში, როცა ვხედავდი არცთუ სავსებით გარკვეულ შეხედულებას მათი მხრივ. და ვეუბნებოდი მათ: თქვენ ხელისუფლება ხართ, გააკეთეთ ყველაფერი, რისი გაკეთებაც გინდათ, წაიღეთ ყველაფერი, რაც გესაჭიროებათ, ჩვენ მხარს დაგიჭერთ, მაგრამ იზრუნეთ წარმოებაზე, იზრუნეთ იმაზე, რომ წარმოება სასარგებლო იყოს. გადადით სასარგებლო სამუშაოებზე, თქვენ შეცდომები გექნებათ, მაგრამ ისწავლით. და მუშებმა უკვე დაიწყეს სწავლა, მათ უკვე დაიწყეს ბრძოლა მესაბოტაჟეებთან. ადამიანებმა განათლებიდან აღმართეს ღობე, რომელიც მშრომელებს ხელს უშლის წინ წავიდეს; ეს ღობე აღგვილი იქნება.

ეჭვი არ არის, რომ ომი რყვნის ხალხს ზურგშიც და ფრონტზედაც, ყოველგვარ ნორმაზე ზევით უხდის ომისთვის მომუშავეთ, იზიდავს ყველას, ვინც თავი აარიდა ომს, მაწანწალურ და ნახევრადმაწანწალურ ელემენტებს, რომლებიც გამსჭვალული არიან ერთი სურვილით — «წაჰგლიჯონ» და წავიდნენ. მაგრამ ეს ელემენტები, — ყველაზე უარესი, რაც ძველმა კაპიტალისტურმა წყობილებამ დაგვიტოვა, — რომლებსაც გადმოაქვთ ყველა მისი ძველი მანკი, ჩვენ უნდა გავაძევოთ, განვდევნოთ, ფაბრიკა-ქარხნების საწარ-

შოებში ჩავაბათ ყველა საუკეთესო პროლეტარული ელემენტი და მათგან შევქმნათ მომავალი სოციალისტური რუსეთის უჯრედები. ეს ადვილი ღონისძიება როდია, ამას თან სდევს ბევრი კონფლიქტი, უთანხმოება, შეხლა-შემოხლა. ჩვენ, სახალხო კომისართა საბჭოს, და პირადად მეც მომისმენია მათი საჩივარი და მუქარა, მაგრამ ჩვენ მათ ვექცეოდით გულდამშვიდებით, რადგან ვიცოდით, რომ ჩვენ ახლა გვყავს მსაჯული, რომელსაც მივმართავთ. ეს მსაჯულია — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები. (ტ ა შ ი.) ამ მსაჯულის სიტყვა უდავოა, ჩვენ მას ყოველთვის ვენდობით.

კაპიტალიზმი განგებ ანაწილებს ფენებად მუშებს, რომ ბურჟუაზიას დაუკავშიროს მუშათა კლასის ზედაფენების უმნიშვნელო ჯგუფი, — მათთან შეტაკება აუცილებელი იქნება. უბრძოლველად ჩვენ სოციალიზმს ვერ მივაღწევთ. მაგრამ ჩვენ მზადა ვართ ბრძოლისათვის, ჩვენ იგი დავიწყეთ და კიდევაც მივიყვანთ ბოლომდე იმ აპარატის დახმარებით, რომელსაც საბჭოები ეწოდება. თუ შექმნილ კონფლიქტებს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სამსჯავროს წინაშე გამოვიტანთ, ყოველი საკითხი ადვილად გადაწყდება, ვინაიდან, რაც უნდა ძლიერი იყოს პრივილეგიური მუშების ჯგუფი, როცა მათ ყველა მუშის წარმომადგენლობის წინაშე აყენებენ, ასეთი სამსჯავრო, ვიმეორებ, მათთვის უდავო იქნება. ასეთი რეგულირება ეს-არის ახლა იწყება. მუშებსა და გლეხებს ჯერ კიდევ საკმაოდ არა სწამთ თავიანთი ძალა, ისინი, საუკუნეობრივი ტრადიციის ძალით, მეტისმეტად მიეჩვევნენ ზევიდან ბრძანების ლოდინს. ისინი სავსებით ჯერ კიდევ ვერ შეჩვეევიან იმ აზრს, რომ პროლეტარიატი გაბატონებული კლასია, მათ შორის კიდევ არიან დაშინებული, დაბეჩავებული ელემენტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ უნდა განვლონ ბურჟუაზიის საზიზღარი სკოლა. ეს უსაზიზღრესი ბურჟუაზიული ცრურწმენა ყველაზე დიდხანს ცოცხლობდა, მაგრამ ის იღუპება და დაიღუპება კიდეც საბოლოოდ. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ

საბჭოთა ხელისუფლების ყოველ ნაბიჯთან ერთად თანდათან უფრო მეტი რაოდენობით გამოიყოფიან ისეთი ადამიანები, რომლებიც საბოლოოდ განთავისუფლდნენ ძველი ბურჟუაზიული ცრურწმენისაგან, თითქოს უბრალო მუშასა და გლეხს არ შეეძლოს სახელმწიფოს მართვა. იქნებ ისწავლოს როგორმე, თუ ხელს მოჰკიდებს მართვას! (ტ ა შ ი.)

ორგანიზაციული ამოცანა იქნება სწორედ ხალხის მასიდან ხელმძღვანელებისა და ორგანიზატორების გამოყოფის ამოცანა. ეს უდიდესი, ბუმბერაზული სამუშაო დგას ახლა დღის წესრიგში. მის შესრულებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, რომ არ ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლება, გამცხრილავი აპარატი, რომელსაც შეუძლია ადამიანების დაწინაურება.

ჩვენ გვაქვს არა მარტო სახელმწიფო კანონი კონტროლის შესახებ, ჩვენ გვაქვს კიდევ უფრო საგულისხმო რამ — პროლეტარიატის ცდა მეფაბრიკეთა კავშირებთან ხელშეკრულებათა დადებისა, რათა მუშებს უზრუნველყოფილი ექნეთ მრეწველობის მთელი დარგების გამგებლობა. ასეთი ხელშეკრულების გამომუშავება უკვე დაიწყეს და თითქმის დადეს კიდეც მეტყავეებმა ტყავის წარმოების მეფაბრიკეებისა და მექარხნეების სრულიად რუსეთის საზოგადოებასთან; ამ ხელშეკრულებებს მე განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვაძლევ [105]. ისინი ცხადყოფენ, რომ მუშებში იზრდება საკუთარი ძალის შეგნება.

ამხანაგებო, ჩემს მოხსენებაში მე არ შევხებივარ განსაკუთრებით მტკივნეულ და ძნელ საკითხებს — ზავის, სასურსათო საკითხებს, იმიტომ რომ ეს საკითხები განსაკუთრებულ მუხლებადაა შეტანილი დღის წესრიგში, და ისინი სპეციალურად იქნება განხილული.

ჩემს მოკლე მოხსენებაში მე მინდოდა მეჩვენებინა, როგორ გვაქვს წარმოდგენილი მე და მთელ სახალხო კომისართა საბჭოს საერთოდ იმის ისტორია, რაც ჩვენ ამ ორთვენახევრის განმავლობაში განვიცადეთ, როგორ ჩამოყალიბდა რუსეთის რევოლუციის ამ ახალ პერიოდში კლასობრივ ძალთა

თანაფარდობა, როგორ ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო ხელისუფლება, რა სპეციალური ამოცანები დგას მის წინაშე.

სოციალიზმის განსახორციელებლად რუსეთი დაადგა სწორ გზას — მიაღწიოს ამას ბანკების ნაციონალიზაციით და მთელი მიწის საკუთრებით მშრომელი მასებისათვის გადაცემით. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რა სიძნელეები გვეღობება წინ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, წარსულ რევოლუციებთან შედარების მიხედვით, რომ უდიდეს წარმატებებს მივაღწევთ და რომ ჩვენ ვდგავართ ისეთ გზაზე, რომელიც სრულ გამარჯვებას უზრუნველყოფს.

და ჩვენთან ერთად იქნებიან მასები უფრო მოწინავე, მძარცველური ომით დაქუცმაცებული ქვეყნებისა, რომელთა მუშებს დემოკრატიზაციის უფრო ხანგრძლივი სკოლა აქვთ განვლილი. როდესაც გვისურათებენ ჩვენი საქმის სიძნელეს, როდესაც გვეუბნებიან, რომ სოციალიზმის გამარჯვება შესაძლებელია მხოლოდ მსოფლიო მასშტაბითო, ამაში ვხედავთ მხოლოდ ბურჟუაზიის და მის ნებსითს და უნებლიე მომხრეთა განსაკუთრებით უიმედო ცდას — დაამახინჯონ სრულიად უტყუარი ჭეშმარიტება. რა თქმა უნდა, სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება ერთ ქვეყანაში შეუძლებელია. მუშათა და გლეხთა ჩვენი რაზმი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას უჭერს მხარს, ერთ-ერთი რაზმია იმ მსოფლიო არმიისა, რომელიც დღეს დაქუცმაცებულია მსოფლიო ომით, მაგრამ იგი ისწრაფვის გაერთიანებისაკენ, და ყოველ ამბავს, ჩვენი რევოლუციის შესახებ მოხსენების ყოველ ნაწყვეტს, ყოველ სახელს პროლეტარიატი თანაგრძნობის ტაშის გრიალით ხვდება, რადგან მათ იციან, რომ რუსეთში კეთდება მათი საერთო საქმე — პროლეტარიატის აჯანყების, საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის საქმე. ყოველგვარ პროკლამაციასა და კონფერენციაზე მეტად მოქმედებს ცოცხალი მაგალითი, საქმის დაწყება სადმე ერთ ქვეყანაში, აი რა ანთებს ცეცხლს ყველა ქვეყნის მშრომელი მასების გულში.

თუ 1905 წლის ოქტომბრის გაფიცვა, — ძლევამოსილი რევოლუციის ეს პირველი ნაბიჯი, — ერთბაშად მოედო

დასავლეთ ევროპას და გამოიწვია მაშინ, 1905 წელს, ავსტრიის მუშების მოძრაობა, თუ უკვე მაშინ ვხედავდით პრაქტიკულად, რა ფასი აქვს რევოლუციის მაგალითს, მუშების გამოსვლას ერთ ქვეყანაში, — ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სოციალისტური რევოლუცია დღითი დღე კი არა, საათობით მწიფდება.

თუ ჩვენ შეცდომებს ჩავდივართ, გაუფრთხილებლობას ვიჩენთ, თუ ჩვენს გზაზე ვხვდებით შეხლა-შემოხლას, მათთვის ეს კი არ არის მნიშვნელოვანი, მათთვის მნიშვნელოვანია ჩვენი მაგალითი, აი რა აერთიანებს მათ; ისინი ამბობენ: რაც უნდა მოხდეს, ჩვენ ერთად გამოვალთ და გავიმარჯვებთო. (ტ ა შ ი.)

სოციალიზმის დიდი ფუძემდებელნი მარქსი და ენგელსი, რომლებიც მთელი რიგი ათწლეულის განმავლობაში უკვირდებოდნენ მუშათა მოძრაობის განვითარებას და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ზრდას, ნათლად ხედავდნენ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა მოითხოვს მშობიარობის ხანგრძლივ ტანჯვას, პროლეტარიატის დიქტატურის ხანგრძლივ პერიოდს, ყოველივე ძველის მსხვრევას, კაპიტალიზმის ყველა ფორმის ულმობელ მოსპობას, თანამშრომლობას ყველა ქვეყნის მუშებისას, რომლებმაც უნდა შეაერთონ მთელი თავიანთი ძალ-ღონე საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფად. და ისინი ამბობდნენ, რომ XIX საუკუნის დამლევს ისე მოხდება, რომ «ფრანგი დაიწყებს, ხოლო გერმანელი დაასრულებსო»[106], — ფრანგი დაიწყებს იმიტომ, რომ რევოლუციის ათეული წლების განმავლობაში მან შეიმუშავა რევოლუციური მოქმედების ის თავდადებული თაოსნობა, რომელმაც ის გადააქცია სოციალისტური რევოლუციის ავანგარდად.

ახლა ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო სოციალიზმის ძალთა სხვანაირ შეხამებას. ჩვენ ვამბობთ, რომ მოძრაობა უფრო ადვილად იმ ქვეყნებში იწყება, რომლებიც არ ეკუთვნიან ექსპლოატატორი ქვეყნების რიცხვს, რომლებსაც საშუალება აქვთ ადვილად ძარცვონ და შეუძლიათ მოქრთამონ თავიანთი

მუშების ზედაფენები. დასავლეთ ევროპის ეს, ვითომდა სოციალისტური, თითქმის ყველა მინისტერიაბელური, ჩერნოვ-წერეთლის პარტიები არაფერს არ ახორციელებენ და მოკლებული არიან მტკიცე საფუძვლებს. ჩვენ ვიხილეთ იტალიის მაგალითი, ჩვენ ამ დღეებში ვხედავდით ავსტრიის მუშების გმირულ ბრძოლას მტაცებელ-იმპერიალისტების წინააღმდეგ[107]. დაე მტაცებლებმა კიდევაც მოახერხონ დროებით მოძრაობის შეჩერება, მაგრამ მისი სავსებით შეწყვეტა შეუძლებელია, — იგი უძლეველია.

საბჭოთა რესპუბლიკის მაგალითი დიდხანს იქნება მათ თვალწინ. ჩვენი საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა მტკიცედ იდგომება, როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ჩირაღდანი და როგორც მაგალითი მთელი მშრომელი მასების წინაშე. იქ — ჩხუბი, ომი, სისხლისღვრა, მილიონობით ადამიანის მსხვერპლი, კაპიტალის ექსპლოატაცია, აქ — მშვიდობის ნამდვილი პოლიტიკა და საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა.

საქმე სხვანაირად მოეწყო, ვიდრე მარქსი და ენგელსი მოელოდნენ, მათ მოგვანიჭეს ჩვენ, რუსეთის მშრომელ და ექსპლოატირებულ კლასებს, საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის ავანგარდის საპატიო როლი, და ჩვენ ახლა ნათლად ვხედავთ, რა შორს წავა რევოლუციის განვითარება; რუსმა დაიწყო — გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი დაასრულებს, და სოციალიზმი გაიმარჯვებს. (ტ ა შ ი.)

2

საბოლოო სიტყვა
სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენების გამო
12 (25) იანვარს

მოვისმინე დღეს მემარჯვენე ორატორები, რომლებიც შემეკამათნენ ჩემი მოხსენების გამო და მიკვირს, როგორ მოხდა, რომ აქამდე ვერაფერი უსწავლიათ და ყოველივე ისიც კი დავიწყნიათ, რასაც ამაოდ «მარქსიზმს» უწოდებენ. ერთ-ერთმა მოკამათე ორატორმა განაცხადა, ჩვენ ვემხრობოდით დემოკრატიის დიქტატურას, ჩვენ ვაღიარებდით დემოკრატიის ძალაუფლებასო. ეს განცხადება იმდენად სულელური, იმდენად შეუსაბამო და უაზროა, რომ მხოლოდ სიტყვების რახარუხს წარმოადგენს. ეს იგივეა, რომ თქვა — რკინის თოვლი, ან რაიმე ამის მსგავსი. (ს ი ც ი ლ ი.) დემოკრატია ბურჟუაზიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც ემხრობა ჭეშმარიტი სოციალიზმის ყველა მოღალატე, რომლებიც დღეს ოფიციალური სოციალიზმის სათავეში აღმოჩნდნენ და ამტკიცებენ, რომ დემოკრატია ეწინააღმდეგება პროლეტარიატის დიქტატურასო. ვიდრე რევოლუცია არ სცილდებოდა ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებს, — ჩვენ ვემხრობოდით დემოკრატიას, მაგრამ, როგორც კი სოციალიზმის პირველი ნაპერწკალი დავინახეთ რევოლუციის მთელ მსვლელობაში, — იმ პოზიციაზე დავდექით, რომელიც მტკიცედ და გადაჭრით იცავს პროლეტარიატის დიქტატურას.

და უცნაურია, რომ ის ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არ სურთ გაიგონ ეს უბრალო ჭეშმარიტება სიტყვების — «დემოკრატია» და «პროლეტარიატის დიქტატურა»

აზრის განსაზღვრის შესახებ, ბედავენ და ასეთი მრავალრიცხოვანი კრების წინაშე გამოდიან ამგვარი ძველი, ყოვლად უვარგისი აბდაუბდით, რომლითაც აჭრელებულია ბატონ მოკამათეთა მთელი სიტყვები. დემოკრატია — ფორმალური პარლამენტარიზმია, ნამდვილად კი — ბურჟუაზიის მხრივ განუწყვეტელი სასტიკი დაცინვა, უსულგულო, აუტანელი ჩაგვრაა მშრომელი ხალხისა. და ამის წინააღმდეგ გალაშქრება შეუძლიათ მხოლოდ მათ, ვინც მუშათა კლასის ჭეშმარიტი წარმომადგენლები კი არ არიან, არამედ უბადრუკი ფუტლარის კაცუნები, რომლებიც ყოველთვის ძალიან დაშორებული იყვნენ და განზე იდგნენ ცხოვრებისგან, რომელთაც ეძინათ და მძინარეთ სასთუმალს ქვეშ ფრთხილად ედოთ ძველი, დაფლეთილი, სრულიად უსარგებლო წიგნაკი, რომელიც მათთვის წარმოადგენს გზისმაჩვენებელს და სახელმძღვანელოს ოფიციალური სოციალიზმის დანერგვის საქმეში. მაგრამ ეთეული მილიონობით შემოქმედის გონება ქმნის რაღაც განუზომლად უფრო მაღალს, ვიდრე ყველაზე დიადი და გენიალური წინასწარხედვა. ჭეშმარიტი, რევოლუციური სოციალიზმი გაითიშა არა მარტო დღეს, არამედ ომის დაწყებიდანვე. არ არსებობს არც ერთი ქვეყანა, არც ერთი სახელმწიფო, სადაც არ იყოს ეს ფრიად მნიშვნელოვანი გათიშვა, ეს ნაპრალი სოციალიზმის მოძღვრებაში. და ჩინებულიცაა, რომ ის გაითიშა!

იმ ბრალდებაზე საპასუხოდ, რომ ჩვენ ვებრძვით «სოციალისტებს», მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარლამენტარიზმის ეპოქაში უკანასკნელის ამ მომხრეებს უკვე არაფერი აქვთ საერთო სოციალიზმთან, ისინი დალპნენ, დამყაყდნენ, ჩამორჩნენ და, ბოლოს და ბოლოს, გადაბარგდნენ ბურჟუაზიის მხარეზე. «სოციალისტები», რომლებიც საერთაშორისო მძარცველების იმპერიალისტური ზრახვებით გამოწვეული ომის დროს «სამშობლოს დაცვაზე» გაჰკიოდნენ — სოციალისტები კი არა, ბურჟუაზიის მაჩანჩალები, დამქაშები არიან.

ისინი, ვინც ასე ბევრს ლაპარაკობენ დემოკრატიის დიქ-ტატურაზე, — ისინი მხოლოდ უაზრო, შეუსაბამო ფრაზებს ისვრიან, რომლებშიც არ არის არც ეკონომიური ცოდნა და არც პოლიტიკური გაგება.

ერთ-ერთი მოკამათე ამბობდა აქ, პარიზის კომუნას შეუ-ძლია იამაყოს იმით, რომ პარიზის მუშების აჯანყების დროს მათ შორის არ იყო ძალმომრეობა და თვითნებობაო, — მაგრამ ეჭვი არ არის, რომ კომუნა მხოლოდ იმიტომ დაეცა, რომ საჭიროების დროს საკმარისად ვერ გამოიყენა შეიარა-ღებული ძალა, თუმცა უკვდავი დარჩა ისტორიაში, რადგან საქმით პირველი ახორციელებდა პროლეტარიატის დიქტა-ტურის იდეას.

ორატორი მოკლედ ეხება ბურჟუაზიის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წარმომადგენლებთან ბრძოლას და ტაშის გრიალში მტკიცედ და გადაჭრით აცხადებს: — რაც უნდა თქვან, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, რევოლუციური ხალხის ნებით ბურჟუაზია იძულებული იქნება ან კაპიტულაცია მო-ახდინოს, ან დაიღუპოსო.

ლენინი პარალელს ავლებს ანარქიზმსა და ბოლშევიკების შეხედულებას შორის და აცხადებს, რომ ახლა, ბურჟუაზიუ-ლი წყობილების ძირითადი მსხვრევის ხანაში, ანარქიზმის ცნება, ბოლოს, სასიცოცხლო გამოსახულებას იღებს. მაგრამ ვიდრე ბურჟუაზიული წყობილების ჩაგვრას დავამხობდეთ, საჭიროა მშრომელი კლასების მტკიცე რევოლუციური ხელის-უფლება — რევოლუციური სახელმწიფოს ხელისუფლება. ეს არის კომუნიზმის დედაარსი. ახლა, როდესაც თვითონ მასა იღებს ხელთ იარაღს და იწყებს დაუნდობელ ბრძოლას ექსპლოატატორებთან, როდესაც მოქმედებს ხალხის ახალი ხელისუფლება, რომელსაც საერთო არაფერი აქვს პარლამენ-ტულ ხელისუფლებასთან, — ამ დროს ჩვენს წინაშე ძველი, თავისი ტრადიციებითა და ფორმებით უკვე დრომოჭმული სახელმწიფო კი არ არის, არამედ რაღაც ახალი, დამყარებუ-ლი დაბალი ფენების შემოქმედებითს ძალაზე. და იმ დროს, როდესაც ზოგიერთი ანარქისტი შიშით ლაპარაკობს საბჭო-

ებზე და ჯერ კიდევ მოძველებული შეხედულების გავლენის ქვეშ იმყოფება, ანარქიზმის ახალი, ნორჩი მიმდინარეობა მტკიცედ ემხრობა საბჭოებს, რომლებშიც ხედავს ცხოველმყოფელობას და უნარს — გამოიწვიონ მასებში თანაგრძნობა და შემოქმედებითი ძალა.

თქვენი შეცდომა და სიბეცე ის არის, — აცხადებს ორატორი, მიმართავს რა «მოკამათეებს», — რომ თქვენ ვერაფერი ისწავლეთ რევოლუციისაგან. ჯერ კიდევ 4 აპრილს ამ დარბაზში მე ვამტკიცებდი, რომ საბჭოები არის დემოკრატიზმის უმაღლესი ფორმა *. საბჭოები ან დაიღუპებიან — და მაშინ საბოლოოდ დაიღუპა რევოლუცია, — ან საბჭოები იცოცხლებენ — და მაშინ სასაცილოა ლაპარაკი რაღაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაზე იმ დროს, როდესაც მწიფდება სოციალისტური წყობილების სრული აყვავება და კაპიტალიზმის კრახი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაზე ბოლშევიკები ლაპარაკობდნენ 1905 წელს, მაგრამ დღეს, როდესაც საბჭოები ხელისუფლებას ჩაუდგნენ სათავეში, როდესაც მუშებმა, ჯარისკაცებმა და გლეხებმა ომის გაუგონრად გაჭირვებულ და საშინელ ვითარებაში, ნგრევის ატმოსფეროში, შიმშილით სიკვდილის აჩრდილის წინაშე, თქვეს — ჩვენ ავიღებთ მთელ ძალაუფლებას და თვითონვე შევუდგებით ახალი ცხოვრების მშენებლობასო, — ამ დროს ლაპარაკიც კი შეუძლებელია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაზე. ამის შესახებ ბოლშევიკების მიერ ყრილობებსა, კრებებსა და კონფერენციებზე, რეზოლუციებითა და დადგენილებებით ნათქვამი იყო ჯერ კიდევ გასული წლის აპრილში.

და იმათ, ვინც ამბობს, რომ ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია, რომ ჩვენ სულ უმოქმედოდ ვიყავით, რომ საბჭოთა ხელისუფლების ბატონობას არავითარი ნაყოფი არ მოუტანია, ამაზე ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვუპასუხოთ: ჩაიხედეთ მშრომელი ხალხის წიაღში, მასების შუაგულში, იქ დუღს ორგანიზაციული,

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 3 — 9. რ ე დ.

შემოქმედებითი მუშაობა, იქ წყაროსავით გადმოჰქუხს განახლებული, რევოლუციით დაკანონებული სიცოცხლე. სოფლად გლეხები იღებენ მიწას, მუშები ხელთ იგდებენ ქარხნებსა და ფაბრიკებს, ყველგან ჩნდებიან ყოველგვარი ორგანიზაციები.

საბჭოთა ხელისუფლება ცდილობს ბოლო მოუღოს ომს, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იგი უფრო მალე მიაღწევს ამას, ვიდრე კერენსკის მთავრობის წარმომადგენლები გვპირდებოდნენ. ვინაიდან ომის დამთავრების საქმეში შეევიდა რევოლუციური ფაქტორი, რომელმაც გააუქმა ხელშეკრულებები და სესხები. ომი დამთავრდება საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით.

დასასრულ, ორატორი რამდენიმე სიტყვით ეხება კონტრრევოლუციონერ მესაბოტაჟეებს: ეს არის ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული რაზმები, ბურჟუაზიისა, რომელიც უხვად ასაჩუქრებს იმ მესაბოტაჟე მოხელეებს, რომლებმაც, რეაქციის გამარჯვების გულისთვის, ომი გამოუცხადეს საბჭოთა ხელისუფლებას. ის მოვლენა, რომ ხალხი გლეხური და მუშური ნაჯახით პირდაპირ ჩეხს ბურჟუაზიას, ეს მოვლენა მათ ნამდვილ მეორედ მოსვლად და ყველაფრის საბოლოო დაღუპვად ეჩვენებათ. თუ ჩვენ რაიმეში დამნაშავე ვართ, მხოლოდ იმაში, რომ ჩვენ მეტად ჰუმანური, მეტად გულკეთილი ვიყავით ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური წყობილების, თავიანთი გამცემლობით შესაზარი, წარმომადგენლების მიმართ.

ამ დღეებში ჩემთან მოვიდნენ «ნოვაია ჟიზნელი» მწერლები და განაცხადეს, მოვედით ბანკების მოსამსახურეთა სახელით, რომლებსაც სურთ იმსახურონ, შეწყვიტონ საბოტაჟის პოლიტიკა და სავსებით დაემორჩილონ საბჭოთა ხელისუფლებასო. მე მათ ვუპასუხე: დროცაა-მეთქი *. მაგრამ, ჩვენს შორის რომ ვთქვათ, თუ მათ ჰგონიათ, რომ ამ მოლაპარაკების დაწყებით ოდნავ მაინც გადავუხვევთ ჩვენს რევოლუციურ პოზიციას, ისინი სასტიკად ცდებიან.

* იხ. ეს ტომი, გვ. 587. რედ.

მსოფლიოს იმის მსგავსი არაფერი უნახავს, რაც ამჟამად ხდება ჩვენში, რუსეთში, ამ უზარმაზარ, მთელ რიგ ცალკე სახელმწიფოებად დაყოფილ ქვეყანაში, რომელიც მრავალი სხვადასხვა ეროვნებისა და ხალხისაგან შესდგება: კოლოსალური ორგანიზაციული მუშაობა ყველა მაზრასა და ოლქში, ქვედაფენების ორგანიზაცია, მასების უშუალო, შემოქმედებითი მუშაობა, რომელსაც დაბრკოლება ეღობება იმპერიალიზმის სხვადასხვა ბურჟუაზიული წარმომადგენლების მხრივ. მათ, ამ მუშებმა და გლეხებმა, დაიწყეს თავისი ტიტანური მიზნებით გაუგონარი მუშაობა და ისინი საბჭოებთან ერთად ბოლომდე დაამსხვრევენ კაპიტალიზმის ექსპლოატაციას, და, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ დაამხობენ ბურჟუაზიის უღელს.

3

საბოლოო სიტყვა ყრილობის დახურვის წინ 18 (31) იანვარს

ამხანაგებო, საბჭოების მესამე ყრილობის დახურვის წინ სრული მიუდგომლობით უნდა დავადგინოთ ის ისტორიული როლი, რომელიც ამ ყრილობამ შეასრულა საერთაშორისო რევოლუციის ისტორიაში, კაცობრიობის ისტორიაში. უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოების მესამე ყრილობამ დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ხანა, და დღეს, მსოფლიო რევოლუციის პირობებში, ამ ყრილობის მთელ მნიშვნელობას უფრო და უფრო მეტად გებულობენ. ამ ყრილობამ, რომელმაც განამტკიცა ოქტომბრის რევოლუციის მიერ შექმნილი ახალი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია, დასახა მომავალი სოციალისტური მშენებლობის გეზი მთელი მსოფლიოსთვის, ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის.

ჩვენში, რუსეთში, საშინაო პოლიტიკის სფეროში ამჟამად საბოლოოდ აღიარებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, როგორც რუსეთში მოსახლე სხვადასხვა ერის თავისუფალ რესპუბლიკათა ფედერაციის, ახალი სახელმწიფო წყობილება. და ახლა ყველანი, დარწმუნებული ვარ, ჩვენი მტრებიც კი ხედავენ, რომ ახალი წყობილება, საბჭოების ხელისუფლება, გამონაგონი, პარტიული ხერხი კი არ არის, არამედ შედეგია თვით ცხოვრების განვითარებისა, შედეგია სტიქიურად ჩამოყალიბებული მსოფლიო რევოლუციისა. მოიგონეთ, რომ ყველა დიდი რევოლუცია ყოველთვის ისწრაფოდა ძირფესვიანად აღეგავა ძველი კაპიტალისტური

წყობილება, ისწრაფოდა არათუ მოეპოვებინა პოლიტიკური უფლებები, არამედ თვით სახელმწიფოს მართვა-გამგეობა გამოეგლიჯა გაბატონებული კლასების, მშრომელთა ყოველგვარი ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელების ხელიდან, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოღებოდა ბოლო ყოველგვარ ექსპლოატაციას და ყოველგვარ ჩაგვრას. დიდი რევოლუციები სწორედ ისწრაფოდნენ დაემსხვრიათ ეს ძველი ექსპლოატატორული სახელმწიფო აპარატი, მაგრამ დღემდე ამის შესრულება ბოლომდე არ ხერხდებოდა. და აი რუსეთმა, თავისი სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებათა გამო, დღეს პირველმა მიაღწია სახელმწიფო მართვა-გამგეობის ამ გადასვლას თვით მშრომელების ხელში. ახლა ჩვენ, ისტორიული ძველმანისაგან გაწმენდილ გზაზე, ავაშენებთ სოციალისტური საზოგადოების მძლავრ, ნათელ შენობას, იქმნება ახალი, ისტორიაში არნახული, სახელმწიფო ხელისუფლების ტიპი, რომელიც რევოლუციის ნებით მოწოდებულია გასწმინდოს დედამიწა ყოველგვარი ექსპლოატაციისა, ძალმომრეობისა და მონობისაგან.

ახლა ვნახოთ, რა მოგვცა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ახალმა სოციალისტურმა პრინციპმა ჩვენი საშინაო პოლიტიკის სფეროში. ამხანაგებო, თქვენ გახსოვთ, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ როგორ შეუჩერებლივ გაჰკიოდა ბურჟუაზიული პრესა, რომ ჩვენ ვანგრევთ რუსეთის სახელმწიფოს, რომ ჩვენ არ ვიცით მართვა, რის გამოც გვშორდება ყველა ეროვნება — ფინეთი, უკრაინა და სხვ.. ბოროტი სიხარულით აღსავსე ბურჟუაზიული პრესა თითქმის ყოველდღე იტყობინებოდა ასეთი «ჩამოშორების» შესახებ. ჩვენ, ამხანაგებო, მათზე უკეთ გვესმოდა ამ მოვლენის ძირითადი მიზეზები, რომელთა საფუძველია მშრომელი მასების უნდობლობა ბბ. კერენსკებისა და კომპ. შემთანხმებელ-იმპერიალისტური მთავრობისადმი. ჩვენ ვდუმდით, რადგან მტკიცედ გვწამდა, რომ ჩვენი სამართლიანი პრინციპები, ჩვენი საკუთარი მართვა-გამგეობა სიტყვებზე უკეთ დაუმტკიცებს ყველა მშრომელს ჩვენს ჭეშმარიტ მიზნებსა და მისწრაფებებს.

და ჩვენ მართალი ვიყავით. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენმა იდეებმა გაიმარჯვა ფინეთში, უკრაინაში და იმარჯვებს დონში, აღვიძებს მშრომელთა კლასობრივ შეგნებას და რაზმავს მათ მტკიცე კავშირში. ჩვენ ვმოქმედებდით უდიპლომატებოდ, არ მივმართავდით ძველ ხერხებს, რომლებსაც 'იყენებენ იმპერიალისტები, მაგრამ უდიდესი შედეგი თვალწინა გვაქვს — რევოლუციის გამარჯვება და გამარჯვებულთა შემოერთება ჩვენთან ერთ მძლავრ რევოლუციურ ფედერაციად. ჩვენ ვმბრძანებლობთ არა განცალკევებით, ძველი რომის სასტიკი კანონის თანახმად, არამედ იმით, რომ ვაერთიანებთ ყველა მშრომელს ცოცხალი ინტერესების, კლასობრივი შეგნების განუწყვეტელი ჯაჭვით. და ჩვენი კავშირი, ჩვენი ახალი სახელმწიფო უფრო მტკიცეა ძალმომრეობითს ხელისუფლებაზე, რომელიც სიცრუით და მახვილით აერთიანებს იმპერიალისტებისთვის საჭირო ხელოვნურად შექმნილ სახელმწიფოებრივ ერთეულებს. მაგალითად, როგორც კი აიღეს ხელისუფლება ფინეთის მუშებმა და გლეხებმა, მაშინვე მოგვმართეს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისადმი ერთგულების გრძნობის გამოთქმით, მოსალმების სიტყვებით, რომლებშიც ჩანს მათი ურყევი გადაწყვეტილება, რომ ჩვენთან ერთად ივლიან ინტერნაციონალის გზით. აი ჩვენი ფედერაციის საფუძველი, და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რევოლუციური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შემოიკრიბება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა ფედერაცია. სრული ნებაყოფლობით, სიცრუისა და მახვილის გამოუყენებლად, გაიზრდება ეს ფედერაცია, და იგი უძლეველია. მისი უძლეველობის საუკეთესო საწინდარია ის კანონები, ის სახელმწიფო წყობილება, რომელსაც ვქმნით ჩვენს ქვეყანაში. ეს-ეს არის თქვენ გაიგონეთ კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ. განა ეს კანონი იმის თავდები არ არის, რომ მუშებისა და გლეხების ერთიანობა დღეს განუყრელია, რომ ჩვენ ასეთი ერთიანობის პირობებში დავძლევთ ყოველგვარ დაბრკოლებას სოციალიზმის გზაზე?

ეს დაბრკოლებები კი, მე არ ვმალავ, მეტად დიდია. ბურჟუაზია ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, ყველაფერს სასწორზე დადებს, რომ შემუსროს ჩვენი ერთიანობა. მოინახებიან მატყუარები, პროვოკატორები, გამცემლები, შესაძლოა, მოინახონ შეუგნებელი ადამიანები, მაგრამ ჩვენ ამიერიდან ვერაფერი შეგვაშინებს, რადგან ჩვენ შევქმენით საკუთარი ახალი სახელმწიფო ხელისუფლება, ვინაიდან ჩვენს ხელთაა სახელმწიფოს თვითმმართველობა. ჩვენი ძლიერების მთელი სიმძიმით დავატყდებით თავს ყოველგვარ კონტრრევოლუციურ ცდას. მაგრამ ახალი წყობილების სიმტკიცის მთავარი საფუძველია ის ორგანიზაციული ღონისძიებები, რომელთაც ჩვენ განვახორციელებთ სოციალიზმის გულისთვის. ამ მხრივ ჩვენ უზარმაზარი სამუშაო მოგველის. მოიგონეთ, ამხანაგებო, რომ მსოფლიო ყაჩაღმა-იმპერიალისტებმა, რომლებმაც ომში ჩაითრიეს ერები, ძირფესვიანად მოშალეს მსოფლიოს მთელი სამეურნეო ცხოვრება. ჩვენ დაგვიტოვეს მძიმე მემკვიდრეობა — მათ მიერ დანგრეულის აღსადგენი სამუშაოები.

რა თქმა უნდა, მშრომელებს მართვა-გამგეობის გამოცდილება არ ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს. გამარჯვებული პროლეტარიატის წინაშე გადაიშალა ქვეყანა, რომელიც დღეს საერთო-სახალხო კუთვნილება გახდა, და იგი შესძლებს მოაწყოს ახალი წარმოება და მოხმარება სოციალისტური პრინციპების ნიადაგზე. წინათ ადამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენია ქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტექნიკისა და კულტურის მთელი სიკეთე ერთისთვის მიეცა, სხვებისთვის კი მოესპო უსაჭიროესი რამ — განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაპოვარი გახდება საერთო-სახალხო კუთვნილება, და ამიერიდან არასოდეს ადამიანის გონება და გენია არ გადაიქცევა ძალმომრეობის საშუალებად, ექსპლოატაციის საშუალებად. ჩვენ ეს ვიცით, — და განა ამ უდიდესი ისტორიული ამოცანის გულისთვის არ ღირს მუშაობა, არ ღირს მთელი ძალ-ღონის შეწირვა? და მშრომელები შეასრულებენ ამ ტიტანურ ისტორიულ სამუშაოს, რადგან მათში დამარხულია

რევოლუციის, აღორძინებისა და განახლების მთვლემარე დიადი ძალები.

ჩვენ უკვე მარტონი აღარა ვართ. უკანასკნელ დღეებში მოხდა ღირსშესანიშნავი ამბები არა მარტო უკრაინასა და დონში, არა მარტო ჩვენი კალედინების და კერენსკების სამეფოში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც. თქვენ უკვე იცით დეპეშები გერმანიაში რევოლუციის მდგომარეობის შესახებ. რევოლუციური სტიქიონის ცეცხლის ალი სულ უფრო და უფრო ძლიერ ედება მთელ ძველ დამპალ მსოფლიო წყობილებას. ეს არ იყო ცხოვრებას მოწყვეტილი თეორია, არ იყო კაბინეტის ადამიანთა ფანტაზია, რომ ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლების შექმნით, სული ჩავუდგით ასეთივე ცდას სხვა ქვეყნებშიც. ვინაიდან, ვიმეორებ, სხვა გამოსავალი ამ სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტიდან მშრომელებს არ ჰქონდათ. დღეს ეს ცდა უკვე ხორციელდება საერთაშორისო რევოლუციის მტკიცე მონაპოვართა სახით. და ჩვენ ვხურავთ საბჭოების ისტორიულ ყრილობას სულ უფრო მზარდი მსოფლიო რევოლუციის ნიშნით და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ყველა ქვეყნის მშრომელები შეერთდებიან ერთ საკაცობრიო სახელმწიფოდ, რომ შეერთებული ძალ-ღონით ააგონ ახალი სოციალისტური შენობა. ამ მშენებლობის გზა არის საბჭოები, როგორც დაწყებული მსოფლიო რევოლუციის ერთ-ერთი ფორმა.

მოგესალმებით და მოგიწოდებთ ამ ახალი შენობის მშენებლობისაკენ. თქვენ დაბრუნდებით თქვენ-თქვენ ადგილას და მთელ ძალ-ღონეს მოახმართ ჩვენი უდიდესი გამარჯვების ორგანიზაციასა და განმტკიცებას. (*დელეგატები ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშით მიესალმებიან ამხანაგ ლენინს.*)

წერილობითი ბრძანება წითელი გვარდიის შტაბს[108]

1918 წ. 12 იანვარი.

რადგან პიტერს შიმშილის უკიდურესი საშიშროება ემუქრება და თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებისა — გაისინჯოს რკინიგზა პიტერსა და მის მიდამოებში იმის გამოსარკვევად, ხომ არ არის სადმე ლიანდაგებზე პურით დატვირთული ვაგონები, წერილობითი ბრძანება ეძლევა წითელი გვარდიის შტაბს დახმარება აღმოუჩინოს ასეთ გასინჯვას და სპეკულანტებისა და მესაბოტაჟეების დაპატიმრებას.

ამ მიზნით წერილობითს ბრძანებას ვიძლევი დაუყოვნებლივ შეიქმნას რაზმების სათანადო რაოდენობა და ხვალ, 13. I., დილიდანვე გაიგზავნოს ისინი რკინიგზათა კომისარიატში ამხ. ნევსკისთან ან მის მოადგილესთან მასთან ერთად სამოქმედოდ:

(1) ჩამოიარონ სადგურები და ჩამოართვან ხელწერილი სადგურების უფროსებს და რკინიგზის სამმართველოს სხვა მოხელეებს, რომ პურით ან სხვა სასურსათო პროდუქტებით დატვირთული არც ერთი ვაგონი არ იმყოფება (ვაგზალში და ლიანდაგებზე);

(2) შეამოწმონ, არის თუ არა ნამდვილად პურით დატვირთული ვაგონები და სხვ.; შემოწმება მოხდეს რკინიგზელებთან ერთად;

(3) ყალბი ჩვენების ან არასწორი ცნობების მიცემის შემთხვევაში დაპატიმრებულ იქნენ სამმართველოს მოხელეები (რკინიგზელ მუშათა კომიტეტებთან შეთანხმებით) და გადაეცნენ ისინი რევოლუციურ სასამართლოს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

პირველად დაიბეჭდა 1931 წ.
ლენინის კრებულში XVIII

ბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რკინიგზელთა სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობა[109] 1918 წ. 13 (26) იანვრის სხდომა

სტენოგრაფიული ანგარიში

1

სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება

ამხანაგებო, სამწუხაროდ, საშუალება არა მაქვს წარმოგიდგინოთ დალაგებული მოხსენება და ვიმედოვნებ, რომ თქვენს შორის ვისაც უფრო დაწვრილებით აინტერესებს საქმის მდგომარეობა, შეეძლოთ ნაწილობრივ საგაზეთო ცნობებით, ნაწილობრივ საბჭოების ყრილობაზე მიღებული პირადი შთაბეჭდილებით შეედგინათ სრული და ზუსტი წარმოდგენა საბჭოთა ხელისუფლების ახლანდელ მდგომარეობაზე, მის დამოკიდებულებაზე სხვა დაწესებულებებთან და იმ ამოცანებზე, რომლებიც მის წინაშე დგება. ამიტომ ნება მიბოძეთ დავჯერდე რამდენიმე მოკლე დამატებითს შენიშვნას. საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებისა და მდგომარეობის დასახასიათებლად მე უნდა შევჩერდე იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს მას რკინიგზის პროლეტარიატის, რკინიგზელ მშრომელთა ორგანიზაციასთან.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლება შეეჯახა დამფუძნებელ კრებას, და რომ ყველა შეძლებული კლასი: მემამულეები, ბურჟუაზია, კალედინელები და მათი მომხრეები სეტყვასავით გვაყრიან საყვედურს იმისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაითხოვა დამფუძნებელი კრება. მაგრამ, რაც უფრო ხმამაღლა გაისმის ეს საყვედურები რამდენიმე ბურჟუაზიული გაზეთის ფურცლებიდან, მით

უფრო ხმამაღლა ისმის აგრეთვე მუშათა, ჯარისკაცთა, მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ხმა. გლეხები აცხადებენ, რომ ისინი არასოდეს არ დაეჭვებულან იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ სხვა ხელისუფლებაზე მაღლა დგას და რომ თავიანთ საბჭოებს, მათ მიერ არჩეულ, მათ მიერ შექმნილ საბჭოებს, რომელთაც თვითონვე უწევენ კონტროლს და ამოწმებენ, არც მუშები, არც ჯარისკაცები და არც გლეხები არასოდეს, არავის და არავითარ დაწესებულებას არ დაანებებენ. საბჭოთა ხელისუფლებას კონფლიქტი მოუვიდა დამფუძნებელ კრებასთან უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ, როგორც ყველამ იცით, დამფუძნებელ კრებას ირჩევდნენ იმ სიების მიხედვით, რომლებიც შედგენილი იყო ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე. დამფუძნებელ კრებას ირჩევდნენ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით პროპორციული წარმომადგენლობის მიხედვით. არჩევნების ეს სისტემა ყველაზე სრულყოფილი სისტემაა არჩევნებისა, მაგრამ მას მხოლოდ ერთი პირობით შეუძლია სწორად გამოხატოს ხალხის ნება, სახელდობრ, თუ ის პარტიები, რომლებსაც ამ სისტემის მიხედვით მარტოოდენ აქვთ სიების შედგენის უფლება ;და შესაძლებლობა, თუ ეს პარტიები მართლაც გამოხატავენ მოსახლეობის იმ ჯგუფების სულისკვეთებას, სურვილებს, ინტერესებსა და ნებას, რომლებიც მათ ირჩევენ, რადგან არჩევნების სხვა სისტემის დროს, როდესაც ცალკეული უბანი ირჩევს თავის საკუთარ კანდიდატს ან დეპუტატს, არჩევნების ასეთი სისტემის დროს ხალხი ადვილად ასწორებს მაშინვე თავის შეცდომებს, ანგარიშს უწევს ან თავის სულისკვეთებას, ანდა მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებას. ხოლო არჩევნების პროპორციული სისტემის დროს პარტიამ, როგორც მთელმა, უნდა შეადგინოს პარტიული სიები დიდი ხნით ადრე არჩევნებამდე; ამიტომაც მოხდა ისეთი ამბავი, რომ დამფუძნებელი კრებისთვის, რომელიც 12 ნოემბერს უნდა შეკრებილიყო, პარტიებს სიები უნდა შეედგინათ ჯერ კიდევ სექტემბერში და ოქტომბრის დამდეგს. როგორც ყველას გახ-

სოვთ, კანონით დადგენილი იყო უკანასკნელი ვადა. ამ უკანასკნელ ვადაში ყველა პარტიას უნდა წარმოედგინა თავისი კანდიდატები სიების მიხედვით, და ამ დროის შემდეგ სიების შეცვლა შეუძლებელი იყო. ამნაირად მოხდა, რომ ყველაზე დიდ პარტიას რუსეთში, იმ პარტიას, რომელიც მაშინ ზაფხულსა და შემოდგომაზე უეჭველად ყველაზე დიდი პარტია იყო, ესერების პარტიას, თავისი სიები უნდა წარმოედგინა 1917 წ. ოქტომბრის დამდეგს ესერების მთელი პარტიის სახელით; ეს ასეც მოხდა. სიები წარმოდგენილი იყო ოქტომბრის დამდეგს, და მათში აღნიშნული იყვნენ ესერების პარტიის კანდიდატები; თითქოს ასეთი პარტია, როგორც ერთიანი მთელი, არსებობდა. აღმოჩნდა, რომ მას შემდეგ, რაც სიები შესდგა, მას შემდეგ, რაც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა, რევოლუციის დასაწყისიდან, შექმნეს რა თავიანთი საბჭოები, განვლეს გრძელი, მძიმე და ძნელი გზა, ბოლო მოეღო კერენსკისთან შემთანხმებლობას; ხოლო ეს უკანასკნელი ხომ აგრეთვე ესერად ითვლებოდა — თითქოს სოციალისტადაც კი, თითქოს რევოლუციონერადაც კი, ხოლო ნამდვილად იყო იმპერიალისტი, რომელიც ჯიბეში მალავდა საიდუმლო ხელშეკრულებებს, ხელშეკრულებებს საფრანგეთის და ინგლისის იმპერიალისტებთან, სწორედ იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებული ჰქონდა თებერვალში დამხობილ მეფეს, — სწორედ იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც რუს ხალხს სასაკლაოს უმზადებდა იმის გულისთვის, რომ რუს კაპიტალისტს დაეპყრო კონსტანტინოპოლი, დარდანელი, სომხეთი ან გალიციის ნაწილი, ხოლო იმათ, ვისაც განსაკუთრებით აეშალა მადა, მსგავსად ცნობილი მილიუკოვისა, წინდაწინვე შეადგინეს რუკები, რომელთა მიხედვით აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილიც უნდა გამოყოფილიყო და საჩუქრად მირთმეოდა რუს ხალხს, მილიონობით მუშისა და ჯარისკაცის დაღვრილი სისხლისათვის. აი რას წარმოადგენდა ნამდვილად გაბატონებული რუსული ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური რესპუბლიკა კერენსკისა, რომელიც კვლავ ითვლებოდა და რჩებოდა ესერების პარტიის ნამდვილ წევრად.

ოქტომბრის დამლევს შეიკრიბა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა, როდესაც ხალხი უკვე დაიღალა იმპერიალისტებთან ამ შემთანხმებლობით, როდესაც ივნისის შეტევამ ასიათასობით იმსხვერპლა ჩვენი ხალხი და თვალნათლივ დაგვანახვა, თუ რის გულისთვის გრძელდება ომი, როგორ სწირავს ეს საიდუმლო ხელშეკრულებები ჯარისკაცებს დასაღუპად, როგორ რჩებოდა «სიტყვები» ზავის შესახებ მხოლოდ ლიტონ სიტყვებად. ამიტომ საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობამ ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური მთავრობის ეს ხელისუფლება დაამხო და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. აღმოჩნდა, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოხდა 12 ნოემბერს; ამ გარემოებამ მუშები, ჯარისკაცები და განსაკუთრებით გლეხები ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ მათ უნდა აერჩიათ ძველი სიების მიხედვით, სხვა სიები არ იყო და არც შეიძლებოდა მათი შედგენა; ამიტომ ახლა, როდესაც გვეუბნებიან: «თქვენ გარეკეთ დამფუძნებელი კრება, რომელიც ხალხის უმრავლესობის ნებას წარმოადგენსო», როდესაც ამას ათასნაირად იმეორებენ ბურჟუაზიული მჯღაბნელები და გაზეთები, მაგალითად, ისეთი სოციალისტები, როგორიც არის კერენსკი, ჩვენ მათ ვუპასუხებთ: «რატომ არ შეგიძლიათ უთხრათ ხალხს თუნდ ერთი პირდაპირი სიტყვა იმ მოსაზრების პასუხად, რომელიც ახლა თქვენ წარმოგიდგინეთ და რომელიც იყო დეკრეტში დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ?». ჩვენ არ შეგვიძლია დამფუძნებელი კრება ჩავთვალოთ ხალხის ნების გამომხატველად იმიტომ, რომ მას ირჩევდნენ ძველი სიების მიხედვით. ხმას აძლევდნენ მუშები და განსაკუთრებით გლეხები ესერების პარტიას, როგორც მთლიან პარტიას, ეს პარტია კი არჩევნების შემდეგ გაითიშა, ამიტომ არჩევნების შემდეგ პარტია ხალხის წინაშე წარსდგა როგორც ორი პარტია—მემარჯვენეთა, რომლებიც გაჰყვნენ ბურჟუაზიას, და მემარცხენე ესერების პარტია, რომელიც გაჰყვა მუშათა კლასს, მშრომელებს და სოციალიზმის მომხრე აღმოჩნდა. შეეძლო განა ხალხს არჩევანი მოეხდინა

მემარჯვენე და მემარცხენე ესერებს შორის, როდესაც დამფუძნებელი კრება იყო? — არ შეეძლო, ამიტომ სიების შედგენის და არჩევნების მხრივაც, ამ ფორმალური თვალსაზრისითაც, ჩვენ ვამბობთ, რომ არავის შეუძლია უარყოს ჩვენი აზრი, რომ დამფუძნებელ კრებას არ შეეძლო მოეცა ხალხის ნების სწორი გამოხატულება. რევოლუციას ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ ის მოხდა სიების შედგენის შემდეგ და დამფუძნებელი კრების არჩევნებამდე, რევოლუციას ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ ხალხი და განსაკუთრებით გლეხობა ასე დიდხანს ჰყავდა სიბნელეში ესერების პარტიას და ატყუებდა მათ ფრაზებით, რომ მხოლოდ 25 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც გლეხთა მეორე ყრილობა შეიკრიბა, მაშინ დავინახეთ, რომ მემარჯვენე და მემარცხენე ესერებს შორის არ შეიძლებოდა შერიგება, და ამის შემდეგ დაიწყო როგორც ჯარისკაცთა, ისე გლეხთა მთელი რიგი ყრილობები, და ეს დამთავრდა რკინიგზელთა ყრილობით.

და ყველგან ერთ და იმავე სურათს ვხედავდით — ყველგან, ერთი მხრივ, იმათი უდიდესი უმრავლესობა, ვინც, მართლაც, მშრომელებს და ექსპლოატირებულებს ეკუთვნის, მთლიანად, ულაპარაკოდ და საბოლოოდ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დგება, ხოლო მეორე მხრივ, ბურჟუაზიული ზედაფენები, მოსამსახურეები, სამმართველოების მოხელეები, მდიდარი გლეხები — ყველა ესენი შეძლებული კლასების მხარეზე, ბურჟუაზიის მხარეზე დგებოდნენ და მათ გამოაცხვეს ლოზუნგი: «მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას», — ეს იმ კრებას, რომელიც რევოლუციამდე იყო არჩეული და რომლის არჩევისას ხალხმა არ იცოდა, როგორ გაერჩია მემარჯვენე ესერები მემარცხენეთაგან. არა, მშრომელ კლასთა რევოლუცია ძველ სიებზე მაღლა დგას, ინტერესები მშრომელთა და ექსპლოატირებულთა, რომლებიც რევოლუციამდე დაჩაგრული იყვნენ, პირველ რიგში უნდა იყოს, — და თუ დამფუძნებელი კრება საბჭოთა ხელისუფლების ნების წინააღმდეგ, მშრომელთა აშკარა უმრავლესობის ნების წინააღმდეგ მიდის, ამიტომ — ძირს დამფუძნებელი

კრება და გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას. (ტ ა შ ი.) და ახლა, ამხანაგებო, ჩვენ დღითი დღე ვრწმუნდებით, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სულ უფრო და უფრო მეტად უჭერენ მხარს ღარიბები, მშრომელები და ექსპლოატირებულები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში; და რაც უნდა ცილი დაგვწამონ ბურჟუაზიულმა და, უკაცრავად პასუხია, სოციალისტურმა გაზეთებმა, როგორიცაა მემარჯვენე ესერების და კერენსკის პარტიის გაზეთები, რაც უნდა ცილი დაგვწამონ, თითქოს ჩვენი ხელისუფლება ხალხის წინააღმდეგ მიდიოდეს, ხალხს არ ეყრდნობოდეს, — ეს აშკარა სიყალბეა. სწორედ დღეს მივიღეთ ამის ერთი განსაკუთრებით თვალსაჩინო დადასტურება, ჩვენ მივიღეთ ცნობა დონიდან (ღამის დეპეშით) იმის შესახებ, თუ როგორ შესდგა კაზაკთა ერთი ნაწილის ყრილობა ვორონეჟში და კაზაკთა 20 პოლკისა და 5 ბატარეის ყრილობა კამენსკის სტანიცაში. ფრონტის კაზაკობამ თავისი ყრილობა მოიწვია, რადგან ხედავს, რომ კალედინელების ირგვლივ იკრიბებიან ოფიცრები, იუნკრები და მემამულეთა ნაშიერნი, რომლებიც უკმაყოფილო არიან იმით, რომ რუსეთში ძალაუფლება გადადის საბჭოების ხელში, და რომელთაც უნდათ, რომ დონი თვითგამოირკვეს. იქ დგება პარტია კალედინისა, რომელიც თავის თავს პირველ ატამანს უწოდებს. ფრონტის კაზაკთა ეს ყრილობა გარეკეს. ამაზე მათ იმით უპასუხეს, რომ შეუერთდნენ ვორონეჟის ყრილობას — ეს ერთი, ომი გამოუცხადეს კალედინს — მეორე, დააპატიმრეს ატამანები — მესამე და დაიკავეს ყველა მთავარი სადგური — მეოთხე.

დაე ახლა ბატონმა რიაბუშინსკებმა, რომლებიც იქ მილიონებს გზავნიდნენ და აქ მილიონებს იძლეოდნენ, რომ მესაბოტაჟეთ მიეღოთ თავიანთი ჯამაგირი და დაბრკოლებები შეექმნათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, დაე ახლა ბატონმა რიაბუშინსკებმა საფრანგეთისა და ინგლისის ბატონ კაპიტალისტებთან და რუმინეთის მეფესთან ერთად იწუხონ და გამოიტირონ თავიანთი ბედი: მათი უკანასკნელი იმედი დაიმსხვრა თვით დონშიც კი, სადაც ყველაზე მეტად იყვნენ შეძ-

ლებული, დაქირავებული შრომით, სხვისი შრომის ექსპლოატაციით მცხოვრები გლეხები, რომლებიც მუდამ ებრძვიან მოსულ გლეხურ მოსახლეობას, რომელიც გაჭირვებას მოუყვანია იქ შორიდან, — იქაც კი, სადაც ყველაზე მეტია ექსპლოატატორი გლეხობა, იქაც კი ხალხი აღაშფოთა იუნკრების, ოფიცრებისა და მესაკუთრეთა ამ დარაზმვამ იმ მიზნით, რომ გაილაშქრონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, იქაც კი აღმოვაჩინეთ იგივე დაყოფა, რომლის დანახვა არავის არა სურს და რომელსაც ჩვენ გვაბრალებენ. «ბოლშევიკები სამოქალაქო ომს აცხადებენო». შეიძლება, ჩვენ გამოვიგონეთ კალედინი, შეიძლება, ბოლშევიკებმა გამოიგონეს რიაბუშინსკი? მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მეფის დროსაც ეს იყო მეფის ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი, რომ ეს ხალხი მხოლოდ გაინაბა, რათა რუსეთის რესპუბლიკა მოებრუნებინათ ისეთივე ბურჟუაზიულ რესპუბლიკად, როგორიც არსებობს მრავალ ქვეყანაში, სადაც მთელი თავისუფლებისა და არჩევითობის მიუხედავად მშრომელ ხალხს ისევე ჩაგრავენ, თუ უფრო ძლიერ არა, როგორც ყოველ მონარქიაში. როდესაც ამბობენ, ბოლშევიკები ძმათსაჟლეტ ომს, სამოქალაქო ომს აღვივებენო, როდესაც წყევლა-კრულვას უთვლიან დანაშაულებრივ ძმათსაჟლეტ სამოქალაქო ომს, რომელიც ვითომ ბოლშევიკებმა გამოიწვიეს, ჩვენ ვუპასუხებთ მათ: «ეს რა ძმათსაჟლეტი ომია, რიაბუშინსკები, კალედინები განა მშრომელთა ძმები არიან? უცნაურია, რომ ეს არ იცოდნენ არც მატროსებმა, არც ჯარისკაცებმა, არც მუშებმა და არც გლეხებმა, უცნაურია, რომ ამას ისინი ვერ ამჩნევდნენ, უცნაურია, რომ ასე მტკიცედ ამბობენ ისინი — დაე რიაბუშინსკები და კალედინები დაემორჩილონ საბჭოთა ხელისუფლებასო».

პეტროგრადსა და მოსკოვში იუნკრების და ოფიცრების აჯანყების მოწყობის უგუნური და უაზრო ცდა უშედეგოდ დამთავრდა, იმიტომ რომ მუშათა და ჯარისკაცთა უდიდესი უმრავლესობა უცილობლად საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა. როცა ომს იწყებდნენ, მათ იცოდნენ, რომ ჯარისკაცები

იარაღდებიან და იარაღს არავის დაუთმობენ. ხალხი გაერთიანდა და დაირაზმა იმისათვის, რომ დამოუკიდებლად აიღოს ხელში თავისი ბედი, — სწორედ ამისთვის დაიწყო მან რევოლუცია. ისინიც მშვენივრად ხედავდნენ და იცოდნენ, რომ აქ, პეტროგრადში, ხალხი მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა, და როდესაც დამარცხდნენ პეტროგრადშიც და მოსკოვშიც, მათ მიაშურეს დონს, რათა იქ მოეწყოთ შეთქმულება და კონტრრევოლუციის ამ შეთქმულებაში მშრომელი მასების წინააღმდეგ იმედი ჰქონდათ დაყრდნობოდნენ კიევის ბურჟუაზიულ რადას, რომელიც უკანასკნელ დღეშია, იმიტომ რომ ნდობა დაჰკარგა. როდესაც მათ ყველგან სამოქალაქო ომი გამოუცხადეს მშრომელებს, მაშინ ჩვენ გვისაყვედურებენ, თქვენ დაიწყეთ ომიო, ამბობენ: თქვენ აღვივებთ სამოქალაქო ომს, დაიღუპოს სამოქალაქო ომიო. ჩვენ ვუპასუხებთ: დაიღუპონ რიაბუშინსკები და კალედინები და ყველა მათი ხელისშემწყობნი. (ტ ა შ ი.)

აი ამიტომ, ამხანაგებო, როდესაც ბურჟუაზია გვიყენებს ასეთ მძიმე ბრალდებას და ამტკიცებს, თითქოს ჩვენ ვარღვევდეთ დემოკრატიას, მოვსპეთ ის რწმენა დემოკრატიის ფორმებისა, დემოკრატიის დაწესებულებებისადმი, რომლებიც ასე ძვირფასია და რომლებიც ასე დიდხანს უწყობდნენ ხელს და ასაზრდოებდნენ რევოლუციურ მოძრაობას რუსეთში, დავამსხვრიეთ უმაღლესი დემოკრატიული ფორმა — დამფუძნებელი კრება, ჩვენ ვუპასუხებთ: არა, ეს ტყუილია; როდესაც ჩვენ გვქონდა სოციალისტ კერენსკის რესპუბლიკა, იმპერიალისტური ბელადების, ბურჟუაზიის ბელადების (რომლებსაც ჯიბეში ჰქონდათ საიდუმლო ხელშეკრულებები) რესპუბლიკა, რომელიც ჯარისკაცებს ომში (სამართლიანად წოდებულ ომში) ერეკებოდა — რა თქმა უნდა, მაშინ დამფუძნებელი კრება უკეთესია, ვიდრე წინაპარლამენტი, სადაც კერენსკი, ჩერნოვსა და წერეთელთან შეთანხმებით, იმავე პოლიტიკას ახორციელებდა. ჩვენ რევოლუციის დასაწყისიდანვე — 1917 წლის აპრილიდან — აშკარად და პირდაპირ ვამბობდით, რომ საბჭოები გაცილებით უფრო მაღალი,

გაცილებით უფრო სრულყოფილი, გაცილებით უფრო მიზანშეწონილი ფორმაა დემოკრატიისა, მშრომელთა დემოკრატიისა, ვიდრე დამფუძნებელი კრება *. დამფუძნებელი კრება აერთიანებს ყველა კლასს, მაშასადამე, ექსპლოატატორთა კლასებსაც, მაშასადამე, შეძლებულთაც, მაშასადამე, ბურჟუაზიასაც, მაშასადამე, იმათაც, ვინც განათლება მიიღო ხალხის ხარჯზე, ექსპლოატირებულთა ხარჯზე, რომლებიც გამოეყვნენ მას, რომ შეერთებოდნენ კაპიტალისტებს, რომ თავიანთი ცოდნა გადაექციათ ხალხის ჩაგვრის იარაღად, იმიტომ რომ ისინი თავიანთ ცოდნას, ცოდნის უმაღლეს მონაპოვართ იყენებენ მშრომელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ კი ვამბობთ: როდესაც იწყება რევოლუცია — ეს არის რევოლუცია მშრომელებისა და ექსპლოატირებულებისა, — და მხოლოდ მშრომელთა ორგანიზაციას, მხოლოდ ექსპლოატირებულთა ორგანიზაციას ეკუთვნის მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში; ეს დემოკრატიზმი შეუდარებლად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ძველი დემოკრატიზმი. საბჭოები რომელიმე პარტიას კი არ გამოუგონია. თქვენ მშვენივრად იცით, რომ არ იყო ისეთი პარტია, რომელსაც შეეძლო მათი გამოგონება. ისინი წარმოშვა 1905 წლის რევოლუციამ. მაშინ თუმცა ცოტა ხანს იარსებეს საბჭოებმა, მაგრამ მაშინ უკვე ცხადი იყო, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხის ბრძოლის ერთადერთი მტკიცე დასაყრდენი საბჭოები არიან. როგორც კი საბჭოები კნინდებოდნენ, იცვლებოდნენ საერთო-ეროვნული წარმომადგენლობითი დაწესებულებებით, — ჩვენ ვხედავდით ამ დაწესებულებებში, ყველა სათათბიროში, ყრილობაზე, კრებაზე — გამოდიოდნენ კადეტები, კაპიტალისტები, ექსპლოატატორები, იწყებოდა შემთანხმებლობა მეფესთან, და სახალხო მოძრაობის ორგანოები ქვეითდებოდნენ და რევოლუციაც იღუპებოდა. ამიტომ, როცა 1917 წლის რევოლუციამ არათუ ააღორძინა საბჭოები, არამედ მათი ქსელითაც კი დაფარა მთელი ჩვენი ქვეყანა, მათ ასწავლეს მუშებს, ჯარისკაცებსა და

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 3 — 9. რ ე დ.

გლეხებს ის, რომ მათ შეუძლიათ და უნდა აიღონ კიდევაც მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში არა ისე, როგორც ბურჟუაზიულ პარლამენტებში: იქ თვითეულ მოქალაქეს თანასწორი უფლებები აქვს სხვა მოქალაქეებთან. იმით, რომ მუშა გამოაცხადებს — თანასწორი ვარ რიაბუშინსკისაო, ხოლო გლეხი — თანასწორი ვარ 12 ათას დესეტინა მიწის მფლობელი მემამულისაო, ამით ღარიბებს ტკბილი ცხოვრება არ ექნებათ. ამიტომ საუკეთესო დემოკრატიული ფორმა, საუკეთესო დემოკრატიული რესპუბლიკა — ეს არის ხელისუფლება უმემამულეებოდ და უმდიდრეებოდ.

რუსმა ხალხმა იმის გამო, რომ ჩვენში ომია, გაუგონარი ნგრევაა, შიმშილია, დაღუპვის, მილიონობით ხალხის პირდაპირი ფიზიკური დაღუპვის საფრთხეა, — ამის გამო მან უფრო მალე განიცადა გამოცდილებით ყოველივე და რამდენიმე თვეში გამოიტანა გადაწყვეტილება. როდესაც 20 აპრილს დაჭრილმა ლინდემ გამოიყვანა ჯარისკაცები პეტროგრადის ქუჩაზე, რათა დაემხო მილიუკოვისა და გუჩკოვის მთავრობა, სამინისტრო ოთურმის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, როდესაც ყველა პარტია კადეტებს ეთაყვანებოდა და ერთიმეორეზე უფრო ლამაზ, უფრო მიმზიდველ და მრავლისაღმთქმელ პროგრამებს აცხობდა, ხალხი დარწმუნდა, რომ არაფერი გამოდის, რომ მას ჰპირდებიან ზავს, ხოლო ნამდვილად შეტევაზე გადაჰყავთ: 1917 წლის ივნისში ათიათასობით ჯარისკაცი დაიღუპა, იმიტომ რომ მეფესა და ევროპის იმპერიალისტებს შორის არსებობდა საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც დაადასტურა კერენსკიმ. ამ გამოცდილებით, საკუთარი გამოცდილებით, არა პროპაგანდის გამო, ხალხმა შეადარა ერთმანეთს საბჭოების სოციალისტური ხელისუფლება და ბურჟუაზიული რესპუბლიკა და დარწმუნდა იმაში, რომ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ინტერესებისათვის არ ვარგა ბურჟუაზიული იმპერიალიზმის ძველი რეფორმები და ძველი დაწესებულებები, — ამისთვის ვარგა მხოლოდ ხელისუფლება საბჭოებისა, სადაც ხალხი, როგორც მუშები, ისე ჯარისკაცები, გლეხები და რკინიგზელები, და

ყველა მშრომელი თავისუფლად ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს და თავისუფლად იწვევენ უკანვე იმ თავიანთ დეპუტატებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ხალხის მოთხოვნებსა და სურვილებს. საბჭოებში იმისთვის კი არ არიან, რომ იმსჯელონ კანონებზე, თავი გამოიჩინონ ბრწყინვალე საპარლამენტო სიტყვებით, არამედ იმისთვის, რომ განახორციელონ თავისუფლებები და გადაიგდონ ექსპლოატაციის უღელი. მუშები თვითონ ააშენებენ სახელმწიფოს ახალ საწყისებზე, შექმნიან ახალ ცხოვრებას ახალი რუსეთისას, სადაც აღარ იქნებიან ექსპლოატატორები. აი რამ შექმნა საბჭოები, აი რატომ ვამბობდით ჩვენ, რომ რუსეთის რევოლუციის გამოცდილებამ დაანახვა ხალხს და დაადასტურა ის, რასაც ჩვენ დიდი ხანია აღვნიშნავდით, რომ საბჭოთა ხელისუფლება დემოკრატიის გაცილებით უფრო მაღალი ფორმაა, ვიდრე ბურჟუაზიული რესპუბლიკები, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში რომ ჩამოყალიბდნენ; ნამდვილ დემოკრატიას, მშრომელებს, მუშებს შეუძლიათ და უნდა იბატონონ კიდევაც საზოგადოების არამშრომელ, ექსპლოატატორულ შემადგენლობაზე; მუშებს, ჯარისკაცებს, გლეხებს და რკინიგზელებს თვითონ შეუძლიათ იყვნენ ბატონ-პატრონნი, მოაწყონ ქალაქისა და სოფლის პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა, დააწესონ სამართლიანი ხელფასი უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ.

აი რატომაა, რომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა ამჟამად სავსებით ჩამოყალიბებულია, როგორც სოციალისტური რესპუბლიკა, რომელმაც ჩამოართვა მიწები მემამულეებს, დააწესა მუშათა კონტროლი ფაბრიკებსა და ქარხნებში, ხელი დაადო ბანკებს, მუშების, სოციალისტური ორგანიზაციების ხელი, გზა გაუხსნა ხალხს, რომ მან თვითონვე განაგოს ის აურაცხელი სიმდიდრე, რაც კაპიტალისტებმა შეადგინეს და დააგროვეს, რომ ეს სიმდიდრე მიმართოს არა მშრომელთა დასაჩაგრავად, არამედ ყველა მშრომელის კეთილდღეობის გასადიდებლად და კულტურის ასამაღლებლად. აი რის განსახორციელებლადაა მოწოდებული საბჭოთა ხელისუფლება.

აი რატომ ასე თანაგვიგრძნობს ხალხი, მშრომელი კლასები საზღვარგარეთ, მიუხედავად მეფეთა სამხედრო ცენზურისა, მიუხედავად საზღვარგარეთელი კერენსკების მხრივ სოციალისტური გაზეთების დევნისა. იქაური ბურჟუაზიული გაზეთები ურცხვად სტყუიან ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ; ჩვენი გაზეთები იდევნება, «პრავდის» არც ერთ ნომერს იქ არ უშვებენ. აი ამ დღეებში შვეიცარიიდან დაბრუნდა ჩემი ამხანაგი, რომელიც იყო იქ, სადაც მე ამ ცოტა ხნის წინათ ამდენი უბედურების გადატანა მომიხდა; მან თქვა, რომ თავისუფალ შვეიცარიაში არ იციან ერთი ფაქტი, რომ თავისუფალი ევროპის თავისუფალი რესპუბლიკები ჩვენი გაზეთის არც ერთ ნომერს არ აჭაჭანებენ, რომ იქ კითხულობენ მხოლოდ ერთიან სიცრუეს ბურჟუაზიული გაზეთებისას, რომლებიც მხოლოდ იმით არიან გართული, რომ ბოლშევიკებს ლანძღავენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა ქვეყანაში მუშებმა გაიგეს, რომ რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს მართლა მშრომელთა მთავრობას. და თანამედროვე ევროპაში, ინგლისსა, საფრანგეთსა, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში არ არის არც ერთი მუშა, რომელიც ტაშით არ ეგებებოდეს ამბებს რუსეთის რევოლუციის შესახებ, იმიტომ რომ მასში ხედავენ ისინი იმედს, მასშია ის ჩირაღდანი, რომელიც ხანძარს აანთებს მთელს ევროპაში.

თუ რუსეთის რევოლუცია ასე უბრალოდ მოხდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთს აწვა ცარიზმის უველურესი ჩაგვრა და არც ერთი ქვეყანა არ იყო ისე დატანჯული და გაწამებული ომით, როგორც რუსეთი.

თუ რუსმა ხალხმა პირველმა აღმართა სოციალისტური რევოლუციის ჩირაღდანი, მან იცის, რომ განმარტოებული არ არის ამ ბრძოლაში, და რომ იგი უერთგულესი ამხანაგების და მეგობრების დახმარებით დაამთავრებს ამ საქმეს. შეიძლება ცოტა დრო არ დასჭირდეს, ჩვენ არ ვიცით, რამდენი დრო დასჭირდება იმას, რომ სოციალისტური რევოლუცია სხვა ქვეყნებშიც გაიფურჩქნოს. თქვენ იცით, როგორ ხდება საერთოდ რევოლუციები სხვა სახელმწიფოებში.

ყოველ თქვენგანს განუცდია 1917 წელი და იცის, რომ სამი თვით ადრე რევოლუციის დაწყებამდე არავინ იცოდა, რომ ის მოხდებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ავსტრიას უკვე მოედო მუშათა გაფიცვები. როდესაც ევროპული პარტიები თავიანთი ჩერნოვების და წერეთლების მეთაურობით თანდათან ჭკარგავდნენ ყოველგვარ გავლენას მოვლენათა მსვლელობაზე, როდესაც მათ სრულიად განმარტოებულად იგრძნეს თავი, მაშინ იქ დაიწყეს ლაპარაკი სამხედრო წესების შემოღებაზე, ხოლო გერმანიაში სამხედრო დიქტატურის შემოღებაზე; ახლა ვენაში გაფიცვები შეჩერებულია და გაზეთებმა განაახლეს გამოსვლა. მე მივიღე სტოკჰოლმიდან ჩვენი წარმომადგენლის ვოროვსკის დეპეშა, სადაც ის ამბობს, სრულიად უცილობელია, რომ მოძრაობა შეჩერდა, მაგრამ მისი სავსებით შემუსვრა მაინც არ მოხერხდება, და იგი კვლავ გაძლიერდებაო. აი ერთ-ერთი შედეგი იმისა, რომ ბრესტში დაიწყო საზავო მოლაპარაკება, და ჩვენ შევასრულეთ ჩვენი დაპირება. საიდუმლო ხელშეკრულებები გაუქმებულია, გამოქვეყნებულია, ისინი სამარცხვინო ბოძზეა გაკრული თქვენს წინაშე. ჩვენ ცხადვყავით, რომ ძველი კაპიტალისტების ეს ვალდებულებანი, საიდუმლო ხელშეკრულებები ერქმევა მათ თუ სესხი, ჩვენთვის ახლა ქაღალდის ნაფლეთს წარმოადგენენ და მოშორებულია თავიდან: იმიტომ, რომ ისინი ჩვენ, მშრომელ მასებს, ხელს გვიშლიან სოციალისტური საზოგადოების აშენებაში. როდესაც ბრესტში გერმანელები გამოდიოდნენ თავიანთი ურცხვი მოთხოვნებით, — სიტყვით სამართლიანი ზავის აღიარებას გვპირდებოდნენ, ხოლო საქმით ავაზაკთა და მტაცებელთა იმავე ინტერესებს ამყარებდნენ, — ახლა მშრომელი მასები იწყებენ ამის შეგნებას. ეს გაჭიანურება ხელოვნურია, ეს ცხადია მასებისთვის, ისინი ამბობენ, რომ შეიძლება შეწყდეს ომის განგრძობა, რაკი ის შეწყვიტეს რუსეთის მუშებმა და გლეხებმა, რომ შეიძლება ძალა დავატანოთ მთავრობებსო. თუ 1905 წლის 17 ოქტომბერს დიადი პირველი საყოველთაო-სახალხო გაფიცვა ჩააქრო თვითმპყრობელობამ, სამაგიეროდ მან ავსტრიაში, ვენასა და

პრალაში, მთელი რიგი ამბები, მუშათა დემონსტრაციები გამოიწვია, და აი მაშინ მოიპოვეს ავსტრიელებმა თავიანთი საყოველთაო საარჩევნო უფლება. 1905 წელს რუსეთის რევოლუცია ჩააქრო ცარიზმმა, მაგრამ მან გამოიწვია ის, რომ დასავლეთ-ევროპელ მუშებს სწამთ დიადი მომავალი რეფორმები, ე. ი. ის, რაც ამჟამად ხდება.

საბჭოების მესამე ყრილობის გახსნისას თქვენ ყველამ ნახეთ საზღვარგარეთულ პარტიათა მთელი რიგი წარმომადგენლები, რომლებიც ამბობდნენ, ჩვენ ყველამ ვიხილეთ მუშათა მოძრაობა ინგლისსა, შვეიცარიასა და ამერიკაში, ისინი ერთხმად ამბობდნენ, ევროპაში სოციალისტური რევოლუცია სადღეისო ამოცანა ხდებაო. იქ ბურჟუაზია უფრო ძლიერი და ჭკვიანია, ვიდრე ჩვენი კერენსკები, მან მოასწრო დარაზმვა, რათა მასებს გაუძნელდეთ ამხედრება. იქ მუშები ერთგვარ კეთილმდგომარეობაში არიან, და ამიტომ იქ უფრო ძნელია იმ ძველი სოციალისტური პარტიების კედლების შენგრევა, რომლებიც მაგრად იდგნენ ათეული წლების განმავლობაში, შესული არიან ხელისუფლებაში, ავტორიტეტით სარგებლობენ ხალხის თვალში. მაგრამ ამგვარი ავტორიტეტი უკვე იკარგება, მასა დუღს, და ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ უახლოეს, შეიძლება შორეულ, მომავალში სოციალისტური რევოლუცია დღის წესრიგში დადგეს ყველა ქვეყანაში, რადგან კაპიტალის ჩაგვრას ბოლო ეღება.

როცა გვეუბნებიან, ბოლშევიკებმა გამოიგონეს რაღაც ისეთი უტოპიური ამბავი, როგორიცაა რუსეთში სოციალიზმის შემოღებაო, რომ ეს ყოვლად შეუძლებელი რამააო, ჩვენ ამაზე ვუპასუხებთ: როგორ შესძლეს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა უმრავლესობის თანაგრძნობის მოპოვება უტოპისტებმა და ფანტაზიორებმა? იმიტომ ხომ არ მოგვემხრო მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა უმრავლესობა, რომ მათ საკუთარი გამოცდილებით დაინახეს ომის შედეგები და ის, რომ ძველი საზოგადოებიდან გამოსავალი არ არის და რომ კაპიტალისტები ტექნიკის და კულტურის მთელი საკვირველებით ჩაებნენ გამანადგურებელ ომში, რომ ადამია-

ნები გამხეცებამდე, გაველურებამდე და შიმშილობამდე მივიდნენ. აი რა გააკეთეს კაპიტალისტებმა, და აი რატომ დგება ჩვენს წინაშე საკითხი: ან დავიღუპოთ, ანდა ბოლომდე დავამსხვრიოთ ეს ძველი ბურჟუაზიული საზოგადოება. აი რა შეადგენს ჩვენი რევოლუციის სიღრმეს. აი რატომ ვხედავთ ჩვენ, რომ პატარა მეზობელ ესტლანდიაში, სადაც მთელი ხალხი წერა-კითხვის მცოდნეა, ამ დღეებში შესდგა მოჯამაგირეთა ყრილობა, აირჩია რწმუნებულები, რომლებმაც საკუთარ ხელში აიღეს ყველა კულტურული მეურნეობა. ეს მსოფლიო გადატრიალებაა. მოჯამაგირეებს, რომლებიც კაპიტალისტურ მეურნეობაში სოციალური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ, აღრიცხვაზე აჰყავთ ისინი. შემდეგ ფინეთში, სადაც სეიმი ერის სახელით გამოდიოდა, სადაც ბურჟუაზია მოითხოვდა ჩვენგან გვეცნო მისი დამოუკიდებლობა, ჩვენ ძალით არ დავაკავებთ რუსეთის ხელში ან რუსეთის ერთს სახელმწიფოში ყველა იმ ერს, რომელთაც ჩაგვრით აკავებდა ცარიზმი. ჩვენ იმის იმედი გვქონდა, რომ სხვა ერებს — უკრაინას, ფინეთს მივიზიდავთ არა ძალმომრეობით, არა თავზე მოხვევით, არამედ იმით, რომ ისინი შექმნიან თავიანთ სოციალისტურ სამყაროს, თავიანთ საბჭოთა რესპუბლიკებს. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ფინეთში დღე-დღეზე მოელიან მუშათა რევოლუციას; იმ ფინეთში, რომელიც უკვე 12 წელიწადია, 1905 წლიდან, სრული თავისუფლებით სარგებლობდა შიგნით და ჰქონდა დემოკრატიული დაწესებულებების საარჩევნო უფლება. 1905—1917 წლიდან ამ ქვეყანაში, რომელიც განირჩევა თავისი კულტურულობით, თავისი სამეურნეო წყობით და თავისი წარსულით, ამ ქვეყანაში გადავარდა იმ ხანძრის ნაპერწკლები, რომელიც ბოლშევიკებმა ვითომ ხელოვნურად გააღვივეს, და იქ, ჩვენ ვხედავთ, იწყება სოციალისტური რევოლუცია. ეს მოვლენა იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ დაბრმავებული არა ვართ პარტიული ბრძოლით, რომ ჩვენ ვმოქმედებდით არა გეგმით, არამედ მხოლოდ მთელი კაცობრიობის გამოუვალმ-

მდგომარეობამ ომის შემდეგ შექმნა ეს რევოლუცია და სოციალისტური რევოლუცია უძლეველი გახადა.

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ დავამთავრო იმის აღნიშვნით, რომ იგივე მოხდა თქვენს რკინიგზელთა ყრილობაზეც. ჩვენ დავინახეთ, რა ვაივაგლახით წარმოებდა ბრძოლა თქვენი რკინიგზის ზედაფენური ორგანიზაციების წინააღმდეგ. თქვენ, რკინიგზელები, თვითონვე დარწმუნდით გამოცდილებით იმაში, რომ მშრომელი რკინიგზელი პროლეტარიატის მასამ თავის მხრებზე გადაიტანა რკინიგზის საქმის ორგანიზაციის მთელი სიძნელე. ეს საქმე ხელოვნურად, შემთხვევით როდი ჩავარდნილა ამ გამოუვალ მდგომარეობაში: იგი ან შეგნებულად ფერხდებოდა იმ მილიონერების მიერ მოსყიდული ბურჟუაზიის ხელით, რომლებიც ასიათასობით ფანტავდნენ ფულს და მზად იყვნენ ყველაფერი ჩაედინათ იმისათვის, რომ დაენგრიათ საბჭოთა ხელისუფლება; ან იმიტომ, რომ ბურჟუაზია უარს ამბობდა შეეცვალა წესები, რადგან ფიქრობდა, რომ ეს ასეა დაწესებული დასაბამიდან, რომ უნდა არსებობდნენ უფროსები და ღარიბები, რომლებიც მათთან მუშაობდნენ, და რომ უფროსები აბუჩად იგდებდნენ მათ. მართლაც, სამმართველოს მოხელეები ფიქრობდნენ, რომ ეს ნამდვილად ასე უნდა იყოს და სხვანაირი წესები შეუძლებელია არსებობდეს, და თუ ეს წესები შევცვალეთ, ქაოსს მივიღებთო. მაგრამ ეს ასე არ არის. მშრომელი მასების გაერთიანება ყველაფერზე მაღლა დგას, ისინი შესძლებენ თავიანთი ამხანაგური დისციპლინის შექმნას და ტექნიკისა და კულტურის ყველა მონაპოვრის გამოყენებას იმისთვის, რომ სწორად დააყენონ რკინიგზის საქმე და ქალაქისა და სოფლის პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა, რათა დაეხმარონ მუშებსა და გლეხებს სახალხო მეურნეობის მოწყობაში სრულიად რუსეთის მასშტაბით, ისე, რომ მშრომელ მასებს უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ შეეძლოთ სარგებლობა საკუთარი შრომის ნაყოფით, რომ მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა ემსახურებოდეს არა ერთი მუჭა ადამიანების გამდიდრებას, არა მსხვილი კაპიტალისტების შექმნას, არამედ მთელი სარკინიგზო

მეურნეობის მაჯისცემის გაუმჯობესებას. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის. თქვენ იცით, რამდენი მოქრთამვა, მოტყუება, სპეკულაციაა ყოველი საკვანძო სადგურის გარშემო, თქვენ იცით, როგორ ფანტავენ მილიონებს ექსპლოატატორები იმისათვის, რომ გააფუჭონ ტრანსპორტი, რომ შერეკონ ვაგონები იქ, სადაც მათ ველარ მონახავ. ყოველივე ეს კეთდება იმისათვის, რომ გააძლიერონ შიმშილი და მიუსიონ ხალხი საბჭოთა ხელისუფლებას. მაგრამ თქვენ ყველამ იცით, რომ თუ რკინიგზელთა ორგანიზაციების უმრავლესობა გაერთიანდება და მიზნად დაისახავს საბჭოთა ხელისუფლების მხარისდაჭერას, მხოლოდ მაშინ ყველა გაიძვერა, მესაბოტაჟე, კაპიტალისტი და ექსპლოატატორი, ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი ეს გადმონაშთები აღიგვება ულმობელი ბრძოლით და მხოლოდ მაშინ შესაძლებელი გახდება წესიერი სარკინიგზო მეურნეობის ორგანიზაცია და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა სრული განთავისუფლება მჩაგვრელთა ბატონობისაგან, მხოლოდ მაშინ მივიღებთ ჩვენ სოციალიზმს. (მ თ ე ლ ი დ ა რ ბ ა ზ ი ს მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

2

პასუხი ბარათებზე

ამხანაგებო, ის ბარათები, რომლებიც ჩემს წინ დევს, ორ ჯგუფად იყოფა: ეს ერთი ჯგუფი აყენებს დამფუძნებელი კრების საკითხს. მეორე ჯგუფი — შიმშილობისა და სამეურნეო ნგრევის საკითხს. მე ვუპასუხებ ამ ორი ჯგუფის მიხედვით და ბარათებს შევაერთებ იმისდამიხედვით, თუ რამდენად ეხებიან ისინი ასე თუ ისე ერთნაირ თემას. რაც შეეხება დამფუძნებელ კრებას, გვეკითხებიან: სამართლიანი იყო თუ არა დამფუძნებელი კრების დათხოვნა და საჭირო ხომ არ არის ახალი დამფუძნებელი კრების მოწვევა? ან უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა დამფუძნებელი კრების დათხოვნამდე საკითხი სახალხო რეფერენდუმით გადაგვეწყვიტა? არა, ამხანაგებო, არც რეფერენდუმით და არც ახალი დამფუძნებელი კრებით საქმეს არაფერი ეშველება. ასე ჩამოყალიბდნენ პარტიები რუსეთში. ვის თანაუგრძნობენ კაპიტალისტები და ვის მუშები და გლეხები — ეს ჩვენ დავინახეთ. საბჭოთა ხელისუფლება არ შექმნილა ვისიმე დეკრეტით, არც რომელიმე პარტიის დადგენილებით, იმიტომ რომ იგი პარტიებზე მაღლა დგას, იმიტომ რომ იგი შედგენილია რევოლუციური გამოცდილების მიხედვით, მილიონობით ადამიანის გამოცდილებით; სრულიადაც შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ 1905 წელს საბჭოები წარმოიშვნენ, ხოლო 1917 წელს გაიზარდნენ და დააარსეს ისეთი ახალი რესპუბლიკა, როგორიც არ არის ევროპის ქვეყნებში და არც იქნება, ვიდრე

იქ კაპიტალი ბატონობს. მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკა გაიმარჯვებს ყველგან, და მაშინ კაპიტალს გამანადგურებელი ლახვარი ჩაეცემა. მე უნდა აღვნიშნო, რომ დამფუძნებელი კრება და რეფერენდუმი აგებულია ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ძველი ნიმუშების მიხედვით, და სახალხო კენჭისყრა, კაპიტალის ბატონობის მეოხებით, იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს და ევაჭროს. საბჭოთა ხელისუფლება კი არ იძლევა ისეთ წარმომადგენლებს, რომლებიც ფარიკაობენ პარლამენტებში, წარმოთქვამენ ბრწყინვალე სიტყვებს და ქმნიან კაპიტალის და მოხელეთა აპარატის მტკიცე ბატონობას. საბჭოთა ხელისუფლება მოდის თვით მშრომელი მასებიდან, ის იძლევა არა პარლამენტს, არამედ მშრომელთა წარმომადგენლების კრებას, რომელიც სცემს კანონებს, რომლებიც უშუალოდ სრულდება, ხორციელდება და მიზნად ისახავს ექსპლოატატორებთან ბრძოლას. ძველი ყაიდის დამფუძნებელი კრება და ძველი ყაიდის რეფერენდუმები ამოცანად ისახავდნენ გაეერთიანებინათ მთელი ერის ნება და შეექმნათ შესაძლებლობა მეგობრულად ეცხოვრათ მგლებსა და ცხვრებს, ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს. არა, ჩვენ ეს არ გვინდა. ჩვენ ყოველივე ეს გადავიტანეთ და გამოვცადეთ. ჩვენ მოგვბეზრდა ყოველივე ეს. და დარწმუნებული ვართ, მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების უმრავლესობასაც მობეზრდა ეს. იმ დროს, როდესაც ომი გვაიძულებს მთელი რიგი გმირული ღონისძიებანი მივიღოთ იმისათვის, რომ ან თავი დავაღწიოთ კაპიტალს, ან დავიღუპოთ, ჩვენ გვაიძულებენ მოვახდინოთ ცდა, რომელიც უკვე წარმოებდა ევროპულ ქვეყნებში და რომელიც მოგვცემდა ჩვენ ძველ ბურჟუაზიულ კაპიტალიზმს და საერთო-ეროვნულ წარმომადგენლობას და არა მშრომელი მასების წარმომადგენლობას. ჩვენ გვესაჭიროება არა ბურჟუაზიული წარმომადგენლობა, არამედ ექსპლოატირებულთა და დაჩაგრულთა წარმომადგენლობა, რომელიც დაუნდობლად იბრძოლებს ექსპლოატატორების წინააღმდეგ. აი რა განზრახვა აქვს საბჭოთა ხელისუფლებას; მასში არ შედის არც პარლამენტი,

არც რეფერენდუმი. იგი ამაზე მაღლა დგას, იგი შესაძლებლობას აძლევს მშრომელებს, თუკი ისინი უკმაყოფილო იქნებიან თავიანთი პარტიით, ხელახლა აირჩიონ თავიანთი დელეგატები, გადასცენ ძალაუფლება სხვა პარტიას და გამოცვალონ მთავრობა სრულიად ურევოლუციოდ, იმიტომ რომ კერენსკი — კალედინის და ბურჟუაზიული რადის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეუძლებელია. და თუ ახლა რუსეთში მოინახება რამდენიმე ათეული ადამიანი, რომლებიც ებრძვიან საბჭოთა ხელისუფლებას, ასეთი ახირებულნი ცოტანიღა არიან, ხოლო რამდენიმე კვირაში სულაც აღარ იქნებიან, და საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვებს, როგორც ჩაგრული კლასის ორგანიზაცია მჩაგვრელთა დასამხობად და ექსპლოატატორთა განსადევნად.

ახლა გადავდივარ თანამედროვეობის საშინელ უბედურებაზე — შიმშილზე, რომელიც გვემუქრება. რა არის ნგრევის მთავარი მიზეზი? მთავარი მიზეზი იმ ნგრევისა, რომელიც შიმშილს გვიმზადებს ქალაქებსა და სამრეწველო ადგილებში, ეს არის მესაბოტაჟეთა ბატონობა, ეკონომიური ნგრევა, რომელსაც ეს მესაბოტაჟენი ხელს უწყობენ, ბრალს კი ამაში ჩვენ გვდებენ. ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ რუსეთში პური საკმარისია, და რომ იგი არის კალედინის სამეფოში, შორეულ ციმბირსა და პურისმოსავლიან გუბერნიებში. მე უნდა განვაცხადო, რომ ექსპლოატირებული კლასები ვერასოდეს ვერ განთავისუფლდებიან, თუ არ შექმნიან მტკიცე, ულმობელ, რევოლუციურ ხელისუფლებას. მესაბოტაჟეთა შესახებ ვიტყვი, ამხანაგებო, რომ ჩვენ ვიცით იმ ბინების მისამართები, სადაც მიდიოდნენ მესაბოტაჟე მოხელენი და ხელს აწერდნენ ჯამაგირის მიღებაზე სამი თვით წინდაწინ, რაზედაც რიაბუშინსკიმ 5 მილიონი გაიღო, ინგლისსაფრანგეთის იმპერიალისტებმა კი ამდენი და ამდენი, ხოლო რუმინეთისამ ამდენი და ამდენი. აი რა არის საბოტაჟი: ესენი არიან მოსყიდული პირები, უმაღლესი მოსამსახურეები, რომლებიც მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებიან: ჩაშალონ

საბჭოთა ხელისუფლება, თუმცა მრავალმა მათგანმა ეს არ იცის. საბოტაჟი, ეს არის მისწრაფება — დაუბრუნონ ძველი სამოთხე ექსპლოატატორებს და ძველი ჯოჯოხეთი მშრომელებს. მაგრამ იმისათვის, რომ მათ ამ მიზანს ვერ მიაღწიონ, საჭიროა გავტეხოთ მათი წინააღმდეგობა.

შემდეგ ჩვენ მიგვითითებენ რკინიგზელ მოსამსახურეთა ხელფასის შესახებ. ეს დიდი გაუგებრობაა. ეს დაემართა მხოლოდ ერთ კომისარს, რომელმაც შეიძლება ასე განმარტა ეს ისტორია და გამოსცა ეს ბრძანებულება, მაგრამ სახალხო კომისართა საბჭოს პირველი მითითებისთანავე ეს ბრძანებულება შესცვალა [110]. და ახლა იმაზე ლაპარაკი, რომ ეს შედიოდა საბჭოთა ხელისუფლების განზრახვაშიო — ნიშნავს საქმის ვითარების არცოდნას.

რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მოვსპოთ შიმშილობა და ანარქია? ჯერ-ერთი, უნდა გავტეხოთ კაპიტალისტთა წინააღმდეგობა და მესაბოტაჟენი ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, რომ მათ ველარ შესძლონ წინააღმდეგობის გაწევა. როდესაც «ნოვაია ჟიზნის» მომხრეები და სხვა ვითომ სოციალისტური ორგანოები ლაპარაკობენ იმაზე, რომ ორთვენახევრის განმავლობაში საბოტაჟი ვერ შეწყდაო, მე მათ ვეუბნები: რატომ არ გვეხმარებით ამ საბოტაჟის შეწყვეტაში? ამჟამად ბანკები უკვე გადმოვიდნენ საბჭოების გამგებლობაში. გუშინ ასეთი შემთხვევა იყო: ჩემთან მოვიდა თანამდებობით მწერალი, ფინ-ენოტაევსკი, და 50 ათასი კაცის სახელით განაცხადა, ბანკები მზად არიან იმუშაონ საბჭოთა ხელისუფლების სრულ მორჩილებაშიო. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.) ბანკების მოსამსახურეთა დელეგატს ვუპასუხე: «დროცაა-მეთქი». ორგანიზაციასთან მოლაპარაკებაზე, ბანკების მოსამსახურეთა ორგანიზაცია იქნება ეს თუ სხვა რომელიმე, — ჩვენ უარს არ ვიტყვით, თუ მართლა საბჭოთა ხელისუფლების ამ ცნობას აღიარებს მშრომელთა უმრავლესობა არა სიტყვიერად, არამედ საქმით. აი როგორი განცხადება მოვისმინეთ ჩვენ ბანკების მოსამსახურეებისაგან, რომლებიც დაჩვეული არიან გაუგონარი სპეკულაციური საქმეების მოჭახრაკებას და თუ

შემთხვევა მიეცათ, მანეთზე კაპიკი შეაძრონ, ასე რომ მათ ჯიბე გატენილი აქვთ მილიონიანი მოგებით.

ამჟამად ისინი მოგვმართავენ მოვილაპარაკოთო, მაგრამ ეს არ იქნება ის მოლაპარაკება, რომელსაც კერენსკი აწარმოებდა. ჩვენ ბანკების რეფორმაზე ვერ ვილაპარაკებთ. ჩვენ ჯერ შეიარაღებული ძალით დავიკავეთ ბანკები, ხოლო შემდეგ ვიწყებთ მოლაპარაკებას და ვცემთ დადგენილებებს და განკარგულებებს. პირველ ყოვლისა ჩვენ გვაინტერესებს გავტეხოთ მესაბოტაჟეთა წინააღმდეგობა და უკვე ამის შემდეგ დავიწყოთ მოლაპარაკება. აი შიმშილობასთან და ანარქიასთან ბრძოლის გზა, მხოლოდ ამ გზით შეიძლება კაპიტალიზმისა და ნგრევის საშინელების დაძლევა. თქვენ იცით, რა გაუგონარი ნგრევაა მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი რუსეთში, სადაც ცარიზმმა დაგვიტოვა მექრთამეობა, ძალმომრეობა, სიძულვილი და მშრომელების აბუჩად აგდება. ახლა კი ანარქიას უჩივიან; აბა, დაფიქრდით, შეუძლია თუ არა იმ ხალხს, რომელიც სამი წელიწადი სანგრებში იჯდა და გაწამებულია ომით, იბრძოლოს იმისათვის, რომ რუსეთის კაპიტალისტებმა ჯიბე გაისქელონ, იმისათვის, რომ რუსეთის კაპიტალისტებს კონსტანტინოპოლი ესაჭიროებათ. ისინი ყოველ ფეხის გადადგმაზე ხედავენ, რომ ადამიანები მილიონებს იმისათვის იყენებენ, რომ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება და დაეუფლონ მიწას.

ამხანაგებო, ასეთი ცვლილებების ერთ დღეს დაგვირგვინება შეუძლებელია. სოციალისტური რევოლუცია დაიწყო, ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ამხანაგური, და არა ყაზარმული, დისციპლინის შექმნაზე, არა კაპიტალისტების, არამედ თვით მშრომელი მასების დისციპლინაზე. აი, როდესაც რკინიგზელი მშრომელები ხელთ იგდებენ ძალაუფლებას, ისინი შეიარაღებული ორგანიზაციის საშუალებით გასტეხენ საბოტაჟს და სპეკულაციას და ამოცანად დაისახავენ დევნონ ყველა ისინი, ვინც მექრთამეობას ეწევა და არღვევს რკინიგზის წესიერ მოძრაობას. ასეთი ადამიანები უნდა ვდევნოთ, როგორც უდიდესი დამნაშავენი სახალხო ხელისუფლების

წინააღმდეგ. აი მხოლოდ ასეთ ორგანიზაციაზე, საბჭოთა ორგანიზაციაზე, მის შემჭიდროებასა და ენერგიაზეა დამოკიდებული ბრძოლა კაპიტალისტების, მესაბოტაჟეების, გაიძვერებისა და რიაბუშინსკების წინააღმდეგ. აი რა გზა უნდა ავირჩიოთ იმისათვის, რომ დავძლიოთ შიმშილობა, იმიტომ რომ რუსეთში ყველაფერია: რკინაც, ნავთობიც, პურიც, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანურად ვიცხოვროთ. თუ შევძლებთ ექსპლოატატორების დამარცხებას, რუსეთში დამყარდება საბჭოთა ხელისუფლება და გატონპატრონობა, — და ასეც იქნება. (მ ქ უ ხ ა ა ლ ტ ა ში.)

პირველად დაიბეჭდა 1918 წ. წიგნში:
«შრომები რკინიგზელ მოსამსახურეთა, ხელოსანთა და მუშათა სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობისა, რომელიც შესდგა პეტროგრადში 1918 წ. 5 — 30 იანვარს»

იბეჭდება წიგნის ტექსტის მიხედვით

პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმის თათბირი სასურსათო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან 1918 წ. 14 (27) იანვარს

1

გამოსვლები შიმშილობასთან ბრძოლის ღონისძიებათა საკითხზე [1]

საოქმო ჩანაწერი

I

ვლადიმიროვის მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ ძველი ულუფა უნდა დავტოვოთ. უნდა მივიღოთ ზომები იმის მოსაძებნად, რაც მოიპოვება პეტროგრადში.

II

ყველა ეს ცნობა გვიჩვენებს პიტერელი მუშების საოცარ უმოქმედობას. პეტროგრადის მუშებმა და ჯარისკაცებმა უნდა შეიგნონ, რომ მათ არავინ დაეხმარება და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ. ბოროტმოქმედების ფაქტები აშკარაა, სპეკულაცია საშინელია, მაგრამ რა გააკეთეს ჯარისკაცებმა და მუშებმა მასებში მასთან საბრძოლველად?! თუ მასებში თვითმოქმედება არ აღვძარით, არაფერი გამოვა. საჭიროა მოვიწვიოთ საბჭოს პლენარული კრება და დავადგინოთ: მოხდეს მასობრივი ჩხრეკა პეტროგრადში და სასაქონლო სადგურებზე. ჩხრეკისთვის ყოველმა ქარხანამ, ყოველმა ასეულმა უნდა გამოჰყოს რაზმები, ჩხრეკაში უნდა ჩავაბათ არა მსურველნი, არამედ დავავალდებულოთ ყველა, პურის ბარათის ჩამორთმევის მუქარით. ვიდრე არ მივმართავთ ტერორს — ადგილზევე დახვრეტას — სპეკულანტების მი-

მართ, არაფერი გამოვა. გარდა ამისა, მძარცველებსაც ასევე გადაჭრით უნდა მოვექცეთ — ადგილზევე დავხვრიტოთ.

მოსახლეობის შეძლებული ნაწილი სამი დღე უნდა დავტოვოთ უპურობდ, რადგან მათ აქვთ სხვა პროდუქტების მარაგიც და შეუძლიათ მაღალ ფასებში შეიძინონ სპეკულანტებთან.

პირველად დაიბეჭდა 1924 წ.
ჟურნალში «კრასნაია ლეტოპის»
№ 1 (10)

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
ხელნაწერი ეგზემპლარის
მიხედვით

2

რეზოლუციის პროექტი

მოწვეულ იქნეს პეტროგრადის საბჭოს სრული კრება და გატარდეს სპეკულანტებთან ბრძოლისა და შიმშილისაგან ხსნის რევოლუციური ზომები:

1) ჯარისკაცთა და მუშათა მთელი მასისგან შეიქმნას რამდენიმე ათასი რაზმი (10 — 15 და შეიძლება მეტი კაცისაგან თვითეული), რომლებიც ვალდებული არიან ყოველდღე განსაზღვრული საათი (მაგალითად, 3 — 4 საათი) შესწირონ სასურსათო საქმის სამსახურს.

2) პოლკებს და ქარხნებს, რომლებიც წესიერად არ გამოგზავნიან რაზმების საჭირო რაოდენობას, ესპობათ პურის ბარათები, და მათ მიმართ მიღებული იქნება ზემოქმედების რევოლუციური ზომები და სასჯელი.

3) რაზმებმა დაუყოვნებლივ უნდა გაჩხრიკონ, ჯერ-ერთი, ვაგზლები, დაათვალიერონ და აღრიცხონ ხორბლიანი ვაგონები; მეორე, პიტერის ახლომახლო გზები და საკვანძო სადგურები; მესამე, ყველა საწყობი და კერძო ბინა.

დათვალიერების, აღრიცხვისა და რეკვიზიციის ინსტრუქციას ამუშავებს პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმი რაიონული საბჭოების დელეგატების მონაწილეობით, ანდა განსაკუთრებული კომისია.

4) დანაშაულზე წასწრებულ და საესებით მხილებულ სპეკულანტებს რაზმები ხვრეტენ ადგილზეევე. ამგვარადვე ისჯებიან რაზმების ის წევრები, რომლებიც მხილებული იქნებიან არაკეთილსინდისიერებაში.

5) რევოლუციურ რაზმთა საერთო რაოდენობიდან შიმშილისაგან ხსნის უკიდურესი ზომების მისაღებად გამოიყოფიან ყველაზე საიმედო და საუკეთესოდ შეიარაღებული რაზმები ყველა სადგურზე და უმთავრესი, პურის მომწოდებელი, გუბერნიების ყველა მაზრაში გასაგზავნად. ამ რაზმებს, რკინიგზელთა ადგილობრივი კომიტეტების რწმუნებულებით აყვანილ რკინიგზელთა მონაწილეობით, ევალებათ, პირველი, ხორბლის ტვირთის გატარების კონტროლი; მეორე, პურის შეგროვებისა და ჩაყრის კონტროლი; მესამე, უკიდურესი რევოლუციური ზომების მიღება სპეკულანტების წინააღმდეგ და ხორბლის მარაგის სარეკვიზიციოდ.

6) რევოლუციური რაზმები, რეკვიზიციის, დაპატიმრების ან დახვრეტის ოქმის შედგენისას, ყოველთვის ისწრებენ მოწმეებს 6 კაცის რაოდენობით მაინც, რომლებსაც აუცილებლად ირჩევს უახლოეს მეზობლად მყოფი უღარიბესი მოსახლეობა.

პირველად დაიბეჭდა 1924 წ. ჟურნალში «კრასნაია ლეტოპის» № 1 (10)

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

პროექტი დეკრეტისა საზღვაო და სამდინარო სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ 1918 წ. 18 (31) იანვარი [112]

1

დეკრეტის პროექტი

1. სახკომსაბჭო აღნიშნავს, რომ ც. კ-იც [113] და ცენტროვოლგაც სავსებით თანახმანი არიან დაუყოვნებლივ მოხდეს ყველა იმ საზღვაო და სამდინარო გემის ნაციონალიზაცია გამოუსყიდველად, რომლებიც სავაჭრო მიზნებს ემსახურებიან.

2. ამიტომ სახკომსაბჭო ადგენს დაუყოვნებლივ განახორციელოს ეს ნაციონალიზაცია და ავალებს საგანგებო კომისიას, რომელშიც შევლენ საზღვაო კომისარიატის წარმომადგენლები, ც. კ-ის ორი წარმომადგენელი, ცენტროვოლგის ორი წარმომადგენელი და თავმჯდომარე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დანიშვნით — დაამუშაოს ნაციონალიზაციის დეკრეტის ქვემომოყვანილი საფუძვლები და წარმოუდგინოს ისინი სახკომსაბჭოს ორ დღეში.

3. დეკრეტით ცხადდება მთელი ფლოტის ნაციონალიზაცია.

4. გემებზე წესრიგის დაცვა, მათი მოფრთხილება და სხვა უშუალოდ ევალება გემების მოსამსახურეთა მთელ შემადგენლობას და შემდეგ თვითეული აუზის თუ ზღვის გემთა მუშების კავშირებს.

5. მთელი ნაციონალიზებული ფლოტის ცენტრალურ სამმართველოებად დროებით, ვიდრე ყრილობა შესდგებოდეს და გაერთიანება მოხდებოდეს, აღიარებულია ც. კ. და ცენტროვოლგა.

თუ გაერთიანება არ მოხდა ნებაყოფლობით, საბჭოთა ხელისუფლება ამ გაერთიანებას განახორციელებს იძულებით.

6. ცენტრალური სამმართველოები თავიანთ მუშაობაში სავსებით ემორჩილებიან საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს.

2

დამატება პროექტისადმი

დ ა უ ყ ო ვ ნ ე ბ ლ ი ვ გამოცემულ დეკრეტს ნაციონალიზაციის შესახებ დაემატოს კიდევ:

(α) ყველა გამგეობის დაპატიმრება (შინაური),

(β) სასტიკი პასუხისმგებლობა გემების გაფუჭებისათვის და სხვ.

პირველად დაიბეჭდა 1945 წ. ლენინის კრებულში XXXV

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

გამოსვლები რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე 1918 წ. 19 იანვარს (1 თებერვალს)

საოქმო ჩანაწერი

1

ლენინი აყენებს საკითხს, რომელი კონფერენცია მოვიწვიოთო? [114] მისი აზრით, საჭიროა გულახდილად მოველაპარაკოთ რევოლუციური ომის მომხრეებს, რადგან მათ **Zwischenruf**-ში * შეიძლება დავინახოთ იმის ბრალდება, თითქოს პარტიაში ერთი ჯგუფი მეორეს დიპლომატობას სწამებდეს ზავის საკითხზე; ნამდვილად კი არავითარი დიპლომატია არ არის, რადგან გადაწყვეტილებაში დროებითი ზავის შესახებ სრულიად აშკარადაა ნათქვამი, რომ ყოველმა მხარემ, თუ მისი შეწყვეტა სურს, ამის შესახებ უნდა განაცხადოს შვიდი დღით ადრე სამხედრო მოქმედების დაწყებამდე. ამის მიხედვით ჩვენ ვაჭიანურებთ ზავს. როგორ იქნა მიღებული გადაწყვეტილება საბჭოების მესამე ყრილობაზე? ისე, როგორც ეს წარმოადგინა ცაკ-მა, ხოლო ცაკ-მა გადაწყვეტილება გამოიტანა ფრაქციის გადაწყვეტილების თანახმად, ფრაქციამ კი იგი მიიღო ც. კ-ის გადაწყვეტილების თანახმად. ლენინი ფიქრობს, რომ რევოლუციური ომის მომხრე ამხანაგების გადასაჯერებლად ყველას ემჯობინებოდა ფრონტზე წასვლა და იქ საკუთარი თვალით დანახვა, რომ ომის წარმოება ყოვლად შეუძლებელია. კონფერენციის მოწვევაში ის აზრს ვერ ხედავს იმიტომაც, რომ მისი გადაწყვეტილებები არ შეიძლება სავალდებულო იყოს ც. კ-სთვის; ამიტომ შესაძლოა პარტიისაგან ზუსტი დირექტივების მისაღებად საჭი-

* — შენიშვნა ადგილიდან ორატორის სიტყვის დროს. რ ე დ.

რო გახდეს პარტიული ყრილობის მოწვევა. საზავო მოლაპარაკების გაჭიანურებით ჩვენ შესაძლებლობას ვიძლევით გაგრძელდეს დაძმობილება, ხოლო ზავის დადებით ჩვენ ერთბაშად შევძლებთ სამხედრო ტყვეების გაცვლას და ამით გერმანიაში გადავისვრით უამრავ ადამიანს, რომლებმაც ჩვენი რევოლუცია იხილეს სინამდვილეში; ამ რევოლუციით ჭკუანასწავლნი, ისინი ადვილად შესძლებენ იმუშაონ მის გასაღვივებლად გერმანიაში. გარდა ამისა, ლენინი ფიქრობს, რომ იმის დანამდვილებით გასარკვევად, თუ რა ხდება გერმანიაში, კარგი იქნებოდა გაგვეგზავნა ბერლინში ავიატორები, რისი შესრულებაც, როგორც ისინი ამბობენ, სავსებით შესაძლებელია.

2

ლენინი წინადადებას იძლევა წესრიგისათვის, რომ ბუხარინმა გაგვაცნოს პ. კ-ში არსებული ფაქტიური მდგომარეობა.

3

ლენინს შემოაქვს გარკვეული წინადადება. კონფერენციის ორგანიზაციის მომხრეებს ის მიუთითებს, რომ კონფერენცია ვერ გაამრთელებს შექმნილ ბაზარს. პარტიული ყრილობა აუცილებელია, ხოლო კონფერენცია მხოლოდ დაჭერაა პარტიის აზრისა, რომლის ფიქსირება აუცილებელია. ამისათვის ის წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნეს თათბირი, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება ყველა შეხედულება, ყველა თვალსაზრისი, ამასთან თვითეულს უნდა წარმოადგენდეს სამი პირი. ამ თათბირმა უნდა შეიმუშაოს შეთანხმება.

4

ლენინი იმ აზრისაა, რომ თათბირი მოწვეულ იქნეს ორი-სამი დღის შემდეგ, მაგრამ თეზისები არ დაიბეჭდოს, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია ისინი გერმანიას გავუმჟღავნოთ. თათბირის მოწვევამდე კონფერენციის საკითხი არ უნდა

გადაწყდეს, ხოლო ყრილობის მოწვევამდე ზავის საკითხის ღიად დატოვება თეზისების გამოუქვეყნებლად — უაზრობაა.

5

ლენინი წინადადებას იძლევა საბჭოების მესამე ყრილობის წამსვლელ წევრთათვის მოეწყოს თათბირი, მაგრამ წერილობით არაფერი არ მიეცეთ.

6

ლენინი აღნიშნავს, რომ პარტიული პროგრამა შეუძლებელია მოესწროს 15 თებერვლისთვის, და წინადადებას იძლევა:

თათბირი მოწვეულ იქნეს 20 იანვარს ასეთი შემადგენლობით: 1) ცენტრალური კომიტეტი, 2) იმ შეხედულებათა წარმომადგენლები, რომლებიც ნათლადაა გამოხატული, სახელდობრ: ლენინი, სოკოლნიკოვი, ბუხარინი, ობოლენსკი, სტუკოვი. თუ სმირნოვს, ობოლენსკის, სტუკოვს და პიატაკოვს უთანხმოება აქვთ თავიანთი დებულებების შესახებ, ისინი გზავნიან ორ წარმომადგენელს, ანდა ერთს. 3) პ. კ. — ფენიგშტეინის სახით. 4) ლატვიელი.

ბუხარინს და ლომოვს დაევალოთ მოელაპარაკონ მოსკოველებს და პიატაკოვს. ყოველი ჯგუფი ადგენს თავის თეზისებს.

პირველად დაიბეჭდა 1922 წ.
ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის)
თხზულებათა კრებულში,
ტომი XV

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის
ხელნაწერი ეგზემპლარის
მიხედვით

რადიოთი. ყველას. განსაკუთრებით საზავო დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკში

ჩვენც მეტისმეტად გვაღელვებს ხაზის უქონლობა[115], რაც, მგონი, გერმანელების ბრალია. კიევის რადა დაეცა. უკრაინაში მთელი ძალაუფლება საბჭოს ხელშია. უკრაინაში ძალაუფლება უდავოდ ხარკოვის ცაკ-ის ხელშია; უკრაინის რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლად დანიშნულია ბოლშევიკი კოციუბინსკი. ფინეთში ბურჟუაზიული კონტრრევოლუციონერების საქმე განწირულია, მათ წინააღმდეგ მუშები უზომოდ გაბოროტებული არიან. დონში კაზაკთა 46 პოლკის ყრილობამ სტანიცა კამენკაში მთავრობად გამოაცხადა თავი, ეომებიან კალედინს. პიტერის მუშებში დიდი ენთუზიაზმია ბერლინში მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით. ხმებია, კარლ ლიბკნეხტი გაათავისუფლეს და მალე სათავეში ჩაუდგება გერმანიის მთავრობასო. ხვალისთვის პეტროგრადის საბჭოს სხდომაზე დაყენებულია საკითხი — ადრესი გაეგზავნოს ბერლინისა და ვენის მუშათა საბჭოებს.

ლ ე ნ ი ნ ი

დაწერილია 1918 წ. 21
იანვარს (3 თებერვალს)

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის
მიხედვით

რადიოგრამა ყველას, ყველას

ყ ვ ე ლ ა ს

საზღვარგარეთის მთელი რიგი გაზეთები ყალბ ცნობებს ავრცელებენ, პეტროგრადში საშინელი ამბები და ქაოსიაო და სხვ.

ყველა ეს ცნობა აბსოლუტურად ყალბია. პეტროგრადსა და მოსკოვში სრული სიწყნარეა. სოციალისტები არავის დაუპატიმრებია. კიევი უკრაინის საბჭოთა მთავრობის ხელშია. კიევის ბურჟუაზიული რადა დაეცა და გაიქცა. სავსებით ოლიარებულია ხარკოვის უკრაინის საბჭოთა ხელისუფლება. დონში კაზაკთა 46 პოლკი აჯანყდა კალედინის წინააღმდეგ. ორენბურგი აიღო საბჭოთა ხელისუფლებმა, კაზაკთა ბელადი დუტოვი დამარცხებულია და გაიქცა. ფინეთში ფინეთის მუშათა მთავრობის გამარჯვება სწრაფად იკიდებს ფეხს და კონტრრევოლუციური თეთრი გვარდიის ჯარები უკან იხევენ ჩრდილოეთისკენ, მუშების გამარჯვება მათ მიმართ უზრუნველყოფილია.

პეტროგრადის სასურსათო მდგომარეობა უმჯობესდება; დღეს, ძველი სტილით 22. I. 1918, პეტროგრადის მუშები 10 ვაგონ სურსათს გზავნიან ფინელების დასახმარებლად.

გერმანიიდან ცნობები კანტიკუნტად მოდის. აშკარაა, გერმანელები მალავენ სიმართლეს გერმანიაში რევოლუციური მოძრაობის დაწყების შესახებ. ტროცკი ბრესტ-ლიტოვსკიდან დეპეშით იტყობინება პეტროგრადში — გერმანელები აჭიანურებენ მოლაპარაკებასო. გერმანიის ბურჟუაზიული

პრესა, აშკარა კარნახით, ყალბ ცნობებს ავრცელებს რუსეთის შესახებ და აშინებს ხალხს.

გუშინ, 21. I. 1918, გამოქვეყნდა დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრული გამოყოფისა და მთელი საეკლესიო ქონების კონფისკაციის შესახებ.

დაწერილია 1918 წ. 22 იანვარს
(4 თებერვალს)

პირველად დაიბეჭდა 1929 წ.
ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერიხ
მიხედვით

სიტყვა პროვინციაში გასაგზავნი აგიტატორების წინაშე

საგაზეთო ანგარიში

ამხანაგებო, თქვენ ყველამ იცით, რომ როგორც ველიკოროსიის, ისე სხვა ერთა მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების უმრავლესობამ, — იმ ერთა, რომლებიც შეადგენდნენ რუსეთს — წინათ იძულებით, ხოლო ახლა ნაწილები არიან რუსეთის თავისუფალი რესპუბლიკისა, — აღიარა საბჭოთა ხელისუფლება. და ჩვენ დაგვრჩენია მცირეოდენი ბრძოლა კალედინის კონტრრევოლუციური ჯარების უმწეო ნაშთებთან, კალედინის, რომელიც, მგონი, თავის დონშიც იძულებულია თავს უშველოს რევოლუციური კაზაკობისაგან.

და აი, როდესაც ეცემა კონტრრევოლუციის უკანასკნელი სიმაგრე, — შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცდება. და ის განმტკიცდება. ეს სავსებით გასაგებია ყველასათვის, ვინაიდან თვალხილულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ მხოლოდ ამ ხელისუფლებას, თვით მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს, თავიანთ საბჭოებში გაერთიანებულთ, შეუძლიათ გამოიყვანონ რუსეთი ყველა მშრომელის თავისუფალი თანაცხოვრების გზაზე.

ჩვენს წინაშე ორი ძლიერი მტერია: პირველი — ეს არის საერთაშორისო კაპიტალი. იგი დგას ჩვენს წინაშე და გააფთრებული უცქერის მისთვის საძულველი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას. ეჭვი არ არის, რომ ამ მილიარდერებს არ შეუძლიათ არ აწარმოონ ომი სხვისთვის წართმეული ამა თუ იმ ზედმეტი ნაჭრის დაპატრონებისათვის. ეჭვი არ არის აგრეთვე, რომ ისინი ჯერ კიდევ საბჭოთა რესპუბლიკაზე უფრო ძლიერი არიან.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ კაპიტალისტები თუმცა ჩვენზე უფრო ძლიერი არიან, მაგრამ უკვე გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს ჩვენს კომისრებთან და, თითქოს, კიდეც ცნობენ საბჭოთა ხელისუფლებას, და სესხების გაუქმებასაც კი, — ეს ხომ საშინელი და ყველაზე მტკივნეული ლახვარია მათი მაგრად გატენილი ჯიბის მიმართ. და საერთაშორისო ფინანსური ოლიგარქიის წარმომადგენელთა ეს სიტყვები გვიჩვენებენ, რომ საერთაშორისო კაპიტალისტები ჩიხში ძოქცნენ. ისინი მოხარული იქნებიან თავი დააღწიონ ომს და მთელი ძალ-ღონით ეკვეთონ საძულველ საბჭოთა რესპუბლიკას, რომელმაც ხანძარი დაანთო მთელს ევროპასა და ამერიკაში, მაგრამ არ შეუძლიათ.

ჩვენი რევოლუცია ომმა წარმოშვა; ომი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ დავინახავდით მთელი მსოფლიოს კაპიტალისტთა შეერთებას: შემჭიდროებას ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის ნიადაგზე. მათ ერთი აზრი აქვთ: როგორმე ჩვენი ხანძრის ნაპერწკლები არ გადავარდეს მათს სახურავზე. მაგრამ რუსეთს ჩინური კედლით ვერ გაემიჯნები. არ არსებობს ქვეყნად არც ერთი მუშათა ორგანიზაცია, სადაც ენთუზიაზმით არ ეგებებოდნენ ჩვენს დეკრეტებს მიწის შესახებ, ბანკების ნაციონალიზაციისა და სხვ. შესახებ.

შესაძლოა, მომავალში ჩვენ შეუპოვარი ბრძოლის გადატანა მოგვიხდეს, მაგრამ კარგად იცოდეთ, ამხანაგებო, რომ უმეტეს ქვეყნებში საკუთარი კაპიტალისტების მიერ დაჩაგრული მუშები უკვე იღვიძებენ, და რაც უნდა მძვინვარებდნენ ყველა ქვეყნის კალედინელები, და კიდევაც რომ შესძლონ მათ და დროებით შეავიწროონ რუსეთი, მათი მდგომარეობა ამით არ განმტკიცდებოდა. ჩვენი მდგომარეობა კი სავსებით მტკიცეა, რადგან ჩვენს მხარეზეა ყველა ქვეყნის ყველა მუშა. (ტ ა შ ი.)

ჩვენი მეორე მტერია ნგრევა. და მით უფრო უნდა ვებრძოლოთ ამ ნგრევას, როდესაც საბჭოების მდგომარეობა განმტკიცდა. აი სწორედ თქვენ უნდა განავითაროთ ეს ბრძოლა, ამხანაგებო. თქვენი გამგზავრება, გამგზავრება ორივე იმ

მმართველი პარტიის აგიტატორებისა, რომლებიც დღეს საბჭოთა ხელისუფლების სათავეში დგანან, დიდ მნიშვნელობას იღებს. და მე მგონია, რომ მიყრუებულ პროვინციაში თქვენ მოგიწევთ შეუპოვარი, მაგრამ მადლიანი მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, სოფლად რევოლუციური იდეების შეტანის, ნგრევის აღმოფხვრისა და სოფლის კულაკებისაგან მშრომელი გლეხობის განთავისუფლების საქმეში.

ჩვენ მოგველის მძიმე და შეუპოვარი შრომა — ომით მოყენებული ჭრილობების მოშუშება. სხვა ევროპული ქვეყნების ბურჟუაზია ჩვენზე უფრო მეტად მოემზადა. იქ არსებობდა პროდუქტების წესიერი განაწილება, რის გამოც მათ ახლა იმდენად არ უჭირთ; წესიერად იყო მოგვარებული ჯარისკაცთა ცვლა ფრონტზე. არაფერი ამის მსგავსი არ მოუცია არც მეფის ხელისუფლებას, არც კერენსკის მერყევ, ბურჟუაზიულ-შემთანხმებლურ ხელისუფლებას.

აი რატომ აღმოჩნდა რუსეთი ამჟამად განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში. მან უნდა გადაჭრას ორგანიზაციის ამოცანები, იმ მოქანცულ და პირდაპირ გახულიგნებულ ელემენტებთან ბრძოლის ამოცანები, რომლებიც თავიანთ სასარგებლოდ აძლიერებენ ნგრევას, — რათა ნანგრევებზე ამოიყვანონ სოციალისტური საზოგადოების საძირკველი.

თქვენ, ამხანაგებო, როგორც უკვე გითხარით, მოგელით მძიმე, მაგრამ მადლიანი სამუშაო: მოაგვაროთ მეურნეობა სოფლად და განამტკიცოთ საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ თქვენ გყავთ თანაშემწენი, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ყოველ მუშას და გლეხს, რომელიც საკუთარი შრომით ცხოვრობს, შეგნება უკარნახებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების გარეშე ხსნა შიმშილისა და დაღუპვისაგან არ არსებობს. ჩვენ კი შეგვიძლია ვიხსნათ რუსეთი. ყველა მონაცემი იმას მეტყველებს, რომ რუსეთში პური მოიპოვება, და ის კიდევაც გვექნებოდა, თავის დროზე რომ ყოფილიყო აღრიცხული და სამართლიანად განაწილებული. თუ თვალს გადაავლებთ თვალუწვდენელ რუსეთს და რკინიგზის ნგრევას, დარწმუნ-

დებით, რომ ჩვენ გვესაჭიროება იმ პურის გაძლიერებული კონტროლი და განაწილება, რომელიც მოგვეპოვება, რადგან შიმშილი დაგვღუპავს ჩვენცა და თქვენც. ამის მოგვარება კი შეიძლება მხოლოდ ერთი პირობით: რომ ყოველმა მუშამ, ყოველმა გლეხმა, ყოველმა მოქალაქემ შეიგნოს, რომ თვითონ მას, და მარტოოდენ მას, შეუძლია დაეხმაროს თავის თავს. არავინ არ დაგეხმარებათ, ამხანაგებო. მთელი ბურჟუაზია, მოხელეები, მესაბოტაჟენი თქვენს წინააღმდეგ ილაშქრებენ, რადგან იციან, რომ თუ ხალხი ამ საყოველთაო-სახალხო საკუთრებას, რომელიც ამ დრომდე კაპიტალისტებისა და კულაკების ხელში იყო, თავიანთ შორის გაინაწილებს, ის გაწმენდს რუსეთს მუქთახორებისა და ღვარძლისაგან. ამიტომაც მათ შეჰკრიბეს მთელი ძალები მშრომელების წინააღმდეგ, დაწყებული კალედინით და დუტოვით და გათავებული საბოტაჟით, მაწანწალა ელემენტებისა და იმათი მოსყიდვით, ვინც პირდაპირ დაიღალნენ და არ შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა, ბურჟუაზიის ძველი ჩვეულებისამებრ, ექსპლოატატორული ჩვეულებისამებრ. დღეს ისინი მოისყიდიან შეუგნებელ, ბნელ ჯარისკაცებს ღვინის სარდაფების რბევის მოსაწყობად. ხვალ — რკინიგზების სამმართველოს მოხელეებს დედაქალაქში გამოგზავნილი ტვირთის შესაჩერებლად; შემდეგ — გემის პატრონებს ხორბლით დატვირთული კარჭაპების შესაჩერებლად და სხვ.. მაგრამ როცა ხალხი შეიგნებს, რომ მხოლოდ ორგანიზებულობა მისცემს მას შემჭიდროების, ამხანაგური დისციპლინის შექმნის შესაძლებლობას, — მაშინ ბურჟუაზიის არავითარი ვერაგობა არ იქნება მისთვის საშიში.

აი რა არის თქვენი ამოცანა, აი სად უნდა შეიტანოთ თქვენ გაერთიანება, ორგანიზაცია და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება. იქ, სოფლად, თქვენ შეხვდებით გლეხ-«ბურჟუებს», კულაკებს, რომლებიც შეეცდებიან ჩაშალონ საბჭოთა ხელისუფლება. მათ თქვენ ადვილად შეებრძოლებით, რადგან მასა თქვენს მხარეზე იქნება. ის დაინახავს, რომ ცენტრიდან სოფლად მოდიან არა დამსჯელი ექსპედიციები, არამედ აგიტატორები, რომელთაც სინათლე მოაქვთ სოფლად,

რათა თვითეულ სოფელში შეაკავშირონ ისინი, ვინც თვითონ შრომობს და ვისაც სხვის ხარჯზე არ უცხოვრია.

ავიღოთ მიწის საკითხი: მიწა გამოცხადებულია ხალხის კუთვნილებად, და ყველა სახის საკუთრება ისპობა. ამით დიდი ნაბიჯია გადადგმული ექსპლოატაციის მოსპობისაკენ.

აქ გაჩაღდება ბრძოლა მდიდრებსა და მშრომელ გლეხებს შორის, და უნდა დაეხმაროთ ღარიბებს არა წიგნით, არამედ გამოცდილებით, საკუთარი ბრძოლით. ჩვენ იმისთვის კი არ ჩამოვართვით მიწა მემამულეებს, რომ იგი მდიდრებსა და კულაკებს ჩაუვარდეს ხელში, იგი უნდა გადაეცეს ღარიბებს. ეს გამოიწვევს ღარიბი გლეხობის სიმპათიას და თანაგრძნობას თქვენდამი.

საჭიროა ვიზრუნოთ იმაზედაც, რომ სამიწათმოქმედო იარაღები და მანქანები არ იყოს კულაკებისა და მდიდრების ხელში. ეს იარაღები უნდა ეკუთვნოდეს საბჭოთა ხელისუფლებას და დროებით გამოსაყენებლად უნდა გადაეცეს მშრომელ მასებს, საკოლოსტო კომიტეტების საშუალებით. ისინი თვითონაც უნდა ადევნებდნენ თვალყურს იმას, რომ ეს მანქანები კულაკების გამდიდრებას კი არ ემსახურებოდეს, არამედ მათ იყენებდნენ მხოლოდ თავიანთი მიწის დასამუშავებლად.

ყოველი გლეხი დაგეხმარებათ თქვენს ძნელ საქმეში. განუმარტეთ სოფელს, რომ კულაკები და ბობოლები უნდა აილაგმონ. საჭიროა პროდუქტების სწორი, თანაბარი განაწილება, რათა ხალხის შრომის პროდუქტებით სარგებლობდეს მშრომელი ხალხი. და ერთ მდიდარს, რომელიც თავის ხარბ თათს გაწვდის სახალხო დოვლათისკენ, ათი მშრომელი უნდა დაუპირისპირდეს.

საბჭოების შემოსავალი უდრის 8 მილიარდს, ხოლო გასავალი — 28 მილიარდს. რა თქმა უნდა, ასეთ მდგომარეობაში ჩვენ თქვენთან ერთად ჩავვარდებით, თუ ვერ ამოვათრიეთ ეს სახელმწიფო ურემი, რომელიც მეფის ხელისუფლებამ ჭაობში ჩააფლო.

საგარეო ომი დამთავრდა ან მთავრდება. ეს გადაწყვეტილი საქმეა. ახლა შინაური ომი იწყება. ბურჟუაზია, რომელმაც ნაძარცვი ზანდუკებში მიმალა, გულდამშვიდებით ფიქრობს: «არაფერია, — ცოტა ხანს დავიცდით». ხალხმა უნდა გამოათრიოს ეს «წამგლეჯი» და აიძულოს იგი დააბრუნოს ნაძარცვი. თქვენ ეს უნდა განახორციელოთ ადგილობრივ. არ მისცეთ მათ საშუალება დაიმალონ, თორემ დაგვღუპავს სრული კრახი. პოლიციამ კი არ უნდა აიძულოს ისინი, — პოლიცია მოკლული და დამარხულია, — თვით ხალხმა უნდა გააკეთოს ეს, და არც არის სხვა საშუალება მათთან ბრძოლისა.

მართალი იყო მოხუცი ბოლშევიკი, რომელმაც განუმარტა კაზაკს, თუ რა არის ბოლშევიზმი.

კაზაკის შეკითხვაზე: მართალია, რომ თქვენ, ბოლშევიკები, ძარცვავთ ხალხს? — მოხუცმა უპასუხა: დიახ, ჩვენ ვძარცვავთ ნაძარცვს [116].

ჩვენ ამ მორევში დავიხრჩობით, თუ იმ ყუთებიდან ვერ ამოვიღებთ ყოველივე გადამალულს, ყოველივე ნაძარცვს უსინდისო, დანაშაულებრივი ექსპლოატაციის მთელი წლების განმავლობაში.

ჩვენ ცაკ-ში მალე მივიღებთ კანონს შეძლებულთა მიმართ ახალი გადასახადის შესახებ, მაგრამ ეს თქვენ თვითონ უნდა განახორციელოთ ადგილობრივ, რომ ომის დროს მოხვეჭილ ყოველ ასეულ მანეთს მშრომელის ხელი დაედოს. ეს თქვენ უნდა განახორციელოთ არა იარაღით: ომი იარაღით უკვე დამთავრდა, ხოლო ეს ომი ახლა იწყება.

ჩვენს რევოლუციას ექსპლოატატორების ძალა ვერ დაამხობს, თუ ჩვენ ამჟამად ორგანიზებულად მოვკიდებთ საქმეს ხელს, რადგან ჩვენსკენ და ჩვენთან არის მთელი მსოფლიო პროლეტარიატი.

«პრავდა» № 18, 1918 წ.
6 თებერვალი (24 იანვარი)

იბეჭდება გაზეთ «პრავდის» ტექსტის მიხედვით

ბრესტ-ლიტოვსკი. რუსეთის საზავო დელეგაცია. ტროცკის

პასუხი [117]

28/I. საღამოს 6 ს. 30 წუთი.

ჩვენი თვალსაზრისი თქვენ იცით; ის მხოლოდ უფრო განმტკიცდა უკანასკნელ ხანებში და განსაკუთრებით იოფეს წერილის შემდეგ. კიდევ ვიმეორებთ, რომ კიევის რადიოს კვალიც არ დარჩენილა და გერმანელები იძულებული იქნებიან იცნონ ფაქტი, თუ ჯერ კიდევ არ უცვნიათ იგი.

უფრო ხშირად მოგვაწოდეთ ცნობები.

ლ ე ნ ი ნ ი. ს ტ ა ლ ი ნ ი

პირველად დაიბეჭდა 1929 წელს ლენინის კრებულში XI

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

სიტყვა გლეხთა დეპუტატებისა და საადგილმამულო კომიტეტების სრულიად რუსეთის ყრილობაზე[118] 1918 წ. 28 იანვარს (10 თებერვალს)

საგაზეთო ანგარიში

დღეს ჩვენ ვაკეთებთ მშრომელი მასების მონაპოვრის განმტკიცების დიად საქმეს, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა გაერთიანების დიად საქმეს. ჯერ კიდევ გლეხთა იმ ყრილობაზე, სადაც უმრავლესობა მემარჯვენეებს ეკუთვნოდა, მე ვამბობდი, რომ თუ გლეხობა აღიარებს ყველა ჩვენს მოთხოვნას, ჩვენც ჩვენი მხრივ მხარს დავუჭერთ გლეხობის ყველა მოთხოვნას, რომელთაგან ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს მიწის სოციალიზაცია *. ახლა ჩვენ ეს საქმე გავაკეთეთ. ჩვენ გვაქვს მთელ მსოფლიოში პირველი კანონი მიწის ყოველგვარი საკუთრების გაუქმების შესახებ. ჩვენ ახლა გვაქვს ხელისუფლება, საბჭოების ხელისუფლება. ეს, თვით ხალხის მიერ წამოყენებული, ხელისუფლება მადლიან ნიადაგზე აყენებს ყველა ხალხის მშვიდობის დიად საქმეს. ომი უკვე შეწყვეტილია, და ყველა ფრონტზე გამოცხადებულია დემობილიზაცია. არის კიდევ ომი ბურჟუაზიასთან, რომელიც ახდენს მთელი ძალების მობილიზაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენს რუსულ კონტრრევოლუციას ჩვენ უკვე ბოლოს ვუღებთ. ამჟამად ყველა ფრონტზე წარმოებს ბრძოლა, რომელშიც ჩვენ თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოვდივართ. არის კიდევ ერთი მტერი: ეს მტერია — საერთაშორისო კაპიტალი; მის წინააღმდეგ ჩვენ კიდევ დიდხანს მოგვიხდება ბრძოლა და გამარჯვებულნიც

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 24, გვ. 588 — 612. რ ე დ.

გამოვალთ საკუთარი ორგანიზაციით, საერთაშორისო პროლეტარიატის მხრივ ჩვენი რევოლუციისათვის მხარისდაჭერით. დიდი ბრძოლა, კლასობრივი ბრძოლა, მოგველის კიდევ ჩვენი ქვეყნის შიგნით. ეს არის ეკონომიური ბრძოლა ბურჟუაზიასთან, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეხმარება ჩვენს მტრებს, რომელიც შეეცდება ეკონომიურად გაბატონდეს მშრომელ მასებზე.

ფული არ არის, აი სადაა ჩვენი სისუსტე, აი რატომ ვართ ჩვენ სუსტნი და რა აწუხებს ჩვენს ქვეყანას. არის კიდევ დიდძალი ფული ქალაქად და სოფლად მსხვილი კულაკების ხელში. ეს ფული მოწმობს ხალხის შრომის ექსპლოატაციას და იგი ხალხის ხელში უნდა იყოს. დარწმუნებული ვართ, რომ მშრომელი გლეხობა ულმობელ ომს გამოუცხადებს თავის მჩაგვრელ კულაკებს და დაგვეხმარება ბრძოლაში ხალხის უკეთესი მომავლისა და სოციალიზმისათვის.

დაიბეჭდა 1918 წ. 15 (2) თებერვალს ქ. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების გაზეთში «იზვესტია» № 25

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

გამოსვლები რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე 1918 წ. 18 თებერვალს (დღისით)[119]

საოქმო ჩანაწერი

1

იხილავენ გერმანელთა შემოტევის საკითხს. გ. ი. ლომოვი წინადადებას იძლევა გადაიდოს განხილვა.

ლენინი წინააღმდეგია, მაგრამ მხარს უჭერს ორატორთა დროის განსაზღვრას (ფრაქციული აზრის გამოთქმა განისაზღვროს 5 წუთით).

2

მას შემდეგ, როცა გადაწყდა საკითხის განხილვა, ნ. ი. ბუხარინი წინადადებას იძლევა ორატორების მეტ რიცხვს მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება.

ლენინი ამის წინააღმდეგია და მოითხოვს საკითხი დაისვას ასე: გაიგზავნოს თუ არა დეპეშა ზავის წინადადებით და მიეცეს სიტყვა ამის მომხრეს და მოწინააღმდეგეს.

ლენინის წინადადება მიღებულია.

3

მას შემდეგ, როცა ლ. დ. ტროცკი გამოვიდა დეპეშის გაგზავნის წინააღმდეგ ზავის წინადადებით, თავის აზრს გამოთქვამს

ლენინი (ზავის წინადადების სასარგებლოდ). გუშინ განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო კენჭისყრა, როდესაც ყველამ აღიარა ზავის აუცილებლობა, თუ გერმანიაში მოძრაობა არ მოხდება, ხოლო შემოტევა დაიწყება. არსებობს ეჭვი, გერმანელები იმისათვის ხომ არ იწყებენ შემოტევას, რომ საბჭოთა მთავრობა დაამხონ. ჩვენ ისეთი მდგომარეობის

წინაშე ვიმყოფებით, როცა საჭიროა მოქმედება. თუ სრულიად აშკარა იქნება იმპერიალიზმის შემოტევა, მაშინ ჩვენ ყველანი თავდაცვის მომხრენი ვიქნებით, და მაშინ შეიძლება ეს ავუხსნათ ხალხს. თუ ახლა დაიწყება შემოტევა და ამის შემდეგ განვუმარტავთ მასებს, ჩვენ მეტ არევ-დარევას შევიტანთ, ვიდრე მაშინ, თუ ახლავე დავიწყებთ მოლაპარაკებას დროებითი ზავის განგრძობის შესახებ, აქ არც ერთი საათის დაკარგვაც არ შეიძლება, რადგან მასები საკითხის ასეთ დაყენებას ვერ გაიგებენ. ან ჩვენ ვაწარმოებთ რევოლუციურ ომს მიწის სოციალიზაციისათვის — და მაშინ მასები გაგვიგებენ, ანდა მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ზავზე.

პირველად დაიბეჭდა 1922 წ.
ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის)
თხზულებათა კრებულში, ტომი XV

იბეჭდება საოქმო ჩანაწერის.
ხელნაწერი ეგზემპლარის.
მიხედვით

სიტყვები რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე 1918 წ. 18 თებერვალს (სალამოს)

საოქმო ჩანაწერი

1

ძირითადი საკითხია. ურიცკის წინადადება საოცარია. ც. კ-მა ხმა მისცა რევოლუციური ომის წინააღმდეგ, ჩვენ კი არც ომი გვაქვს, არც ზავი და ვებმებით რევოლუციურ ომში. ომთან ხუმრობა არ შეიძლება. ჩვენ ვკარგავთ ვაგონებს, და უარესდება ჩვენი ტრანსპორტი. ახლა ლოდინი შეუძლებელია, რადგან მდგომარეობა საესებით გამორკვეულია. ხალხი ამას ვერ გაიგებს: რახან ომია, დემობილიზაცია არ უნდა მომხდარიყო; გერმანელები ახლა ყველაფერს წაიღებენ. თამაში ისეთ ჩიხში მოექცა, რომ რევოლუციის კრახი გარდუვალია, თუ შემდეგაც საშუალო პოლიტიკას დავადექით. იოფე იწერებოდა ბრესტიდან, გერმანიაში რევოლუცია არც კი დაწყებულაო; თუ ასეა, გერმანელებს შეუძლიათ ჯილდო მიიღონ წინ წამოწევით. ახლა აღარ შეიძლება ლოდინი. ეს ნიშნავს რუსეთის რევოლუციის დასაღუპად განწირვას. გერმანელებს რომ ეთქვათ, ბოლშევიკური ხელისუფლების დამხობას მოვითხოვთო, მაშინ, რასაკვირველია, უნდა გვებრძოლნა; ახლა არავითარი გაჭიანურება აღარ შეიძლება. ახლა საქმე ეხება არა წარსულს, არამედ აწმყოს. თუ შეეკითხებით გერმანელებს, ეს მხოლოდ ფარატინა ქაღალდი იქნება. ეს პოლიტიკა როდია. ერთადერთი გამოსავალია — წინადადება მივცეთ გერმანელებს განაახლონ მოლაპარაკება. ახლა საშუალო გადაწყვეტილება შეუძლებელია. თუ რევოლუციური ომია, მაშინ იგი უნდა გამოვაცხადოთ, შევწყვიტოთ დემობილიზაცია, ასე კი შეუძლებელია. ჩვენ ქაღალდებს

ვწერთ, ხოლო ამასობაში მათ მიაქვთ საწყობები, ვაგონები, ჩვენ კი ვიხოცებით. ახლა განსაცდელშია ჩაგდებული ის, რომ ჩვენ ომთან თამაშით გერმანელებს ვუგდებთ ხელში რევოლუციას.

ისტორია იტყვის, რომ რევოლუცია თქვენ გასწირეთ. ჩვენ შეგვეძლო ხელი მოგვეწერა ისეთ ზავზე, რომელიც სრულიად არ ემუქრებოდა რევოლუციას. ჩვენ არაფერი არა გვაქვს, ჩვენ აფეთქებასაც ვერ მოვასწრებთ უკან დახევისას. ჩვენ გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო, დავეხმარეთ რევოლუციას ფინეთში, ახლა კი არ შეგვიძლია. ახლა ნოტების გაცვლა-გამოცვლის დრო აღარ არის, და თავი უნდა დავანებოთ ლოდინს. ახლა გვიანაა «მოსინჯვა», რადგან ახლა ცხადია, რომ გერმანელს შეუძლია შემოტევა. კამათი რევოლუციური ომის მომხრეების წინააღმდეგ შეუძლებელია, მაგრამ ლოდინის მომხრეების წინააღმდეგ შეიძლება და უნდა ვიკამათოთ კიდეც. უნდა შევთავაზოთ ზავი გერმანელებს.

2

ბუხარინმა ვერ შეამჩნია, რომ ის რევოლუციური ომის პოზიციაზე გადავიდა. გლეხს არ სურს ომი და არც წავა ომში. განა შეიძლება ახლა გლეხს ვუთხრათ, რომ ის რევოლუციურ ომში წავიდეს. მაგრამ თუ ეს გვინდა, მაშინ არმიის დემობილიზაცია არ უნდა მოგვეხდინა. პერმანენტული გლეხთა ომი — უტოპიაა. რევოლუციური ომი ფრაზა არ უნდა იყოს. თუ ჩვენ მომზადებული არა ვართ, ხელი უნდა მოვაწეროთ ზავს. რაკი არმიის დემობილიზაცია მოვახდინეთ, სასაცილოა პერმანენტულ ომზე ლაპარაკი. სამოქალაქო ომთან შედარება არ შეიძლება. რევოლუციურ ომში გლეხი არ წავა — და ჩამოაგდებს ყველას, ვინც ამას აშკარად იტყვის. გერმანიაში რევოლუცია ჯერ კიდევ არ დაწყებულა, ჩვენ კი ვიცით, რომ ჩვენშიც ჩვენს რევოლუციას ერთბაშად არ გაუმარჯვნია. აქ ამბობდნენ, ისინი წაიღებენ ლიფლანდიას და ესტლანდიასო, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ისინი მივცეთ რევოლუციის გულისთვის. თუ ისინი მოითხოვენ ჯარების გამოყვა-

ნას ფინეთიდან — ინებონ, დაე მიირთვან რევოლუციური ფინეთი. თუ ჩვენ მივცემთ ფინეთს, ლიფლანდიას და ესტლანდიას — რევოლუცია არ არის დაღუპული. ის პერსპექტივები, რომლებითაც გუშინ ამხ. იოფე გვაშინებდა, ოდნავაც არ ღუპავენ რევოლუციას.

მე წინადადებას ვიძლევი განვაცხადოთ, რომ ხელს ვაწერთ იმ ზავს, რომელსაც გუშინ გვთავაზობდნენ გერმანელები; თუ ამას ისინი დაუმატებენ უკრაინის, ფინეთის, ლიფლანდიისა და ესტლანდიის საქმეებში ჩაურევლობას, — ესეც უეჭველად უნდა მივიღოთ. ჩვენი ჯარისკაცები არაფრად ვარგნან; გერმანელებს უნდათ პური — ისინი მას წაიღებენ და წავლენ უკან, რითაც შეუძლებელს გახდიან საბჭოთა ხელისუფლებას. იმის თქმა, რომ დემობილიზაცია შეწყვეტილია — ეს ნიშნავს დაცემას.

პირველად დაიბეჭდა 1922 წ.
ნ. ლენინის (ვ. ულიანოვის)
თხზულებათა კრებულში, ტომი XV

იბეჭდება საოქმო
ჩანაწერის ხელნაწერი
ეგზემპლარის მიხედვით

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პირდაპირი მავთულით ლაპარაკი დვინსკის საბჭოს წევრებთან

1918 წ. 18 თებერვალი

დ ვ ი ნ ს კ ი. აპარატთან არიან დვინსკის საბჭოს წევრები.

ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი. გვითხარით, გეთაყვა, რა დირექტივები გაქვთ მიღებული სმოლნიდან გერმანელების მოსალოდნელ შემოტევასთან დაკავშირებით? გვითხარით, გეთაყვა, ვინ ლაპარაკობს, გვარები?

დ ვ ი ნ ს კ ი. ლაპარაკობენ პავლოვი და ბელიაევი. ამ წუთში უმაღლესმა მთავარსარდალმა დეპეშით გადმოგვცა, რომ უკან უნდა დავიხიოთ და უკან დახევისას ყველაფერი მოვსპოთ. იძულებული ვართ დვინსკი დავტოვოთ.

ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი. რა ისმის ახალი გერმანელების მხრივ?

დ ვ ი ნ ს კ ი. ჯერჯერობით გერმანელების მხრივ არავითარი გამოსვლები არ არის. ქალაქი პანიკით არის მოცული, ქალაქს ძალიან დაბლა თავს დასტრიალებენ გერმანელთა აეროპლანები და ჰყრიან პროკლამაციებს, რომლების წაკითხვა ვერ მოვახერხეთ, რადგან შორს მიაქვს ქარს. საბჭომ გადაწყვიტა დარჩეს ქალაქში გერმანელების შემოსვლამდე. შექმნილია მოსახლეობის კომიტეტები ქალაქში წესრიგის დასაცავად. რა დირექტივებს მოგვცემთ შემდეგისთვის?

ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი. მიიღეთ ზომები კავშირის დასამყარებლად უკან დახევის დროს. დადგით იუზის აპარატები ვაგონში, იყოლიეთ აგრეთვე იუზისტთა კომპლექტი და გამოცდილი მექანიკოსი. გადაეცით კომისარიატს, რომ

უკან დახევისას ყველაფერი მოსპონ. მიიღეთ აგრეთვე ზომები უკანასკნელ მომენტში შესაძლებელი გახდეს ორგანიზაციების გამოყვანა, რადგან, უნდა ვიფიქროთ, გერმანელების მიზანია ხელში ჩაიგდონ რევოლუციური ცენტრები. თუ შესძლოთ გერმანელთა პროკლამაციების წაკითხვა, გადმოგვეცით. ჩვენთან რაც შეიძლება ხშირად იქონიეთ კავშირი.

 დ ვ ი ნ ს კ ი. გთხოვთ გვითხრათ, როგორ მოვექცეთ ხიდებს უკან დახევისას?

ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი. რასაკვირველია, უნდა ააფეთქოთ!

დ ვ ი ნ ს კ ი. ახალ ამბებს შეგატყობინებთ. სხვა არაფერი გვაქვს სათქმელი. ნახვამდის.

ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი. ნახვამდის.

პირველად დაიბეჭდა 1942 წ.
ლენინის კრებულში XXXIV

იბეჭდება ტელეგრაფის
ლენტის მიხედვით

თავდაპირველი პროექტი რადიოგრამისა გერმანიის იმპერიის მთავროგისადმი

სახალხო კომისართა საბჭო პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, რომ გერმანიის მთავრობამ ჯარები დასძრა რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ, რომელმაც ომის მდგომარეობა შეწყვეტილად გამოაცხადა და დემობილიზაცია დაიწყო ყველა ფრონტზე. რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობა არ მოელოდა ასეთ ნაბიჯს მით უფრო, რომ, არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ, დროებითი ზავის დამდებ არც ერთ მხარეს არ განუცხადებია არც 10 თებერვალს და არც საერთოდ ოდესმე, დროებითი ზავის შეწყვეტის შესახებ, როგორც ეს ორივე მხარემ იკისრა 1917 წლის 2 (15) დეკემბრის ხელშეკრულებით.

სახალხო კომისართა საბჭო იძულებულია, შექმნილ მდგომარეობაში, განაცხადოს, რომ მზად არის ფორმალურად ხელი მოაწეროს იმ საზავო პირობებს, რომლებსაც ბრესტ-ლიტოვსკში მოითხოვდა გერმანიის მთავრობა.

ამასთანავე სახალხო კომისართა საბჭო მზად არის, თუ გერმანიის მთავრობა ზუსტად ჩამოაყალიბებს თავის საზავო პირობებს, 12 საათის განმავლობაში მაინც უპასუხოს, მისაღები იქნება თუ არა ეს პირობები ჩვენთვის.

დაწერილია 1918 წ.
18 თებერვალს ღამით

დაიბეჭდა 1918 წ. 20 (7) თებერვალს ცაკ-ის გაზეთში «იზვესტია» № 29

იბეჭდება ხელნაწერის მიხედვით

ლენინის პასუხი პირდაპირი მავთულით მოსკოვის საბჭოს

დღის 2 საათსა და 15 წუთზე სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ლენინი გამოიწვია აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა. ბოლშევიკების ფრაქციის რწმუნებული შეეკითხა ამხ. ლენინს:

1) რა ფაქტები მოხდა ბერლინიდან მიღებული დეპეშის შემდეგ.

2) რა ზომები აქვს მიღებული სახალხო კომისართა საბჭოს ამჟამად.

3) გარდა ჰოფმანის დეპეშისა ხომ არ ყოფილა კიდევ პასუხი ბერლინიდან.

პირველ კითხვაზე ამხ. ლენინმა უპასუხა:

არმია აღარ არის; გერმანელები ზვიტევენ მთელი ფრონტით რიგიდან დაწყებული. აღებულია დვინსკი და რეჟიცა, უტევენ ლუცკს და მინსკს. ვისაც აინტერესებს საქმე და არა ფრაზა, უნდა დადოს ზავი და განაგრძოს რევოლუციის განმტკიცებისა და გაღრმავების საქმე ჩვენი ქვეყნის შიგნით.

მეორე კითხვაზე:

ჯერჯერობით შემოტევა შეწყვეტილი არ არის, გაცემულია ბრძანება, სადაც კი შესაძლებელია, გაუწიონ წინააღმდეგობა, გზადაგზა აბსოლუტურად მოსპონ ყველაფერი პურის უკანასკნელ ნატეხამდე.

მესამე კითხვაზე:

არა, არ ყოფილა.

ლაპარაკი შესდგა 1918 წ.
20 თებერვალს

დაიბეჭდა 1918 წ. 21 (8) თებერვალს ქ. მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების გაზეთში «იზვესტია» № 29

იბეჭდება გაზეთის ტექსტის მიხედვით

შენიშვნები

1 ვ. ი. ლენინის წერილები «ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება» და «მარქსიზმი და აჯანყება» განიხილა ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომამ 1917 წლის 15 (28) სექტემბერს. კამენევმა გაილაშქრა შეიარაღებული აჯანყების შესახებ ლენინის მიერ ამ ისტორიულ წერილებში მოცემულ სადირექტივო მითითებათა წინააღმდეგ და წინადადება შეიტანა დაემალათ იგი პარტიისთვის, ხოლო წერილების ყველა ეგზემპლარი მოესპოთ. ი. ბ. სტალინმა წინააღმდეგობა გაუწია კამენევის მუხანათურ გამოსვლას და დაჟინებით მოითხოვა ლენინის წერილების შენახვა. ი. ბ. სტალინის წინადადებით ლენინის წერილები ცენტრალურმა კომიტეტმა დაუგზავნა ბოლშევიკური პარტიის უდიდეს ორგანიზაციებს. — **1.**

2 ლენინის მიერ აღნიშნული თარიღები შეეხება შემდეგ ამბებს: 6 მაისს გამოცხადდა პირველი კოალიციური დროებითი მთავრობის შემადგენლობა; 31 აგვისტოს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა საბჭოთა მთავრობის შექმნას; 12 სექტემბრისთვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ესერულ-მენშევიკურმა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დანიშნა დემოკრატიული თათბირის მოწვევა. თათბირი მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 14—22 სექტემბერს (27 სექტემბერს — 5 ოქტომბერს). დემოკრატიული თათბირის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 32 — 42, 43 — 51 და «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 250—251. — **1.**

3 დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა 1917 წლის 2 (15) მარტის დეკლარაციაში; არჩევნები დანიშნული იყო 1917 წლის 17 (30) სექტემბრისთვის. მაგრამ დროებითმა მთავრობამ გადადო მოწვევა და გამოაცხადა, არჩევნები გადადებულია 1917 წლის 12 (25) ნოემბრამდეო. დამფუძნებელი კრებ-

გახსნა საბჭოთა მთავრობამ 1918 წლის 5 (18) იანვარს პეტროგრადში. რადგან დამფუძნებელმა კრებამ უარი თქვა განეხილა «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია» და დაემტკიცებინა საბჭოების II ყრილობის დეკრეტები ზავის, მიწის შესახებ, ხელისუფლების საბჭოებისთვის გადაცემის შესახებ, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ის დაითხოვეს 1918 წლის 6 (19) იანვარს. დამფუძნებელი კრების შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 440 — 445, 506 — 508, 509 — 514. — **2.**

4 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში», 1940, გვ. 99 — 100. — **3.**

5 ლენინს მხედველობაში აქვს მენშევიკებისა და ესერების განცხადება კორნილოველობის განადგურების შემდეგ კადეტებთან კოალიციის საკითხზე. მენშევიკები და ესერები ცდილობდნენ შეესუსტებინათ მზარდი რევოლუციური აღმავლობა და შეენარჩუნებინათ თავიანთ მომხრეთა უკანასკნელი ნაშთები, რისთვისაც იძულებული იყვნენ სიტყვიერად კადეტებთან კოალიციის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ, საქმით კი მენშევიკები და ესერები განაგრძობდნენ კადეტებთან კავშირის დაცვას და კადეტების, როგორც იმპერიალისტური ბურჟუაზიის წარმომადგენლების, პოლიტიკის გატარებას. (იხ. ამის შესახებ ი. ბ. სტალინის სტატიები «კრიზისი და დირექტორია», «კადეტებთან კავშირის გაწყვეტის შესახებ», «დემოკრატიული თათბირისათვის». თხზულებანი, ტომი 3, 1948, გვ. 304 — 307, 311 — 315, 328—333). — **13.**

6 «ბ ი რ ჟ ე ვ კ ა» — «ბ ი რ ჟ ე ვ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1880 წლიდან. სახელწოდება «ბირჟევკა» საზოგადო სახელი გახდა ბურჟუაზიული პრესის უპრინციპობისა და სინდისგარეცხილობის გამოსახატავად. 1917 წლის ოქტომბრის დამლევს გაზეთი დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა. — **13.**

7 «რ ე ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტების პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან; დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს); სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა 1918 წლის აგვისტომდე. — **14.**

8 «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა» — მენშევიკების ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა ყოველდღიურად პეტერბურგში 1917 წლის მარტიდან ნოემბრამდე. — **15.**

9 «დ ე ლ ო ნ ა რ ო დ ა» — ყოველდღიური გაზეთი, ესერების პარტიის ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1917 წლის მარტიდან 1918 წლის ივნისამდე, ხშირად იცვლიდა სახელწოდებას. გაზეთის გამოცემა განახლდა 1918 წლის ოქტომბერს სამარაში და 1919 წლის მარტში მოსკოვს. გაზეთი მაშინვე დახურეს კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის. — **15.**

10 «პ რ ო ლ ე ტ ა რ ს კ ო ე დ ე ლ ო» — ყოველდღიური გაზეთი, კრონშტადტის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ბოლშევიკების ფრაქციის ორგანო; გამოდიოდა 1917 წელს დროებითი მთავრობის მიერ ივლისის დღეებში დახურული ბოლშევიკური გაზეთის «გოლოს პრავდის» მაგივრად. — **15.**

11 «პ რ ა ვ დ ა» — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში; დაარსებული იყო ვ. ი. ლენინის მითითებით და ი. ბ. სტალინის თაოსნობით 1912 წლის აპრილში.

«1912 წლის «პრავდა» ეს არის საძირკვლის ჩაყრა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს» (ს ტ ა ლ ი ნ ი).

ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში პირველი ნომრის გამოსვლის დღიდან (1912 წლის 22 აპრილიდან (5 მაისიდან)) მეფის მთავრობამ «პრავდა» რვაჯერ დახურა, მაგრამ გაზეთი განაგრძობდა გამოსვლას სხვა სახელწოდებებით. იმპერიალისტური ომის წინადღეებში — 1914 წლის 8 (21) ივლისს გაზეთი დახურეს.

«პრავდის» გამოცემა განახლდა თებერვლის რევოლუციის შემდეგ — 1917 წლის 5 (18) მარტს. გაზეთმა გამოსვლა იწყო როგორც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ.

15 (28) მარტს რსდმპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე «პრავდის» რედაქციის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ი. ბ. სტალინი. 1917 წლის აპრილში რუსეთში დაბრუნების შემდეგ ვ. ი. ლენინი სათავეში ჩაუდგა «პრავდის» ხელმძღვანელობას. 1917 წლის 5 (18) ივლისს «პრავდის» რედაქცია დაარბიეს იუნკრებმა და კაზაკებმა. ივლისის დღეების შემდეგ, ვ. ი. ლენინის არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, პარტიის ცენტრალური ორგანოს პასუხისმგებელი რედაქტორი გახდა ი. ბ. სტალინი. 1917 წლის 23 ივლისიდან (5 აგვისტოდან) რსდმპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა სამხედრო ორგანიზაციამ შეძლო გაზეთის გამოცემის მოწყობა სახელწოდებით «რაბოჩიი ი სოლდატ». პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მითითება მისცა რედაქციას, რომ «რაბოჩიი ი სოლდატს» პარტიის ცენტრალური ორგანოს შექმნამდე მისი ფუნქციები შეესრულებინა.

«პრავდა» დროებითი მთავრობის დევნის გამო ხშირად იცვლიდა სახელწოდებას და გამოდიოდა როგორც «ლისტოკ «პრავდი»», «პროლეტარიი», «რაბოჩიი», «რაბოჩიი პუტ». 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) გაზეთმა გამოსვლა იწყო თავისი ძველი სახელწოდებით — «პრავდა». — **18.**

12 მ ო ს კ ო ვ ი ს თ ა თ ბ ი რ ი, რომელიც დროებითმა მთავრობამ მოიწვია პურჟუაზიისა და მემამულეების ძალების მობილიზაციისათვის, გაიხსნა 1917 წლის 12 (25) აგვისტოს. მოსკოვის «სახელმწიფო თათბირის» შემადგენლობა განსაზღვრავდა მის კონტრრევოლუციურ დედაარსს. თათბირის მონაწილეთა უმრავლესობას შეადგენდნენ ვაჭრებისა და მრეწველების, მემამულეებისა და ბანკირების, მეფის სახელმწიფო სათათბიროს წევრების, მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლები. ყველა ოთხივე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროსგან თათბირს დაესწრო 488 კაცი, საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან — 129, ქალაქთა თვითმმართველობებმა მიიღეს 129 ადგილი, ერობებმა — 118, ვაჭარ-მრეწველთა წრეებმა და ბანკებმა — 150, სამეცნიერო ორგანიზაციებმა — 99, არმიამ და ფლოტმა — 177, სამღვდელოებამ —24, ნაციონალურმა ორგანიზაციებმა —58, გლეხებმა — 100, კოოპერაციამ — 313, პროფკავშირებმა — 176 და სხვა. საბჭოების დელეგაციას შეადგენდნენ მენშევიკები და ესერები. თათბირზე გენერლები კორნილოვი, ალექსეევი, კალედინი და სხვები გამოვიდნენ რევოლუციის ჩახშობის პროგრამით. კერენსკი თავის სიტყვაში იმუქრებოდა, შეიარაღებული ძალით ჩავაქრობ რევოლუციურ მოძრაობას და აღვკვეთ გლეხების მიერ მემამულეთა მიწების დატაცების ცდასო. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოწოდებაში, რომელიც დაწერილი იყო ი. ბ. სტალინის მიერ, მიმართა პროლეტარიატს პროტესტი განეცხადებინა მოსკოვის თათბირის წინააღმდეგ. მოსკოვში თათბირის გახსნის დღეს ბოლშევიკებმა მოაწყვეს ერთი დღის საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 400 ათასზე მეტი მუშა. საპროტესტო მიტინგები და გაფიცვები ხდებოდა მთელ რიგ სხვა ქალაქებშიც. სახელმწიფო თათბირის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 3, 1948, გვ. 218 — 221, 226 — 232, 238 — 246. — **19.**

13 «ე დ ი ნ ს ტ ვ ო» — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის მარტიდან ნოემბრამდე, აგრეთვე 1917 წლის დეკემბერსა და 1918 წლის იანვარს სხვა სახელწოდებით; რედაქტორობდა გ. ვ. პლეხანოვი. აერთიანებდა მენშევიკ-ობორონცების უკიდურეს მემარჯვენე ჯგუფს და უსიტყვოდ უჭერდა მხარს ბურჟუაზიულ დროებითს მთავრობას; გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა ბოლშევიკების პარტიის წინააღმდეგ. — **22.**

14 «დ ე ნ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში ბანკების სახსრებით 1912 წლიდან მენშევიკ-ლიკვიდატორების მონაწილეობით, რომელთა ხელშიც გაზეთი საესებით გადავიდა 1917 წლის თებერვლის შემდეგ. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს); შემდეგ გამოდიოდა სხვა სახელწოდებებითაც 1918 წლის მაისამდე. — 22.

15 ცაკ-ის «ი ზ ვ ე ს ტ ი ა» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1917 წლის 28 თებერვლიდან (13 მარტიდან) სახელწოდებით — პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტია». საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობაზე მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შექმნის შემდეგ გაზეთი 1917 წლის 1 (14) აგვისტოდან (№ 132-დან) ცაკ-ის ორგანო გახდა და გამოდიოდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს «იზვესტიის» სახელწოდებით. მთელი ამ ხნის განმავლობაში გაზეთი მენშევიკებისა და ესერების ხელში იყო და გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. 1917 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან), საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის შემდეგ, ცაკ-ის «იზვესტია» საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური ორგანო გახდა. 1918 წლის მარტში, სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს გადასვლასთან დაკავშირებით, გაზეთის გამოცემა პეტროგრადიდან მოსკოვში გადაიტანეს. — 30.

16 სტატია «ს ი ყ ა ლ ბ ი ს გ მ ი რ ე ბ ი ს ა და ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს შ ე ც დ ო მ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ» ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე და მესამე გამოცემებში იბეჭდებოდა შემოკლებულად გაზეთის «რაბოჩიი პუტ» მიხედვით. ამ გამოცემაში სტატია იბეჭდება სრულად, ხელნაწერის მიხედვით. — 32.

17 «ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ» — ყოველდღიური გაზეთი, ბოლშევიკების პარტიის მოსკოვის საოლქო ბიუროს, მოსკოვის კომიტეტის ორგანო, უფრო გვიან — მოსკოვის საოკრუგო კომიტეტისაც; გამოდიოდა 1917 წლის მარტიდან 1918 წლის მარტამდე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოსკოვს გადასვლასთან დაკავშირებით გაზეთი შეუერთდა «პრავდას». — 40.

18 «რ უ ს ს კ ა ი ა ვ ო ლ ი ა» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც დაარსებული იყო და არსებობდა მსხვილი ბანკების სახსრებით; დამრბევულ აგიტაციას ეწეოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. ლენინი მას უწოდებდა ერთ-ერთ ყველაზე უფრო საზიზღარ

ბურჟუაზიულ გაზეთს. გამოდიოდა პეტროგრადში 1916 წლის დეკემბრიდან 1917 წლის ოქტომბრამდე. — **41.**

19 გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს «ი ზ ვ ე ს ტ ი ა» — ყოველდღიური გაზეთი, გლეხთა დეპუტატების საბჭოს ოფიციალური ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის მაისიდან დეკემბრამდე; გამოხატავდა ესერების პარტიის მემარჯვენე ფრთის შეხედულებებს. — **59.**

20 «რ უ ს ს კ ო ე ს ლ ო ვ ო»—ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1895 წლიდან; დახურა მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმმა 1917 წლის 27 ნოემბერს (10 დეკემბერს). — **61.**

21 ფ ო რ ტ ი ი ნ ო — სიმაგრე ფინეთის საზღვარზე, რომელიც კრონშტადტთან ერთად იცავდა პეტროგრადის მისადგომებს. რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ფინეთის სოციალისტურ მუშათა რესპუბლიკას შორის 1918 წელს დადებული ხელშეკრულებით ფორტი ინო რუსეთის სფს რესპუბლიკას გადაეცა. ფინეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ თეთრგვარდიელები ცდილობდნენ ფორტის ხელში ჩაგდებას. კრონშტადტის ციხე-სიმაგრის კომენდანტის განკარგულებით 1918 წლის მაისში ფორტი აიფეთქეს. — **65.**

22 კრებული «მ ა ს ა ლ ე ბ ი პ ა რ ტ ი უ ლ ი პ რ ო გ რ ა მ ი ს გ ა დ ა ს ი ნ ჯ ვ ი ს ა თ ვ ი ს», გამოცემული რსდმ პარტიის მოსკოვის სამრეწველო რაიონის საოლქო ბიუროს მიერ 1917 წელს, ლენინმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სტატიაში «პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის» (იხ. ეს ტომი, გვ. 165 — 202). — **69.**

23 I — III და V თავები სტატიისა «კ რ ი ზ ი ს ი მ ო მ წ ი ფ დ ა» დაიბეჭდა «რაბოჩიი პუტის» 30-ე ნომერში 1917 წლის 20 (7) ოქტომბერს. შენახულია მხოლოდ V და VI თავების ხელნაწერი. IV თავის ხელნაწერი ნახული არ არის. — **70.**

24 ლენინს მხედველობაში აქვს ოფიცერ დუბასოვის გამოსვლა პეტროგრადის საბჭოს 1917 წლის 22 სექტემბრის (5 ოქტომბრის) სხდომაზე. — **77.**

25 «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი»—ყოველდღიური გაზეთი; 1863 წლიდან სცემდნენ მოსკოვში მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალი პროფესორები და ერობის მოღვაწეები; გამოხატავდა ლიბერალი მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო; დახურეს მალე 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. — **77**

26 ლაპარაკია ტროცკის, კამენევის, ზინოვიევისა და მათი მომხრეების უმნიშვნელო ჯგუფის პოზიციაზე. კამენევი და ზინოვიევი შეუპოვრად იცავდნენ წინაპარლამენტში ბოლშევიკების მონაწილეობის საჭიროებას და ამით სურდათ პარტია ჩამოეშორებინათ შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაგან. ისინი ვერ ბედავდნენ აშკარად გამოსვლას აჯანყების წინააღმდეგ, მაგრამ წინადადებას აყენებდნენ დავუცადოთ საბჭოების ყრილობასო. ტროცკიმ პეტროგრადის საბჭოს 1917 წლის 20 სექტემბრის (3 ოქტომბრის) სხდომაზე განაცხადა, ხელისუფლების საკითხს მხოლოდ საბჭოების ყრილობა გადაწყვეტსო. მან იმდენი ილაყბა, რომ გაუმხილა მტერს აჯანყების ვადა, დანიშნული ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ.

წინაპარლამენტში ბოლშევიკების მონაწილეობის წინააღმდეგ დემოკრატიული თათბირის ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაზე გადაჭრით გაილაშქრა ი. ბ. სტალინმა, რომელმაც წინაპარლამენტს «კორნილოველობის უდღეური ქმნილება» უწოდა. ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ბოიკოტი გამოუცხადონ წინაპარლამენტს. ლენინი და სტალინი სერიოზულ შეცდომად თვლიდნენ ბოლშევიკების ხანმოკლე მონაწილეობასაც კი წინაპარლამენტში. ლენინისა და სტალინის წინადადებით აჯანყება დაიწყო საბჭოების II ყრილობის გახსნამდე. საბჭოების ყრილობამ მხოლოდ გადაიბარა ხელისუფლება პეტროგრადის საბჭოსგან. — **80.**

27 სტატია «შ ე ი ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ე ნ თ უ ა რ ა ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ს?» პირველად დაიბეჭდა ჟურნალ «პროსვეშჩენიეს» 1 — 2 ნომერში 1917 წლის ოქტომბერში.

«პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე» — ბოლშევიკური თეორიული ჟურნალი; ლეგალურად გამოდიოდა პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან 1914 წლის ივნისამდე. ჟურნალის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი. პირველი მსოფლიო ომის წინადღეებში ჟურნალი დახურა მთავრობამ. 1917 წლის შემოდგომაზე «პროსვეშჩენიეს» გამოცემა განახლდა, მაგრამ გამოვიდა ჟურნალის მხოლოდ ერთი (ორმაგი) ნომერი. ამით მისი გამოცემა შეწყდა. — **85.**

28 «ნ ო ვ ა ი ა ჟ ი ზ ნ» — მენშევიკური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი, სოციალ-დემოკრატების ჯგუფის, ეგრეთწოდებული «ინტერნაციონალისტების» ორგანო, რომელიც აერთიანებდა მენშევიკებს, მარტოვის მომხრეებს, და ნახევრადმენშევიკური ყაიდის ცალკეულ ინტელიგენტებს. გაზეთი «ნოვაია ჟიზნ» გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის აპრილიდან; ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მტრული პოზიცია დაიკავა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და დახურეს 1918 წლის ივლისში. — **88.**

29 «ზ ნ ა მ ი ა ტ რ უ დ ა» — მემარცხენე ესერების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა 1917 წლის 23 აგვისტოდან (5 სექტემბრიდან) როგორც ესერების პარტიის პეტროგრადის კომიტეტის ორგანო; მემარცხენე ესერების სრულიად რუსეთის I ყრილობის შემდეგ მათი ცენტრალური ორგანო გახდა; დახურეს 1918 წლის ივლისში მემარცხენე ესერების აჯანყების დროს. — **98.**

30 «ვ ო ლ ი ა ნ ა რ ო დ ა» — ყოველდღიური გაზეთი, ესერების პარტიის მემარჯვენე ფრთის ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წელს; დახურეს 1917 წლის ნოემბერში; შემდეგ გამოდიოდა სხვა სახელწოდებებითაც; საბოლოოდ დახურეს 1918 წლის თებერვალში. — **102.**

31 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 263. — **126.**

32 ტექსტში ლენინის მიერ მოყვანილი თარიღები ნიშნავს შემდეგს: 28 თებერვალი (13 მარტი) — თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თარიღი; 17 (30) სექტემბერი — დამფუძნებელი კრების არჩევნების დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული თავდაპირველი ვადა; 29 ნოემბრის (12 დეკემბრის) თარიღით ლენინი აღნიშნავს დამფუძნებელი კრების მოწვევის ნავარაუდევ თარიღს, დამფუძნებელი კრების მოწვევა დროებითმა მთავრობამ დანიშნა 1917 წლის 28 ნოემბრისთვის (11 დეკემბრისთვის). — **147.**

33 სმოლნის ინსტიტუტის შენობაში 1917 წლის ოქტომბერში მოთავსებული იყო ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტი და პეტროგრადის საბჭოსთან არსებული სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი. სმოლნი გახდა რევოლუციის საბრძოლო შტაბი. სმოლნის სააქტო დარბაზში 1917 წლის 25—27 ოქტომბერს (7—9 ნოემბერს) მიმდინარეობდა საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობა. — **148.**

34 წ ე რ ი ლ ი ც. კ-ს, მ. კ-ს, პ. კ-ს და პ ი ტ ე რ ი ს ა და მ ო ს კ ო ვ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ბ ო ლ შ ე ვ ი კ წ ე ვ რ ე ბ ს განხილულ იქნა პეტროგრადის კომიტეტის სხდომაზე 1917 წლის 5 (18) ოქტომბერს. შეიარაღებული აჯანყების ლენინური ხაზის დასაცავად გამოვიდნენ ვ. მ. მოლოტოვი, მ. ი. კალინინი და სხვები. მოსკოვში ეს წერილი განიხილა პარტიის მოსკოვის კომიტეტმა და პარტიულ ხელმძღვანელ მუშაკთა კრებამ. ლენინის წერილს მთლიანად დაუჭირეს მხარი პეტროგრადისა და მოსკოვის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა. მასში მოცემული დებულებები მიღებულ იქნა სახელმძღვანელოდ. — **152.**

35 ლენინს მხედველობაში აქვს სრულიად რუსეთის გაფიცვა რკინიგზელი მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებიც დროებითი მთავრობისაგან მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას. გაფიცვა დაიწყო 1917 წლის 23 სექტემბერს (6 ოქტომბერს) ღამით და დამთავრდა 1917 წლის 26 ნოემბერს (9 ოქტომბერს) ღამით, მას შემდეგ, როცა დროებითმა მთავრობამ ნაწილობრივ დაკმაყოფილა რკინიგზელთა მოთხოვნები. — **152.**

36 ეს თეზისები დაწერა ლენინმა, არალეგალურ მდგომარეობაში ყოფნის დროს, პარტიის სასწრაფო ყრილობისათვის, რომლის მოწვევაც ნავარაუდევი იყო 1917 წლის 17 (30) ოქტომბრისთვის, და ბოლშევიკების პეტროგრადის III საერთო-საქალაქო კონფერენციისათვის. პარტიის ცენტრალური კომიტეტის 5 (18) ოქტომბრის გადაწყვეტილებით ყრილობა გადაიდო. თეზისები განიხილეს ბოლშევიკების პეტროგრადის III საერთო-საქალაქო კონფერენციაზე.

კონფერენცია გაიხსნა 7 (20) ოქტომბერს და მუშაობა დაამთავრა 11 (24) ოქტომბერს. კონფერენციას დაესწრო პარტიის 49 478 წევრის დელეგატები. კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია მიმდინარე მომენტზე, სადაც მოტივაციის შემდეგ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საჭიროა კერენსკის მთავრობა შეიცვალოს მუშურ-გლეხური რევოლუციური მთავრობით, რადგან მხოლოდ ამ მთავრობას შეუძლია გადასცეს მიწა გლეხებს, იხსნას ჩვენი ქვეყანა ნგრევისა და ომისაგანო. კონფერენციამ დაასახელა დამფუძნებელი კრების კანდიდატები პეტროგრადისგან ლენინისა და სტალინის მეთაურობით. 11 (24) ოქტომბრის სხდომაზე გამოქვეყნდა ლენინის მიერ დაწერილი «წერილი პიტერის საქალაქო კონფერენციას» (იხ. ეს ტომი, გვ. 159 — 163). კონფერენციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადების საქმისათვის. — **155.**

37 ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს რ ა ი ო ნ ი ს ჯ ა რ ი ს კ ა ც თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ს ა ო ლ ქ ო ყ რ ი ლ ო ბ ა, რომელიც მოწვეულ იქნა ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 11—13 (24—26) ოქტომბერს. ყრილობის მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო პეტროგრადის საბჭომ, რომელმაც ყრილობაზე გაგზავნა 30 თავისი წარმომადგენელი. ესერულ-მენშევიკურმა ცაკ-მა ყრილობა გამოაცხადა კერძო თათბირად და გაიწვია თავისი დელეგატები. ყრილობას დაესწრნენ 23-ზე მეტი საბჭოს — პეტროგრადის, მოსკოვის, კრონშტადტის, რეველის, ჰელსინგფორსისა და სხვათა წარმომადგენლები. დაესწრო 94 დელეგატი, მათში 51 ბოლშევიკი. ყრილობის დღის წესრიგი: 1. მოხსენებები ადგილებიდან. 2. მიმდინარე მომენტი. 3. ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა. 4. მიწის საკითხი. 5. საბჭოების სრულიად რუსეთის

ყრილობა. 6. დამფუძნებელი კრება. 7. ორგანიზაციული საკითხი. ყრილობამ აირჩია ჩრდილოეთის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი 17 კაცის შემადგენლობით; მათში 11 ბოლშევიკი. ლენინმა ყრილობას გაუგზავნა «წერილი ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების საოლქო ყრილობის მონაწილე ამხანაგ ბოლშევიკებისადმი» (იხ. ეს ტომი, გვ. 207 — 214). ყრილობის გადაწყვეტილებები მოუწოდებდნენ მასებს შეიარაღებული აჯანყებისაკენ, რომლის მომზადების საქმეში ყრილობამ დიდი საგიტაციო და ორგანიზაციული როლი შეასრულა. — **160.**

38 პეტროგრადის საბჭოს ჯარისკაცთა სექციის რეზოლუცია მიღებულ იქნა 1917 წლის 6 (19) ოქტომბერს ფრონტის ამბებისა და კერენსკის მთავრობის პეტროგრადიდან მოსკოვში გადასვლის მზადების საკითხზე. სექციის პროტესტმა, რომელსაც მხარი დაუჭირეს დედაქალაქის მუშებმა და ჯარისკაცებმა, დროებითი მთავრობა აიძულა პეტროგრადში დარჩენილიყო. — **160.**

39 იგულისხმება რსდმპ(ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენცია, რომელიც მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 24 — 29 აპრილს (7 — 12 მაისს). — **167.**

40 «სპარტაკ» — რსდმპ(ბ) მოსკოვის საოლქო ბიუროს, მოსკოვის კომიტეტისა (№-2 ნომრიდან) და მოსკოვის საოკრუგო კომიტეტის ჟურნალი; გამოდიოდა 1917 წლის 20 მაისიდან (2 ივნისიდან) 29 ოქტომბრამდე (11 ნოემბრამდე). — **167.**

41 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტომი XVI, ნაწ. II, 1936, გვ. 105 — 106. — **178.**

42 ჯგუფი «სპარტაკი», რომელიც მოეწყო პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, აერთიანებდა გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს კ. ლიბკნეხტის, რ. ლუქსემბურგის, კ. ცეტკინისა და ფ. მერინგის მეთაურობით.

«სპარტაკის» ჯგუფის «თეზისები საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ამოცანების შესახებ» დაწერილი იყო რ. ლუქსემბურგის მიერ 1915 წელს. 1916 წლის იანვარში თეზისები მიღებულ იქნა გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების საერთო-გერმანიის კონფერენციაზე და პირველად დაიბეჭდა «სპარტაკის წერილებში» (**«Spartakusbriefe»**) № 14, 1916 წლის 3 თებერვალს. გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების შეცდომათა კრიტიკა მოცემულია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში: «იუნიუსის ბროშურის შესახებ», «მარქსიზმის კარიკატურისა და «იმპერიალისტური ეკონომიზმის» შესახებ» და სხვ.

(იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 22, გვ. 385 — 405 და ტომი 23, გვ. 22 — 90) და ი. ბ. სტალინის წერილში «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ» (იხ. ი. ბ. სტალინი. «ლენინიზმის საკითხები», გამოც. მე-11, გვ. 438 — 452). — **170.**

43 საბჭოების რესპუბლიკისა და დამფუძნებელი კრების დროებითი კომბინაციის შესაძლებლობის საკითხზე იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 6, 1949, გვ. 444 — 450. — **194.**

44 ტ რ ი ბ უ ნ ი ს ტ ე ბ ი — ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მემარცხენე ჯგუფი, რომელიც 1907 წელს სცემდა გაზეთს «ტრიბუნა» («**De Tribune**»). 1909 წელს ტრიბუნისტები გარიცხეს ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან და მათ დააარსეს დამოუკიდებელი პარტია (ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტია). ტრიბუნისტები წარმოადგენდნენ ჰოლანდიის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთას, მაგრამ თანამიმდევარი რევოლუციური პარტია არ იყვნენ.

1918 წელს ტრიბუნისტები მონაწილეობას იღებდნენ ჰოლანდიის კომუნისტური პარტიის შექმნაში. გაზეთი «ტრიბუნა» 1909 წლიდან ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო იყო, ხოლო 1918 წლიდან — კომუნისტური პარტიის ორგანო; ოცდაათიანი წლების დამდეგიდან 1940 წლამდე გამოდიოდა სახელწოდებით «ფოლკსდახბლად» («სახალხო გაზეთი»). — **197.**

45 ამერიკის «ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ რ ო პ ა გ ა ნ დ ი ს ლ ი გ ა» — ინტერნაციონალისტური ორგანიზაცია, რომელიც 1915 წელს შექმნა ამერიკის სოციალისტური პარტიის რევოლუციურმა უმცირესობამ. ლიგის უმრავლესობა შესდგებოდა ამერიკაში ემიგრირებული მუშებისაგან. ემხრობოდა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს. — **197.**

46 «ა მ ე რ ი კ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა» შექმნილ იქნა 1876 წელს I ინტერნაციონალის ამერიკული სექციების, ამერიკის შეერთებული შტატების სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და მთელი რიგი სოციალისტური ჯგუფების შეერთების გზით. პარტიის წევრთა უმრავლესობას შეადგენდნენ ემიგრანტები. ამერიკის სოციალისტური მუშათა პარტია თავისი ხასიათით სექტანტური ორგანიზაცია იყო და პროლეტარულ მასებთან ფართო კავშირურთიერთობა არასოდეს არა ჰქონია. პირველი მსოფლიო ომის წლებში ამერიკის სოციალისტური მუშათა პარტია ინტერნაციონალიზმისაკენ იხრებოდა. — **198.**

47 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. «რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში», 1940, გვ. 99 — 100. — **205.**

48 პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 10 (23) ოქტომბრის ისტორიული სხდომა მიეძღვნა შეიარაღებული აჯანყების დაუყოვნებლივ მომზადების საკითხს. ლენინის მიერ წამოყენებული რეზოლუციის წინააღმდეგ გაილაშქრეს და ხმა მისცეს კაპიტულანტებმა კამენევმა და ზინოვიევმა. ტროცკიმ ამ სხდომაზე ვერ გაბედა აშკარად გამოსვლა შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ. მისი წინადადება იყო არ დაგვეწყო აჯანყება საბჭოების II ყრილობამდე, რაც ნიშნავდა — აჯანყების საქმის გაჭიანურებას, მის ჩაფუშვას, დროებითი მთავრობის გაფრთხილებას აჯანყების შესახებ. ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე წინააღმდეგობა გაუწია კაპიტულანტებს. ლენინის რეზოლუცია, მიღებული ათი ხმით ორის წინააღმდეგ, დირექტივა გახდა მთელი ბოლშევიკური პარტიისთვის. — **215.**

49 ლენინს მხედველობაში აქვს ი. მ. სვერდლოვის ცნობა ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 10 (23) ოქტომბრის სხდომაზე დღის წესრიგის მესამე მუხლის გამო — «მინსკი და ჩრდილოეთის ფრონტი». სვერდლოვმა სხდომას აცნობა მინსკში შეიარაღებული გამოსვლის ტექნიკური შესაძლებლობისა და მინსკიდან მიღებული წინადადების შესახებ — დახმარებას გავუწევთ პეტროგრადს რევოლუციური კორპუსის გაგზავნითო. — **216.**

50 პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 16 (29) ოქტომბრის გაფართოებული სხდომა შესდგა ლესნოვის რაიონულ თვითმმართველობაში, რომლის თავმჯდომარე იყო მ. ი. კალინინი. სხდომაზე აჯანყების წინააღმდეგ გამოვიდნენ ზინოვიევი და კამენევი. ვ. ი. ლენინმა და ი. ბ. სტალინმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს კაპიტულანტების გამცემლური საქციელი.

კრებამ 19 ხმით ორის წინააღმდეგ, 4-მა თავი შეიკავა, მიიღო ლენინის რეზოლუცია. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დახურულ სხდომაზე არჩეულ იქნა აჯანყების ხელმძღვანელი პარტიული ცენტრი ი. ბ. სტალინის მეთაურობით. პარტიული ცენტრი ხელმძღვანელი ბირთვი იყო პეტროგრადის საბჭოსთან არსებული სამხედრო-რევოლუციური კომიტეტისა და პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ აჯანყებას. — **218.**

51 ლენინს მხედველობაში აქვს პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1917 წლის 16 (29) ოქტომბრის გაფართოებული სხდომა. რადგან ლენინი არალეგალურად ცხოვრობდა პეტროგრადში, ის მალავს, რომ მონაწილეობას იღებდა სხდომაში, ცვლის თარიღს 15 (28) ოქტომბრით; კონსპირაციული მოსაზრებებით ლენინი იმოწმებს ამხანაგს, რომელმაც ვითომ ცნობები მიაწოდა სხდომის შესახებ. — **222.**

52 ლაპარაკია გაზეთ «რაბოჩიი პუტის» 34-ე ნომერში 1917 წლის 25 (12) ოქტომბერს მოთავსებულ ცნობაზე. — **225.**

53 «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა» — რეაქციონერ თავადაზნაურთა და მოხელეებიუროკრატთა წრეების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1868 წლიდან; 1905 წლიდან შავრაზმელთა ერთ-ერთი ორგანო გახდა. ლენინი მას სინდისგარეცხილი გაზეთების ნიმუშს უწოდებდა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ «ნოვოე ვრემია» სავსებით უჭერდა მხარს ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და გააფთრებით დევნიდა ბოლშევიკებს. დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს). — **242.**

54 «წ ე რ ი ლ ი ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს პ ა რ ტ ი ი ს წ ე ვ რ ე ბ ი ს ა დ მ ი» და აგრეთვე «წ ე რ ი ლ ი რ ს დ მ პ ც ე ნ ტ რ ა ლ ურ კ ო მ ი ტ ე ტ ს» (იხ. ეს ტომი, გვ. 255 — 260) განიხილა ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომამ 1917 წლის 20 ოქტომბერს (2 ნოემბერს). პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო შტრეიკბრეხერების — კამენევისა და ზინოვიევის საქციელი. მათ აეკრძალათ რაიმე განცხადებებით გამოსვლა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და მუშაობის დასახული ხაზის წინააღმდეგ. კამენევი გამოყვანილ იქნა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან. — **247.**

55 ც ი მ ე რ ვ ა ლ დ ი ს III კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა მიმდინარეობდა სტოკჰოლმში 1917 წლის 5 — 12 სექტემბერს (ახ. სტ.).

აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებით ბოლშევიკებმა მონაწილეობა მიიღეს მასში. ლენინი არ ეთანხმებოდა ამ გადაწყვეტილებას და შესაძლებლად თვლიდა ბოლშევიკების მონაწილეობას ამ კონფერენციაში მხოლოდ ინფორმაციის მიზნით, რის შესახებაც წერდა ჯერ კიდევ ბროშურაში «პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლუციაში» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 24, გვ. 79). ამ ბროშურის ბოლოსიტყვაობაში, რომელიც დაწერილია 1917 წლის მაისში, ლენინი აღნიშნავდა კონფერენციის ამ გადაწყვეტილების მცდარობას (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 24, გვ. 88 — 90). ლენინს მოჰყავს კონფერენციის თარიღად 20 — 27 აგვისტო (ახ. სტ.), რაც შეცდომით არის ნაჩვენები მენშევიკურ გაზეთ «ისკრაში». — **252.**

56 «ი ს კ რ ა» — მენშევიკ «ინტერნაციონალისტების» გაზეთი; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის 26 სექტემბრიდან (9 ოქტომბრიდან) 4 (17) დეკემბრამდე. — **252.**

57 გაზეთი **«Politiken»** («პოლიტიკა») გამოდიოდა სტოკჰოლმში 1916 წლიდან.

გაზეთი «Työmies» («მუშა») გამოდიოდა ჰელსინგფორსში 1895 წლის მარტიდან 1918 წლამდე. — 252.

58 ლენინს მხედველობაში აქვს მიწის «რეფორმები», რომლებსაც ახორციელებდა ინგლისის ბურჟუაზია ირლანდიაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და XX საუკუნის დამდეგს აგრარული მოძრაობის გავლენით. ირლანდიის «რეფორმების» შესახებ იხ. ლენინის სტატია «ინგლისელი ლიბერალები და ირლანდია» (თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 20, გვ. 171 — 175). — 267.

59 პეტროგრადის საბჭოსთან სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი შეიქმნა 1917 წლის 12 (25) ოქტომბერს ბოლშევიკების პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით. სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელი ბირთვი იყო პარტიული ცენტრი ი. ბ. სტალინის მეთაურობით. საბჭოების II ყრილობაზე საბჭოთა მთავრობის შექმნის შემდეგ სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც სახკომსაბჭოს დავალებებს ასრულებდა, მთავარ ამოცანად დაისახა კონტრრევოლუციასთან ბრძოლა და რევოლუციური წესრიგის დაცვა. საბჭოთა აპარატის შექმნისა და განშტიკების მიხედვით, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი თანდათან კვეცავდა თავის ფუნქციებს და გადასცემდა მათ შექმნილ სახკომებს 1917 წლის 5 (18) დეკემბერს სრკ გაუქმდა. — 270.

60 «რუსეთის მოქალაქეებისადმი!» — მოწოდება, რომლითაც 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) დილის 10 საათზე მიმართა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა. იმავე დილას ეს ისტორიული დოკუმენტი დაიბეჭდა გაზეთში «რაბოჩიი ი სოლდატ» და გამოსაქვეყნებლად გადაეცა სხვა გაზეთებს.

«რაბოჩიი ი სოლდატ» — ყოველდღიური საღამოს გაზეთი, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ორგანო; გაზეთი გამოდიოდა 1917 წლის 17 (30) ოქტომბრიდან 1918 წლის თებერვლამდე. — 275.

61 პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა გაიხსნა 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) დღის 2 საათსა და 35 წუთზე. სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა პეტროგრადის საბჭოს მოახსენა რევოლუციის გამარჯვების შესახებ. საბჭოს სხდომაზე, ლენინის გამოსვლის შემდეგ, ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა ლენინის მიერ დაწერილი რეზოლუცია (იხ. ეს ტომი, გვ. 278 — 279). — 276.

62 მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობა გაიხსნა 1917

წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) საღამოს 10 საათსა და 45 წუთზე სმოლნში. ყრილობის 649 დელეგატიდან 390 კაცი ბოლშევიკი იყო. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო პროვინციის 31B საბჭო. 241 საბჭოს დელეგატები ყრილობაზე ჩამოვიდნენ ბოლშევიკური განაწესებით. მენშევიკებმა, მემარჯვენე ესერებმა და ბუნდელებმა ყრილობა დატოვეს მისი გახსნის შემდეგ, რადგან არ ცნეს სოციალისტური რევოლუცია. საბჭოების ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი მოწოდება «მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს!» (იხ. ეს ტომი, გვ. 285—286). ყრილობაზე ძირითადი საკითხები იყო: საბჭოთა მთავრობის შედგენა და ზავისა და მიწის დეკრეტების მიღება. მოხსენებებით ზავისა და მიწის საკითხებზე გამოვიდა ლენინი.

საბჭოების II ყრილობამ გამოაცხადა საბჭოების ხელში ძალაუფლების გადასვლის შესახებ, მიიღო დეკრეტები ზავის, მიწის შესახებ და შეადგინა პირველი საბჭოთა მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო. სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვ. ი. ლენინი, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად — ი. ბ. სტალინი.

ყრილობამ აირჩია სრულიად რუსეთის ცაკ-ი 101 კაცის შემადგენლობით, რომელშიც შევიდნენ: 62 ბოლშევიკი, 29 მემარცხენე ესერი და სხვები. ყრილობა დაიხურა 1917 წლის 27 ოქტომბერს (9 ნოემბერს) დილის 5 საათსა და 15 წუთზე. — **281.**

63 საუფლისწულო და საკაბინეტო მიწები — ის მიწები, რომლებიც ეკუთვნოდა მეფის საგვარეულო პირებს. საპოსესიო მიწები — ის მიწები, რომლებსაც სახელმწიფო გამოუყოფდა ხოლმე ფაბრიკებისა და ქარხნების მფლობელებს იმ გლეხებისთვის მისაცემად, რომლებიც ამ ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობდნენ მხოლოდ მიწის ნადელების გულისთვის. სამაიორატო მიწები — მემამულეთა ნაკრძალი მსხვილი მამულები, რომლებიც გაუყოფლად გადადიოდა გვარიდან გვარში მემკვიდრეობის წესით უფროს შვილზე ან უფროსზე გვარში. — **300.**

64 პეტროგრადის გარნიზონის პოლკების წარმომადგენელთა 1917 წლის 29 ოქტომბრის (11 ნოემბრის) თათბირი, მოწვეული სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიერ, მიეძღვნა კონტრრევოლუციური ძალებისაგან პეტროგრადის თავდაცვის საკითხს. თათბირს დაესწრო 40 კაცი. თათბირმა მოისმინა სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ლენინის მოხსენება მიმდინარე მომენტზე და განიხილა საკითხები: 1. შტაბის შექმნა. 2. ნაწილების შეიარაღება. 3. წესრიგის დამყარება ქალაქში. ამ საკითხებზე თათბირზე გამოვიდა ლენინი. თათბირმა აირჩია საკონტროლო კომისია გარნიზონის ნაწილების წარმომადგენელთა შემადგენლობიდან შტაბის

მუშაობის შესამოწმებლად და ერთხმად მიიღო მოწოდება პეტროგრადის ჯარისკაცებისადმი ებრძოლნათ რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. — **310**.

65 მ უ შ ა თ ა კ ო ნ ტ რ ო ლ ი ს დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს პ რ ო ე ქ ტ ი საფუძვლად დაედო დეკრეტის პროექტს, რომელიც შეიმუშავა შრომის სახალხო კომისარიატმა და დამატებებითა და დაზუსტებული სახით გამოქვეყნდა «პრავდის» 178-ე ნომერში 1917 წლის 16 (3) ნოემბერს. 1917 წლის 14 (27) ნოემბერს მუშათა კონტროლის დეკრეტის პროექტი განიხილა სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომამ და მიიღო უმნიშვნელო შესწორებებით. 15 (28) ნოემბერს პროექტი განიხილა სახკომსაბჭოს სხდომამ. გამოქვეყნდა ცაკ-ის «იზვესტიის» 227-ე ნომერში 1917 წლის 16 ნოემბერს სახელწოდებით «მუშათა კონტროლის დებულება». — **318**.

66 ვ ი კ ჟ ე ლ — რკინიგზელთა პროფესიული კავშირის სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი; არჩეული იყო რკინიგზელთა სრულიად რუსეთის I დამფუძნებელ ყრილობაზე მოსკოვში 1917 წლის აგვისტოში. ვიკჟელის 41 წევრიდან ესერი იყო 14, მენშევიკი — 6, სახალხო სოციალისტი — 3 და უპარტიო — 11. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ვიკჟელი ანტისაბჭოთა საქმიანობის ერთ-ერთი ცენტრი გახდა. 1917 წლის 29 ოქტომბერს (11 ნოემბერს) ვიკჟელმა მიიღო რეზოლუცია — საჭირო მთავრობის შედგენაში ყველა «სოციალისტურმა» პარტიამ მიიღოს მონაწილეობა. მოლაპარაკება ამ საკითხზე ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ვიკჟელს შორის დაიწყო იმავე დღეს. ლენინისა და ც. კ-ის დირექტივის მიხედვით მოლაპარაკება «სამხედრო მოქმედების დიპლომატიური საფარი» უნდა ყოფილიყო. გამცემლები კამენევი და სოკოლნიკოვი მოღალატურად იქცეოდნენ ვიკჟელთან მოლაპარაკებაში; ისინი ეთანხმებოდნენ ვიკჟელის მოთხოვნას «სოციალისტური» მთავრობის შექმნის შესახებ, რომელშიც ბოლშევიკებთან ერთად უნდა შესულიყვნენ ესერებისა და მენშევიკების კონტრრევოლუციური პარტიების წარმომადგენლები. კამენევისა და სოკოლნიკოვის გამცემლურ პოლიტიკას მხარს უჭერდნენ ნოგინი, მილიუტინი და რიკოვი. ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 2 (15) ნოემბერს მიიღო ლენინის რეზოლუცია, სადაც უარყოფილი იყო შეთანხმება ამ კონტრრევოლუციურ პარტიებთან, ხოლო კამენევი და ზინოვიევი გამოცხადებული იყვნენ რევოლუციის შტრეიკბრეხერებად. რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცეს: კამენევმა, ზინოვიევმა, რიკოვმა, ნოგინმა და მილიუტინმა. — **320**.

67 ხელნაწერს სათაური არა აქვს. დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა — **328**.

68 პრესის თავისუფლების საკითხი განიხილა სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომამ პრესის შესახებ სახკომსაბჭოს 1917 წლის 27 ოქტომბრის (9 ნოემბრის) დეკრეტის წინააღმდეგ მემარცხენე ესერების გამოსვლასთან და სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის დადგენილებით მთელი რიგი ბურჟუაზიული გაზეთების დახურვასთან დაკავშირებით. 1917 წლის 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) კონტრრევოლუციური საქმიანობისთვის დახურეს გაზეთები «რეჩ», «დენ» და სხვები. სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1917 წლის 4 (17) ნოემბრის სხდომაზე გამოქვეყნდა ბოლშევიკური ფრაქციის რეზოლუცია, სადაც მოწონებული იყო საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა პრესის სფეროში; რეზოლუცია მიღებულ იქნა ხმის უმრავლესობით. — 330.

69 მემარცხენე ესერების ფრაქციის შეკითხვა წარედგინა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ი. ლენინს სახკომსაბჭოს მიერ სრულიად რუსეთის ცაკ-ის სანქციის გარეშე მთელი რიგი დეკრეტების გამოცემის გამო. ამ საკითხზე რეზოლუციის კენჭისყრის წინ მემარცხენე ესერებმა განაცხადეს, სახალხო კომისრები, როგორც დაინტერესებული პირნი, მონაწილეობას არ უნდა იღებდნენ კენჭის ყრაშიო (ლენინის პასუხი ამ განცხადებაზე იხ. ამ ტომში, გვ. 336). ლენინის გამოსვლის შემდეგ სრულიად რუსეთის ცაკ-მა ხმების უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს სახკომსაბჭოს მუშაობას. — 333.

70 იგულისხმება პეტროგრადის თავდაცვის ჯარების მთავარსარდლის ბრძანება № 1, რომელშიც წითელი გვარდიის ჯარისკაცებსა და მატროსებს მოუწოდებდნენ საკუთარი ძალებით ულმობელად და დაუყოვნებლივ გასწორებოდნენ დანაშაულებრივ ელემენტებს. რადგან ბრძანების არაზუსტ რედაქციას შეეძლო არასასურველი გაუგებრობა გამოეწვია, სრულიად რუსეთის ცაკ-მა 1917 წლის 2 (15) ნოემბრის სხდომაზე წინადადება მისცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გაეუქმებინა ეს ბრძანება. — 335.

71 სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1917 წლის 4 (17) ნოემბრის სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ლენინმა გააკრიტიკა პოზიცია მემარცხენე ესერის ზაკსისა, რომელმაც თავის გამოსვლაში დაიცვა კაპიტულანტები ნოგინი, რიკოვი და მილიუტინი, რომლებმაც განაცხადეს მთავრობის შემადგენლობიდან გავდივართო. ამ კაპიტულანტების დეზერტირული საქციელი დაგმო ბოლშევიკების პარტიის ც. კ-მა (იხ. ეს ტომი, გვ. 351 — 357). — 337.

72 «პასუხი გლეხების შეკითხვებზე» დაწერილია ლენინის მიერ იმასთან დაკავშირებით, რომ გლეხთა უმრავლესი წარმომადგენელი

მიმართავდა სახკომსაბჭოს. საწერ მანქანაზე დაბეჭდილი «პასუხი» ლენინის საკუთარი ხელმოწერით პირდაპირ ეძლეოდათ ადგილებიდან ჩამოსულ წარმომადგენლებს. — **344.**

73 «ხ ს ნ ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი» — «საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი», კონტრრევოლუციის გაერთიანებული ორგანო; შეიქმნა მოსკოვის ქალაქის თვითმმართველობასთან 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს). 1917 წლის 2 (15) ნოემბერს «საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი» დანებდა სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს.—**346.**

74 გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ს ა გ ა ნ გ ე ბ ო ყ რ ი ლ ო ბ ა მოწვეული იყო სრულიად რუსეთის II მოწვევის ცაკ-ის დადგენილებით. ყრილობა მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 10 — 25 ნოემბერს (23 ნოემბერს — 8 დეკემბერს). ყრილობის შემადგენლობა: 110 მემარცხენე ესერი, 40 ბოლშევიკი, 15 ბოლშევიკების თანამგრძნობი (უკრაინელები), 50 მემარჯვენე და ცენტრის ესერი და 40 უპარტიო. გლეხთა დეპუტატების საბჭოების ძველმა მემარჯვენე ესერულმა, აღმასრულებელმა კომიტეტმა ყრილობის გახსნის წინდღით სცადა მისი ჩაშლა, მაგრამ ამ ცდამ ამაოდ ჩაიარა.

მიუხედავად მემარჯვენე ესერული აღმასრულებელი კომიტეტის მისწრაფებისა გაეთიშა ყრილობა და მემარცხენე ესერების მერყეობისა, გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობა ძალაუფლების საკითხში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის პოზიციაზე დადგა. ყრილობის მიერ არჩეული დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი შეუერთდა სრულიად რუსეთის ცაკ-ს; 15 (28) ნოემბერს შესდგა სრულიად რუსეთის ცაკ-ის, გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობისა და პეტროგრადის საბჭოს პირველი გაერთიანებული სხდომა; სხდომამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებდა ზავის, მიწისა და მუშათა კონტროლის დეკრეტებს. ხალხებისადმი მიმართვის შემმუშავებელ კომისიაში აირჩიეს ი. ბ. სტალინი; მიმართვა მოუწოდებდა ხალხებს მოეთხოვათ ზავი. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 1917 წლის 25 ნოემბრისთვის (8 დეკემბრისთვის) მოეწვიათ გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის II ყრილობა. — **373.**

75 გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ს ა გ ა ნ გ ე ბ ო ყ რ ი ლ ო ბ ი ს ბ ო ლ შ ე ვ ი კ ე ბ ი ს ფ რ ა ქ ც ი ა ს დაწერილია იმასთან დაკავშირებით, რომ ყრილობის მემარცხენე ესერულმა უმრავლესობამ სიტყვა არ მისცა ლენინს, როგორც სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს; ყრილობის

პარალელურად მემარცხენე ესერები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ბოლშევიკების ცკ-თან რამდენი ადგილი მისცემოდათ მემარცხენე ესერებს სრულიად რუსეთის მომავალ ცაკ-ში. ყრილობის მემარცხენე-ესერული უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტამდე ლენინისთვის სიტყვის მიცემა ყრილობაზე ეს იქნებოდა «ხელისუფლების შექმნის საკითხის წინასწარ გადაწყვეტა». როდესაც ბოლშევიკების ფრაქციამ მიიღო ლენინის განცხადება, მან ყრილობაზე კატეგორიულად დააყენა საკითხი მთავრობის წარმომადგენლის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ. ბოლშევიკების მოთხოვნა ყრილობამ უარყო და მიიღო გადაწყვეტილება მოუსმინოს ლენინს არა როგორც სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს, არამედ პერსონალურად. ლენინი ყრილობაზე გამოვიდა სამჯერ: აგრარულ საკითხზე, ვიკჟელის წარმომადგენლის განცხადების გამო და საბოლოო სიტყვით აგრარულ საკითხზე. ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ დაწერილი პროექტი რეზოლუციისა (იხ. ეს ტომი, გვ. 379).

ხელნაწერს სათაური არა აქვს. დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **375.**

76 ინსტრუქციები ვოლოსტის საადგილმამულო კომიტეტების მუშაობის შესახებ დამტკიცა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის I ყრილობამ 1917 წლის 23 ივნისს (6 ივლისს), მაგრამ კანონის ძალა მათ მოიპოვეს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. — **377.**

77 ლენინის წინადადებანი გადაეცა პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკას.

ხელნაწერს სათაური არა აქვს. დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **387.**

78 პროექტი დეკრეტისა დამფუძნებელი კრების დეპუტატთა ვაწვევის უფლების შესახებ ბოლშევიკურმა ფრაქციამ შეიტანა სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე 1917 წლის 21 ნოემბერს (4 დეკემბერს) და მიღებულ იქნა ხმის უმრავლესობით ორის წინააღმდეგ, ერთმა თავი შეიკავა. იმავე სხდომაზე, მას შემდეგ რაც დეკრეტს რედაქცია გაუკეთეს და შეავსეს შემათანხმებელ კომისიაში ი. მ. სვერდლოვის ხელმძღვანელობით, ის მიღებულ იქნა ერთხმად. პროექტი გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდის» 198-ე ნომერში 1917 წლის 7 დეკემბერს (24 ნოემბერს) სახელწოდებით «პროექტი დეკრეტისა ხელახალი არჩევნების შესახებ». — **393.**

79 სამხედრო ფლოტის სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა მიმდინარეობდა 1917 წლის 18 — 25 ნოემბერს (1 — 8 დეკემბერს). ყრილობის დღის წესრიგში იდგა საკითხები: მიმდინარე მომენტისა და ძალაუფლების შესახებ; ცენტროფლოტის მუშაობის

შესახებ; საზღვაო უწყების რეფორმის შესახებ და სხვა. ყრილობაზე ლენინმა წარმოთქვა სიტყვა მიმდინარე მომენტზე. ყრილობამ დაამტკიცა საზღვაო უწყების მართვა-გამგეობის მოწყობის სქემა, აირჩია 20 კაცი მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სრულიად რუსეთის ცაკ-ის შემადგენლობაში, სადაც მათ შექმნეს საზღვაო სექცია. ყოფილი საადმირალოს საბჭოს ყველა ფუნქცია გადაეცა ამ სექციას. ყრილობამ მისალმება გაუგზავნა სახალხო კომისართა საბჭოს და მოწოდებით მიმართა მთელ რუსეთს. — **398.**

80 «ზ ა ვ ზ ე მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ი ს პ რ ო გ რ ა მ ი ს კ ო ნ ს პ ე ქ ტ ი» დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ ი. ბ. სტალინთან ერთად როგორც ინსტრუქცია საბჭოთა დელეგაციისთვის ბრესტში გერმანიასთან მოსალაპარაკებლად დროებითი ზავისა და ზავის შესახებ. — **408.**

81 «დ ე კ რ ე ტ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ ი ს ბ ე ლ ა დ თ ა დ ა პ ა ტ ი მ რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» შეიტანა ლენინმა და დაამტკიცა სახკომსაბჭომ 1917 წლის 28 ნოემბერს (11 დეკემბერს). — **410.**

82 გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს მ ე ო რ ე ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა პეტროგრადში 1917 წლის 26 ნოემბერს—10 დეკემბერს (9—23 დეკემბერს). მემარჯვენე-ესერულმა ცაკ-მა, რომლის თაოსნობითაც მოწვეული იყო ყრილობა, მიიღო ზომები, რომ დელეგატთა შორის მომხვდარიყო რაც შეიძლება მეტი მისი მომხრე. ყრილობას დაესწრო 790 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, მათ რიცხვში: 305 მემარჯვენე ესერი, 350 მემარცხენე ესერი, 91 ბოლშევიკი. ყრილობა დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ბოლშევიკებსა, რომლებსაც მხარს უჭერდნენ მემარცხენე ესერები, და მემარჯვენე ესერებს შორის დამფუძნებელი კრების საკითხის გარშემო. მუშაობის მსვლელობაში წარმოშობილმა უთანხმოებამ გამოიწვია ყრილობის გათიშვა. მემარჯვენე ესერებმა დატოვეს ყრილობა და ცალკე გამართეს სხდომები. ბოლშევიკებმა მემარცხენე ესერებთან ერთად განაგრძეს გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის მუშაობა. ყრილობამ მიიღო მოწოდება გლეხობისადმი, რომლის პროექტი დაწერილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ (იხ. ეს ტომი, გვ. 427 — 434). — **416.**

83 ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი რ ა დ ა — ბურჟუაზიული ნაციონალისტური ორგანიზაცია, შეიქმნა კიევში 1917 წლის აპრილში უკრაინის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და ჯგუფების კონგრესზე. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების

შემდეგ რადამ თავი გამოაცხადა «უკრაინის სახალხო რეს-პუბლიკის» უმაღლეს ორგანოდ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღ-მდეგ აშკარა ბრძოლის გზას დაადგა.

საბჭოებისადმი ცენტრალური რადის აშკარად მტრული დამოკიდებუ-ლების გამო, სახკომსაბჭომ 1917 წლის 3 (16) დეკემბერს დაადგინა მიმართოს ულტიმატუმით უკრაინის რადას და იმავე დროს მანიფეს-ტით უკრაინელ ხალხს. დოკუმენტების შედგენა დაევალა კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ლენინი და სტალინი. კომისიაში დოკუმენტების შემუშავების დროს ულტიმატუმი ცენტრალური რა-დისადმი და მანიფესტი უკრაინელი ხალხისადმი გაერთიანეს ერთ დო-კუმენტად სახელწოდებით «მანიფესტი უკრაინელი ხალხისადმი ულტიმატური მოთხოვნებით უკრაინის რადისადმი».

1918 წლის იანვარს ბოლშევიკების მოწოდებით კიევში იფეთქა მუშების აჯანყებამ კონტრრევოლუციური რადის წინააღმდეგ. კიევში შევიდა საბჭოთა ჯარები და რადა განდევნეს კიევიდან. უკრაინის რადის შესახებ იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 4, 1948, გვ. 6 — 15, 16 — 19, 20 — 23. — **420.**

84 1917 წლის 11 (24) დეკემბერს ბოლშევიკების პარტიის ცენტრალუ-რი კომიტეტი იხილავდა დამფუძნებელი კრების ბოლშევიკური ფრაქ-ციის საკითხს. რევოლუციის გამცემლები და შტრეიკბრეხერები — კამენევი, ზინოვიევი და რიკოვი ცდილობდნენ გამოეყენებინათ და-მფუძნებელი კრების ფრაქცია, რომლის ბიუროში მათ მოიკალათეს, ც. კ-ის წინააღმდეგ საბრძოლველად. ლენინის წინადადებით ც. კ-მა გადააყენა დამფუძნებელი კრების ფრაქციის ბიურო. — **438.**

85 ხელნაწერს სათაური არა აქვს. დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **439.**

86 რ კ ი ნ ი გ ზ ე ლ მ უ შ ა თ ა დ ა ხ ე ლ ო ს ა ნ თ ა ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ს ა გ ა ნ გ ე ბ ო ყ რ ი ლ ო ბ ა გაიხსნა 1917 წლის 12 (25) დეკემბერს. ყრილობას დაესწრო 276 წარმომადგენელი. ყრილობამ მოისმინა მოხსენება მიმდინარე მომენტზე, ვიკჟელის წარმომადგენლის გამოსვლა, მოხსენება პეტროგრადის სასურსათო მდგომარეობის შესახებ, მოხსენება პროფესიულ მშენებლობაზე.

ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ლენინი. ყრი-ლობა მთლიანად დადგა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბ-ჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის პლატფორმაზე, მიიღო რეზოლუცია ვიკჟელისთვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ და გამოჰყო 78 წარმომადგენელი რკინიგზელთა საერთო ყრილობაზე და-სასწრებლად, რომლის მოწვევა დანიშნული იყო 1918 წლის 5 (18) იანვრისთვის. — **446.**

87 ბანკების ნაციონალიზაციის დეკრეტი სრულიად რუსეთის ცაკ-მა დაამტკიცა ბანკების ფოლადის სეიფების რევიზიის დეკრეტთან ერთად 1917 წლის 14 (27) დეკემბერს და გამოქვეყნდა ცაკ-ის «იზვესტიის» 252-ე ნომერში 1917 წლის 15 დეკემბერს. — **448.**

88 სტატია «პ უ რ ი ს ა დ ა ზ ა ვ ი ს ა თ ვ ი ს» პირველად გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე **«Jugend-Internationale»**-ში («ახალგაზრდობის ინტერნაციონალი») 1918 წლის მაისის მე-11 ნომერში.

«Jugend-Internationale» («ახალგაზრდობის ინტერნაციონალი») — ახალგაზრდობის სოციალისტური ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის ორგანო, ემხრობოდა ციმერვალდის მემარცხენე ჯგუფს; გამოდიოდა ციურიხს 1915 წლის სექტემბრიდან 1918 წლის მაისამდე.—**452.**

89 პ რ ო ე ქ ტ ი დ ე კ რ ე ტ ი ს ა ბ ა ნ კ ე ბ ი ს ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ი ს გ ა ნ ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ ი ს დ ა ა მ ა ს თ ა ნ დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ს ა ჭ ი რ ო ზ ო მ ე ბ ი ს მ ი ღ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ ლენინმა დასამტკიცებლად წარუდგინა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს 1917 წლის შუა დეკემბერს. პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ «ნაროდნოე ხოზიაისტვო»-ს 1918 წლის ნოემბრის მე-11 ნომერში. პროექტის უკანასკნელი აბზაცი იბეჭდება პირველად, ხელნაწერის მიხედვით.

«ნ ა რ ო დ ნ ო ე ხ ო ზ ი ა ი ს ტ ვ ო» — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ორგანო; გამოდიოდა 1918 წლის მარტიდან 1922 წლის დეკემბრამდე. — **454.**

90 ა რ მ ი ი ს დ ე მ ო ბ ი ლ ი ზ ა ც ი ი ს გ ა მ ო მ ო წ ვ ე უ ლ ი ს ა ე რ თ ო-ს ა ა რ მ ი ო ყ რ ი ლ ო ბ ა გაიხსნა პეტროგრადში 1917 წლის 15 (28) დეკემბერს და დამთავრდა 1918 წლის 3 (16) იანვარს. ყრილობას დაესწრო 272 დელეგატი, მათგან 230 გადამწყვეტი ხმის უფლებით. ყრილობამ მოისმინა შემდეგი მოხსენებები: 1) მიმდინარე მომენტისა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, 2) ჯარის მომავალი მდგომარეობის შესახებ, 3) ჯარის დემობილიზაციის შესახებ. ლენინმა ყრილობას გამოუგზავნა მისალმების წერილი, რომელიც წაკითხულ იქნა უკანასკნელ სხდომაზე (იხ. ეს ტომი, გვ. 499). ლენინის წერილი პირველად დაიბეჭდა გაზეთში «არმია ი ფლოტ რაბოჩეი ი კრესტიანსკოი როსიი» № 4, 1918 წლის 6 (19) იანვარს.

«ა რ მ ი ა ი ფ ლ ო ტ რ ა ბ ო ჩ ე ი ი კ რ ე ს ტ ი ა ნ ს კ ო ი რ ო ს ი ი» — გაზეთი, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისართა ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში 1917 წლის 21 ნოემბრიდან (4 დეკემბრიდან) 1918 წლის 30 აპრილამდე. 18 (31) იანვრიდან გაზეთი

გამოდიოდა სახელწოდებით «რაბოჩაია ი კრესტიანსკაია კრასნაია არმია ი ფლოტ». — **458.**

91 სახალხო კომისართა საბჭოს რეზოლუციის პროექტი მიღებულია 1917 წლის 18 (31) დეკემბერს ფრონტზე არსებული ვითარებისა და ჯარის მდგომარეობის შესახებ მოსმენილი მოხსენების განხილვასთან დაკავშირებით. მოხსენებას ფრონტზე არსებული ვითარებისა და ჯარის მდგომარეობის შესახებ საფუძვლად დაედო იმ ანკეტის მასალები, რომელიც შეიმუშავა ლენინმა და დაურიგდა ჯარის წარმომადგენლებს არმიის დემობილიზაციის გამო მოწვეულ საერთო-საარმიო ყრილობაზე (იხ. ეს ტომი, გვ. 458 — 459). — **460.**

92 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1947, გვ. 262 — 264. — **465.**

93 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVI, 1935, გვ. 389. — **480.**

94 პროექტი დეკრეტისა სამომხმარებლო კომუნების შესახებ დაწერილია ლენინის მიერ 1917 წლის 25 — 28 დეკემბერს (1918 წლის 7—10 იანვარს). ამ პროექტის შედგენის დროს ლენინმა, როგორც მას აღნიშნული აქვს «წინასწარ თეზისებში», გამოიყენა შემდეგი დოკუმენტები: სასურსათო სახალხო კომისარიატის 1917 წლის 22 დეკემბრის (1918 წლის 4 იანვრის) დირექტივა ადგილობრივ საბჭოებს სასურსათო აპარატის მოწყობის შესახებ, სასურსათო სახალხო კომისარიატის პროექტი «მომარაგების კომისარიატის» შესახებ, აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პროექტი «სახალხო მეურნეობის რაიონული საბჭოების შესახებ». — **484.**

95 სოციალისტური არმიის პირველი ეშელონების გაცილება მოხდა მიხეილის მანეჟში, პეტროგრადში. სმოლნში დაბრუნებისას თავს დაესხნენ ლენინს. ტყვიამ გახვრიტა მანქანის მინა და თავზე გადაუარა ლენინს. — **489.**

96 ლაპარაკი პირდაპირი მავთულით რუსეთის დელეგაციასთან ბრესტში შეეხება იმ დროს, როცა საზავო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გერმანიასთან. მოლაპარაკება ზავზე დაიწყო 1917 წლის 3 (16) დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში; 5 (18) დეკემბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას დროებითი ზავის შესახებ.

ყველა კონტრრევოლუციონერი, დაწყებული მენშევიკებით და ესერებით და გათავებული თეთრგვარდიელებით, ბრძოლას ეწეოდა ზავზე ხელისმოწერის წინააღმდეგ. ამ შავბნელ საქმეში მათი მოკავშირეები

იყენენ ტროცკი და მისი დამქაში ბუხარინი, რომელიც რადეკთან და პიატაკოვთან ერთად მეთაურობდა პარტიისადმი მტრულად განწყობილ ჯგუფს, რომელიც შესანიღბავად თავს უწოდებდა «მემარცხენე კომუნისტების» ჯგუფს. ტროცკიმ, რომელიც საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე იყო ბრესტში, განაცხადა — საბჭოთა რესპუბლიკა ხელს არ აწერს ზავს გერმანიის მიერ წაწოყენებულ პირობებზეო და იმავე დროს გერმანელებს აცნობა, საბჭოთა რესპუბლიკა ომს აღარ აწარმოებს და განაგრძობს ჯარის დემობილიზაციასო.

მიუხედავად ლენინისა და სტალინის მითითებებისა ცენტრალური კომიტეტის სახელით ხელი მოეწერათ ზავზე, ტროცკიმ დაარღვია პარტიის პირდაპირი დირექტივები და განახორციელა თავისი მუხანათური განზრახვა. 1918 წლის 28 ივნვარს (10 თებერვალს) საზავო მოლაპარაკება შეწყდა; 18 თებერვალს დაიწყო გერმანელთა შემოტევა; იმავე დღეს პარტიის ც. კ-მა ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის წინადადებით მიიღო გადაწყვეტილება — გაუგზავნონ დეპეშა გერმანიის მთავრობას, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა დადოს ზავიო (იხ. ეს ტომი, გვ. 618).

დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **491.**

97 «მ შ რ ო მ ე ლ ი დ ა ე ქ ს პ ლ ო ა ტ ი რ ე ბ უ ლ ი ხ ა ლ ხ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა დ ე ک ლ ა რ ა ც ი ა» 1918 წლის 3 (16) იანვარს შეიტანა ლენინმა სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე. სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე «დეკლარაციის» ერთხმად მიღებული ტექსტი რამდენადმე განსხვავდებოდა ლენინის თავდაპირველი ტექსტისაგან. 1918 წლის 4 (17) იანვარს «დეკლარაცია» გამოქვეყნდა გაზეთში «პრავდა» № 2. 5 (18) იანვარს «დეკლარაცია» ბოლშევიკთა ფრაქციამ საბჭოთა ხელისუფლების სახელით განსახილველად წარუდგინა დამფუძნებელ კრებას. კონტრრევოლუციურმა დამფუძნებელმა კრებამ უარი თქვა «დეკლარაციის» განხილვაზე, რის შემდეგ ბოლშევიკების ფრაქციამ დასტოვა დამფუძნებელი კრება. 1918 წლის 12 (25) იანვარს «დეკლარაცია» დაამტკიცა საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობამ.—**495.**

98 1917 წლის 22 დეკემბერს (1918 წლის 4 იანვარს) სრულიად რუსეთის ცაკ-მა ი. ბ. სტალინის მოხსენების გამო ფინეთის დამოუკიდებლობის შესახებ (იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 4, 1948, გვ. 24 — 26) მიიღო «რევოლუციური მთავრობის დეკლარაცია ფინეთის დამოუკიდებლობის შესახებ». — **497.**

99 სპარსეთიდან რუსეთის ჯარების გამოყვანის საერთო გეგმის შემუშავების წინადადება სპარსეთის მთავრობას საბჭოთა მთავრობამ მისცა 1917 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში. — **497.**

100 დეკრეტი ««თურქეთის სომხეთის» შესახებ», დაწერილი ი. ბ. სტალინის მიერ, განიხილა სახკომსაბჭოს სხდომამ 1917 წლის 23 დეკემბერს (1918 წლის 5 იანვარს) და დაამტკიცა სახკომსაბჭომ 1917 წლის 29 დეკემბერს (1918 წლის 11 იანვარს). დეკრეტი გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» 227-ე ნომერში 1918 წლის 13 იანვარს (1917 წლის 31 დეკემბერს). იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტომი 4, 1948, გვ. 27—28. — **497.**

101 პროექტი დეკრეტისა დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ განიხილა სახალხო კომისართა საბჭოს სხდომამ 1918 წლის 6 (19) იანვარს. სხდომისათვის ლენინმა დაწერა «თეზისები დეკრეტისა დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ» (იხ. ლენინის კრებული XVIII, 1931, გვ. 48—50), რომლებიც წაიკითხეს და მიიღეს მუხლობრივად; ყველა მუხლი მიიღეს უცვლელად. თეზისები საფუძვლად დაედო დეკრეტის პროექტს დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ, რომელიც ლენინმა დაწერა იმავე დღეს. ლენინის მიერ დაწერილი დეკრეტის პროექტში რამდენიმე შესწორება შეიტანა ი. ბ. სტალინმა. დეკრეტი დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკ-მა მიიღო 1918 წლის 6 (19) იანვარს ღამით და გამოქვეყნდა ცაკ-ის «იზვესტიის» მე-5 ნომერში 1918 წლის 7 იანვარს. — **506.**

102 თეზისები სეპარატული და ანექსიონისტური ზავის დაუყოვნებლივ დადების საკითხზე პარტიის ც. კ-მა მიიღო 1918 წლის 23 თებერვალს. გამოქვეყნების დროს თეზისებისთვის ლენინმა დაწერა შესავალი და დოკუმენტს გაუკეთა სათაური: «ბედუკულმართი ზავის საკითხის ისტორიისათვის». — **515.**

103 რსდმპ (ბოლშევიკების) მოსკოვის საოლქო ბიურომ, რომელიც დროებით ხელში ჩაიგდეს «მემარცხენე კომუნისტებმა», 1917 წლის 28 დეკემბერს (1918 წლის 10 იანვარს) მიიღო ც. კ-დმი უნდობლობის გამოთქველური რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების შეწყვეტას და ომის განგრძობას. ზავის საკითხში პარტია დაირაზმა ლენინის, სტალინის გარშემო და მხარი დაუჭირა პარტიის ც. კ-ს. «მემარცხენე კომუნისტების» ჯგუფი გაირიყა და დამარცხდა. პარტიის VII ყრილობამ 1918 წლის მარტში მიიღო ლენინის რეზოლუცია ბრესტის ზავის შესახებ. — **526.**

104 მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა გაიხსნა 1918 წლის 10 (23) იანვარს. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების 317 საბჭო და

არმიის, კორპუსისა და დივიზიის 110 კომიტეტი. ყრილობას სულ დაესწრო 707 დელეგატი. 3 დღის შემდეგ ყრილობას შეუერთდნენ გლეხთა დეპუტატების 250-ზე მეტი საბჭოს წარმომადგენლები — 13 (26) იანვარს გახსნილი გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობის მონაწილენი. ყრილობის 441 დელეგატი ბოლშევიკი იყო. ყრილობაზე ლენინი გამოვიდა მოხსენებით სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ და საბოლოო სიტყვით; დასასრულ ლენინმა წარმოთქვა სიტყვა ყრილობის დახურვის წინ. ბოლშევიკების ფრაქციის წინადადებით ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც მთლიანად მოიწონა სრულიად რუსეთის ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს პოლიტიკა.

1918 წლის 12 (25) იანვარს ყრილობამ დაამტკიცა ლენინის მიერ დაწერილი «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებების დეკლარაცია». 15 (28) იანვარს ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი ი. ბ. სტალინი ყრილობაზე გამოვიდა მოხსენებით ნაციონალურ საკითხზე. ყრილობამ მოიწონა სახკომსაბჭოს ნაციონალური პოლიტიკა.

ყრილობის მუშაობის განმავლობაში დელეგატების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა; უკანასკნელ სხდომას დაესწრო 1 587 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით. ყრილობამ აირჩია სრულიად რუსეთის ცაკ-ი 306 კაცის შემადგენლობით. ყრილობის მუშაობა დამთავრდა 1918 წლის 18 (31) იანვარს. — **520.**

105 ლენინს მხედველობაში აქვს მეწარმეებთან მეტყავე მუშათა სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირის 1917 წლის პირველ ნახევარში დაწყებული მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების შესახებ. მეტყავეთა კავშირი მოითხოვდა მუშათა წარმომადგენლობის გაფართოებას ტყავის საქმეთა მთავარ კომიტეტში და მის რეორგანიზაციას დემოკრატიულ საფუძვლებზე. ამ მოლაპარაკების შედეგი იყო რეორგანიზაცია ტყავის საქმეთა კომიტეტისა, რომელშიც ხმების ორი მესამედი მუშებმა მიიღეს. 1918 წლის აპრილის დამდეგს ყველა საბჭოს დაეგზავნა დეპეშა ლენინის ხელმოწერით ტყავის საქმეთა მთავარი კომიტეტის ადგილობრივი ორგანოების დემოკრატიზაციის აუცილებლობისა და ტყავის საქმეთა მთავარი კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების განკარგულების განუხრელად განხორციელების შესახებ. — **550.**

106 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXIV, 1931, გვ. 291. — **552.**

107 1918 წლის იანვარში იფეთქა ავსტრიელი მუშების გაფიცვებმა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.

გაფიცვა მიმდინარეობდა საყოველთაო ზავის დადებისა და მუშების სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესების ლოზუნგით.

საგაფიცვო ბრძოლის პროცესში ვენაში, ბუდაპეშტსა და სხვა ქალაქებში სტიქიურად წარმოიშვა მუშათა დეპუტატების საბჭოები. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოპორტუნისტულმა ლიდერებმა საბჭოები გამოიყენეს რევოლუციური საგაფიცვო მოძრაობის ჩასაქრობად. — **558.**

108 ხელნაწერს სათაური არა აქვს. დოკუმენტს სათაური გაუკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტმა. — **565.**

109 რკინიგზელთა სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1918 წლის 5 — 30 იანვარს (18 იანვარს—12 თებერვალს). ლენინმა ყრილობაზე გააკეთა მოხსენება სახკომსაბჭოს მუშაობის შესახებ და პასუხი გასცა წარდგენილ ბარათებზე. ყრილობამ მოიწონა საბჭოთა ხელისუფლების ყველა დეკრეტი; შეიმუშავა რკინიგზელ მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის ახალი ტარიფი, მიიღო რკინიგზების მართვა-გამგეობის დებულება და აირჩია რკინიგზელთა კავშირის ცენტრალური ორგანო ვიკექედორი (რკინიგზელთა სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი). — **567.**

110 იგულისხმება გზათა სახალხო კომისრის მ. ტ. ელიზაროვის 1918 წლის 2 (15) იანვრის ბრძანებულება რკინიგზელთა შრომის ანაზღაურების ნორმების შესახებ, რომლის თანახმად მაღალი კვალიფიკაციის მუშებისა და ინჟინრების შრომა თითქმის ისევე ნაზღაურდებოდა, როგორც არაკვალიფიციური მუშების შრომა. სახკომსაბჭომ ეს ბრძანებულება გააუქმა 1918 წლის 7 (20) იანვარს. — **587.**

111 პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმის თათბირი სასურსათო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მიეძღვნა პეტროგრადის მუშებისა და გარნიზონის მძიმე სასურსათო მდგომარეობის საკითხის განხილვას; პეტროგრადის მუშები და გარნიზონი პურის ულუფას იღებდნენ $^1/_4$ გირვანქის რაოდენობით დღეში. თათბირმა მოისმინა სასურსათო საქმეთა გამგეობის წარმომადგენლის მოხსენება პეტროგრადში სურსათის შემოზიდვის პერსპექტივებზე და გადმოტვირთვის კომისიის წარმომადგენლის მოხსენება. ლენინი ხელმძღვანელობას უწევდა დედაქალაქის სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესების მთელ მუშაობას. სახკომსაბჭოს დადგენილებით 1918 წლის 19 იანვრიდან (1 თებერვლიდან) პეტროგრადის მთელ მოსახლეობას პურის ულუფა გაუდიდდა $^1/_2$ გირვანქამდე. — **590.**

112 დადგენილება საზღვაო და სამდინარო სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ სახკომსაბჭომ დაამტკიცა 1918 წლის 18 (31) იანვარს. დადგენილებას ხელს აწერს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ლენინი და სახალხო კომისარი სტალინი. — **594.**

113 იგულისხმება სავაჭრო ფლოტის წყალტრანსპორტელთა და მეზღვაურთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი. — **594.**

114 ზავის საკითხის გადასაწყვეტად «მემარცხენე კომუნისტების» ჯგუფი მოითხოვდა პარტიული კონფერენციის მოწვევას. ამ მოთხოვნის წინააღმდეგ გაილაშქრეს ლენინმა, სტალინმა, სვერდლოვმა და სხვებმა. პარტიის ც. კ-მა მიიღო ლენინის წინადადება 1918 წლის 21 იანვრისთვის (3 თებერვლისთვის) მოეწვიათ პარტიული თათბირი და 1918 წლის 5 მარტისთვის დაენიშნათ პარტიის VII ყრილობა, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა ზავის საკითხი. — **596.**

115 ლენინს მხედველობაში აქვს სატელეგრაფო კავშირის შეწყვეტა მოსკოვსა და ბრესტ-ლიტოვსკს შორის; გერმანელები ხშირად აფუჭებდნენ ან გამორთავდნენ ხოლმე ამ ხაზს. — **599.**

116 ლენინს მხედველობაში აქვს ის ფაქტი, რომელიც მოყვანილია სტანიცა კამენსკაიას კაზაკთა ყრილობის წარმომადგენლის მოხსენებაში საბჭოების III ყრილობის სხდომაზე 1918 წლის 16 (29) იანვარს (იხ. «მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა», 1918, გვ. 83 — 84). — **607.**

117 რუსეთის საზავო დელეგაციას დეპეშა გაეგზავნა იმ დღეს, როცა საზავო მოლაპარაკება გერმანიასთან ბრესტ-ლიტოვსკში შეწყვეტილი იყო; ეს იყო პასუხი დელეგაციის თავმჯდომარის შეკითხვაზე, როგორ გამოვეხმაუროთ გერმანელების ულტიმატუმსო. დეპეშა დაწერა ვ. ი. ლენინმა ი. ბ. სტალინთან ერთად. — **608.**

118 გ ლ ე ხ თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ა დ ა ს ა ა დ გ ი ლ მ ა მ უ ლ ო კ ო მ ი ტ ე ტ ე ბ ი ს ს რ უ ლ ი ა დ რ უ ს ე თ ი ს ყ რ ი ლ ო ბ ა მიმდინარეობდა პეტროგრადში 1918 წლის 17 — 28 იანვარს (30 იანვარს — 10 თებერვალს). ყრილობა ჩამოყალიბდა საადგილმამულო კომიტეტების სრულიად რუსეთის I ყრილობისა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობის გლეხთა სექციის დელეგატებისგან. ყრილობის მონაწილეთა რიცხვი 1 000 კაცს აღემატებოდა. ყრილობამ შეიმუშავა მიწის კანონი, რომელიც ერთხმად დაამტკიცა სრულიად რუსეთის ცაკ-მა 1918 წლის 27 იანვარს (9 თებერვალს). — **609.**

119 1918 წლის 18 თებერვალს, საბჭოთა რესპუბლიკაზე გერმანელების შემოტევის დაწყებასთან დაკავშირებით, პარტიის ცკ-ის სხდომები იმართებოდა დილას და საღამოს. საღამოს სხდომაზე, როცა გამოირკვა, რომ გერმანელებმა დვინსკი აიღეს, ლენინმა გადაჭრით დააყენა გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების განახლების საკითხი. ვ. ი. ლენინს მხარი დაუჭირეს ი. ბ. სტალინმა, ი. მ. სვერდლოვმა და სხვებმა; ცკ-მა მიიღო ლენინის წინადადება—სახკომსაბჭოს სახელით ეცნობებიათ გერმანიის მთავრობისთვის, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა ზავის დადებისა. რადიოგრამის თავდაპირველი პროექტი მაშინვე დაწერა ლენინმა და 1918 წლის 18 თებერვალს დამით სახკომსაბჭოს სახელით გაიგზავნა ბერლინს. — **611**.

ვ. ი. ლენინის

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები

(*1917* წლის სექტემბერი — *1918* წლის თებერვალი)

1917

სექტემბერი, 17 (30)-მდე.	ლენინი ცხოვრობს ჰელსინგფორსში (ფინეთი). ივლისის ამბების შემდეგ ღრმა იატაკქვეშეთში მყოფი ლენინი, დროებითი მთავრობის მიერ დევნილი, ხელმძღვანელობას უწევს პარტიას პეტროგრადში მყოფ თავის მოწაფეთა და თანამებრძოლთა — ი. ბ. სტალინის, ი. მ. სვერდლოვის, ვ. მ. მოლოტოვის, გ. კ. ორჯონიკიძის მეშვეობით.
სექტემბერი, 15 (28).	პარტიის ც. კ-ის სხდომაზე იხილავენ ლენინის წერილებს «ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება» და «მარქსიზმი და აჯანყება». ი. ბ. სტალინის წინადადებით ლენინის წერილები ცენტრალურმა კომიტეტმა დაუგზავნა ბოლშევიკური პარტიის უდიდეს ორგანიზაციებს.
სექტემბერი, 17 (30).	ჰელსინგფორსიდან ლენინი გადადის ვიბორგში პარტიის ც. კ-თან უფრო მჭიდრო კავშირის დასამყარებლად.
სექტემბერი 22—24 (ოქტომბერი, 5—7)	ლენინი წერს სტატიას «პუბლიცისტის დღიურიდან. ჩვენი პარტიის შეცდომები».
სექტემბერი, 24 (ოქტომბერი, 7).	გაზეთ «რაბოჩი პუტის» მე-19 ნომერში შემოკლებულად დაიბეჭდა ლენინის სტატია «სიყალბის გმირებისა და ბოლშევიკების შეცდომების შესახებ» სახელწოდებით «სიყალბის გმირების შესახებ».
სექტემბერი, 27 (ოქტომბერი, 10).	ლენინი სწერს წერილს ფინეთის არმიის, ფლოტისა და მუშათა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარეს.
სექტემბერი, 29 (ოქტომბერი, 12).	ლენინი წერს სტატიას «კრიზისი მომწიფდა».

სექტემბრის დამლევი — 1 (14) ოქტომბერი. ლენინი წერს სტატიას «შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას?».

29 სექტემბერსა და 4 ოქტომბერს (12 და 17 ოქტომბერს) შუა. ლენინი წერს «თეზისებს პეტერბურგის ორგანიზაციის 8 ოქტომბრის კონფერენციაზე მოხსენებისთვის, აგრეთვე რეზოლუციისთვის და პარტიული ყრილობის დელეგატებად არჩეულთა განაწესისთვის».

30 სექტემბერსა და 12 ოქტომბერს (13 და 25 ოქტომბერს) შუა. ლენინი ხელს აწერს ორ განცხადებას, რომ თანახმაა კენჭი იყაროს დამფუძნებელი კრების წევრობაზე მოქმედი არმიის ჩრდილოეთის ფრონტისა და ბალტიის ფლოტისაგან.

ოქტომბერი, 1 (14). ლენინი სწერს «წერილს ც. კ-ს, მ. კ-ს, პ. კ-ს და პიტერისა და მოსკოვის საბჭოების ბოლშევიკ წევრებს», რომელშიც წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ აიღონ ხელისუფლება.

ოქტომბერი, 1 — 2 (14 — 15). ლენინი წერს მიმართვას «მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი» და მოუწოდებს მათ დაამხონ კერენსკის მთავრობა და ძალაუფლება გადასცენ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს.

ოქტომბერი, 3 (16). ცენტრალური კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას გამოიწვიოს ლენინი პეტროგრადში.

ოქტომბერი, 5 (18). ცენტრალური კომიტეტი ირჩევს კომისიას ლენინის მეთაურობით პარტიის პროგრამის პროექტის მოსამზადებლად.

ოქტომბერი, 6—8 (19—21). ლენინი წერს სტატიას «პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის».

ოქტომბერი, 7 (20). ლენინი არალეგალურად ბრუნდება ვიბორგიდან პეტროგრადში და ბინავდება ვიბორგის რაიონში, მ. ვ. ფოფანოვის ბინაზე. იმავე დღეს სწერს «წერილს პიტერის საქალაქო კონფერენციას. დახურულ სხდომაზე წასაკითხად».

ოქტომბერი, 8 (21). ლენინი წერს სტატიას «გარეშეს რჩევანი» და «წერილი ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების საოლქო ყრილო-

ბის მონაწილე ამხანაგ ბოლშევიკებისადმი», რომლებშიც აღნიშნავს, რომ ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება, და იძლევა აჯანყების კონკრეტულ გეგმას.

ვ. ი. ლენინი ხვდება ი. ბ. სტალინს და მასთან ერთად განიხილავს შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხებს.

ოქტომბერი, 10 (23). ლენინი პარტიის ც. კ-ის სხდომაზე გამოდის მოხსენებით მიმღინარე მომენტზე; შეაქვს პროექტი რეზოლუციისა შეიარაღებული აჯანყების შესახებ, რომელსაც იღებს ცენტრალური კომიტეტი.

ც. კ-ის სხდომაზე აჯანყების პოლიტიკური ხელმძღვანელობის გასაწევად იქმნება ც. კ-ის პოლიტბიურო ლენინისა და სტალინის მეთაურობით.

ოქტომბერი, 16 (29). ლენინი გამოდის მოხსენებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე ც. კ-ის 10 (23) ოქტომბრის სხდომის შესახებ და აქვეყნებს ც. კ-ის მიერ 10 (23) ოქტომბერს მიღებულ რეზოლუციას შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

ც. კ-ის სხდომაზე ირჩევენ აჯანყების ხელმძღვანელ პარტიულ ცენტრს ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

ოქტომბერი, 17 (30). ლენინი წერს «წერილს ამხანაგებისადმი», რომელშიც ამხელს შეიარაღებული აჯანყების წინააღმდეგ გამოსული კამენევისა და ზინოვიევის გამცემლურ საქციელს.

ოქტომბერი, 20 (ნოემბერი, 2). ლენინი წერს სტატიას «გლეხების ახალი მოტყუება ესერების პარტიის მიერ».

პარტიის ც. კ-ის სხდომაზე იხილავენ ლენინის მიერ დაწერილ «წერილს ბოლშევიკების პარტიის წევრებისადმი» და «წერილს რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს» მოღალატე კამენევისა და ზინოვიევის შტრეიკბრეხერული საქციელის შესახებ და მოითხოვს პარტიიდან მათ გარიცხვას.

ოქტომბერი, 24 (ნოემბერი, 6). ლენინი წერს «წერილს ც. კ-ის წევრებს» და მოითხოვს დაუყოვნებლივ განახორციელონ შეიარაღებული აჯანყება.

საღამოს ლენინი მოდის სმოლნში შეიარაღებული აჯანყების სახელმძღვანელოდ. ი. ბ. სტალინი აცნობს ლენინს პოლიტიკური ამბების მსვლელობას.

ოქტომბერი, 25 (ნოემბერი, 7). ლენინი და სტალინი ხელმძღვანელობას უწევენ ოქტომბრის შეიარაღებულ აჯანყებას.

ლენინი წერს მოწოდებებს: «რუსეთის მოქალაქეებისადმი!», «მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს!».

ლენინი გამოდის მოხსენებით საბჭოების ხელისუფლების ამოცანების შესახებ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე. სხდომა იღებს ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციას.

ლენინს ირჩევენ საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის პრეზიდიუმის წევრად.

ოქტომბერი, 26 (ნოემბერი, 8). ლენინი წერს პროექტებს დეკრეტებისას ზავის, მიწის და საბჭოთა მთავრობის შექმნის შესახებ.

ლენინი საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობის საღამოს სხდომაზე გამოდის მოხსენებებით ზავის და მიწის შესახებ; შეაქვს პროექტები დეკრეტებისა ზავის და მიწის შესახებ.

ოქტომბერი, 26 (ნოემბერი 8) ღამით. საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობა ლენინს ირჩევს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ, ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად ირჩევენ ი. ბ. სტალინს.

საბჭოების სრულიად რუსეთის II ყრილობა ლენინსა და სტალინს ირჩევს მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრებად.

ოქტომბერი, 27 (ნოემბერი, 9). ლენინი ესწრება სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სხდომას.

ლენინი სტალინთან ერთად მოდის პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბში, სადაც ისმენენ მოხსენებას საქმის ვითარების შესახებ, ეცნობიან მოწინააღმდეგის ძალებს და მასთან ბრძოლის ოპერატიულ გეგმებს.

ლენინი პირდაპირი მავთულით ელაპარაკება ჰელსინგფორსს ფინეთიდან პეტროგრადში მატროსების გამოგზავნის შესახებ. წერილობითს ბრძანებას აძლევს ცენტრობალტს პეტროგრადის დასახმარებლად შეიარაღებული გემების გამოგზავნის შესახებ.

ოქტომბერი, 28 (ნოემბერი, 10). ლენინი მუშაობს პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბში, სტალინთან ერთად აწყობს პეტროგრადის თავდაცვას კერენსკი — კრასნოვის ჯარების შემოტევისაგან, იმუშავებს სახმელეთო ოპერაციებში ფლოტის ძალების გამოყენების გეგმას.

სმოლნში მყოფი ლენინი იძლევა დირექტივებს გაიწვიონ ხალხი და მოამზადონ ტექნიკური საშუალებები სანგრების გასათხრელად და მავთულღობურების მოსაწყობად.

ლენინი იხმობს პუტილოველ მუშებს და ავალებს მათ ყოველგვარი საშუალების გამოყენებით მიიტანონ ქვემეხები პოზიციებზე.

ოქტომბერი, 28 (ნოემბერი, 10). ღამით. ლენინი მიდის პუტილოვის ქარხანაში და ავალებს მუშებს დააჩქარონ ჯავშნოსანი მატარებლის აგება.

ოქტომბერი, 29 (ნოემბერი, 11). ლენინი პეტროგრადის გარნიზონის პოლკების წარმომადგენელთა თათბირზე გამოდის მოხსენებით მიმდინარე მომენტზე და წარმოთქვამს სიტყვებს ნაწილების შეიარაღების და ქალაქში წესრიგის დამყარების საკითხებზე.

ლენინი წერილობითს ბრძანებას აძლევს ფეთქებადი მასალების ოხტის საწყობს დაუყოვნებლივ მისცეს ვიბორგის რაიონის წითელი გვარდიის შტაბს და საბჭოს სელყუმბარები და ზარბაზნის ფუგასური ყუმბარები.

ოქტომბერი, 30 (ნოემბერი, 12). ლენინი წერს და სახკომსაბჭოს სახელით გზავნის რადიოგრამას «ყველას. ყველას» ძალაუფლების საბჭოების ხელში ვადასვლისა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც მიმართავს საბჭოთა მთავრობა კონტრრევოლუციურ აჯანყებათა ჩასაქრობად.

ლენინი და სტალინი იხმობენ და ინსტრუქციას აძლევენ ბოლშევიკების პარტიის რაიონულ ორგანიზატო-

რებს; ლენინი აცნობს მათ პულკოვოსთან შექმნილ მდგომარეობას.

26 და 31 ოქტომბერს (8 და 13 ნოემბერს) შუა. ლენინი წერს «მუშათა კონტროლის დებულების პროექტს».

ნოემბერი, 1 (14). პარტიის ც. კ-ის გაფართოებულ სხდომაზე ლენინი გამოდის მოხსენებით ვიკჟელთან გამართულ თათბირებზე კამენევისა და რიაზანოვის გამცემლური საქციელის შესახებ.

ნოემბერი, 2 (15). ლენინი სტალინთან ერთად ხელს აწერს სტალინის მიერ შედგენილ «რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციას».

პარტიის ც. კ-ის სხდომაზე იღებენ ლენინის მიერ დაწერილ «რსდმპ(ბ) ც. კ-ის რეზოლუციას ც. კ-ის შიგნით შექმნილი ოპოზიციის საკითხზე».

ნოემბერი, 3 (16). ლენინი წერს «რსდმპ(ბ) ც. კ-ის უმრავლესობის ულტიმატუმს უმცირესობისადმი».

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, სადაც იხილავენ ნოგინის მოხსენებას მოსკოვში არსებული მდგომარეობის შესახებ; გამოდის ვიკჟელთან შეთანხმების წინააღმდეგ.

ნოემბერი, 4 (17). ლენინი სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე გამოდის სიტყვით პრესის საკითხზე და უპასუხებს მემარცხენე ესერების შეკითხვებზე.

ლენინი პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და ფრონტის წარმომადგენელთა გაერთიანებულ სხდომაზე გამოდის სიტყვით ახალი მთავრობის პროგრამისა და ამოცანების შესახებ.

ნოემბერი, 5 — 6 (18 — 19). ლენინი წერს მიმართვას «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან. პარტიის ყველა წევრისა და რუსეთის ყველა მშრომელი კლასისადმი», სადაც

დეზერტირებად აცხადებს ც. კ-დან და სახკომსაბჭოდან წასულ პარტიის მოღალატეებს: კამენევს, ზინოვიევს, ნოგინს, რიკოვსა და მილიუტინს.

ნოემბერი, 7 (20). ლენინი სახკომსაბჭოს სახელით წერილობით ბრძანებას აძლევს მთავარსარდალ დუხონინს დაუყოვნებლივ შესთავაზოს დროებითი ზავი ყველა მეომარ ქვეყანას.

ნოემბერი, 9 (22). ლენინი და სტალინი პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბში პირდაპირი მავთულით მოლაპარაკებას აწარმოებენ გენერალ დუხონინთან.

ლენინი წერს «რადიო ყველას. ყველა პოლკის, დივიზიის, კორპუსის, არმიისა და სხვა კომიტეტს, რევოლუციური არმიის ყველა ჯარისკაცს და რევოლუციური ფლოტის ყველა მატროსს» მთავარსარდლის პოსტიდან გენერალ დუხონინის გადაყენების შესახებ და წინადადებას იძლევა დაიწყონ საზავო მოლაპარაკება გერმანელებთან.

ლენინი პროფესიულ კავშირთა პეტროგრადის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე გამოდის მოხსენებით მიმდინარე მომენტზე.

ნოემბერი, 10 (23). ლენინი სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე გამოდის მოხსენებით დუხონინთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ.

ლენინი ამტკიცებს და ხელს აწერს დეკრეტს წოდებათა და სამოქალაქო ხარისხთა მოსპობის შესახებ.

ნოემბერი, 12 (25). ცაკ-ის «იზვესტიის» 223-ე ნომერში გამოქვეყნებულია ლენინის მიერ დაწერილი სახკომსაბჭოს წერილობითი ბრძანება სამხედრო რევოლუციური კომიტეტისადმი სპეკულაციისა და საბოტაჟის აღმოსაფხვრელად გადამჭრელი ზომების მიღების შესახებ.

ნოემბერი, 14 (27). გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობაზე ლენინი გამოდის სიტყვით აგრარულ საკითხზე და აქვეყნებს თავის რეზოლუციის პროექტს მიწის დეკრეტისადმი გლეხთა ყრილობის დამოკიდებულების შესახებ.

ნოემბერი, 15 (28). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ სახალხო მეურნეობის საბჭოს მოწყობის საკითხს.

ნოემბერი, 16 (29). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ ი. ბ. სტალინის მიერ შეტანილ საკითხს უკრაინელი ხალხისთვის ისტორიულ განძეულობათა გადაცემის შესახებ.

ნოემბერი, 18 (დეკემბერი, 1). ლენინი გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობაზე გამოდის საბოლოო სიტყვით აგრარულ საკითხზე.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: უმაღლესი ეკონომიური თათბირის შესახებ; დონეცის რაიონის ქარხნების ნაციონალიზაციის შესახებ; სახალხო კომისრების ჯამაგირის შესახებ, — ამ საკითხზე იღებენ ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციას.

ნოემბერი, 19 (დეკემბერი, 2). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ ი. ბ. სტალინის მოხსენებებს ფინეთთან ვაჭრობის, უკრაინისა და უკრაინის რადის შესახებ.

ნოემბერი, 20 (დეკემბერი, 3). ლენინი და სტალინი ხელს აწერენ მიმართვას «რუსეთისა და აღმოსავლეთის ყველა მშრომელი მუსლიმანისადმი», რომელიც დაწერილია სტალინის მიერ.

ნოემბერი, 21 (დეკემბერი, 4). ლენინი სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გამოდის მოხსენებით დამფუძნებელი კრებიდან დეპუტატთა გაწვევის უფლების შესახებ, — მას შეაქვს დეკრეტის პროექტი, რომელსაც იღებს სრ. რუს. ცაკ-ი.

ნოემბერი, 22 (დეკემბერი, 5). სამხედრო ფლოტის სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე ლენინი გამოდის სიტყვით მიმდინარე მომენტზე.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ რევოლუციური სასამართლოების საკითხს; ლენინი სტალინთან ერთად ხელს აწერს დეკრეტს სასამართლოს შესახებ.

ნოემბერი, 25 (დეკემბერი, 8). ლენინი წერილში ტულის თოფხანის ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის მიმართ თხოვს შაშხანებით, ნაგანებითა და სხვა საჭურველით მოამარაგოს დონის ოლქის ბოკოვის მთიანი რაიონის წითელი გვარდია.

სახკომსაბჭოს სხდომაზე ლენინი გამოდის მოხსენებით იმასთან დაკავშირებით, რომ მას ეწვია კაზაკთა ჯარის კავშირის დელეგაცია.

ნოემბერი, 26 (დეკემბერი, 9). ლენინი წერილში პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბის მიმართ აღნიშნავს, რომ საჭიროა სასწრაფო სამხედრო დახმარება აღმოეჩინოს ორენბურგს ორენბურგის კაზაკთა ჯარის თეთრგვარდიელი ატამანის დუტოვის წინააღმდეგ.

ნოემბერი, 27 (დეკემბერი, 10). ლენინი სტალინთან ერთად წერს ინსტრუქციას საბჭოთა დელეგაციისათვის — «კონსპექტი ზავზე მოლაპარაკების პროგრამისა» — ბრესტში საზავო მოლაპარაკების წარმოებისათვის.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: გერმანიასთან ზავზე მოსალაპარაკებლად სამშვიდობო დელეგაციის შემადგენლობის შესახებ; ინსტრუქციას საზავო მოლაპარაკების წარმოებისათვის. ლენინი იძლევა წინადადებას შეიქმნას საგანგებო კომისია ფინანსურ და ეკონომიურ სფეროში სოციალისტური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

ნოემბერი, 28 (დეკემბერი, 11). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ კადეტების პარტიის კონტრრევოლუციური შეთქმულების საკითხს და შეაქვს თაეისი პროექტი დეკრეტისა კადეტების პარტიის, ხალხის მტრების პარტიის ც. კ-ის გამოჩენილ წევრთა დაპატიმრებისა და რევოლუციური ტრიბუნალის სამართალში მიცემის შესახებ.

ლენინი წერს განცხადებას «დამფუძნებელი კრების სრულიად რუსეთის საარჩევნო კომისიას», რომელშიც თხოვს მას მიიჩნიოს ის ფინეთის არმიისა და ფლოტისგან არჩეულად.

ლენინი სტალინთან ერთად ხელს აწერს ლენინის მიერ დაწერილ «დეკრეტს რევოლუციის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის ბელადთა დაპატიმრების შესახებ».

ნოემბერი, 29 (დეკემბერი, 12). ც. კ-ის სხდომაზე ლენინი გამოდის გაზეთ «პრავდის» რედაქციის შემადგენლობის საკითხზე. პარტიის ც. კ. სასწრაფო საქმეთა გადასაწყვეტად ქმნის ც. კ-ის ბიუროს, რომლის შემადგენლობაში შედიან ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი, ი. მ. სვერდლოვი და სხვები.

ლენინი წერს და სახკომსაბჭოს უდგენს დასამტკიცებლად დადგენილების პროექტს სამხედრო ქარხნების სახალხო სამეურნეო ნაყოფიერ მუშაობაზე გადაყვანის შესახებ.

დეკემბერი, 1 (14). ლენინი გამოდის სიტყვებით სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს შექმნის და დამფუძნებელი კრების საკითხებზე.

ლენინი დამფუძნებელი კრების ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაზე გამოდის მოხსენებით დამფუძნებელი კრების მიმართ პარტიის ტაქტიკის შესახებ.

დეკემბერი, 2 (15). ბოლშევიკების ფრაქციის სახელით ლენინი გამოდის სიტყვით გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ ი. ბ. სტალინის მოხსენებებს უკრაინის შესახებ და ბელორუსიაში საბჭოების ყრილობის მოწყობის შესახებ.

დეკემბერი, 8 (16). ლენინი წერს «ძირითად დებულებებს მანიფესტისა უკრაინელი ხალხისადმი» და «მანიფესტს უკრაინელი ხალხისადმი ულტიმატური მოთხოვნებით უკრაინის რადის მიმართ». «მანიფესტს» ერთხმად იღებს სახკომსაბჭო.

დეკემბერი, 4 (17). პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის სხდომაზე ლენინი გამოდის მოხსენებით პეტროგრადის მუშების ეკონომიური მდგომარეობისა და მუშათა კლასის ამოცანების შესახებ.

დეკემბერი, 5 (18). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: პროექტი სავოლოსტო კომიტეტთა დებულებისა და მათთვის განკუთვნილი ინსტრუქციებისა; სახკომსაბჭოს 1917 წლის 3 (16) დეკემბრის ულტიმატუმზე უკრაინის რადის პასუხის შესახებ. ლენინი და სტალინი შედიან სარედაქციო კომისიაში პირველ საკითხზე პროექტის შესამუშავებლად და მათ ირჩევენ იმ კომისიაში, რომელიც უფლებამოსილია იმოქმედოს სახკომსაბჭოს სახელით იმასთან დაკავშირებით, თუ უკრაინის რადის პასუხი არადამაკმაყოფილებელი იქნება.

დეკემბერი, 6 (19). ლენინი წერილობითს ბრძანებას აძლევს რკინიგზის კომისრებს დაუბრკოლებლივ გაატარონ კავკასიის მეხუთე კაზაკთა დივიზიის კავკასიის პირველი პოლკის ეშელონი, რომელიც იგზავნება თეთრგვარდიელ გენერალ კალედინის წინააღმდეგ საბრძოლველად.

დეკემბერი, 7 (20). ლენინი სწერს ბარათს ფ. ე. ძერჟინსკის მიიღოს ზომები მესაბოტაჟეებისა და კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ ძერჟინსკის მოხსენებას კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ მებრძოლი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის შესახებ.

დეკემბერი, 11 (24). ლენინი მონაწილეობას იღებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში.

დეკემბერი, 12 (25). დამფუძნებელი კრების ბოლშევიკური ფრაქცია ერთხმად იღებს ლენინის მიერ დაწერილ «თეზისებს დამფუძნებელი კრების შესახებ».

დეკემბერი, 13 (26). ლენინი სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოდის რკინიგზელ მუშათა და ხელოსანთა სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობაზე.

დეკემბერი, 14 (27). ლენინი მონაწილეობას იღებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაში და შეაქვს თავისი «პროექტი დეკრეტისა ბანკების ნაციონალიზაციის

განხორციელების და ამასთან დაკავშირებით საჭირო ზომების მიღების შესახებ».

სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე ლენინი გამოდის სიტყვით ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ.

ლენინი წერს სტატიას «პურისა და ზავისათვის».

დეკემბერი, 15 (28). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან პრაქტიკოსთა კომისიის შექმნის შესახებ; სახკომსაბჭო იღებს ამ საკითხზე ლენინის მიერ დაწერილ დადგენილების პროექტს.

დეკემბერი, 16 (29). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ ი. ბ. სტალინის მოხსენებებს ორენბურგში, ურალის ოლქში, თურქესტანსა და კავკასიაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

დეკემბერი, 18 (31)-ზე უფრო ადრე. ლენინი წერს «კითხვებს არმიის დემობილიზაციის გამო მოწვეული საერთო-საარმიო ყრილობის დელეგატებისთვის».

დეკემბერი, 18 (31). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს ფრონტზე არსებული ვითარებისა და არმიის მდგომარეობის შესახებ, — ამ საკითხზე იღებენ ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციას. ი. ბ. სტალინი აცნობებს სახკომსაბჭოს ორენბურგის ოლქში არსებული სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

ლენინი იღებს ფინეთის მთავრობის დელეგაციას და გადასცემს მას სახკომსაბჭოს დეკრეტს ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

დეკემბერი, 19 (1918 წლის 1 იანვარი). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს იუსტიციის სახალხო კომისრის, მემარცხენე ესერის შტეინბერგის მიერ დამფუძნებელი კრების დაცვის კონტრრევოლუციური საზოგადოების დაპატიმრებულ წევრთა უკანონოდ განთავისუფლების შესახებ, — იღებენ ლენინისა და სტალინის მიერ წარდგენილ რეზოლუციას.

ი. ბ. სტალინი გამოდის მოხსენებით უკრაინის რადის შესახებ და შეაქვს წინადადება უკრაინის საგანგებო კომისრად ორჯონიკიძის დანიშვნის შესახებ; გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის II ყრილობის დელეგატის მოხსენების გამო უკრაინის რადასთან მოლაპარაკების შესახებ იღებენ რეზოლუციის ლენინის მიერ დაწერილ პროექტს.

დეკემბერი, 20 (1918 წლის 2 იანვარი). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ ი. ბ. სტალინის მოხსენებას სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან პირდაპირი მავთულით მოლაპარაკების შესახებ და დამფუძნებელი კრების გახსნის საკითხს.

დეკემბერი, 23 (1918 წლის 5 იანვარი). სახკომსაბჭო იღებს გადაწყვეტილებას ლენინისთვის 3 — 5 დღის შვებულების მიცემის შესახებ; ამ ხნის განმავლობაში სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება ი. ბ. სტალინი.

დეკემბერი, 24 (1918 წლის 6 იანვარი). ლენინი შვებულებაში მიდის ფინეთს.

დეკემბერი, 25—28 (1918 წლის 7 — 10 იანვარი). შვებულებაში ყოფნისას ლენინი წერს სტატიებს: «პუბლიცისტის დღიურიდან (დასამუშავებელი თემები)», «ძველას კრახით შეშინებულნი და ახლისთვის მებრძოლნი», «როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?», «პროექტი დეკრეტისა სამომხმარებლო კომუნების შესახებ».

დეკემბერი, 29 (1918 წლის 11 იანვარი). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილ პროექტს დეკრეტისას ««თურქეთის სომხეთის» შესახებ» და მთავრობის გაზეთების ცენტრალიზაციის საკითხს.

1918

იანვრის დამდეგი. ლენინი წერს «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციას»; დეკლარაციის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს ი. ბ. სტალინი.

იანვარი, 1 (14). ლენინი წარმოთქვამს სიტყვას მიხეილის მანეეზე სოციალისტური არმიის პირველი ეშელონების გაცილებისას. ავტომობილს, რომლითაც ლენინი მოდიოდა მიხეილის მანეეიდან, ტყვია დაუშინეს კონტრრევოლუციონერმა ტეროორისტებმა. ლენინი უვნებლად გადარჩა.

სახკომსაბჭოს სხდომაზე ლენინი გამოდის მოხსენებით მიმდინარე ამბებზე.

იანვარი, 1 — 3 (14 — 16). ლენინი წერს წერილს არმიის დემობილიზაციის გამო მოწვეულ საერთო-საარმიო ყრილობას და გამოთქვამს რწმენას, რომ წარმატებით გადაწყდება სოციალისტური არმიის შექმნის ამოცანა.

იანვარი, 2 (15). ლენინი წინადადებას აძლევს პეტროგრადის საზღვაო რევოლუციურ კომიტეტს გაგზავნოს უკრაინაში ორი ათასი მატროსი უკრაინის ბურჟუაზიული რადის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებისათვის.

იანვარი, 5 (18). ლენინი სტალინთან ერთად მონაწილეობას იღებს დამფუძნებელი კრების ბოლშევიკური ფრაქციის სხდომაში და დამფუძნებელი კრების გახსნაში. შესვენების დროს, რომელიც გამოცხადდა ბოლშევიკების მოთხოვნით, რადგან მემარჯვენე ესერების უმრავლესობამ უარი თქვა «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციის» განხილვაზე, ლენინი წერს ბოლშევიკური ფრაქციის დეკლარაციას დამფუძნებელი კრებიდან გამოსვლის შესახებ; დამფუძნებელი კრების სხდომაზე ამ დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ ლენინი მთელ ბოლშევიკურ ფრაქციასთან ერთად სტოვებს თავრიდის სასახლეს.

იანვარი, 6 (19). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ მის მიერ დაწერილ თეზისებს დამფუძნებელი კრების შესახებ; თეზისების ყველა მუხლს იღებენ.

ლენინი სტალინთან ერთად წერს «პროექტს დეკრეტისას დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ»; დეკრეტის პროექტი გადააქვთ სრულიად რუსეთის ცაკ-ის დასამტკიცებლად.

სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე ლენინი გამოდის სიტყვით დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ;

მას შეაქვს დეკრეტის პროექტი, რომელსაც ამტკიცებს სრულიად რუსეთის ცაკ-ი.

იანვარი, 8 (21). პეტროგრადის გამოჩენილ პარტიულ მუშაკთა კრებაზე ლენინი კითხულობს თავის «თეზისებს სეპარატული და ანექსიონისტური ზავის დაუყოვნებლივ დადების საკითხზე».

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხს სასურსათო პოლიტიკისა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან სრულიად რუსეთის სასურსათო საბჭოს შექმნის შესახებ; ი. ბ. სტალინს ირჩევენ საბჭოთა ხელისუფლების სასურსათო პოლიტიკის სფეროში ღონისძიებათა შემმუშავებელ კომისიაში.

იანვარი, 9 (22). ლენინი მონაწილეობას იღებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში.

იანვარი, 10 (23). ლენინი ესწრება საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობის გახსნას, — მას ირჩევენ ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ.

იანვარი, 11 (24). ლენინი ორჯერ გამოდის ზავის საკითხზე ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე.

ლენინი გამოდის მოხსენებით საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ.

იანვარი, 12 (25). საბჭოების III ყრილობა იღებს ლენინის მიერ სტალინის მონაწილეობით დაწერილ «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციას».

ლენინი საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობაზე გამოდის საბოლოო სიტყვით სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენების გამო.

იანვარი, 13 (26). ლენინი რკინიგზელთა სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობაზე გამოდის მოხსენებით სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ; უპასუხებს მიცემულ ბარათებზე.

იანვარი, 14 (27). ლენინი სასურსათო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმის თათბირზე გამოდის შიმშილობასთან ბრძოლის ღონისძიებების საკითხზე. ლენინს შეაქვს თავისი პროექტი რეზოლუციისა ამ საკითხზე.

იანვარი, 15 (28). ლენინი გ. კ. ორჯონიკიძისადმი ხარკოვს გაგზავნილ წერილში მოითხოვს უაღრესად ენერგიული და რევოლუციური ზომების მიღებას პეტროგრადში პურის გასაგზავნად.

ლენინი ამტკიცებს და ხელს აწერს სახკომსაბჭოს დეკრეტს მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის შემდგენი სრულიად რუსეთის კომისიის დაარსების შესახებ.

იანვარი, 16 (29). ლენინი იმუშავებს სრულიად რუსეთის სასურსათო ყრილობისადმი მიმართვის პროექტს და წინადადებას იძლევა გამოჰყონ გამოცდილი მუშაკები უმაღლეს სასურსათო ორგანოებში შიმშილობასთან ბრძოლის გადამჭრელი ღონისძიებების განსახორციელებლად.

ლენინი ამტკიცებს და ხელს აწერს სახკომსაბჭოს დეკრეტს წითელი არმიის მოწყობაზე 20 მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

იანვარი, 18 (31). ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საზღვაო და სამდინარო სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის საკითხს; იღებენ ლენინის მიერ დაწერილ რეზოლუციას.

ლენინი წერს «დეკრეტს საბჭოთა კანონმდებლობაში დამფუძნებელი კრების დამოწმების განდევნის შესახებ».

ლენინი გამოდის საბოლოო სიტყვით საბჭოების სრულიად რუსეთის III ყრილობის დახურვის წინ.

იანვარი, 19 (თებერვალი, 1). ლენინი გამოდის პარტიის ც. კ-ის სხდომაზე გერმანიასთან ზავის დადების და პარტიული ყრილობის მოწვევის საკითხზე.

იანვარი, 21 (თებერვალი, 3). ც. კ-ის და პარტიული მუშაკების გაფართოებულ სხდომაზე ლენინი გამოდის გერმანიასთან ზავის დადების საკითხზე.

ლენინი გზავნის რადიოგრამას: «ყველას. განსაკუთრებით ბრესტ-ლიტოვსკის საზავო დელეგაციას» — უკრაინაში, ფინეთსა და დონში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის წარმატებათა შესახებ.

იანვარი, 22 (თებერვალი, 4). ლენინი ხარკოვში გ. კ. ორჯონიკიძეს უგზავნის დეპეშას, რომელშიც მადლობას უცხადებს სურსათის დამზადების საქმეში ენერგიული ზომებისათვის და მითითებებს აძლევს დამზადებათა შემდგომი მოწყობისა და ცენტრში პურის გაგზავნის შესახებ.

იანვარი, 23 (თებერვალი, 5). ლენინი ხელს აწერს რადიოგრამის ტექსტს, რომელშიც ცხადდება უკრაინის კონტრრევოლუციური რადის ლიკვიდაციის, ორენბურგის კაზაკთა ჯარის თეთრგვარდიელი ატამანის დუტოვის ორენბურგიდან გაქცევისა და საერთო-ყირიმის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს ხელში ძალაუფლების გადასვლის შესახებ.

იანვარი, 24 (თებერვალი, 6). ლენინი გამოდის ც. კ-ის სხდომაზე პარტიის VII ყრილობის დღის წესრიგის საკითხზე; წინადადებას იძლევა ყრილობის დღის წესრიგში შეიტანონ: პარტიული პროგრამის გადასინჯვა, ზავის საკითხი და ტაქტიკური საკითხები. ლენინს ირჩევენ პარტიის პროგრამის შემმუშავებელ კომისიაში.

«პრავდის» მე-18 ნომერში გამოქვეყნდა ლენინის სიტყვა პროვინციაში გასაგზავნი აგიტატორების წინაშე.

იანვარი, 28 (თებერვალი, 10). ლენინი სტალინთან ერთად დეპეშას უგზავნის საზავო დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან ზავის დაუყოვნებლივ დადების აუცილებლობის შესახებ.

ლენინი გამოდის გლეხთა დეპუტატების და საადგილმამულო კომიტეტების სრულიად რუსეთის ყრილობაზე და წარმოთქვამს სიტყვას სოფლად მუშაობის შესახებ.

თებერვალი, 18. ლენინი გამოდის პარტიის ც. კ-ის დილის და საღამოს სხდომებზე გერმანიასთან საზავო მოლაპარაკების განახლების საკითხზე.

ლენინი სტალინთან ერთად დირექტივებს აძლევს დვინსკის საბჭოს გერმანელების შემოტევის შემთხვევაში ზომების მიღების შესახებ.

18 თებერვალი, ღამით. ლენინი სახკომსაბჭოს სახელით რადიოგრამას უგზავნის გერმანიის მთავრობას, რომელშიც პროტესტს აცხადებს გერმანიის ჯარების შემოტევის წინააღმდეგ და თანახმაა ხელი მოაწეროს ზავს.

თებერვალი, 19. ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: საგარეო პოლიტიკის შესახებ გერმანიის მიერ დაწყებულ შემოტევასთან დაკავშირებით; თავდაცვის მოწყობისა და რევოლუციური ომის წარმოების შესახებ, თუ რესპუბლიკა დაყენებული იქნება ამის აუცილებლობის წინაშე.

თებერვალი, 20. ლენინი პირდაპირი მავთულით უპასუხებს მოსკოვის საბჭოს, თუ რა ზომები აქვს მიღებული მთავრობას გერმანელების შემოტევასთან დაკავშირებით.

ლენინი ხელმძღვანელობს სახკომსაბჭოს სხდომას, რომელზედაც იხილავენ საკითხებს: ნავთობის სარეწების ნაციონალიზაციის შესახებ; ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

ლენინს და სტალინს ირჩევენ დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, რომელიც შექმნილია მიმდინარე სამუშაოს გასაძღოლად სახკომსაბჭოს სხდომათა შუალედებში.

შინაარსი

წინასიტყვაობა IX

1917 წ. სექტემბერი — დეკემბერი

ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება. წერილი რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პეტროგრადისა და მოსკოვის კომიტეტებს . 1—4

მარქსიზმი და აჯანყება. წერილი რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს . . . . . 5—12

რუსეთის რევოლუცია და სამოქალაქო ომი. სამოქალაქო ომით გვაშინებენ . . . . 13—31

სიყალბის გმირებისა და ბოლშევიკების შეცდომების შესახებ . . . . . 32—42

პუბლიცისტის დღიურიდან. ჩვენი პარტიის შეცდომები . . . . . 43—51

რევოლუციის ამოცანები . . . . . 52—63

კაპიტალისტებთან შემთანხმებლობის დამღუპველობა . 54

ძალაუფლება საბჭოებს 55

ზავი ხალხებს 56

მიწა მშრომელებს 58

ბრძოლა შიმშილობასა და რღვევასთან 59

ბრძოლა მემამულეებისა და კაპიტალისტების კონტრ-
რევოლუციასთან 60
რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება . . . 62

წერილი ფინეთის არმიის, ფლოტისა და მუშათა საოლქო კომიტეტის თავმჯდომარეს . . . . . 64—69

1 64
2 65
3 66
4 66
5 67
6 67
7 68
8 68
9 69
10 69

კრიზისი მომწიფდა . . . . . 70—83

I 70
II 73
III 76
IV 78
V 78
VI 79

შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას? . . . . . 85—148

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა 87
ბოლოსიტყვაობა 141

მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცებისადმი . . . 149—151

წერილი ცკ-ს, მკ-ს, პკ-ს და პიტერისა და მოსკოვის საბჭოების ბოლშევიკ წევრებს . . . . . 152—154

თეზისები პეტერბურგის ორგანიზაციის 8 ოქტომბრის კონფერენციაზე მოხსენებისთვის, აგრეთვე რეზოლუციისთვის და პარტიულ ყრილობაზე დელეგატებად არჩეულთა განაწესისთვის . . . . . 155—158

წინააარლამენტში პარტიის მონაწილეობის საკითხზე . . 155
ლოზუნგის შესახებ «მთელი ძალაუფლება საბჭოებს» . 156
შენიშვნა რეზოლუციისადმი «ძალაუფლება საბჭოებს» . 157

წერილი პიტერის საქალაქო კონფერენციას. დახურულ სხდომაზე წასაკითხად . . . . . 159—163

პარტიული პროგრამის გადასინჯვისათვის . . 165—202

I 167
II 171
III 175
IV 179
V 182
VI 188
VII 190
VIII 196
IX 200

გარეშეს რჩევანი . . . . . 203—206

წერილი ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების საოლქო ყრილობის მონაწილე ამხანაგ ბოლშევიკებისადმი 207—214

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1917 წ. 10 (23) ოქტომბრის სხდომა. საოქმო ჩანაწერი . . . 215—217

1. მოხსენება 215
2. რეზოლუცია 217

რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1917 წ. 16 (29) ოქტომბრის სხდომა. საოქმო ჩანაწერი . . . 218—221

1 218
2 219
3 220
4 220

წერილი ამხანაგებისადმი . . . . . 222—246

ბოლოსიტყვაობა 245

წერილი ბოლშევიკების პარტიის წევრებისადმი . 247—251

ჩვენი პარტიის ამოცანები ინტერნაციონალში (ციმერვალდის III კონფერენციის გამო) . . . 252—254

წერილი რსდმ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს . 255—260

გლეხების ახალი მოტყუება ესერების პარტიის მიერ 261—268

წერილი ცენტრალური კომიტეტის წევრებს . . 269—271

რუსეთის მოქალაქეებისადმი! 275

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა 1917 წ. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) . . . . . 276—279

1. მოხსენება საბჭოების ხელისუფლების ამოცანების შესახებ. მოკლე საგაზეთო ანგარიში 276

2. რეზოლუცია 278

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა. 1917 წ. 25—26 ოქტომბერს (7—8 ნოემბერს) . . . . . 281—305

1. მუშებს, ჯარისკაცებსა და გლეხებს! . . 285

2. მოხსენება ზავის შესახებ 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) . . . . . 287—293

დეკრეტი ზავის შესახებ 287

3. საგოლოო სიტყვა ზავის შესახებ მოხსენების გამო 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) . . 294

4. მოხსენება მიწის შესახებ 26 ოქტომბერს (8 ნოემბერს) . . . . . 298—303

დეკრეტი მიწის შესახებ 299

5. დადგენილება მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნის შესახებ 304

პირდაპირი მავთულით ლაპარაკი ჰელსინგფორსთან 1917 წ. 27 ოქტომბერს (9 ნოემბერს) . . . 306—309

I. 306

II. ლაპარაკი ამხ. მიხაილოვთან 307

III. ლაპარაკი ცენტრობალტის თავმჯდომარის ამხანაგთან — ამხ. იზმაილოვთან 308

პეტროგრადის გარნიზონის პოლკების წარმომადგენელთა 1917 წ. 29 ოქტომბრის (11 ნოემბრის) თათბირი. საგაზეთო ანგარიში . . . . 310—314

1. მოხსენება მიმდინარე მომენტზე . . . 310

2. გამოსვლა ნაწილების შეიარაღების საკითხზე 313

3. გამოსვლა ქალაქში წესრიგის დამყარების საკითხზე 314

სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წ. 30 ოქტომბრის (12 ნოემბრის) რადიო . . . . . 315—316

მონასახი წესებისა მოსამსახურეთათვის . . . 317

მუშათა კონტროლის დებულების პროექტი . . 318—319

გამოსვლები რსდმპ(ბ) ც. კ-ის 1917 წ. 1 (14) ნოემბრის სხდომაზე. საოქმო ჩანაწერი . . . . 320—321

რსდმპ(ბ) ც. კ-ის რეზოლუცია ცენტრალური კომიტეტის შიგნით არსებული ოპოზიციის საკითხზე 1917 წ. 2 (15) ნოემბერს . . . . . 322—324

რსდმპ(ბ) ც. კ-ის უმრავლესობის ულტიმატუმი უმცირესობას . . . . . 325—327

პროექტი რეზოლუციისა პრესის თავისუფლების შესახებ . . . . . 328—329

სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1917 წ. 4 (17) ნოემბრის სხდომა . . . . . 330—339

1. სიტყვა პრესის საკითხზე 330

2. პასუხი მემარცხენე ესერების შეკითხვაზე . 333

3. ორი გამოსვლა მემარცხენე ესერების შეკითხვის გამო . . . . . 335—336

I 335

II 336

4. სიტყვა და რეზოლუცია ნოგინის განცხადების გამო სახკომსაბჭოდან გასვლის შესახებ. 337—339

I 337

II 339

სიტყვა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე ფრონტის წარმომადგენლებთან ერთად 1917 წ. 4 (17) ნოემბერს. საგაზეთო ანგარიში. . . . . 340—343

პასუხი გლეხების შეკითხვებზე . . . . . 344—345

მოსახლეობისადმი . . . . . 346—348

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან . . 349—350

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან. პარტიის ყველა წევრისა და რუსეთის ყველა მშრომელი კლასისადმი. . . . . 351—357

წინასიტყვაობა ბროშურისა: «როგორ მოატყუეს ხალხი სოციალისტ-რევოლუციონერებმა და რა მისცა ხალხს ბოლშევიკების ახალმა მთავრობამ» . 358—359

მთავრობის ლაპარაკი პირდაპირი მავთულით მთავარ განაკთან 1917 წ. 9 (22) ნოემბერს . . . 360—363

რადიო ყველას. ყველა პოლკის, დივიზიის, კორპუსის, არმიის და სხვა კომიტეტს, რევოლუციური არმიის ყველა ჯარისკაცს და რევოლუციური ფლოტის ყველა მატროსს . . . . 364—366

სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომა 1917 წ. 10 (23) ნოემბერს. საოქმო ჩანაწერი . . . . . 367—371

1. მოხსენება დუხონინთან მოლაპარაკების შესახებ 367

2. საბოლოო სიტყვა 369

გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობა. 1917 წ. 10—25 ნოემბერს (23 ნოემბერს—8 დეკემბერს) . . . 373—385

1. განცხადება გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობის ბოლშევიკურ ფრაქციას 375

2. სიტყვა აგრარულ საკითხზე 14 (27) ნოემბერს. საგაზეთო ანგარიში 376

3. რეზოლუციის პროექტი 379

4. სიტყვა «ვიკჟელის» წარმომადგენლის განცხადების გამო 18 ნოემბერს (1 დეკემბერს). საგაზეთო ანგარიში 381

5. საბოლოო სიტყვა 18 ნოემბერს (1 დეკემბერს). საგაზეთო ანგარიში. 383

სახალხო კომისართა საბჭო სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს 386

პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ამოცანების შესახებ . . . . . 387—388

მუშების კავშირი მშრომელ და ექსპლოატირებულ გლეხებთან. წერილი «პრავდის» რედაქციას 389—392

პროექტი დეკრეტისა გაწვევის უფლების შესახებ 393—394

მოხსენება გაწვევის უფლების შესახებ სრ. რუს. ცაკ-ის სხდომაზე 1917 წ. 21 ნოემბერს (4 დეკემბერს) . . . . . 395—397

სიტყვა სამხედრო ფლოტის სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე 1917 წ. 22 ნოემბერს (5 დეკემბერს). საოქმო ჩანაწერი . . . . . 398—405

წინასიტყვაობა ბროშურისა: «მასალები აგრარულ საკითხზე» . . . . . 406—407

ზავზე მოლაპარაკების პროგრამის კონსპექტი . 408—409

დეკრეტი რევოლუციის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის გელადთა დაპატიმრების შესახებ . . 410

სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომა 1917 წ. 1 (14) დეკემბერს . . . . . 411—415

1. სიტყვა დამფუძნებელი კრების საკითხზე . . 411

2. რეზოლუცია დეკრეტის შესახებ კადეტების პარტიის გამო 415

სიტყვა გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე 1917 წ. 2 (15) დეკემბერს . . . 416—419

მანიფესტი უკრაინელი ხალხისადმი ულტიმატური მოთხოვნებით უკრაინის რადისადმი . . . 420—422

მოხსენება პეტროგრადის მუშების ეკონომიური მდგომარეობისა და მუშათა კლასის ამოცანების შესახებ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის სხდომაზე 1917 წ. 4 (17) დეკემბერს. საგაზეთო ანგარიში . 423—425

დამფუძნებელი კრების გახსნის შესახებ . . . 426

პროექტი გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობის მოწოდებისა გლეხობისადმი . 427—434

ბარათი ფ. ე. ძერჟინსკის . . . . . 435—437

სიტყვა რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე 1917 წ. 11 (24) დეკემბერს. საოქმო ჩანაწერი 438

პროექტი რეზოლუციისა დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკების ფრაქციის დროებითი ბიუროს შესახებ 439

თეზისები დამფუძნებელი კრების შესახებ . . . 440—445

სიტყვა რკინიგზელ მუშათა და ხელოსანთა სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობაზე 1917 წ. 13 (26) დეკემბერს . . . . . 446—447

სიტყვა ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე 1917 წ. 14 (27) დეკემბერს. საოქმო ჩანაწერი . . . . . 448—451

პურისა და ზავისათვის . . . . . 452—453

პროექტი დეკრეტისა ბანკების ნაციონალიზაციის განხორციელების და ამასთან დაკავშირებით საჭირო ზომების მიღების შესახებ . . . . . 454—457

კითხვები არმიის დემობილიზაციის გამო მოწვეული საერთო-საარმიო ყრილობის დელეგატებს . . 458—459

სახალხო კომისართა საბჭოს რეზოლუციის პროექტი 460

სახალხო კომისართა საბჭოს რეზოლუცია რადასთან მოლაპარაკების შესახებ 1917 წ. 19 დეკემბერს (1918 წ. 1 იანვარს) . . . . . 461—462

ძველის ძრახით შეშინებულნი და ახლისთვის მებრძოლნი . . . . . 463—467

როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება? . . . . . 471—483

პროექტი დეკრეტისა სამოქმედო კომუნეების შესახებ . . . . . 484—486

სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წ. 30 დეკემბრის (1918 წ. 12 იანვრის) დადგენილება რადიოს პასუხზე სახალხო კომისართა საბჭოსადმი . . . . . 487—488

1918 წ. იანვარი — თებერვალი

სიტყვა სოციალისტური არმიის პირველი ეშელონების გაცილებისას 1918 წ. 1 (14) იანვარს. მოკლე საგაზეთო ანგარიში . . . . . 489—490

ლაპარაკი პირდაპირი მავთულით 491

მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია . . . . . 495—498

არმიის დემობილიზაციის გამო მოწვეულ საერთოსაარმიო ყრილობას 499

სრულიად რუსეთის ცაკ-ის 1918 წ. 3 (16) იანვრის დადგენილება 500

რსდმ პარტიის (ბოლშევიკების) ფრაქციის დეკლარაცია, გამოქვეყნებული დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1918 წ. 5 (18) იანვარს . . . . . 501—502

იმქვეყნიური ადამიანები . . . . . 503—505

პროექტი დეკრეტისა დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ . . . . . 506—508

სიტყვა დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკ-ის სხდომაზე 1918 წ. 6 (19) იანვარს . . . . . 509—514

ბედუკულმართი ზავის საკითხის ისტორიისათვის . 515—525

თეზისები სეპარატული და ანექსიონისტური ზავის დაუყოვნებლივ დადების საკითხზე 515

ბოლოსიტყვაობა თეზისებისადმი სეპარატული და ანექსიონისტური ზავის დაუყოვნებლივ დადების საკითხზე . . . . . 526—528

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა. 1918 წ. 10—18 (23—31) იანვარი . . . . . 529—564

1. მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ 11 (24) იანვარს . . . 531

2. საბოლოო სიტყვა სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენების გამო 12 (25) იანვარს . . 554

3. საბოლოო სიტყვა ყრილობის დახურვის წინ 18 (31) იანვარს 560

წერილობითი ბრძანება წითელი გვარდიის შტაბს . 565—566

რკინიგზელთა სრულიად რუსეთის საგანგებო ყრილობა. 1918 წ. 13 (26) იანვრის სხდომა. სტენოგრაფიული ანგარიში . . . . . 567—589

1. სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენება 567

2. პასუხი ბარათებზე 584

პეტროგრადის საბჭოს პრეზიდიუმის თათბირი საჩურსათო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან 1918 წ. 14 (27) იანვარს . . . . . 590—593

1. გამოსვლები შიმშილობასთან ბრძოლის ღონისძიებათა საკითხზე. საოქმო ჩანაწერი 590

I 590
II 590

2. რეზოლუციის პროექტი 592

პროექტი დეკრეტისა საზღვაო და სამდინარო სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაციის შესახებ 1918 წ. 18 (31) იანვარს . . . . . 594—595

1. დეკრეტის პროექტი 594
2. დამატება პროექტისადმი 595

გამოსვლები რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე 1918 წ. 19 იანვარს (1 თებერვალს). საოქმო ჩანაწერი . . 596—598

1 596
2 597
3 597
4 597
5 598
6 598

რადიოთი. ყველას. განსაკუთრებით საზავო დელეგაციას ბრესტ-ლიტოვსკში 599

რადიოგრამა ყველას, ყველას . . . . . 600—601

სიტყვა პროვინციაში გასაგზავნი აგიტატორების წინაშე. საგაზეთო ანგარიში . . . . . 602—607

ბრესტ-ლიტოვსკი. რუსეთის საზავო დელეგაცია. ტროცკის. პასუხი 608

სიტყვა გლეხთა დეპუტატებისა და საადგილმამულო კომიტეტების სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1918 წ. 28 იანვარს (10 თებერვალს). საგაზეთო ანგარიში 609—610

გამოსვლები რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე 1918 წ. 18 თებერვალს (დღისით). საოქმო ჩანაწერი . . 611—612

სიტყვები რსდმპ(ბ) ც. კ-ის სხდომაზე 1918 წ. 18 თებერვალს (საღამოს). საოქმო ჩანაწერი . . . 613—615

1 . 613
2 . 614

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პირდაპირი მავთულით ლაპარაკი დვინსკის საბჭოს წევრებთან . 616—617

თავდაპირველი პროექტი რადიოგრამისა გერმანიის იმპერიის მთავრობისადმი 618

ლენინის პასუხი პირდაპირი მავთულით მოსკოვის საბჭოს 619

შენიშვნები . . . . . 621—651

ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღები . . . . 653—672

ილუსტრაციები

პირველი გვერდი გაზეთისა «რაბოჩიი პუტ» № 30, 1917 წ. 20 (7) ოქტომბერი, რომელშიც დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის სტატია: «კრიზისი მომწიფდა» 71

მიმართვა «რუსეთის მოქალაქეებისადმი!», რომელიც დაწერილია ვ. ი. ლენინის მიერ 1917 წ. 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) . . 273

პირველი გვერდი გაზეთისა «რაბოჩიი ი სოლდატ» № 9, 1917 წ. 26 ოქტომბერი (8 ნოემბერი) 283

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?». — 1917 წ. დეკემბერი 469

პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია». — 1918 წ. იანვარი 493

ტირაჟი 20.000.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/IV-1952.
უე 00185. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 43,75.
ფასი 8 მან.

*

საქპოლიგრაფგამომცემლობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.
შეკვეთის № 1.